

მოთარ ჯაჟარია

ქართველი ტომების
ისტორიისათვის
ლითონის წარმოების ადრეულ
საფეხურზე

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1961

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოში ფართოდ გაშლილ კლევუა-ძიების შედეგად გამოვლინდა საყურადღებო ძეგლები, რომლებიც სრულიად ახლებურად გააშუქეს უძველესი ქართული კულტურის საკიოხები. გაარკვეა, რომ ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე ჩვენში უკვე არსებობდა მძლავრ და თავისებური კულტურა.

წიგნი შედგება ოთხი თავისაგან და წარმოადგენს სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის შესწავლის ცდას. პირველ თავში განხილულია ქულბაქების ნამოსახლარი. ამ მასალისა და სხვა ძეგლების საფუძველზე ავტორი იკვლევს ამერიკაკასიის ენეოლითური კულტურის საკითხებს, მის თავისებურ ხასიათს და საგანგებოდ ჩერდება ამ კულტურის წარმოშობის, გავრცელებისა და ურთიერთობის გარკვევაზე, აგრეთვე ცდილობს მისი განვითარების საფეხურების დადგენას.

მეორე თავში შესწავლილია ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები. ყვირილის აუზის შემო წელის ყორღანები კოლექტიური სამარხებით და ძლინას სამაროვანი. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი საჩხერისა და ქორეთის საგვარეულო სამაროვნებს. განხილულია დასაფლავების წესი და სამარხეული ინვენტარი. ახალ მასალის საფუძველზე მოცემულია ამ სამაროვნების პერიოდიზაციის ცდა.

მესამე თავი მოიცავს დოლმენური კულტურის ადრეულ საფეხურს. ახალი მასალის საფუძველზე მოცემულია აფხაზეთის დოლმენების პერიოდიზაციის ცდა. ავტორი ფიქრობს, რომ დოლმენების მშენებლობის ხანა ჩვენში ადრე და შუა ბრინჯაოს პერიოდზე მოდის.

დასკვნით ნაწილში მოცემულია სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ზოგადი დახასიათება და განხილულია საქართველოს მიწა-წყალზე ამ ხანაში მოსახლე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ იქნა მეტად საყურადღებო ძეგლები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს უძველესი ქართული კულტურის რიგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ქართული საბჭოური არქეოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის დადგენა და შესწავლა. ეს პერიოდი ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს პირველყოფილი საზოგადოების განვითარების პროცესში. ლითონის პირველი გამოჩენის ხანაში ჩვენში, როგორც ირაკვევა, უკვე არსებობდა მეტად მძლავრი და თავისებური კულტურა, რომელიც წინა საფეხურთან შედარებით საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედების, მეტად მაღალი დონე, ხელოსნობის ზოგიერთი დარგის აღმავლობა და სხვ. უთუოდ იმას მოწმობს, რომ გვაროვნული საზოგადოება საკმაოდ წინ წასულა. საფიქრებელია, რომ კულტურის ამგვარი აღმავლობა ჩვენში სხვა ფაქტორებთან ერთად შეპირობებული იყო აგრეთვე ლითონის შემოსვლითაც. იქ, სადაც ადრევე დაიწყო ადგილობრივი სპილენძის გამოყენება, ლითონის გამოჩენას უთუოდ გარკვეული ზეგავლენა უნდა ნოეხდინა პირველყოფილი საზოგადოების განვითარების პროცესზე¹. საფიქრებელია, რომ აქ ლითონის სხვა ნივთებთან ერთად, იგივე ცივად პედვის წესით, ამზადდებდნენ სამეურნეო იარაღსაც, რაც არსებით გავლენას მოახდენდა ეკონომიურ ცხოვრებაზე².

სპილენძ-ბრინჯაოს კულტურის ადრეული პერიოდი მოიცავს ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ორ საფეხურს: ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანას. მართალია, ლითონის დამუშავების წესი ამ ორ პერიოდში განსხვავდებ-

¹ А. Л. Брюсов, Очерки по истории племён европейской части СССР в неолитическую эпоху, Москва, 1952, гл. 6.

М. Е. Фосс, О терминах „неолит“, „бронза“, „культура“, КСИМК, вып. XXIХ, М. — Л., 1949, гл. 33.

რ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 8.

² Г. Кларк, Доисторическая Европа, Москва, 1953, гл. 186.

ბოდა, მაგრამ საერთოდ კულტურის განვითარების თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს საგრძობლად არ დაშორებიან. ენეოლითის საფეხურზე ლითონს ძირითადად ცივად ქედვის წესით ამუშავებენ, თუმცა ამ პერიოდის ბოლოსათვის ლითონის ჩამოსხმის ტექნიკაც ისახება და თავის პირველ წარმატებებს აღწევს. მეორე პერიოდში იარაღის დამზადების ძირითადი მეთოდი უკვე ლითონის ჩამოსხმა და ტრადიციაც (მიუხედავად იმისა, თუ რომელი ლითონია ჩამოსახმელად გამოყენებული, სპილენძი თუ ბრინჯაო) ამ პერიოდს ჩვეულებრივად მიიჩნევს ბრინჯაოს ხანის დასაბამად ¹.

აღსანიშნავია, რომ პიოტროვსკი და ზოგი სხვა მკვლევარი ამიერკავკასიური მასალების განხილვისას განვითარების ამ ორ საფეხურს მათში საერთო ნიშნების არსებობის საფუძველზე ერთ პერიოდად მიიჩნევენ და მას სპილენძის ხანას უწოდებენ ². უკანასკნელ ხანებში ანალოგიური მასალების შესწავლისას უცხო მკვლევრები ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურას ადრე-ბრინჯაოს ხანას აკუთვნებენ ძირითადად იმის გამო, რომ აქ სადა კერამიკული ნაწარმი გვხვდება ³. მაგრამ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ეს ნოსაზრება ნართებული არ უნდა იყოს.

მძლავრი და დაწინაურებული ენეოლითის საფუძველზე აღმოცენებული ბრინჯაოს კულტურა ადრეულ პერიოდში ინარჩუნებს განვითარების წინა საფეხურიდან მიღებულ მთელ რიგ დამახასიათებელ ნიშნებს. მართალია, ამ პერიოდში გვაროვნული საზოგადოება თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგას, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობს წინა საფეხურის, მიწათმოქმედი ტომების მძლავრი კულტურის ტრადიციები. ადრე-ბრინჯაოს ხანაში ჩვენში პირველყოფილი საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობა არ შეინიშნება. შუა ბრინჯაოს ხანაში უკვე წყდება კავშირი წინა პერიოდის კულტურის ტრადიციებთან და შეინიშნება სწრაფი აღმავლობა მეურნეობაში, მეტალურგიასა, ხელოსნობაში და სხვ. გვაროვნული საზოგადოების წიაღში ისახება ახალი საზოგადოებრივი ფენა და იწყება პირველყოფილი საზოგადოების რღვევის პროცესი.

საქართველოში სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის ძეგლის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის ე. თაყაიშვილს, რომელმაც 1910 წ. საჩხერეში შეისწავლა ყორღანული ტიპის სამაროვანი და პატარა წერილი გამოაქვეყნა ამ აღმოჩენის შესახებ ⁴. აღსანიშნავია, რომ მან იმათივე სწო-

¹ Г. Чайлд, Прогресс и археология, Москва, 1949, гл. 70.

² Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, гл. 32.

Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, СА, XI, М.—Л., 1949, гл. 171.

К. Х. Кушнарёва, Памятники медного века в нагорном Карабахе. СА, XX, М.—Л., 1954, гл. 179.

³ T. Burton Brown, Excavations in Azarbeijan, London, 1951, гл. 34, 246.

C. A. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, Anatolian Studies, vol. VIII, гл. 165.

⁴ Е. С. Такайшвили, О Сачхерском кургане Шораланского уезда, Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. III, Тбилиси, 1913, гл. 167.

რად გაიგო ამ ძეგლის ხასიათი. მართალია, ვარაუდით, მაგრამ მინც განოთქეა მოსაზრება, რომ საჩხერის ყორღანი წინ უნდა უსწრებდეს ყობანის კულტურას და იგი სპილენძის ხანას მიაკუთვნა¹. ეს, თუნდაც ვარაუდით გამოთქმული მოსაზრება იმდროისათვის უთუოდ მეტად გაბედული იყო იმის გამო, რომ, როგორც ცნობილია, XIX საუკ. 80-იანი წლებიდან კავკასიის არქეოლოგიაში გაბატონებული იყო რ. ვირხოვის, ე. შანტრის და სხვ.² მოსაზრებანი, თითქოს ლითონის ინდუსტრია კავკასიაში ბრინჯაოს ხანის გვიანდელ საფეხურზე იწყება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგში ე. თაყაიშვილის ამ მოსაზრებისათვის ყურადღება აღარავის არ მიუქცევია.

1920 წ. კიკეთის მახლობლად ე. პჩელინამ შეისწავლა სამარბი, რომელშიაც 9 თიხის კურკელი აღმოჩნდა. მან შენიშნა, რომ აქ ნაპოვნი კერამიკა მეტისმეტად თავისებურია, რომლის მსგავსიც მას კავკასიურ მასალებში არ ეგულება³. ამიტომაც ე. პჩელინამ თავი შეიკავა სამარხის დათარიღებისაგან და, რა თქმა უნდა, გარკვევით ვერც ვერაფერს იტყოდა იმის გამო, რომ ეს მასალა თავისი ხასიათით საგრძნობლად განსხვავდებოდა მანამდე კარგად ცნობილი ბრინჯაოს ხანის კერამიკისაგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ძეგლები ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში იყო უკვე აღმოჩენილი⁴. დიდი ნაწილი ამ მასალისა (არმავირ-ბლურიდან, მალაქლუდან და სხვ.) კავკასიის მუზეუმში იყო დაცული, ნაგრამ სათანადო ყურადღება ამ მასალებისათვის თავის დროზე არავის მიუქცევია.

1930 წ. დიდუბეში მიწის სამუშაოთა წარმოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა დროის აქსალა⁵. ეს ადგილი ინახულა პროფ. გ. ნიორაძემ და მცირე გათხრებით ჩაატარა. თავდაპირველად მან საგაზეთო წერილში აღნიშნა, რომ ამ ადგილას აღმოჩენილი მასალა სხვადასხვა პერიოდისა უნდა იყოს და მათგან ყველაზე ადრეული ნეოლითის ხანას ნიაკუთვნა. შემდეგში მან დიდუბის ნამოსახლარი ენეოლითისეულად მიიჩნია⁶.

ცოტა უფრო გვიან ადრეული პერიოდის მასალები ცნობილი ხდება დასავლეთ საქართველოდან: ოჩამჩირიდან, დაბლაგომიდან და სხვ.

¹ Е. С. Такайшвили, О Сачхорском кургане Шорапанского уезда, Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып III, Тбилиси, 1913, გვ. 167.

² R. Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin, 1883, გვ. 171.

³ E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase. т. I, Paris — Lion, 1885, გვ. 81.

⁴ Е. Г. Пчелина, Археол. разведка в р-не Триалетского хребта близ гор. Тбилиси. საქ. მუხ. მოამბე, ტ. V, თბილისი, 1928, გვ. 156.

⁵ А. С. Уваров. Исследования местности, на котором предполагались развалины Армавира, Тр. Предварит. комитета V арх. съезда в Тбилиси, Москва, 1879, გვ. 444.

Коллекции Кавказского Музея. т. V, Тбилиси, 1902, გვ. 130.

Н. Я. Марр, Аян, М. — Л., 1934, გვ. 5, სურ. 18.

⁶ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბ. 1955, გვ. 7.

⁷ გ. ნიორაძე, დიდუბის ენეოლითური ხანის ძეგლები (ბელნაწერი).

აღსანიშნავია, რომ ამავე ხანებში ამიერკავკასიის სხვა ადგილებშიც აღმოჩნდა ამ პერიოდის მასალები. მაგალითად: სომხეთში (ელარი, შრეშ-ბლური, შენგავითი და სხვ.), მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თავდაპირველად მათი დათარიღების შესახებ შეტისმეტად განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული. ზოგი მათ ნეოლითს აკუთვნებდა¹, ზოგიც — ურარტულ ხანასა² და სხვ. თუმცა შემდეგში ე. ბაიბურთიანმა შეცვალა თავისი პირვანდელი მოსაზრება და ეს ძეგლები უფრო ადრეულ პერიოდს მიაკუთვნა³.

დაახლოებით ამავე ხანებში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა აზერბაიჯანში ი. ჰუმელი, რომელმაც ჰანლარის მახლობლად, სტეპანაკერტში, კილიკ-დაღში და სხვ. გამოავლინა ადრეული პერიოდის მასალები⁴.

მაგრამ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებს. აქ, როგორც ცნობილია, აღმოჩენილი იყო სხვადასხვა პერიოდის ძეგლები და მათი შესწავლის საფუძველზე შემუშავებული პერიოდიზაცია დღემდე ერთ-ერთი ძირითადთაგანია ამიერკავკასიის არქეოლოგიაში⁵. თრიალეთის ადრეული პერიოდის ძეგლების შესწავლისა და ამიერკავკასიის მუზეუმებში დაცული ადრევე მოპოვებული მასალების მათთან შედარება-შეჯერების გზით შესაძლებელი გახდა თავისებური, მძლავრი ადრეული კულტურის გამოყოფა, რომელიც ბ. კუფტინმა ენეოლითის საფეხურს მიაკუთვნა. გაირკვა, რომ სამხრეთ ამიერკავკასიაში ლითონის პირველი გამოჩენის ხანაში არსებობდა ერთგვაროვანი, დიდად დაწინაურებული მიწათმოქმედი ტომების კულტურა, რომელსაც მისი გავრცელების რაიონის მიხედვით ბ. კუფტინმა თავდაპირველად „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ უწოდა⁶.

თრიალეთში, ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე გამოვლენილი ენეოლითური მასალების შესწავლის საფუძველზე ბ. კუფტინმა მიწიდან იმ დროისათვის ცნობილი ამ პერიოდის სხვა მასალებიც კიკეთიდან, დაბლაგომიდან, შენგავითიდან, შრეშ-ბლურიდან და სხვ. და შეეცადა

¹ ე. ლაღაიანი, ყორღანების გათხრები საბჭოთა სომხეთში, ერევანი, 1937 წ. (სომხურ ენაზე), გვ. 112.

² Е. Вайбуртия, Псевдонеоэлитическое поселение Армении, Проблемы, ГАИМК. № 1 — 2, Ленинград, 1933, გვ. 39.

³ Е. Вайбуртия, По поводу древней керамики из Преш-Блур, СА, Ш, 1936, გვ. 213.

Е. Вайбуртия, Культурный очаг из раскопок Шенгавитского поселения в 1937 — 1938 гг., ВДИ, 1938, № 4, გვ. 255.

⁴ И. И. Гуммель, Раскопки в Нагорно-Карабахской автономной области в 1938 году. Изв. Аз. ФАН СССР, № 4, Баку, 1938, გვ. 77 — 90.

Я. И. Гуммель, Археологическая разведка на Килик-даге, Изв. Аз. ФАН СССР, вып. 2, Баку, 1938, გვ. 23.

⁵ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 11.

⁶ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქ. მუზეუმის შრომები, ტ. 13 — В, თბილისი, 1943.

დაედიგინა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ამ ძეგლებისა¹. იგი დაწერილებით შეჩერდა ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული კომპლექსის განხილვაზე და გამოყო ენეოლითური ქურქლისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის შესწავლისათვის ჰქონდა ბ. კუფტინის ნაშრომს „Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Юго-Араксский неолит“. ამ შრომაში იგი იძლევა ენეოლითური ხანის იმდროისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძეგლის დამახასიათებელს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ არა უგვიანეს III ათასწლეულისა ნტკერისა და არეზის აუზის ცენტრალურ ნაწილში არსებობდა თავისებური. მეტად დაწინაურებული კულტურა, რომელიც თავისი გავრცელების დიდ ფართობზე თითქმის უცვლელად ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სახეს. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში უკვე საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჩანს წინააზიურ სამყაროსთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, უთუოდ აშკარაა, რომ ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე ამიერკავკასიაში გავრცელებული კულტურა თავისებურია. იგი ფიქრობს, რომ ეს კულტურა უფრო ახლო კავშირს ამჟღავნებს ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სამყაროსთან².

ბ. კუფტინი შემდეგდროინდელ ნაშრომებში, რომლებიც ამ საკითხისადნია მიძღვნილი, კიდევ უფრო უსვამს ხაზს ჩვენი ენეოლითისა და ხმელთაშუა ზღვის კულტურების ურთიერთობის საკითხს³. ზემო ავქალისა და ზღუდრის გვერდას კომპლექსების შესწავლისას იგი კვლავ ეხება ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხს⁴. ამავე დროს ზღუდრის გვერდას ისრის პირისა და ქსოვილიანი კერამიკის შესწავლისას აყენებს საკითხს ჩრდილოეთთან კავშირის შესახებ⁵.

თრიალეთში ბოლოდროინდელი გათხრების დროს, 1947 — 1948 წწ., ბ. კუფტინმა შეისწავლა ენეოლითური პერიოდის ნამოსახლარი სოფ. ოზნში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საყურადღებო მასალის მხოლოდ ერთი ნაწილის გამოქვეყნება დასკალდა. ამ ნამოსახლარზე გამოვლენილმა მასალამ უთუოდ ბევრი სიახლე მოგვცა თრიალეთის ენეოლითური კულტურის შესწავლისათვის. აქ გამოვლინდა საცხოვრებლის ნაშთი, ბრგვალეი კერები, რელიეფური ორნამენტით შემკული კერამიკა, ლითონის ნივთები და სხვ. ამ მასალის გან-

¹ Б. А. К у ф т и н, К вопросу о ранних стадиях бронзово й культуры на территории Грузии, КСИИМК, вып VIII, гв. 22.

Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, гв. 115.

² Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Юго-Араксский неолит, гв. 126.

³ ბ. ა. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, გვ. 12.

⁴ Б. А. К у ф т и н, К проблеме неолита Внутренней Картли и Юго-Осетии, საქ. მეზ. მთაბებ. ტ. XIV — V, თბილისი, 1947, გვ. 44.

⁵ იქვე, გვ. 76.

ხილვისას ბ. კუფტინმა აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორია ენეოლითის ეპოქაში ხმელთაშუა ზღვის კულტურის სამყაროში ექცევა¹.

ფიქრობთ, რომ ბ. კუფტინი ცოტა არ იყოს ზედმეტად უსვამს ხაზს ამიერკავკასიის ენეოლითის კავშირის ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურებთან. მართალია, ამ პერიოდში ახლო ურთიერთობა ჩანს წინა და მცირე აზიასთან, ხმელთაშუა ზღვისპირეთთან, მაგრამ, როგორც ამას თვით ბ. კუფტინი არაერთგზის აღნიშნავდა, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში გამოვლენილი ადრეული კულტურა. რომლის საფუძველზედაც აღმოცენდა მერმინდელი ხანის „ბრწყინვალე კულტურა“², მეტად თავისებური და ორიგინალურია.

ამავე პერიოდში, უპირატესად სომხეთში ადრევე მოპოვებული მასალების საფუძველზე, ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის საკითხებს სწავლობს ბ. პიოტროვსკი³. მისი აზრით, ლითონის ათვისების ადრეული პერიოდის თარიღი შეიძლება ყოფილიყო III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის პირველი ნახევარი⁴. იგი საკმაოდ დაწვრილებით იხილავს ძირითადად სომხურ მასალებს შენგავითიდან, შრემ-ბლურიდან, ქიულ-თაფადან და სხვ. და სავსებით სამართლიანად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა არ იდგა თავის საწყის სტადიაზე; მათი ფესვები ადგილობრივ ნეოლითურ კულტურაშია საშებარი⁵. ბ. პიოტროვსკიც ხაზს უსვამს ახლო ურთიერთობას წინააზიურ კულტურასთან, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის სპილენძის ხანის თავისებური და დამოუკიდებელი განვითარების გზა უნდა გაეგო შედარებით უფრო მოგვიანო ხანაში⁶. მსგავსება წინააზიურ სამყაროსთან მათ გენეტიკურ კავშირზე კი არ უნდა მიუთითებდეს, არამედ, ბ. პიოტროვსკის აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ ნეოლითურ ფორმების ერთიანობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქმნის მატერიალური კულტურის მსგავს ფორმებს⁷.

დაბლაგომის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1936 წ. სხვადასხვა პერიოდის მასალასთან ერთად ნაციხვარზე აღმოაჩინა ენეოლითური ხანის ფენა. დაბლაგომის მასალა პირველად დაამუშავა ნ. ხოშტარიამ და იგი III ათასწლეულის ბოლო ხანის მიაკუთვნა. მკვლევარი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაციხვარის კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს დიდუბისა და იგდირის ქურქელთან. გარკვეულ მსგავსებას ავლენს იგი აგრეთვე ოჩამჩირის კერამიკასთან⁸.

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цахкияском районе, თბილისი, 1948, გვ. 44.

² იქვე, გვ. 4.

³ Б. П. Пиотровский, Новая страница древнейшей истории Кавказа. Изв. Ар. ФАН СССР, № I, Ереван, 1943, გვ. 53 — 69.

⁴ Б. П. Пиотровский, Поселение медного века в Армении, გვ. 183.

⁵ იქვე, გვ. 180.

⁶ იქვე, გვ. 183.

⁷ იქვე, გვ. 184.

⁸ Н. Н. Хоштария, Древнее поселение в Даблагоми, Тбилиси, 1941, (ეულ-ნაწერი), გვ. 113.

დაბლაგომის მასალების განხილვისას ბ. კუფტინმა აღნიშნა, რომ ნაიციხარის კერამიკა ახლო დგას, როგორც დამზადების ტექნიკით, ისე ფორმით, მტკვარ-არაქსის ენეოლითურ ჭურჭელთან¹. ამავე დროს აქ გვხვდება ისეთი მასალაც, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ ადრეული ხანის ძეგლებთან². დაბლაგომის აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ვრცელდება დასავლეთ საქართველოშიც³.

უკანასკნელ ხანებში მეტად დაწინაურებული კულტურა გამოვლინდა შიდა ქართლში. ქართლის ველს, როგორც ჩანს, ადრევე ითვისებენ მიწათმოქმედი ტომები. პირველად აქ ამ პერიოდის ძეგლი შეისწავლა პ. როფ. ს. მაკალათიამ სოფ. ტყვიავში, სადაც მან სამი ყორღანი გათხარა. ნაპოვნი მასალა შედარებით ღარიბი იყო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი. პ. როფ. ს. მაკალათიამ იმთავითვე სწორად განსაზღვრა ამ ყორღანების ხნოვნება⁴.

შემდეგ წლებში თანდათანობით გროვდება მასალები ამ რაიონიდან. 1944 წ. ს. ნადიმაშვილმა სტალინირის მახლობლად, ზღუდრის გვერდაზე შეაგროვა მეტად საყურადღებო მასალა⁵. 1946 წ. მცირე დახვერვების შედეგად ქარელის რაიონში, სოფ. დიდი ახალი-სოფლის მახლობლად გამოვლინდა ენეოლითური პერიოდის ფენა⁶.

სტალინირის ნაქარგორის გათხრების შედეგად გაიჩვენა, რომ ექვლე ფენა ენეოლითურ ხანას განეკუთვნებოდა. ეს ფენა, მართალია, არც თუ ისე ძლიერი იყო, მაგრამ მასალა უთუოდ საინტერესოა. ნაქარგორის მასალების საფუძველზე გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რომ შიდა ქართლის ენეოლითი ძლიერ უახლოვდება დასავლურ-ქართულ ენეოლითს. გარკვეულ მსგავსებას ხედავს იგი თრიალეთისა და სომხეთის მასალებთანაც⁷. გ. გობეჯიშვილი საგანგებოდ ჩერდება აგრეთვე წინა აზიასთან ურთიერთობის საკითხზე.

შიდა ქართლის ენეოლითის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო დროს გამოვლენილ ნამოსახლარებს. ამაჯან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სოფ. ურბნისში ს. ნადიმაშვილის მიერ ნაწილობრივ შესწავლილი ნამოსახლარი „ხიზანანთ გორა“⁸ და საქართველოს

¹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси, 1950, გვ. 139.

² Б. А. Куфтин, დასახლებული ნაშრომი, გვ. 139.

³ ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 27.

⁴ ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათავები, თბილისი, 1943, გვ. 50.

⁵ Б. А. Куфтин, К проблеме эпохи неолита Внутренней Картли и Юго-Осетии, გვ. 69.

⁶ ო. ჯაფარიძე და ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში. საქ. მეზ. მოამბე, ტ. 15 — III. თბილისი, 1948, გვ. 26.

⁷ გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაქარგორა, მიმოხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 243.

⁸ С. И. Надимашвили, Памятники эпохи неолита Внутренней Картли и Юго-Осетии (тезисы доклада).

მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი „ქვაცხელების“ ნამოსახლარი. ამ ნამოსახლარის გათხრის შედეგად გამოვლინდა გვიანენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის სოფელი¹. როგორც ჩანს, ამავე დროისა უნდა იყოს ს. ნადიმაშვილის მიერ გორის მახლობლად გათხრილი „გულდაბერტყის“ ნამოსახლარი². შიდა ქართლის ამ ნამოსახლარების საბოლოო შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის კვლევის საქმეში.

დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთ ადგილას იქნა დამოწმებული ანტიკვაკასიის ენეოლითური კულტურა. გამოქვაბულ „საგვარჯილეში“ ნ. ჰერძენიშვილმა სხვადასხვა პერიოდის ფენებს შორის გამოავლინა ენეოლითური ხანის ძეგლები³. აქ აღმოჩენილი კერამიკა მსგავსებას იჩენს შიდა ქართლის იმავე დროის ჭურჭელთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქ ენეოლითი ნეოლითური ფენის თავზე აღმოჩნდა და მოსალოდნელია მასალის შემდგომი დამუშავების შედეგად შესაძლებელი გახდეს ნეოლით-ენეოლითის ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

ამავე თვალსაზრისით მეტად საყურადღებო ჩანს გ. გობეჯიშვილის მიერ თეთრიწყაროს მახლობლად გათხრილი ნამოსახლარი⁴. როგორც მკვლევარი ფიქრობს, აქ საქმე უნდა გვექონდეს ენეოლითის საკმაოდ ადრინდელ ფენასთანაც, რომელშიც ჯერ კიდევ მძლავრად ჩანს ნეოლითური კულტურის ტრაჯიციები.

ენეოლითური კულტურის შესწავლისათვის საყურადღებო მასალას იძლევა ნახიქევანის მახლობლად გათხრილი ქიულ-თეფე. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ფენათა სტრატეგრაფია. გამოვლენილი ოთხი ფენიდან ზემოდან მესამე გვიანი ენეოლითის ხანისაა, ძირა მეოთხე კი გვიანენეოლითური-ადრე-ენეოლითური პერიოდისა⁵. ფენათა ამგვარი განლაგება ამიერკავკასიის ამ პერიოდის ძეგლებში ჯერ არსად არ შეინიშნებოდა. ამიტომ ამ ძეგლის საბოლოო შესწავლას გარკვეული სინათლის შეტანა შეუძლია ენეოლითის წარმოშობის საკითხის გარკვევაში.

¹ ლ. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი, ქვაცხელების არქეოლოგიური გათხრების ანგარიში 1954 — 1958 წწ. (ზღაპერი).

² С. И. Пидимашвили, Раскопки одного из древнейших поселений-городища на территории Внутренней Картли, Юго-Осетии, Триалети-Гудабертля-Цихегора в 1955 г. (მოხსენების თხზილება).

³ ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 29, თბილისი, 1953, გვ. 562.

⁴ გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი, 1959, გვ. 9.

⁵ О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевана в 1955 г., МПА. 67, М. — Д., 1959, გვ. 438.

О. А. Абибулаев, Археологические раскопки холма Кюль-тепе, Баку, 1959. (автореферат).

А. А. Нессен, Азербайджанская экспедиция в 1956 году, БСНПМК вып. 73, Москва, 1959, გვ. 79.

ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის ძეგლები გვხვდება აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც. პირველად ამ ტიპის ძეგლი აღმოაჩინა ა. კრუგლოვმა კაიაკენტში. მან იმთავითვე სწორად განსაზღვრა ამ ძეგლის ხასიათი და იგიოლითონის პირველი გამოჩენის ხანას მიაკუთვნა¹. მაგრამ მის მიერ მოცემული თარიღი, როგორც შემდეგში გაირკვა, ზუსტი არ იყო. როდესაც უკვე გამოისახა თავისებური სახე ამიერკავკასიის ენეოლითისა, ნათელი გახდა, რომ ეს ნამოსახლარი ამ კულტურის სფეროში ექცევა². რ. მუნჩაევი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს ნამოსახლარი, აღნიშნავს მის წსგაესებას თრიალეთის, შიდა ქართლის, სომხეთისა და სხვ. ენეოლითურ მასალებთან. იგი კაიაკენტის ნამოსახლარისა და ამიერკავკასიური მასალების ანალიზის საფუძველზე ცდილობს ენეოლითურ კულტურაში განვითარების საფეხურების დადგენას³. კაიაკენტის ნამოსახლარს იგი შენგავითის, შრეშ-ბლურის, თრიალეთისა და სხვ. მასალებთან ერთად მეორე ჯგუფში აქცევს და III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს. რ. მუნჩაევს ენეოლითური კულტურის დასაწყისი IV — III ათასწლეულების მიჯნამდე მიჰყავს. მესამე ჯგუფში იგი ძირითადად აერთიანებს ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებს: ხაჩანაგეთის ყორღანებს, თრიალეთის ყორღანების უძველეს ჯგუფს და სხვ. ამით, აღნიშნავს იგი, მთავრდება ენეოლითური კულტურა. ძნელია გავიზიაროთ რ. მუნჩაევის მიერ მოცემული ენეოლითის განვითარების საფეხურები; მაგრამ საეხებით დამაჯერებელი ჩანს მისი მოსაზრება ენეოლითის ადრეული თარიღის შესახებ⁴.

ჩრდილო კავკასიაში ამიერკავკასიური ენეოლითური კულტურის ნაშთები აღმოჩნდა აგრეთვე გროზნოს მხარეში, სოფ. ლუგოვოესთან⁵. აქ ნაპოვნი მასალა ბევრ საერთოს პოულობს ჩვენი ენეოლითის კულტურასთან, მაგრამ ამავე დროს კარგად ჩანს ჩრდილო კავკასიის ადრეული კულტურის ელემენტები. მთლად მართებული არ არის ე კრუპნოვის მიერ ლუგოვოეს აღმოჩენებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, თითქოს მტკვარ-არაქსის ენეოლითის პრობლემა ახლა უკვე უნდა გადაიზარდოს უფრო ფართო, მთელი კავკასიის პრობლემად⁶. ჩრდილო კავკასიაში ამ ადრეულ პერიოდში, ჩანს, თავისებური კულტურა ყოფილა გავრცელებული და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. მუნჩაევი, ლუგოვოესთან ამიერკავკასიის ენეოლითის გავრცელების ჩრდილო საზღვარი უნდა ყოფილიყო⁷.

¹ А. П. Круглов, Северо-восточный Кавказ во II—I тысячелетиях до н. э., МИА. 68, М. — Л., 1958, гл. 29.

² იქვე, გვ. 11.

³ Р. А. Мунчаев, Камкентское поселение и проблема Кавказского энеолита, СА, XXII, Москва, 1955, гл. 16.

⁴ იქვე, გვ. 14.

⁵ Е. И. Крупнов, Первые итоги изучения Восточного Предкавказья, СА, 2, Москва, 1957, гл. 155.

⁶ Е. И. Крупнов, Привашийская археологическая экспедиция, КСИИМК, вып. 55, Москва, 1954, гл. 100.

⁷ Р. А. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

უკანასკნელი ხანების აღმოჩენების შედეგად ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის გავრცელების საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გაირკვა, რომ ამ კულტურის სფეროში ექცევა აღმოსავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი და იგი ურმიის ტბამდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეოლოგ ბ. ბრაუნის მიერ ურმიის ტბის მახლობლად შესწავლილი ბორცვი გეთეფე. აქ ქვემოდან მესამე ფენა, რომელსაც იგი K პერიოდს უწოდებს, შეიცავდა სრულიად განსხვავებულ, სადა, გაპრიალებულ კერამიკულ ნაწარმს, რომელიც ძალიან ახლოს დგას ამიერკავკასიის ენეოლითის ქურქელთან ¹. ბ. ბრაუნი სტრატოგრაფიული მონაცემებისა და თიხის ქურქლის ფორმების ცვალებადობასთან დაკავშირებით K პერიოდში სამ ჰორიზონტს გამოყოფს. იგი აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში მოხატული კერამიკის ადგილს ადრევე იკავებს სადა, გაპრიალებული ნაწარმი და, მისი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ კერამიკის შემოსვლის აღსანიშნავად ვიხმართ ტერმინს — ადრე ბრინჯაოს ხანა ². ყველგან ეს სადა, გაპრიალებული კერამიკა ადგილობრივი ტიპისაა და ადვილად გამოირჩევა სხვა მხარის ქურქელისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არე, სადაც ჩნდება თავისებური სახეობა მარტივი კერამიკისა, აზერბაიჯან-საქართველოს რაიონი უნდა ყოფილიყო. იგი ფიქრობს, რომ შესაძლოა აქედან გავრცელდა რელიეფური ორნამენტის ნქონე მარტივი კერამიკის დამზადების ტრადიცია ³.

განსაკუთრებით კარგად ამიერკავკასიის ენეოლითური ტიპის კერამიკა გამოჩნდა აღმოსავლეთ ანატოლიაში. არზრუმის მახლობლად, კარაჯში მოპოვებული მასალის საკმაოდ დეტალური ანალიზი მოცემული აქვს ვ. ლამბს ⁴. იგი ჩერდება აგრეთვე გეთეფეს. კირბეტ-კერაკის და მტკვარ-არაქსის კულტურის განხილვაზე და სავანგებოდ უსვამს ხაზს მათ ახლო ნათესაობას. ვ. ლამბის აზრით, ვიდრე აღმოსავლეთ ანატოლიაში ან სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი არ იქნება უფრო ადრეული საფეხურები, ძნელია თქმა, თუ სად უნდა ყოფილიყო საერთო წინაპარი ⁵.

1956 წ. არქეოლოგმა ს. ბერნეიმ დაზვერვების დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში შეაგროვა სხვადასხვა პერიოდის მასალა. მან ხალკოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის მასალების შესწავლას ცალკე წერილი მიუძღვნა ⁶. ადრე-ბრინჯაოს ხანას იგი აკუთვნებს აღმოსავლეთ ანატოლიაში გამოვლენილ, ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელ კერამიკას. ს. ბერნეი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ეს კერამიკა ძლიერ დამახასიათებელია ამ მხარისათვის, მას შეიძლება ვუწოდოთ აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის კე-

¹ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

² იქვე, გვ. 34 და 246.

³ იქვე, გვ. 246.

⁴ W. Lamb. The Culture of North-East Anatolia and its Neighbours, Anatolian Studies, vol. IV, 1954, გვ. 23.

⁵ იქვე, გვ. 32.

⁶ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

რამიკა¹. როგორც გაირკვა, ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში III ათასწლეულში გავრცელებული ყოფილა ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა. ს. ბერნეიმ დაწვრილებით შეისწავლა ის ზონა, სადაც ამ ტიპის კერამიკა გვხვდება, დაადგინა მისი გავრცელების საზღვრები და შეეცადა კიდევ ამ კულტურის წარმოშობის რაიონის დადგენას. აღმოსავლეთ ანატოლიაში ეს კერამიკა ფართოდ იყო გავრცელებული მაღალმთიან ზოლში და, ს. ბერნეის აზრით, ამ ზონის მკვიდრნი შეიძლება ხურები ყოფილიყვნენ. შესაძლებელია რაიმე კავშირი იყო ამ კერამიკასა და ხურებს შორის².

ს. ბერნეი აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანაში სამ ქრონოლოგიურ პერიოდს გამოყოფს. ადრებრინჯაოს I პერიოდში, აღნიშნავს იგი, აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული კულტურა მეტად ერთგვაროვანი იყო³. ადრებრინჯაოს II პერიოდში კულტურის ეს ერთგვაროვნება თანდათანობით იშლება⁴. კულტურის ერთიანობის რღვევა საბოლოოდ მთავრდება ადრებრინჯაოს III პერიოდში, როდესაც ანატოლიაში კვლავ იჩენს თავს მონატული კერამიკა⁵. ს. ბერნეის ეს ნაშრომი უთუოდ მეტად საყურადღებოა, მაგრამ იგი, ჩანს, სათანადოდ არ იცნობს ამ პერიოდის ამიერკავკასიურ მასალებს და ამიტომაც ბევრი დებულება მისი ნაშრომისა, განსაკუთრებით ამ კულტურის წარმომავლობასთან დაკავშირებით, გადახედვას მოითხოვს.

კიდევ უფრო ნაკლებადაა სადღეისოდ შესწავლილი ჩვენში ბრინჯაოს კულტურის ადრეული პერიოდი. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ამ პერიოდის შესახებ ჯერ კიდევ მცირე მასალა მოგვეპოვება და ისიც, რაცა გვაქვს, უპირატესად სამარხებიდან მომდინარეობს. ამ დროის ნამოსახლარები ჯერჯერობით ჩვენში ნაკლებადაა შესწავლილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრებრინჯაოს ხანა ძირითადად ბოლოდროინდელი მასალებით გამოიკვეთა. ნიშანდობლივია, რომ ა. იესენი თავის ცნობილ ნაშრომში კავკასიის ძველი მეტალურგიის შესახებ, რომელიც მან გამოაქვეყნა 30-იანი წლების შუა ხანებში, აღნიშნავდა, რომ მისთვის ამიერკავკასიიდან ცნობილია I ეტაპის შესატყვისი მხოლოდ ორი ნივთი⁶. სავსებით სამართლიანად შენიშნა ბ. კუფტინმა, რომ კავკასიური მასალების შესწავლის დროს იქმნება აშკარა შეუსაბამობა: ჩრდილო კავკასიიდან კარგადაა წარმოდგენილი ადრეული პერიოდის კულტურები, იმ დროს, როდესაც ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოზე უფრო უწინარესი კულტურა ცნობილი არ იყო⁷. ბ. კუფტინმა ამიერკავკასიაში დატული მასალების შესწავლის შედეგად, ერთი მხრივ, და თრიალეთის არქეოლოგიური მასალების ანალიზის გზით, მე-

¹ С. А. Вигней, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

² იქვე, გვ. 166.

³ იქვე, გვ. 167.

⁴ იქვე, გვ. 168.

⁵ იქვე, გვ. 169.

⁶ А. А. Иоссен, *К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе*, Изв. ГАИМК, вып. 120. М.—Л., 1935, гв. 85.

⁷ Б. А. Купфтин, *Археологические раскопки в Тришлети*, гв. 5.

ორე მხრივ, შეძლო ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის გამოყოფა. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ყორღანებიდან მან გამოარჩია ერთი წყება ყორღანებისა, რომლებიც ადრეებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა¹. საქართველოს მუზეუმში დაცული მასალებიდან მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საჩხერის კოლექციას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე ე. თაყაიშვილმა საილენძის ხანით განსაზღვრა. ბ. კუფტინი შემდეგში წლების მანძილზე აწარმოებდა მუშაობას საჩხერის რაიონში და მეტად მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვა ბრინჯაოს კულტურის ადრეული პერიოდის შესასწავლად. მთელ რიგ ნაშრომებში მან განიხილა, ეს მასალა², მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ძირითადად კმაყოფილდებოდა ამ ძეგლების საერთო, ზოგადი დახასიათებით და უპირატესად განიხილავდა ცალკეულ წამყვან ტიპებს.

თრიალეთის, საჩხერის, შიდა ქართლისა და სხვ. მასალების შესწავლის საფუძველზე ბ. კუფტინი არაერთჯერ უსვამდა ხაზს იმას, რომ ბრინჯაოს კულტურა ადგილობრივი მაღალგანვითარებული ენეოლითური კულტურის საფუძველზეა აღმოცენებული. ადრეებრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლისას იგი ძირითადად ეძებდა იმ საერთო ნიშნებს, რითაც ეს კულტურა უკავშირდება, ერთი მხრივ, წინამავალ ენეოლითს, ხოლო, მეორე მხრივ კი, მომდევნო შუა ბრინჯაოს ხანის „ბრწყინვალე კულტურას“³.

აფხაზეთის დოლმენებში მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგად გაიკვია, რომ უძველესი ფენა აქ ბრინჯაოს კულტურის ადრეული პერიოდისა უნდა იყოს. ჯეო კიდევ მ. ივაშჩენკომ ეშერის ჯგუფის დოლმენები II ათასწლეულს მიაკუთვნა⁴. შემდეგში ბ. კუფტინმა აფხაზეთის დოლმენებში რანდენიმი ფენა გამოყო და ძირა ფენა ადრეებრინჯაოს ხანით დაათარილა⁵. უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის დოლმენების შესწავლამ დიდი სიახლე შეიტანა საერთოდ კავკასიის დოლმენური კულტურის კვლევის საქმეში. გაიკვია, რომ დოლმენებს ჩვენში აგებდნენ ბრინჯაოს კულტურის არა მხოლოდ ადრინდელ საფეხურზე, არამედ შუა ხანაშიაც⁶.

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 33-101.

² იქვე, 33-13.

Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, 33-7.

Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, 33-64.

³ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалинском районе, 33-4.

⁴ М. М. Иващенко, Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1945, 33-50.

⁵ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, 33-270.

Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры из данных археологии, 33-305.

⁶ ი. ჯაფარიძე, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ, შრომები, 77, თბილისი, 1959, 33-92.

საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბ. კუფტინის ნაშრომს „К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии“. ამ შრომაში ავტორი გამოყოფს და შეისწავლის ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი იარაღის ტიპებს: ცულს, შუბისმაგვარ იარაღს, ცულწერაქვას და სხვ. ამ მასალების საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კავკასია იმთავითვე წარმოადგენდა წინააზიური კულტურის სამყაროს ნაწილს. ბ. კუფტინის აზრით, არსებული მასალის განხილვის შედეგად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადრეულ საფეხურზე უფრო ახლო ურთიერთობა იყო შუმერთან და ელამთან, ვიდრე მცირე აზიასთან¹. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები უფრო იწას მოწმობენ, რომ ადრეულ პერიოდში მეტად ახლო ურთიერთობა ჩანს მცირე-აზიურ სამყაროსთან და სწორედ ამ გზით მყარდება ურთიერთობა სირია-პალესტინისა, შუმერისა და წინა აზიის სხვა ცენტრებთან.

ბოლო ხანებში ადრეული ბრინჯაოს პერიოდის ძეგლები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით მცირე მასალას ბრილის სამაროვნიდან². განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. გ. ნიორაძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ გათხრილი სამაროვნი ერთ-ერთი ყორღანის „კობრას გორა“.

საინტერესო მასალა ამ პერიოდისა აღმოჩნდა ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ ყორღანში. აღსანიშნავია აგრეთვე შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში გამოვლენილი სამაროვნები ძალიანში, ნულში, სტალინისაში³ და სხვ.

გარდა ამისა, ადრეული ბრინჯაოს ხანის ცალკეული ნივთები ნაპოვნია სხვადასხვა ადგილებში. დ. ქორიძემ თავის ერთ-ერთ საყურადღებო წერილში საგანგებოდ შეისწავლა ქვემო ქართლში შემთხვევით აღმოჩენილი ორი იარაღი: ცული და ცულწერაქვა. იგი დაწვრილებით განიხილავს ადრეული ტიპის ცულებს და აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო ამ ტიპის ცულების წარმოების ცენტრი⁴.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლახან თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაციის შესახებ თავისებური მოსაზრება გამოთქვა არქეოლოგმა ს. ბერნიემ. მისი აზრით, თრიალეთის ყორღანების ერთი ნაწილი აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს III პერიოდის სინქრონული უნდა იყოს⁵. ს. ბერნიე არ ეთანხმება თრიალეთის ყორღანების აქამდე არსებულ დათარიღებას და თავისებურ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას იძლე-

¹ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

² გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 53.

³ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 96.

⁴ Д. Л. Б е р н и е, Новые находки медных орудий в Вешо-Картли, С. 1, Москва, 1956, გვ. 134.

⁵ С. А. В у р д е у, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

ვა. ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ უძველესი ჯგუფის ყორღანებს იგი აქცევს VIII და XI ყორღანების შემდეგ და დაახლოებით 2050—1950 წწ. ათარიღებს¹. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ს. ბერნეის ცდა თრიალეთის ყორღანების პერიოდიზაციისა მართებული არ უნდა იყოს. ადრეული ჯგუფის გამოყოფა ძირითადად ხერხდება კერამიკის მიხედვით. ეს კერამიკა, როგორც ამას სანართლიანად აღნიშნავს ბ. კუფტინი, ჯერ კიდევ ბევრ საერთოს პოულობს ადგილობრივ ენეოლითის ქურჭელთან. ს. ბერნეი ვერ ხედავს ამ აშკარად ენეოლითიდან მომდინარე ტრადიციებს და თრიალეთის ყორღანებში, გარდა მოხატული ქურჭლისა, ყველაფერს ჩრდილოურ გავლენას მიაწერს².

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

² იქვე, გვ. 178.

ქელბაქების ნამოსახლარი და ამიერკავკასიის ენეოლითის
ზოგირითი საკითხი¹

სტალინის მახლობლად, სოფ. ოსპრისთან, ბორცვ ქელბაქებზე ბ. კუფტინმა 1944—1945 წწ. დაზვერების დროს აღმოაჩინა ენეოლითური ხანის ნასალა². ბორცვი სოფ. ოსპრისის დასაუღეთითაა, მისგან დაახლოებით 500 მ დაშორებით³, მისი სიმაღლეა 3 მ, სიგრძე — 58 მ, სივანე — 45 მ. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ბექთის გორას“ („ბექთე კლიმ“) უწოდებს. ენეოლითური ფენა აქ ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა. ირგვლივ ჩნდებოდა დაღეწილი ქურკლის ფრაგმენტები. ქვაყრილის ალების შემდეგ მთელ ფართობზე გამოჩნდა ენეოლითური ქურკელი, რომელიც ზოგ შემთხვევაში თითქმის დაუზიანებელი იყო. ბ. კუფტინის აზრით აქ თითქოს შეინიშნებოდა ერთგვარი წესრიგი ქურკლის განლაგებაში, რის გამოც, მისი ვარაუდით, შესაძლოა საქმე გვექონოდა საკულტო მოედანთან, სადაც გარკვეული წესრიგი უნდა ყოფილიყო დაცული და მისი არევა, დანგრევა რიტუალთ აკრძალული უნდა ყოფილიყო⁴. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მოედანზე აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი მრგვალი კერა (ტაბ. I, 2). ძირითადად ამ კერის ირგვლივ იყო განლაგებული თიხის ქურკელი (ტაბ. I, 1). კერასთან იღო ორი სამყურა ქილა, ხოლო ოდნავ მოშორებით პირქვე დამხობილი ცალყურა ტოლჩა. იქვე, მახლობლად აღმოჩნდა პატარა თიხატყეპნილი მოედანი, სადაც იპოვეს ადამიანის დამწვარი ძვლები და ფერფლი⁵. ამგვარივე მრგვალი კერის ფრაგმენტები აღმოჩნდა ცოტა უფრო მოშორებითაც.

ბორცვის სხვა ადგილებში, ქვაყრილის ქვეშ ალავ-ალავ ჩნდებოდა ენეოლითური ფენა, ძირითადად თიხის ქურკლის ფრაგმენტებით. ყურადღებას

¹ ქელბაქების ბორცვზე ბ. კუფტინი თხრობდა 1950 — 1951 წწ., 1954 წ. აქვე მუშაობდა საქ. მეცნ. აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია.

² Б. А. Куфтин, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Днахи, Прони, Квирилы и Сред. Риони в 1951 г. (рукопись).

³ В. П. Любня, Археологическая разведка в окрестностях города Сталини-пу, ИСИМК, вып. 60, Москва, 1955, гл. 20.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი.

⁵ იქვე.

იპყრობს რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლისა და მოზრდილი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, აგრეთვე დისკოიდალური ხუფების ნატეხები.

ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზედაპირიდან დაახლოებით 0,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ჩაშლილი კერის ნაშთი. კერას გვერდებზე, აქეთიქით მიდგმული ჰქონდა თითო რიყის ქვა. კერის ძირზე ბათქაშის ნატეხები ჩანდა, ზემოდან კი ნაპოვნი იყო შავი, ვარდისფერსარჩულიანი მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები. კერის მახლობლად აღმოჩნდა პაწია თიხის „სამარილე“. აქვე შეჯგუფული იყო სხვადასხვა ენეოლითური ჭურჭლის ნატეხები. ალაგ-ალაგ ჩნდებოდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

არაეკრამიკული მასალა ენეოლითურ ფენაში აქ მეტად მწირი იყო: კაყის ნამგლის პირი, დაკბილული, სამი ცალი (სურ. 18), ერთი ფრაგმენტი კაყისავე დანის პირისა (სურ. 18), კაყის სამკუთხა ისრის პირი (სურ. 19; 4) და ერთი ც მოგვრძო (4,5 სმ), საფხეკის მაგვარი კაყის იარაღი.

სამაგთეროდ მრავლად იყო წარმოდგენილი ეკრამიკა:

ბადია მოწითალო თიხისა, ორყურა, სიმაღლე — 19,3 სმ, დიამეტრი — 36,0 სმ (სურ. 1, 3; სურ. 2, 3; ტაბ. II, 4).

ბადია მოწითალო თიხისა, ორყურა, სიმაღლე — 13,0 სმ, დიამეტრი — 29,5 სმ (სურ. 3, 5; ტაბ. II, 5).

ბადია შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ნაკლული (სურ. 3, 8).

ჯამი მოწითალო თიხისა, პირთან სამკუთხა შვერილით, სიმაღლე — 9,0 სმ, დიამეტრი — 23,2 სმ (სურ. 3, 7; ტაბ. II, 6).

ქილა მოწითალო თიხისა, ცალყურა, ყურის ზემოთ პატარა ნახვრეტი. აქვს, სიმაღლე — 13,8 სმ (სურ. 3, 1; სურ. 2, 5; ტაბ. II, 3).

ქილა მოწითალო თიხისა, ვიწროყელიანი, სამყურა, სიმაღლე — 27,5 სმ (სურ. 4, 3; სურ. 2, 2; ტაბ. II, 2).

ქილა მოწითალო თიხისა, ვიწროყელიანი, სამყურა, სიმაღლე — 38,5 სმ (სურ. 1, 1; სურ. 2, 1; ტაბ. II, 1).

ქილა მოწითალო თიხისა, ვიწროყელიანი, ცალყურა, ნაკლული (სურ. 1, 2; სურ. 5, 2).

ქოთანი მოწითალო თიხისა, ფართოყელიანი, ცალყურა, სიმაღლე — 24,5 სმ (სურ. 5, 1).

ქოთანი მოწითალო თიხისა, ფართოყელიანი, ცალყურა, ნაკლული.

ქოთანი მოწითალო თიხისა, ფართოყელიანი, ნაკლული.

ტოლჩა მოწითალო თიხისა, ცალყურა, სიმაღლე — 10,5 სმ (სურ. 2, 6; სურ. 3, 2; ტაბ. II, 7).

ტოლჩა მოწითალო თიხის, ცალყურა, სიმაღლე — 9,3 სმ (სურ. 2, 4; სურ. 3, 3; ტაბ. II, 8).

„სამარილე“ თიხისა, სიმაღლე — 1,4 სმ, დიამეტრი — 3,0 სმ (სურ. 6, 6).

კერა თიხისა, მრგვალი, სიმაღლე — 22,5 სმ, დიამეტრი — 62,5 სმ (ტაბ. I, 2).

ხუფი მოწითალო თიხისა, მრგვალი, შუაში ყურით, დიამეტრი — 19,2 სმ.

ხუფი მოწითალო თიხისა, მრგვალი, შუაში ყურით, დიამეტრი — 25,0 სმ (სურ. 3, 4).

ხუფი მოწითალო თიხისა, მრგვალი, შუაში ყურით, დიამეტრი — 33,5 სმ *.

ქულბაქების ბორცვზე გარდა ენეოლითისა აღმოჩნდა მოგვიანო ხანის მასალაც. თითქმის მთელ ფართობზე ქვაყრილში ჩნდებოდა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები. აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე სამარხი. ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი იყო შავი თიხის ლანგარი, პატარა ჯამი და ცილინდრული ფორმის სასმისი. ეს კერამიკა დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებისათვის. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ერთი დანგრეული სამარხი. მიცვალებული, როგორც ჩანს, კვერზე უნდა ყოფილიყო დასაფლავებული. ჩონჩხის ძვლებთან აღმოჩნდა კვერის კოხები. კერამიკა ძლიერ დაღეწილი იყო. ეს სამარხი ზემოთ აღნიშნულ სამარხზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს. იგი, ჩანს, იმავე პერიოდისაა, რომელსაც მიეკუთვნება სამთავროში აღმოჩენილი კვერიანი ორმოსამარხი ¹.

1954 წ. არქეოლოგიური კამპანიის დროს ქულბაქების ბორცვზე აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის ერთი სამარხი. სამარხის ჩრდილო ნაწილში ქურქლების ქვეშ შემოწყობილი იყო რიყის ქვები. რიყის ქვები ჩანდა აგრეთვე სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიაც. აშკარა იყო, რომ სამარხის ორნოს ამოღების დროს ჩაეჭრათ ენეოლითური ფენა. ამას ისიც ადასტურებს, რომ აქვე ჩნდებოდა ენეოლითური ქურქლის ფრაგმენტებიც.

ქულბაქების მახლობლად კიდევ ორ ადგილას იყო დამოწმებული ენეოლითური კულტურის ნაშთები: ოსპრისის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „კულო ხომზე“ და ამავე ხევის მარცხენა ნაპირზე, ზღუდერზე. „კულო ხომი“ მდებარეობს ქულბაქების ქვემოთ, მისგან დაახლოებით 200—300 მ დაშორებით, სტალინირისკენ. აქ შედარებით მცირე ფართობი იქნა გათხრილი და არც ენეოლითური ფენა იყო მაინცდამაინც ძლიერი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტად საყურადღებო მასალა აღმოჩნდა. აქაც უპირატესად ჩნდება მოწითალო ფერის ენეოლითური კერამიკა, ქულბაქების ტიპისა. შედარებით მცირეა შავი და მოყავისფრო ქურქელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრგვალი კერის ფრაგმენტები (სურ. 15). როგორც ჩანს, აქ რამდენიმე სხვადასხვა ზომის კერა უნდა ყოფილიყო. საკმაოდ მრავალადაა ნაპოვნი მრგვალი კერის ქიმები — ზოგი მოზრდილი, ზოგიც შედარებით მომცრო. რამდენიმე ქიმს კარგად ეტყობა წითლად გაპრიალების კვალი. აღსანიშნავია ერთი შედარებით მოზრდილი ფრაგმენტი ამგვარი კერისა, რომლის გარეთა და შიგნითა პირი წითლადაა გაპრიალებული. წითლადაა გაპრიალებული აგრეთვე პაწია კერის ფრაგმენტიც. გარდა მრგვალი კერებისა, აქვე აღმოჩნდა ერთი თიხატყეპნილი კერა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ „კულო ხომზე“ ენეოლითური მასალა აღმოჩნდა შედარებით მცირე ფართობზე (6,0 მ X 3,20 მ; სიღრმე 1,30 მ).

* რამდენიმე ქურქელი ვერ აღსდგა. ამთვან აღსანიშნავია: შავი ფერის დიდი ზომის ქურქელი, ვარდისფერი სარჩულით; მოწითალო ფერის მოზრდილი ქურქლის ფრაგმენტები, რელიეფური ორნამენტით.

¹ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, მიცვალებულის კვრზე დასაფლავება სამთავროში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 1, თბილისი; 1951, გვ. 61.

აქ ნაპოვნია იყო რამდენიმე კერის ნაშთი. თიხატყეპნილი კერა აღმოჩნდა ფართობის დასავლეთ ნაწილში. ამ კერის ირგვლივ ჩნდებოდა ენეოლითური ჭურჭლის ნატეხები და საქონლის ძვლები. აქვე აღმოჩნდა რქისებრი სადგარი (სურ. 4,4) და ღორის გახვრეტილი ეშვი (სურ. 4,2). ფართობის ცენტრალურ ნაწილში იდგა მრგვალი კერა. აქაც შედარებით მეტი იყო ჭურჭლის ნატეხები და ცხოველთა ძვლები. კერიდან დაახლოებით 0,50 მ დაშორებით აღმოჩნდა მეორე ამგვარი კერის ნატეხი. აქვე იხინა თავი მრგვალი კერის რამდენიმე ნატეხმა და ქიმებმა. აქაც ბევრი იყო ენეოლითური ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხოველების ძვლები. აღსანიშნავია, რომ სრულიად არ იყო წარმოდგენილი არაკერამიკული მასალა. არც ქვისა და არც ძვლის იარაღი ან სხვა რაიმე ნივთი აქ არ აღმოჩენილა, გარდა ღორის ერთი გახვრეტილი ეშვისა.

ქულაქების მსგავსად, აქაც ჩნდებოდა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა ამ პერიოდის ორი სამარხი.

ადგილი ზღუდერი ეკერის ქ. სტალინისს. იგი იწყება გორისა და ოსპრისისაქენ მიმავალი გზების გასაყარზე და ოსპრისის ხევის მარცხენა ნაპირამდე აღწევს. ზოგი მას ისევე „კულო ხომს“ უწოდებს. აქ ჯერ კიდევ 1944 წ. თიხის კარიერთან, სადაც ოსპრისიდან მიმავალი გზა გორის გზას უერთდება, ს. ნალიმაშვილმა შეაგროვა მეტად საინტერესო ენეოლითური კერამიკა, ასიმეტრიული ისრის პირი და სხვ¹. ამავე ადგილას 1950 წ. ზაფხულში ვ. ლიუბინმა კიდევ იპოვა ენეოლითური მასალა: ნალისებრი სადგარის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხელსაჭეპავის ქვის ნატეხი². იმავე წლის შემოდგომაზე ზღუდერზე გათხრები ჩაატარა ბ. კუფტინმა.

ზღუდერზე ბ. კუფტინი გათხრებს აწარმოებდა ორ პუნქტში: ერთი თიხის კარიერთან, ზღუდრის გვერდაზე და მეორე ზღუდრის ბორცვზე, რომელიც მდებარეობდა თითქმის ოსპრისის ხევის პირას. ზღუდრის გვერდაზე მუშაობა ძირითადად წარმოებდა იმ ადგილას, სადაც ვ. ლიუბინმა ზემოაღნიშნული მასალა მოიპოვა. მაგრამ გათხრების შედეგად აქ არაფერი არ აღმოჩენილა, გარდა ერთი მეტად ჩაშლილი კერისა, რომლის ხნოვანების დადგენა ვერ ხერხდებოდა.

ზღუდრის ბორცვზე, პირიქით, აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა. აქ ჯერ კიდევ წინასწარი დათვალიერების დროს ს. ნალიმაშვილმა ზედაპირზე იპოვა ენეოლითური კერამიკა (სურ. 8) და კაეის ნამგლის პირის ჩასართი. აღნიშნული მასალა მანსტალინის მუზეუმს ჩააბარა. თბრის დროს გამოჩნდა მოზრდილი ქვებით ნაგები გრძელი კედლის ნაშთი, ქვებს შიგნით კი ნაცროვანი ფენა ენეოლითური კერამიკით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორცვზე აღმოჩენილი მრგვალი კერა. ამ კერიდან დაახლოებით 6,0 მ და-

¹ Б. А. К у ф т и н, К проблеме энеолита Внутренней Карпки и Юго-Осетии, საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, ტ. XIV — В, თბილისი, 1947, გვ. 69.

² В. П. Л ю б и н, Археологическая разведка в окрестностях города Сталин-ири, КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, გვ. 14.

შორებით გამოჩნდა კიდევ ამგვარივე მრავალი კერის ნაშთი. არავითარი კვალი საცხოვრებლისა აქ არ ყოფილა. ამიტომაც ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ საცხოვრებელი ალბათ მიწის ზემოთ იყო ხისაგან ნაგები.

სამწუხაროდ, ზღუდრის ბორცვზე აღმოჩენილი ენეოლითური კერამიკა ძლიერ დაღეწილია და მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება. ამიტომ ქურკლის ფორმების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. შედარებით მეტია შავი ფერის ქურკელი, ვარდისფერი სარჩულით. ნაკლებად, მაგრამ ნაინც გვხვდება შავსარჩულიანი ქურკელი. ხშირია მოწითალო ფერის კერამიკაც, თუმცა უფრო ნაკლებია, ვიდრე შავი. კერამიკა უმთავრესად სქელკედლიანია. გვხვდება როგორც მოზრდილი ქურკლის ფრაგმენტები, ისე შედარებით მომცრო ზომისაც. აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი დისკოიდალური სფუფისა. რამდენიმე ფრაგმენტს შერჩენილი აქვს ნახევარსფეროსებრი ყური, შუაში მკვეთრი წიბურით. აღსანიშნავია ერთი მოყავისფრო ფერის ფრაგმენტი პატარა ქურკლისა, რომელსაც მუცლის ზემო ნაწილზე ეტყობა ამოღარული ორნამენტის კვალი. ალაგ-ალაგ ჩნდებოდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

გარდა კერამიკისა აქ აღმოჩნდა მხოლოდ ორი ქვის იარაღი: ქვიშაქვის რომბისებრი მოყვანილობის ტულის ნატეხი (სურ. 20, 5; ტაბ. VIII, 2) და კაეის ქვის დანა (ტაბ. VIII, 3).

აქაც, წსვავსად ქულბაქებისა, აღმოჩნდა უფრო მოგვიანო ხანის სანარხები. ერთი სანარხი ჩაშვებული იყო ბორცვის ცენტრში. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულს ფეხის ძვლები აკლდა იმის გამო, რომ ორმოს სამხრეთი ნაწილი ჩანგრეული იყო. ჩონჩხის ძვლების უკან აღმოჩნდა თხის თავი და ფეხის ძვლები. სანარხში რამდენიმე ქურკელი იყო. ორი მათგანი იდგა სანარხის დასავლეთ კუთხეში, სადაც, ჩანს, მათთვის სპეციალური ჩაღრმავებული ადგილი ყოფილა გაკეთებული (ტაბ. VIII, 8). ქურკლებს შორის აღმოჩნდა პატარა სამკუთხა დანა (ტაბ. VIII, 6).

როგორც აღვნიშნეთ, ქულბაქები, „კულო-ხომი“, ზღუდრის გვერდა და ზღუდრის ბორცვი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს წდებარეობენ. ამათგან ქულბაქების ბორცვი ყველაზე უფრო შემალლებულ ადგილასაა, ყოსაბიანთ მთის თავზე, რომელიც ოსპრისის ხევის პირიდან დაახლოებით 200 — 250 მ სიმაღლეზე მდებარეობს. „კულო-ხომი“ ამ მთის ძირასაა, ოსპრისის ხევის მარცხენა ნაპირას. ზღუდრის ბორცვი ზედ „კულო-ხომის“ პირდაპირაა, ოსპრისის ხევის მარცხენა ნაპირას. იგი ოდნავ შემალლებულ ბორცვს წარმოადგენს. დაახლოებით 200 მ დაშორებით მისგან მდებარეობს ზღუდრის გვერდა. რა ცავ-ხირობი უნდა ყოფილიყო ეს პუნქტები ერთმანეთთან და რა ხასიათის ძეგლებთან ვაქვს საქმე, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. საფიქრებელია, რომ ამათგან ქულბაქების ბორცვი ძირითად სამოსახლო ადგილს წარმოადგენდა და მის მახლობლად, ვაკეზე მდებარე ადგილები უშუალოდ მასთან იყო დაკავშირებული. ამას თითქოს ისიც უქერს მხარს, რომ ქულბაქების ბორცვზე შედარებით უფრო ძლიერი კულტურული ფენა აღმოჩნდა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ძეგლების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შემუშავებას ხელს უშლის აღმოჩენილი მასალის სიმცირე და, რაც მთავარია, მეტისმეტი

ცალმხრიობა. კულტურული ფენა ამ ადგილებში საერთოდ მეტად სუსტი იყო, ჩანს, მოსახლეობა აქ არც თუ ისე დიდხანს მჯდარა.

აღსანიშნავია, რომ არსად არ აღმოჩენილა საცხოვრებლის კვალი. შესაძლოა მეტ-ნაკლებად მყარი საცხოვრებელი სახლები იმ ტიპისა, როგორც სადღესოდ უკვე კარგადაა ცნობილი შიდა ქართლის ენეოლითური ხანის ნასოფლარებიდან (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ხიზანანთგორა), აქ არც აუგიათ იმის გამო, რომ მოსახლეობა ამ ადგილას ხანგრძლივად არ მჯდარა და ამიტომ საამისო საჭიროებაც ნაკლები იყო. შესაძლოა საცხოვრებელი მიწის ზემოთ იყო ნაგები ხისაგან. საფიქრებელია, რომ აქ მიგნებული მოედნები ამგვარი ცალკეული სახლების ნაშთი იყოს. როგორც ჩანს, ეს სახლები სხვადასხვა ზომისა ყოფილა. თვითეული საცხოვრებლის ცენტრში აქაც ალბათ მრგვალი კერა იდგა. ბ. კუფტინმა ზღუდრის ბორცვზე ორი მრგვალი თიხის კერა აღმოაჩინა ერთმანეთისაგან დაახლოებით 6,0 მ დაშორებით. საფიქრებელია აქ ერთმანეთის გვერდით ორი შედარებით პატარა ზომის საცხოვრებელი იყო. უფრო მოზრდილი სახლის ნაშთს მიაგნეს „ჟულო-ხომზე“, სადაც 6,0 მ x 3,0 მ ფართობზე აღმოჩნდა ძირითადად ენეოლითური მასალა. ამ ფართობის ცენტრალურ ნაწილში იდგა მომცრო ზომის მრგვალი კერა. მისგან დაახლოებით 0,5 მ დაშორებით აღმოჩნდა მეორე ამგვარი კერა. აქვე იპოვეს კიდევ პატარა ზომის მრგვალი კერის ნატეხები. გარდა ამისა, დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა თიხატკეპნილი კერის ნაშთი. მთელ ფართობზე ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, საქონლის ძვლები და სხვ. „ჟულო-ხომის“ მთელ მოედანზე, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია, მთის ძირიდან ვიდრე ოსპრისის ხევის ნაპირამდე, ენეოლითური ხანის ფენა აღარ აღმოჩენილა.

ქულბაქების ბორცვის თიხატკეპნილ მოედანზე, სადაც ყველაზე ქარბად ჩნდებოდა მასალა, ნაპოვია მოზრდილი მრგვალი კერა. ამგვარივე კერის ფრაგმენტები ნაპოვნი იყო ცოტა მოშორებითაც. შესაძლოა ეს თიხატკეპნილი მოედანი, რომელსაც არც თუ ისე დიდი ფართობი ეკავა, საცხოვრებლის იატაკი იყო. კერის ირგვლივ ჭურჭლები ელაგა. ბ. კუფტინი, იმის გამო, რომ ამ მოედანზე გარკვეული წესრიგი ჩანდა, მას საკულტო მოედნად თვლიდა და საერთოდ ქულბაქების ბორცვს საკულტო ბორცვად მიიჩნევდა. მაგრამ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება მთლად დამაჯერებელი არ ჩანს. პატარა თიხატკეპნილ მოედანზე აღმოჩნდა ადამიანის დამწვარი ძვლები და ფერფლი. სავარაუდებელია ჭირისუფლებს თავისი მიცვალებული შვი საცხოვრებელში ან მის მახლობლად დაემარხათ, შემდეგ კი საცხოვრებელი სავანგებოდ წესრიგში მოყვანილი მიეტოვებინათ. ჩვენში ეს წესი ენეოლითის ხანაში უცხო არ უნდა ყოფილიყო. ბ. კუფტინმა ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოაჩინა სამარხები, რომლებიც უშუალოდ საცხოვრებლების მახლობლად მდებარეობდნენ¹. საცხოვრებელთან მიცვალებუ-

¹ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкипском районе, Тбилиси, 1948, зб. 42.

ლის დასაფლავების ფაქტი დამოწმებული იყო ქიულ-თეფეს პირველ ფენაში¹. დასაფლავების ეს წესი, როგორც ცნობილია, უკვე საკმაოდ აღრიხ-დელი პერიოდისაა გავრცელებული² და შემდეგშიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება³.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ენეოლითური ხანის საცხოვრებლის შესახებ. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩვენში შენობას მიწის ზენოთ აგებდნენ; მიწურები და ნახევარმიწურები ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელი არ იყო. ზომიერი ჰავის პირობებში ამგვარი საცხოვრებლის გამოყენების საჭიროება მინცადამინც არ უნდა ყოფილიყო. სამხრეთის ქვეყნებში, ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში აღრიხდნენ ვითარდება მიწისზედა ნაგებობები⁴.

ჩვენში უკვე ენეოლითის ხანისათვის გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ტიპის შენობები: სწორკუთხა, მრგვალი, მოგრძო კუთხებმომრგვალებული, ოვალური. სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ ხე, ქვა, თიხა. თრიალეთში პეშთაშენის ენეოლითურ ნაშთსახლარზე აღმოჩნდა ოთხკუთხა ნაგებობის ქვის საფუძველი⁵. სოჟ. ოზნში ამავე პერიოდის ფენაში ნაპოვნი იყო ქვის ნახევარწრიული წყობა დაახლოებით 7,5 მ დიამეტრისა. ზ. კუფტინი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს იყო მრგვალი შენობის საფუძვლის ნაწილი, რომელზედაც ძველი მეგრული ფაცხის მსგავსი რალაც ხის ნაგებობა ჰქონდათ ამოყვანილი⁶. აქაც, ქულბაქების მსგავსად, არ ჩანდა ხანგრძლივი დასახლების კვალი და ანტირომაკაა აღბათ, რომ თითო-ოროლა საცხოვრებლის ნაშთი გვხვდება და ისიც მეტად ცუდად დაცული, ეგებ იმის გამო, რომ თვით საცხოვრებელიც არ იყო მინცადამინც მყარი. აღსანიშნავია გ. გობეჯიშვილის მიერ ახლახან თეთრიწყაროს მახლობლად შესწავლილი ენეოლითური ხანის ნასოფლარი⁷. იგი ქულბაქების და თრიალეთის ნაშთსახლარებთან შედარებით გან-

¹ О. А. Абнбулаев, Первые итоги раскопок Кюль-тепе, Труды Музея истории Азербайджана, т. II, Баку, 1957, гл. 77.

² J. Garstang, L'art neolithique a Jericho, Syria, т. XVI, vol. 4, Paris, 1935, гл. 366.

М. Е. Фосс, Погребение на стоянке Кубенно, Труды ГИМ, вып. VIII, 1933, гл. 80.

С. И. Бибиков, Раннетрипольское поселение Лука-Врублевская на Днестре, МИА, 38, М.—Л., 1953, гл. 196.

³ თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, თბუ შრომები, 63, თბილისი, 1956, გვ. 186.

⁴ С. И. Бибиков, Раннетрипольское поселение Лука-Врублевская на Днестре, МИА, 38, М.—Л., 1953, гл. 74.

⁵ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триплетти, Тбилиси, 1941, гл. 108.

⁶ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948, гл. 27.

⁷ გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე არქეოლოგიური კვლევები და შედეგების აღრიხვა, თბილისი, 1959, გვ. 9.

სხვაეებულ სურათს იძლევა. აქ საქმე უნდა გვექონდეს ენეოლითურ სოფელთან, სადაც საკმაოდ ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს. წაგრძელებული ქვაყრილები ნაგებობის ნაშთები უნდა იყოს. ერთ-ერთი ამგვარი ნაგებობა, როგორც ფიქრობენ, სახელოსნოს ნაშთი უნდა ყოფილიყო. მიკვლეულია აგრეთვე სწორკუთხა ფორმის საცხოვრებლის ქვის საფუძველი (სიგრძე — 9 მ; სიგანე — 4 მ). ამ ნაგებობის მახლობლად აღმოჩნდა მრგვალი შენობის ქვის საბირკველი (დიამეტრი 6,0 მ). რისგან იყო აგებული თვით შენობა, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ, გარდა ქვის საფუძვლისა, არაფერი შემორჩენილა. ეგებ ის გარემოება, რომ აქ არ შეიმჩნეოდა არავითარი კვალი ალიზისა ან ბათქაშისა, იმაზე მიუთითებდეს, რომ ქვის საფუძველზე ხის შენობა იდგა. თეთრიწყაროა ნასოფლარზე სწორკუთხა და მრგვალი შენობები ცალ-ცალკე იდგნენ და ერთმანეთს არ უკავშირდებოდნენ, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ შენგავითის ნამოსახლარზე მიკვლეული შენობებისაგან, სადაც მრგვალ შენობებს მიდგმული ჰქონდა სწორკუთხა ნაგებობა. შენობის კედლები აქ ამოყვანილი იყო ალიზით¹. მსგავსი შენობები ახლახან აღმოჩნდა ქიულ-თეფეზე². ამიერკავკასიაში ჩვეულებრივ გვხვდება ხოლმე მრგვალი და სწორკუთხა შენობები, რომლებიც ცალ-ცალკე დგას. მრგვალი შენობა, როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებული ტიპია საცხოვრებლისა ამიერკავკასიაში. მრგვალი შენობების ნაშთები დამოწმებულია ქიულ-თეფეს ნამოსახლარზე³, ელარში⁴ და გულდაბერტყაზე⁵. შენგავითის ნამოსახლარზე აღმოჩენილა შენობების განხილვისას უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ ისინი საკმაოდ ახლო დგანან წინა აზიაში, კერძოდ არაპიჩის ბორცვზე მიკვლეულ შენობებთან, ე. წ. თოლოსებთან⁶. არაპიჩაში ლ. მალოვანმა თელ-ჰალაფის პერიოდის ფენაში აღმოაჩინა მრგვალი ნაგებობის ნაშთები⁷. ადრეული დონე შეიცავდა მხოლოდ მრგვალ შენობებს (ТТ 9 — 10), უფრო მოგვიანო ფენაში კი გარდა იმისა, რომ თოლოსის დიამეტრმა იმატა, მას მიდგმული ჰქონდა ოთხკუთხა ნაგებობაც (ТТ 7 — 8)⁸. ქვის საფუძველზე ალიზის კედლები იყო ამოყვანილი. მრგვალი შენობების დიამეტრი მერყეობდა 4,0 — 10,0 მ-ის საზღვრებში. სწორკუთხა ნაგებობის სიგრძე სამხრეთის შენობაში უდრიადა

¹ Е. А. Байбуртян, Культурный очаг из раскопок Шенгавитского поселения в 1936 — 1937 гг., ВДН, 4(5), Москва, 1938, გვ. 25.

² О. А. Абабулаев, Археологические раскопки холма Кюль-тэле, Баку, 1959, автореферат, გვ. 6.

³ А. А. Иессен, Азербайджанская экспедиция в 1956 году, КСНИМК, вып. 78, Москва, 1959, გვ. 80, სურ. 28, 1.

⁴ Б. А. Куфтия, Урарский „козумбарий“ у подножья Арарата..., გვ. 101.

⁵ С. И. Надимашвили, Раскопки одного из древнейших поселений-городов на территории Внутренней Картли, Юго-Осетии, Триалети, Гудабертка-Цихегора в 1956 г. (თხზიები).

⁶ Б. А. Куфтия, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, СА, XI, М. — Л., 1949, გვ. 173.

⁷ М. Е. L. Mallowan, Excavations at Tell Arpachiyah, 1938, Iraq, vol. II, Part I, 1935, გვ. 25, სურ. 13.

⁸ იქვე, გვ. 25.

16,5 მ, ჩრდილოეთისაში 19,0 მ¹. ლ. მალოვანი არპაჩიას თოლოსების რეკონსტრუქციის რამდენიმე ვარიანტს იძლევა. მრგვალ შენობას შეიძლება ჰქონოდა გუმბათოვანი გადახურვა ან წვეტიანი კონუსისებრი დაბოლოება². რაც შეეხება სწორკუთხა შენობების გადახურვის საკითხს, აქ იგი რამდენიმე შესაძლებლობას უშვებს: ორფერდა სახურავი, ბანური გადახურვა ანდა შესაძლოა შენობა სრულიად გადაუხურავი იყო. თუ დაეუშვებთ, აღნიშნავს მკვლევარი, რომ ოთხკუთხა ნაგებობა გადაუხურავი იყო. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ეზო ანდა შესასვლელი იქნებოდა. მაგრამ ბოლო კედლის არსებობა თითქოს ამ მოსაზრებას შეუძლებელს ხდის. მალოვანი უფრო იმ მოსაზრებას იცავს, რომ ამ ნაგებობებს, ორფერდა გადახურვა უნდა ჰქონოდათ, ელ-ობეიდში აღმოჩენილი თელ-ჰალაფის პერიოდის სახლის მოდელის წსგავსად³. შენგავითის შენობების რეკონსტრუქციის ცდა ჰქონდა ე. ბაიბურთიანს. მისი აზრით მრგვალ შენობას კონუსისებრი გადახურვა უნდა ჰქონოდა, სწორკუთხას კი ბანური⁴.

როგორც ცნობილია, შენობის უადრეს ტიპად მიიჩნევენ მრგვალ-ან ოვალურ ფორმას; შედარებით გვიანდელად კი — ოთხკუთხას⁵. თუმცა ზოგი ავტორი ორივე ფორმას ერთნაირად ძველად თვლის და ვარაუდობს, რომ ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ ადრეული პერიოდისა⁶. წინა აზიაში საკმაოდ ადრე გვხვდება მრგვალი და ოთხკუთხა შენობები⁷. თელილატ მასლის უძველეს ფენაში უკვე გვხვდება ოთხკუთხოვანი შენობა⁸. თედე გატრას აღრიხდელ ფენებში (XX) ჩანს მრგვალი შენობის ნაშთები⁹. იერიხოში ნეოლითის პერიოდში გვხვდება ოთხკუთხა შენობები¹⁰. საკმაოდ ადრე ჩანს აქ აგრეთვე მრგვალი გეგმის ნაგებობაც¹¹. ი. გარსტანგი აღნიშნავს,

¹ M. E. L. Mallowan, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

² იქვე, გვ. 28, სურ. 7 — 12.

A. Parrot. *Archeologie mesopotamienne, Technique et problemes*, Paris, 1953, გვ. 153, სურ. 41.

³ M. E. L. Mallowan, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁴ Б. Б. Пиотровский. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

⁵ *Всеобщая история архитектуры*, Москва, 1958, გვ. 15.

⁶ F. Schlette, *Die Ältesten Haus — und Siedlungsformen des Menschen*, Ethnographisch — Archeologische Forschungen, 5, Berlin, 1958, გვ. 49, 139

M. Major, *Geschichte der Architektur*, Budapest, 1957, გვ. 17.

⁷ იქვე, გვ. 81.

K. Bittel, *Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasiens*, Tübingen, 1945, გვ. 21.

⁸ A. Mallon, *Les Fouilles de Teleilat Chassul, Syria*, т. XIII, vol. 4, 1932, გვ. 336.

⁹ V. Christian, *Altertumskunde des Zweistromlandes*, Leipzig, 1940, გვ. 99.

Г. Чапаев, *Древнейший Восток в свете новых раскопок*, Москва, 1956, გვ. 177.

¹⁰ J. Garstang, დასახელებული ნაშრომი, გვ. 354.

K. Kenyon, *Earliest Jericho, Antiquity*, vol. XXXII, № 129, 1959, გვ. 5.

A. Jirku, *Die Ausgrabungen in Palästina und Syrien*, Halle, 1956, გვ. 32,

ტაბ. 6, 2.

¹¹ K. Kenyon, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

რომ ძველი ბრინჯაოს ხანის დამდეგს მრგვალი შენობის გარდა სხვა ნაგებობები არ გვხვდება. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ შესაძლოა ისინი იმიგრანტების სახლებს წარმოადგენდნენ¹. უკანასკნელ ხანებში კუნძულ კვიპროსზე გამოვლენილი იყო ბრინჯაოს ხანის უწინარესი კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელი ჩანს მრგვალი ტიპის საცხოვრებელი; ამათში ორი ტიპი განიორჩევა. პირველი, რომელიც დამახასიათებელია ქვედა ფენებისათვის, პირდაპირ მიწის ზედაპირზე იგებოდა. მრგვალი შენობის მეორე ტიპს, რომელიც მეხუთე ფენის ზემოთ გვხვდება, უკვე აქვს ქვის საფუძველი². მაგრამ შემდეგში, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ოთხკუთხა შენობა³.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არაჩაიას თოლოსების დანიშნულება ნოლად გარკვეული არ არის⁴. მალოვანმა თოლოსების შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა წამოაყენა, მაგრამ უფრო იმ აზრისაა, რომ ისინი რაღაც წმინდა ადგილს წარმოადგენდნენ, სადაც დედის კულტს პირველი ადგილი ეკავა⁵. ზოგიერთი მკვლევარი მათ შესაწირავ ადგილებად მიიჩნევს (Opferstätte)⁶. ა. პაროტი თოლოსებს აგრეთვე რიტუალურ დანიშნულებას მიაწერს⁷. მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ადრეულ პერიოდში, ვიდრე ტაძრების აგებას დაიწყებდნენ, არსებობდა მსხვერპლის შესაწირი ადგილები ე. წ. Opferstätten — მრგვალი ფორმის ნაგებობა⁸. ფ. შლეტე წინა აზრის ადრეული შენობების განხილვისას აღნიშნავს, რომ აქ ძირითადად ოთხკუთხა შენობებია გავრცელებული, მრგვალი საცხოვრებელი კი პრიმიტიული შენობაა, რომლის ნარჩენებიც ძლივსაა არის შემორჩენილი, უფრო გვიან კი ისინი უბირატესად საკულტო შენობებად გვევლინებიან⁹. აღსანიშნავია გ. ჩაილდის მოსაზრება თოლოსების შესახებ. იგი ფიქრობს, რომ თეორიულად დასაშვებია მათი საკუქნაოდ ან ბელლად გამოყენება¹⁰. ამასთან დაკავშირებოთ საინტერესოა მერსინში პროტო-ხალკოლითურ პერიოდში აღმოჩენილი მრგვალი ნაგებობები¹¹. ე. გარსტანგი მათ არაჩაიას თოლოსებს ამსგავსებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ისინი დიამეტრით უფრო პატარები იყვნენ (მაქსი-

¹ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

² P. Dikaios, La civilisation neolithique dans l'île de Chypre, Syria, т. XVII, vol. 4. Paris, 1938, გვ. 358.

³ A. Jirku, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

⁴ V. Müller, Types of Mesopotamian Houses, Journal American Oriental Society, vol 60, June, 1940, Philadelphia, გვ. 161.

⁵ Всеобщая история архитектуры, გვ. 15.

⁶ M. E. L. Mallowan, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁷ A. Parrot, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

⁸ იქვე.

⁹ D. M. Buren, Places of Sacrifice, Iraq, vol. XIV., Part 2, 1952, გვ. 76.

¹⁰ F. Schlette, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, 144.

¹¹ J. Чалхид, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

¹² Explorations in Cilicia, Annals of Archaeology and Anthropology, vol. XXVI, № 1—2, Liverpool, 1939, გვ. 59.

J. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, გვ. 47.

მუმი 3 მ)¹, მიიჩნევენ რა წინა აზიის, კერძოდ კი არაპაჩიას მრგვალ შენობებს კრეტა-მიკენის კულტურაში გავრცელებული თოლოსების პროტოტიპად², გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აქაც ეგებ სამარხებთან გვეპოვდეს საქმე³. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში მრგვალი ფორმის საცხოვრებელი, ჩანს, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. საბერძნეთში, სეკლოში და ორბომენში მრგვალი შენობები ჩნდება უკვე საკმაოდ ადრინდელ პერიოდში⁴. ვხვდებით ამ ტიპის ნაგებობებს აგრეთვე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში⁵. ადრე მინოსის II პერიოდში კრეტაზე ჩნდება მრგვალი ფორმის სამარხები, ე. წ. თოლოსები, რომლებიც შემდეგში მიკენშიაც განავრცობენ არსებობას⁶. ამრიგად, წინააზიური თოლოსების შესახებ ერთი გარკვეული მოსაზრება სადღეისოდ არ არსებობს. უჯრჯერობით მართლაც ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა მათ შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უფრო მართებული იქნებოდა, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს, ისინი მიკენიანა უძველესი მრგვალი საცხოვრებლის ნაშთებად⁷. ი. გარსტანგი ერთბაშად მრგვალი შენობების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი მეტად დიდი ზომისანი არიან იმისათვის, რომ მარცვლულის შესანახად გამოიყენებინათ. იგი მათ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მრგვალ სახლებად მიიჩნევს⁸. შესაძლოა ზოგი მათგანი მართლაც საკულტო ხასიათის თუ სხვა რამე დანიშნულების ნაგებობა იყოს, მაგრამ ძირითადად მაინც საფიქრებელია, რომ არაპაჩიას ტიპის თოლოსები უძველესი საცხოვრებლის ნაშთებია. ამავე ხასიათისა უნდა იყოს ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელი მრგვალი შენობები. შენგავითის ნამოსახლარზე აღმოჩენილი შენობები, ჩანს, ანკარად საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. მრგვალი შენობის ცენტრში თიხის კერა იდგა. აქ დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი თიხის კურკლის ნატეხები, ხელსაფეკვის ქვები, ქვისა და ლითონის ნივთები, ქვის ყალიბის ნატეხი და სხვ. გარდა ამისა, აქვე მრავლად აღმოჩნდა ცხოველების ძვლები და მარცვლულის ნაშთები⁹. თითოეული შენობის შიგნით საკმაოდ ინტენსიური ცხოვ-

¹ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

² A. Parrot, *Archeologie mesopotamienne*, Les Etapes, Paris, 1946, გვ. 420.

³ A. Parrot, *Archeologie mesopotamienne*, Technique et problemes, Paris, 1953, გვ. 155.

⁴ A. J. Wace and M. S. Thompson, *Prehistoric Thessaly*, Cambridge, 1912, გვ. 74, 195.

Г. Чайлд, *У истоков европейской цивилизации*, Москва, 1952, гв. 93.

Г. Кларк, *Донсторическая Европа*, Москва, 1953, гв. 143.

⁵ M. Cavalier, *Civilisations prehistoriques des Iles Eoliennes et du terri-toire de Millazo*, *Revue Archeologique*, 6 Serie, T. L. Octobre — Decembre, 1957, гв. 123 — 147.

F. Schlette, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

⁶ Д. Пендлберг, *Археология Крита*, Москва, 1950, гв. 79.

⁷ A. Jirku, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

M. Major, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

P. Dikaios, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

⁸ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

⁹ E. A. Бакбуртян, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

Б. Б. Пнотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

რეზის კვალი ჩანდა. დაახლოებით ამგვარ სურათს იძლევა აგრეთვე სხვა ნა-
მოსახლარებიც.

მეტად საყურადღებოა საკითხი თოლოსის ტიპის შენობების წარმომავ-
ლობის შესახებ. ჩვენთვის ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გა-
ნო, რომ იგი თავისთავად უკავშირდება საკითხს ამიერკავკასიის ენეოლითუ-
რი კულტურის უძველესი ფესვების შესახებ. თურქეთში აღმოჩენილი თოლო-
სის ტიპის ნაგებობების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მო-
საზრება, რომ მათი კავკასიური წარმომავლობა არ არის შეუძლებელი¹.
რამდენად სწორია ეს მოსაზრება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ
ინაში კი მართალი ჩანს ავტორი, რომ ნიტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ
დამაბასიათებელ ნიშნად სწორედ თოლოსის ტიპის ნაგებობების არსებობას
მიიჩნევს².

სამწუხაროდ, სადღეისოდ თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება მასალა
ჩვენში გავრცელებული უფრო ადრეული პერიოდის საცხოვრებლის ტიპის
დასახასიათებლად. ამიტონაც ძნელდება რაიმეს გარკვევით თქმა ენეოლითუ-
რი საცხოვრებლის შესახებ. ამ პერიოდში, ჩანს, უკვე არსებობს როგორც
მრგვალი, ისე ოთხკუთხა შენობები, და ჩვენშიც, ისევე როგორც წინა აზია-
ში³, ოთხკუთხა ნაგებობა სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელებას პოუ-
ლობს. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, განაგრძობს თუ არა
არსებობას მერმინდელ პერიოდში მრგვალი შენობა. ყოველ შემთხვევაში სა-
ამისოდ ჯერჯერობით მისალა არ მოგვეპოვება. რაც შეეხება ოთხკუთხა ნაგე-
ბობას, არც მის შესახებ შეგვიძლია გარკვევით რაიმეს თქმა იმის გამო,
რომ დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია ენეოლითის მომდევნო პე-
რიოდის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, თუმცა ზოგი რამ ცნობილია ამ
პერიოდის სამარხული ნაგებობების შესახებ, რაც გარკვეულ წარმოდგენას
იძლევა იმ დროის მშენებლობის ტექნიკაზე. სწორკუთხა ფორმის ხის შენობა
აღმოჩნდა სამგორის ყორღანში. ოთხკუთხა მოყვანილობისაა თოქქარის ყორ-
ღანში აღმოჩენილი ქვისაგან მშრალად ნაგები „დასაკრძალავი დარბაზები“⁴.
სწორკუთხაა აგრეთვე 1959 წ. დმანისის რაიონში შესწავლილი ყორღანების
„დასაკრძალავი დარბაზი“. სწორკუთხა მოყვანილობისაა ი. ჰუმელის მიერ
აღმოჩენილი ბრინჯაოს პერიოდის საცხოვრებელი ნაგებობები⁵.

¹ W. Lamb, *The Culture of North—East Anatolia and its Neighbours*,
Anatolian Studies. vol. IV, Ankara—London, 1954, გვ. 26.

² იქვე.

³ V. Müller. დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

Tahsin Özgüç, *Das prähistorische Haus beim Felsrelief von Fraktin, Anatolia*,
1956. т. I, Ankara, გვ. 67 (Pl. 1).

⁴ Б. А. К у ф т и н, *Археологические раскопки в Тризлети*, გვ. 79.

⁵ Б. А. К у ф т и н, *Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе*,
გვ. 14.

Всеобщая история архитектуры, გვ. 275.

⁶ И. И. Г у м м е л ь, *Раскопки поселения I на западе от Ханлар, КСИИМК*,
вып. XXIII, М.—Л., 1948, გვ. 70, სურ. 34.

И. И. Г у м м е л ь, *Из памятников материальной культуры древнего Азербайд-
жана*, ВДИ, I, Москва, 1940, გვ. 211.

ენეოლითური ხანის საცხოვრებლის და საერთოდ სოფლის შესწავლი-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ უკანასკნელ ხანებში შიდა ქარ-თლში შესწავლილი ნასოფლარები: ქვაცხელები და ხიზანანთ გორა ურბნის-თან, აგრეთვე გულდაბერტყა. ქვაცხელებზე გამოვლინდა რამდენიმე საცხოვ-რებლის ნაშთი. შენობა ნაგები იყო სარ-ლასტზე თიხით შეღესილი კედლე-ბით. გარდა ამისა, აქვე აღმოჩნდა შენობები, ნაგები ალიზის კვადრებით, სავსე-ბით ისეთივე ტიპისა, როგორც სარ-ლასტიანი სახლები. შენობა მოგრძო, კუთ-ხეებმომრგვალებული ფორმისა ყოფილა ¹. შესაძლოა აქაც დაეინახოთ სწორკუ-თხა და მრგვალი შენობების ერთგვარი შერწყმის ანარეკლი, თესალიის ოვალუ-რი საცხოვრებლების მსგავსად ². უნდა აღვნიშნოთ, რომ ოვალური მოყვანილო-ბის ნაგებობა იპოვა ს. ნადიმაშვილმა გულდაბერტყაზეც ³. ოვალური გეგმა შესაძ-ლოა ჰქონდა ბ. კუფტინის მიერ ოზნში მიკვლეული შენობის ნაშთს ⁴. გულდაბერ-ტყაზე აღმოჩნდა აგრეთვე ნაგებობა, რომელსაც ორივე მხრივ აბსიდები ჰქონ-და. ოვალური გეგმის სახლები და საცხოვრებლები აბსიდებით ცნობილი იყო თესალიის ნამოსახლარებზე. რინიში მიკვლეული ოვალური ტიპის შენობა სამ ნაწილად იყოფოდა, ცენტრალური ოთახი სწორკუთხა მოყვანილობისა იყო, დანარჩენი ორი კი მომრგვალებული ფორმისა ⁵. რაკხმანში ნაპოვნია მოგ-რძო ფორმის სახლის ნაშთი, რომელსაც ცალ გვერდზე მომრგვალებული, აბ-სიდისებრი კედელი ჰქონდა ⁶. მსგავსი; ნაგებობა აბსიდისებრი ცალი კედ-ლით გათხარა გ. გობეჯიშვილმა თეთრიწყაროს ენეოლითურ ნამოსახლარ-ზე, რომელსაც იგი პირობით „ფარებს“ უწოდებს. როგორც ჩანს, ამ ტიპის ნაგებობა ჩვენში მერმინდელ ხანაშიაც ყოფილა გავრცელებული. 1958 წ. წალკაში, ადგილ საბიდ-ახჩაზე შესწავლილი იყო შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-თი ყორღანი. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ქვებით მშრალად ნაგები „დასაკრძალავი დარბაზი“, რომლის ცალი კედელი რკალისებრი, აბსიდისებრი მოყვანილობისა იყო ⁷. კუთხეებმომრგვალებულია აგრეთვე დმა-ნისის რაიონში აღმოჩენილი ერთ-ერთი ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზი“.

ჯერჯერობით ძნელია დაბეჯითებით თქმა, მაგრამ შესაძლოა უკვე ენეო-ლითური ხანის მიწურულს და ეგებ უფრო კი ადრეულნი ბრინჯაოს ხანის დასაწყისში მრგვალი გეგმის სახლები თანდათანობით გამოდის ხმარებიდან და მის ნაცვლად ჩნდება კუთხეებმომრგვალებული და ოვალური საცხოვრე-

¹ ლ. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი, ქვაცხელების არქეოლოგიური გათხრე-ბის ანგარიში 1954 — 1959 წწ. (ხელნაწერი).

² Г. Кларк, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

³ С. И. Надимашвили, დასახ. ნაშრომი.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁵ A. Wace und M. Thompson, დასახ. ნაშრომი, გვ. 132, სურ. 80.

F. Schlette, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

⁶ იქვე, გვ. 37, სურ. 17.

⁷ თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957 — 1958 წლებში, თბილისი, 1960, გვ. 7.

ბელი. ქვაცხელების და გულაბერტყას ნამოსახლარები ენეოლითის გვიანდელი სტადიისა ან, უფრო სწორედ, ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი და ბრინჯაოს კულტურის საწყისი პერიოდისა უნდა იყოს.

მართალია, ქულბაქების ბორცვზე შედარებით უფრო მეტი მასალა აღმოჩნდა, მაგრამ აშკარად შეინიშნებოდა, რომ ადამიანს ამ ადგილას დიდხანს არ უცხოვრია. შესაძლოა, აქ მართლაც საქმე გვექონდეს რალაც დროებით სამოსახლო პუნქტთან. ქულბაქები და მის მახლობლად მიკვლეული ენეოლითური ძეგლები მდებარეობენ მთისძირა რაიონში, მთისა და ბარის შეყრის ადგილას. ქართლის ველი, ჩანს, მძლავრ სამიწათმოქმედო ბაზას წარმოადგენდა და ენეოლითურ ხანაში, როგორც ამას უკანასკნელი დროის სამუშაოები ადასტურებს, იგი მიწათმოქმედ ტომებს საკმაოდ აუთვისებიათ. მიწათმოქმედებისა და განსაკუთრებით კი მესაქონლეობის თანდათანობითი დაწინაურების განოჩენში, უკვე ენეოლითურ პერიოდში თანდათანობით იწყება მთისძირა და მთის რაიონების ათვისება თავდაპირველად საზოგადოლო სამოვრებისათვის. შესაძლოა, რომ ამ პერიოდში ქართლის ველის მთისძირა ზოლში იქმნება ერთგვარი დროებითი სამოსახლოები, რომლებიც წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს სამიწათმოქმედო ბაზასთან, სოფელთან. ეს სამოსახლოები სოფლისაგან ჯერ კიდევ მაინცადამაინც შორს არ უნდა ყოფილიყო.

ძვლოვანი მასალის განსაზღვრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქულბაქებზე ძირითადად გვხვდება მსხვილფეხა საქონლის, შინაური ხარის, ნაშთები. წვრილფეხა საქონელი გაცილებით ნაკლებადაა წარმოდგენილი¹. გარდა ამისა, ორი ძვალი აღმოჩნდა შინაური ძაღლისა. მაგრამ საერთოდ ძაღლის ძვლები ნამოსახლარზე იშვიათად გვხვდება იმის გამო, რომ ადამიანი მას საკვებად არ იყენებდა².

დასახელება	ძვლების რაოდენობა	%
1. მსხვილფეხა საქონელი .	55	80,89
2. წვრილფეხა საქონელი .	11	16,17
3. ძაღლი .	2	2,94

ენეოლითური ხანის ფენებში ჩვენში უპირატესად მსხვილფეხა საქონლის ძვლები გვხვდება. მოშინაურებულ ცხოველთა ძვლებიდან დიდუბის სადგომში აღმოჩნდა უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის ნაშთები³. დაბლაგომში და ოჩამჩირეში საქონლის ძვლებიდან ყველაზე მრავლად წარმოდგენილი იყო მსხვილფეხა საქონლის ძვლები⁴. ამგვარივე სურათი გვაქვს საგვარჯილე-

¹ მასალზე განსაზღვრა პროფ. ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

² Н. И. Бурчаке-Абрамович, Фауна пещеры Сагварджие в Западной Грузии (ბელნაწერი).

С. И. Бициков, Поселение Лука-Врубловцевая, МИА, 38, М.—Л., 1953, გვ. 184.

³ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 74.

⁴ Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. II, თბილისი, 1953, გვ. 127.

ში¹ და სხვ. სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ ენეოლითის პერიოდში ჩვენში ძირითადად ჯერ კიდევ მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. იმის გამო, რომ შინაური ცხოველების ძეგლები ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის, ძნელია გარკვევით თქმა, თუ რა ჯიშის მსხვილფეხა საქონელი იყო გავრცელებული ჩვენში ამ საფეხურზე. სავარაუდებელია, რომ ადრიდანვე ჰყავდათ მოშინაურებული როგორც ტანდიდი, ისე უფრო ტანმორჩილი ჯიშის ხარი². საგვარჯილეს ნეოლითურ და ენეოლითურ ფენებში, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის განსაზღვრით, გვხვდება ორივე ჯიშის ხარის ძეგლები. ტანდიდი ხარის ძეგლები ჭარბობს მორჩილი ჯიშის ნაშთებს³. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი აღნიშნავს, რომ საგვარჯილის ტანდიდი ხარის ძეგლების ზომები უახლოვდება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილ ხარის ძეგლებს, რომლებიც მან *Bos taurus primigenius*-ის ჯგუფს მიაწერა⁴. იგი ფიქრობს, რომ ამავე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე საგვარჯილის შინაური ხარიც. ბურჩაკ-აბრამოვიჩი თრიალეთის ყორღანებში ოსტეოლოგიური მასალების შესწავლისას აღნიშნავდა, რომ ტანდიდი შინაური საქონელი აბორიგენული წარმოშობისაა, თუმცა არ გამოირიცხავდა ამ ჯიშის წარმომავლობას წინა აზიიდან, სადაც *Bos taurus, primigenius* Ritt. საქმად აღრეული პერიოდიდანაა ცნობილი⁵. უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ ტანდიდი ჯიში ხარისა ჩვენში ადგილობრივი წარმოშობის უნდა იყოს და მას უკვე ნეოლითურ ფენებში ვხვდებით. მაგრამ, როგორც ჩანს, ტანმორჩილმა, რკამოკლე ტიპის ხარმა ჩვენში უფრო ფართო გავრცელება პოვა. ამ ჯიშის ხარის ნაშთებს ვხვდებით დასავლეთ საქართველოს ადრეული ხანის ნამოსახლარებზე⁶. იმავე ტიპისაა, ოღონდ რამდენადმე უფრო მოზრდილი, სამთაეროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხარი. თრიალეთშიც მოგვიანო ხანის სამარხებში ნაპოვნი ხარი აგრეთვე ტანმორჩილ ჯიშს მიეკუთვნება. მას მთელი რიგი მეცნიერები ქართული ხარის ძეგლ რასად მიიჩნევენ⁷. ქულბაქების მასალებიდან ჩანს, რომ აქ ძირითადად გვხვდება საშუალო ზომის და ტანმორჩილი ტიპის ხარის ნაშთები.

ამ დროს, ჩანს, ჩვენში ძროხეულს მხოლოდ ხორცეულ საკვებად კი არ ხმარობდნენ, არამედ მას უფრო ფართოდ და რაციონალურად იყენებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბლაკოში აღმოჩენილი სადღეებლის ფრაგმენტები, რაც უთუოდ იმას მოწმობს, რომ ენეოლითის ხანაში უკვე იცოდნენ

¹ Н. И. Бурчак - Абрамович, Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (ბელნაწერი).

² Н. К. Верещагин, Млекопитающие Кавказа, М. — Л., 1959, გვ. 381.

³ Н. И. Бурчак - Абрамович, დასახ. ნაშრომი.

⁴ Н. И. Бурчак - Абрамович, Древний крупный рогатый скот Триалетского хребта в Далакском районе. Труды Естественно-исторического Музея, вып. IX, Баку, 1954, გვ. 185.

⁵ Н. И. Бурчак - Абрамович, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

⁶ В. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

⁷ ნ. იოსელიანი, ქართული *Brahycephos*-ის კრანიოლოგიური გამოკვლევა, საქ. მეზ. მონაგვ., ტ. III, თბილისი, 1927, გვ. 42.

ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, გვ. 6.

რძის პროდუქტების მიღება¹. ქულბაქებზე მოპოვებული თიხის ქურქელი ძირითადად რძის წარმოებასთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო.

ხარი იმხანად მეურნეობაში მეტად დიდ როლს ასრულებდა. გარდა იმისა, რომ იგი ხორცის მომცემი საშუალება იყო, მას იყენებდნენ აგრეთვე როგორც გამწვევ ძალას, ხოლო ძროხა ამასთანავე რძის პროდუქტების მიმწოდებელიც იყო. ამიტომაცაა, რომ ამ პერიოდში ხარი უკვე კულტის ობიექტი ხდება. ხარის კულტანაა დაკავშირებული, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ენეოლითისათვის დამახასიათებელი რქიანი სადგარები.

მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად ენეოლითური ხანის ნამოსახლარის ფენებში გვხვდება წვრილფეხა საქონლის ძვლებიც, ოღონდ მათი ნაშთები შედარებით მცირეა. ქულბაქების ნამოსახლარზე შინაური ცხვრის თერთმეტი ძვალი აღმოჩნდა. არსებული მასალებით თითქოს ისე ჩანს, რომ ენეოლითში ჩვენში მეცხვარეობა ჯერ კიდევ შეზღუდულ როლს ასრულებდა. თუმცა ბ. პიოტროვსკი პირიქით ფიქრობს, რომ ამ პერიოდში დიდ განვითარებას აღწევს მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა². მ. რჩეულიშვილი, ბ. პიოტროვსკის მოსაზრებიდან გამომდინარე, დაასკვნის, რომ ამ პერიოდში მესაქონლეობის სხვა დარგებთან შედარებით მეცხვარეობა უფრო დაწინაურებული იყო³. მოგვიანებით გამოსულ თავის ნაშრომში ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში გვხვდება როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი და არა გვაქვს აოავითარი საფუძველი ერთ-ერთი მათგანი წამყვანად მივიჩნით⁴. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. ენეოლითის საფეხურზე მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი ჩანს მსხვილფეხა საქონელს ეკავა. წვრილფეხა საქონელს კი შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. შესაძლოა, ამ ადრეულ პერიოდში ჩვენში წვრილფეხა საქონლის მოშენებისათვის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარებისათვის, ჯერ კიდევ არ იყო სათანადო პირობები. მეცხვარეობის დაწინაურებას ეგებ ერთგვარად ხელს ისიც უშლიდა, რომ იმ დროს ჩვენში უპირატესად ტყიანი ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო; ტყე კი მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებისათვის ნაკლებად ხელსაყრელია⁵. მეურნეობის მატრიარქალური ხასიათი ალპური საძოვრების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. საძოვრები სოფლიდან მაინცადამაინც დაშორებული არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ საფიქრებელია, რომ უკვე ენეოლითური ხანის მიწურულისათვის მეცხვარეობა თანდათანობით გარკვეულ განვითარებას აღწევს. გვიან

¹ Н. В. Хоштариа, Древнее поселение в Даблагоми, Тбилиси, 1941 (ბელნაწერი), გვ. 193.

² Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армонии, СА, XI, М.—Л., 33—180.

³ М. Д. Рчеулишвили, К истории овцеводства Грузии, Тбилиси, 1951, 33—8.

⁴ Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXIII, Москва, 1955, 33—6.

⁵ Г. Кларк, Доисторическая Европа, Москва, 1953, 33—127.

ენეოლითური ხანის ნამოსახლარებიდან მოპოვებული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება წვრილფეხა საქონლის სულადობა. ელარის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ნაშთები¹. ქვაცხელების გვიან ენეოლითური-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე წვრილფეხა საქონლის ძვლები მართალია მცირედად, მაგრამ მაინც კარბობს მსხვილფეხა საქონლისას². სოფლის მახლობლად მდებარე საძოვრები თანდათანობით არასაკმარისი ხდება და ენეოლითური პერიოდის ბოლოსათვის თანდათანობით იწყება მალალმთიანი ალპიური საძოვრების ათვისება. ტომისა და გვარის წევრთა ერთ ნაწილს საქონელი გადაყავს საზაფხულო საძოვრებზე, მეორე ნაწილი კი სოფლად რჩება და ძირითადად ისევ მიწის დამუშავებას მისდევს. ეს საძოვრები სეზონურია, ამიტომ იქ იქმნება დროებითი ნამოსახლოები³. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც საქმიანობად მესაქონლეობას ირჩევს, ჯერ კიდევ ვერ წყვეტს კავშირს თავის სოფელთან და ზანთობით კვლავ შინ ბრუნდება. ამრიგად, საფუძველი ეყრება ე. წ. ნახევრად მონთაბარულ ნესაქონლეობას. ამ საფეხურზე, ჩანს, მეურნეობის ეს ორი ფორმა თანაარსებობს. მაგრამ შემდეგში კავშირი სამიწათმოქმედო ბაზებთან სულ უფრო და უფრო სუსტდება. მესაქონლეობის ახალმა ფორმამ გვარის წევრთა ერთი ნაწილი თითქმის მთლიანად მოსწყვიტა მიწათმოქმედებას⁴. მალალმთიანი რაიონების ათვისება ხელს უწყობდა მესაქონლეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას. ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან მეცხვარეობა მესაქონლეობის წამყვანი დარგ ხდება.

ქართლის ველის მთისძირა ზოლში სადღეისოდ მიკვლეულია ადგილები, სადაც ენეოლითური ხანის ძეგლებია დამოწმებული. ისინი უმთავრესად წარმოადგენენ შემალლებულ ადგილებს ე. წ. „გორებს“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთი ამ გორათაგანი სათანადოდ შესწავლილი არ არის და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით, რა ხასიათის ენეოლითური ძეგლია აქ. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა სტალინირის „ნაცარგორა“, რომლის პირველი, ძირაფენა ენეოლითური ხანისაა⁵. როგორც ჩანს, აქაც ეს ფენა არც თუ ისე ძლიერი იყო და მაინცადამაინც ხანგრძლივი დასახლების კვალი არც აქ ჩანდა.

დაახლოებით ამგვარივე სურათი უნდა გვქონდეს თრიალეთშიც, კერძოდ ბეშთაშენში. ბეშთაშენში ამ პერიოდის მასალა აღმოჩნდა ციკლოპური ციხე-სიმაგრის — ახილარის ტერიტორიაზე⁶. გარდა ამისა, ენეოლითური კერამიკა ნაპოვნი იყო ციხის მახლობლად მდებარე გვიანდელი ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე⁷. აქაც, ისევე როგორც ქულბაქებზე, ენეოლითური

¹ Б. Б. Пиотровский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 6.

² ლ. ლ მ ნ ტ ი, *ალ. ჯავახიშვილი*, *დასახ. ნაშრომი*.

³ Б. Б. Пиотровский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 6.

⁴ იქვე.

⁵ გ. გ. ბ. გ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., *სტალინირის ნაცარგორა, მიმომზილველი*, ტ. II, თბილისი, 1951, გვ. 242.

⁶ Б. А. К у ф т н я, *Археологические раскопки в Трიაleti*, გვ. 106.

⁷ იქვე.

დროის მასალები გვხვდება სხვადასხვა პუნქტებში, რომლებიც საკმაოდ ახლო მდებარეობენ ერთმეორისაგან. როგორც ჩანს, არც აქ შეინიშნებოდა დასახლების ხანგრძლივი კვალი. მასალა, რომელიც ძირითადად კერამიკით იყო წარმოდგენილი, საკმაოდ ღარიბულია. როგორც ზემოთ აღენიშნავდით, ციხის ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა ამ დროის მასალა. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მოედანზე გაითხარა დაახლოებით 60 კვ. მეტრი. აქ რამდენიმე ფენა აღმოჩნდა. ზედა ფენებში ჩნდებოდა ფეოდალური და გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა. მესამე, ქვედა ფენაში ნაპოვნია სწორედ ენეოლითური პერიოდის მასალა, რომელიც ძირითადად თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან შედგება¹. კერამიკა უპირატესად შავპრიალაა, ვარდისფერი სარჩულით. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ორმაგი ჭურჭელი (ტაბ. III, 1) — ორი პატარა ქოთნისმაგვარი ჭურჭელი ერთმანეთთან შეერთებული მუცლის ნახტრებით². მსგავსი ჭურჭელი ჩვენში ამ პერიოდის მასალებში უცნობია. სამაგიეროდ ამგვარი ჭურჭელი კარგად იყო ცნობილი ძველ აღმოსავლეთში³. სხვაზე მეტად აქ ბადიისებრი ჭურჭელი გვხვდება (ტაბ. III, 3). საყურადღებოა აგრეთვე ერთი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელზედაც სამკუთხედებისაგან შემდგარი ორნამენტია ამოკაწრული⁴. ამავე ფენაში გარდა შავპრიალა კერამიკისა, აღმოჩნდა რამდენიმე მოწითალო ჭურჭელიც, უპირატესად ჯამის ტიპისა⁵. აღსანიშნავია მეორე და მესამე ფენების მიჯნაზე ნაპოვნი მოწითალო ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთაც ეტყობათ მოხატვის კვალი ერთ შემთხვევაში წითელი საღებავით, მეორეში კი — შავით⁶. აქვე აღმოჩნდა ღიასარჩულიანი შავპრიალა ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, შემკული ამოკაწრული ორნამენტით⁷ (ტეხილი ხაზები, სამკუთხედები, შტრიხები და სხვ.). არაკერამიკული მასალა მესამე ფენაში მეტად ღარიბულადაა წარმოდგენილი. ნაპოვნია ორი კაეის ნამგლის პირი და ერთი ცქის ურო⁸.

ციკლოპური ციხე-სიმაგრის სხვა პუნქტებთან შედარებით, მოედანზე აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსი გამოირჩევა დამუშავების მაღალი ტექნიკით. აქ ძირითადად გვხვდება შავპრიალა, შედარებით თხელკედლიანი ჭურჭელი. საკუთრივ ჭურჭლის ფორმაც უფრო დახვეწილია, ტლანქი ჭურჭელი თითქმის არ გვხვდება.

¹ В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 83. 110.

² იქვე, 83. 111, ტაბ. СХХIV.

³ J. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, 83. 194, სურ. 124, 127.

Hans Henning von der Osten, The Alischar Hüyük, Part I, Chicago, 83. 247, სურ. 239.

Г. Чаялд, Древнейший Восток, 83. 220, სურ. 79.

A. Götz, Kleinasien, Kulturgeschichte des Alten Orients, München, 1933,

83. 29.

⁴ В. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. LXX, 1.

⁵ იქვე, ტაბ. СХХIV, 1.

⁶ იქვე, ტაბ. СХХI.

⁷ იქვე, ტაბ. СХХII.

⁸ იქვე, 83. 112, სურ. 115.

ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ენეოლითური მასალა აღმოჩნდა თბრილთანაც. ეს თბრილი ამოვსებული იყო დიდი ზომის ქვებით, ალბათ ციკლოპური ნაგებობიდან. უმთავრესად აქაც თიხის ქურქლის ფრაგმენტები გვხვდებოდა: შავი ფერისა, სქელკედლიანი, ვარდისფერი სარჩულით; შავი ფერისა, შედარებით თხელკედლიანი, აგრეთვე ვარდისფერი სარჩულით. გარდა ამისა აქვე აღმოჩნდა მოწითალო ფერის, შიგნიდან და გარედან პრიალა ქურქლის ნატეხები. აღსანიშნავია ორი ორნამენტირებული ფრაგმენტი: ერთზე რელიეფურად გამოსახულია სათვალისებრი სპირალი, მეორეზე კი რელიეფურადვე გამოყვანილია ნალისებრი ორნამენტი¹. კერამიკული მასალიდან მხოლოდ ერთი ქურქლის — ყელმალა კოკობის აღდგენა მოხერხდა. იგი შემკულია მუცლის ზედა ნაწილზე ამოკაწრული ხაზებით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით². არაკერამიკული მასალიდან აღსანიშნავია ორი კაეის ისრისპირი³, შიშვები, ერთი — წვრილი ცილინდრული ცისფერი პასტი-სა, მეორე კი — თეთრი, მაგარი მინერალისა, და პატარა ნატეხი სპილენძის სამკაულისა⁴.

საინტერესო მასალაა ნაპოვნი ციხესთან მდებარე აქემენიდური დროის სამაროვნის ტერიტორიაზე. გვიანდელმა სამარხებმა საგრძობლად დააზიანეს ეს ფენა, მაგრამ ერთ ადგილას 0,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ხელუხლებელი კერა. მას 1,65 მ ფართობი ეკავა. ნაცრისა და ნახშირის სქელ ფენაში ჩანდა ბათქაშის ნატეხები, თიხის ქურქლის ფრაგმენტები. კერის ძირზე აღმოჩნდა პირქვედამზობილი სამი ქურქელი. აქვე იდო ნავისებრი ფორმის ხელსაფეკავის ქვა⁵. კერის ირგვლივ აღმოჩენილი კერამიკა მოწითალო-მოშავო ფერისაა, სქელკედლიანი, ტლანქად ნაძერწი მოზრდილი ქურქლის ერთ-ერთ ფრაგმენტს შერჩენილი ჰქონდა რელიეფური სპირალი. მხოლოდ ერთი ნატეხი აღმოჩნდა აქ. თხელკედლიანი პრიალა ქურქლისა. გამოძერწვის ტექნიკით, გამოწვის წესითა და სიტლანქით კერასთან აღმოჩენილი კერამიკა თითქოს უფრო კიკეთის და დიდუბის ქურქელს უახლოვდება. მათ შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, განსაკუთრებით ცილინდრული ყელის მოყვანილობის მხრივ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული განსხვავებაც ჩანს მათ შორის. დიდუბის ტიპის ქურქლებზე გარდატეხის ხაზი ძირითადად შეინიშნება მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას. კერასთან აღმოჩენილ ქურქლებში კი ეს გარდატეხის ხაზი ძირითადად გვხვდება მუცლის შუა ნაწილზე, სადაც არამკვეთრი წიბური იქმნება. ამ მხრივ ეს ქურქელი თითქოს უფრო უახლოვდება ქვაცხელების და სხვ. ტიპის ქურქელს. სამაროვნის ტერიტორიაზე სხვა ადგილასაც აღმოჩნდა ამ დროის მასალა⁶.

¹ Б. А. Бухтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. СХХ, 4.

² იქვე, ტაბ. СХХIV, 4, სურ. 116.

³ იქვე, ტაბ. СХIХ.

⁴ იქვე, გვ. 110.

⁵ იქვე, გვ. 112, სურ. 119.

⁶ იქვე, გვ. 113.


ამრიგად, ბეშთაშენში ენეოლითური ხანის მასალები რამდენიმე პუნქტში აღმოჩნდა. ყველგან ჩანდა თითქოს, რომ ადამიანი აქ დიდხანს არ მგუდარა. ამას პირველ რიგში მოწმობს მოპოვებული მასალის სიღარიბე, რაც, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქაც, ქულბაქების მსგავსად, დროებით სამოსახლოებთან გვაქვს საქმე. არც აქ აღმოჩენილა მყარი საცხოვრებლის რაიმე კვალი, თუ არ ჩავთვლით თხრილთან ნაპოვნ ქვის ოთხკუთხა წაგებობის ნაკვალევს¹. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ამ პუნქტებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა ერთგვარად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. როგორც აღვნიშნეთ, მოედანზე ნაპოვნი თიხის ქურჭელი გამოირჩევა დამუშავების მაღალი ტექნიკით, ტლანქი ქურჭელი აქ თითქმის არ გვხვდება. თხრილთან აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსი შეიცავს როგორც ტლანქად ნაძერწ, სქელკედლიან ქურჭელს (რითაც იგი უფრო კერასთან აღმოჩენილ კერამიკას უახლოვდება), ისე იმ ტიპის კერამიკასაც, რომელიც ციხის მოედანზე აღმოჩენილ ქურჭელს ჰგავს. კერასთან აღმოჩენილი კერამიკა კი ყურადღებას იპყრობს თავისი სიტლანქით. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ერთმანეთის მახლობლად მდებარე პუნქტები რამდენადმე განსხვავებული ხასიათის კერამიკას შეიცავენ, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამგვარსავე ვითარებას ვხვდებით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ქულბაქებზედაც. ქულბაქებზე უპირატესად მოწითალო კერამიკა გვხვდება, მაშინ, როდესაც ზღუდრის გვერდაზე ძირითადად შავი ქურჭელია გავრცელებული.

ქულბაქების ბორცვზე შედარებით მეტი მასალა აღმოჩნდა, ვიდრე ზღუდერზე. ზღუდერმა და „კულო-ხომმა“ მეტისმეტად ფრაგმენტული მასალა მოგვცა. აქედან ვერც ერთი ქურჭლის აღდგენა ვერ მოხერხდა, თუ არ ჩავთვლით ზღუდრის გვერდაზე აღრევე ნაპოვნ ორიოდ ქურჭელს. სამაგიეროდ ქულბაქების მასალიდან თითქმის მთელი კერამიკული კომპლექსი იქნა აღდგენილი. აქაც, ისევე როგორც სხვა ენეოლითური ხანის ძეგლებზე, უპირატესად გვხვდება კერამიკული ნაწარმი. არაკერამიკული მასალა მეტად მცირეა. თიხის ქურჭელი ქულბაქებზე უპირატესად მოწითალო ფერისაა. ამ კოლექციაში აღმოჩნდა მხოლოდ ორი ქურჭელი შავი ფერისა, ვარდისფერი სარჩულით, რამდენიმე ნატეხი მოზრდილი ქურჭლისა და ერთი ბადია (სურ. 3, 8). კერამიკული ნაწარმი გამოირჩევა დახვეწილი ფორმით, კარგადაა ნაძერწი და გამომწვარი, უმეტესობას გაპრიალებული ზედაპირი აქვს. ქურქელთაგან გვხვდება: ქილები, ბადიები, ტოლჩები, ქოთნები და სხვ. ქილების ტიპის ქურჭელი სხვადასხვაგვარია. ამათგან ერთი მომცრო ზომისაა, ფართო, მაღალი ყელით, ცალყურა, ყურის ზემოთ პატარა ნახვრეტი აქვს (სურ. 2, 5, სურ. 3, 1; ტაბ. II, 3). ეს ქურჭელი გამოირჩევა სიტლანქით და ზედაპირიც ნაკლებად დამუშავებული აქვს. ფორმით იგი მეტად ჰგავს დიდუბის კოლექციის ერთ უყურო ქურჭელს, რომელსაც ყელის ძირზე აგრეთვე პატარა ნახვრეტი აქვს². ნახვრეტიანი ქურჭელი ენეოლითური ხანის მასა-

¹ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

² დ. კო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1955, გვ. 35.

ლებიდან ჩვენში ცნობილია ერთი ოზნიდან და მეორე ახილარიდან, ოღონდ ორივე დიდი ზომისაა¹. ჭურჭელი კედელში დატანებული ნახვრეტით კარგადაა ცნობილი პალესტინაში ლითონის გაჩენის ადრეულ საფეხურზე. ამ ტიპის ჭურჭლების შესახებ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. ყველაზე უფრო მიღებული აზრით ისინი ურნებადაა მიჩნეული. შესაძლოა ეს მოსაზრება არ



სურ. 1. თიხის ჭურჭელი (ქულბაქები).

იყოს სიმართლეს მოკლებული. როგორც ცნობილია, სამგორის ყორღანში ნაპოვნი იყო ერთი ნახვრეტიანი ჭურჭელი, რომელშიც ადამიანის ფერფლი აღმოჩნდა (სურ. 12, 5). ტანდახვრეტილი ურნები დამოწმებული იყო გაცილებით უფრო მოგვიანო ხანაში მალაქლუს სამაროვანზე². რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ქულბაქებისა და დიდების შედარებით პატარა ზომის ნახვრეტიანი ჭურჭლები, ძნელი სათქმელია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქილის ტიპის სამი ჭურჭელი, რომლებიც ზომით რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორი მათგანი სამყურაა, ერთი კი — ცალყურა. ორივე სამყურა ჭურჭელი ვიწროყელიანია, ოდნავ პირგადაშლილი. უფრო მოზრდილს მუცელი მკვეთრად გამობერილი აქვს. სამივე ყური, რომლებიც ერთმანეთისაგან დაახლოებით თანაბრად დაცილებული, ასბია მუცლის ზედა ნაწილზე, მხრიდან მუცელზე გარდატეხის ხაზს ქვე-


¹ Б. А. Кухтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948, 83-39.

² Б. А. Кухтин, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата..., 33-69.

ვით (სურ. 1, 1; სურ. 2, 1; ტაბ. II, 1). უფრო მომცრო ზომის სამყურა კურკელს მუცელი ისე მკვეთრად გამობერილი არა აქვს (სურ. 2, 2; სურ. 4, 3; ტაბ. II, 2). ყურები მიძერწილია მხრიდან მუცელზე გარდატეხის ხაზს ზემოთ, რომელიც მას შედარებით უფრო ქვემოთა აქვს. სადღეისოდ ჩვენში ენეოლითური ხანის ძეგლებიდან სამყურა კურკელი ცნობილია ორი ოზნიდან (ტაბ. IV, 7, 8; ტაბ. VII), ერთი დიდუბიდან (ტაბ. IV; 1), რამდენიმე ქვაცხელებიდან. ერთი პატარა ზომის სამყურა კურკელი აღმოჩნდა ურბნისში ციხის ტერიტორიაზე, ენეოლითური ხანის სამარხში. ქულბაქების სამყურა კურკელი ფორმით ყველაზე მეტად უახლოვდება ოზნში 1947 წ. ნაპოვნ სამყურა კურკელს (ტაბ. IV, 7). ისიც ყელვიწროა, მუცელგამობერილი, სამივე ყური მიძერწილი აქვს მუცლის ზედა ნაწილზე¹. განსივავება მათ შორის ის არის, რომ ოზნის კურკელს არ ეტყობა მუცლიდან მხარზე გადასვლის ხაზი. დიდუბის სამყურა კურკელსაც მუცელი გამობერილი აქვს და მასაც ყურები მუცლის ზედა ნაწილზე ასხია, ოღონდ მას ყელი ფართო, მაღალი და ცილინდრული მოყვანილობისა აქვს (სურ. 11, 1; ტაბ. IV, 1). იგი ფორმით უახლოვდება აქვე ნაპოვნ ცალყურა კურკულებს (სურ. 11, 4). 1948 წ. ოზნში კულტურულ ფენაში აღმოჩენილი მოხატული სამყურა კურკელი რამდენადმე განსხვავებულია (ტაბ. IV, 8; VII), მას მუცელი ძლიერ გამობერილი აქვს და უფრო დაბალი. ყურები ასხია მუცლის ყველაზე გამობერილ ნაწილში. ყელი, როგორც ჩანს, ვიწრო უნდა ჰქონოდა. ეს კურკელი რამდენადმე ახლო დგას ქვაცხელების სამყურა კურკულებთან. ქვაცხელების მომცრო ზომის სამყურა კურკელის მუცელი აგრეთვე ძლიერ გამობერილია. ტანი მასაც დაბალი აქვს. მუცლის ყველაზე გამობერილ ნაწილზე ეტყობა ძირისაკენ გარდამავალი ხაზი. სამივე ყური სწორედ ამ ნაწილზე აქვს მიძერწილი. ყელი მასაც ვიწრო აქვს. რაც შეეხება აქვე ნაპოვნ უფრო დიდი ზომის კურკელს, იგი ფორმით მომცრო კურკელს უახლოვდება, ოღონდ ძირი თითქმის კონუსისებრი აქვს. საფიქრებელია, რომ იგი მიწაში იდგმებოდა პირდაპირ, ანდა სათანადო საყრდენი ჰქონდა. უნდა აღენიშნოთ, რომ აქაც პატარა ზომის ყურები მიძერწილი იყო მუცლის ზედა ნაწილში. ამიერკავკასიაში გარდა ზემოაღნიშნულისა, რამდენიმე სამყურა კურკელი სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ნახიჭევანის ქიულთეფეს მეორე ფენიდან. ისინი ფორმით რამდენადმე განსხვავდებიან ჩვენი კურკულებისაგან, მუცელი უფრო კვერცხისებრი მოყვანილობისა აქვთ, ყელი ცილინდრული, არც თუ ისე ფართო. ქიულთეფეს კურკელი უახლოვდება ოზნის სამყურა კურკელს, განსაკუთრებით ყელის მოყვანილობით. ახლო დგას ეს კურკელი გეთეფეს სამყურა კურკელთანაც. ჩანს სამყურა კურკელმა ჩვენში მაინცაღამაინც გავრცელება ვერ ჰპოვა. ჩრდილო კავკასიის ადრეული ხანის მასალებიდან სამყურა კურკელი ცნობილია მხოლოდ დოლინსკოეს ნამოსახლარიდან. ა. კრუგლოვისა და გ. ჰოდგაეცკის მიერ გამოყოფილ პირველი ტიპის კურკელზე უმთავრესად სამი ყური გვხვდება. მაგრამ ამ ტიპის კურკელი სრულიად განსხვავებული ფორმისაა. იგი. ტანმა-

¹ Б. А. Купфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкнском районѣ, стр. 37, таб. XXXIX.

ღალია, დაბალყელიანი. პატარა არქაული ტიპის ყურები მასაც ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დამორებული, მუცლის ზედა ნაწილზე ასხია¹. უფრო მოგვიანო ხანის მასალაში ერთი თუ ორი სამყურა კურკელი ცნობილია თრიალეთის ყორღანებიდან². ორი სამყურა, რელიეფური ორნამენტით შემ-



სურ. 2. თიხის კურკელი (ქულბაკები).

კული კურკელი 1951 წელს აღმოაჩინა ბ. კუფტინმა საჩხერეში, ნაჩერქეზევის სამაროვნის მეორე და მესამე სამარხებში³ (ტაბ. X, 1; XI, 1). აღსანიშნავია, რომ გვიანდელ კურკელზე ზოგჯერ ყურების ნაცვლად სამი შვერილი გვხვდება მუცლის ზედა ნაწილში. სამთავროს ყორღანულ სამარხში აღმოჩნდა ერთი მღარედ ნაკეთები ქილა, რომელსაც ზედა ნაწილზე მიძერწილი აქვს ერთმანეთისაგან თანაბრად დამორებული სამი შვერილი⁴. კურკელი სამი შვერილით მუცლის ზედა ნაწილზე აღმოჩნდა თრიალეთში გვიანი ბრინჯაოს ხანის № 19 და № 20 სამარხებში ბეშთაშენ-საფარხარაბას გზაზე. როგორც ჩანს, ჩვენშიაც, ისევე როგორც სხვაგან, სამყურა კურკელმა სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამყურა კურკელი ევროპაში უკვე ნეოლითიდან იყო ცნობილი⁵. დუნაის კულტურის პირველ პერიოდში ფართო

¹ А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий, Долинское поселение у г. Нальчика. МИА, № 3 М. — Л., 1941, გვ. 185, ტაბ. VI.

² Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII, XIX.

⁴ ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955, გვ. 6, ტაბ. II, 4.

⁵ Heornes-Menghin, Urgeschichte der bildender Kunst in Europa, 1925, გვ. 760, 761, 763.

გავრცელებას პოულობს კურკელი სამი, ექვსი და ცხრა ყურით¹. ზოგან სამყურა კურკელი უფრო მოგვიანო ხანაშიც გვხვდება. კრეტაზე გვიანმინოსურ III პერიოდში სამყურა ამფორები მეტად გავრცელებული ფორმა იყო². სამყურადღებოა ირანის აზერბაიჯანში გეტეფეს გათხრებისას აღმოჩენილი სამყურა კურკელი. იგი აქ ნაპოვნი იყო X პერიოდის ფენაში (სურ. 14, 3). ეს ფენა ხასიათდება თხის კურკლით. რომელიც ახლოს დგას ამიერკავკასიის ენეოლითურ კერამიკასთან. გეტეფეს სამყურა კურკელი ფორმით განსხვავდება ზეენში ცნობილი ამ პერიოდის სამყურა კურკლებისაგან. ყველაზე ახლო იგი თითქოს ოზნის კურკელთან დგას. მას ტანი კვერცხისებრი მოყვანილობისა აქვს; მუცელი მკვეთრად გამოუსახავი. ტიპური პატარა ზომის ყურები მასაც მუცლის ზედა ნაწილზე ასხია³. ირანში ორი ცალი სამყურა კურკელია ცნობილი პასანლუდან: ერთი ნუქი წითელი, მეორე მონაცრისფრო-მოშავო პრიალა ზედაპირით⁴. შესანიშნავი შეპრიალა კურკელი, მხართან ოთხი ყურით ნაპოვნია სომხეთში, სოფ. ფრანგნოცში⁵.

აღსანიშნავია ქულბაქებზე აღმოჩენილი რამდენიმე ქილისა თუ ქოთნისმაგვარი ფართოყელიანი კურკელი (სურ. 5, 1). მუცელი მათ მკვეთრად გამოხედილი აქვთ. მუცლიდან ყელზე გადასვლის ადგილას, მხართან, სამყურა ქილების მსგავსად, ძლიერ მკვეთრი გარდატეხის ხაზი იქმნება. ყელი ფართოა, იგი მხრიდან დაწყებული შუამდე თანდათანობით ვიწროვდება და შემდეგ ყელის შუა ნაწილიდან პირისაკენ კვლავ ფართოვდება. ამ ტიპის კურკელს ჩვეულებრივ ცალი ყური აქვს. ერთს ყური ეწყება ყელის შუა ნაწილზე და პირამდე აღწევს, მეორეს ყური მიძერწილი აქვს მხარსა და ყელის შუა ნაწილზე. ეს კურკლები ფორმით თითქოს უახლოვდებიან დიდუბის ერთ წყება კურკლებს, შედარებით უფრო პატარა ზომისას, რომლებიც დ. ქორიძეს გაერთიანებული აქვს მეორე ჯგუფში⁶. დიდუბის კურკელს ყელი უფრო ცილინდრული მოყვანილობისა აქვს. მუცელი რამდენადმე გამოხედილია და სფერული; მას არც მხრიდან ყელზე გადასვლის ხაზი ეტყობა ისე მკვეთრად. დიდუბის კურკლის მსგავსია ერთი მოშავო ფერის ტოლწა კიკეთის სამაროვნიდან (სამარხი № 2). ქულბაქების აღნიშნული ქილისმაგვარი კურკლები უახლოვდებიან აგრეთვე ერთ კურკელს ოზნიდან, რომელიც აღმოჩნდა № 4 სამარხში. მაგრამ ეს კურკელიც რამდენადმე განსხვავებულია. მასაც, დიდუბის კურკლების მსგავსად, უფრო სფერული მოყვანილობის მუცელი აქვს და

¹ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, гл. 146, сур. 47.

² Дж. Пендлбери, Археология Крита, Москва, 1950, гл. 226. Evans, The Palace of Minos, London, 1935, vol. IV, Part I, гл. 302, სურ. 238; гл. 348, სურ. 292. Part IV, Part II, гл. 897, სურ. 875.

R. Dussaud, Les civilisations Préhelleniques, Paris, 1914, гл. 52, სურ. 33.

³ T. Burton Brown, Excavations in Azarbejan, 1948, London, 1951, гл. 35, სურ. 16. № 1175.


⁴ A. Stein, Old Routes of Western Iran, London, 1940, гл. 399, ტაბ. XXX. 12.

⁵ В. А. Куфтин, Урартский „вожумбарий“..., гл. 109, სურ. 64.

⁶ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24, ტაბ. I, 11.

არც მკვეთრი გადასვლის ხაზი ეტყობა მხართან; ყელიც შედარებით ცილინდრული აქვს, ოღონდ დიდუბის ჭურჭლებისაგან განსხვავებით, ვაცილებით დაბალია (სურ. 15, 2; ტაბ. V, 1). ქულბაქების ეს ჭურჭლები თითქოს ახლო დგანან ძალინას სამაროვანზე აღმოჩენილ ამავე ტიპის ჭურჭლებთან (ტაბ. XXIII), ოღონდ ძალინას ჭურჭლების მუცელი რამდენადმე სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. მათ ყელიც შედარებით დაბალი და პირთან უფრო ვადაშლილი აქვთ, ყური კი, რომელიც იწყება მხართან და პირს აღწევს, მოზრდილია¹.

ქულბაქების მასალაში ორი ტოლჩა აღმოჩნდა, ორივე დაახლოებით ერთი ტიპისა (სურ. 2, 4, 6; სურ. 3, 2, 3; ტაბ. II, 7, 8). ერთი უფრო ძირვიწრო და პირვალაშლილი, ვიდრე მეორე. ეს ტოლჩები საგრძნობლად განსხვავდებიან დიდუბის, კიკეთისა და სხვ. მასალებში ცნობილი ტოლჩებისაგან. ეს უკანასკნელები, როგორც აღენიშნავდით, ფორმით ახლო დგანან ქულბაქე-



სურ. 3. თიხის ჭურჭელი (ქულბაქები).

ბის ზემოაღწერილ ქილისმავარ ჭურჭლებთან. ქულბაქების ტოლჩები რამდენადმე უახლოვდებიან ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილ ტოლჩებს, ოღონდ ოზნის ცალკე უფრო დიდიც არის ზომით და ფართოც² (სურ. 15, 3; ტაბ. V, 3). შედარებით ახლო ქულბაქების ტოლჩებთან დგას ნულის აღრებრინჯაოს ხანის სამარხში ნაპოვნი ტოლჩა³ (ტაბ. XXIV, 2).

¹ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24, ტაბ. XV, 3.

² Б. А. Купфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, ტაბ. XXXIX.

³ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI.

ქულბაქებზე სამი ბაღია აღმოჩნდა. ორი წითელი, პრიალა (სურ. 1, 3; სურ. 2, 3; სურ. 3, 5; ტაბ. II 4, 5) და ერთიც შავი, ვარდისფერსარჩულიანი (სურ. 3, 8). ბადიები ერთი ტიპისაა, ოღონდ ერთი მათგანი უფრო მაღალი და ღრმაა¹. ქულბაქების ტიპის ბადიები სადღეისოდ კარგადაა ცნობილი შიდა ქართლის მასალებიდან. მსგავსი ბადიები აღმოაჩინა ს. მაკალათიამ ტყვიავის I და III ყორღანებში². ჩვენ ბადიებს ფორმით უახლოვდება ქვაყხელებზე მოპოვებული ბადიები, ოღონდ ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან შედარებით დახვეწილი ფორმით (სურ. 10, 4; ტაბ. VIII, 4, 5). ვხვდებით მათ აგრეთვე ხიზანაანთ გორაზე და გულდაბერტყაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბადიებთან საკმაოდ ახლო დგას აღრებრინჯაოს ხანის ძეგლებში აღმოჩენილი ბადიები. ნულის ამ პერიოდის სამაჩხუბო აღმოჩენილი ბაღია გარკვეულ მსგავსებას იჩენს ზემოაღნიშნულ ქურკლებთან³ (ტაბ. XXIV, 4); სტალინოში კვასის მშენებლობის ბაზის ტერიტორიაზე აღმოჩნდა თიხის ქურკლის ფრაგმენტები და სატყერის პირი. ქურკლის ნატეხებიდან გამოირჩევა შავი ფერის ბაღია, ვარდისფერი სარჩულით. მათ უახლოვდება აგრეთვე საჩხერისა და ქორეთის ყორღანებში მოპოვებული ბადიები⁴ (ტაბ. XXI, 2, 4, 5).

ენეოლითური ხანის მასალებიდან ამიერკავკასიაში ამ ტიპის ბადიები ცნობილია მხოლოდ თრიალეთიდან (ტაბ. III, 3). აქ ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიკვლეული იყო ენეოლითური ხანის მასალა. ამ მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბადისებრი შავი ქურკლები, ვარდისფერი სარჩულით. ამათგან ერთი მოზრდილია, პირგადაშლილი⁵, დანარჩენი სამი შედარებით მომცრო ზომისაა. საყურადღებოა, რომ ამ ფენის კერამიკული კომპლექსი გამოირჩევა დამუშავების საკმაოდ მაღალი ტექნიკით. იგი განსხვავდება ამავე ციხის ტერიტორიაზე, ოღონდ სხვა ადგილას აღმოჩენილი კერამიკისაგან, რომელიც უფრო არკაულ იერს ატარებს. ბ. კუფტინი ბეშთაშენის ციხის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალის განხილვისას პირველს მეორე კომპლექსში აქცევს და აღნიშნავს. თუმცა ვარაუდით, რომ იგი რამდენადმე ახალგაზრდა უნდა იყოს⁶.

ბ. კუფტინის ეს მოსაზრება მთლად საფუძველმოკლებული არ ჩანს, ამ კომპლექსის ქურკელი შავპრიალაა, შედარებით თხელკედლიანი, საკუთრივ ფორმაც ქურკლისა უფრო დახვეწილია. ამავე დროს, რელიეფურის გვერდით აქ უკვე ვხვდებით ამოკაწრული ორნამენტით, რითაც იგი უახლოვდება მომდევნო ხანის კერამიკას.

რაც შეეხება ოზნში აღმოჩენილ ბადიებს, ისინი რამდენადმე ახლო

¹ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V.

² ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1943, გვ. 47, ტაბ. XIII.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XI, 2.


⁴ Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 80, სურ. 33.

⁵ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триаleti, გვ. 115, სურ. 124, ტაბ. СХХIII.

⁶ Б. А. Б у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

დგანან აღნიშნული ტიპის ბადიებთან, მაგრამ მაინც ერთგვარ სხვაობასაც გვიჩვენებენ. ოზნის კულტურულ ფენაში ორი მოყავისფრო ბადია აღმოჩნდა (სურ. 15, 1). ორი შავი ბადია ვარდისფერი სარჩულით ცნობილია № 2 და № 3 სამარხებიდან (1948 წლის გათხრები). ეს ბადიები ფორმით თითქმის ერთგვარია (ტაბ. V, 4). ზემოთ განხილული ტიპის ბადიებისაგან ისინი ძირითადად იმით განსხვავდებიან, რომ პირი შედარებით ნაკლებად გადაშლილი აქვთ და ტანის მოყვანილობაშიაც თითქოს ერთგვარი სხვაობა ემჩნევა. ოზნისეული ბადიები ტანში ნაკლებადაა გამოყვანილი.

ამრიგად, როგორც ჩანს, ამ ტიპის ბადიის გავრცელების ძირითადი რაიონი შიდა ქართლი უნდა ყოფილიყო. ამიერკავკასიის გენეოლითური კულტურის გავრცელების სამხრეთ რაიონებში ეს ფორმა კურკელისა თი-



სურ. 4. 1. თიბის კურკელის ნატეხი რელიეფური ორნამენტით (ქულბაქები);
2. ღორის გახვრეტელი ეშვი („კულუ-ხომი“); 3. სამყურა კურკელი (ქულბაქები);
4. რქიანი სადგარი („კულუ-ხომი“).

ქმის სრულიად არ ჩანს. კავკასიის გარეთ ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ორი შემთხვევა ამ ფორმის კურკელის აღმოჩენისა მცირე აზიაში, ანატოლიაში. ბადია ცალი ყურით ნაპოვნი იყო ფრაქტინის მახლობლად¹. მათ უახლოვდება აგრეთვე კარაოგლანის მახლობლად მდებარე ბორცვზე ფრიგიული პერიოდის ფენაში ნაპოვნი ერთი კურკელი².

¹ T. Özgüç, Das prähistorische Haus beim Felsrelief von Fraktin, Anatolia, T. I, Ankara 1956, გვ. 68, ტაბ. XX, b.

² Remzi Oguz Arık, Le Hüyük de Karaoglan, Belleten, III, 9, Ankara, 1930, ტაბ. XLIX.

ჩვენში ენეოლითური ხანის მასალებში გვხვდება მეორე ტიპის ბადიის ებრი ჭურჭელიც, რომელიც რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა. ამგვარად ბადიები მრავლად აღმოჩნდა კიკეთის სამაროვანზე (სურ. 13, 2, 3, 5). ისინი უპირატესად უყურობია, ყურის ნაცვლად ზოგჯერ კოპისებრი შვერილები აქვს, წყვილ-წყვილი ან ფართოდ წაგრძელებული. ამ ტიპის ბადიები ჯამისებრი ფორმისაა, უპირატესად მეტად დაბალი ყელით, თითქმის პირგადაუშლელი. ზოგჯერ, როგორც აღვნიშნეთ, ყური მიძერწილი აქვს მხარსა და პირზე. ყური მეტად პატარა ზომისაა. ყურიან ბადიებს მოპირდაპირე მხარეს მუცლის ზედა ნაწილზე შვერილები აქვს ხოლმე. კიკეთურის მსგავსი რამდენიმე ბადია ჩვენში ცნობილია დიდუბის ენეოლითური ნამოსახლარიდან¹ (ტაბ. IV, 5). აქაც გვხვდება უფრო მოზრდილი ბადიების ნატეხები, რომლებიც რამდენადმე განსხვავებულია, მათ ყელი მეტად დაბალი, ცილინდრული აქვთ, მუცელი გამობერილი და ძირისაკენ სწრაფად დაეწროებული². ყური იწყება მხარზე და პირს აღწევს. მსგავსი ბადია, ოღონდ ორყურა, ცნობილია თრიალეთში თავ-ბაშთან აღმოჩენილი ქვაყუთიდან³. ბარმაქსიზის გზაზე აღმოჩენილ ენეოლითურ სამარხში ნაპოვნი იყო კიკეთის ტიპის ბადიისებრი ერთი ჭურჭელი⁴ (ტაბ. III, 5). მსგავსი ბადიები იპოვა ა. უვაროვმა არმავირ-ბლურზე⁵. ვხვდებით მათ ლუგოვოს ნამოსახლარზეც⁶. კარგადაა ცნობილი კიკეთის ტიპის ბადიები გეთეფედან⁷. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმა ბადიებისა საკმაოდ გავრცელებული ჩანს. მათ ხშირად ვხვდებით წინა აზიის ადრეული ხანის ძეგლებში⁸.

გარდა ბადიებისა ქულბაქებზე აღმოჩნდა ერთი ჯამი (სურ. 3, 7, ტაბ. II, 6) საკმაოდ მოზრდილი ძირით; პირისაკენ იგი თანდათანობით ფართოვდება და პირთან სამკუთხა შვერილი აზის. ამ ჯამთან ფორმით ახლო დგას დიდუბეში აღმოჩენილი, შედარებით უფრო მცირე ზომის ერთი ჯამი, რომელსაც პირზე წყვილი სამკუთხა შვერილი აქვს⁹.

ქულბაქების კერამიკულ კომპლექსში ნაპოვნი იყო ერთი, შედარებით მოზრდილი ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. სამწუხაროდ, ეს ნატეხები ჭურჭლის ფორმის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. როგორც ჩანს, ქულბაქების კერამიკაში ძირითადად გამოირჩევა ისეთი ჭურჭელი, რომელიც უპირა-

¹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, ტაბ. III, 17, 18, 21.

² იქვე, გვ. 14, ტაბ. IV, 1, 6.

³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 117, სურ. 126, а.

⁴ იქვე.

⁵ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 92, სურ. 50.

⁶ Е. И. Крупнов, Приваспийская археологическая экспедиция, გვ. 99, სურ. 40.

⁷ B. Brown, დასახ. ნაშრომი, სურ. 7, 8, 10.


⁸ L. Mallowan, The Excavations at Tell Chagar Bazar, Iraq, III, part I, 1936, გვ. 29. სურ. 9

J. Garstang, Prehistoric Mersin, გვ. 193, სურ. 123. 15.

Judith Marquet-Krause, Le deuxieme campagne de fouilles á Ay (1934), Syria, t. XVI, vol. 4, Paris, 1935, ტაბ. LV.

⁹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, ტაბ. III, სურ. 20.

ტესად სითხისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. სრულიად არ აღმოჩენილა ქულბაქებზე პირფართო, დიდი ზომის ჭურჭელი, რომელსაც მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. ამ ტიპის ჭურჭელი მრავლად ჩნდება ხოლმე ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე — ქვაცხელებზე, ხიზანაანთ გორაზე, დიდუბეში და სხვ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ უნდა ადასტურებდეს, რომ საქმე



სურ. 5. თიხის ჭურჭელი (ქულბაქები).

გვაქვს დროებით სადგომთან თუ სამოსახლოსთან. შესაძლოა სწორედ ამიტომ არ გვხვდება, დიდი ზომის ჭურჭელი, რომელსაც უპირატესად მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. ამგვარი ჭურჭლის საჭიროება აქ ალბათ არც იყო. რომ ეს სადგომი მართლაც მესაქონლეობასთან დაკავშირებული ჩანს ამის საბუთი შეიძლება ისიც იყოს, რომ თიხის ჭურჭელი აქ უპირატესად სითხისათვის უნდა გამოიყენებინათ.

აღსანიშნავია ქულბაქებზე აღმოჩენილი სამი სხვადასხვა დიამეტრის დისკოიდალური ხუფი შუაზე პატარა ყურით (სურ. 3, 4). ხუფებს შიდა პირი ბრტყელი აქვს, ოდნავ ამოზურგული. როგორც ხუფების დიამეტრიდან ჩანს, ისინი ბადიების ან ჯამის ტიპის ჭურჭლებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. საერთოდ, დისკოიდალური ხუფები ხშირად გვხვდება ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის ძეგლებში: დიდუბეში¹, კიკეთში, თრიალეთში², მალაქლუში, ელარში³, ქვაცხელებზე და სხვ. ზოგიერთ ხუფს კიდესთან წიბური აქვს. ამგვარი ხუფები გვხვდება თრიალეთში, მალაქლუში, შენგავითში, ელარში, ქვაცხელებზე. ზოგს ყურს ირგვლივ, შუაზე ფართო და ღრმა

¹ დ. ქოტიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, 25, სურ. 1.


² Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Трпалети, таб. LXXV.

³ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 30, таб. XL.

⁴ Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“..., გვ. 79, 102, სურ. 37, 38.

ლარი შემოუყვება (მალაქლუ¹, კიულთეფე²). აღსანიშნავია ქვაცხელების ხუფები, რომლებიც შედარებით პატარა ზომისაა. მათ კიდეზე მკვეთრად გამოსახული წიბურები აქვთ. ზოგიერთ მათგანს ორი რელიეფური წიბური ვადასდევს. ქულბაქების ხუფებს ამგვარი წიბური არ გააჩნია. გარეთა პირი ამ ხუფებისა ბრტყელია და კიდისაქენ ოდნავ თხელდება. მსგავსი ხუფები ცნობილია კიკეთიდან, ოლონდ ისინი რამდენადმე უფრო სქელია და თითქოს ტლანქიც. თითქმის სავსებით ამგვარივეა დიდუბის ხუფები. ქულბაქების ხუფებთან განსაკუთრებით ახლო დგას ნულის აღრებბრინჯაოს სამარხში ნაპოვნი ხუფი, ოლონდ ნულის ხუფი კიდისაქენ უფრო მკვეთრად თხელდება³.

დისკოიდალური ხუფები სადღეისოდ აღრებბრინჯაოს ხანის მასალაში ცნობილია მხოლოდ ნულიდან და კუშჩის მახლობლად გათხრილი „მწვანე



სურ. 6. თიხის ჭურჭელი (ქულბაქები).

ყორღანიდან“⁴. როგორც ჩანს, შიდა ქართლში ეს ხუფები ენეოლითის მომდევნო ხანაში კიდევ ყოფილა გამოყენებული. დისკოიდალური ხუფების

¹ Б. А. К у ф т и н, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79, 102, სურ. 37, 38.

² О. А. А б и б у л а е в, Первые итоги раскопок Кюльтепе, Материалы, по истории Азербайджана, Труды Музея истории Азербайджана, т. II, Баку, 1957, гв. 69, ტაბ. V, 10.

³ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, ტაბ. XI, 4.

⁴ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском рай-
оне, გვ. 26.

ფრაგმენტები აღმოჩენილი იყო აგრეთვე ზღუდერზედაც. ზღუდრის გვერდაზე ამ ტიპის ხუფების ნატეხები ჯერ კიდევ ს. ნადიმაშვილმა იპოვა. ზოგიერთი ხუფის გარეთა პირი შემკული იყო ღრძა ღარებითა და ფოსოებით¹. მსგავსად შემკული ხუფები სხვა მასალებიდან ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის. დისკოიდალური ხუფების ფრაგმენტები აღმოჩნდა აგრეთვე ბ. კუფ-ტინის მიერ გათხრილ ზღუდრის ბორცვზედაც. საყურადღებოა, რომ დისკოიდალური ხუფები, თითქმის სავსებით ამგვარივე ფორმისა, ნაპოვნი იყო გეთეფეში, კ პერიოდის ფენაში². აქვე უნდა აღვნიშნოთ ს. ნადიმაშვილის მიერ 1944 წ. ზღუდრის გვერდაზე ნაპოვნი ჯამისებრი ფორმის სახურავი შუაზე სვეტისებრი შვერილით³ (სურ. 8, 6). მსგავსი სახურავი თუ ხუფი ჩვენში ორი ცალია ცნობილი დიდუბის ენეოლითური ხანის სადგომიდან⁴ (სურ. 8, 7, 8). აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სახურავები მესოპოტამიაში ცნობილია მხოლოდ ჯემდეთ-ნასრის პერიოდში. გ. ჩაილდი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი არის გადაბრუნებული კონუსის ფორმის ხუფის გაჩენა. შუაზე სახელურით⁵. სავსებით ამგვარივე ხუფები გვხვდება მახენჯო დაროში⁶ და სარი-ჯერიში⁷. მსგავსი ხუფები შუაში სვეტისებრი შვერილით ცნობილი არის აგრეთვე პალესტინიდან⁸.

„ჟულო-ხომზე“ აღმოჩენილი კერამიკული მასალა თითქმის არ განსხვავდება ქულბაქების მასალებსაგან. აქაც უპირატესად გვხვდება მოწითალო ფერის თიხის ჭურჭელი. როგორც აღვნიშნეთ, ეს მასალა ძლიერ დაზიანებულია და თითქმის შეუძლებელი ხდება ჭურჭლის ფორმების აღდგენა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაინც ჩანს, რომ აქაც, ქულბაქების მსგავსად, არ გვხვდება დიდი ზომის ჭურჭელი. ნაპოვნი იყო ტოლჩების, ჯამისებრი ჭურჭლის, დისკოიდალური ხუფების და სხვ. ფრაგმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ნატეხები ჯამისებრი ჭურჭლისა, რომელსაც ყურის მიბმის ადგილას კედელი ქიმისებრი შიგნითა აქვს შედრეკილი (სურ. 6, 1). ამ ტიპის შედრეკილკედლიანი ჭურჭელი კარგადაა ცნობილი ჩვენში ენეოლითური ხანის მასალებიდან. თრიალეთში ბ. კუფტინმა ამ ტიპის ჭურჭელი იპოვა ბეშთაშენისა⁹ და ოზნის ენეოლითური ნამოსახლარების ტერიტორიაზე¹⁰.

¹ Б. А. Куфтин, К проблеме энеолита Внутренней Каргли и Юго-Осетии, 33-76, სურ. 11.

² T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, სურ. 9, 331.

³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, ტაბ. III, 1.

⁴ დ. ქოროძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁵ Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, Москва, 1956, 33-208, სურ. 65.

⁶ М. Махкей, Древнейшая культура долины Инда, Москва, 1951, გვ. 107.


⁷ S. Carbiau, New finds in the Indus Valley, Iraq, vol. IV, Part 1, 1937, 33-7, ტაბ. V, 2.

⁸ Б. А. Куфтин, К проблеме энеолита Внутренней Каргли и Юго-Осетии, 33-75.

⁹ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 111, სურ. 65, 3.

¹⁰ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 29, ტაბ. XXX II, а.

1957 წ. თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ერთი ამგვარი ჭურჭლის ფრაგმენტს მიაგნო დაზვერვითი ვათხრების დროს თეთრიწყაროს მახლობლად (სურ. 7). რამდენიმე ჭურჭელი ამ ტიპისა ცნობილია ქვატხელებიდან. შედრეკილკელთან ჭურჭელს თავის დროზე ყურადღება მიაქ-



სურ. 7. თიხის ჭურჭელი (თეთრიწყარო).

ცია ბ. კუფტინმა¹ და გამოყო როგორც მტკვარ-არაქსის ენეოლითური კერამიკის ორიგინალური ტიპი². ბ. კუფტინი მიმოიხილავს ამიერკავკასიაში აღმოჩენილ ამ ტიპის კერამიკას და აღნიშნავს, რომ მსგავსი ჭურჭლები ნაპოვნია შენგავითში, არზნიში, ყიზილვანქში, და სხვ.³. მაგრამ მათ კედლის ჩანსეკის ადგილას ყურები არ ასხია. შენგავითის ერთ-ერთ ჭურჭელს მართალია ყური აქვს, მაგრამ იგი განსხვავებული ფორმისაა⁴.

ზღუდერზე აღმოჩენილი კერამიკა, წინააღმდეგ ქულბაქებისა და „კულახომისა“, უპირატესად შავი ფერისაა. სამწუხაროდ, ეს კერამიკული მასალაც იმდენად დაშლილია, რომ ჭურჭლის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. გვხვდება როგორც მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები, ისე მომცროსიც. საინტერესოა ს. ნადიმაშვილის მიერ ზღუდრის გვერდაზე 1944 წ. აღმოჩენილი მასალა, რომლის აღდგენაც ნაწილობრივ მოხერხდა. ამათგან აღსანიშნავია ერთი ფართოყელიანი, ძირშედრეკილი და ცალყურა კოკობი, მრგვალი, გამობერილი მუცლით⁵ (სურ. 8, 5). ეს ჭურჭელი თითქოს უახლოვდება დიდუბის კოკობს, მაგრამ დიდუბის ცალების მუცლის მოყვანილობა ნაკლებად მრგვლოვანია და არც ძირი აქვს შედრეკილი⁶. ზღუდრის გვერდას კოკობებს უახლოვდება აგრეთვე კიკეთის, ენეოლითური სამარხების კოკობები, ოღონდ არც ამათა აქვთ ძირი შედრეკილი (ტაბ. VI, 6). გარკვეულ მსგავსებას იჩენს

¹ Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“..., გვ. 111.

² Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года... გვ. 29.

³ Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“..., გვ. 111.


⁴ იქვე, სურ. 65, 5.

⁵ Б. А. К у ф т и н, К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, გვ. 74, ტაბ. 11, 3, 6, სურ. 12, 2.

⁶ დ. ქო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ზღუდრის გვერდას კოკობთან ერთი ამავე ტიპის კურკელი, აღმოჩენილი ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანზე, სოფ. ქორეთში.

შედრეკილძირიანი კურკელი არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის მასალებში. შედრეკილი ძირი უპირატე-



სურ. 8. 1, 2, 3, 4, 5, 6.—თიხის კურკელი (ზღუდერი); 7, 8.—(დიდუბე).

სად შეიმჩნევა ძირვიწრო სასმისებზე და კოკობის ტიპის კურკლებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ქიულთეფეზე 1904 წ. ე. ლალიანცის მიერ აღმოჩენილი ვიწრო, შედრეკილძირიანი შეაპრიალა სასმისები, რომლებიც წინა მხრიდან „ჩალარულ-ამობურცული“ ორნამენტითაა შემკული¹. მსგავსი კურკელი

¹ Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“..., გვ. 93, სურ. 53.

(ამგვარივე ორნამენტით შემკული, შედრეკილი ვიწრო ძირით) აღმოაჩინა ბ. კუფტინმა ახილარის ციკლოპური ციხე-სიმაგრის ქვეშ, სოფ. ბეშთაშენთან¹.

შედრეკილძირიანი ტოლწა აღმოჩნდა ბარმაქსიზთან გათხრილ ენეოლითური ხანის სამარხში². ვიწრო, შედრეკილძირიანი ტოლწები, ზოგჯერ ორნამენტირებული, ცნობილია შენგავითის ენეოლითური ხანის ნაშთსახლარიდან³. ქვაცხელებზე ვიწრო, შედრეკილი ძირი შეინიშნებოდა პატარა ზომის თავისებური ტიპის სასამისებზე (სურ. 10, 3). ბ. ბრაუნის აზრით, ჩვენს ენეოლითურ კერამიკასთან ტიპობრივად ახლოს დგას გეთეფეს K პერიოდის ფენაში ნაპოვნი შედრეკილძირიანი ქურჭელი⁴.

ძირშედრეკილი ქურჭელი ჩრდილო კავკასიაში, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, ცნობილია მაიკოპისა და ძველი ლესკენის ყორღანებიდან⁵. თუმცა ამ ყორღანებში აღმოჩენილი ქურჭლის შესახებ უკანასკნელ ხანებში სპეციალურად იყო აღნიშნული, რომ მათ ძირი შედრეკილი არა აქვთ⁶.

ზღუდრის გვერდაზე აღმოჩნდა ერთი ჯამისებრი ცალყურა ქურჭელი, რომელსაც ძირი შედრეკილი ჰქონდა⁷ (სურ. 8, 4). ამ ტიპის შედრეკილძირიანი ქურჭელი ამიერკავკასიის ენეოლითური ხანის მასალებიდან მხოლოდ ერთია ცნობილი.— შრემ-ბლურიდან⁸. როგორც ჩანს, შედრეკილი ძირი, თუ არ ჩავთვლით ორ ჯამისებრ ქურჭელს, უმეტესად სასამისის ტიპის ქურჭლებს აქვს. დიდი ზომის ქურჭელი შედრეკილი ძირით ჩვენ მასალებში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. შესაძლოა შედრეკილი ძირი ამ ქურჭლებს ტექნიკური მიზეზებით უკეთდებოდა. აღსანიშნავია, რომ ძირშედრეკილი ქურჭელი წინა აზიაში გვხვდება საკმაოდ ადრე, ჰალაფის კერამიკაში⁹.

ზღუდრის გვერდას მსგავსი ცალყურა, ჯამისებრი ქურჭელი ცნობილია დიდუბიდან, ოღონდ მას ძირი უფრო ფართო აქვს¹⁰. ფორმით იგი თითქოს რაღაც მსგავსებას ამჟღავნებს კიკეთის ბადისებრ ქურჭლებთანაც. ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი სწორგვერდა ბადისებრი ქურჭლის ნატეხები უაზლოვდება კიკეთისა და გეთეფეს ამ ტიპის ქურჭლებს¹¹.

¹ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 93, სურ. 55.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Гримальти, გვ. 117, სურ. 126, ხ.

³ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 117, სურ. 71.

⁴ T. Burton Brown, დაახ. ნაშრომი. გვ. 43, სურ. 10, 449.

⁵ Е. И. Крупнов, Древнейший период истории Кабарды, Сборник по истории Кабарды, Нальчик, вып. I, 1952, გვ. 47.

Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, Москва, 1957, გვ. 50, 60.

⁶ Р. М. Мунчаев и В. И. Маркович, Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, СА, 2, Москва, 1953, გვ. 269.

⁷ Б. А. Куфтин, К проблеме неолита Внутренней Картли, გვ. 76, სურ. 12, 4.

⁸ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., სურ. 61, 4.

⁹ Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новейших раскопок, Москва, 1956, გვ. 175.

¹⁰ დ. ქარიძე, დაახ. ნაშრომი, ტაბ. III, 19.

¹¹ T. Burton Brown, დაახ. ნაშრომი, სურ. 10, 383.

აღსანიშნავია ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი მოზრდილი ქურქლების ფრაგმენტები¹ (სურ. 8, 1). ეს ბუცელგამობერილი და ფართოყელიანი (ყელი პირისაკენ რამდენადმე განივრდება) ქურქლები ძლიერ უახლოვდება საჩხერის ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილ დერგებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გადანატეხში კარგად ჩანს ქსოვილის ანაბეჭდი..

ქსოვილიანი კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა დიდუბეში², ქვაცხელებზე: ურბნისში — ხიზანაანთ გორაზე³. ქსოვილიანი კერამიკა ამიერკავკასიის ადრეული ხანის მასალებიდან ცნობილია მხოლოდ კილიგ-დაგიდან⁴ და სტეპანაკერტის კოლექტიური ყორღანებიდან⁵. ამ ტიპის კერამიკას ვხვდებით აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, დოლინსკოეს⁶ და ჯემიკენტის⁷ ნამოსახლარებზე. რაც შეეხება ა. ლუკინის მიერ კისტრიკის ნეოლითურ სადგომზე აღმოჩენილ ქსოვილიან კერამიკას, მისი მიკუთვნება ამავე პერიოდისათვის უკრუტობით მთლად გარკვეულად ვერ ხერხდება. გადაჭრით ამას არც თვით ა. ლუკინი ამტკიცებს⁸.

ამრიგად, კავკასიაში ქსოვილიანი კერამიკა გვხვდება ლითონის გამოჩენის ადრინდელ საფეხურზე, შემდეგში აქ იგი მაინცაღამაინც აღარ გავრცელებულა. ბრინჯაოს ხანის მიწურულში ამ ტიპის კერამიკა კვლავ გვხვდება. ოღონდ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ზღვისპირა რაიონ-

¹ Б. А. Кухтчи, К проблеме энеолита..., გვ. 24, ტაბ. II, 1, 2.

² დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, ტაბ. VI, 1, 2.

³ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

С. Наджмашвили, Памятники эпохи энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии (Тезисы доклада).

⁴ Я. И. Гуммель, Памятники древности в окрестностях Килик-дага, Изв. Аз. Ф. АН СССР, 2, Баку, 1941, გვ. 34, სურ. 6.

Я. И. Гуммель, Археологическая разведка на Килик-даге, Изв. Аз. Ф. АН СССР, т. 2, Баку, 1938.

⁵ Я. И. Гуммель, Из памятников материальной культуры древнего Азербайджана, ВДИ, Москва, 1940, № 1, გვ. 213.

Я. И. Гуммель, Раскопки в Нагорно-Карабахской автономной области в 1938 г., Изв. Аз. Ф. АН СССР, № 4, Баку, 1939, გვ. 88.

Я. И. Гуммель, Некоторые памятники ранне-бронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, вып. XX, М. — Л., 1948, გვ. 19.

К. Х. Кушиарова, Памятники медного века в Нагорном Карабахе, СА, т. XX, Москва, 1954, გვ. 178.

⁶ А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий, Долинское поселение у г. Нальчика, МИА, № 3, М. — Л., 1945, გვ. 191, ტაბ. X, 1, 2.

⁷ А. П. Круглов, Археологические работы на Северном Кавказе КСИИМК, V, М. — Л., 1941, გვ. 66.

А. П. Круглов, Северо-Восточный Кавказ во II — I тысячелетиях до н. э., МИА, 68, М. — Л., 1958, გვ. 39.

⁸ А. А. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, т. XII, Москва, 1953, გვ. 280.

ში (ოჩამჩირე¹, მოჭვი, სოხუმი² და სხვ.). ქსოვილიანმა კერამიკამ, ჩანს, ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდა.

ბ. კუფტინი ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი ენეოლითური მასალის განხილვისას ეხება ქსოვილიანი კერამიკის საკითხსაც. იმის გამო, რომ ამ ტიპის კერამიკა არ გვხვდება ირანსა, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, ბ. კუფტინი სვამს კითხვას, ხომ არ შეიძლება იგი ასიმეტრიული ისრის პირთან ერთად, რომელიც აგრეთვე უცხოა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისათვის, მივიჩნიოთ ჩრდილოეთიდან მომდინარე ტრადიციად³. ცნობილია, რომ ქსოვილიანი კერამიკა აღმოსავლეთ ევროპაში გვხვდება ნეოლითის პერიოდიდან, სადაც იგი ჩნდება, როგორც ამას ე. ბრიუსოვი აღნიშნავს. არა უგვიანეს მეორე ათასწლეულის დასაწყისისა⁴. საერთოდ ქსოვილიანმა კერამიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა ცენტრალური ევროპიდან მოკიდებული, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთამდე. ბ. კუფტინი, რომელსაც ამ კერამიკის გავრცელების ექსკურსი აქვს მოცემული, აღნიშნავს, რომ საკითხი ქსოვილიანი ჭურჭლის წარმომავლობის შესახებ მეტად რთულია. იგი ეძებს ერთ საერთო წყაროს, საიდანაც უნდა გავრცელებულიყო ეს კერამიკა, და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში კავკასიის ტერიტორიას შეეძლო გარკვეული როლი შეესრულებინა. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნავს ბ. კუფტინი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამგვარი კერამიკის აღმოჩენის ფაქტი ტუნისში, ალჟირში, საპარაში და სხვ., საიდანაც შესაძლოა იგი გავრცელდა სამხრეთ აზიის გზით შორეულ აღმოსავლეთში და მეორე გზით კავკასიაში⁵. აქ ბ. კუფტინი თითქოს ივიწყებს მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ამ კერამიკის ჩრდილოური ტრადიციების შესახებ. რამდენად სწორია ბ. კუფტინის მიერ წამოყენებული მოსაზრება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ბ. კუფტინის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით არ ეთანხმება დ. ქორიძე და საკმაოდ ვრცლად ჩერდება მისი დებულებების კრიტიკაზე. ზოგჯერ მისი კრიტიკა არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ ბუნებრივი იყო ავტორს ბ. კუფტინის ამ დებულებისათვის დაეპირისპირებინა თავისი მოსაზრება ჩვენში ქსოვილიანი კერამიკის გაჩენის შესახებ. სამწუხაროდ, იგი კმაყოფილდება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ კავკასიისა და კერძოდ თბილისის ენეოლითური მასალა ადგილობრივი წარმოშობისაა⁶.

¹ В. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 275, Л. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, Труды Абхазского научно-исслед. инст. яз. и истории, Сухуми, 1939, вып. XV, стр. 46.

² Л. Н. Соловьев, Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, стр. 265.

³ В. А. Куфтин, К проблеме энеолита..., стр. 78.

⁴ А. Я. Брюсов, Очерки по истории племен европейской части СССР в неолитическую эпоху, Москва, 1952, стр. 125.

⁵ А. Я. Брюсов, Текстильная керамика, СА, XIV, Москва, 1950, стр. 287.

⁶ В. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

⁷ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ქულბაქებზე აღმოჩნდა მოწითალო-მოყავისფრო თიხის ჭურჭლის სამი ფრაგმენტი, რომელზედაც შემორჩენილია რელიეფური ორნამენტის კვალი. დაზიანების გამო ვერ ხერხდება იმის თქმა, თუ რა ხასიათის ორნამენტი აქ მოცემული. საერთოდ კი ქულბაქებზე და მის მახლობლად მდებარე ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკა თითქმის სრულიად სადაა. აქ არ გვხვდება ამოკაწრული ან რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი. არსებული მასალის მიხედვით რელიეფური ორნამენტი შიდა ქართლის ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო. სრულიად არ ჩანს რელიეფური ორნამენტი დიდუბის, ზემო ავკალის, ნაცარგორისა და სხვ. კერამიკულ ნაწარმზე. თითო-ორი ფრაგმენტი რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლისა ცნობილია ქულბაქებიდან, ურბნისიდან¹ და ქვაცხელებიდან. რელიეფური ორნამენტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურებაა ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურისათვის. რელიეფური მოტივი, კერძოდ სპირალური ორნამენტი, სხვაგან აღრეული ხანის კერამიკაზე მაინც აღადამინც ცნობილი არ არის. ამ მხრივ საყურადღებოა ჩრდილო თესალიაში, რაკხმანში გვიანეოლითურ ფენაში აღმოჩენილი ერთი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც ყურთან რელიეფური სპირალი აქვს². სამხრეთ თესალიაში, ადგილ ცერელიაში ამ მოტივს ვხვდებით ნეოლითიდან მოკიდებული, მაგრამ უფრო ფართო გავრცელებას იგი პოლურობს ბრინჯაოს ხანაში³. რელიეფური ორნამენტის გამოჩენა ეგეოსის სამყაროში, როგორც ამას ბ. ბოუნი აღნიშნავს, დაკავშირებული უნდა იყოს აღმოსავლეთთან, სადაც ეს მოტივი ჩნდება სადა, გაპრიალეზულ კერამიკისთან ერთად⁴. რელიეფური ორნამენტიდან ჩვენში უფრო გავრცელებული ჩანს სპირალური მოტივები. ამათგან ყველაზე ხშირია სათვალისებრი სპირალი (ტაბ. VI, 1). შედარებით ნაკლებად გვხვდება ე. წ. ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული ჭურჭელი (ეს უკანასკნელი გამოირჩევა დახვეწილი ფორმით). გარდა ამისა გვხვდება, თუმცა იშვიათად, ფრინველებისა და ცხოველების რელიეფურად შესრულებული ფიგურები. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა გავრცელების თითქმის მთელ ტერიტორიაზე ინარჩუნებს თავისებურ დამახასიათებელ სახეს, და თუკი ამა თუ იმ ცალკეული ჯგუფების რაიმე განსხვავებულ თავისებურებაზე შეიძლება დღეს ლაპარაკი, ამაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ჭურჭლის შემკობის მოტივის ხასიათი. ამ გარემოებას აღრევე მიაქციეს ყურადღება. ცალკეული ძეგლების შესწავლისას, კერამიკის საერთო ხასიათთან ერთად, აშკარად შეინიშნებოდა განსხვავება ჭურჭლის ორნამენტის ხასიათში. განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ეს შენგავითისა და შრემ-ბლურის კერამიკის შესწავლის

¹ С. Надкмишвили, Памятники эпохи энеолита Внутренней Картии и Юго-Осетии (Тезисы доклада).

ო. ჯაფარიძე, დასბ. ნაშრომი, გვ. 24.


² A. Wace and M. Thompson, Prehistoric Thessaly, Cambridge, 1912, გვ. 28, სურ. 8a.

³ იქვე, გვ. 158, სურ. 101b.

⁴ T. Burton Brown, დასბ. ნაშრომი, გვ. 246, 247.

შედგებად. მაგრამ იმის გამო, რომ ენეოლითური კულტურა სათანადოდ შესწავლილი არ იყო, თითქმის ყველა თავს იკავებდა, გარკვეული ახსნა მოენახა ამ ფაქტისათვის. ბ. პიოტროვსკი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ შრეშბლური რიგი ნიშნებით უფრო ადრეული უნდა იყოს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ამ პერიოდის მასალის შესწავლის დღევანდელი დონე ამის დადგენის საშუალებას აძნელებს¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ენეოლითური კერამიკის შემკულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოტივია რელიეფური სპირალური ორნამენტი, განსაკუთრებით, სათვალისებრი სპირალი. ამ ტიპის ორნამენტი ყველაზე ხშირად გვხვდება თრიალეთისა და მის მახლობლად მდებარე ენეოლითურ სადგომებში. ბეშთაშენის ციკლოპური ციხის ტერიტორიაზე, თხრილთან ნაპოვნი იყო ერთი ქურკლის ფრაგმენტი სათვალისებრი სპირალით. ერთი ნატეხი მოზრდილი ქურკლისა, რომელზედაც შერჩენილი იყო ბრტყელი რელიეფური სპირალი, აღმოჩნდა ბეშთაშენის ციხის მახლობლად, აქემენიდური დროის სამაროვნის ტერიტორიაზე მიკვლეულ ენეოლითურ კერამიაში². ბეშთაშენის ენეოლითურ მასალებში გარდა აღნიშნული რელიეფური



სურ. 9. თიხის ქურკელი (ოხნი).

იშვიათი უნდა იყოს ამ პერიოდში. სხვა შემთხვევები ამგვარი ორნამენტის გამოვლენისა ამიერკავკასიის ენეოლითურ მასალაში ჩვენთვის უცნობია. მსგავსი ორნამენტი ცნობილია გეთეფეს X პერიოდის ფენაში აღმოჩენილ³ ერთ ქურკელზე³.

სპირალებისა, რელიეფური ორნამენტიდან ცნობილია ორთა რელიეფურად გამოყვანილი ნალისებრი ორნამენტი. ამგვარი ორნამენტით შემკული ქურკლის ერთი ნატეხი აღმოჩნდა თხრილთან, ზემოთ აღნიშნულ სათვალისებრი სპირალიანი ქურკლის ნატეხთან ერთად, მეორე კი — აქემენიდური დროის სამაროვნის ტერიტორიაზე (საველე დავთარში აღნიშნულია, როგორც სამარხი № 46). ნალისებურად გამოყვანილი რელიეფური ორნამენტი ჩვენში

¹ В. В. Пиотровский, Поселение медного века в Армении, СА, т. XI. М. — Л. 1949, № 175.

² В. А. Куптин, Археологические раскопки в Триалети. ტაბ. СХХ, В. А. Куптин, Урартский „жолумбарий“..., სურ. 55,6.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VI, 48.

მნიშვნელოვანი ენეოლითური მასალა აღმოაჩინა ბ. კუფტინმა 1947 — 1948 წწ. ზემო წალკაში, სოფ. ოზნში. აქაც, ბეშთაშენის მსგავსად, რამდენიმე ადგილას იჩინა თავი ენეოლითურმა ფენამ. გარდა ამისა, აქვე აღმოჩნდა ამავე პერიოდის სამაროვანი. უნდა შევნიშნოთ, რომ ოზნის ენეოლითურ მასალაში გამოვლინდა რელიეფური სათვალისებრი სპირალით შემკული ხუთამდე თიხის ქურქელი. ამთგან აღსანიშნავია მოზრდილი, დაახლოებით 1,0მ სიმაღლის ქურქელი, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე სათვალისებრი სპირალი აქვს. საინტერესოა აგრეთვე ერთი ქილა, რომლის ყელზე გამოსახულია ერთმანეთის აბრდაპირ მდგარი სირაქლემის მსგავსი რელიეფური ფიგურები, მუცლის ზედა ნაწილზე კი, ფიგურებს ქვემოთ, მოთავსებულია სათვალისებრი სპირალი¹ (სურ. 9; ტაბ. V, 5).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენში ენეოლითურ მასალაში რელიეფურ სპირალით შემკული ქურქელი ცნობილია კიკეთიდან. აქ ჯერ კიდევ ე. პჩელინამ აღმოაჩინა ერთი შავი ფერის მოზრდილი ქურქლის ნატეხი, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა რელიეფურად გამოყვანილი სათვალისებრი სპირალი² (ტაბ. VI, 1). 1948 წ. კიკეთში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ბ. კუფტინი. მან აქ მიაკვლია ენეოლითური ხანის სამაროვანს. გარდა სამაროვანისა, ბ. კუფტინმა ენეოლითური ხანის ფენა აღმოაჩინა კიკეთის ერთ-ერთი ხევის პირას. სწორედ ამ ფენაში იპოვა მან რელიეფური ორნამენტით, მათ შორის სათვალისებრი სპირალით შემკული რამდენიმე ქურქელი³. უნდა აღინიშნოს, რომ კიკეთის სამარხებში აღმოჩენილი კერამიკა სრულიად სადაა, უფრო უხეშია და ზედაპირი გაუპოვალებელი აქვს. ხევის პირას აღმოჩენილ კერამიკას, პირიქით, გაპოვალებული ზედაპირი აქვს, უკეთ ნაკეთებია და ორნამენტირებულიცაა; ფორმისა და დამუშავების მხრივ ახლოს დგას თრიალეთურ ქურქელთან. სამარხებში აღმოჩენილი ქურქელი საკმაოდ განსხვავდება თრიალეთის ენეოლითური კერამიკისაგან. აქ გვხვდება თავისებური ფორმის ბადიები, ცილინდრულყელიანი ქურქელი და სხვ. აქაური კერამიკა თითქოს უახლოვდება დიდუბის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილ თიხის ქურქელს.

რამდენიმე ფრაგმენტი რელიეფური სპირალური ორნამენტით შემკული ქურქლისა მიკვლეულია თეთრიწყაროს მახლობლად გათხრილი ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე.

ამგვარად, ამ პერიოდის მასალებში რელიეფური სპირალური ორნამენტი ჩვენში ცნობილია მხოლოდ თრიალეთის, კიკეთისა და თეთრიწყაროს ენეოლითური ხანის ძეგლებიდან. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სათვალისებრი სპირალური ორნამენტით შემკული ქურქელი ამიერკავკასიის ენეოლითურ ძეგლებში ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1893 წ. ნ. მარის მიერ

¹ Б. А. Купфин, Археологические раскопки 1947 г., стр. 30, таб. XXXV.

² Е. Г. Пчелина, Археологическая разведка в районе Трიაлетского хребта, Слав. гор. Тбилиси, საქ. საზ. მუზეუმის შთამბეჭ. ტ. V, თბილისი, 1930, გვ. 156.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. I, 5.

არაგაცთან გათხრილი სამარხიდან¹. სომხეთის ენეოლითური ხანის სხვა ნაშოსახლარებისათვის ამგვარი ორნამენტის მოტივი სრულიად უცნობია. კ. კუშნარიოვა აღნიშნავს, რომ ხაჩანაგეთის ყორღანში აღმოჩენილი ორნამენტაცია ახლო დგას ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელ რელიეფურ ორმაგ სპირალურ მოტივთან². მსგავსი ორმაგი სპირალური ორნამენტი მიკვლეულია ჩრდილო კავკასიაში, კაიაკენტის ენეოლითურ ნაშოსახლარზე³. რელიეფური სპირალური ორნამენტი ცნობილია აგრეთვე ლუგავოვს ენეოლითური ფენიდან⁴. რელიეფურად გამოყვანილი ორმაგი სპირალური ორნამენტი ჩანს გეთეფეს K პერიოდისა⁵ და ანატოლიის ამავე ხანის კრამიკაზე⁶.

არსებულ მასალებზე დაკვირვებიდან გამომდინარეობს, რომ ამიერკავკასიაში ენეოლითურ ხანაში რელიეფური ორმაგი სპირალური ორნამენტი, „სათვალისებრი სპირალი“, ყველაზე უფრო დამახასიათებელია თრიალეთსა და მის მომიჯნავე რაიონებში გავრცელებული ენეოლითური ხანის კულტურისათვის. შემდეგ ხანაში რელიეფური სათვალისებრი სპირალური ორნამენტი ჩვენში თითქოს აღარ ჩანს. საერთოდ მომდევნო პერიოდში სპირალური ორნამენტი მინცადამინც აღარ განვითარებულა. ბრინჯაოს ხანის მასალებში რელიეფური სპირალური ორნამენტი ცნობილია მხოლოდ ორი ადგილიდან: თრიალეთის „მწყანე ყორღანში“ აღრეული ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა რელიეფური სპირალური ორნამენტით შემკული ერთი შავპრიალა მოზრდილი ჭურჭელი⁷ და 1951 წ. საჩხერეში, ნაჩერქეზევის ყორღანის გათხრის დროს ბ. კუფტინმა № 2 და № 3 სამარხში იპოვა რელიეფური ორნამენტით შემკული ორი ჭურჭელი⁸. უნდა აღვნიშნოთ, რომ საჩხერის ორივე ჭურჭელს მართალია რამდენადმე განსხვავებული ხასიათის ორნამენტი აქვს, მაგრამ აქაც გვხვდება რელიეფური სპირალების მოტივი (ტაბ. X, 1; XI, 1). საერთოდ, რელიეფური ორნამენტი საჩხერის კერამიკისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. აქ უფრო ხშირად

¹ Н. Я. Марр, АНИ, М.—Л., 1934, таб. VII, 18.

² К. Х. Кушнарёва, Памятники медного века в Нигориюм Кариахе, СА, т. XX, Москва, 1954, გვ. 175.

³ А. П. Круглов, Северо-Восточный Кавказ во II—I тысячелетиях до н. э., МИА, № 68, Москва, 1958, გვ. 27.

Р. М. Мунчаев, Калкентское поселение и проблема Кавказского энеолита СА, т. XXII, Москва, 1955, გვ. 11.

Б. Б. Пиотровский, Новая страница древнейшей истории Кавказа. Изв. Ари. Фил. АН СССР, № I, Ереван, 1943, გვ. 58.

⁵ Е. И. Крупнов, Прикаспийская археологическая экспедиция, КСИМК, вып. 55, Москва, 1954, გვ. 99, სურ. 40, 4.

Б. И. Крупнов, Первые итоги изучения восточного Предкавказья. СА, № 2, Москва, 1957, გვ. 157.

⁶ Т. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

⁷ С. А. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, Anatolian Studies, vol. VIII, გვ. 167.

⁸ Б. А. Буфтия, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, ტაბ. XXV.

⁹ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92, ტაბ. XVIII, XIX.

გვხვდება ამოღარული ხაზებით შემკული ჭურჭელი. შუა ბრინჯაოს ხანაში. როგორც ჩანს, რელიეფური სპირალური მოტივი თითქმის ქრება. თუ არ ჩავთვლით თრიალეთის შედარებით ღარიბულ უორმოო № 9 და № 18 ყორღანებში აღმოჩენილ ჭურჭლებს და დმანისის რაიონში გათხრილ № 2 ყორღანში ნაპოვნ ერთ ჭურჭელს (ტაბ, VIII, 1). მაგრამ, როგორც თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა ბ. კუფტინმა, ეს მოტივი არ არის დამახასიათებელი ამ პერიოდის თრიალეთის ყორღანული კულტურისათვის და მიუთითებს მხოლოდ რაღაც ტრადიციულ კავშირზე წინამორბედ კერამიკასთან¹.

სპირალური ორნამენტი, რომელიც ამიერკავკასიის ენეოლითისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოტივია, სხვადასხვაგვარი ვარიანტებითაა წარმოდგენილი. თუ ჩვენში უპირატესად რელიეფური „სათვლისებრი“ სპირალური ორნამენტი გვხვდება, სომხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ ენეოლითური ხანის ძეგლებში სპირალური მოტივი ერთგვარად განსხვავებულ ხასიათს იღებს. აქაური კერამიკა ხასიათდება შესანიშნავად შესრულებული ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით, სადაც სპირალს აგრეთვე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ეს მოტივი განსაკუთრებით დამახასიათებელია ეჩჩიადინის რაიონში აღმოჩენილი ენეოლითური ხანის ნამოსახლარების კერამიკისათვის (შრეშ-ბლური, ქიულთეფე და სხვ.)². ამ სახის ორნამენტი ძირითადად მოთავსებულია ჭურჭლის მუცლის ცალ მხარეს. ასეთი წესით შემკული ჭურჭელი სომხეთის სხვა ენეოლითურ სადგომებშიც გვხვდება, მაგალითად, შენგავითის ნამოსახლარზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის ეს მოტივი ნაკლებადაა დამახასიათებელი. აქ უფრო გავრცელებული ყოფილა ამოკაწრული ორნამენტი³. ელარის კერამიკა, რომელიც ტიპობრივად უახლოვდება შრეშ-ბლურისა და შენგავითის კერამიკას, გამოირჩევა სისადავითა და ორნამენტის იშვიათად ხმარებით.

დაახლოებით ამგვარივე სურათი გვაქვს მალაქლუშიც⁴. სომხეთში ამ ტიპის ჭურჭელი გვხვდება აგრეთვე ლორეში, სოფ. ართვიში⁵. ამგვარი ორნამენტითაა შემკული სოფ. ფრანგნოცში აღმოჩენილი ოთხყურა ჭურჭელი⁶. რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა ტაფაროვანასტის ნაქალაქარზე⁷. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალაიანცის მიერ ნახიქევანის ქიულთეფეზე ნაპოვნი ორი ჭურჭელი⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ამ პერიოდის კერამიკაში ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული ჭურჭელი იშვიათია. ამ ტიპის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი იპოვა ბ. კუფტინმა თრიალეთში, ბეშთაშენის ციხე-

¹ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

² Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

Б. А. Куптин, Урартский „колумбарий“... გვ. 104.

³ Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

⁴ იქვე, გვ. 177.

⁵ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, ტაბ. XXVIII, 7, 8.

⁶ იქვე, გვ. 110, სურ. 64.

⁷ იქვე, გვ. 124, ტაბ. XXX, 5.

⁸ იქვე, გვ. 97.

სიმაგრის მოედანზე მიკვლეულ ენეოლითურ ფენაში¹. სოფ. ოზნში ჰიდრო-ელექტროსადგურის ტერიტორიაზე ენეოლითურ მასალაში აღმოჩნდა ერთი ფრაგმენტი თხელკედლიანი, შავპრიალა ჭურჭლისა, რომელიც შექმული იყო ჩალარულ-ამობურცული ორნამენტით. ერთი ნატეხი ასეთივე ჭურჭლისა ნაპოვნია ქვატხელების ენეოლითურ ნამოსახლარზე. დმანისში ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ანალოგიური ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი². ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელი ყოფილა ძირითადად კავკასიის ენეოლითური კულტურის უფრო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისათვის. შესაძლოა ამ ტიპის ჭურჭლისა იყოს ჰასანლუში აღმოჩენილი ერთი ნატეხი, რომელზედაც სპირალია შემორჩენილი³.

რელიეფური ორნამენტიდან, გარდა სპირალური ნოტივისა, ენეოლითურ ჭურჭელზე გვხვდება აგრეთვე რელიეფურად გამოყვანილი ცხოველური ორნამენტი. ეს მოტივი ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ საქართველოს ენეოლითური ძეგლებიდან. ჯერ კიდევ ე. პჩელინამ კიკეთში იპოვა მოზრდილი ფართოყელიანი ჭურჭელი, რომელზედაც ერთმანეთის პირდაპირ მდგარი სირაქლეძისებრი გამოსახულებებია მოცემული⁴ (ტაბ. VI, 2). ბ. კუფტინმა ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე 1948 წ. აღმოაჩინა მოწითალო ფერის ქილა, რომლის ყელზე გამოსახულია აგრეთვე ერთმანეთის პირდაპირ მდგარი სირაქლეძისებრი ფიგურები (სურ. 9; ტაბ. V, 5). ცხოველური რელიეფური ორნამენტი ცნობილია ამ პერიოდის შიდა ქართლის მასალაში. ქვატხელებზე ნაპოვნ ბრტყელ დისზე გამოსახულია ირემი. აქვე ნაპოვნია რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი ცხოველის რელიეფური გამოსახულებით, ეგებ აგრეთვე ირმისა. ირმის რქებისა და ფეხების გამოსახულება მოცემულია ურბნისში. ხიზანანთ გორაზე ნაპოვნ ჭურჭლის ფრაგმენტებზე⁵. როგორც ჩანს, ირემი უნდა იყოს გამოსახული ქულბაქების ფრაგმენტზედაც (სურ. 4, 1). საკნაოდ ნატურალისტური გამოსახულება ირმისა აღმოჩნდა გეთეფეს კერანიკაზე⁶. საყურადღებოა ის გარემოება, რომ გეთეფეს ამ ჭურჭელზე მოცემული ირმის ფეხების გამოსახულება თითქმის ისეთივეა, როგორიც ხიზანანთ გორაზე აღმოჩენილ ფრაგმენტებზე. ამრიგად, რელიეფური ცხოველური ორნამენტი სადღეისოდ ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითური ძეგლებიდან, უპირატესად კი შიდა ქართლიდან. სომხეთის ძეგლებიდან მსგავსი ორნამენტი ცნობილი ჯერჯერობით არ არის, თუ არ ჩავთვლით ერთი

¹ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 116, ტაბ. СХХ. Б. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“..., გვ. 107, სურ. 55. 5.

² იქვე, გვ. 124. ტაბ. ХХХ, 6.

³ А. Stein, დასახ. ნაშრომ., გვ. 391, ტაბ. ХХIV, 1.

⁴ Е. Г. П ч е л и н а, Археологическая разведка в районе Триалетского хр.-ста. близ г. Тбилиси, საქ. საბ. ნუხ. მოამბე, ტ. V. თბილისი, 1930, გვ. 159.

Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

⁵ ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁶ С. И. Н а д и м а ш в и л и, Памятники эпохи энеолита и Внутренней Картли в Юго-Осетии, Тезисы.

⁶ Т. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ხუფის ფრაგმენტს შენგავითიდან, რომელზედაც ფრინველის გამოსახულებაა ამოკვეთილი ¹.

მაშასადამე, შიდა ქართლის ენეოლითური ხანის კერამიკისათვის ნაკლებდამახასიათებელია რელიეფური ორნამენტი. სპირალური ორნამენტი საერთოდ უცხო ჩანს ამ მხარისათვის და არც რელიეფური ცხოველური ორნამენტი გავრცელებულა მაინცადამაინც. როგორც უკანასკნელი ხანების გათხრებიდან ირკვევა (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა), აქ ფართო გავრცელებას პოულობს ამოკაწრული ხაზებით შესრულებული ორნამენტი ². მაგრამ ეს მოტივიც სრულიად უცხოა ქულბაქების კერამიკისა და აგრეთვე შიდა ქართლის სხვა მასალებისათვის (ზემო ავჭალა, ტყვიავი, დიდუბე). რათა გამოწვეული ეს გავრცობა ჯერჯერობით ანელი სათქმელია. შესაძლოა ამ ძეგლებს შორის მართლაც იყოს ასაკობრივი განსხვავება. სობხეთშიც დაახლოებით იმგვარსავე სურათს ვხვდებით, როგორსაც ჩვენში. აქაც ძირითადი განსხვავება შეინიშნება ქურკლის ორნამენტაციაში. როგორც აღნიშნული გვექონდა, დაბლობში აღმოჩენილ ენეოლითურ ნამოსახლარებზე (შრეშბლური, ქიულთეფე და სხვ.) კერამიკის შექმობის იოტივი განსხვავდება მთისძირა რაიონების კერამიკის ორნამენტაციისაგან (მაგ., შენგავითი) ³. მთელა რიგი ენეოლითური ნამოსახლარებისათვის (ელარი, მალაქლე და სხვ.) ქურკლის შექმობა საერთოდ ნაკლებდამახასიათებელი ჩანს და კერამიკა უპირატესად სადაა ⁴. ნიშანდობლივია, რომ დაახლოებით ანალოგიური ფაქტი შეინიშნება ჩვენშიაც: მთიან რაიონში მიკვლეული ენეოლითური სადგომებისათვის დამახასიათებელია უპირატესად რელიეფური ორნამენტი შექმული კერამიკა (თრიალეთი, კიკეთი, თეთრიწყარო). დაბლობში, ქართლის ველზე მდებარე ენეოლითური ნამოსახლარებისათვის, პირიქით, დამახასიათებელი ჩანს ამოკაწრული ორნამენტი (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა). გვხვდება აგრეთვე ისეთი ენეოლითური ნამოსახლარები, სადაც თითქმის სრულიად სადა ქურკელია დამახასიათებელი (დიდუბე, ზემო ავჭალა, ტყვიავი. ქულბაქები). რითაა გამოწვეული ცალკეული ძეგლების ამგვარი თავისებურება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. შესაძლოა აქ ერთი კულტურის ლოკალურ ვარიანტებთან, ან ენეოლითის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან გვექონდეს საქმე ⁵. ეს გარემოება თავის დროზე ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ. მკვლევრებს, მაგრამ რაიმე გარკვეული დასკვნებისაგან თავს იკავებდნენ და კმაყოფილებოდნენ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნითა და სუსტი ვარაუდების გამოთქმით ⁶.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ენეოლითური კერამიკა ფართო ტერიტორიაზე ინარჩუნებს დამახასიათებელ სახეს, მის შიგნით მაინც შესაძლე-

¹ Б. Б. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

² С. И. Надимашвили, დასახ. ნაშრომი.

³ Б. Б. Пиотровский, დაახ. ნაშრომი, გვ. 175.

⁴ იქვე, გვ. 177, 178.

⁵ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

⁶ Б. А. Кухтия, Археологические раскопки в Триалети, გვ. 116.

Б. Б. Пиотровский, დაახ. ნაშრომი, გვ. 175.

ბელი ხდება ცალკეული ჯგუფების გამორჩევა. ერთგვაროვანი სახე ამ კულტურისა თანდათანობით ირღვევა და იწყება ლოკალური ვარიანტების გამოყოფა¹. ცნობილია, რომ ადრეულ საფეხურზე კერამიკა სხვა მასალასთან შედარებით უკეთ ავლენს ამა თუ იმ კულტურისა და მისი ლოკალური ვარიანტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას. იგი იძლევა მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს კულტურის წარმომავლობის, ურთიერთობისა და სხვ. საკითხების შესასწავლად. კერამიკული ნაწარმის დეტალურ შესწავლას მეტად საყურადღებო შედეგების მოცემა შეუძლია². ვფიქრობთ, რომ უპირველეს ყოვლისა გამოვლენილი და შესწავლილი უნდა იქნეს ის ცალკეული ჯგუფები (ვარიანტები), რომლებიც შეინიშნებიან ამ კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, საკუთრივ საქართველოში გამოვლენილ ენეოლითურ მასალაში შესაძლებელია რამდენიმე თავისებური ვარიანტის გამორჩევა, ძირითადად ქურჭლის ფორმებისა და ზოგჯერ მათი შემკობის ხასიათის მიხედვით. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი თვით ცალკეული ძეგლები. ამიტომაც ძნელია გარკვევით ლაპარაკი ამ ვარიანტებზე, მხოლოდ ზოგადად თუ ითქმის რაიმე. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ქულბაქების ენეოლითური კერამიკის თავისებური სახე, შევეცდებით შეძლებისდაგვარად დავახასიათოთ ის ცალკეული ჯგუფები, რომლებიც აშკარად შეინიშნება ჩვენს ენეოლითურ მასალებში.

შიდა ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი ნამოსახლარები—ქვაცხელები, ბიზანაანთ გორა და გულდაბერტყა თითქმის ერთგვაროვან კერამიკულ კომპლექსს გვიჩვენებს. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ არ გვხვდება ცილინდრულყელიანი ქურჭელი მხართან გარდატეხის ხაზით. რომელიც ესოდენ ხშირია დიდუბე-კიკეთის კერამიკაში. აქ როგორც მოზრდილი, ისე მომცრო ქურჭლისათვის ნიშანდობლივია გარდატეხის ხაზი ძირითადად მუცლის შუა ნაწილზე, სადაც წიბური იქმნება (სურ. 10, 1, 2). პირი ჩვეულებრივ გადაშლილია. ამ მხრივ იგი უფრო ახლო დგას საჩხერის, ძალინას და ნულის კერამიკასთან. როგორც ჩანს, ამავე ტიპისაა დაბლაგომის კერამიკაც³. ამ ქურჭელს რამდენადმე უახლოვდება აგრეთვე ბეშთაშენში კერასთან აღმოჩენილი დერგები, რომელთაც გარდატეხის ხაზი მუცლის შუა ნაწილში აქვთ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი ყელი ცილინდრული მოყვანილობისაა. მსგავსი ქურჭელი მოპოვებულია ოზნიდანაც (სურ. 15, 4; ტაბ. V, 9). აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კერამიკა თითქმის არ გვხვდება სომხეთის ენეოლითურ ნამოსახლარებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ოთხყურა ქურჭელს ფრანგნოციდან⁴. ნახიქვეანის ქიულთეფზე და ჩრდილო ანატოლიაში. რამდენიმე მსგავსი ქურჭელი, არამკვეთრი გარდატეხის ხაზით მუცლის შუა ნაწილში, ცნობილია გეთეფედან⁵.

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.


² F. Garstang, Prehistoric Mersin, გვ. 102.

³ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Кавказа, т. II, გვ. 131.

⁴ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“, გვ. 64.

⁵ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, ტაბ. VI, 449, სურ. 9.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპი ჭურჭლისა შიდა ქართლის ნამოსახლარებზე ბადიაა. მაგალითად, ქვაცხელებზე გვხვდება სხვადასხვა ზომის მეტად დახვეწილი ფორმის ბადიები (ტაბ. VIII, 4, 5). აქ აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭელი ყველაზე მეტად უახლოვდება ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებში აღმოჩენილ ბადიებს (საჩხერე, ნული, ძალინა და სხვ.). ახლოა მათთან აგრეთვე ქულბაქების, თრიალეთის და ტყვიავის ბადიებიც, მაგრამ ისინი მაინც გვიჩვენებენ ერთგვარ სხვაობას. მათ პირი მკვეთრად გადაშლილი არა აქვთ და საერთოდ არც ფორმის დახვეწილობა ჩანს იმდენად, როგორც ეს ქვაცხელებზე შეინიშნება. ყურები აქაურ ბადიებს უპირატესად მი-



სურ. 10. თიხის ჭურჭელი (ქვაცხელები).

ძერწილი აქვს მხართან და აღწევს პირს. თუმცა იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბადიას ყური მხარზე აზის. ამგვარივე სურათი გვაქვს სხვა ჭურჭლის შემთხვევაშიც. ტოლჩებზე, მოზრდილ ქილებზე ყური უპირატესად იწყება მხართან და აღწევს პირს. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ შიდა ქართლის ამ ნამოსახლარებზე მოპოვებულ კერამიკას ყურები უფრო გაშლილი აქვს, თუმცა ზოგჯერ გვხვდება პატარა ნახევარსფეროსებრი ყურებიც, ოღონდ ესენიც უფრო განვითარებულნი ჩანან. საყურადღებოა, რომ ამგვარი, შედარებით უფრო გაშლილი ყურები, რომლებიც გენეტიურად პატარა ნახევარსფეროსებრი ყურებთანაა დაკავშირებული, დამახასიათებ-

ბელი ჩანს დასავლეთ საქართველოსათვის, კერძოდ დაბლაგომსა¹ და საგვარჯილში გამოვლენილი ამ პერიოდის მასალისათვის. ვხვდებით მათ ამავე დროს საჩხერისა და ძალინას კურკლებზე². ქულბაქების ტოლჩებზე და ფართობირიან ქილებზედაც გვხვდება ზოგჯერ ამგვარი ყური (სურ. 2, 4, 6; სურ. 5, 1). ოზნის კურკელში მეტ-ნაკლებად გაშლილი ყური ჩანს ტოლჩებზე და ქილებზე (ტაბ. V). იშვიათია ამ ტიპის ყური დიდუბის მასალებში, სადაც მათ ვხვდებით აგრეთვე ტოლჩებზე და ფართობირიან ქილებზე³ (სურ. 11). თითქმის არ გვხვდება იგი კიკეთის კერამიკაზე, თუ არ ჩავთვლით № 6 სამარხში მოპოვებულ ერთ ტოლჩას, რომლის ყურიც იწყება მხართან და აღწევს პირს (ტაბ. VI, 6). რამდენიმე გაშლილყურიანი კურკელი ცნობილია გეთეფეშიც⁴ (ტაბ. IV, 6). ქილისმაგვარი კურკლები მსგავსი ყურით ნაპოვნი იყო ქიულთეფეს III ფენაში⁵. ეს კურკელი ახლო დგას ამ ტიპის ქილებთან შიდა ქართლიდან, როგორც ჩანს, ამგვარი ყური არ არის დამახასიათებელი სომხეთში და ანატოლიაში გამოვლენილი ამ დროის კერამიკისათვის. ამ მხარეებში ძირითადად გავრცელებული ყოფილა კლასიკური ფორმა ხახევარ-სფეროსებრი ყურებისა⁶.

ქართლის ველზე ამ უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი ნასოფლარების კერამიკის თავისებურებას, როგორც აღვნიშნავდით, შეადგენს ამოკაწრული ხაზებით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტი. ამ წესით შესრულებული ორნამენტი ქვაცხელებზე უკვე ძირა ფენიდან მოკიდებული ჩანს. ზედა ფენებში ეს მოტივი კიდევ უფრო ხშირი ხდება⁷. იგივე ორნამენტს ვხვდებით ხიზანაანთ ვორისა და გულდებერტყას კერამიკაზე. კურკლის შემკობის ეს წესი სრულიად უცხო ჩანს დიდუბის კერამიკისათვის. კიკეთში მიოლოდ ერთ კურკელზე ვხვდებით ამოღარულ ორფა ტეილ ხაზებს⁸. არც თორიალეთშია იგი მაინცადამაინც ცნობილი. აქ მიოლოდ რამდენიმე ნატეხია ნაპოვნი ამოკაწრული ორნამენტით შემკული. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეშთაშენში, თხრილთან ნაპოვნი კოჭობი, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე ამოკაწრული ხაზებით შესრულებული ორნამენტი შემოუყვება⁹. ამ ტიპის ორნამენტი დამახასიათებელია შენგავითის კერამიკისათვის¹⁰. გეთეფეზე ამოკაწრული ორნამენტის ერთადერთ სახეობას წარმოადგენს ჰადრაკის დაფისებრი მოტივი¹¹. შიდა ქართლის ენეოლითური კურკლისათვის დამახასიათებე-

¹ Б. А. Купфни, Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 136.

² ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XV, XVI.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 11, 5.

⁴ Т. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 958. ტაბ. VI, 449, სურ. 9, 8.

⁵ О. А. Абибулаев, Археологические раскопки в Кюль-Тепе, ტაბ. 29, 3.

⁶ С. А. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age;

გვ. 165.

⁷ ლ. დღონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁸ Б. А. Купфни, Урартский «волумбарий»..., გვ. 81, სურ. 47.

⁹ Б. А. Купфни, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. СХI IV, 4,

სურ. 116.

¹⁰ Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, გვ. 175.

¹¹ Т. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ლი ეს წესი ახლო ურთიერთობას ამტკიცებს მდ. ყვირილის ზემო წელზე მიკვლევულ ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილ კერამიკასთან (სურ. 39, 1, 2)¹.

შიდა ქართლის ნამოსახლარებზე მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ჩნდებოდა მოხატული კერამიკა. ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა, რამდენადაც ამ ტიპის კერამიკა ჩვენში ადრეული პერიოდისათვის არ არის დამახასიათებელი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ გულდაბერტყაზე შენობის მოხატული კედლებიც კი აღმოჩნდა². მოხატული კერამიკა ენეოლითური ხანის მასალაში ცნობილია თრიალეთიდან. ბეშთაშენში, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მოედანზე, მეორე და მესამე ფენის საზღვარზე ნაპოვნი იყო სამი ფრაგმენტი მოხატული ქურქლისა³. ოზში 1948 წლის გათხრების დროს აღმოჩნდა შავი საღებავით მოხატული მოზრდილი სამყურა ქურქელი (ტაბ. VII). აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში ქიულთეფეს მეთხე ფენაში აღმოჩენილი სამი ნატეხი მოხატული ქურქლისა, რაც ჯერჯერობით ამიერკავკასიაში ამ ტიპის კერამიკის გამოჩენის უადრესი შემთხვევა უნდა იყოს⁴. ა. იესენი ქიულთეფეს ამ ფენას უახლოვებს გეთეფეს M პერიოდს⁵. ამ დროს აქ ფართოდაა გავრცელებული მოხატული კერამიკა⁶. მაგრამ მომდევნო ხანაში, K პერიოდში მოხატული კერამიკა აქ მეტად იშვიათია⁷. აღმოსავლეთ ანატოლიაში, ელიაზიგ-მალათიის რაიონში, რომელიც, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის გავრცელების სფეროში შედიოდა, ს. ბერნეის მიხედვით, ადრებრინჯაოს ხანის III პერიოდში ჩნდება მოხატული კერამიკა. ეს ის პერიოდია, მისი აზრით, როდესაც თანდათანობით ისპობა ამ კულტურის ერთიანი სახე. მოხატული კერამიკის გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს აღმოსავლეთ ანატოლიაში დასავლურ-ანატოლიური გავლენის მომძლავრებასთან⁸.

წინა აზიასთან ურთიერთობის შედეგად შემოდის ალბათ ჩვენშიც მოხატული კერამიკა საკმაოდ ადრე, მაგრამ სათანადოდ ფეხს ვერ იკიდებს. ენეოლითური კულტურის ბოლო საფეხურზე შესაძლოა ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ძლიერდება და ეგებ ამიტომაცაა, რომ ზოგან, კერძოდ კი შიდა ქართლში, ერთგვარი გამოცოცხლება ეტყობა მოხატულ კერამიკას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება, შეინიშნება მთელი რიგი წინააზიური ფორმები ქურქლისა. ამბთგან პირველ რიგში

¹ ლ. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

² С. И. Надимашвили, Раскопки одного из древнейших поселений-городища на территории Внутренней Картли, Юго-Осетии. Триасти-Гудабертски-Цхегора в 1956, Тезисы.

³ Б. А. Куфтия, Археологические раскопки в Триасти, გვ. 112, ტაბ. СХХI.

⁴ О. А. Абибулаева, Раскопки холма Кюль-Тепе близ Нахичевана в 1955 г., გვ. 450, სურ. 15.

⁵ А. А. Иессон, Азербайджанская экспедиция в 1956 г., КСНИМК, вып. 78, Москва, 1959, გვ. 81.


⁶ Т. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

⁷ იქვე, გვ. 35.

⁸ С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

აღსანიშნავია ქუსლიანი ჭურჭლის გამოჩენა ქვაცხელებში¹, სქელძირიანი ჯამები ოზნიდან (სურ. 15, 8; ტაბ. V, 6) და დიდუბიდან² და სხვ. ამრიგად, შიდა ქართლში, ქართლის ველზე ამ პერიოდში მეტად მძლავრი ენეოლითური კულტურა არსებობს, რომელსაც თავისი გარკვეულად ჩამოყალიბებული სახე ემჩნევა.

შიდა ქართლის ამ ხანის ზოგიერთი ძეგლი მკვიდრო ურთიერთობას ამგვარენებს დიდუბე-კიკეთის ტიპის ძეგლებთან. ამ მხრივ საყურადღებოა ქარელის რაიონში, სოფ. დიდი ახალისოფლის მახლობლად ენეოლითური ხანის მასალაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი³. მოზრდილი დერგი, რომლის



სურ. 11 თიხის ჭურჭელი (დიდუბე).

ნაწილობრივ აღდგენა მოხერხდა, უახლოვდება კიკეთისა და ოზნის მოზრდილ ჭურჭლებს.

დიდუბისა და კიკეთის მასალებთან პოულობს ანალოგიას, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით, ზღუდრის გვერდაზე მოპოვებული მასალა. ახლო დგას აგრეთვე ამ ჯგუფის ძეგლებთან ტყვიავის ყორღანში აღმოჩენილი ქილა⁴. მაგრამ აქვე ნაპოვნი ბადიები იმავე ტიპისაა, როგორც ქულბაქებისა და ქვაცხელებ-ხიზანანთ გორისა. ქულბაქებსაც ქართლის ველის ნამოსახლარებთან ძირითადად ბადიები აახლოვებს, თორემ სხვა მხრივ ქულბაქების კერამიკული კომპლექსი ერთგვარად თავისებურ სახეს ატარებს. აქ


¹ ლ. დღონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

² Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Цахкинском районе, გვ. 32, ტაბ. XL. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, ტაბ. VII, 2.

³ თ. ჯათარძე და ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, სახ. მუხ. შოამბე, ტ. XV — B, თბილისი, 1948, გვ. 26.

⁴ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, 2.

არ გვხვდება ქვაცხელების ტიპის ჭურჭელი, რომელსაც გარდატეხის ხაზი ჩვეულებრივ მუცლის შუა ნაწილში აქვს. ამ მხრივ ქულბაქების კერამიკა თითქოს უფრო ახლო დგას დიდუბის ჭურჭელთან. მაგრამ ქულბაქების ჭურჭელს მხრიდან ყელზე გარდატეხის ხაზი, რომელიც აგრეთვე მუცლის ზედა ნაწილში აქვს, უფრო მკვეთრად ემჩნევა, ვიდრე დიდუბის ტიპის ჭურჭელს. დიდუბის კერამიკისაგან განსხვავებით, მათ ყელი შედარებით ვიწრო აქვთ და არც იმდენად ცილინდრული მოყვანილობისა. მხრიდან ყელზე გადასვლიან მანერით ქულბაქების ჭურჭელს უახლოვდება თრიალეთის ადრეული ჯგუფისა და სამგორის ყორღანებში აღმოჩენილი ერთი წყება ჭურჭლებისა




სურ. 12. სამგორის ყორღანი; 1, 5, 6 —თიხის ჭურჭელი; 2—სპილენძის სატვერის პირი; 3, 4—ქვის ცული.

(სურ. 12, 1), მაგრამ მათ ტანი ერთგვარად განსხვავებული აქვთ (უფრო სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ). შიდა ქართლის ნამოსახლარებზე გამოვლენილ კერამიკასთან ზოგიერთი საერთო ნიშნის მიუხედავად, ქულბაქების კერამიკული კომპლექსი მაინც განსხვავდება მისგან. მართალია თითქოს იგი მსგავსებას დიდუბის ტიპის კერამიკასთან იჩენს, მაგრამ განსხვავდება კიდეც

ამ უკანასკნელისაგან მთელი რიგი ნიშნებით, რაც მას თავისებურ სახეს სძენს. ამრიგად, შიდა ქართლში ცნობილი ენეოლითური ძეგლები მიუხედავად საერთო ხასიათისა, მაინც ინარჩუნებენ ერთგვარ თავისებურებას.

დიდუბის კერამიკული კომპლექსისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ჩვეულებრივად მაღალი, ფართო, ცილინდრული მოყვანილობის ყელი აქვს, მუცელი მრგვალია, არამკვეთრად გამოსახული (სურ. 11, ტაბ. IV, 1, 2, 3). მზრიდან ყელზე გადასვლის ადგილას საკმაოდ მკვეთრი გარდატეხის ხაზი იქმნება. ამ ადგილასაა ძირითადად მიძერწილი პატარა ნახევარსფეროსებრი ყური¹. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რამდენიმე ჭურჭელი, რომელთაც ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვთ მხართან, მეორე კი — პირს აღწევს (სურ. 11, 6). თავისებურია აქ



სურ. 13. თიხის ჭურჭელი (კიკეთი).

აღმოჩენილი ბადიის ტიპის ჭურჭელიც (სურ. 11, 8; ტაბ. IV, 4, 5). დიდუბის კომპლექსთან განსაკუთრებით ახლო დგას ზემო ავჭალაში შემთხვევით აღმოჩენილი ამ პერიოდის კერამიკა. ისიც სრულიად სადაა და ატარებს დიდუბის კერამიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს².

ბევრ საერთოს პოულობს დიდუბის კერამიკასთან კიკეთის ენეოლითური ხანის სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი. აქაც ხშირად გვხვდება ფართო, ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, მკვეთრი გარდატეხის ხაზით მხარ-

¹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

² Б. А. К у ф т и я, К проблеме знеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, გვ. 69; დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

თან¹ (სურ. 13, 1, 4; ტაბ. VI). მსგავსება შეიმჩნევა აგრეთვე ჯამებსა და ბადიის ტიპის ჭურჭელშიც. ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ამ ორ კერამიკულ კომპლექსს შორის ის არის, რომ კიკეთში გვხვდება რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის იმდენია საერთო, რომ შეიძლება ისინი, ზემო ავქალის მასალებთან ერთად, ერთ ჯგუფში მოვაქციოთ.

დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული ამ პერიოდის მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალაიანციის მიერ ნუხის რაიონში, სოფ. ნიჯში მოგვიანო ხანის მასალებთან ერთად აღმოჩენილი ერთი ჭურჭელი, რომელიც მეტად ახლო დგას დიდუბის ქილებთან². უახლოვდება ამ ჯგუფის კერამიკას, განსაკუთრებით ყელის მოყვანილობით (მაღალი, ფართო, ცილინდრული), ნახიქევანის ქიულთეფეს III ფენაში მოპოვებული ერთი წყება ჭურჭლისა, ოღონდ ტანის მოყვანილობით ისინი უთუოდ განსხვავებული ფორმისა არიან (ბუცელი უფრო გამობერილია, არ ემჩნევა მკვეთრი გარდატეხის ხაზი და სხვ.)³. რაც შეეხება IV ფენის კერამიკას, იგი შედარებით არქაულ იერს ატარებს, ვიდრე დიდუბისა და კიკეთისა. მაგრამ აქ აღმოჩენილ ბადიის ტიპის ჭურჭელთან გარკვეულ გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს დიდუბე-კიკეთის ჯანისებრი და ბადიისებრი ჭურჭელი. აქაც ყურების ნაცვლად გვხვდება სხვადასხვა ფორმის შეერილები, კოპები და სხვ.⁴.

სომხეთში მოპოვებული მასალებიდან აღსანიშნავია არმავირ-ბლურის კერამიკა. მას დიდუბისა და კიკეთის მასალასთან განსაკუთრებით აახლოებს ბადიისებრი ჭურჭელი⁵. ახლოს დგას მასთან აგრეთვე მაღაქლუს კერამიკაც, უპირატესად ფართო ცილინდრული ყელის მოყვანილობითა და გარდატეხის ხაზით⁶. კიკეთის № 4 სამარხის ჭურჭელს უახლოვდება ლალაიანციის მიერ სევანის ტბის მახლობლად, სოფ. ალიგრინში აღმოჩენილი სწორგვერდა ღრმა ჯამი⁷. გარკვეული მსგავსება ჩანს ელარის მასალებთანაც⁸. საყურადღებოა, რომ ეს ჯგუფი ნაკლებ ურთიერთობას ამჟღავნებს შრეშ-ბლურთან და შენგავითის ტიპის ძეგლებთან⁹.

დიდუბე-კიკეთის ჯგუფის კერამიკასთან ახლო დგას უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ ანატოლიაში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი, განსაკუთრებით ერნისში ნაპოვნი მასალა¹⁰ (სურ. 14, 1). აქაც გვხვდება ფართო, ცილინ-

¹ Б. А. Купфин, Урартский „колумбарий“..., გვ. 90.

² Б. А. Купфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 90, ტაბ. XXII, 3.

³ О. А. Абибулиев, Археологические раскопки в Кюль-Тепе, ტაბ. 27 — 29.

⁴ О. А. Абибулиев, Раскопки холма Кюль-Тепе близ Нахичевана в 1955 г.

გვ. 450.

⁵ Б. А. Купфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 92, სურ. 50.

⁶ იქვე, გვ. 90.

⁷ იქვე, გვ. 99, სურ. 54, 6.


⁸ იქვე, გვ. 102.

⁹ იქვე, გვ. 110.

¹⁰ С. А. Burnouy, დასახ. ნაშრომი, გვ. 179, სურ. 77 — 84.

დრულყელიანი ჭურჭელი მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი გარდატეხის ხაზით. ერთგვარი განსხვავება შეინიშნება მუცლის ფორმაში. დიდუბის ჭურჭელს მუცელი უფრო მრგვლოვანი აქვს. გარკვეული მსგავსება ჩანს აგრეთვე ვანის ოლქში აღმოჩენილ ამგვარ ჭურჭელთანაც¹ (სურ. 14, 2). ს. ბერნიე ამ ტიპის კერამიკას თავისი პერიოდიზაციის ადრებრინჯაოს ხანის II პერიოდში აქცევს². გეთეფეში ეს ფორმა ფართო, მაღალი, ცილინდრული ყელით მინცადამანიც არ ჩანს და მხოლოდ რამდენიმე ჭურჭელი შეიძლება მივუახლოვოთ ამ ჯგუფს³.

თრიალეთის მაღალმთიან ზოლში, წალკის პლატოზე ენეოლითური ხანის ძეგლები ცნობილია ორგან: ქვემო წალკაში, ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის მიდამოებში და ზედა წალკაში, სოფ. ოზნთან. თრიალეთური ძეგ-



სურ. 14. თიხის ჭურჭელი აღმოსავლეთ ანატოლიიდან: 1. ერნისიდან; 2. ვანის ოლქიდან; 3. გეთეფედან.

ლების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, როგორც ამას აღნიშნავდა ბ. კუფტინი ბეშთაშენის მასალების განხილვისას, რომ აქ გვხვდება რამდენიმე კერამიკული ტიპი, რომლებიც გამოირჩევიან ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში⁴. ბ. კუფტინმა ამ მასალაში სამი კერამიკული კომპლექსი გამოყო⁵. პირველი კომპლექსი მან დიდუბისა და კიკეთის ტიპის კერამიკას დაუახლოვა, მეორე კი სომხეთის ენეოლითურ ძეგლებში გამოვლენილ ჭურჭელს. მესამე კომპლექსში ბ. კუფტინმა გააერთიანა ქვედა კულტურული ფენის ზედა ნაწილში შეგროვილი კერამიკა: მონატული და ამოკაწრული ორნამენტით შემკული ფრაგმენტები⁶.

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 186. სურ. 85—86.

² იქვე, გვ. 186.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III, 958.

C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

⁴ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триплетти, გვ. 115.

Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“, გვ. 109.

⁵ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триплетти, გვ. 115.

⁶ იქვე, გვ. 115 — 116.

როგორც აღენიშნეთ, ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის მოედანზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა გამოირჩევა დამუშავების საკმაოდ მაღალი ტექნიკით. იგი ახლო დგას შიდა ქართლის ნამოსახლარებზე გამოვლენილ ქურქელთან. განსაკუთრებით აახლოვებს მათ ბადიები (ტაბ. III, 3). აღსანიშნავია აგრეთვე აქ ნაპოვნი ამოღარული ორნამენტით შემკული შავპირილა ჭურჭლის ორი ფრაგმენტი იმავე ტიპისა, როგორც დამახასიათებელი ჩანს სწორედ შიდა ქართლის ამ პერიოდის კერამიკისათვის. აქვე აღმოჩნდა „ჩაღარულ-ამობურცული“ ორნამენტით შემკული ერთი ქურჭლის ნატეხი, რაც, როგორც ეს ბ. კუფტინმა აღნიშნა, მათ შენგავითისა და შრემ-ბლურის კერამიკასთან ანათესავებს¹. ამრიგად, ზოედანზე აღმოჩენილი კომპლექსი უდავოდ ახლო დგას შიდა ქართლის ენეოლითურ კერამიკასთან.

სრულიად სხვაგვარ სურათს გვაძლევს კერასთან აღმოჩენილი ქურქელი. ამ მასალის განხილვისას ბ. კუფტინმა აღნიშნა, რომ იგი ღიღუბისა და კიკეთის კერამიკას უახლოვდება². მართლაც, როგორც ზემოთ აღენიშნავდით, ეს კერამიკული კომპლექსი უფრო ახლო დგას ღიღუბე-კიკეთის ჯგუფთან, თუმცა ქურქლის ტანის მოყვანილობის მხრივ ერთგვარი სხვაობაც შეინიშნება.

ამავე ციხის ტერიტორიაზე, თბრილთან გამოვლენილი კერამიკული მასალა ერთი მხრივ უახლოვდება კერასთან აღმოჩენილ ქურქელს, მეორეს მხრივ კი მოედანზე მოპოვებულ კერამიკას. აღსანიშნავია, რომ აქ გვხვდება როგორც რელიეფური სპირალით შემკული ქურქელი, ისე ამოკაწრული ნიშებით ორნამენტირებული კოჭობი.

რაც შეეხება ბარმაქისისა და ტაშ-ბაშის სამარხებში აღმოჩენილ ქურქელს, იგი უფრო ახლო დგას ღიღუბე-კიკეთის ტიპის კერამიკასთან³ (ტაბ. III, 5, 6). განსაკუთრებით უახლოვდება მათ ბადისებრი ქურქელი, კოჭობები და სხვ.

ბეშთაშენის მიდამოებში მიკვლეული მასალების თავისებური ხასიათი ვფიქრობთ იმით. არის გამოწვეული, რომ აქ საკმე უნდა გვეკონდეს, როგორც ეს უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, დროებით, სეზონურ სამოსახლოებთან. კერამიკული კომპლექსის ნაირი ხასიათი ეგებ იმის ანარეკლი იყოს, რომ აქ სხვადასხვა რაიონებიდან ამოდიოდა მოსახლეობა სეზონობით, შესაძლოა სხვადასხვა დროსაც.


რაც შეეხება ზემო წალკაში, სოფ. ოზნში აღმოჩენილ ამ პერიოდის მასალას, იგი შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ ოზნის სახით უნდა გვეკონდეს არა დროებითი სამოსახლო ადგილი, არამედ უკვე იმ დროის ძველი, როდესაც იწყება მაღალმთიანი რაიონების ათვისება და იქ პირველი სამოსახლოები ყალიბდება. როგორც ჩანს, აქ ენეოლითის პერიოდის საკმაოდ გვიანდელ საფეხურთან გვაქვს საქმე. ამაზე ჯერ კიდევ ბ. კუფტინი ნიუთითბ-

¹ Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Тrialeti, გვ. 116.

² იქვე, გვ. 115.

³ იქვე, გვ. 117.

და¹. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ლითონის ნივთების გამოჩენა, განსაკუთრებით კი მათი სამარხებში აღმოჩენა, უთუოდ ამისი ერთ-ერთი საბუთია. აქ აღმოჩენილი კერამიკა თავისი ხასიათით კიკეთის ჯგუფს უახლოვდება², თუმცა მასზე აშკარად უფრო განვითარებული ჩანს (სურ. 15; ტაბ. V). აქაც გვხვდება ფართოყელიანი ჭურჭელი, ზოგჯერ საკმაოდ დიდი ზომისა. განსაკუთრებით ახლოვებთ მათ ორნამენტის ხასიათი. გვხვდება სათვალისებრი სპირალი, სირაქლემისებური რელიეფური ფიგურები (სურ. 9) და სხვ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მაღალმთიანი ზოლი ძირითადად იმ ტომებს აუთვისებიათ, რომელთა შორისაც გაერცელებული ყოფილა დიდუბე-კიკეთის ტი-



სურ. 15. თიხის ჭურჭელი (ოხნი).

პის კერამიკა. თუმცა აქ გვხვდება, გაცილებით იშვიათად, მაგრამ მაინც, ისეთი ელემენტებიც, რომლებიც სხვა კერამიკული ჯგუფებისათვისაც არის დამახასიათებელი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1948 წ. მოპოვებული ერთი შავი ფერის ვარდისფერსარჩულიანი ორყურა ქილა, რომელიც ქვაცხელების ამ ტიპის ჭურჭელს უახლოვდება მუცელზე გარდატეხის ხაზით (სურ. 15, 4; ტაბ. V, 9). ზოგიერთი ჭურჭელი, განსაკუთრებით სამარხებში აღმოჩენილი,


¹ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1917 года..., გვ. 26.

² იქვე, გვ. 30.

ახლო დგას უკანასკნელ ხანებში ახალციხეში ამირანის გორაზე აღმოჩენილ კერამიკასთან¹ (ტაბ. V, 2, 7).

ამგვარად გამოიყურება ზოგადად სადღეისოდ ჩვენში ენეოლითური კულტურის შიგნით აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსები. რა თქმა უნდა, სათანადო შესწავლა ამ ხანის ცალკეული ძეგლებისა, განსაკუთრებით კი ბოლო დროს გამოვლენილი ნაწარმებისა, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ამ მეტად საყურადღებო საკითხების კვლევაში.

საინტერესოა ქულბაქებზე, ზღუდერზე და „კულო-ხომზე“ აღმოჩენილი ნრგვალი კერები. ქულბაქებზე მხოლოდ ერთი ამგვარი კარგად შენახული კერა აღმოჩნდა (ტაბ. I). ზღუდერზე და „კულო-ხომზე“ კერების მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები იყო ნაპოვნი (სურ. 16.). ქულბაქების კერა ძირისა-



სურ. 16. მრგვალი კერების ფრაგმენტები (კულო-ხომი).

კენ თანდათანობით ვიწროვდება. ძირი მას ბრტყელი არა აქვს, რითაც განსხვავდება ჩვენში ცნობილი სხვა ამ ტიპის კერებისაგან. თრიალეთის კერას კედლები რამდენადმე შიგნით დაქანებული, ძირი კი ბრტყელი აქვს². ასევე ბრტყელძირიანია ქვაცხელების კერებიც, რომელთაც გვერდითი კედლები ოდნავ დახრილი აქვთ. ბრტყელძირიანია თეთროწყაროს ენეოლითურ ნაწარმებისაგან აღმოჩენილი კერები. მათი გვერდითი კედლები თითქმის სავსებით სწორია. შენგავითში აღმოჩენილი ამ ტიპის კერაც ბრტყელძირიანია³. ქულბაქების კერას შიგნიდან სამი ქიმი აქვს. ორი მათგანი ჩვეულებრივია, გემის ცხვირის მაგვარი, მათ შორის კი, ბრტყელი, ორკაპა ქიმი. მსგავსი ქიმი სხვა ამგვარ კერებზე არ შეგვხვდრია. ქიმები აქაც, ისევე როგორც ქვაცხელების, თრიალეთის, შენგავითისა და სხვ. კერებზე, არათანაბრადაა განაწილებული. კერის ცალ გვერდზე ისინი უფრო ახლოა ერთმანეთთან. ჩვეუ-

¹ ტ. ჩუბინიშვილი, ახალციხის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქართველოში 1958 წ. წარმომავალი საეულე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბილისი, 1953, გვ. 10.

² Б. А. К у ш т и н, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. გვ. 28.

³ Е. Байбуртл я, Культурный очаг из раскопок Шингавитского поселения в 1936 — 1937 гг., ВДИ, 4, Москва, 1938, სურ. 1.

ლებრივად ამ ტიპის კერებს სამი ქიმი აქვს, თუმც კვაცხელებზე აღმოჩნდა ისეთი კერებიც, რომელთაც ზუთამდე ქიმი ჰქონია. შენგავითის ერთ კერას, შედარებით მომცრო ზომისას, ოთხი ქიმი ჰქონდა¹. როგორც ჩანს, სწორედ ამ ქიმებზე იდგებოდა ზემოდან ქურჭელი. ქურჭელი იმგვარად თავსდებოდა კერაზე, რომ იგი უფრო ახლო იყო კერის ცალ გვერდთან, ნეორე გვერდი კი შედარებით თავისუფალი უნდა ყოფილიყო.

ჩვეულებრივად გვხვდება ორი ტიპის ამგვარი კერები. ერთი, რომელსაც გარეთა პირი ხაოიანი აქვს, პირდაპირ მიწაში იდგებოდა, მეორე — გაპრიალებული გარეთა პირით, ჩანს, გადასატანი კერა ყოფილა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში თანანედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დაახლოებით ამგვარივე სურათი ჩანს. კერა გვხვდება ან ზედაპირზე გამართული, ანდა საცეცხლე ორმოში. პირველი უპირატესად გავრცელებულა იქ, სადაც ცეცხლი მუდმივად არ ანთია ხოლმე: დროებით საცხოვრებელ ადგილას, აგრეთვე საკულტო ნაგებობებში². სხვა შემთხვევებში ცეცხლის დასანთები ადგილი ძირითადად ორმოა. ეს მოვლენა დამახასიათებელი ჩანს საერთოდ ქართველი ტომებისათვის³. თუ როგორი გარეთა პირი ჰქონდა ქულბაქების კერას, ძნელი სათქმელია იმის გამო, რომ იგი მთლიანად თაბაშირშია ჩამჯდარი. ვერც ზღუდერზე ნაპოვნი კერის შესახებ ვიტყვიტ რამეს, რადგანაც აქ მხოლოდ ქიმები იყო შემორჩენილი. „კულო-ხომზე“ აღმოჩენილი ზოგი მომცრო ზომის კერა, ჩანს, გადასატანი ყოფილა. კვაცხელების კერები, რომლებიც ჩვეულებრივად საცხოვრებლის შუა ადგილას იდგა, ყველა მიწაში იდგებოდა. მათი გარეთა პირი თითქმის დაუმუშავებელია. ამავე ტიპისაა აგრეთვე ოზნის კერებიც⁴. შენგავითის კერებს ზედაპირი კარგად დამუშავებული ჰქონდა და, როგორც ჩანს, მიწის ზემოთ იდგებოდა⁵.

ქულბაქების კერის დიამეტრი 0,6 მ აღწევს. დაახლოებით ამავე დიამეტრისაა ოზნის კერაც⁶. რამდენადმე უფრო პატარაა თეთრიწყაროს კერები. კვაცხელების კერები სხვადასხვა დიამეტრისაა. ყველაზე დიდი კერის დიამეტრი აქ 1,0 მ-მდე აღწევს. დაახლოებით ამავე დიამეტრისაა შენგავითის მოზრდილი კერაც⁷. 0,82 მ დიამეტრისაა ოთხქიმიანი კერა გულდაბერტყადან. სიმაღლე ქულბაქების კერისა 22,5 სმ-ია. რამდენადმე უფრო მაღალია ოზნის კერა (25 სმ)⁸. ამავე სიმაღლისაა აგრეთვე შენგავითის კერაც⁹.

¹ Е. Байбуртян, Кузтовый очаг из раскопок Шингавитского поселения в 1936—1937 гг., ВДИ, 4, Москва, 1938, зб. 257.

² მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 57.

³ იქვე, გვ. 58.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁵ Е. Байбуртян, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁷ იქვე, გვ. 28.

⁸ Е. Байбуртян, დასახ. ნაშრომი, სურ. 1.

⁹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁹ Е. Байбуртян, დასახ. ნაშრომი, სურ. 1.

თეთრიწყაროს კერა, რომელიც დიამეტრით უფრო პატარაა, საკმაოდ ღრწაა (25 სმ.). ქვაცხელების კერები კი უფრო დაბალია (15 სმ.). ზოგ კერებს პირი ძლიერ გადაშლილი აქვს. ამგვარი კერები გვხვდება ქვაცხელებზე და თეთრიწყაროში. ქულბაქების კერას კი პირი შესქელებული აქვს. ასეთივეა ოზნის კერა და შენგავითის კერები.

უნდა შევნიშნოთ. რომ ჩვენში აღმოჩენილი კერები ყველა სადაა. ენგავითში ნაპოვნ კერებს ქიმებზე და პირზე რელიეფური ორნამენტი ჰქონდა. გარდა ამისა, ამ კერებს გარედან ტიპიური, ენეოლითური ნახევარსფეროსებრი ყურები ასხია¹. მსგავსი კერები, ოღონდ უფრო ზემოთ აწეული ქიმებით, ნაპოვნია კარაჯში, ერზერუმის მახლობლად².

თეთრიწყაროს ენეოლითურ ნამოსახლარზე, ქვაცხელებზე და გულდაბერტყაზე ეხლახან აღმოჩენილი ზოგი კერა იმითაა საყურადღებო, რომ მათ ფსკერზე ნახვრეტი აქვთ. თეთრიწყაროს ვახვრეტილძირიანი შედარებით პატარა ზომის კერა, ბადისებრი ფორმისაა. ნახვრეტი მას ძირის შუა ნაწილში აქვს. ქვაცხელების კერა ჩვეულებრივი ზომისაა. მას ნახვრეტი კიდესთან აქვს. შესაძლოა კერის ქიმზე მოთავსებული ნახვრეტი საბერველის როლს ასრულებდა. გულდაბერტყას მოზრდილ ოთქიმიან კერასაც ერთ-ერთი ქიმის ქვეშ ნახვრეტი აქვს³. ამგვარივე ნახვრეტი უნდა ჰქონოდა ერთ-ერთ კერას კარაჯიდან⁴.

მრგვალი კერა, როგორც ჩანს, საცხოვრებლის ცენტრალურ ნაწილში იდგა. ქვაცხელებზე, სადაც რამდენიმე საცხოვრებელი გამოვლინდა, კერა ყველგან საცხოვრებლის ცენტრალურ ნაწილში იდგა. თეთრიწყაროს ენეოლითურ ნამოსახლარზე კერა მოთავსებული იყო მრგვალი შენობის ცენტრში. მრგვალი შენობის ცენტრში აღმოჩნდა ამ ტიპის კერები შენგავითშიც⁵. ქულბაქებზე, ზღუდრის ბორცვზე და „ქულო-ხომზე“, როგორც აღნიშნული გვქონდა, საცხოვრებლის ნაშთი არ აღმოჩენილა და ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ სად და როგორ იდგა ეს კერები. საფიქრებელია, რომ კერები აქაც საცხოვრებლის ცენტრალურ ნაწილში იდგა. ამას ისიც უქერს მხარს, რომ ქულბაქებზე კერის ირგვლივ აღმოჩნდა დაწყობილი ქურჭელი და კერაც თითქოს ცენტრში იდგა. თრიალეთში ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი კერა საცხოვრებელთან დაკავშირებული არ იყო. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ კერა აღმოჩნდა ოვალური ქვის ყორის გარეთ, რომელსაც იგი მრგვალი საცხოვრებლის ნაშთად მიიჩნევს. ამ მოსაზრებას იგი იმითაც ამაგრებს, რომ აქ მრგვალი კერა აღმოჩნდა, რომელიც მისი აზრით უთუოდ მრგვალი ტიპის

¹ E. Байбуртлн. დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

B. A. Куптин. Урартский „колушбарни“ у подноши Арарата., გვ. 1:5.

² W. Lamb, The Culture of North—East Anatolia and its Neighbours, გვ. 23.

³ С. И. Надимашвили, Раскопки одного из древнейших поселений городищ на территории Внутренней Картли и Юго-Осетии, Триаleti, Гудабертка-Цихогора в 1956 г., тезисы.

⁴ W. Lamb. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

⁵ E. Байбуртлн, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

საცხოვრებელთან უნდა იყოს დაკავშირებული¹. საცხოვრებელში მრგვალი, კერის მოთავსება, ჩანს, საკმაოდ გავრცელებული წესი უნდა ყოფილიყო. ტროა II დიდი მეგარონის შუა ნაწილში იდგა მუდმივი მრგვალი კერა².

რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს კერები, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პირველი აღმოჩენი ე. ბაიბურთიანი მათ მხოლოდ საკულტო კერებად მიიჩნევდა³. მისი აზრით სამეურნეო დანიშნულებასა უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ქვებისაგან შემდგარი ის უბრალო ტიპი კერისა, რომელიც სწორკუთხა შენობაში აღმოჩნდა. ერთ-ერთ მრგვალ საცხოვრებელში მრგვალი კერის მოდელების ორი ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტი ე. ბაიბურთიანს კერის კულტის დამადასტურებლად მიაჩნია. ამ დებულების გასამაგრებლად მას სათანადო ეთნოგრაფიული მონაცემებიც მოაქვს⁴.

შენგავითის კერების განხილვისას ბ. კუფტინი ეხება მათი დანიშნულების საკითხსაც. მისი აზრით, იმის განო, რომ თითქმის ყველა საცხოვრებლის ცენტრში გვხვდება მრგვალი კერა, მას ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა და არა საკულტო. თუმცა შესაძლოა მათ საკულტო-ღაც იყენებდნენ, როგორც ამას დღესაც ვხვდებით ვანში, სადაც უბრალო ხახლის კერა ამავე დროს საკულტოს როლსაც ასრულებს⁵. კერის ორმხრივი უუნქცია, სამეურნეო და საკულტო, კარგად ჩანს საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ, რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში და ახვ.⁶ აქ კერა ჩვეულებრივ საცხოვრებლის ცენტრალურ ნაწილში დგას. ზოგჯერ კერა შემკულია სხვადასხვა, ასტრალური ხასიათის ანდა ცხოველური ორნამენტით⁷. როგორც ჩანს, ეს გამოსახულებანი და ორნამენტები უკავშირდებიან კერის კულტს. ამიტომაც, ვფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ კერა ერთდროულად მატარებელი იყო როგორც საკულტო, ისე სამეურნეო ფუნქციისა.

საყურადღებოა „კულო-ხოშე“ აღმოჩენილი შედარებით პატარა ზომის კერის ფრაგმენტები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი შედარებით მოზრდილი ნატეხი კერისა, რომელსაც შიდა და გარე პირი წითელპრიალა აქვს. მსგავსი კერა აღმოჩნდა ქვაცხელებზე. რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა ამ პატარა კერებს ძნელი სათქმელია, შესაძლოა, მათ მართლაც რაიმე საკულტო ფუნქცია ეკისრათ. ნიშანდობლივია, რომ მომცრო ზომის

¹ В. А. К у ф т и н. Археологические раскопки 1947 года..., გვ. 28.

² А. Г о т з е. დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

Всеобщая история архитектуры, Москва, 1958, გვ. 76.

³ Е. Б а и б у р т я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

⁴ იქვე, გვ. 258. 259.

⁵ В. А. К у ф т и н, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата... გვ. 115.

⁶ მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1953, ხელნაწერი, გვ. 171.

მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანური სახლის აყარი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—B, თბილისი, 1957, გვ. 306.

⁷ მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 306.

გ. ჩ ი ტ ა ი ა, სიცოცხლის მის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941, გვ. 310.

კერები აქ ერთ ადგილას აღმოჩნდა თხატკებნილი კერის მახლობლად. ქვა-ცხელებზედაც, სადაც, როგორც წესი, საცხოვრებლის ცენტრში ერთი მრგვალი კერა იდგა, ზოგან აღმოჩნდა აგრეთვე მომცრო ზომის კერების ნატეიგებიც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შენგავითის ენეოლითური ნამოსახლარის ერთ-ერთ საცხოვრებელში აღმოჩნდა ორი კერის მოდელის ნატეიგი. ამგვარი კერის კარგად შენახული პატარა მოდელი ნაპოვნი იყო დიდუბის ნამოსახლარზე¹.

უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში გამოვლენილია ერთგვარად განსხვავებული ტიპის მრგვალი კერა. გარეგნულად იგი ჩვეულებრივ მრგვალ კერას მოგვაგონებს, ოღონდ შიგნიდან ქიმები არა აქვს. მსგავსი კერები ნაპოვნია ქიულთეფეზე², ამირანის გორაზე და ერთი ცალი თეთრიწყაროს ნამოსახლარზე.

«კულო-ხომზე» კერის მახლობლად აღმოჩნდა რქისებრი სადგარი. სამწუხაროდ, იგი ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ ზედა ნაწილია ნაწილობრივ შემორჩენილი³ (სურ. 4, 4). სადგარის რქები შიგნითაა შეწეული, სახე სრულიად არ არის გამოსახული. როგორი უნდა ყოფილიყო ამ სადგარის ქვედა ნაწილი ძნელი სათქმელია. შესაძლოა მას ბრტყელი ძირი ჰქონდა შუაში ნახვრეტი და ვერტიკალურ სადგარს წარმოადგენდა. ზუსტად ამგვარი სადგარი სადღესოდ არსებულ ამ პერიოდის მასალებში ჩვენთვის უცნობია. ეს რქისებრი სადგარი რახლოვდება ნუცში იორგან-თეფეს ვახანისას აღმოჩენილ ვერტიკალურ რქიან სადგარებს, ოღონდ ნუცის სადგარებს უფრო წახნავოვანი ტანი აქვთ, ვიდრე ჩვენსას⁴. თითქოს უფრო ახლო კულბაქების სადგართან დგას თეფე გავრას რქიანი სადგარები, ომელთა შვიდი ეგზემპლარი აღმოჩნდა VIII, VII და VI ფენებში. ისინი აქ ძირითადად ტაძარში გვხვდება, ამიტომაც მათ რიტუალური ხასიათი მიაწერეს⁵.

საერთოდ სხვადასხვა ფორმის რქისებრი სადგარები ამიერკავკასიის ენეოლითისათვის კარგადაა ცნობილი. ზემო ავქალის ენეოლითური ხანის მასალაში სხვადასხვა ტიპის სადგარებს შორის აღმოჩნდა ორი ბრტყელი სადგარი, ომელთაც ცალ ბოლოზე ორი რქისებრი შეერდილი აქვთ⁶ (სურ. 17, 5). მსგავსი ბრტყელი სადგარები, ოღონდ უფრო წახნავოვანი, მრავლად აღმოჩენილი ნახიქევანის ქიულთეფეზე. ზოგ მათგანს შუაზე ნახევარსფეროსებრი ყური აქვს. ამგვარი სადგარი, ოღონდ უფრო დიდი ზომისა, აღმოჩნდა აგრეთვე შენგავითშიაც.

ფორმით ამ ტიპის სადგარებთან ახლო დგას კილიკიაში, მერსინის ბორცვზე გვიანხალკოლითურ ფენებში აღმოჩენილი სადგარები⁷. განსაკუთრებ-

¹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, ტაბ. X.

² O. A. Агибужаев, Первые итоги раскопок Кюльтепе, გვ. 90, ტაბ. VI, 2.

³ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, ტაბ. V₁₁.

⁴ R. Starr, Nuzi, Report on the excavation at Jorgan Tepe, near Kirkuk, vol. I, Cambridge-Massachusetts, 1938, გვ. 443, ტაბ. 118, A. B.

⁵ E. Speiser, Excavations at Tepe Gawra, vol. I, გვ. 73, ტაბ. LXXX, 3, 7.

⁶ Б. А. Куфтия, К проблеме энеолита Внутренней Картли..., გვ. 69, ტაბ. 1₁₁.

⁷ J. Garstang, Prehistoric Mersin. Yumuk Tepe in southern Turkey, Oxford, 1953, გვ. 156, სურ. 90 და 106.

ბიო უახლოვდებიან ისინი ქიულთეფეს ტიპებს. ამათაც შუაზე მოზრდილი ყური აზით. ამავე ტიპის უნდა იყოს ბეისესულთანის II ფენის სახლებში აღმოჩენილი სადგარები¹. უახლოვდება მათ აგრეთვე რქიანი სადგარი შუაში ნახურეთით ჩრდ. თესალიიდან, რაკხმანიდან, სადაც იგი აღმოჩნდა ენეოლითურ ფენაში².

საყურადღებოა შრეშ-ბლურში აღმოჩენილი სტილიზებული მასიური ფიგურა. მსგავსი სტილიზებული ქანდაკება ხარისა აღმოჩნდა ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე 1948 წელს. ორივე სადგარზე, ჩვენი სადგარის მსგავსად, მხოლოდ რქები არის მკვეთრად გამოსახული, ხარის თავი გამოყვანილი არ არის³. რქისებრი შვერილები აქვს ე. კრუშნოვის მიერ აღმოჩენილ სადგარებს ლუგოვოვსთან⁴. რამდენადმე უახლოვდება ამ სადგარებს დოლინსკოეს ნამოსახლარზე ნაპოვნი ე. წ. „რქიანი აგურები“⁵.

ამრიგად, ხარის სტილიზებული გამოსახულება, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა რქისებრი შვერილით, კარგად იყო ცნობილი კავკასიის ენეოლითურ კულტურაში. ზემოაღვალის რქიანი სადგარების განხილვისას ბ. კუფტინი მათ ხარის კულტს უკავშირებს. მას სათანადო პარალელური მასალა მოაქვს კრეტა-მიკენის კულტურიდან და წინა აზიიდან⁶. როგორც ცნობილია, სადაც იგი უკვე ნეოლითიდან მოკიდებული ჩანს, თითქმის მთელი კულტურის მანძილზე, ვიდრე გვიანმინოსურ პერიოდამდე⁷. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი კრეტაზე აღმოჩენილ ე. წ. „რქიან სამსხვერპლოებს“ უკავშირებს დიდი დედის კულტს, ხედავს რა რქისებრი შვერილებში ზეაპრობილ ხელებს⁸. ზოგი კი იმასაც აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური მასალა არ იძლევა საფუძველს კრეტაზე ხარი კულტის საგნად მიიჩნიოთ⁹. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. რომ რქისებრი შვერილებში მართლაც ხარის თავის გამოსახულება იგულისხმება ეს კარგად ჩანს კვიპროსზე აღმოჩენილ ერთ მიკენურ ვაზაზე მოცემულ გამოსახულებაზე. ვაზაზე გამოხატულია ორი ხარის თავი; რქებს შუა

¹ S. Lloyd, and J. Mellaart, Beycesultan Excavations, Anatolian Studies, vol. V, London, 1955, გვ. 44: ტაბ. IV в.

² A. Wace und M. Thompson, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, სურ. 19.

³ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 105, სურ. 59.

⁴ Е. Н. Крушов, Прикаспийская археологическая энциклопедия. КСИМК, вып. 55. Москва, 1954, გვ. 99, სურ. 40, 5, 6.

⁵ А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий, Долиняское поселение у г. Пальчик, МИА, № 3, გვ. 171. ტაბ. III.

⁶ Б. А. Куфтин, К проблеме энцефалита..., გვ. 70.

⁷ A. Evans, The Palace of Minos, vol. II, Part I, London, 1928, გვ. 332, სურ. 189.

J. Dechelette, Manuel d'archéologie préhistorique celtique et gallo-romaine. II, Paris, 1910, გვ. 475.

⁸ Р. Диктенберг, Донсторицкая Греция. С. — Петербург, 1913, გვ. 133. ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, გვ. 13.

⁹ Д. Пендлберг, Археология Крита, Москва, 1950, გვ. 294.

ორნაგი ცულია მოთავსებული. ხარის თავებს შორის დგას რქიანი სადგარი, რომლის ზემოთაც შუაზე აგრეთვე ორნაგი ცულია გამოსახული¹. ამისათვის თავის დროზე სათანადო ყურადღება მიუქცევია ა. ევანს. მან რქიან სადგარში, რომელსაც „რქიანი საკურთხეველი“ უწოდა, ხარის თავის გამოსახულება დაინახა². რ. დუსოს აზრით, ეს მაგალითი საკმარისია იმისათვის, რომ რქიან სადგარში ხარის შემოკლებული გამოსახულება დავინახოთ. მთავარი ღვთაებრივი ძალა წმინდა ცხოველისა ჩანს რქებში იყო³. თუმცა ზოგიერთი ავტორი არ იზიარებს ამ მოსაზრებას⁴. მაგრამ ვფიქრობთ, რქიან სადგარებში მართლაც ხარის სტილიზებული გამოხატულება უნდა ვიგულისხმოთ.

მკვლევართა უმრავლესობა რქისებრ გამოსახულებიან სადგარებს კულტს უკავშირებს⁵. ვ. გაროდცოვმა კაშირის ნაქალაქარის გათხრისას რამდენიმე რქისებრი სადგარი აღმოაჩინა, რომლებსაც მან „რქისებრი აგური“ უწოდა. ამ ნივთების დანიშნულების გარკვევისას მკვლევარს პარალელური მასალები მოაქვს და უფრო იმ აზრისაა, რომ ეს სადგარები საკულტო დანიშნულები-სა უნდა ყოფილიყო⁶. ნიშანდობლივია, რომ უკვე შევიცარის ხიმინჯიან სახლებში აღმოჩენილ რქიან სადგარებს საკულტო დანიშნულება მიაწერეს⁷. ფ. კელერმა ისინი თავის დროზე მთავარის გამოსახულებას თუ რქიან ღვთაებებს დაუკავშირა⁸. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტიპის სადგარებს უფრო პრაქტიკულ დანიშნულებას მიაწერს (კერის სადგარი, საშამფურე სადგარი და სხვ.⁹). იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ე. კრუგლოვი და გ. პოდგაეცკი დოლინსკოეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი სადგარების შესახებ. ისინი „რქიან აგურებს“ საცხოვრებლის კერას უკავშირებენ, სადაც თითქოს ეს სადგარები საშამფურის როლს ასრულებდა¹⁰. ამ მოსაზრებას საყვარელი იზიარებს ბ. კუფტინი¹¹. იგი ზოგიერთ რქიან სადგარს კულტს უკავშირებს, ზოგს კი წმინდა პრაქტიკულ დანიშნულებას მიაწერს. მისი აზრით შრეშ-ბლურის სტილიზებული გამოსახულება რქიანი ხარისა კერის სადგარი უნდა იყოს¹².

¹ R. Dussaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 338, სურ. 245.

J. A. К у ф т и н, Урартский „золушбарий“..., გვ. 82, სურ. 42.

B. Dechelette, დასახ. ნაშრომი, გვ. 480, სურ. 204, 2.

² R. Dussaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

³ იქვე, გვ. 339.

⁴ B. A. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, 82.

⁵ იქვე, გვ. 328 — 341.

⁶ B. A. Г о р о д ц о в, Старшее Каширское городище, Изв. ГАИМК, вып. 85, Москва-Ленинград, 1934, გვ. 66.

⁷ J. Dechelette, დასახ. ნაშრომი, გვ. 474.

Heornes-Monghin, Urgeschichte der bildender Kunst in Europa, გვ. 522.

⁸ J. Dechelette, დასახ. ნაშრომი, გვ. 474.

⁹ Heornes-Monghin, დასახ. ნაშრ., გვ. 511 და Б. Богаевский, Крит и Микены, М.-Л., 1924, გვ. 23.

¹⁰ А. П. К р у г л о в и Г. В. П о д г а е ц к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

¹¹ B. A. К у ф т и н, К проблеме энеолита... გვ. 74.

¹² B. A. К у ф т и н, Урартский „золушбарий“, გვ. 105.

რ. შტარიხ ხუცუმი აღმოჩენილ სადგარებს ქსოვის პროცესს უკავშირებდა. ამ მოსაზრებას იგი იმით ასაბუთებს, რომ დღესაც არაბებში ამგვარი საჭსოვი სადგარებია გამოყენებული. რ. შტარიხ აზრით არავითარი მონაცემები არ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ სადგარებს რიტუალური ხასიათი მივაწეროთ¹. მეტად თავისებურ ფუნქციას მიაწერს მ. მალოვანი ჯაგარ ბაცარში აღმოჩენილ ოთხწახნაგა თიხის სადგარს².

მართებული ჩანს გ. გობეჯიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ნაცარგორის სამლოცველო სენაკებში კერასთან აღმოჩენილი რქიანი სადგარების შესახებ, რომ კერასაც და თვით სადგარსაც გარკვეული სარიტუალო დანიშნულება ენიჭება. თვით სადგარებს კი იგი უშუალოდ ხარის კულტს უკავშირებს³. ხარი რომელიც ერთი მხრივ დიდი რაოდენობით ხორკულს იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, ჩანს, იწყება მისი გამოყენება გამწვევ ძალად, ენეოლითის ხანიდან მოკიდებული კულტის ობიექტი ხდება. ამ პერიოდში ნისი კულტი, ეტყობა საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს. ამის საბუთად ეგჯ. ისიც გამოდგეს, რომ ენეოლითის ხანაში ხარის კულტთან დაკავშირებული გამოსახულებები მრავალგვარ ვარიაციებს იძლევა.

ცნობილია, რომ ხარი მრავალ მიწათმოქმედ ტომში ღვთაებრივ ცხოველს წარმოადგენდა⁴. მისი კულტი ქართველ ტომებში ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული⁵. კარგად ჩანს ხარის კულტი თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიაც⁶, განსაკუთრებით სვანეთში⁷. ამ კულტის ნიშნები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან შეინიშნება წინა აზიაში⁸.

¹ R. Starr, დასახ. ნაშრომი, გვ. 443.

² M. E. L. Mallowan, The Excavations at Tell Chagar Bazar, Iraq, vol. III, Part I, 1936, გვ. 23, სურ. 6, 18.

³ გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 260.

⁴ Heugnes-Menghin, დასახელებული ნაშრომი, გვ. 521.

⁵ Н. В. Хостария, Древнее поселение в Даблагоми (руконись, Тбилиси, 1941.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაბლაგომში აღმოჩენილ თიხის ხარის თავიანთი სტილიზებულ განოსახულებას სრულიად სხვაგვარ ახსნას აძლევს ბ. კუტინი (Материалы к археологии Колхиды, ტ. II, გვ. 103). ვ. ბარდაველიძე, საესეზო სამართლიანად, მათ ხარის ღვთაებრივ ემბლემად თვლის (იხ. მისი Главная божество дронегрузийского племени Гмерта, გვ. 317; მისივე, Древнейшие религиозные верования..., გვ. 202 და 259).

გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 258.

გ. გობეჯიშვილი, ანგარიში სოფ. ლებში წარმოებულ გათხრებისა, გვ. 558.

И. И. Мещанинов, Закавказские понятия бляхи, Мухачевых, 1927, გვ. 27.

ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 12.

⁶ ჯ. რუხაძე, ძველი ქართული აგარაული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი, ბერი-ბერა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, თბილისი, 1957, გვ. 176.

⁷ რეხვიაშვილი, ჩრდილო სამეგრელოს ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ბელნაწერი).

В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., გვ. 257.

⁸ В. В. Бардавелидзе, Главное божество..., გვ. 305.

В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., გვ. 198.

⁹ A. Parrot, Archeologie mesopotamienne, Les Etapes, Paris, 1946, გვ. 421.

გარდა ხარის სტილიზებული გამოსახულებისა, ჩვენში ამ პერიოდის ფენებში გვხვდება ხარის ქანდაკებებიც. თრიალეთში ენეოლითური ხანის ფენაში ნაპოვნი იყო თავმოტყრეული ხარის თიხის ქანდაკება¹. დაახლოებით ამავე პერიოდისა უნდა იყოს ხარის მეტად ტლანქი გამოსახულება აღმოჩენილი სოფ. ქორეთში, ადგილ კარახტინზე (სურ. 42, 5)². ქიულთეფეზე სხვა ქანდაკებებს შორის აღმოჩნდა აგრეთვე ხარის სამი ქანდაკება³. ამრიგად, ხარის კულტი ჩვენში უკვე საკმაოდ მძლავრად ჩანს ენეოლითიდან მოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, ქულბაქების სადგარი ვერტიკალური და შუაში ნახვრეტით უნდა ყოფილიყო. ვერტიკალური, ბრტყელძირიანი სადგარები ჩვენში ცნობილია ენეოლითური ხანის ნამოსახლარებიდან. ეს სადგარები სხვადასხვა მოყვანილობისაა. ზოგიერთს შუაზე აქვს ნახვრეტი. როგორც ჩანს, ვერტიკალური სადგარის ნატეხი უნდა იყოს ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ ქვედა ნაწილია გადარჩენილი. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს იყოს ისეთივე ვერტიკალური სადგარი, როგორიც აღმოჩნდა ზემო ავეპალაში (სურ. 17, 4) და ტყვიავის II ყორღანში (სურ. 17, 6). ამ სადგარებს იგი ტორსისებრი მოყვანილობის სადგარებს უწოდებს⁴. ისინი ფართოა, კრილში ოვალური მოყვანილობისა, შუაში ნახვრეტით. რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა ოზნის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი სადგარი შუაში ნახვრეტით (სურ. 17, 3)⁵. სავსებით ამგვარივე სადგარები ცნობილია ნახიქევანის ქიულთეფეს ენეოლითური ფენებიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ვერტიკალური სადგარი სხვაგან ჯერჯერობით უცნობია, გარდა ერთი ცალისა, რომელიც აღმოჩენილ იქნა კუნძულ ლესბოსზე, თერმიში (სურ. 17, 7). ეს სადგარი თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორიც ჩვენები, შუაში ნახვრეტით, მხოლოდ ზედა ნაწილი უფრო რკალისებრი მოყვანილობისა აქვს. ვ. ლამბი მას ადარებს რაკხმანში აღმოჩენილ ცალს, ოღონდ იგი უფრო განსხვავებული პროფილისაა. უფრო მეტად განსხვავებულია ოლიმფოს ეგზემპლარები. ვ. ლამბს უკვირს ამ ტიპის ნივთების არარსებობა ტროას ნაქალაქარებში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თერმიში მათი არსებობა უნდა მიეწეროს დასავლეთის გავლენას⁶. მაგრამ უკანასკნელ ხანებში სადგარები აღმოჩნდა მცირე აზიაში, მერსინში, ალიშარის ბორცვზე და სხვ., აგრეთვე ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში, სადაც ისინი მრავალგვარი ვარიანტით გვხვდებიან. ამიტომ ვ. ლამბის მიერ გამოთქმული მოსაზრება ამ ტიპის სადგარის დასავლური წარმომავლობის შესახებ დამაჯერებლად აღარ გამოიყურება. ამ პერიოდში ლესბოსზე ძლიერი აღმოსავლური, კერძოდ მცირე აზიური გავლენა ჩანს

¹ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 110.

² ე. ჯაფარიძე, მდინარე ყვირილას ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.

³ Б. Б. П и о т р о в с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.


⁴ Б. А. К у ф т и н, К проблеме энолита Внутренней Картли... გვ. 72.

⁵ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 г..., ტაბ. XXXI.

⁶ W. L a m b, Excavations at Thermi in Lesbos, Cambridge, 1936, გვ. 163, სურ. 44.

და საფიქრებელია, რომ ამ სადგარის არსებობაც აქ ამ გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რა დანიშნულება ჰქონდა ამ სადგარებს ძნელი სათქმელია. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ შესაძლოა ისინი თიხის საწაფები ან კერასთან დასადგმელი საშამფურეები იყვნენ¹. საშამფურე სადგარებად მიიჩნეეს მათ აგრეთვე ბ. კუფტინიც². ამავე დანიშნულებას მიაწერს ბ. კუფტინი შენგავითში და



სურ. 17. თიხის სადგარები: 1. ოხნიდან; 2. კიკეთიდან; 3. ოხნიდან; 4, 5. ზემო ავჭალიდან; 6. ტყვიავიდან; 7. თერმიდან.

შრეშ-ბლურზე აღმოჩენილ პირამიდისებრ ვერტიკალურ სადგარებსაც. შამფურის საყრდენად მიიჩნეეს ვ. ლამბი თერმიში აღმოჩენილ სადგარს³.

ჰქონდათ თუ არა ამ ვერტიკალურ სადგარებს მართლაც რაიმე პრაქტიკული დანიშნულება ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ასეა, თუ ისე, ვფიქრობთ, რომ ჩვენში ვერტიკალური სადგარი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხარის კულტთან.

ამიერკავკასიის ენეოლითში ცნობილია კიდევ ერთი ვერტიკალური ტიპის თიხის სადგარი, რომელსაც ბ. კუფტინი ცილინდრულ-ბლოკისებრ სადგარს უწოდებს. ჩვენში ამ ტიპის სადგარი აღმოჩენილია ერთი ოხნის ენეოლითურ ნამოსახლარზე (სურ. 17, 1) და ერთივე კიკეთში (სურ. 17, 2). ქვა-

¹ ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი: 1943, გვ. 29.

² Б. А. Куптин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 72.

Б. А. Куптин, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата..., გვ. 119, სურ. 60.

³ W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

ცხელების ნასოფლარზე ნაპოვნი ამავე ტიპის ნივთი მინც თავისებურია. იგი შედარებით უფრო დაბალია და ფართო¹. ოზნის და კიკეთის ბლოკისებრ სადგარებს შორისაც შეიმჩნევა ერთგვარი განსხვავება: ოზნის სადგარი შუა-ნი ოდნავ ვიწროა და შემდეგ ორივე ბოლოსაკენ თანდათანობით ფართოვდება: კიკეთის ცალს კი ტანი სწორი აქვს, ცილინდრული და ორივე ბოლოზე ბრტყელი, ძაფის კოკისებრი, მრგვალი თავები ასხია. საესეებით ამგვარივე სადგარები ცნობილია ქიულთეფეზე. აქ ერთ-ერთ სადგარს ზედა ნაწილში ნახევარსფეროსებრი ყური აბია. ოზნიესულ სადგართან მეტად ახლო დგას ხანლარის მახლობლად აღრეული ბრინჯაოს ხანის საცხოვრებელში აღმჩენილი ბლოკისებრი სადგარი². მსგავსი სადგარები აღმოჩენილია აგრეთვე ლუგოვოეს ნამოსახლარზე³. კავკასიის ვარეთ ამ ტიპის სადგარები ჩვენთვის ცნობილია თერმის აღრებრინჯაოს ხანის ფენიდან⁴. საყურადღებოა, რომ ერთი მათგანი საესეებით ისეთივე ფორმისაა, როგორიც ოზნში აღმოჩენილი, მეორე კი ძალიან ახლო დგას კიკეთურთან. თერმში ეს სადგარები უფრო მოგვიანო ხანის ფენებშიაც გვხვდება⁵. თეფე-პისარში III C ფენის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი იყო ალებასტრიდან ნაკეთები ამ ტიპის სადგარები⁶. რა დანიშნულებისა იყო ეს სადგარები ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ვ. ლამბი ფიქრობს, რომ მათ რალაც სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა⁷. ე. კრუპნოვი ლუგოვოეში აღმოჩენილ სადგარებს კერასთან დაკავშირებულად მიიჩნევს⁸, ზოგიერთი მკვლევარი მათ საკულტო დანიშნულების ნივთად თვლის⁹.

ნალისებრი სადგარი ჩვენში ცნობილია სამი ცალი: ერთი 1950 წ. ვ. ლიუბინის მიერ ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი, მეორე ახლახან ნაპოვნი ახალციხის მახლობლად, ამირანის გორაზე, ენეოლითური ხანის ფენაში და მესამე ოზნის ენეოლითური ნამოსახლარიდან.¹⁰ რამდენიმე ნატეხი ნალისებრი სადგარისა აღმოაჩინა პეტროვმა 1913 წ. მალაქლუს მახლობლად

¹ ლ. დლონტი, აღ. ჯავახიშვილი, ქვაცხელების არქეოლოგიური ექსპედიციი 1954 — 1958 წწ., ანგარიში (ბელნაწერი).

² Я. И. Гуманов, Реликвии поселения I на западе от Хандар, КСИИМГ, вып. XXIII, М. — Л., 1949, გვ. 75, სურ. 37, 5.

³ Е. И. Крупинов, Прикаспийская археологическая экспедиция, КСИИМГ, вып. 55, Москва, 1954, გვ. 99.

Е. И. Крупинов, Первые итоги изучения восточного Предкавказья, СД, 2, Москва, 1957, გვ. 157.

⁴ W. Lamb, Excavations at Thermi in Lesbos, Cambridge, 1936, გვ. 164, ტაბ. XXIII, 30 — 55, 31 — 26.

⁵ იქვე, გვ. 204, ტაბ. XXIV, 32 — 2.

⁶ E. F. Schmidt, Tepe Hissar, Excavations 1931, Philadelphia, 1933, გვ. 423, ტაბ. CXXXVI, H 175.

E. F. Schmidt, Excavations at Tepe Hissar Damghan, Philadelphia, 1937, გვ. 216, ტაბ. LXI, სურ. 132.

⁷ W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

⁸ Е. И. Крупинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

⁹ E. F. Schmidt, Tepe Hissar Excavations 1931, გვ. 423.

¹⁰ Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 36.

ენეოლითურ ნამოსახლარზე¹. მსგავსი სადგარი ნაპოვნი იყო გარნიში². ამგვარივე სადგარები აღმოაჩინა ა. უვაროვმა არმავირ-ბლურის გათხრების დროს³. სამწუხაროდ, მას თითქმის არაერთი ყურადღება არ მიუქცევია ამ რიგის მასალისათვის, ვინაიდან გატაცებული იყო სომხეთის ძველი დედაქალაქის — არმავირის აღმოჩენით. თუმცა ერთ ადგილას იგი აღნიშნავს, რომ ეს ბორცვი დასახლებული უნდა ყოფილიყო ქვის ხანის დროს, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი ობსიდიანის იარაღი⁴. საესებით სამართლიანად აღნიშნავს ბ. კუფტინი, რომ აქ თავის დროზე ა. უვაროვს შეუმჩნეველი დარჩენია ენეოლითური ფენა. ეს მასალა, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შეისწავლა ბ. კუფტინმა და სხვადასხვა პერიოდის მასალებს შორის გამოყო ენეოლითური ფენის მასალა. ამ ფენას უნდა ეკუთვნოდეს აქ აღმოჩენილი ნალისებრი სადგარის ფრაგმენტები⁵. ერთი კარგად შენახული ნალისებრი სადგარი ნაპოვნი იყო ყარსის მხარეში სოფ. მეჩეთლისთან, თითქოს სამარხში⁶. განსაკუთრებით აღსანიშნავია შენგავითი აღმოჩენილი ნალისებრი სადგარები, რომელთა შუა ნაწილზე ადამიანის ფიგურაა გამოსახული. საყურადღებოა აგრეთვე სამფება ნალისებრი სადგარი, რომლის ორივე ბოლო მთავრდება ცხვრის თავის გამოსახულებით⁷. ნახიქევანის ქიულთეფეს II ფენაშიც აღმოჩნდა ნალისებრი სადგარები⁸. ამჟვე ტიპის სადგარი ცნობილია კარაჯიდან⁹. უთუოდ ახლოს დგას ამიერკავკასიაში აღმოჩენილ სადგარებთან მცირე აზიაში, აღნიშნის ბორცვზე ნაპოვნი სადგარები. აქ ნალისებრი სადგარები გვხვდება სპილენძის ხანაში, თუმცა ან პერიოდში ასეთი ტიპის სადგარები შედარებით იშვიათია¹⁰. ერთი ფრაგმენტი ამგვარი სადგარისა ხალკოლითის ფენაშიც აღმოჩენილა, მაგრამ გამოთხრული მას სპილენძის ხანას მიაკუთვნებს¹¹. უფრო ხშირად ეს სადგარები ჩნდება ადრეული ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით 6 M ფენაში¹². ვხვდებით მათ აგრეთვე კირბეტ-კერაკის ნაწარმშიც¹³.

¹ Б. А. Куфтин, Урартский „кожумбарни“..., გვ. 80, სურ. 39.

² Б. Аракелян, Гарни, т. I, Ереван, 1951, გვ. 23, სურ. 7.

³ П. С. Уварова, Коллекции Кавказского Музея, т. V, Археология, Тбилиси, 1902, გვ. 130, № 2120 — 22.

⁴ А. С. Уваров, Исследование местности, на которой предполагались развалины Армавира, V Археологический съезд в Тифлисе, Труды предварительных комитетов, Москва, გვ. 444.

⁵ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 92, 93.

⁶ П. С. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 131, № 2332.

⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 118, სურ. 74.

⁸ О. А. Абибугаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 90, ტაბ. VI, 3.

⁹ W. Lamb, The Culture of North — East Anatolia..., გვ. 26.

¹⁰ Hans Henning von der Osten, The Alischar Hüyük, scans of 1980 — 1982, Part I, Chicago, გვ. 207, სურ. 205 და 607.

¹¹ იქვე, სურ. 100, № 1732.

¹² იქვე, გვ. 270, სურ. 278.

¹³ W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

საყურადღებოა კილიკიაში, მერსინის ბორცვზე 1937—1938 წწ. ზამთრის კამპანიის დროს, ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი რქიანი სადგარი. ამწუხაროდ, ამ ნივთიდან, მისი ცული დაცულობის გამო, არაფერი დარჩენილა. სადღეისოდ მხოლოდ ჩანახატია ცნობილი. ავტორი მას ალიშარის სადგარებს ამსგავსებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ისინი უფრო მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნებიან¹.

ქ. გარსტანგი 1953 წ. მერსინის ბორცვის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნაშრომში ეხება რქიან სადგარებს. აქ ისინი აღმოჩნდა გვიანდალკოლითურ ფენაში². როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სადგარები ზემო აქვალისა და ქიულთეფეს სადგარების ტიპისაა.

არც ამ სადგარების დანიშნულების შესახებ ვიცით რაიმე. ბ. კუფტინი მათ გაურკვეველი დანიშნულების ნივთად თვლის³, მაგრამ ცოტა უფრო ქვემოთ თითქოს ეთანხმება პ. უვაროვას მოსაზრებას და მათ კერის სადგარად მიიჩნევს. მისი აზრით ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორი ნაღისებრი სადგარი, რომლებსაც ერთმანეთის პირდაპირ დადგამდნენ და ამგვარად შექმნიდნენ ოთხ საყრდენ წერტილს, რომელზედაც ქვაბი ან სხვა რაიმე მოთავსდებოდა⁴. პ. უვაროვა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე იყენებს ამგვარ სადგარებს⁵, თუმცა ბ. კუფტინის თქმით ამის დადასტურება მან ვერ შესძლო⁶. დაახლოებით ამგვარსავე დანიშნულებას მიაწერს ოსტენი ალიშარის სადგარებსაც, თუმცა მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ისინი შამფურის სადგარებიც ყოფილიყო⁷. საშამფურე სადგარად მიიჩნევენ მერსინის ბორცვზე ნაპოვნ რქიან სადგარს⁸. თუმცა უფრო გვიან გამოსულ ნაშრომში ავტორი მათ უბრალო კერის სადგარებად თვლის⁹. ბ. კუფტინი ამ სადგარების შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ გარკვეული ნიშნების გამო, საერთოდ გავრცელებული აზრით, მათში უნდა დავინახოთ თითქოს მაინცდამაინც ხარის თავისა და რქების სტილიზებული გამოსახულება. იგი უფრო მხარს უჭერს რ. ლიხტენბერგის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, რომ ეს სადგარები დაკავშირებული უნდა იყოს დიდი დედის კულტთან¹⁰. ამ მხრივ მას განსაკუთრებით ნიშანდობლივად მიაჩნია შენგავითის ნაღისებრი სადგარები ანთროპომორფული გამოსახულებით¹¹. თავდაპირ-

¹ Exploration in Cilicia Excavation at Mersin 1938—1939, Part I and II, Annals of Archaeology and Anthropology, vol. XXV 3—4, Liverpool, 1938, გვ. 93, ტაბ. XXVIII, 26.

² J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 156 და 166, სურ. 90 და 106.

³ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

⁴ იქვე.

⁵ П. С. Уварова, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

⁶ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

⁷ Н. Osten, დასახ. ნაშრომი, გვ. 207 და 270.

⁸ Exploration in Cilicia..., გვ. 93.

⁹ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

¹⁰ Б. А. Куптин, Урартский „колумбарий“..., გვ. 81.

¹¹ იქვე, გვ. 118.

ველად ბ. კუფტინი იმ აზრისა იყო, რომ საერთოდ რქიანი სადგარების დაკავშირება ხარის კულტთან ნაკლებ დამაჯერებელია. მაგრამ მოგვიანო ხანის ერთ-ერთ ნაშრომში გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს რქიანი სადგარები დაკავშირებული უნდა იყოს ხართან¹. რამდენადმე კიდევ უფრო გვიან გამოსულ ნაშრომში იგი პირდაპირ აღნიშნავს, პირველად ქართულმა და სომხურმა მასალებმა შეიტანეს სინათლე „რქიანი საკურთხევლების“ დანიშნულების გარკვევაში. მისი აზრით ეს საკურთხევლები უნდა დაუკავშიროთ ხან ხარის კულტს, ხან კი ქალღმერთისას².

ამ საკითხში ერთგვარი სინათლე შეაქვს ნაცარგორის მასალას, რომელიც უფრო მოგვიანო ხანას მიეკუთვნება. აქ, როგორც გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, რქიანი სადგარები გვხვდებოდა ნალისებრ „კერასთან“. კერასა და თვით ზედადგარსაც გარკვეული სარიტუალო დანიშნულება ენიჭებოდა და ჩანს ხარის კულტთან იყო კავშირში³. ამგვარად, შეიძლება ენეოლითის ნალისებრი სადგარები, რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ, ხარის კულტსაც ემსახურებოდა.

გარდა კერამიკისა, ქულბაქებზე აღმოჩნდა შედარებით მცირე რაოდენობით ქვის იარაღი, ძვლის იარაღი სრულიად არ ყოფილა წარმოდგენილი. ქულბაქების ბორცვზე ნაპოვნი იყო კაყის ნამგლის რამდენიმე დაკბილული პირი, კაყის დანის პირი (სურ. 18), ისრის პირები, საფხეკები, ხელსაფქვავეის ქვები და ერთიც გახვრეტილი ტუფის საწაფი⁴. ზღუდერზე აღმოჩნდა ნამგლის პირი, კაყის დანა, ისრის პირები (სურ. 19, 5) და რბილი ქვის რომბისებრი მოყვანილობის ცულის ნატეხი (სურ. 20, 5). „კულო-ხომზე“ გარდა ღორის ერთი გახვრეტილი ეშვისასხვა არაფერი აღმოჩენილა (სურ. 4, 2). ამრიგად, ქვის იარაღი აქ შედარებით ღარიბულადაა წარმოდგენილი. ღარიბული ჩანს ქვის ინვენტარი აგრეთვე სტალინირის ნაცარგორის ენეოლითურ ფენაში⁵. ქვის იარაღის სიმცირე შეინიშნება თრიალეთის ენეოლითურ ძეგლებშიც, აქაც უპირატესად გვხვდება



სურ. 18. კაყის ნამგლისა და დანის პირები.

ნამგლის და ისრის პირები. ქულბაქების მსგავსად არც თრიალეთში აღმოჩენილა ძვლის იარაღი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართლის ველზე

¹ Б. А. К у ф т и н, К проблеме энеолита..., გვ. 70.

² ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, გვ. 12.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

⁴ В. П. Л ю б и н и, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

⁵ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

გამოვლენილ ამ პერიოდის ნასოფლარზე (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, გუ-
დაბერტყა) ქვისა და ძვლის იარაღი შედარებით უკეთაა წარმოდგენილი. მრავ-
ლად გვხვდება კაეის ნამგლის დაქბილული პირები, რომელთაგან ზოგი დი-
დი ზომისაა. გარდა ამისა აღმოჩენილია დანის პირები, საფხეკები, ისრის პი-
რები და სხვ. ბევრია ძვლის იარაღიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეთრი
წყაროს ენეოლითური ნამოსახლარი, სადაც ქვის იარაღი შედარებით უკეთაა
წარმოდგენილი. აქვე აღმოჩნდა ქვის იარაღის სახელოსნოც. ამოიგად, არსე-
ბული მასალით ისე ჩანს, რომ შიდა ქართლის მთისძირა და თრიალეთის მა-
ლაღმთიან ზოლში გამოვლენილ ენეოლითურ ნამოსახლარებზე ქვის იარაღი
შედარებით ნაკლებად გვხვდება, ძვლის იარაღი კი თითქმის სრულიად უცნო-
ბია. რით უნდა ყოფილიყო ეს გარემოება გამოწვეული ჯერჯერობით ძნელი
სათქმელია. მაგრამ შესაძლოა ესეც განოდგეს ზემოგანოთქმული მოსახრების
საბუთად, რომ ამ პერიოდში ქართლის ველის მთისძირა ზოლში იქმნებოდა
დროებითი, სეზონური საშოსახლოები და ჩვენს მიერ ზემოთ განხილული
ძეგლები სწორედ ამ ტიპისა იყო. თუ ეს მოსახრება მართებულა, მაშინ
ეგებ იარაღის ნაკლებობა გამართლებულიც იყოს, რადგან დროებით სადგო-
მებში მაინცაღამაინც დიდი მოთხოვნილება იარაღზე არ იქნებოდა. რო-
გორც აღნიშნული იყო, სხვაზე მეტად ქვის იარაღიდან აქ გვხვდება ნამგლის
დაქბილული პირები და ხსრის პირები. ეს თითქმის ვასაგებიცაა იმის გამო,
რომ ისრის პირი ძირითადად სანადირო იარაღი იყო. ნამგლის პირებს კი
აღბათ სათბაეად ხმარობდნენ. ანალოგიური ვითარება დასტურდება თრია-
ლეთშიც.

რამდენიმე ტიპის ისრის პირი აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1944 წელს ზღუდ-
რის გვერდაზე. ს. ნადიმაშვილმა იპოვა ერთი ასიმეტრიული, ფუძემოლა-
რული ისრის პირი (სურ. 19, 5)¹, რომლის მსგავსიც ჩვენში უკვე ნეოლი-
თიდან მოკიდებული ჩანს². ენეოლითური ხანის მასალებიდან ასიმეტრიულად
ამოღარული ისრის პირების რამდენიმე ცალია ცნობილი. განსაკუთრებით
ახლო ზღუდრის გვერდას ისრის პირი დგას ნაცარგორის ენეოლითურ ფენა-
ში აღმოჩენილ ასიმეტრიულად ფუძემოღარულ ისრის პირთან³. აქაცა და
იქაც ფუძე მკვეთრადაა ამოღარული არა შუა ადგილას, როგორც ეს მერძინ-
დელი ხანის ფუძემოღარულ ისრის პირებისთვისაა დამახასიათებელი, არა-
მედ უფრო ცალ გვერდზე. რამდენადმე უახლოვდება მათ ისრის პირი ოჩამ-
ჩირის ენეოლითური სადგომიდან, ოღონდ ამ ისრის პირის ფუძეს ასიმე-
ტრიულობა ვაცილებით უფრო ნაკლებად ეტყობა⁴. ასიმეტრიული ისრის
პირი იპოვა ს. ნადიმაშვილმა გუდაბერტყაზე⁵. ამ ტიპის ისრის პირები საღ-

¹ Б. А. Куфтия, К проблеме энеолита..., გვ. 77, ტაბ. III-а.

² ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლი თეთრამიწადან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. 29, თბილისი, 1951, ტაბ. X, ა.

³ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 243, ტაბ. 111, 1.

⁴ Б. А. Куфтия, Митериялы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, გვ. 268, ტაბ. 72, 8.

⁵ С. И. Надимашвили, დასახ. ნაშრომი.

ლეისოდ კარგადაა ცნობილი ჩრდილო კვეყნების კულტურებში¹. ასიმეტრიული ფორმა ისრის პირებისა ადრე ჩანს აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში. მათ ვხვდებით დოლინსკოეს ნამოსახლარზე², ნოვოსვობოდნოეს ყორღანში³, კოსტრომსკაიას ყორღანში⁴ და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ გაერცელებული ასიმეტრიული ისრის პირები საგრძნობლად განსხვავდებიან ჩვენში ნაპოვნი ვეზემპლარებისაგან. მათ ასიმეტრიულობა უფრო მკვეთრად ეტყობათ და ფუძეც უფრო სხვაგვარად აქვთ ამოღარული, ვიდრე ჩვენ ცალგებს. შედარებით ახლო დგას ჩვენი ისრის პირებთან ნოვოსვობოდნოეს ყორღანში ნაპოვნი ისრის პირები. ბ. კუფტინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ისრის პირებში ჩრდილოური ტრადიციები უნდა დაეინახათ, მთლად მართებულად არ გამოიყურება⁵. როგორც აღნიშნული გვექონდა, საქართველოში ეს ტრადიცია უკვე ნეოლითიდან მოკიდებული ჩანს და იმთავითვე ჩვენი ვეზემ-



სურ. 19. ისრის პირები: 1, 2, 3, 4 (ქულბაქები); 5 (ხლუდერი).

პლარები ასიმეტრიული ისრის პირებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო სიმეტრიულნი არიან, ვიდრე ჩრდილოურები. ჩვენში ამ ასიმეტრიული ისრის პირების გვერდით ჩანს აგრეთვე სიმეტრიულად ფუძემოღარული ისრის პირები. იმავე ქულბაქებზე ვ. ლიუბინმა იპოვა ობსიდიანის ისრის პირი, რომელსაც ფუძე სიმეტრიულად ამოღარული აქვს (სურ. 19, 2)⁶. ოჩამჩირის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩნდა ერთი სიმეტრიულად ფუძემოღარული ისრის პირი⁷. ამგვარივე ისრის პირები სხვა ტიპის ისრის პირებთან ერთად ნაპოვნი იყო ქვაცხელების ნამოსახლარზე. სიმეტრიულად ამოღარული ისრის პირები ენეოლითის მომდევნო საფეხურზე სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. ამ ტიპის ისრის პირები გვხვდება საჩხერის ყორღანებში⁸ (სურ. 22, 9), ნაოხვამუსა და დიხაგუძუბას ფენებში⁹, აფხაზეთის დოლმენებ-

¹ Б. А. Куптин, К проблеме энеолита..., გვ. 78.

² А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 176, სურ. 25, 2 — 3.

³ ОАК за, 1893, СПб. 1901. ტაბ. IV, სურ. 48.

⁴ М. И. Артамонов, Третий Размещенный курган у ст. Бостромской, СА, X, М. — Л., 1948, გვ. 181, სურ. 5.

⁵ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

⁶ В. П. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, სურ. 1. 6.

⁷ Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. II, გვ. 268, ტაბ. 72, 7.

⁸ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, ტაბ. XIII, 5.

⁹ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 211, ტაბ. 64, სურ. 45, 3.

ზე¹ და სხე. შუა ბრინჯაოს ხანის კულტურისათვის ამიერკავკასიაში მეტად უამახასიათებელი ჩანს ფუძემოლარული, უპირატესად ობსიდიანისაგან ნაკეთები ისრის პირები². სიმეტრიულად ფუძემოლარული ისრის პირი უკვე საკმაოდ აღრინდელი პერიოდიდან იჩენს თავს ძველ აღმოსავლეთში³.

გ. ლიუბინმა ქულბაქების ბორცვზე, ჯარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ორი კაეის ისრის პირი იპოვა. ერთი მეტად ტლანკი, არასიმეტრიული, ყუნჯიანი (სურ. 19, 1), მეორე კი შედარებით უკეთ ნაკეთები, სამკუთხა, ფართო ყუნჯით (სურ. 19, 3)⁴. ორივე ეგზემპლარი გარკვეულ მსგავსებას იჩენს უეთრამიწის ნეოლითურ ისრის პირებთან⁵. განსაკუთრებით ეს ითქმის უართყუნჯიან ისრის პირზე. იგი უახლოვდება სოფ. კოლეგში აღმოჩენილ ისრის პირსაც⁶.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი პატარა ზომის ისრის პირი, აღმოჩენილი ბ. კუფტინის მიერ. იგი ბრტყელი და სამკუთხა მოყვანილობისაა (სურ. 19, 4), ყუნჯი ფუძეზე გამოსახული არა აქვს⁷. ფორმით ეს ისრის პირი ძალიან ახლო დგას თეთრამიწაზე აღმოჩენილ შუბისპირთან⁸, უახლოვდება იგი აგრეთვე დაბლა-გომში, ნაციხვარას ბორცვზე ნაპოვნ ამგვარსავე იარაღს⁹ და ლუგოვოეს ნეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნ ერთ ისრის პირს¹⁰. ამრიგად, როგორც ჩანს, ლუგოვოეში აღმოჩენილი ისრის პირები ჯერ კიდევ ახლო დგანან ჩვენში ნეოლითის ხანაში გავრცელებულ ტიპებთან.

ქულბაქებზე და ზღუდერზე კაეის რამდენიმე დაკბილული ნამგლის პირი აღმოჩნდა (სურ. 18). გვხვდება ვიწრო და მოგრძო, მორკალური კაეის პირი; უძნაერესად კი ნაპოვნი იყო პატარა ზომის დაკბილული პირები¹¹. ეს ნამგლის პირები თითქოს უახლოვდებიან თეთრამიწის ნამგლის პირებს, თუმცა ისინი შედარებით ვიწროებია¹². ახლო დგას ეს პირები აგრეთვე შენგაენითისა და თრიალეთის პირებთან¹³. მათგან განსხვავებით, შიდა ქართლის ნეოლითურ ნამოსახლარებზე (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ხიზანანთ გორა)

¹ თ. ჯაფარიძე. დღემდური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 77 თბილისი. 1959, გვ. 97, სურ. 18.

² О. М. Джугаридзе. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК. вып. 60, Москва, 1955, გვ. 24.

³ Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 73, 75, 78, 99, სურ. 11 n.

Hans Henning vor der Osten. The Alishar Hüyük, seasons of 1930 — 1932, Part I. Chicago, სურ. 89.

⁴ В. П. Любим. დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 22, სურ. 1, 5, 7.

⁵ ბ. კილაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. IX, X.

⁶ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 184, სურ. 45, 1.

⁷ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, ტაბ.

7, 9.

⁸ ბ. კილაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X, 2.

⁹ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 129, ტაბ. 41.

¹⁰ Е. И. Крушов, Первые итоги изучения Восточного Предкавказья, გვ. 39 — 157, სურ. 1, 2.

¹¹ თ. ჯაფარიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 21, ტაბ. V, 9.

¹² ბ. კილაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VIII, 4.

¹³ Б. А. Куптин, Урартский „колумбарий“..., სურ. 63.

ჩნდებოდა სხვადასხვაგვარი, უპირატესად შესანიშნავად ნაკეთები მოზრდილი, ფართო, დაკბილული კაჩის ნამგლის პირები. ნანგალს აქ ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა იმის განო, რომ ეს ნამოსახლარები ძირითადად სამიწითმოქმედო ბაზებს წარმოადგენენ. ქულბაქებზე კი ჩანს საამისო მოთხოვნილება არ უნდა ყოფილიყო. მათ აქ უპირატესად ბალახის მოსათიხად იყენებდნენ.

რაც შეეხება ქულბაქებზე აღმოჩენილ კაჩის დანის პირებს, ისინი ჩვეულებრივი ტიპისაა (ბრტყელი, ფართო, სწორკუთხა) და კარგად არიან ცნობილი ამიერკავკასიის ენეოლითური მასალებიდან¹. იგივე შეიძლება ითქვას საფხეკების შესახებაც. ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ ნეოლითური ტექნიკის ტრადიციებს.

საყურადღებოა ქვიშაქვის რომბისებრი მოყვანილობის კვერი თუ ცული, შუაში ნახვრეტით (სურ. 20, 5; ტაბ. VIII, 2). უნდა აღვნიშნოთ, რომ გახვრეტული ქვის იარაღები ჩვენ ენეოლითურ მასალებში არც თუ ისე ბევრია. გახვრეტული ქვის კვერი ცნობილია ნაცარგორის პირველი ფენიდან². სომხეთში მსგავსი მოყვანილობის ცული აღმოჩნდა სოფელ გენლიჯის მახლობლად³. რამდენიმე გახვრეტული იარაღი ნაპოვნი იყო შენგავითში⁴. მაგრამ ეს იარაღები უფრო ოვალური ფორმისანი არიან და რამდენადმე განსხვავდებიან ჩვენი იარაღისაგან. მსგავსი იარაღი ცნობილია წინა აზიიდან — ალიშარის ბორცვიდან⁵, თეფე გავრადან⁶, ტროადან და სხვ., თუმცა მაინცაღამაინც ფართო გავრცელება ამ იარაღს არც აქ მოუპოვებია⁷.

ძვლის ნივთები ზემოთ განხილულ მასალებში არ აღმოჩენილა, თუ არ ჩავთვლით „კულო-ხომზე“, კერის მახლობლად ნაპოვნი ღორის ერთ გახვრეტულ ეშვს⁸ (სურ. 4, 2). ცხოველის გახვრეტული კბილები საერთოდ გავრცელებულია უკვე საკმაოდ ადრეული პერიოდიდან. იგი, როგორც ჩანს, ძირითადად სამკაულად, საკიდად იყო გამოყენებული⁹.

ქულბაქებზე, ზღუდერზე, „კულო-ხომზე“ და მათ მომიჯნავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის სამარხებიც. სამარხეული ინვენტარიდან საყურადღებოა ვ. ლიუბინის მიერ ნაპოვნი ერთი ცული, რომელიც მისი აზრით სამარხიდან უნდა ყოფილიყო გამოვარდნილი¹⁰. ცული მეტად არქაული ტიპისაა, პირი თითქმის თანხაბარი სიფართისა აქვს, მორკალული. წინა

¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, სურ. 63.

² გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

³ Е. А. Байбуртян, Новые находки каменного века в Армении, СА. III, М. — Л., 1937, გვ. 208, სურ. 2.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

⁵ Hans Henning von der Osten, დასახ. ნაშრომი, გვ. 82, სურ. 54.

⁶ V. Christan, Altertumskunde der Zweistromlandes, Leipzig, 1940, Band I, გვ. 165. ტაბ. 142, 16.

Е. А. Speiser, Excavations at Tere Gawra, ტ. I, გვ. 88, ტ. XL, S — II.


⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

⁸ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, ტაბ. V, 10.

⁹ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий. Могильники в гор. Нальчике, МИА, 3, М. — Л., 1941, გვ. 115.

¹⁰ В. П. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, სურ. 1, 4.

მხრიდან სატარე ხვრელთან მკვეთრად შეკრილი (სურ. 20, 1). იგი განსაკუთრებით ახლო დგას გორის მუზეუმში დაცულ ცულთან, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სტალინის რაიონში, სოფ იალბუზში¹. ვ. ლიუბინი აღნიშნავდა, რომ ბ. პიოტროვსკი ვასაოცარ მსგავსებას ხედავდა ამ ცულსა და შენგავითში აღმოჩენილ ქვის ყალიბში ჩამოსხმულ თაბაშირის ცულს შორის². ეს ცული ახლო დგას ხიზანანთ გორაზე ენეოლითურ ფენაში ნაპოვნ ქვის ცულთანაც. ამავე ტიპისაა, ოღონდ რამდენადმე უფრო მასიური, სოფ. ბრდაძორში (მარნეულის რაიონი) (სურ. 20, 4) შემთხვევით აღმოჩენილი ცულა³.



სურ. 20. ლითონის ცულები: 1. ქულბაქებიდან; 2. ზაქესიდან; 3. მეჯვრისხევიდან; 4. ბრდაძორიდან; 5. ქვის ცულის ნატეხი ზღუდერიდან.

ბ. კუფტინს იალბუზში აღმოჩენილი ცულის განხილვისას იმთავითვე საფუძვლიანად მიაჩნდა, რომ შემდეგში ამ ცულს დაუკავშირდებოდა ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი ენეოლითური კერამიკა⁴. ამრიგად, მას დასაშვებად მიაჩნდა ამ ტიპის ცულის არსებობა ენეოლითურ ხანაში. დაახლოებით ამავე აზრისაა ვ. ლიუბინიც⁵. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები თითქოს მხარს უჭერს ამ მოსაზრებას. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ენეოლითის გვიან საფეხურზე, ეგებ სწორედ ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში ჩვენში ვრცელდება ამ ტიპის ყუადაქანებული ცული, რომელიც, ჩანს, ცულის ერთ-ერთი უადრესი ფორმა უნდა ყოფილიყო. საინტერესოა ერთი ადრეული ფორმის ცული შემთხვევით აღმოჩენილი ზაქესში (სურ. 20, 2). ზაქესის ტიპის ცულმა ჩვენში სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა⁶. მსგავსი ცული ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი სევანეთიდან, რომელიც მესტიის მუზეუმში ინა-

¹ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 год. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, გვ. 85, ტაბ. XX.
² В. Ш. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
³ ი. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.
⁴ Д. Л. Коридзо, Новые находки медных орудий в Квемо Картли, С. А. I.-Москва. 1958, გვ. 137, სურ. 2, 1.
⁵ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
⁶ В. Ш. Любин, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
⁷ ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ხება. იგი ფორმით ახლო დგას მესოპოტამიის უძველეს ცულეებთან, რომლებიც სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ თიხის მოდელების სახით ჯემდეთ-ნას-რიდან, ურიდან და სხვ.¹ ასეთი ცულეები აქ უკვე მეოთხე ათასწლეულის დასაწყისში და ეგებ უფრო ადრეც ჩანან². საცვებით მართებულად ფიქრობენ, რომ ეს თიხის მოდელები ლითონის ცულეების წაბაძვითაა ნაკეთები³. როგორც ჩანს, ლითონის ადრეული ნივთები ხელახლა გადაადნეს შემდგომ პერიოდში. ამიტომაცაა, რომ მესოპოტამიაში ელობიეიდის პერიოდამდე თითქმის არ არის ცნობილი ლითონის ნივთები⁴. ამ ტიპის ცული არც მესოპოტამიაში გავრცელებულა მიანიცადამინც და სულ მალე დაუთმია ადგილი ყუამილიანი ცულეებისათვის⁵. ჩვენში ამ პერიოდში უკვე საკმაოდ მყარად იყიდებს ფეხს ქულბაქების ტიპის ცული. შიდა ქართლიდან უნდა დავასახელოთ ორი შემთხვევით აღმოჩენილი ცული სოფ. მეჯვრისხევში (სურ. 20, 3). ეს ცულეები გენეტურად უკავშირდებიან ზემოთ განხილულ ცულეებს, მაგრამ მიანიც ჩანს, რომ მათზე რამდენადმე უფრო განვითარებული ფორმისა არიან. მათი თხელი პირი ფხისაქენ, კაჩას მხრიდან თანდათანობით ფართოვდება. განსაკუთრებით უახლოვდებიან ერთმანეთს ეს ცულეები სატარე ნაწილით. აქაც სატარე ხერელი წინა მხრიდან შეჭრილია⁶. დასავლეთ საქართველოდან ამ ტიპის ცული სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ეშერის ერთ-ერთი დოღმენიდან, ოღონდ მას მიანიც რამდენადმე განსხვავებული სახე აქვს⁷. ამრიგად, არსებული მასალების მიხედვით ამ ტიპის ცულეები ძირითადად გავრცელებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში⁸. ამ ცულეებს უახლოვდება ჩრდილო კავკასიაში „ყუბანის დიდი ყორღანების“ პერიოდში გავრცელებული ცულეები, რომლებიც, ჩანს, აქ უპირატესად ნოვოსვობოდნაიას სტადი-აზე გვხვდებიან. ახლო დგას ამ ტიპთან კოსტრომსკაიას ერთ-ერთ ყორღან-

¹ V. Christian, *Alttertumskunde des Zweistromlandes*, Leipzig, 1940, გვ. 158.

G. Childe, *Eurasian shaft-hole Axes*, ESA, IX, Helsinki, 1934, გვ. 159.
Г. Чапид, *Древнейший Восток в свете новых раскопок*, Москва, 1956, გვ. 209.

O. Montelius, *Die älten Kulturperioden in Orient und in Europa*. m. II, Stockholm, 1916—1923, გვ. 172, სურ. 569.

² G. Childe, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

³ იქვე.

V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

⁴ R. J. Forbes, *Metallurgy in Antiquity*, Leiden. 1950. გვ. 19.

⁵ Б. А. Куфтин, *К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии*. საქ. სახ. მეზეუმის შოაშვ, ტ. XII, თბილისი, 1944, გვ. 297.

ლ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

⁶ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Тришлоти*, გვ. 16, სურ. 16, 5.

Б. А. Куфтин, *Археологическая маршрутная экспедиция....*, გვ. 35.1

⁷ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Трпалети*, გვ. 16, სურ. 16 ა.

⁸ Д. Л. Коридзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

ში აღმოჩენილი ცული¹. უახლოვდება მას აგრეთვე ნოვოსვობოდნაიას ყორ-
ლანის ცულებიც, მაგრამ უკანასკნელები უფრო მასიურია². გარკვეული მსგავ-
სება ჩანს ყობანის სამაროვანზე აღმოჩენილ ადრეული ტიპის ცულთან³.
გვხვდება იგი ჩრდილო კავკასიის სხვა ადგილებშიც (მახოშევსკაიას, ანდრუ-
კოვსკაიას, პსებაისკაიას და სხვა ყორღანებში)⁴. ცულების ამ ვარიანტს უკავ-
შირდება უნგრეთის ცულებიც⁵. მაშასადამე, როგორც ჩანს, ყუადაქანებულ
ცული ადრინდელი ეპოქიდან ვრცელდება კავკასიაში.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ცულის მსგავსი ფორმა სხვაგან ჯერჯე-
რობით არ ჩანს. სამართლიანად აღნიშნავს მ. არტამონოვი, რომ ანალოგიუ-
რი ფორმა ცულებისა აღმოსავლეთში უცნობია⁶. ამიტომაც ფრთხილად,
მაგრამ ეგებ მაინც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ამ ტიპის ცული იყო ად-
გილობრივი მეტალურგიის ნაყოფი მისი განვითარების ადრინდელ საფეხურ-
ზე. ამგვარი ვარაუდის საშუალებას ვეძიებთ ისიც იძლევა, რომ ცულის
ამ ტიპს უკვე ვხვდებით ჩვენში მეტალურგიის ჩასახვის პერიოდიდან. შენგა-
ვითში აღმოჩენილი ყალიბი, ხიზანაანთ გორის ქვის ცული, რომელსაც აგრეთ-
ვე საყალიბე დანიშნულება უნდა ჰქონოდა, და, დასასრულ, ქულბაქების ცუ-
ლი ერთგვარად უჭერს მხარს ამ მოსაზრებას. შემდგომ ცულის ეს ვარიან-
ტი გვხვდება ადრებრინჯაოს ხანაში (მეჯერიისხევი, ბრდაძორი და სხვ.) სხვა
ტიპის ცულების მხარდამხარ. ამავე პერიოდში ვრცელდება იგი ჩრდილო
კავკასიაშიც, სადაც უფრო მასიურ ფორმას იღებს. ნიშანდობლივია, რომ ამ
ტიპის ცული ჩვენში გავრცელებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, იქ, სადაც
ადგილობრივი ენეოლითის ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამრიგად,
მთლად უსაფუძვლო არ ჩანს ბ. კუფტინისა და ვ. ლიუბინის მიერ გამოთ-
ქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ტიპის ცული შეიძლება დაუკავშირ-
დეს ენეოლითურ სტადიას.

უკანასკნელი ხანების აღმოჩენები ამიერკავკასიაში მხარს უჭერენ ამ
მოსაზრებას. როგორც ჩანს, ენეოლითური კულტურის ბოლოსათვის ლითო-
ნის ქედვასთან ერთად ფეხს იკიდებს ჩამოსხმაც. შენგავითში ადრევე ცნო-
ბილი ყალიბის გარდა თიხის ყალიბები აღმოჩნდა ქვაცხელების ძირა ფენა-
ში⁷ და ქიულთეფეს III ფენაში⁸. თიხის ყალიბები ნაპოვნი იყო აგრეთვე

¹ М. И. Артамонов, Третий Разменный курган у ст. Костромской, СЛ, X, М. — Л., 1946, გვ. 180, სურ. 5, 4.

² ОАК за 1898 г., СПб, 1901, გვ. 33.

³ F. Hančar, Die Beile aus Koban in der Sammlung kaukasischer Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, m. XXI, Wien, 1934, გვ. 34.

⁴ А. А. Иессен, К хронологии „больших кубанских курганов“, СЛ, XII, М. — Л., 1950, გვ. 173.

М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

⁵ E. Dullio, Die kaukasischen Axte der Bronzezeit, Prähistorische Zeitschrift, XXVII, вып. 1, 2, 1936, გვ. 67.

⁶ М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

⁷ ლ. ლლონტი, ალ. ჯაფარიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁸ А. А. Иессен, Азербайджанская экспедиция в 1956 г., გვ. 80.

О. А. Аппбулаев, Археологические раскопки холма Кюльтепе, გვ. 8.

გეოგეფს K პერიოდში¹. აღსანიშნავია ხიზანანთ გორაზე აღმოჩენილი კათხის ფორმის ერთი თიხის კურკელი, რომელიც შესაძლებელია გამდნარი ლითონის ჩამოსახსნელად იხმარებოდა². ფორმით იგი უახლოვდება თეფეგავრას VIII ფენაში ნაპოვნ კათხებს³. ქიულთეფეს ენეოლითურ ფენებში აღმოჩენილი ლითონის ნივთები, როგორც ფიქრობენ, ყველა ჩამოსხმული უნდა იყოს⁴ და მათი ჩამოსხმა ადგილობრივ უნდა მომხდარიყო⁵. მერსინში ხალკოლითის ჯერ კიდევ საკმაოდ ადრეულ საფეხურზე ვხვდებით ლითონის ჩამოსხმის ფაქტს⁶.

საერთოდ ამიერკავკასიის ამ ხანის ძეგლებში ლითონის ნივთების აღმოჩენის ფაქტები არ არის ხშირი. ჩვენში ლითონის ნივთები ცნობილია ოზნიდან. აქ კულტურულ ფენაში ნაპოვნი იყო სამი სადგისი თუ ისრის პირი, ერთი დანისებრი ფირფიტა⁷ და ერთიც ლერო — ალბათ ქინძისთავისა. გარდა ამისა ლითონის სამაჯურები, ძლიერ გადადებული თავებით და შუაზე მკვეთრი ქედით, აღმოჩნდა ნამოსახლარის მახლობლად მდებარე სამარხებში. აღსანიშნავია სავარჯილის ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, სადაც ლითონის რვა ნივთი აღმოჩნდა: სადგისები და ანკესები. ნაცარგორის ამ პერიოდის ერთ-ერთ სამარხში იღო ორი წვრილი მავთულის რგოლი და ერთი მანკვალი⁸. ურბნისში ხიზანანთ გორაზე ნაპოვნია ოთხწახნაგა სადგისი და მანკვალი. აქვე № 20 სამარხში აღმოჩნდა ლითონის შივი. რამდენიმე ლითონის ნივთია ნაპოვნი ქვაცხელებზე (ოთხწახნაგა სადგისები თუ ისრის პირები. მრგვალი 1, 5 ხეიები და სხვ.)⁹.

სომხეთში ლითონის ნივთები ცნობილია შენგავითიდან: ორი ოთხწახნაგა სადგისი, სამი საკინძი და შივი¹⁰. საყურადღებოა გარნიში ენეოლითურ ფენაში ნაპოვნი ერთი ნაკლული ნამგლის პირი¹¹. ნახიჭევანის ქიულთეფეს II ფენაში რამდენიმე ლითონის ნივთი აღმოჩნდა¹².

მართალია, ჩვენში ლითონი მისი გამოჩენის ადრეულ საფეხურზე არც თუ ისე ხშირია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი თანდათანობით სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ლითონისაგან მზადდება არა მარტო წვრილი ნივთები: არამედ სამეურნეო დანიშნულების იარაღიც: ცულები, ნამგალი და სხვ.

¹ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, ტაბ. III, 222.

² ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 24. E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXI v.

³ О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-Тепе около Нахичевана в 1956 г., г. 3 444.

⁴ М. Р. Селимханов, Историко-химические и аналитические исследования древних медно-бронзовых предметов, автореферат, Москва, 1959, гв. 22.

⁵ J. Garstang. Prehistoric Mersin, გვ. 167.

⁶ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в 1947 г. в Цалкинском р-не, гв. 31.

⁷ გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

⁸ ლ. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁹ Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий», гв. 216.

Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, гв. 174.

¹¹ Б. Аракелян, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, სურ. 12.

¹² О. А. Абибулаев, Археологические раскопки холма Кюльтепе, гв. 7.

ენეოლითის გვიანდელ საფეხურზე ლითონის იარაღი უკვე გარკვეულ როლს ასრულებს სამეურნეო ცხოვრებაში და ეგებ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ენეოლითური კულტურის დაწინაურებისა. ასეთივე სურათს ვხვდებით ნესოპოტამიაშიც. იქაც ლითონის გამოჩენის ადრინდელ საფეხურზე ლითონის ნივთები მეტად იშვიათია. მართებული უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ სპილენძი ამ პერიოდში დიდად ფასობს და ლითონის ნივთებს ბუჯითად აგროვებენ მათი ხელმეორედ დამუშავებისათვის¹. ხშირად გვხვდება ლითონის იარაღების თხის მოდელები². ესეც ალბათ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ლითონის პირველი ნივთები საერთოდ მეტად იშვიათია. მაგრამ ამ ადრეულ საფეხურზეც ლითონის იარაღის ფასი, ჩანს, იციან. სწრაფად წინაურდება მეტალურგია და ურუკის პერიოდში სპილენძის ინდუსტრია უკვე მეტად მაღალ საფეხურზეა ასული³.

უძველესი მეტალურგიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის გარკვევას. ქიმიური ანალიზების შედეგები უდავოდ ხელს უწყობს რიგი საკითხების შესწავლას⁴. უკანასკნელ ხანებში ჩვენში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული. ქიმიურად შესწავლილია სპილენძ-ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხურის ლითონის ნივთები და მეტად საყურადღებო შედეგებიცაა მიღებული⁵. მაგრამ შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ლითონის გამოჩენის ადრეული პერიოდის მასალა, რადგან ამ დროს ნივთები ჯერჯერობით ცოტაა და ისიც, რაც არის, ყოველთვის ვერ იძლევა მათი ქიმიური გაანალიზების შესაძლებლობას⁶.

სადღესოდ ენეოლითური ხანის ლითონის ნივთებიდან განსაზღვრულია საგვარჯილის ერთი სადგისის⁷, ურბნისის № 20 სამარხში აღმოჩენილი მძივისა და ოზნის სამარხებში ნაპოვნი ორი სამაჯურის ქიმიური შედგენილობა⁸. გარდა ამისა, ცნობილია სპექტრული ანალიზის გზით დადგენილი შედგენილობა ოზნის სამი სადგისისა, ტყვიავის ყორღანებში აღმოჩენილი ნივთებისა⁹ და ურბნისში ნაპოვნი რამდენიმე ლითონის ნივთისა¹⁰. შესწავლის შე-

¹ Г. Чайхид, Древнейший Восток..., გვ. 183.

R. J. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

² Г. Чайхид, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

R. J. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.

³ H. Otto, W. Witter. Handbuch der ältesten vorgeschichtlichen Metallurgie in Mitteleuropa, Leipzig, 1952.

⁴ R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 475.

⁵ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1958.

ფ. თავაძე და თ. სახვარელიძე, Бронзы Древней Грузии, Тбилиси, 1959.

⁶ ფ. თავაძე და თ. სახვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

⁷ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

⁸ ანალიზი შესრულებულია აკად. ს. ჯანაშვიის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში.

⁹ ფ. თავაძე და თ. სახვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

¹⁰ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ვენეციური ზანის დიონანის წვეთების კომპორი შედგენილობა

№	ნივთის დასახელება	მცდე	ალმონის ადგილი და წელი	გაობის ხელმძღვან.	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb	Bi	Mg	Ni
1	საფისი **	138	თრიალეთი, ოზნი, 1947	ბ. კუფტინი	ბ. ბევრი	კვ.	სოტა	არის	არ არის	1,2	არის	კვ.	სოტა	სოტა
2	**	213	"	"	"	"	"	"	"	1,3	სოტა	არ არის	არ არის	არის
3	**	254	1948	"	58,0	არ არის	კვ.	კვ.	არ არის	1,2	0,4	—	სოტა	სოტა
4	სამაგური სპირალური *				97,42	"	არ არის	"	"	1,8	არ არის	—	—	—
5	**	269			97,0	"	"	"	0,68	0,46	—	—	—	—
6	საფისი *		საგვარჯილე	ნ. ბერტინი-ვილი.	97,0	"	"	არ არის	არ არის	არის	სოტა	კვ.	—	სოტა
7	**		ტყვიანი II ყორღანი	ს. მაკალთაია	ბევრი	კვ.	სოტა	არის	არ არის	არის	სოტა	კვ.	—	სოტა
8	დანის პირი **		"	"	"	არ არის	კვ.	"	"	"	"	"	—	არის
9	ხეია ** (სასაფეთქლე რეკოლი)		III ყორღ.	"	"	კვ.	არის	"	"	"	სოტა	სოტა	სოტა	"
10	საფისი **		ურბნისი	ს. ნადიმოვილი.	"	არ არის	კვ.	"	"	"	"	არ არის	—	არის
11	მრგვალანგივეთიანი მონტაჟის ნაბეჭდული ნაბეჭდული ნაბეჭდული		" 1956	ალ. ჯაგაბივილი.	"	"	კვ.	"	"	"	"	კვ.	ბეჭეტი	არ არის
12	უცნობი დანიშნულების ნივთის ნაბეჭედი ** (ლითონის ფენა)		"	"	"	კვ.	სოტა	"	"	"	"	არ არის	სოტა	კვ.
13	მეფი	1832	ურბნისი, 1958	"	97,8	არ არის	არ არის	კვ.	არ არის	1,9	არ არის	—	—	—

კანლინები გაკეთდა: * მებუფის ქიმ. ლაბორატორიაში; ** სპექტროსკოპი ანალიზი (მ. ბერტინი-ვილი); *** რენტგენოგრაფიის ინსტიტუტში.

დედად გაირკვა, რომ ლითონის ეს პირველი ნივთები დამზადებულია სპილენძისაგან, როგორც 1%-ზე მეტი რაოდენობით შეიცავს დარიშხანს. მიოლოდ საგვარჯილის სადგისში არის 0, 46% დარიშხანი და 0, 68% თუთია. ოზნის ყველა ნივთში დარიშხანის რაოდენობა 1% აღემატება, ერთ-ერთ სამაჯურში კი იგი 1,8%-მდე აღწევს; ურბნისის მძივში დარიშხანის შემცველობა 1,9% შეადგენს.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელი ყოფილა სპილენძ-დარიშხანიანი ლითონის ნივთები. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ნახიჭევანის ქიულთეფეს II ფენაში ნაპოვნი ლითონის ნივთები კიდევ უფრო მეტ დარიშხანს შეიცავს¹. დარიშხანიანი სპილენძისაგან არის ნაკეთები გეთეფეს K პერიოდის ფენაში აღმოჩენილი ნივთები².

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ენეოლითური ხანის ლითონის ნივთების შესაიებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ნივთები თვითნაბადი სპილენძისაგან უნდა იყოს დამზადებული. თვითნაბადი სპილენძი არ არის ქიმიურად სუფთა ლითონი და შესაძლებელია გარკვეული რაოდენობით შეიცავდეს დაშხანსაც³. ჩვენში აღმოჩენილი თვითნაბადი სპილენძის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ იგი ზოგიერთ სხვა მინარევთან ერთად მართლაც შეიცავს დარიშხანს⁴. საქართველოში აღმოჩენილი ლითონის პირველი ნივთების მეტალოგრაფიული მიკროსტრუქტურული შესწავლა ადასტურებს, რომ ისინი ცივად ქედვის წესით არიან დამზადებული⁵.

სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა ი. სელიმხანოვმა ქიულთეფეში აღმოჩენილი ნივთებთან დაკავშირებით. იგი ფიქრობს, რომ ეს ლითონის ნივთები უკვე სპილენძისა და დარიშხანის მადნების შერევის შედეგად დაა მიღებული⁶. მკვლევარი ეტებს კიდევ იმ საბადოებს, საიდანაც დარიშხანისა და სპილენძის მადნები უნდა აეღოთ⁷. მისი აზრით, სპილენძ-დარიშხანიანი ლითონის მიღება და მისგან ნაკეთების ჩამოსხმა უძველეს ქიულთეფეს ნამოსახლარზე ხდებოდა⁸. მაგრამ ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს.

¹ М. А. Кашкай и И. Р. Селимханов. Исследование медно-мышьяковых предметов из раскопок холма Кюль-Тепе в Нахичеванской ССР, доклады АН АзССР, т. XII. 4. Баку, 1957, гл. 14¹

И. Р. Селимханов, Историко-химические и аналитические исследования древних меднообронзовых предметов, гл. 17.

О. А. Абибулаев, Археологические раскопки в Кюльтепе, гл. 55.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 1-8.

⁴ В. И. Вернадский, Избранные сочинения, т. 2, Москва, 1955, гл. 252, ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

⁵ ფ. თავაძე и Т. Сагварелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

⁶ იქვე, გვ. 13.

⁷ М. А. Кашкай и И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 453.

И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

⁸ И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

М. А. Кашкай и И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 452.

⁹ И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ძნელად დასაჯერებელია, რომ ლითონის გამოჩენის ამ ადრეულ საფეხურზე ცნობილი ყოფილიყო ლითონის გამოდნობა სპილენძისა და დარიშხანის მადნე-ბიდან, უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ ენეოლითური პერიოდის ლითონის ნივთები დამზადებულია სპილენძისაგან, რომელიც გარკვეული პროცენტით დარიშხანს შეიცავს¹. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანში² და განსაკუთრებით კი საქართველოში კარგადაა ცნობილი დარიშხანიანი მინერალების შემცველი სპილენძის მადნები³. როგორც ჩანს, ჩვენში უკვე ამ საფეხურზე ცნობილი უნდა ყოფილიყო დარიშხანიანი სპილენძის უპირატესი თვისებები. სუფთა სპილენძთან შედარებით სპილენძ-დარიშხანიანი შენადნობი „აუმჯობესებს სპილენძს“⁴. დარიშხანის მცირე რაოდენობაც კი დადებითად მოქმედებს სპილენძის თვისებაზე⁵.

დარიშხანიანი სპილენძი საერთოდ ადრინდელი ხანიდანვე ფართო გავრცელებას პოულობს, თუმცა ზოგან იგი ნაკლებად ცნობილია. მესოპოტამიაში დარიშხანიანი სპილენძი მაინცადამაინც არ გავრცელებულა⁶, მაგალითად, ურში, ელობეიდის პერიოდის შუბისმავეარ იარაღში აღმოჩნდა დარიშხანის მხოლოდ 0,16%⁷. შემდეგ პერიოდში აქ უკვე კალიან ბრინჯაოს ვხვდებით. სირიაში, ამუქის მხარეში აღმოჩენილი ნივთების შესწავლიდან ჩანს, რომ G ფაზაზე (3100 — 2800 წ.) ისინი 0,50%-მდე დარიშხანს შეიცავენ⁸. თეფე-გავრას VI ფენაში აღმოჩენილ სატეხში 1,59% დარიშხანია⁹. კუსურას A პერიოდში ნაპოვნ ნივთებში დარიშხანი 0,50%-მდე გვხვდება¹⁰. დარიშხანიანი სპილენძი ვხვდებოდა ტროას ადრეულ ფენებშიც¹¹. დაახლოებით 8% დარიშხანს შეიცავს ერთი სატევერის პირი ანატოლიიდან¹². დამახასია-

¹ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

² И. Р. Селимханов, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

³ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13, 14.

Ф. Тавадзе и Т. Сахварелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

⁴ R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

⁵ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

⁶ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

⁷ L. Woolley. Ur Excavations, m. II, New York, 1934, გვ. 286, ცხრილი 1.

⁸ R. J. Braidwood, J. E. Burke, and N. H. Nachtrieb, Ancient Syrian Coppers and Bronzes, Journal of Chemical Education, vol. 28. Page 87, February, 1951, გვ. 88.

⁹ E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

¹⁰ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, 191.

¹¹ E. R. Caley, On the Prehistoric use of Arsenical Copper in the Aegen Region, Hesperia American School of Classical Studies at Athens, Supplewent VIII, Athens, 1949 გვ. 61.

¹² D. B. Stronach, The Development and Dittision of Metal Tipes in Early Bronze Age Anatolia, Anatolian Studies, vol. VII, 1957, გვ. 99.

თებელი ჩანს დარიშხანიანი სპილენძი ეგეოსის სამყაროსათვის. თერმიში ამგვარი სპილენძი უკვე I პერიოდში გვხვდება, განსაკუთრებით კი თერმი III¹. დარიშხანიანი სპილენძისაგან ნაქეთები ნივთები აღმოჩნდა ნაქსოსში². 2⁰/₁₀₀-ზე მეტ დარიშხანს შეიცავს ადრე ელადური პერიოდის ქინძისთავი კორინთოდან³. ანაუს II და განსაკუთრებით კი III პერიოდში ვხვდებით დარიშხანიან სპილენძს⁴. გარკვეულ პროცენტს დარიშხანისა შეიცავს აგრეთვე ინდის ველზე ნაპოვნი ნივთები⁵. პ. ოტოსა და ვ. ვიტერის უკანასკნელი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ევროპაში დარიშხანიანი სპილენძი ადრეული საფეხურიდანვე ყოფილა გამოყენებული⁶.

ამრიგად, უკვე საკმაოდ ადრინდელი ხანიდან შეუნიშნავთ, რომ სპილენძი, რომელიც გარკვეული პროცენტით დარიშხანს შეიცავს, ხასიათდება გაცილებით უკეთესი თვისებებით, ვიდრე სუფთა სპილენძი. ამიტომაც საფიქრებელია, რომ იქ, სადაც საინისო საშუალება იყო, ადრიდანვე დაუწყიათ დარიშხანიანი სპილენძის გამოყენება. ჩვენში, როგორც ჩანს, ამგვარი სპილენძის ხმარებას მისდევდნენ ლითონის გამოჩენის ადრინდელი საფეხურიდან დაწყებული მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე, მაშინაც კი. როდესაც კალა უკვე მეტ-ნაკლებ გავრცელებას პოულობს⁷. ძველ აღმოსავლეთში კი კალიანი ბრინჯაოს გავრცელებასთან ერთად დარიშხანიანი სპილენძი თითქმის ხმარებიდან გამოდის⁸.

ვ. ლიუბინის მოსაზრება, რომ ქულბაქებზე აღმოჩენილი ცული სამარხიდან უნდა იყოს, მაინცადამაინც დამაჯერებლად არ გამოიყურება: აქაური სამარხები თითქმის ყველა გაცილებით უფრო გვიანი ხანისაა. რაც შეეხება № 5 სამარხს, ვ. ლიუბინი მას აქ აღმოჩენილი სატევრის პირის მიხედვით ცულის თანადროულად მიიჩნევს, რაც მართებული არ ჩანს⁹. ეს სამარხიც უფრო გვიანი ხანისა უნდა იყოს. მსგავსი ბრტყელი, ყუნწგახვრეტილი სატევრის პირი ცნობილია ქვასათალის სამაროვნის ერთ-ერთი სამარხიდან, რომელიც. შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება¹⁰. ქულბაქებზე და ზღუდერზე შუა ბრინჯაოს ხანის სხვა სამარხებიც არის მიკვლეული. 1954 წ. ქულბაქების ზორცვზე აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს ხანის სამარხში იპოვეს რამდენი-

¹ W. Lamb, Excavations at Thermi in Lesbos, გვ. 215.

T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, ცხ. გვ. 189.

E. R. Caley, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, ტაბ. II.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 60, ტაბ. I.

⁴ R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

⁵ R. F. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

⁶ H. Otto, W. Witter, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁷ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

⁸ E. R. Caley, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, ტაბ. III.

T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

⁹ В. П. Якушин, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, 21, სურ. 1, 11.

¹⁰ О. М. Джапаридзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, სურ. 4, 5.

მე თიხის ჭურჭელი, პასტისა და სერდოლიკის მძივები და სხვ. ბ. კუფტინმა ზღუდრის ბორცვზე, მის ცენტრალურ ნაწილში, გათხარა ჩაშვებული სამარხი, რომელიც აგრეთვე ბრინჯაოს კულტურის შუა საფეხურს მიეკუთვნება. სამარხში იყო რამდენიმე შავბრიალა ჭურჭელი (ტაბ. VIII, 8) და ერთი ბრტყელი, სამკუთხა, ფართოყუნწიანი დანის პირი (ტაბ. VIII, 6). ამ სამარხზე რაღაცდენადმე გვიანდელი უნდა იყოს აქვე აღმოჩენილი სამარხის ნაშთი, რომელშიაც ნაპოვნი იყო სერდოლიკის რამდენიმე დაიერხილი მძივი (ტაბ. VIII, 7). აზრივად, ენეოლითის შემდეგ ამ მიდამოებში კვლავ იჩენს თავს ცხოვრება შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული. უფრო ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს აქ გვიანბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანაში. ქულბაქების ბორცვის თითქმის მთელ ფართობზე ჩნდებოდა გვიანი ბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები. იგივე სურათი დასტურდება კულ-ხონზე¹, სადაც ამ ხანის ორი სამარხიც აღმოჩნდა. ქულბაქების ბორცვის ერთ-ერთ სამარხში დამოწმებული იყო მიცვალებულის კევრზე დასაფლავების კვალი.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსახრება, რომ ბრინჯაოს ხანაში, შესაკონსერვების და მეტალურგიის განვითარებასთან დაკავშირებით, ხდება ეკონომიური ცენტრის გადანაცვლება ბარიდან მთაში, რაც იწვევს ბარში ცხოვრების ერთგვარად ჩაქრობას². ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ხელახალი აღზევება ბარისა ხდება დაახლოებით ათასი წლის შემდეგ, ბრინჯაოს კულტურის ბოლოს. ასეთი დასკვნა მას გამოყავს ბარში შესწავლილი ენეოლითური ხანის ნამოსახლარების საფუძველზე, სადაც თითქმის ყოველთვის ენეოლითური ხანის მომდევნო ქრონოლოგიურ ფენად ჩანს ბრინჯაოს — აღრეკინის ხანის ჰორიზონტი. ჩვენში ამგვარი სურათი შეინიშნება გუდაბერტყაზე, ხიზანანთ გორაზე და ქვაცხელებზე. იგივე ვითარებაა სომხეთში გამოვლენილ ძეგლებზედაც (გარნი, არმავირი, დვინი და სავ.). კვლავ მიმდინარეობს ამ ადგილების ინტენსიური ათვისება მიწათმოქმედების ხელახალი მომწიფარების შედეგად, რაც, როგორც ჩანს, ჩვენში გვიანი ბრინჯაოს, და აღრეული რკინის ხანის დასაწყისში ხდება. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ბარში ცხოვრება მთლიანად ქრება და ხდება ბარის მკვიდრთა ერთიანი გადასვლა მთიან ზოლში. ბარში კვლავაც განაგრძობს არსებობას მეურნეობის ძველი წესი, მიწათმოქმედება, თავად არა ისეთი სიძლიერით, როგორც ეს ენეოლითის საფეხურზე იყო. აქ აღარ ჩანს ისეთი ინტენსიური ცხოვრება, ეტყობა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მთას მიაბურა და მეურნეობის ახალ, წამყვან დარგად მესაკონსერვება გაიხადა. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენში არ არის შესწავლილი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები ბარში, რომ შესაძლებელი იყოს რაიმეს გარკვევით თქმა იქაურო სამეურნეო ცხოვრების შესახებ. დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ბრინჯაოს ხანის აღრეული პერიოდის რამდენიმე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთი და რამდენიმე სამარხი. ამათგან განსაკუთრებით

¹ Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, т. XXIII, Москва, 1955, 83-6.

საყურადღებოა ხოვლეს მახლობლად გათხრილი ერთი ყორღანი და გ. ნიორაძის მიერ შესწავლილი სამგორის ყორღანი. ორივე ეს ყორღანი ჩანს დაწინაურებული პირის სამარხი უნდა ყოფილიყო და მოსახლეობის გარკვეულ ეკონომიურ სიდიდეებზე მეტყველებს. მასალის სიმცირის გამო კიდევ უფრო ნაკლების თქმა ხერხდება მომდევნო ხანის შესახებ ბარში. ამ ხანას მიეკუთვნება ქარელის რაიონში სოფ. დიდ აბალსოფელში გამოვლენილი შუა ბრინჯაოს ხანის მასალა, რომელიც ენეოლითური ხანის ძეგლის მახლობლად აღმოჩნდა¹, და სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ერთ-ერთი ყორღანული სამარხი, რა თქმა უნდა, ამ მცირე მასალის მიხედვით ძნელია გარკვეული მოსაზრების გამოთქმა, მაგრამ შუა ბრინჯაოს ხანაშიც აქ ცხოვრება მაინცაღამაინც ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო.

შიდა ქართლის მთისძირა რაიონის ინტენსიური ათვისება უკვე ენეოლითის ხანაში ხდება ძირითადად დროებითი სამოსახლოების სახით. ამგვარი დროებითი, სეზონური სამოსახლო ადგილებია ქულბაქები, სტალინირის ნაკარგორა, დოდოთი და სხვ. საინტერესოა, რომ ამ სამოსახლოებზე მომდევნო ხანის ცხოვრების კვალი მაინცაღამაინც არ შეინიშნება. ეს გარემოება შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ ის სამეურნეო და ეკონომიური ძვრები, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა, აღარ საჭიროებდა დროებით სამოსახლოებს მთისძირა რაიონში განლაგებულ ბორცვებზე. ამ ბორცვებზე ხელახალი დასახლების კვალი ჩანს გვიანბრინჯაოსა და აღრეულ რკინის ხანაში, თუმცა ზოგიერთ ბორცვზე ნაპოვნი იყო შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებიც. მაშასადამე, მთისძირა რაიონების ბორცვებზე ხელახალი დასახლება ხდება გვიანბრინჯაო-აღრეული რკინის ხანაში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ისევ იწყება ბარის ინტენსიური ათვისება და მიწათმოქმედების ხელახალი დაწინაურება.

შიდა ქართლის მთისძირა რაიონში მოპოვებული მასალებით კარგად ჩანს ცხოვრების კვალი აღრეული ბრინჯაოს ხანაშიც. აქ მთელ რიგ ადგილებში აღმოჩენილია ამ პერიოდის სამარხები: ძალინას სამაროვანი, ნულის სამარხი², სტალინირში „კვასისმშენის“ ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხები და სავ. კიდევ უფრო ინტენსიური ცხოვრება ჩანს ამ ზოლში შუა ბრინჯაოს ხანაში. ცნობილია ამ პერიოდის სამაროვნები ნულიდან, ქვასათალიდან, სტალინირიდან (სატყეო კომბინატი), ფრინვეის და ავნევის ყორღანები და სხვ. მაგრამ, ეს პერიოდები თითქმის არავითარ ასახვას არ პოულობენ ბორცვზე აღმოჩენილ მასალებში. როგორც ჩანს, ბრინჯაოს ხანაში დასახლებისათვის აღარ ხმარობენ ამგვარ ბორცვებს, რომლებიც ენეოლითისა და ბრინჯაოს კულტურის ბოლოსათვის საკმაოდ მძლავრად იყო გამოყენებული სამოსახლოებად. ამის მიზეზი, იმ სამეურნეო ხასიათის ცვლილებებში უნდა ვეძიოთ, რომელიც ბრინჯაოს ხანის აღრეული პერიოდიდან იწყება

¹ თ. ჯაფარიძე და ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV — B, თბილისი, 1948, გვ. 20.

² თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

ჩვენში. იქ, სადაც ასეთი ძლიერი სამეურნეო და ეკონომიური ძვრები არ მომხდარა, ცხოვრება თითქმის განუწყვეტელი ხაზით ვითარდება ერთ ადგილას, — ზოგჯერ ადრეული პერიოდიდან საკმაოდ გვიანდელ ხანამდე¹. ამის საუკეთესო მაგალითებია წინა აზიაში გავრცელებული თელეები და თეფეები².

ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის გავრცელების საზღვრები უკანასკნელი ხანების გამოკვლევების შედეგად მეტად გაფართოვდა. ბ. კუფტინის მიერ თავდაპირველად ამ კულტურისათვის შემოღებული სახელი „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“³ ახლა მთლად ზუსტი აღარ არის იმის გამო, რომ ამ ტიპის ძეგლების გავრცელების არე სცილდება მტკვრისა და არეზის აუზებს. ამიტომაც ბოლო დროს ამ კულტურას უფრო ხშირად უწოდებენ ამიერკავკასიის, სამხრეთ კავკასიის⁴, ან კიდევ კავკასიის ენეოლითს⁵. ამ ორიოდ წლის წინ მის აღსანიშნავად კიდევ ერთი სახელწოდება იხმარეს „აღმოსავლეთ-ანატოლიური ადრებრინჯაოს ეპოქა“⁶. თუმცა იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ამ კულტურას შეიძლება ვუწოდოთ „აღმოსავლეთ-ანატოლიურ-ამიერკავკასიური ადრებრინჯაოს ხანის ეპოქა“⁷.

ფიქრობთ, რომ ყველაზე მართებული იქნებოდა ჩვენი ენეოლითური კულტურისათვის გვეწოდებინა „ამიერკავკასიის ენეოლითი“ იმის გამო, რომ მისი გავრცელების ძირითადი რაიონი ცენტრალური ამიერკავკასია იყო მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში. სადღეისოდ თითქოს შესაძლებელი ხდება ამ ენეოლითის გავრცელების საზღვრების მოხაზვა.

ჩრდილოეთით ამ კულტურის გავრცელების უკიდურესი პუნქტია ლუგოვოეს ნამოსახლარი გროზნოს მხარეში⁸. იმის გამო, რომ აქ ერთი მხრივ ჩანს ამიერკავკასიური ენეოლითის, ხოლო მეორე მხრივ კი ჩრდილოკავკასიური კულტურის ელემენტები, მართებულად ფიქრობენ, რომ ეს რაიონი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიური ენეოლითური კულტურის ჩრდილო საზღვარი⁹.

ამ კულტურის სფეროში ექცევა, როგორც ეს უკანასკნელ დროს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებიდან ჩანს, აღმოსავლეთ ანატოლიის მაღალმთიანი ზოლი¹⁰. მისი გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი ურმიის ტბას აღ-

¹ Г. Чавид, Древнейший Восток..., გვ. 39.

² T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

A. Jirku, Die Ausgrabungen in Palestina + Syrien, Halle, 1956, გვ. 1.

J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

³ Б. А. Куптин, К проблеме эпохита Внутр. Кавказа и Юго-Осетии, გვ. 67.

⁴ А. А. Иессен, Азербайджанская экспедиция в 1956 г., გვ. 80.

Р. И. Мунчаев, Кавказское поселение и проблема Кавк. эпохита, გვ. 5.

⁵ Е. И. Круглов, Первые итоги изучения Восточн. Предкавказья, გვ. 157.

⁶ С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

⁷ იქვე, გვ. 165, სქოლიო 22

⁸ Е. И. Крупинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 1⁵.

⁹ Р. И. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

¹⁰ С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 164

J. Mellaart, The End of the Early Bronze Age in Anatolia and the Aegean, გვ. 9.

წევს¹. ანატოლიაში ეს საზღვარი სამხრეთით მიდის ვანის ტბასა და ასირიას შორის მოქცეულ მთებამდე². უფრო კარგად ისახება ამ კულტურის დასავლეთი საზღვარი მალათიისა და ადიამნის მთებთან³, მისი ელემენტები დასავლეთით საქმაოდ შორს შექრილა. სირია-პალესტინაში აღმოჩენილი კირბეტ-კერაკის კერამიკა, რომელიც უცხოა ამ რაიონებისათვის, საერთოს პოულაობს ამიერკავკასიის ენეოლითთან⁴. კირბეტ-კერაკის ნაწარმი, როგორც უცხო სირია-პალესტინისათვის, პირველად გამოყო კ. შეფერმა და მანვე იხმარა ეს სახელიც⁵. უფრო გვიან კ. შეფერმა ზოგიერთ ანატოლიურ მასალებთან მსგავსების შედეგად გამოთქვა მოსაზრება, რომ კირბეტ-კერაკის კერამიკა ანატოლიური წარმოშობისა უნდა იყოს⁶. სადღეისოდ უკვე საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი მისი ჩრდილოური წარმოშობის შესახებ⁷. ს. ჰუდს ექვი ეპარება მის ანატოლიურ წარმომავლობაში და პირდაპირ აღნიშნავს, რომ კირბეტ-კერაკის კულტურა გამოსული უნდა იყოს მტკვრისა და არაქსის აუზის მიდამოებიდან⁸. ამავე აზრს იზიარებს ლ. ეული⁹. იმის გამო, რომ ამ კულტურის გავრცელების დიდ გზაზე ამიერკავკასიიდან პალესტინამდე მისი კვალი თითქმის არ ჩანს, ფიქრობენ, რომ ეს გადაადგილება სწრაფად უნდა მომხდარიყო¹⁰. ბერნეის აზრით, მიგრაცია შეიძლება მომხდარიყო უფრო აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ელიზიგის ველიდან¹¹. ასეა თუ ისე, საფიქრებელია, რომ ამიერკავკასიური ენეოლითური კულტურის მატარებელი ტომების შექრის შედეგად ვრცელდება ალბათ სირია-პალესტინაში ე. წ. კირბეტ-კერაკის ნაწარმი.

საერთოდ, ენეოლითის პერიოდში მკიდრო ურთიერთობა შეინიშნება წინააზიურ სამყაროსთან. მაგრამ ეს ურთიერთობა, როგორც ჩანს, ძირითადად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ენეოლითური კულტურიდან ჩვენში, შეიძლება ითქვას, თითქმის არ შეინიშნება რაიმე კვალი ძველის ნგრევისა და ახლის შემოჭრისა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კერამიკაში, რომელიც გავრცელების მთელ ტერიტორიაზე თითქმის უცვლელად ინარჩუნებს

¹ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

² C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

³ იქვე.

⁴ A. Jirku, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

F. A. Claude Schucffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁵ იქვე, სქოლიო.

⁶ იქვე.

⁷ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

W. Lamb, *The Culture of North-East Anatolia and its Neighbours*, გვ. 30.

⁸ R. Dussaud, *Prelydions Hittites et Acheens*, Paris, 1953, გვ. 115.

W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

A. Goetze, *Kleinasien*. München, 1957, გვ. 40.

S. Lloyd, *Early Anatolia*, 1956, გვ. 66.

Г. Гафид, *Древний Восток...*, გვ. 331.

⁹ L. Woolley, *A Forgotten Kingdom*, Baltimore, 1953, გვ. 32.

W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

¹¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

თავის ხასიათს. სავაჭრო თუ სხვა სახის მშვიდობიანი ურთიერთობის შედეგად, რომელიც საერთოდ აღრინდელი ხანიდან შეინიშნება წინააზიურ სამყაროში¹, შემოდის ალბათ ჩვენს ენეოლითურ კულტურაში მთელი რიგი წინააზიური ფორმები თიხის ჭურჭლისა. ამ მხრივ პირველყოფილისა უნდა დავასახელოთ სქელძირიანი ჯამები. ეს ფორმა ჭურჭლისა საკმაოდ გავრცელებულია წინა აზიაში აღრეული პერიოდიდან. მას ეხვდებით არააზიაში ობიდის პერიოდის ფენებში², ჯაგარ-ბაძარში მე-7 და მე-8 ფენებში³, ურში⁴, ჰისარში⁵, მერსინის ხალკოლითურ ფენებში⁶ და სხვ. ჩვენში მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოჩნდა თითო ცალი კიკეთსა⁷, დიდუბეში⁸, და ორიც ოზნში (სურ. 15, 8. ტაბ. V, 6)⁹. აღსანიშნავია აგრეთვე ოზნში ნაპოვნი ერთი ოთაქანხავა მაღალი ჭურჭელი (სურ. 15, 7), რომლის მსგავსი ცნობილია აიდან¹⁰ (იერუსალიმის მახლობლად). ქვაცხელებზე ქვედა ფენაში ნაპოვნი იყო ერთი მაღალი ჭურჭელი, რომელსაც პირობით „ნათურა“ უწოდეს¹¹. ეს ნივთი ახლო ურთიერთობას ამჟღავნებს თეფე გავრას ერთ ჭურჭელთან¹². გარდა ამისა, ქვაცხელებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ქუსლიანი ჭურჭელი¹³, რომელიც არ არის დამახასიათებელი ჩვენებური ენეოლითური კულტურისათვის და ჩანს წინა აზიასთან ურთიერთობის ანარეკლი უნდა იყოს. ცნობილია, რომ მსგავსი ჭურჭელი წინა აზიაში საკმაოდ აღრეული ხანიდან შეინიშნება¹⁴. თრიალეთში აღმოჩენილი ორმაგი ჭურჭელი აგრეთვე ამ ურთიერთობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამგვარი ჭურჭელი კარგად იყო ცნობილი ძველ აღმოსავლეთში¹⁵. როგორც აღვნიშნეთ, მოხატული კერამიკა ჩვენში წინა აზიასთან ურთიერთობის შედეგად შემოდის. მართალია ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდის საბით, მაგრამ მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ ამგვარი ურთიერთობის შედეგად წინააზიურ სამყაროში თავს იჩენს ამიერკავკასიის ენეოლითისათვის დამახასიათებელი ზოგი ელემენტი. აღსანიშნავია შიდა ქართლის ენეოლითისათვის დამახასიათებელი ძირშედრეკილი სასძისების მსგავსი ჭურჭ-

¹ J. Garstang, Prehistoric Mersin, გვ. 79.

² M. E. L. Malloyan, Excavations at Tell Arpachiyah, 1933, გვ. 70, სურ. 39, 1. 5, 6.

³ M. E. L. Malloyan, The Excavations at Tell Chagar Bazar, სურ. 20, 8.

⁴ V. Christian, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 347. 10.

⁵ E. Schmidt, Excavations at Tepe Hissar Damghan, ტაბ. XXXVIII.

⁶ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, სურ. 54, 2.

⁷ Б. А. Куфтян Урартский „колумбария...“, გვ. 87, ტაბ. XX.

⁸ დ. ქორციე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. 1, გვ. 18, ტაბ. VII, 1, 2.

⁹ Б. А. Куфтян, Археологические раскопки 1947 г., გვ. 32, ტაბ. XXXVI.

¹⁰ J. Marguet — Krause, Le deuxième compagne de feuilles a Ay (1934), Syria. t. XVI, vol. 4. Paris, 1935, ტაბ. LV.

¹¹ ლ. დლონტი. აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

¹² E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, ტაბ. XXX.

¹³ ლ. დლონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

¹⁴ E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, ტაბ. LXII.

V. Christian, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 70.

E. Schmidt, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXVI, XXXVI.

¹⁵ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 194, სურ. 124, 127.

Hans Henning, von der Osten, დასახ. ნაშრომი, გვ. 247, სურ. 239.

A. Götze, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ლის აღმოჩენა აღიშარის ხალკოლითურ ფენაში¹. ამგვარი სასმისები ცნობილია აგრეთვე მერსინიდან. ანატოლიის „სპილენძის ხანის“ დროინდელ ფენიდან². საყურადღებოა, რომ ეს ფორმა სასმისისა შიდა ქართლში (ნული, ქვესათალი) მერეც არსებობს. ახლოა მასთან ვერცხლის სასმისი თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყორანიდან³. ანატოლიიდან ცნობილია ბადისებრი ქურქლის აღმოჩენის შემთხვევებიც⁴. ალაჯას ხალკოლითურ ფენაში აღმოჩნდა ქურქლის ნატეი ოელიეფუოი სპირალით⁵ და ერთი თიხის ქურქელი, რომელიც როგორც აღნიშნავენ, კირბეტ-კერაკის კერამიკის მსგავსია⁶. ჩვენი კერამიკის მონათესავე ქურქლების აღმოჩენის ცალკეული შემთხვევები ჩანს ანატოლიიდან. იგივე აღიშარზე მოპოვებული ზოგიერთი ქურქელი მთელი რიგი ნიშნებით ახლო დგას ჩვენებურ კერამიკასთან⁷. მსგავსება ჩანს აგრეთვე დიუნდარ თეფეში და ტეკეკოიში ნაპოვნ ქურქელთან⁸ და სხვ.

ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი სადგარები, რომელთა მრავალგვარი ვარიანტია ცნობილი, როგორც აღვნიშნეთ, ახლო დგანან წინა აზიაში გავრცელებულ სადგარებთან. ეს ფაქტიც ანარეკლი უნდა იყოს წინააზიუო საწყაროსთან ურთიერთობისა, რომელსაც საფუძველი ეყრება ამ ხანაში. ძნელია ჯერჯერობით გადაჭრით თქმა, საიდან მოდის ესა თუ ის ფორმა სადგარისა, მაგრამ ის ფაქტი, რომ რქიანი სადგარები ჩვენში მეტად ფართო გავრცელებას პოულობს და აგრეთვე ისიც, რომ აქ მათი მრავალგვარი სახესხვაობები გვხვდება, შესაძლოა იმის დასამტკიცებლად გამოდგეს, რომ ზოგი ტიპი სადგარისა მიხედვით ადგილობრივ ნიადაგზე შეიქმნა და აქედან გავრცელდა სამხოეთ-დასავლეთით. უპირველესად ეს ითქმის ორ სადგარზე: ნალისებრსა და ე. წ. „ტორსისებრზე“. ნალისებრი სადგარი ჩანს ამიერკავკასიური ენეოლითისათვის იყო დამახასიათებელი და აქედან უნდა შესულიყო იგი სხვაგან. რაც შეეხება „ტორსისებრ“ სადგარს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მსგავსი ამიერკავკასიის გარდა მხოლოდ ერთადერთია ცნობილი თერმიდან. ვ. ლამბი იმის გამო, რომ ამგვარი ნივთი უცნობი იყო მცირეაზიური საწყაროსათვის, მას დასავლურ გავლენას მიაწერდა⁹. ჩვენი აღმოჩენების სინათლეზე ეს მოსაზრება გადასინჯვას მოითხოვს. მართებულია ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის სადგარი თერმიში ამიერკავკა-

¹ Hans Henning von der Osten, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, სურ. 70.

² J. Garstan g, დასახ. ნაშრომი, გვ. 189, სურ. 118 და 119.

³ O. M. Джипаридзе, Квасцательский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, გვ. 28.

⁴ T. Özgüç, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, ტაბ. XX, b.

Remzi Oguz Arik, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XL, IX.

⁵ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

⁶ A. Güterich, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

⁷ Hans Henning von der Osten, დასახ. ნაშრომი, სურ. 71, 73, 170.

⁸ K. Kökten, N. Özgüç, T. Özgüç, Türk Tarih Kurumu adına yapılan Samsun bölgesi kazıları hakkında ilk kısa rapor, Belleten, Cilt. IX, Sayı 35, Ankara, 1945, ტაბ. V, VI.

⁹ W. Lamb, Excavations at Thermi in Lesbos, გვ. 163, სურ. 44.

სიის სფეროდან უნდა იყოს შესული მცირე აზიის გზით. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ბ. კუფტინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ენეოლითის საფეხურზე მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან¹.

დასასრულ შევჩერდებით თოლოსის ტიპის შენობებზე. ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის პირველმა შემსწავლელებმა იმთავითვე შენიშნეს ახლო ურთიერთობა წინააზიურ თოლოსებსა და ჩვენში გამოვლენილ ენეოლითურ შენობებს შორის². ჯერჯერობით ძნელია გარკვევით რისამე თქმა ამ ურთიერთობის შესახებ. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ შენობის ეს ტიპი ჩვენში მართლაც მესოპოტამიური გავლენის შედეგად გავრცელებულიყო, სადაც ამგვარი შენობები ხალკოლითურ ხანაში ფართო გავრცელებას პოულობს. როგორც ჩანს, ამ ტიპის შენობები საკმაოდ ადრეული პერიოდისაა ვრცელდება სხვაგანაც. გარსტანგი ფიქრობს, რომ იერნოში მრგვალი შენობები უნდა შემოეტანათ იმიგრანტებს ადრებრინჯაოს ხანაში. თურქეთში აღმოჩენილი თოლოსების შესახებ გაბოიქვა მოსაზრება, რომ მათი კავკასიური წარმომავლობა არ არის შეუძლებელი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ტიპი შენობისა ჩვენში მაინც წინააზიური გავლენის შედეგად შემოდის ენეოლითური კულტურის შედარებით ნოვეიანო საფეხურზე. ასეა თუ ისე. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტიც ძველ აღმოსავლურ კულტურასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირის შესახებ მეტყველებს. სულ ერთია, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს ურთიერთობა, ბ. კუფტინის აზრით, მტკვარ-არაქსის შუამდინარეთში გამოვლენილი კულტურა ხასიათდება თავისებური სტილისტური ნიშნებით, რომლებიც უცხო ჩანს მესოპოტამიის, სირიისა და სხვა ქვეყნებისათვის³.

ამიერკავკასიაში ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე გავრცელებულ კულტურას გააჩნდა თავისებური თვითმყოფადი სახე, რომელსაც საკუთარი ძველი ტრადიციები უნდა ჰქონოდა. პ. პიოტროვსკი ადრევე აღნიშნავდა, რომ ამ კულტურის საწყისები ადგილობრივ ნეოლითშია დასაძებნი⁴. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ნეოლითური კულტურაა ჩვენში სუსტად შესწავლილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ამიერკავკასიის იმ რაიონის შესახებ, სადაც ენეოლითური კულტურის გავრცელების ძირითადი არე უნდა ყოფილიყო. ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიაში, მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია ნეოლითური კულტურა. შედარებით უკეთ შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, მაგრამ როგორც ჩანს, ზღვისპირა რაიონი არ შედიოდა ენეოლითური კულტურის სფეროში და შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაბლაგომი მისი გავრცელების

¹ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“., გვ. 127.

Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года., გვ. 44.

² Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“., გვ. 114.

Б. В. Пиотровский, Поселения медного века в Армении, გვ. 172.

³ Б. А. Куфтин, დაახ. ნაშრომი., გვ. 26.

⁴ Б. В. Пиотровский, დაახ. ნაშრომი., გვ. 180.

უკიდურესი ნაწილი იყო¹. დასავლურ-ქართული ნეოლითი თავისებურ სახეს ატარებს და იგი არ უკავშირდება ამიერკავკასიურ ენეოლითს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კერამიკულ მასალაზე. მართალია ნეოლითური კერამიკა მაინცადამაინც კარგად ცნობილი არ არის, მაგრამ ის, რაც არის ოდიშიდან, ანასეულიდან და სხვა ადგილებიდან სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა. ნეოლითური ჭურჭელი ისეთი ფორმით ხასიათდება (ძირბრტყელი, გადაშლილი და სხვ.), რომ მისი დაკავშირება ენეოლითურ კერამიკასთან თითქმის შეუძლებელი ხდება. იგივე თქმის ორნამენტის შესახებაც. ნეოლითისათვის დამახასიათებელია ჭდეული ორნამენტი, ფხური, თავთავისებრი და სხვ.². ენეოლითური ჭურჭლისათვის ეს მოტივები სრულიად უცხოა. როგორც აღვნიშნავდით, აქ უმთავრესად გვხვდება რელიეფური ორნამენტი. ჩანს. დასავლეთ საქართველოს ნეოლითი საფუძვლად დაედო კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის ნამოსახლარების კულტურას (ოჩამჩირე, დიხაგუძეა, ნაოხვამუ და სხვ.)³. საფიქრებელია, რომ ენეოლითს ჩვენში წინ უძღოდა განსხვავებული ხასიათის ნეოლითური კულტურა, რომლის წიაღშიაც უნდა შექმნილიყო ის ტრადიციები, რომელიც ასეთ თავისებურ სახეს აძლევს ამიერკავკასიის ენეოლითს. რა თქმა უნდა, ეს კულტურა დასაძებნია ენეოლითის გავრცელების ძირითად რაიონში. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პირველი ნიშნები ამისა თითქოს გამოვლინდა კიდეც. გ. გობჯიჯიშვილი აღნიშნავს, რომ თეთრიწყაროს ნამოსახლარზე გამოჩნდა კულტურა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ენეოლითურს⁴. მეტად საყურადღებო მასალას მოგვცემს ამასთან დაკავშირებით ნახიქვენის ქიულთეფეს IV ფენაც⁵. ჯერჯერობით მეტად ჭირს ენეოლითური კულტურის განვითარების საფეხურების დადგენა. ის კულტურა კი, რომელიც ჩვენ თვალწინ იშლება, იმდენად წინაა წასული, რომ უკვე რთულდება მისი წარმომავლობის საკითხის სწორი განსაზღვრა.

სადღესოდ ძნელია გარკვევით თქმა, თუ სად ჩამოყალიბდა პირველად ეს კულტურა. ბუნებრივია, იგი უნდა წარმოშობილიყო იქ, სადაც შედარებით ფართო გავრცელება პოვა. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ ეს მომხდარიყო სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში⁶, მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთის ერთ-ერთ რომელიმე დაწინაურებულ ოლქში⁷. უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ ანატოლიაში მომხდარი აღმოჩენების შედეგად

¹ С. А. Вигнел, დასახ. ნაშრომი, გვ. 166, სქოლიო 23.

² ნ. ბე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი, 1956, გვ. 281.

³ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 30.

⁴ გ. გობჯიჯიშვილი, თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, გვ. 9.

⁵ А. А. Ивсен, Азербайджанская экспедиция в 1956 году, გვ. 73.

О. А. Абнбуласв, Раскопки холма Кюльтепе близ Нахичована в 1956 г., გვ. 432.

⁶ К. Х. Кушнарени, Памятники медного века в Нагорном Карабахе, გვ. 179.

⁷ Р. М. Муячсв, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ს. ბერნეი ფიქრობს, რომ ამ კულტურის წარმოშობის ცენტრი შეიძლება ყოფილიყო არაქსის ველის შუა ნაწილი, ე. ი. იგდირისა და ერევნის რაიონი. აქედან იგი შედარებით ადვილად გავრცელდებოდა ჩრდილოეთ თრიალეთამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ურძის ტბამდე, დასავლეთით კი ყარსამდე. თუმცა ს. ბერნეი თვლის, რომ ამ კულტურის სამშობლოდ ელიაზიგ-მალათიას ოლქიც შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ-ერთ საბუთად იმისა, რომ ელიაზიგი უფრო უნდა ყოფილიყო ამ კულტურის წარმოშობის ცენტრი, ვიდრე არაქსის ხეობა, მას მოყავს ხანგრძლივი ხალკოლითური ეპოქის არსებობა ამ რაიონში. ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ჯერ ხალკოლითი ცნობილი არ არის, თუმცა ავტორს სარწმუნოდ მიაჩნია მისი აღმოჩენა აქაც¹. მეორე ადგილას იგივე მკვლევარი შენიშნავს, სადღეისოდ ჯერ კიდევ ძნელია გადაჭრით თქმა თუ აღმოსავლეთ ანატოლიის ან ამიერკავკასიის რომელ ნაწილში უნდა წარმოშობილიყო ეს კულტურა. ნაჩქარევი იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ იგი ჩაისახა მტკვრისა და არაქსის აუზში, კავკასიის სამხრეთით, თუმცა არაქსის ხეობა ძალიან ნაყოფიერია². ვფიქრობთ, რომ ძნელია ელიაზიგის მხარე მივიჩნიოთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ცენტრად. ის ფაქტი, რომ აქ ხალკოლითური კულტურა იყო აღმოჩენილი, უფრო ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. საქმე იმაშია, რომ ელიაზიგ-მალათიას მხარის ხალკოლითში გამოვლინდა ხსუნის, ხალაფის, ელობეიდის ტიპის მოხატული ქურქელი და ადგილობრივი მოხატული კერამიკა³. ამ კერამიკას არაფერი საერთო არა აქვს ჩვენი ენეოლითისათვის დამახასიათებელ სადა ვაპრიალებულ ქურქელთან. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა აზიის ნეოლითში გავრცელებული იყო სადა კერამიკა⁴, მაგრამ, როგორც ჩანს, კულტურის ბოლოსათვის გამოჩენას იწყებს მოხატული კერამიკა⁵. მერსინში, მაგალითად, ნეოლითის უკანასკნელ ფაზაში მონოქრომულ ნაწარმს თანდათანობით ცვლის მოხატული ქურქელი⁶, რომელიც შესაძლოა აქ გარედან შემოდის⁷. ამგვარივე სურათი გვაქვს დაახლოებით კვიპროსზედაც⁸. ხალკოლითის პერიოდში მოხატული კერამიკა საყოველთაო გავრცელებას პოულობს. წინა და მცირე აზიაში ფართოდ ვრცელდება ტელ-პალაფის, ობეიდის და სხვ. ტიპის კერამიკა⁹. მცირე აზიაში ხალკოლითის პერიოდში მოხატუ-

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

² იქვე, გვ. 165.

³ იქვე, გვ. 161.

⁴ S. Williams, Neolithic burnished Ware in the Near East. Iraq, vol. X, Part I. 1946, გვ. 34.

⁵ K. Bittel, Grundzuge der Vor- und Frühgeschichte Kleinasien, გვ. 21.

⁶ J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

⁷ П. П. Ефименко, Неолитический Мерсин, Сов. арх., т. I, Москва, 1959, გვ. 296.

⁸ P. Dicaos, La civilisation neolithique dans l'île de Chypre, გვ. 363.

⁹ K. Bittel, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

J. Garstang, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

Л. Чангад, Древнейший Восток., გვ. 174.

ლი კერამიკის გავრცელების სფეროში მოექცა აღმოსავლეთ ანატოლია¹. უფრო ჩრდილოეთით იგი აღარ გავრცელებულა და ამიერკავკასიაში ისევ განაგრძობდა არსებობას კულტურა სადა კერამიკით, რომლის განვითარების შედეგად უნდა მიგველო ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა. ჩანს სადღაც IV და III ათასწლეულების მიჯნაზე ამ კულტურის მატარებელი ტომები იწყებენ მოხარობას ანატოლიისაკენ და კიდევაც იკავებენ აღმოსავლეთ ანატოლიის გარკვეულ ტერიტორიას. აღსანიშნავია, რომ აღიზარ I ადრებრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების აღმოსავლეთ ნაწილში ფილირ ჰეიუკისა, (ბაიბურთან) და კარაჯში შერევის იწყებს უკვე სხვა ელემენტი. ეს უცხო ელემენტი დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ენეოლითთან, რადგან ამ რაიონებშია დამოწმებული სწორედ ამ კულტურის ნიშნები². ეს მოვლენები თითქოს კარგად ჩანს გეთეფეს მაგალითზეც. აქ M პერიოდის ფენებში გავრცელებული იყო მონათული კერამიკა³, მოძღვენო K პერიოდში კი ვრცელდებოდა სრულიად სივადგარი კერამიკა, რომელიც ახლო დგას ამიერკავკასიის ენეოლითის ჭურჭელთან⁴. შემდეგ ხანაში ისევ ამიერკავკასიურისაგან სრულიად განსხვავებული კერამიკა ჩნდება⁵. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის ტიპის კერამიკის გაჩენასთან ერთად გეთეფეში თავს იჩენს სპილენძდარიშხანიანი ნივთები, მაშინ, როდესაც M პერიოდის ლითონის ნივთები თითქმის სუფთა სპილენძისაა⁶.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ენეოლითისათვის დამახასიათებელია სპილენძ-დარიშხანიანი ნივთები. საყურადღებოა ისიც, რომ გეთეფეს ნივთებში დარიშხანის პროცენტული რაოდენობა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ჩვენსაში. ეს ფაქტიც თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი კულტურა აქ ამიერკავკასიიდან უნდა გავრცელებულიყო. ამრავად, სადღეისოდ არსებული მასალები უფრო იმას მოწმობენ. რომ ჩვენი ენეოლითური კულტურის გავრცელების პირველადი ცენტრი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიაში, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში. საფიქრებელია, რომ აღნიშნული რაიონის რომელიმე ერთ დაწინაურებულ ოლქში ჩანსახა ამ კულტურის ძირითადი ელემენტები. ასეთად შეიძლება ვივარაუდოთ ის მხარე, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქნებოდა ძეწათმოქმედების განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ საკითხების შესასწავლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ენეოლითური კულტურის განვითარების საფეხურების დადგენას. მაგრამ, სანწუხაროდ, მოპოვებული მასალების ძიხედვით სწორედ ამის შესახებ არ შეიძლება მანცადამაინც ბევრის თქმა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის სათანადო სტრატოგრაფიული მონაცემების სიმცირე. იმის გამო, რომ ენეოლითური კულტურის ქრონოლოგიური სტადიების ჯეროვნად გამოყოფა ჭირს, ძნელდება მისი ლოკალური თავისებურებების დადგენა. ყოველთვის

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

² A. (Huetze, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

⁴ იქვე, გვ. 36.

⁵ იქვე, გვ. 63.

⁶ იქვე, გვ. 188.

ვერ ხერხდება იმის გარკვევა, კულტურის ლოკალურ ხასიათთან გვაქვს საქმე, თუ განვითარების სხვადასხვა საფეხურთან. ჯერჯერობით მანაც გაჭირდება ცალკეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების გარკვევით განსაზღვრა.

ბ. კუფტინმა თრიალეთური მასალების შესწავლის შედეგად სცადა გამოეყო ენეოლითურ ფენაში სამი კერამიკული კომპლექსი¹. მან წარმოადგინა ვარაუდი მეორე ჯგუფის კერამიკის შედარებით ახალგაზრდობის შესახებ, მაგრამ იქვე დასძინა, რომ სტრატოგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ჯერჯერობით გადაქრით არაფრის თქმა არ შეიძლება². დაახლოებით იგივე აზრისაა ბ. პიოტროვსკიც. სომხეთის ენეოლითური ძეგლების შესწავლისას მან აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი სიახლოვისა, შრეშ-ბლურისა და შენგავითის მასალებს შორის გარკვეული სხვაობაც ჩანს, რაც ბუნებრივია იმით აიხსნება, რომ შრეშ-ბლური რიგი ნიშნებით უფრო ადრეულია, თუმცა, ავტორის აზრით დღევანდელი დონე ენეოლითური მასალების შესწავლისა ამის დადგენის საშუალებას ძნელად იძლევა³.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში იყო ცდები ენეოლითური კულტურის შიგნით ქრონოლოგიური სტადიების გამოყოფისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობდნენ არა სტრატოგრაფიული მონაცემებით, არამედ ძირითადად კერამიკული ჯგუფების ცალკეული ნიშნებით. რ. მუნჩაევმა სამხრეთ კავკასიის ენეოლითურ ძეგლებში სამი ჯგუფი გამოყო. პირველ, უადრეს ჯგუფს მან მიაკუთვნა სტეპანაკერტის ყორღანები. მკვლევარი უშთავრესად კერამიკას განიხილავს და აღნიშნავს, რომ აქ ჯერ კიდევ არ გვხვდება ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია სამხრეთ კავკასიის ენეოლითური კერამიკისათვის. მეორე ჯგუფში, რომელსაც იგი ენეოლითის აყვავების ხანას უწოდებს, აქცევს შენგავითს, თრიალეთს, შრეშ-ბლურს, კაიაცენტს და სხვ. ძეგლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა ამ ჯგუფის შიგნით, მისი აზრით, ჯერჯერობით მეტად ძნელია. რაც შეეხება მესამე ჯგუფს. აქ რ. მუნჩაევს შეჰყავს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები — თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანები, ხაჩანავეტის ნაპირას შესწავლილი ყორღანები და სხვ. და მათ ენეოლითის დასასრულს მიაკუთვნებს⁴. ენეოლითური კულტურის განვითარების დაახლოებით ასეთსავე სურათს გვიხატავს კ. კუშნარევა⁵. აღნიშნულ ავტორთა მიერ დადგენილი თანმიმდევრობა მთლად დამაჯერებელი არ არის. ძნელია სტეპანაკერტის ყორღანები ადრეულ ენეოლითს მივაკუთვნოთ, სავსებით მართალი ჩანს ბ. კუფტინი, როდესაც ყორღანების ამ ჯგუფს ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებს იმის გამო, რომ აქ, გარდა კერამიკისა, აღმოჩნდა აგრეთვე სხვა ხასიათის მასალაც, რომელიც ბევრ საერთოს ნახულობს ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებ-

¹ Б. А. Купфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 115.

² იქვე, გვ. 116.

³ В. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, გვ. 175.

⁴ Р. М. Мушчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁵ К. Х. Кушнарева, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

თან¹. არც ხაჩანაგეტის ჯგუფის ყორღანების დათარიღება გვიანი ენეოლითით ჩანს მართებული. ეს ჯგუფი ყორღანებისა მართალია სტეპანაკერტის ყორღანებზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდაა, მაგრამ ისიც ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს.

დიდუბის ენეოლითური ნამოსახლარის შესწავლისას დ. ქორიძე შეეცადა აქ მოპოვებული მასალა სხვადასხვა ქრონოლოგიურ 'სტადიებად დაეყო. ავტორი აღნიშნავს, რომ დიდუბის კერამიკულ მასალაში დამზადების ტექნიკისა და ფორმის სპეციფიკის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფის დადგენა. იგი დაწვრილებით ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რომლებიც ენეოლითის განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და ამის მიხედვით დიდუბის მასალებში გამოყოფს ადრეულ, შუა და გვიანი ენეოლითის საფეხურებს². დ. ქორიძე უფრო შორსაც მიდის და დაასკვნის, რომ ანიერკავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის კურკლების ფორმებისა და ორნამენტის განვითარება ვშენიერ მასალასა და საშუალებას იძლევა მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ძეგლების შეფარდებითი ქრონოლოგია³. მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ ტექნიკისა და ფორმათა თავისებურებების მიხედვით, სხვა სათანადო მონაცემების გარეშე, ძნელია ამგვარი საკითხების საბოლოოდ გარკვევა. შესაძლოა ავტორის მიერ გამოყოფილი ზოგიერთი ნიშანი მართლაც უფრო ადრეული კერამიკული ჯგუფისათვის იყოს დამახასიათებელი, ზოგად უფრო გვიანდელისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ამის გადაჭრით თქმა, ცხადია, გაჭირდება. დიდუბის კერამიკულ კომპლექსში ენეოლითის ყველა საფეხურის გამოყოფა მაინც დამაინც დაამჯერებელი არ ჩანს. იგივე ითქმის დ. ქორიძის მიერ მოცემული ანიერკავკასიის ენეოლითური კულტურის განვითარების საფეხურების შესახებაც. ამ საკითხებში მეტი გარკვეულობა უნდა შეიტანოს სტრატиграფიულმა მონაცემებმა, სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენში ბევრი არაფერი გაკეთებულა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელი ხანების აღმოჩენები თეთრწყაროში, ქვაცხელებში, ქიულთეფეში და სხვ. სერიოზულ დახმარებას გაგვიწივენ ამ საკითხის გარკვევაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახიჭევანის ქიულთეფეს გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. აქ გამოირჩევა ოთხი ფენა, რომლიდანაც ქვედა ორი საკმაოდ ადრეული ხანისა უნდა იყოს⁴. ძირა ფენაში აღმოჩენილი თიხის კურკელი მკვეთრად განსხვავდება მის ზემოთ მდებარე ფენის კერამიკისაგან, რომელიც უკვე კარგად განვითარებულ ენეოლითს მიეკუთვნება⁵. მოუხედავად იმისა, რომ აქ მკაფიოდ შეინიშნება ფენათა სტრატиграფია, ჯერჯერობით მაინც კირს ქვედა ფენის დაკავშირება მის მომდევნო ფენას-

¹ Б. А. Куфтин, Урартский "колумбарий"..., გვ. 90.

² დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 59.

⁴ А. А. Иессен, Азербайджанская археология в 1956 году. გვ. 79.

О. А. Абибухуев, Раскопки холма Кюльтепе близ Нахичевана в 1955 г., 33-438.

⁵ О. А. Абибухуев, დასახ. ნაშრომი, გვ. 445.

თან, ძირა ფენას გამთხრელები მიაკუთვნებენ ნეოლითს ან ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალ ხანას, მის ზემოთ მდებარე ფენას კი გვიანი ენეოლითით ათარიღებენ¹. საკუთრივ გვიანენეოლითური ფენა, რომელიც საკმაოდ ძლიერია, ჯერჯერობით არ იძლევა ქრონოლოგიური ჰორიზონტების გამოყოფის საშუალებას. ამიტომაც არც ამ მასალებზე დაყრდნობით ხერხდება გარკვევით რისამე თქმა ამიერკავკასიის ენეოლითის განვითარების საფეხურების შესახებ.

ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთ გათხრილი ძეგლებიდან საყურადღებოა ურმიის ტბის მახლობლად შესწავლილი ბორცვი გეთეფე. აქ გამოვლინდა რამდენიმე ფენა, რომლიდანაც K შეიცავდა ჩვენი ენეოლითისათვის დამახასიათებელ ნაწარმს. ამ ფენის სისქე დაახლოებით 7 მ აღწევდა². სტრატოგრაფიული მონაცემების მიხედვით K პერიოდის ფენაში აღმოჩენილი მასალები გამოყოფილია სამ ქრონოლოგიურ ჰორიზონტად, რომლებიც მეტნაკლებად დაკავშირებულია ერთმანეთთან³. თითოეული ჰორიზონტი რიგი თავისებურებებით ხასიათდება როგორც ქურქლის ფორმების, ისე ორნამენტის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შესწავლილი ამ პერიოდის ძეგლებიდან იშვიათად თუ შეინიშნებოდა სადმე ფენათა ამგვარი განლაგება. რა თქმა უნდა, ამ მასალას სათანადო გარკვეულობის შეტანა შეუძლია ენეოლითური კულტურის ისტორიის შესწავლაში, მაგრამ იგი საკმარის დასაყრდენად მაინც ვერ გამოდგება. საქმე იმაშია, რომ ურმიის ტბის რაიონი ამიერკავკასიური ენეოლითის გავრცელების პერიფერიული ნაწილის ერთ-ერთი უკიდურესი ზონა უნდა ყოფილიყო. იგი აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარედან შემოსული ჩანს ამ კულტურის გავრცელების ცენტრალური რაიონიდან. გარდა ამისა, მას ზოგი ისეთი ნიშანი აიასიათებს, რომელიც უცხოა ამიერკავკასიის ენეოლითისათვის. ამიტომაც ამ კულტურის განვითარების სტადიების დადგენისას ერთგვარი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, თუმცა გეთეფეს K პერიოდის ფენის სტრატოგრაფიულ მონაცემებს მათთან სხვა მასალების შედარება-შეჯერების გზით საყურადღებო შედეგების მოცემა შეუძლია.

ვ. ლამბი კარაჯში აღმოჩენილი მასალების განხილვისას ეხება ენეოლითური კულტურის შიგნით ქრონოლოგიური საფეხურების. საკითხსაც. იგი ძირითადად ეყრდნობა გეთეფეს მონაცემებს და აღნიშნავს, რომ რელიეფური ორნამენტი, მიუხედავად თავისი სირთულისა, უფრო ადრეულია, ვიდრე ამოღებული ორნამენტი. გეთეფეს ზედა ფენებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ე. წ. „ნახიქვეანური“ ყურები. იმის გამო, რომ ამ ტიპის ყურები არ არის ცნობილი სირია-პალესტინაში კირბეტ-კერაკის ნაწარმში, მისი აზრით, ხალხის მოძრაობას სამხრეთისაკენ ადგილი უნდა ჰქონოდა იმ პერიოდ-

¹ A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

О. А. Абыбулаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 444 და 451.

О. А. Абыбулаев, Археологические раскопки холма Кюльтепе, გვ. 9.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁴ იქვე, გვ. 36.

ში, ვიდრე „ნახიქევანის“ ტიპის ყურები გავრცელებოდა¹. მაგრამ ვ. ლამბი იქვე აღნიშნავს, რომ არც ერთი რაიონი არ ჩანს ჯერჯერობით თავისი ხასიათით ან თარიღით ისეთი, საიდანაც ამ კულტურის საერთო წინაპარი შეიძლება იქნეს გამოყვანილი, რადგან ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის ცნობილი რომელი ნამთი უფრო ძველია. ეს საკითხი, დასძენს იგი, გაშუქდება მაშინ, როდესაც აღმოჩენილი იქნება აღმოსავლეთ ანატოლიური ან სამხრეთ კავკასიური კულტურის უფრო ადრეული საფეხური მათ ტერიტორიაზე². ამრიგად, ვ. ლამბი ცდილობს არსებული მასალის საფუძველზე შეფარდებითი საფეხურების გამოყოფას, მაგრამ მისთვის ამ კულტურის ქრონოლოგიური სტადიების საკითხი მაინც მთლად ნათელი არ არის.

უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის საკითხს შეეხო ს. ბერნეი აღმოსავლურ-ანატოლიური მასალების შესწავლის დროს. ჩვენი ენეოლითის შესატყვის კულტურას აღმოსავლეთ ანატოლიაში იგი ადრებრინჯაოს ხანას უწოდებს³. ზოგიერთი სივთა მკვლევარიც ამ კულტურას ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებს⁴. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ რქ, სადაც ისინი ამ კულტურას სწავლობენ, მას წინ უძღვის ხალკოლითური კულტურა მისი დამახასიათებელი მოხატული კერამიკით. მომდევნო პერიოდს, როდესაც მოხატული კერამიკის ნაცულად მონოქრომული კერამიკა ჩნდება, ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნებენ⁵. იმის გამო, რომ ჩვენი ენეოლითისათვის სადა ჭურჭელია დამახასიათებელი, მასაც ადრებრინჯაოს ხანით განსაზღვრავენ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში ადრეულ პერიოდში მოხატული ნაწარმი საერთოდ არ იყო დამახასიათებელი და განვითარება იმთავითვე პპოვა სადა, მოუხატავმა კერამიკამ. ამიტომ არ უნდა იყოს მართებული სხვა ქვეყნების მაგალითით ჩვენი ენეოლითური კულტურის ბრინჯაოს ხანაში გადატანა.

ს. ბერნეი აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანას სამ პერიოდად ჰყოფს. ისიც ძირითადად გეთეფეს მონაცემებით სარგებლობს და აღნიშნავს, რომ ეს დაყოფა შეიძლება დაახლოებით შევუფარდოთ გეთეფეს K პერიოდის დანაყოფებს⁶. ჩვენთვის საინტერესოა ძირითადად მისი ადრებრინჯაოს ხანის პირველი ო-ი პერიოდი, რომელიც, როგორც ს. ბერნეი აღნიშნავს, შეესაბამება ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ხალკოლითის ხანას⁷. აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს III პერიოდში უკვე ისევ მოხატული კერამიკა ჩნდება⁸.

¹ W. Lamb, The Culture of North-East Anatolia and its Neighbours, გვ. 32.

² იქვე.

³ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

⁴ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 34 და 246.

⁵ იქვე, გვ. 245.

⁶ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

⁷ იქვე, გვ. 175.

⁸ იქვე, გვ. 169.

ადრებრინჯაოს I პერიოდისათვის სხვა ნიშნებთან ერთად ერთერთი დამახასიათებელი თავისებურება არის რელიეფური ორნამენტი¹. II პერიოდში შემკობის ეს წესი, აღნიშნავს ს. ბერნეი, ქრება. ამ პერიოდში ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია „ნახიქვეანის“ ყურების გამოჩენა. ქურკლის შემკობის ძირითადი სტილია ამოღარული ორნამენტი². თუმცა, მკვლევარის აზრით, თრიალეთში შესაძლოა რელიეფურ ორნამენტს ადრებრინჯაოს ხანის II პერიოდშიც იყენებდნენ. ამან არ შეიძლება, აღნიშნავს ს. ბერნეი, გავლენა იქონიოს იმ თეორიაზე, რომ მთელ აღმოსავლეთ ანატოლიაში და ურმიის ტბის რაიონში ადრებრინჯაოს I პერიოდის შემდეგ ქრება რელიეფური ორნამენტი, ვინაიდან თრიალეთი მოშორებით მდებარეობს. და შეიძლება იგი ერთგვარად ჩამორჩა განვითარებას და აქ გვიანობამდე შემორჩა ის სტილი, რომელიც სხვაგან ადრებრინჯაოს I პერიოდის შემდეგ აღარ გვხვდება³. ს. ბერნეიც ამ კულტურის განვითარების საფეხურების დადგენისას ძირითადად იმავე მონაცემებს ეყრდნობა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ისიც უმთავრესად აღმოსავლეთ ანატოლიურ და ურმიის ტბის მიდამოებში მოპოვებულ მასალებს იყენებს. მაგრამ, ვიმეორებთ, მართა ამ მონაცემებით ძნელია საკითხის გადაჭრა; ამრიგად, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მყარი საფუძველი ენეოლითის განვითარების ეტაპების დასადგენად. ზემოთ აღნიშნულ ცდებს ამ საკითხის შესწავლაში ერთგვარი გარკვეულობის შეტანა შეუძლია, მაგრამ სათანადო სტრატოგრაფიული მონაცემების გარეშე უთუოდ გაჭირდება რისამე დაბეჯითებით თქმა. ამგვარი მონაცემები კი ჯერჯერობით მეტად მცირეა იმისათვის, რომ სათანადო გარკვეულობა შევიტანოთ ამ საკითხში.

არსებული მასალებით თითქოს უფრო ენეოლითური კულტურის ზედა საზღვრის დადგენა ხერხდება. ამ უკანასკნელ ხანებში ქვაცხელებზე განოვლინდა ორი ფენა: პირველი, ძირა ენეოლითური ხანისა; მეორე, ზედა — უკვე ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურისა⁴. აქ კარგად შეინიშნება ენეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გადასვლის ხასიათი და, რა თქმა უნდა, ძეგლის სათანადოდ შესწავლის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი რამ დაზუსტდება. ჯერჯერობით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვაცხელების ნამოსახლარის ძირა ფენა ენეოლითის საკმაოდ გვიანდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ამას, გარდა კერამიკული ნაწარმისა, სადაც უკვე ენეოლითური ქურკლების საკმაოდ განვითარებული ფორმები ჩანს, უნდა მოწმობდეს აგრეთვე ისიც, რომ აქ იცნობენ ლითონის ჩამოსხმის წესს, რასაც ძირა ფენაში მოპოვებული თიხის ყალიბი ადასტურებს. ლითონის ნივთების დამზადების ახალმა მეთოდმა, რომელიც ჩვენში ენეოლითის გვიანდელ სტადიაზე შემოვიდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. დაახლოებით ამგვარი სურათი გვაქვს ნახიქვეანის ქიულ-

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

² იქვე, გვ. 168.

³ იქვე, გვ. 169, სქოლიო 45.

⁴ ლ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

თეფეზე. სადაც II ფენაში, რომელსაც გამთხრელი გვიანენეოლითის მიაკუთვნებს, გვხვდება ჩამოსახსმელი ყალიბები და ჩამოსხმის წესით დანზადებული ლითონის ნივთები¹. ამ მონაცემებით ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში თითქოს ისახება გვიანი საფეხური. ქვაცხელების მასალებთან შეჯერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლში გამოვლენილი სხვა ნამოსახლარებიც (ხიზანანთ გორა და გუდაბერტყა) დაახლოებით ამავე საფეხურის უნდა იყოს.

ზემოთ დასაუბლებული იყო ჩვენი ენეოლითური კერამიკის ცალკეული ჯგუფები. როგორც დაინახეთ, შიდა ქართლის ნამოსახლარების კერამიკულ კომპლექსთან ყველაზე უფრო ახლო დგას ბეშთაშენის ციკლოპური ციხე-სიმაგრის მოედანზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა. ამიტომაც შესაძლოა იგი ასაკითაც უახლოვდებოდეს მას და გვიანი ენეოლითის საფეხურს მიეკუთვნებოდეს. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი თვლიდა დასაშვებად ამ კერამიკული კომპლექსის უფრო მოგვიანო საფეხურისადმი მიკუთვნებას². თრიალეთიდან დაახლოებით ამავე პერიოდისა უნდა იყოს სოფ. ოზში აღმოჩენილი მასალები.

ამრიგად, თითქოს ერთგვარად გამოისახა ჩვენი ენეოლითური კულტურის გვიანი საფეხური. უფრო ძნელია შედარებით ადრეული სტადიების დადგენა. ძნელდება გარკვევით თქმა იმისა, თუ რითაა გამოწვეული ცალკეული კერამიკული ჯგუფის თავისებურება, ლოკალური თვისებებით, თუ ასაკობრივი სხვაობით. ამ საკითხზე მსჯელობისას ჯერჯერობით მხოლოდ მეტრისმეტად სავარაუდო მოსაზრებების გამოთქმა შეიძლება. ამ მხრივ ერთგვარ სინათლეს მოაჭენდა მას ცალკეული კერამიკული ჯგუფების შედარება-შეჯერება ენეოლითის მეტ-ნაკლებად დადგენილ გვიანდელ საფეხურებთან. ზემოთ განხილული ჯგუფებიდან, როგორც აღნიშნული იყო, დიდუბე-კიკეთის კერამიკული კომპლექსი ყველაზე უფრო განსხვავდება ქართლის ველზე უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი ნამოსახლარების კერამიკისაგან. ეს კერამიკული ჯგუფი მთელი რიგი ისეთი ნიშნებით ხასიათდება, რაც მას თითქოს შედარებით არქაულ იერს აძლევს. უნდა აღინიშნოთ, რომ ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ბ. კუფტინმა, რომელმაც დიდუბისა და კიკეთის მასალა მის მიერ გამოყოფილ პირველ კომპლექსში მოათავსა და გამოთქვა ვარაუდი მისი შედარებით ძველი წარმომავლობის შესახებ³. დ. ქორიძემ დიდუბის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტიპები თიხის ქურკლისა ადრეული ენეოლითის საფეხურს მიაკუთვნა და ხაზი გაუსვა მის არქაულ ხასიათს⁴. ამასვე მოწმობს თითქოს აქ აღმოჩენილი ქვის იარაღიც, რომელიც ადრეული ნიშნებით ხასიათდებოდა. ერთ-ერთ საბუთად ეგებ ისიც გამოდგეს, რომ დიდუბე-კიკეთის რიგის ძეგლებში დღემდე სრულიად უცნობია ლითონის ნივთი.

¹ О. А. Абдулаев, Археологические раскопки холма Кольтепа, стр. 8.

² Б. А. Купфин, Археологические раскопки в Триаleti, стр. 116.

³ Б. А. Купфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

⁴ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

დიდუბის კერამიკასთან ახლო დგას კიკეთის ენეოლითურ სამაროვან-ზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომლისთვისაც უკვე რელიეფური ორნამენტია დამახასიათებელი. შესაძლოა ამ ჯგუფის ერთგვარ სიძველეზე ისიც მეტყველებდეს, რომ კიკეთისათვის დამახასიათებელი ბადია უახლოვდება ქიულთეფეს ძირა ფენაში აღმოჩენილ ამ ტიპის ჭურჭელს¹. ამიტომ სავარაუდებელია, რომ დიდუბე-კიკეთის ჯგუფი რაბდენადმე უფრო ძველია, ვიდრე ჩვენს მიერ გამოყოფილი გვიანი ენეოლითური ხანის ძეგლები. ამ რიგის ძეგლებს, გარდა კიკეთისა და დიდუბის მასალებისა, შეიძლება დაუვუკავშიროთ ზემო ავქალისა და დიდი ახალისოფლის მონაპოვარიც. მიუხედავად ამისა, რომ ძეგლების ეს ჯგუფი უფრო არქაული ნიჰნებით ხასიათდება, ენეოლითის აღრეულ საფეხურს მაინც ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან იმდენად სრულყოფილი სახე აქვს, რომ საფიქრებელია მას წინ უსწრებდა სხვა ეტაპი, რომლის დროსაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის თავისებური ხასიათი. შემდეგში ალბათ შესაძლებელი გახდება თვით დიდუბე-კიკეთის ჯგუფშიაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა, ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ითქმის, რომ ამ ჯგუფის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ისახება რელიეფური ორნამენტი. ეს სტილი ჩვენშიაც წინ უსწრებს ჭურჭლის ამოღარული ხაზებით შემკობის წესს. მაგრამ რელიეფურმა ორნამენტმა აქ უფრო დიდხანს შემოინახა თავი, ვიდრე აღმოსავლეთანატოლიურ მასალებში, სადაც შემკობის ეს წესი საყოველთაოდ უთმობს ადგილს სხვაგვარ ორნამენტს². ჩვენში რელიეფური ორნამენტი, განსაკუთრებით სპირალი, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ჩანს ბონინჯაოს ხანაშიაც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით შესაძლებელი ხდება კიდევ ერთი ჯგუფის გამოყოფა, რომელიც თითქმის დიდუბე-კიკეთის ტიპის ძეგლებსა და შიდა ქართლის გვიანენეოლითურ ნამოსახლარებს შორის თავსდება. ბეშთაშენში, ციკლოპური ციხე სიმაგრე ახილარის ტერიტორიაზე თბრილთან და კერასთან აღმოჩენილი მასალის განხილვისას აღვნიშნავდით, რომ იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება აქვე, მოედანზე აღმოჩენილი მასალისაგან. თბრილთან და კერასთან მოპოვებული კერამიკა უფრო მეტ საერთოს პოულობს დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ჭურჭელთან, მაგრამ ამავე დროს მას ზოგი ისეთი ნიშანი ახასიათებს, რითაც მოგვიანო ხანის მასალასაც უახლოვდება (გარდატეხის ხაზი მუცლის შუა ნაწილში და სხვ.). ამიტომაც, შესაძლოა, რომ ეს კომპლექსი მართლაც დიდუბე-კიკეთის მომდევნო იყოს, რომელთანაც მას, როგორც ამას თავის დროზე ბ. კუფტინი აღვნიშნავდა, უფრო მეტი საერთო აქვს³.

სადაც აქვე უნდა მოთავსდეს ქულბაქების მასალაც. აქ აღმოჩენილი კერამიკა, როგორც აღვნიშნეთ, აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას პოულობს დიდუბე-კიკეთის ჭურჭელთან, მაგრამ, ამავე დროს უახლოვდება ქვაცხელების

¹ О. А. Абибухаев, Раскопки холма Кюль-тепе близ Нахичевани, в 1955 г., გვ. 448, სურ. 14, 4.

² С. А. Вугнеу, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

³ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триаleti, გვ. 115.

ტიპის კერამიკასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბადიისებრი კურ-
ქელი, რომელიც ძალიან ახლოსა დგას შიდა ქართლის ნამოსახლარებისა და
ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ბადიგებთან. ამასვე
შეიძლება მოწმობდეს მრგვალი გადასატანი კერა. ამიტომაც ეგებ უფრო
მართებული იყოს ქულბაქების გვიანენეოლითის ძეგლებისადმი დაახლოვება,
მაგრამ მაინც რამდენადმე მათზე წინ დაყენება. აქვე უნდა მოთავსდეს ტყვი-
ვის ჯგუფის ყორღანებიც. შესაძლოა საკუთრივ ქულბაქებზე მოპოვებულ მა-
სალაზე რამდენადმე უფრო ძველი იყოს ზღუდრის გვერდაზე აღმოჩენილი
კერამიკა, რომელიც უფრო მეტ საერთოს პოულობს დიდუბე-კიკეთის რიგის
ძეგლებისათვის დამახასიათებელ კურქელთან. ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ სა-
ქართველოში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ერთგვარი სავარაუდო მო-
საზრება გამოგვეთქვა ენეოლითური კულტურის განვითარების ეტაპების შე-
სახებ.

რაც შეეხება ენეოლითური კულტურის დათარიღების საკითხს, უნდა
აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა უმრავლესობა მეჩად ზოგად თარიღს იძლევა.
ისინი ამ კულტურას უპირველესად მესამე ათასწლეულის ფარგლებში აქცე-
ვენ. პირველად ენეოლითის თარიღის საკითხს შეეხო ბ. კუფტინი, რომელმაც
არაერთგზის აღნიშნა, რომ ეს კულტურა უნდა მიეკუთვნებოდეს III ათას-
წლეულს¹. ტყვივის ყორღანების შესწავლისას ს. მაკალათიამ გამოთქვა მო-
საზრება, რომ ეს ყორღანები შეიძლება დათარიღდეს III ათასწლეულის შუა
ხანებით². ამიერკავკასიის უძველესი ნამოსახლარები, ბ. პიოტროვისკის აზრით,
შეიძლება მივაკუთვნოთ III ათასწლეულის მეორე ნახევარს და მის ბოლოს³.
დაახლოებით იგივეს ფიქრობს კ. კუშნარევა⁴.

ენეოლითური კულტურის დათარიღების ცდისას ავტორები უპირატე-
სად ეყრდნობოდნენ წინააზიურ მასალებს, მაგრამ ითვალისწინებდნენ რა
იმას, რომ ამიერკავკასია ერთგვარად ჩამორჩებოდა განვითარების მხრივ
ძველ დაწინაურებულ სამყაროს, ზოგჯერ მეტისმეტად აახალგაზრდავებდნენ
იმ კულტურას. ამ გარემოებას თავის დროზე სათანადო ყურადღება მიაქციო
ე. კრუპნოვმა და ბ. პიოტროვისკის ერთერთ ნაშრომზე დაწერილ რეცენზია-
ში საკმაოდ დაწვრილებით შეეხო მას⁵. იგი საესებით სამართლიანად არ
იზიარებს ენეოლითური კულტურის გაახალგაზრდავების ცდას და მთელი რი-

¹ Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., стр. 125.

Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., стр. 7.

Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, стр. 292.

² ს. მაკალათია, ტყვივის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, 33. 50.

³ Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, стр. 183.

Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, стр. 41.

⁴ К. Х. Кушнарера, Памятники медного века в Нагорном Карабахе, 33. 179.

⁵ Е. И. Крупнов, Рец. на книгу Б. Б. Пиотровского „Археология Закавказья“, Вопросы истории, № 2, Москва, 1950, стр. 128.

გო დამაჯერებელი საბუთები მოჰყავს. თავის ერთ-ერთ ნაშრომში ე. კრუპ-
ნოვი ს. ყობანთან მიკვლეულ ენეოლითური დროის ნამოსახლარს ათარიღებს
III ათასწლეულის შუა ხანებით¹. ა. იესენმა „ყუბანის დიდი ყორღანების“
კულტურის დათარიღებისას აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ენეოლითური ნა-
მოსახლარები უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე მაიკოპის ჯგუფის ყორ-
ღანები². რ. მუნჩაიევი აგრეთვე არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც
ცდილობენ გაახალგაზრდაონ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა, და
საქმაოდ საფუძვლიანად აკრიტიკებს მათ მოსაზრებას. იგი, როგორც აღნიშ-
ნული გვექონდა, იძლევა ენეოლითური კულტურის განვითარების საფეხურე-
ბის დადგენის ცდას და თითოეული საფეხურისათვის ცდილობს შეიმუშაოს
სათანადო თარიღი. ენეოლითის საწყისი ეტაპი რ. მუნჩაიევის გადააქვს IV —
III ათასწლეულის მიჯნაზე და III ათასწლეულის პირველ ნახევარში, III ათას-
წლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით ათარიღებს იგი მეორე ჯგუფს, მე-
სამე ჯგუფს კი მიაკუთვნებს III და II ათასწლეულებს მიჯნას³.

ენეოლითური კულტურის დათარიღების ცდა მოცემული აქვს დ. ქო-
რიძეს. ადრეენეოლითურ საფეხურს იგი აკუთვნებს IV ათასწლეულის ბოლოსა
და III ათასწლეულის დასაწყისს, შუა ენეოლითის ათარიღებს III ათასწლეულის
შუა ხანებით და გვიანს კი III ათასწლეულის მესამე მეოთხედით⁴. IV — III
ათასწლეულების მიჯნას მიაკუთვნებსო. აბიბულაიევი ქიულთეფეს პირველ ფე-
ნას, ხოლო III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს მეორე ფენას,
რომელსაც იგი გვიანენეოლითური ხანით განსაზღვრავს⁵.

უკანასკნელ ხანებში ურმიის ტბის მიდამოებში და აღმოსავლეთ ანა-
ტოლიაში ამ ტიპის ძეგლების აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოითქვა მო-
საზრება ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის თარიღის შესახებ. გეთე-
ფეს K პერიოდს ბ. ბრაუნი III ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთ-
ვნებს⁶. ვ. ლამბი აღმოსავლეთანატოლიური ძეგლების განხილვისას აღნიშ-
ნავს, რომ შესაძლოა აქ აღმოჩენილი მასალები დათარიღდეს 2800 წ.⁷ უფ-
რო დაწვრილებით აქაური მასალის შესწავლაზე ჩერდება ს. ბერნეი. მისი
აზრით გეთეფესა და ალაჯა ჰუიუკის აღმოჩენების შედეგად ამიერკავკასიის
ენეოლითური კერამიკის გამოჩენის თარიღი ცოტა უფრო წინ უნდა გადაი-
წიოს, ვიდრე ამას ვ. ლამბი ვეთავაზობს, და დაუახლოვდეს 3000 წ. ადრე-
ბრინჯაოს I პერიოდის დასასრულად ბერნიის 2500 წ. მიაჩნია⁸, II პერიო-

¹ Е. И. Крупинов, Материалы по археологии Северной Осетии доковин-
ского периода, МИА, 23, М. — Л., 1951, გვ. 25.

² А. А. Иессен, К хронологии „больших кубанских курганов“, გვ. 189.

³ Р. М. Мунчаев, Кавкентское поселение и проблема Кавказского энео-
лита, გვ. 14.

⁴ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. 1, გვ. 66.

⁵ О. А. Абибулаев, Археологические раскопки холма Кюль-Тепе, გვ. 9.
О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-Тепе около Нахичевана в
1955 г., გვ. 444.

⁶ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 52, 243.

⁷ W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁸ С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

დის—2200 წ. და III პერიოდის — 2000 წ.¹ ს. ბერნეის ნაშრომში მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ ეს კულტურა ყველაზე ადრე 3000 წ. უნდა გამოჩენილიყო მალათიის, ელიაძიგის და შუა არაქისის მიდამოებში. რამდენადმე უფრო გვიანი თარიღით, დაახლოებით 2950 წ. იწყებს იგი გეთეფეს K პერიოდს, რომელიც 2100 წ-მდე მიჰყავს². ს. ბერნეის შეხედულებით გეთეფეზე, იმის გამო, რომ იგი მდებარეობდა აღმოსავლეთანატოლიური კულტურის გავრცელების პერიფერიულ ზონაში, ძნელი წარმოსადგენია ყოფილიყო ყველაზე ადრეული ნამოსახლარი ამ ტიპის კერამიკით³. კიდევ უფრო გვიან ხანას, დაახლოებით 2900 წ. მიაკუთვნებს იგი ბეშთაშენის ადრეულ მასალას. ეს პერიოდი ვარაუდით 2500 წ-მდე გრძელდება⁴. დაახლოებით 2100 წ-მდე გრძელდება II პერიოდი, რომელშიაც იგი ათავსებს ოხნსა და ბეშთაშენს⁵.

ამრიგად, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთი გარკვეული აზრი ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის თარიღის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობა ამ კულტურას ძირითადად III ათასწლეულში აქცევს, მაგრამ ზოგიერთი მას III ათასწლეულის დასაწყისიდან იწყებს, ზოგი შუა ხანებიდან, ზოგი კი მეორე ნახევრიდან. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენეოლითური კულტურის საწყისი ეტაპი IV ათასწლეულში უნდა იქნეს გადატანილი⁶. აზრთა ამგვარი სხვადასხვაობა ენეოლითური კულტურის დათარიღების საკითხში ძირითადად გამოიწვია ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებამ, რომ ამიერკავკასია განვითარების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა ძველ დაწინაურებულ ქვეყნებს. აქედან გამომდინარე, ეს ავტორები ამიერკავკასიისა და საერთოდ კავკასიისათვის გვიან თარიღებს იძლევიან. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს. ამიერკავკასია, როგორც ჩანს, ძველი აღმოსავლური კულტურის სფეროში შედიოდა. მართალია იგი ერთგვარად პერიფერიულ ზონაში ექცევა და სხვა განაპირა რაიონებთან ერთად (ანატოლია, ჩრდ.-დასავლეთი ირანი და სხვა) ეგებ მართლაც ჩამორჩებოდა ცენტრს⁷, მაგრამ ეს წყვეტილი მიინცდამიინც დიდი არ უნდა ყოფილიყო. ამიერკავკასია საკმაოდ ადრეული პერიოდებიდან გარკვეულ კავშირში იყო წინააზიურ სამყაროსთან, მაგრამ აქ გავრცელებული ადგილობრივი კულტურა ძველ აღმოსავლურ ადრეულ კულტურებთან შედარებით განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. დაახლოებით ამგვარივე სურათი გვხვდება ანატოლიაში, სადაც III ათასწლეულის დასაწყისიდან გავრცელებულმა ადგილობრივმა კულტურამ, გარკვეული უცხოური

¹ C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

² იქვე, გვ. 207.

³ იქვე, გვ. 167, სქოლიო 31.

⁴ იქვე, გვ. 207.

⁵ იქვე.

⁶ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში,

გვ. 53.

დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

⁷ A. A. H e c e n , დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

გავლენის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა თავისებური სახე¹. უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც წინააზიური კულტურების გავლენა არც თუ ისე ძლიერი იყო, ენეოლითური პერიოდი შედარებით გვიანობამდე შემორჩა. ცენტრალურ ანატოლიაში, როგორც ეს ალიშარის გათხრებიდან ჩანს, ხალკოლითური პერიოდი უნდა დასრულებულიყო დაახლოებით 2500 წ.² აქედან მოკიდებული ანატოლიაში იწყება ბრინჯაოს კულტურის ადრეული პერიოდი³. მცირე აზიის იმ ნაწილში, რომელიც შედარებით უფრო ძვიდროდ იყო დაკავშირებული მესოპოტამიურ კულტურებთან, ეს პერიოდი უფრო ადრე უნდა დასრულებულიყო. მერსინში ხალკოლითის ეპოქა გავრცელდა დაახლოებით 2900 — 2800 წწ.⁴ ჩვენში, როგორც ჩანს, ენეოლითური კულტურა, ანატოლიის მსგავსად, III ათასწლეულის შუა ხანებამდე აღწევს. ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში, ჩანს, III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან თანდათანობით საფუძველი ეყრება ბრინჯაოს კულტურას. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები სულ უფრო და უფრო უჭერენ მხარს ამ თარიღს. სადღესოდ უფრო სადავო აღარ ჩანს ყუბანის დიდი ყორღანებისათვის დადგენილი თარიღი⁵. სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში ა. იესენმა დამაჯერებლად უჩვენა, რომ ყუბანის დიდი ყორღანების კულტურის დასაწყისი 2300 წ. უნდა ყოფილიყო⁶. 2300 — 2200 წ.წ. მიაკუთვნებს ს ბერნეი მიაკოპის ყორღანს⁷. რამდენადმე კიდევ უფრო ადრეულ თარიღს იძლევა გ. ჩაილდი⁸. ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ადრეული ბრინჯაოს იანის მასალები ბ. კუფტინმა თავის დროზე III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და III და II ათასწლეულების მიჯნას მიაკუთვნა⁹. ამგვარად, ჩვენში შესაძლებელი ხდება ბრინჯაოს კულტურის საწყისი ეტაპი III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს მიეუახლოოთ. სადაც აქ უნდა იყოს ენეოლითური კულტურის ზედა საზღვარი, დაახლოებით 2400 წელთან. აქედან მოკიდებული, ჩვენში, ჩანს, საფუძველი ეყრება ბრინჯაოს კულტურას.

უფრო ძნელია ენეოლითის შედარებით ადრეული სტადიების დადგენა, მაგრამ მაინც გვინდა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი საფარაულო მოსაზრება გამოვთქვათ და ქრონოლოგიური დასაყრდენი მოვუძებნოთ იმ საფეხურებს, რომლებიც, აგრეთვე ვარაუდით, შევეცადეთ გამოგვეყო ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში. ამ კულტურის ყველაზე მოგვიანო საფე-

¹ K. Bittel, Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasien, გვ. 36.

² J. Mellaart, Anatolian Chronology in the Early and Middle Bronze Age, Anatolian Studies, Vol. VII, London, 1957, გვ. 71, 74.

³ იქვე, გვ. 65.

⁴ J. Garstang, Prehistoric Mersin, გვ. 175.

J. Mellaart, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

⁵ Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, გვ. 54.

⁶ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

⁷ С. А. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

⁸ Г. Чайлд. У истоков европейской цивилизации, გვ. 222.

⁹ Б. А. Купфтин, Археологическая маршрутная экспедиция..., გვ. 75.

Б. А. Купфтин. Археологические раскопки в Триплетти, გვ. 12.

ხუროს ჩვენ მივყავთენით შიდა ქართლში აღმოჩენილი ნამოსახლარები, ბეშთაშენის ციკლოპური ციხის მოედანზე მოპოვებული მასალა და ოზნის ნამოსახლარი. ეს პერიოდი ქრონოლოგიურად შეიძლება მოვაქციოთ 2600 — 2400 წწ. მას წინ უნდა უსწრებდეს ძეგლების ის ჯგუფი, რომელშიაც მოვაქციეთ ქულბაქები, ტყვიავი, ბეშთაშენში თბრილთან აღმოჩენილი მასალა და სხვ. ეს ჯგუფი შეიძლება მოთავსდეს 2800 — 2600 წწ. შორის. თავის მხრივ თვით ამ ჯგუფის შიგნითაც შესაძლებელია მასალის დანაწილება. ეგებ უფრო სწორი იყოს, თუ 2800 წ. მიუვახლოვებთ კერასთან და ზღუდრის გვერდაზე მოპოვებულ მასალას, ხოლო საკუთრივ ქულბაქების, ტყვიავის ყორღანებისას კი რამდენადმე გვიანდელად ძივინევთ. რაც შეეხება დიდუბე-კიკეთის ჯგუფს, მისი საწყისი საფეხური ვარაუდით IV ათასწლეულის ბოლოთი უნდა განვსაზღვროთ და 2800 წ-მდე მივიტანოთ. როგორც აღვნიშნეთ, ამ ჯგუფს წინ უნდა უსწრებდეს კიდევ უფრო ადრეული საფეხური, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ძირითადი სახე ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურისა. შესაძლოა ეს საფეხური დაიწყო IV ათასწლეულის შუა ხანებიდან და მის ბოლომდე გაგრძელდა. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა იწყება IV ათასწლეულის შუა ხანებში და III ათასწლეულის შუამდე აღწევს, ე. ი. მისი ხანგრძლიობა შეიძლება განისაზღვროს დაახლოებით ათასი წლით. რა თქმა უნდა, შემდგომი კვლევა-ძიება მეტ სინათლეს შეიტანს ამ საკითხში.

შილა ქართლისა და ზემო იმერეთის ალკაბრინჯაოს ხანის ძეგლები

შვიკილის აუზის ყოვლანული სამაროვნები

მდინარე ყვირილის ზემო წელზე, საჩხერის რაიონში, კარგა ხანია ცნობილია ბრინჯაოს ხანის მეტად საყურადღებო ძეგლები. ამათგან აღსანიშნავია შიგ დაბა საჩხერეში და სოფ. ქორეთში მიკვლეული ყორღანული სამაროვნები. საჩხერეში ამ დროის მასალამ თავი იჩინა შემთხვევით ჯერ კიდევ 1909 წ. მომდევნო წელს ეს ადგილი ინახულა ე. თაყაიშვილმა და საცდელად გათხარა მცირე ზომის ქვაყრილიანი ყორღანი, რომელშიც იპოვა ცულები, სატევრები, ქინძისთაფები და სხვა მასალა. ე. თაყაიშვილმა, ამ აღმოჩენის შესახებ პატარა წერილი მოათავსა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების მოამბეში, სადაც აღნიშნავდა, რომ საჩხერის ყორღანი სპილენძის ხანას უნდა მიუკუთვნოს¹.

1929 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში საჩხერიდან შემოვიდა მდიდარი კომპლექსი. ეს კოლექცია ცულების, სატევრების, ქინძისთაფებისა და სხვა ნივთებისაგან შედგებოდა. 1939 წლიდან საჩხერის რაიონში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ბ. კუფტინი. პირველად მან გათხრები დაიწყო საჩხერეში, ადგილ „ნაჩრქეზეზე“². ე. თაყაიშვილის მიერ აღრევე შესწავლილ ყორღანზე, გ. გამყრელიძის ყოფილ მამულში, მუშაობის ჩატარება შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ სამაროვნის ადგილას სახლები იდგა. 1945—1946 წლებში ბ. კუფტინმა შეისწავლა ყორღანული სამაროვანი „ცარცისგორაზე“, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ დაზიანებული იყო³. ამავე წლებში მან გათხარა ერთი ყორღანი სოფ. ქორეთში. 1951 წ.

¹ Е. С. Такайшвили, О Сачхерском кургане Шораланского уезда, Изд. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. 3, Тбилиси, 1913, гл. 167.

² Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, Краткие сообщения ИИМК, вып. VIII, гл. 6.

³ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, гл. 64.

იგი კვლავ დაუბრუნდა ნაჩერქეზევის სამაროვანს¹. ბ. კუფტინმა თავისი მასალის მხოლოდ ერთი ნაწილი გამოაქვეყნა, ბოლო წლებში მოპოვებული მასალების გამოქვეყნება, სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა.

1955 წელს საჩხერის რაიონში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციამ ჩაატარა გათხრები ნაჩერქეზევზე და შეისწავლა ერთი ყორღანული სამაროვანი სოფ. ქორეთში, ადგილ პასიეთში. ამრიგად, საჩხერის რაიონიდან სადღეისოდ ცნობილია ხუთი ყორღანული ტიპის სამაროვანი: სამი შიგ საჩხერიდან და ორიც სოფ. ქორეთიდან.

ადგილი ნაჩერქეზევი საჩხერის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. პირველად იგი ინახულა ბ. კუფტინმა 1939 წ. და გათხარა აქ 10 სამარხი. 1951 წ. სამაროვანო ექსპედიციის დროს მან ამ სამაროვანზე გამოავლინა 16 სამარხი. 1955 წ. ნაჩერქეზევზე აღრევე გათხრილი ფართობის გვერდით სამუშაოებს აწარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია, რომელმაც, მართალია, ფართო სამუშაოების გაშლა ვერ მოახერხა იმის გამო, რომ ირგვლივ ვენახები იყო გაშენებული, მაგრამ მაინც შესძლო ძეგლის ხასიათისა და რაობის დადგენისათვის მეტად საყურადღებო მასალის გამოვლენა.

ნაჩერქეზევი წარმოადგენს დაბალ და ფართო ხელოვნურ ბორცვს, რომელსაც მთელ ფართობზე რიყის ქვის ყრილი ჰქონდა. ყრილის ზედა ნაწილი შედგებოდა შედარებით წვრილი ქვებისაგან, ქვედა კი უფრო მოზრდილებისაგან. ქვაყრილში დიდი რაოდენობით ჩნდებოდა კერამიკის ფრაგმენტები, სხვადასხვა ნივთები, ადამიანის ძვლები და სხვ. სამარხები ჩვეულებრივად ძლიერ დაზიანებული იყო, ხოლო მიცვალებულის ძვლები აქეთ-იქით მიმოხრული. ამიტომ დასაფლავების წესის დადგენა ძნელდება. მაგრამ ერთი კია, როგორც ჩანს, მიცვალებული დასაფლავებული ყოფილა შიგ ქვაყრილში. სამარხები საკმაოდ ხშირია და გვხვდება ყრილის სხვადასხვა დონეზე, ზოგჯერ ერთმანეთთან მეტად ახლოს, რაც აძნელებს მათ გამოიყვანას. ერთ შექმთხევაში 1955 წ. გათხრების დროს 6,60მ×5,80მ ფართობის მქონე ქვაყრილში რამდენიმე მიცვალებული აღმოჩნდა. ქვაყრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ეყარა თავის ქალას ნატეხები და ზოგი სხვა ძვლებიც. თავის ქალას ქვეშ იდო T-მაგვარი მოზრდილი ქინძისთავი. აქვე იყო დაღწილი თიხის ჭურჭელი. ამ სამარხის ჩრდილოეთით დაახლოებით 1,0მ დაშორებით გამოჩნდა ისევ თავის ქალას ნატეხები, სასაფეთქლე რგოლი და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამ თავის ქალადან ორიოდ მეტრის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა მესამე თავის ქალა და რამდენიმე სხვა ძვალიც. ძვლებთან იყო ერთი სამაჯური, სერდოლოიკის ორი სამკუთხე საკიდი და კურჭლის ფრაგმენტები. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩანდა ადამიანის ძვლები, ორი სასაფეთქლე რგოლი და თიხის ჭურჭლის ნატეხები. მოზრდილი ქვების ყრილის ქვეშ, ბორცვის ძირზე გამოჩნდა ქვებით ამო-

¹ В. А. К у ф т и н, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне р. Днахи, Проне, Квирилы, Среднего Риони в 1951 г. (рукопись).

ესებულები ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოსამარხი (სიგრძე—2,90 მ; სიგანე—2,30 მ; სიღრმე—2,0 მ), რომელშიაც ერთი მიცვალებული ესვენა, მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, ხელები გულ-მკერდის არეში ჰქონდა. სამარხში აღმოჩნდა თიხის ცარა ჭურჭელი, ცული, სატევრის პირი, ბრინჯაოს მრგვალი საკიდი და ვერცხლის რგოლი¹.

ნაჩერქეზევზე 1955 წ. ჩატარებულ სამუშაოებიდან ჩანს, რომ ამ ბორცვის ძირითადი სამარხები მოთავსებული ყოფილა საგანგებოდ ამოღებულ სამარხ ორმოში და ზემოდან ამოყვანილი ჰქონია ჯერ მოზრდილი რიყის ქვის, შემდეგ კი შედარებით წვრილი ქვის ყრილი. შიგ ქვაყრილშიც სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა სამარხები.

დაახლოებით ამგვარივე სურათი უნდა ყოფილიყო ბ. კუფტინის გათხრების დროსაც. სამწუხაროდ, ბ. კუფტინს ნაჩერქეზევზე აღმოჩენილი მასალა თითქმის არ გამოუქვეყნებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ზოგიერთ ნაშრომს, სადაც მოკლედია აღნიშნული საჩხერეში 1939 წ. მუშაობის შესახებ და რამდენიმე ნივთის სურათიცაა მოტანილი². ბ. კუფტინის არქივში 1939 წ. გათხრების შესახებ თითქმის აღარაფერი გვხვდება, ნივთებიდანაც ბევრი აკლია. 1951 წ. არქეოლოგიური კამპანიის შესაბამის მონიშვნება მუშაობის მოკლე ანგარიში და დღიურები. 1951 წ. ბ. კუფტინს აქ საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაუტარებია. 120 კვ. მ ფართობზე, ქვაყრილის ქვეშ მას 16 სამარხი ორმო აღმოუჩენია. სამარხები ყოფილა აგრეთვე ქვაყრილშიაც. სამარხში ჩვეულებრივად თითო მიცვალებული წოლილა: დედაკაცები უპირატესად მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით, მამაკაცები კი — მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით. მხოლოდ ერთი სამარხი აღმოჩნდა, სადაც ორი მიცვალებული იყო — მამაკაცი და დედაკაცი, თავით ჩრდილოეთით.

1 9 3 9 წ.

ს ა მ ა რ ხ ი 1*. დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სიმაღლე — 46 სმ (ტაბ. IX, 1).

ს ა მ ა რ ხ ი 2**. დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სიმაღლე — 40 სმ (ტაბ. IX, 4).

¹ ო. ჯაფარიძე, მდინარე ყვირილის ხეობა წელზე 1955 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები (ხელნაწერი).

² Б. А. К у ф т и н, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, вып. VIII, М.—Л., 1940, გვ. 8.

Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 14.

Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 65.

* ადგილზე გარდა დერგისა სხვა არაფერია. ამ სამარხის ნახტიდან ჩანს, რომ იქ კიდევ ოთხი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო.

** ჩანახტიდან ჩანს, რომ აქ გარდა ჭურჭლისა, T-მაგვარი ქინძისთავი და რამდენიმე სასაფეთქლე რგოლიც აღმოჩენილა.

სამარხი 3. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი. ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია (ნაკლული).

სამარხი 4. სატევრის პირი სპილენძისა, უქედო, ყუნწიანი, სიგრძე—11,8 სმ (ტაბ. IX, 5).

სასაფეთქლე რგოლის ნატეხები.

სამარხი 5. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, წვერმოტეხილი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, თავზე წნული ორნამენტი გაუყვება (ტაბ. IX, 3).

სამარხი 6. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია (ნაკლული).

სასაფეთქლე რგოლი 1,5 ხეისა, სპილენძისა, მრგვალი, სხვადასხვა ზომის (5 ც.).

სამარხი 10*. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, სიგრძე—28,0 სმ (ტაბ. IX, 2).

ბაღია შავი თიხისა, სიმაღლე 9,3 სმ, პირის დიამეტრი — 23,0 სმ.

1 9 5 1 წ.

სამარხი 1. ისრის პირი კაეისა, სამკუთხა, ყუნწიანი, სიგრძე — 2,3 სმ (სურ. 22, 11).

ისრის პირი კაეისა, სამკუთხა, ყუნწიანი, ცალი გვერდი ბრტყელი აქვს, სიგრძე—2,1 სმ (სურ. 22, 11).

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, ბოლოები ოდნავ გამსხვილებული აქვს, დიამეტრი—0,7 სმ.

ნატეხი თიხის კუოკლისა, შავი ფერის, ვარდისფერსარჩულიანი, შემკული წერილი ამოღარული ხაზებისაგან გამოყვანილი სამკუთხედებით.

ნატეხი შავი ფერის კურკლისა, შემკული ფართო და ღრმა ლარებით.

სამარხი 2**. ნატეხები სპილენძის სასაფეთქლე რგოლისა, 1,5 ხეის, მრგვალი სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, ბოლოებგადადებული, მრგვალი, დიამეტრი—1,5 სმ.

ქინძისთავი სპილენძისა, ძლიერ დაზიანებული.

ქინძისთავი სპილენძისა T-მაგვარი, ნაკლული.

ქილა შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სამკურა, შემკული რელიეფური საირალური ორნამენტით (ტაბ. X, 1).

სამარხი 3. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ნაკლული.

* 7, 8, 9 სამარხებიდან სრულიად არაფერი არ ჩანს, 1³⁹ წ. მასალაში არის აგრეთვე რამდენიმე უნომრო ნივთი: სპირალური სამაჯური, სასაფეთქლე რგოლები, ორი T-მაგვარი ქინძისთავი და თეთრი ქვიშაქვის სამაჯურის ნატეხი.


** ერთი კურკელი აკლია.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, დიამეტრი—1,5 სმ.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, ბოლოებზეაქენ გამსხვილებული და გაბრტყელებული. დიამეტრი—1,1 სმ.

ქილა შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სამყურა, შემკული რელიეფური სპირალური ორნამენტით (ტაბ. XI, 1).

ს ა მ ა რ ხ ი 4*. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ნაკლული.



სურ. 21. სამარხი № 8—9 (ნახერქეხევი, 1951 წ.).

ს ა მ ა რ ხ ი 5**. ქინძისთავი სპილენძისა T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრებილია (ნაკლული).

ქილა მოყავისფრო თიხისა, ცალყურა, სიმაღლე — 10,7 სმ (ტაბ. X, 2).

ს ა მ ა რ ხ ი 6***. სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, უქედო, ყუნწიანი, სიგრძე—19,7 სმ.

ქოთანნი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სიმაღლე — 15,0 სმ (ტაბ. X, 3).

ღერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—39,8 სმ (ტაბ. X, 4).

ს ა მ ა რ ხ ი 8—9****. ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ნაკლული (სურ. 21).

* აკლია ორი კურკელი.

** აკლია სამი სასაფეთქლე რგოლი.

*** № 7 სამარხში რამდენიმე კურკელი ყოფილა, ადგილზე არც ერთი არ არის.

**** წყვილადი სამარხია.


სატევრის პირი სპილენძისა, უკელო, ყუნწიანი, სიგრძე — 10,8 სმ (სურ. 21).

ბაღია შავი თიხისა, შავი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე — 10,3 სმ, დიამეტრი—25,0სმ (სურ. 21, ტაბ. XI, 3).

ქოთანის შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—13,0 სმ (სურ. 21; ტაბ. XI, 2).

ღერგი, შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—36,0 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი 10. სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, ოდნავ გამსხვილებული, ორივე კიდეზე წიბურები ეტყობა, ყუნწიანი, სიგრძე—20,0 სმ (სურ. 22, 1).



სურ. 22. 1-10—სამარხი № 10; 11—სამარხი № 1 (ნაჩერკვხევი, 1951 წ.).

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, ყუნწიანი, სიგრძე — 15,3 სმ (სურ. 22, 2).

შუბის პირი კაეისა, ფართო, ყუნწიანი, სიგრძე—9,9 სმ (სურ. 22, 10).

ისრის პირი კაეისა, ყუნწიანი, სიგრძე—2,4 სმ (სურ. 22, 5).

ისრის პირი კაეისა, ყუნწიანი, ფრთები კარგად გამართული აქვს; სიგრძე—2,4 სმ (სურ. 22, 6).

ისრის პირი კაეისა, ყუნწიანი, სიგრძე—2,4 სმ (სურ. 22, 7).

ისრის პირი კაეისა, ყუნწიანი, სიგრძე—2,4 სმ (სურ. 22, 8).

ისრის პირი კაეისა, ფუძემოლარული, სიგრძე—3,0 სმ (სურ. 22, 9).

ბადია შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ცალყურა, სიგრძე—10,2, დიამეტრი—22,5 სმ (სურ. 22, 4).

ღერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—41,7 სმ (სურ. 22,3; ტაბ. XI, 4).

სამარხი 11. ქინძისთავი სპილენძისა, ძლიერ ნაკლული.

ღერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით. ორყურა, სიმაღლე—45,5 სმ (ტაბ. XI, 5).

ბადია შავი თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—11,7 სმ, დიამეტრი—28,8 სმ (ტაბ. X, 5).

სამარხი 12*. სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, დიამეტრი—1,4 სმ.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, დიამეტრი—1,1 სმ.

სამარხი 13**. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, თავის შუა ნაწილზე რქისებრი ზეერილი აქვს, სიგრძე—32 სმ (ტაბ. XII, 3, 7).

სამარხი 14. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ნაკლული, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია.

ბადია შავი თიხისა, შავი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—9,5 სმ, დიამეტრი—22,5 სმ (ტაბ. X, 6).

ნატეხები მოზრდილი თიხის კურჭლისა, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩულით.

სამარხი 15. სატევრის პირი სპილენძისა, ყუნწიანი, სიგრძე—25,0 სმ.

გათხრების დროს ქვებს შორის აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე სპილენძის ნივთი, რომელთა მიკუთვნებაც რომელიმე სამარხეული კომპლექსისათვის ვერ მოხერხდა:

ქინძისთავი მარყუეისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებულია, სიგრძე—27,7 სმ.

ქინძისთავი, T-მაგვარი, ნაკლული.

საკინძი ნიჩბისებრი თავით, შემკული რელიეფურად გამოყვანილი ფხური ორნამენტით, ნაკლული.

სასაფეთქლე რგოლი, 1,5 ხეისა, მრგვალი (3 ც.).

* სამარხში კიდევ ორი ზედა იყო და ერთი თიხის კურჭელი, ადგილზე არ არის.

** ამ სამარხში სამი კურჭელიც იყო. ადგილზე არ არის.


სამარხი 1. კინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ნაკლული, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია (ტაბ. XIII, 1).

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, თავებგადადებული, დიამეტრი—2,2 სმ (ტაბ. XIII, 2).

მძივი თეთრი ქვისა, ბრტყელი, გახვრეტილი, დიამეტრი — 1,2 სმ (ტაბ. XIII, 3).

სამარხი 2. ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სიგრძე—15,3 სმ (სურ. 23, 1; ტაბ. XIV).

სატევრის პირი სპილენძისა; ბრტყელი, უქედო, ყუნწიანი, სიგრძე—15,8 სმ (სურ. 23, 4; ტაბ. XIV).



სურ. 23. სამარხი № 2 (ნაჩერქეხევი, 1955 წ.).

საკიდი სპილენძისა, მრგვალი და ბრტყელი, ამოღარული კონცენტრული წრიეებით, ყუნწიანი, დიამეტრი—1,9 სმ (სურ. 23, 3; ტაბ. XIV).

რგოლი ვერცხლის მავთულისა, თავებგადადებული, დიამეტრი—1,0 სმ (სურ. 23, 2; ტაბ. XIV).

ბაღია რუხი თიხისა, ორყურა, ნაკლული, სიმაღლე—18,0 სმ (სურ. 24, 1; ტაბ. XIV).


ხელადა შავი თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—19,8 სმ (სურ. 24, 1; ტაბ. XIV).

ნატეხები რამდენიმე თიხის ქურკლისა, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩქლით.

ქვეყრილში სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი იყო შემდეგი ნივთები:

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, სიგრძე—39,7 სმ (ტაბ. XII, 2).

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, სიგრძე—42,0 სმ (ტაბ. XII, 1).



სურ. 24. თიხის ჭურჭელი №2 სამარხიდან (ნაგერქვეხვი, 1955 წ.).

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ნაკლული (2 ც.).
საკინძი სპილენძისა, ცხვრის რქისებრი დახვეული თავით, ნაკლული, სიგრძე—7,5' სმ (ტაბ. XIII, 9).

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, ბოლოებწაწვეტებული, 1,5 ხეისა, დიამეტრი 1,8 სმ.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, ბოლოებგამსხვილებული, 1,5 ხეისა, დიამეტრი—1,5 სმ.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, თავებგადადებული, დიამეტრი—1,5 სმ (2 ც.).

საკიდი სერდოლიკისა, სამკუთხა მოყვანილობის, ყუნწით, სიგრძე—2,3 სმ (ტაბ. XIII, 4).

შივი თეთრი ქვისა, ბრტყელი და მრგვალი, შუაში ნახვრეტით, დიამეტრი—0,9 სმ.

ისრის პირი კაქისა, სამკუთხა, გრძელფრთიანი, ყუნწით, სიგრძე—3,5 სმ (ტაბ. XIII, 6).

სამაჯური ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, შუა ნაწილი გამსხვილებული აქვს, დიამეტრი—6,0 სმ (ტაბ. XIII, 5).

ცარცის გორა საჩხერის აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ ადგილიდან ადგილობრივი მოსახლეობა ცარცს იღებდა და ხშირად პოულობდნენ სხვადასხვა ნივთებს. როდესაც ბ. კუფტინმა 1945 წ. პირველად ინახულა ცარცის გორა, იგი უკვე საკმაოდ დაზიანებული იყო. ამ წელს ბ. კუფტინმა აქ ფართო გათხრები ჩაატარა. გარდა ამისა, მან შეძლო აღრევე შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების დიდი ნაწილის შეგროვება. მომდევნო წელს ბ. კუფტინი კვლავ იკვლევს ცარცის გორას. 1955 წ. უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ მცირე საკონტროლო ხასიათის გათხრა ჩაატარა. გასათხრელი თითქმის აღარაფერი იყო, მხოლოდ ერთი პატარა ადგილი ჩანდა ხელუხლებელი. ქვაყრილში აღმოჩნდა ძლიერ ჩაშლილი სამარხის ნაშთი. ნაპოვნი იყო ქინძისთავის ღეროს ნატეხი, სასაფეთქლე რგოლი და სპირალური სამაჯურის ნამტვრევები.

ცარცის გორა წარმოადგენს ამაღლებულ ბუნებრივ ბორცვს. ბორცვის თავზე, მოზრდილ ფართობზე ამოყვანილია დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის რიყის ქვის ყრილი. სამარხები ძირითადად ჩნდებოდა ქვაყრილის ქვეშ, მიწის პირზე. მხოლოდ ორი სამარხი აღმოჩნდა ბორცვის საფუძველში სპეციალურად ამოჭრილ სამარხ ორმოში. როგორც ჩანს, სამარხები მოთავსებული იყო შიგ ქვაყრილშია¹. მიცვალებულის ძვლების ცუდი დაცულობის გამო ყოველთვის ვერ ხერხდებოდა დასაფლავების წესის დადგენა. მიცვალებული უპირატესად, ჩანს, მარჯვენა გვერდზე იწვა მოხრილი ფეხებით, თავით დასავლეთით ან სამხრეთით. სამარხები ზოგჯერ მეტისმეტად ახლოს იყო ერთმეორესთან, ზოგჯერ სხვადასხვა დონეზე.

ცარცის გორაზე მოპოვებული მასალებიდან ბ. კუფტინმა მხოლოდ 1945 წლის გათხრების შედეგები გამოაქვეყნა. ამ ნაშრომში იგი კმაყოფილდება ძეგლის ზოგადი დახასიათებით, და ცალკეული ნივთების შესწავლა-განხილვით. ამიტომაც ძნელდება ცარცის გორის მთლიანი სურათის წარმოდგენა. ეს ხარვეზი თითქოს უნდა შეეცხო 1946 წ. გათხრებს. მაგრამ მასალა და ბ. კუფტინის არქივი დაკული სათანადო დოკუმენტაცია, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს იძლევა ამ მხრივ. მთავარი ის არის, რომ

¹ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, гл. 70.

ბ. კუფტინს მასალა სამარხების მიხედვით დალაგებული არა აქვს და ახლა უკვე ძნელი ხდება ცალკეული სამარხეული კომპლექსების დადგენა. დაახლოებით მოხერხდა ორი სამარხის აღდგენა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საჩხერის რაიონში მიკვლეული ძეგლები რთული ხასიათისანი არიან. აქ. როგორც ჩანს, მიცვალებულები. უსაფლავებიათ საქმაოდ ხანგრძლივად. ამიტომაც, სამარხეული კომპლექსებისა და სტრატეგრაფიული მონაცემების გარეშე ძნელი იქნებოდა რაიმე ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა.

1 9 4 5 წ.*

ცული სპილენძისა, ყუამილიანი, სიგრძე—15,1 სმ, სატარის სიგრძე—4,4 სმ (ტაბ. XV, 3).

ცული სპილენძისა, ყუამილიანი, წამგლისებრი მოყვანილობის პირით, სატარზე სამი ირიბი წიბური შემოუყვება, სიგრძე — 33,8 სმ, სატარის სიგრძე—11,1 სმ (ტაბ. XV, 1).

ცული სპილენძისა, ყუამილიანი, სატარზე სამი რელიეფური წიბური აქვს, სიგრძე—21,0 სმ, სატარის სიგრძე—6,6 სმ (ტაბ. XV, 2).

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარეს წინა მხარეზე წიბური აქვს, სიგრძე—16,5 სმ, სატარის სიგრძე—4,0 სმ (ტაბ. XV, 6).

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარზე სამი ირიბი წიბური აქვს, სიგრძე—20,1 სმ, სატარის სიგრძე—4,8 სმ (ტაბ. XV, 4).

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარეს წინა მხარეზე წიბური აქვს, სიგრძე—16,0 სმ, სატარის სიგრძე—3,5 სმ (ტაბ. XV, 5).

სატერის პირი სპილენძისა, ტართან ერთად ჩამოსხმული, ტარი ორნამენტირებულია, სიგრძე—30,5 სმ (სურ. 32, 1; ტაბ. XVI, 7).

ხიშტი სპილენძისა, ოთხწახნაგა, სიგრძე—43,5 სმ (სურ. 33, 1; ტაბ. XVI, 1).**

ქინძისთავი სპილენძისა, ბრტყელი, მოგრძო, ორნამენტირებული თავით, ნაკლული (ტაბ. XII, 6).

რგოლი ოქროს მავთულისა, ძლიერ გადადებული თავებით (ტაბ. XVI, 10)***.

* ფონდში ამ მასალის მეტი არაფერია, დღიურიდან კი ჩანს, რომ აქ სხვა ნივთებიც აღმოჩენილა: ქინძისთავები, სატერები და სერდოლიკის მძივი.

** დღიურში ხიშტის აღმოჩენის შესახებ არაფერია ნათქვამი.

*** დღიურში ამ რგოლის აღმოჩენის შესახებ არაფერია ნათქვამი. ბ. კუფტინის ნაშრომიდან ჩანს, რომ ეს რგოლი აღმოჩენილია ერთ-ერთ ორმოსამარხში ცულთან, დანისპირთან და სერდოლიკის მძითან ერთად (Археолог. материалы 1945 г., т. 3, 79). ფონდში არ არის: სატერის პირი, ორი მარჯვესებრთავიანი ქინძისთავი, ფრაგმენტები ქვიშაქვის სამაჯურისა.


ცული ქვისა, შერჩენილია მხოლოდ ყუის ნაწილი (ტაბ. XVI, 11).
დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სი-
მაღლე—30,3 სმ (ტაბ. XVII, 3).

ნატეხები თიხის ქურქლისა, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩუ-
ლით, ერთი ნატეხი ორნამენტირებულია ამოღარული ხაზებით.

1 9 4 6 წ.

ს ა მ ა რ ხ ი 1. სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, დაკბილული ყუნწით,
სიგრძე—21,0 სმ (სურ. 25).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუქისებრი თავით, ღეროს ზედა
ნაწილი გამსხვილებული აქვს, ნაკლული (სურ. 25).



სურ. 25. სამარხი № 1 (ეარტის გორა, 1946 წ.).

ქოთანის მოშავო თიხისა, ცალყურა, სიგრძე—17, 2 სმ (სურ. 25;
ტაბ. XVII, 5).

ბადია მოშავო თიხისა, სწორგვერდა, ცალყურა, სიმაღლე —
10,2 სმ, დიამეტრი—24,0 სმ (სურ. 25; ტაბ. XVII, 6).

დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სი-
მაღლე—45,2 სმ (სურ. 25; ტაბ. XVII, 1).

ს ა მ ა რ ხ ი 2. ქინძისთავი სპილენძისა, მარყუქისებრი თავით. ღეროს ზედა
ნაწილი გამსხვილებული აქვს, ნაკლული (სურ. 26).


ქინძისთავი სპილენძისა, მარყუქისებრი თავით, ღეროს ზედა
ნაწილზე ქოლგისებრი შვერილი აქვს, ნაკლული (სურ. 26).

ღერტი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, მხართან რელიეფური ზოლი შემოუყვება, ორყურა, სიმაღლე—54,0 სმ (სურ. 26; ტაბ. XVII, 4).

ქურკელი შავი თიხისა, მუცლის ზედა ნაწილზე შემკულია ამოღარულ ტეხილი ხაზებით, ნაკლული (სურ. 26).

გარდა ამ ორი სამარხისა აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ცული სპილენძისა, ყუამილიანი, სატარეს წინა მხარეს ერთი წიბური აქვს, სიგრძე —17,6 სმ, სატარის სიგრძე—4,9 სმ.



სურ. 26. სამარხი № 2 (ტარცის გორა. 1946 წ.).

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარეს წინა მხარეს ერთი წიბური აქვს, სიგრძე—16,5 სმ, სატარის სიგრძე—4,1 სმ.

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, სიგრძე—23,5 სმ.

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი თავით, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, სიგრძე—20,2 სმ.

ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი თავით; ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია (ნაკლული).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილზე ქოლგისებრი შვერილი აქვს (ნაკლული).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებულია (ნაკლული).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილზე ქოლგისებრი ზვერილი აქვს (ნაკლული).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილზე ქოლგისებრი ზვერილი აქვს (ნაკლული).

რგოლი სპილენძისა, ბრტყელი დამრგვალი, შუაში ნახევრე-ტით, დიამეტრი—1,7 სმ.

საკიდი სპილენძისა, მსხლისებრი ფორმის, ყულფიანი (ნაკლული).

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, მრგვალი, სხვადასხვა ზომისა (5 ც.).

სასაფეთქლე რგოლი სპილენძისა, ბოლოებგაბრტყელებული, 1,5 ხეისა, ოვალური.

ისრის პირი კაეისა, ფუძემოლარული, სიგრძე—4,1 სმ (სურ. 38, 2).

შუბის პირი კაეისა, ფუძემოლარული, წვერმოტეხილი (სურ. 38, 1).

ქილა შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—28,5 სმ (ტაბ. XVII, 2).

ნატეხები თიხის ქურჭლისა.

ნიჟარა-საკიდი (4 ც.).

სოფ. ქორეთში 1945 წ. ბ. კუფტინმა დაიწყო ერთი ყორღანის გათხრა. ამ წელს მან აქ მუშაობა ვერ დაასრულა და 1946 წელსაც განაგრძა. 1945 წ. სამუშაოების შედეგების შესახებ ბ. კუფტინი მოკლედ აღნიშნავს თავის ერთ-ერთ ნაშრომში. მაგრამ არც ამ ნაშრომიდან, არც 1946 წ. დღიურიდან არა ჩანს, რა ხასიათის ძეგლთან უნდა გვექონოდა საქმე. ეტყობა ესეც იმავე ტიპის ძეგლი იყო. როგორც ცარკის გორა და ნაჩერქეზევი, ოღონდ უფრო მომცრო ზომისა. ქვაყრილში ალაგ-ალაგ ჩნდებოდა ცალკეული ნივთები. შესაძლოა აქაც ქვაყრილში მოთავსებულ სამარხებთან გვექონდეს საქმე. ბ. კუფტინს აღნიშნული აქვს, რომ 1945 წ. გამოხრებისას აღმოჩნდა ბრტყელი ქვების მშრალი წყობა, რომელიც ყორღანის ცენტრალურ ნაწილს უვლიდა¹. ამ წელს მას ყორღანის ცენტრი არ გაუთხარია. შემდეგი წლის გათხრების დროს გაირკვა, რომ ეს წყობა არ ერთდებოდა. რას უნდა წარმოადგენდეს ეს წყობა, სამწუხაროდ არ ჩანს. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ჩნდებოდა ძირითადად ძლიერ დაზიანებული სამარხები. მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით. სამარხები, როგორც ჩანს, მეტად ახლოს იყო განლაგებული ერთიმეორისაგან.

1955 წ. უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ქორეთში შეისწავლა ერთი ყორღანი. იგი ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანიდან დაახლოებით ერთი კმ დაშორებით მდებარეობდა, პასიეთში (ქორეთის ერთ-

¹ Б. А. К у ф т и н. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, гл. 79.

ერთი უბანი). ყორღანის სიმაღლე 3 მ უნდა ყოფილიყო, დიამეტრი 30,0 მ აღწევდა. ქვაყრილი ნაგლეჯი ქვებისაგან შედგებოდა, რომლებიც ძირისაკენ სულ უფრო და უფრო მსხვილდებოდნენ. სამარხები აქაც პირდაპირ ქვაყრილში იყო მოთავსებული, ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს, სხვადასხვა დონეზე და მეტისმეტად ცუდად დაცული. მიცვალებულის ჩონჩხიდან თითო-ორილა ძვალია გადარჩენილიყო. ყრილში მოთავსებულ სამარხთაგან მხოლოდ სამი აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად უკეთ დაცული. სამივე შემთხვევაში ჩონჩხების მიმართულება სხვადასხვა იყო. ერთ შემთხვევაში ჩონჩხის მიმართულება იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან—სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მეორეში — ჩრდილო-დასავლეთიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მესამეში კი — ჩრდილოეთიდან—სამხრეთისაკენ.

ყორღანის ძირზე, ქვაყრილის ქვეშ, ზედ მიწის პირზე რამდენიმე ძლიერ დაშლილი სამარხი აღმოჩნდა. სამარხები მცირე მანძილით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან. აქაც მიცვალებულები სხვადასხვაგვარად იყვნენ დამხრობილი (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — სამხრეთ-დასავლეთისაკენ; სამხრეთიდან—ჩრდილოეთისაკენ და სხვ.). სამწუხაროდ, ყორღანის ძირის ცენტრალური ნაწილი უკვე აღრევე იყო გამოთხრილი და ამიტომ ყორღანის ძირითად სამარხთა განლაგებისა და რაოდენობის შესახებ ახლა გარკვევით აღარაფრის თქმა არ შეიძლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორეთის ყორღანში, გარდა სამარხებსა და სამარხთა ნაშთებში აღმოჩენილი ინვენტარისა, შიგ ქვაყრილში მრავლად ჩნდებოდა სხვადასხვა უმისამართო ნივთები¹.

1 9 4 5 წ.*

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარეს წინა ნაწილზე წიბური აქეს, სიგრძე—15,0 სმ, სატარეს სიგრძე—3,3 სმ (ტაბ. XVIII, 9).

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარის წინა ნაწილზე წიბური აქეს, სიგრძე—15,6 სმ, სატარის სიგრძე—3,8 სმ (ტაბ. XVIII, 14).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუქისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებული აქეს, ნაკლული (ტაბ. XVIII, 4).

საკიდი სპილენძისა, ორვოლუტიანი, მაღალი ყულფით, სიგრძე—3,3 სმ (ტაბ. XVIII, 13).

მძივი სპილენძისა, ცილინდრული, სიგრძე—1,5 სმ.

რგოლი თეთრი ქვისა, ბრტყელი, შუაში ნახვრეტით, დიამეტრი—2,6 სმ (ტაბ. XVIII, 10).

¹ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მდინარე ყვირილის ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები (ბელნაწერი).


* ფონდში სხვ მასალა არ ჩანს.

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, უქედო, მაღალი ყუნ-
წით, სიგრძე—14,6 სმ (ტაბ. XVIII, 2).

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, უქედო, სატარე ნაწი-
ლი სამკუთხა მოყვანილობისა აქვს, სიგრძე—14,3 სმ (ტაბ.
XVIII, 3).



სურ. 27. ბადია (ქორეთი, 1946 წ.).



სურ. 28. ბადია (ქორეთი, 1946 წ.).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ნაკლული (ტაბ.
XVIII, 5).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ნაკლული (ტაბ.
XVIII, 6).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ნაკლული.

ქინძისთავი სპილენძისა, რკალისებრი მოყვანილობის თავით,
რომლის ორივე ბოლო მთავრდება ბრტყელი რგოლით, ნაკლული,
(ტაბ. XVIII, 1).

რგოლი ოქროსი (ტაბ. XVIII, 8).

კოკობი, მოშავო-მორუხო ფერისა, ცილინდრული ყელით, სი-
მაღლე—10,9 სმ (სურ. 40).


კვერი ქვისა, სიგრძე—11,5 სმ (ტაბ. XVIII, 7).

* ფონდში მხოლოდ ერთი კურკელია. ბ. კუფტინის არქივში აღმოჩნდა ნახატი და აღწერილობა ორი ბადიისა ამ ყორღანიდან. ერთი ბადია შავი ფერისაა, ვარდისფერი სარჩულით, დიამეტრი—25 სმ (სურ. 27), მეორეც აგრეთვე შავი ფერისაა, ვარდისფერი სარჩულით, ოღონდ შიგნით მას ეტყობა ქსოვილის კვალი. ბადიას აქეთ-იქით წვეილ-წვეილი ყურები ასხია, დიამეტრი—23,5 სმ (სურ. 28).

სამარხი 1. ცული სპილენძისა, ყუამილიანი, სატარეზე ორი ირიბი წიბური აქეს, სიგრძე—19,2 სმ, სატარის სიგრძე—5,5 სმ (სურ. 29; ტაბ. XIX, 3).

სატევის პირი სპილენძისა, ბრტყელი, არამკვეთრი ქედით, ყუნწიანი, სიგრძე—19,5 სმ (სურ. 29, 2; ტაბ. XIX, 2).

ქინძისთავი სპილენძისა, „ცხვის რქისებრი“ თავით, სიგრძე—24,5 სმ (სურ. 29, 5; ტაბ. XIX, 1).



სურ. 29. სამარხი № 1 (ქორეთი, 1955 წ.).

ქურკელი შავი თიხისა, ცილინდრული ფორმის, აქეთ-იქით ორი შვერილი აქეს, შემკულია ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი ფხური ორნამენტით, ნაკლული (სურ. 29, 3).

ქილა შავი თიხისა, ორყურა, შემკულია ვერტიკალურად ამოღარული ხაზებით, ნაკლული (სურ. 29, 1).

სამარხი 2. ცული-სპილენძისა, ყუამილიანი, სატარეს წინა მხარეს არამკვეთრი წიბური აქეს, სიგრძე—17,5 სმ.

ნატეხები თიხის ქურჭლისა, შავი ფერის.

სამარხი 3. ქინძისთავი სპილენძისა, T-მაგვარი, ღეროს ზედა ნაწილი გრეხილია, სიგრძე—41,0 სმ.

საკიდი სპილენძისა, თოხის გამოსახულების, ყუნწიანი (2 ც.), სიგრძე—2,3 სმ (სურ. 36,3, ტაბ. XX, 18).

საკიდი სპილენძისა, მრგვალი, მირჩილული ყუნწით (2 ც.), სიგრძე—2,3 სმ (სურ. 36, 5; ტაბ. XX, 17).

საკიდი სპილენძისა, ჯვრის ფორმის, სიგრძე—2,6 სმ (სურ. 36, 1). რგოლი სპილენძისა, მრგვალი და ბრტყელი, შუაში ნახვრეტით (2 ც.), დიამეტრი—2,0 სმ.

საკიდი სპილენძისა, ლუზის ფორმის, ყუნწიანი (8 ც.), სიგრძე—3,0 სმ (სურ. 36, 4, ტაბ. XX, 6,7).

საკიდი სპილენძისა, პირამიდისებრი თავით და წალალი ყუნწით, სიგრძე—1,3 სმ (სურ. 36, 7; ტაბ. XX, 19).

საკიდი სპილენძისა, რიი ერთმანეთზე ვადაგრებილ პირამიდისებრი თავით, სიგრძე—1,2 სმ (სურ. 36, 2).

მძივები სპილენძისა, მრგვალი, შუაზე არამკვეთრი წიბურით (75 ც.) (ტაბ. XX, 15).

ნიეარა (4 ც.) (ტაბ. XX, 16).

ეშვი ღორისა, გახვრეტილი, სიგრძე—3,2 სმ (ტაბ. XX, 13).

რგოლი, ბრტყელი, სპილენძის მავთულისა, სპირალური, დიამეტრი—2,0 სმ.

რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, დიამეტრი—0,8 სმ (ტაბ. XX, 11). მძივები სერდოლიკისა, მრგვალი, დახვრეტილი (3 ც.) (ტაბ. XX, 10, 12).

1955 წ. ქორეთის ყორღანში ზემოაღწერილი სანარხეული ინვენტარის გარდა აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, ყუნწიანი, სიგრძე — 20,5 სმ (ტაბ. XIX, 9).

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, ყუნწიანი, სიგრძე — 23,8 სმ (ტაბ. XIX, 8).

სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, ყუნწი პირისაგან არამკვეთრადა გამოყოფილი, სიგრძე—13,0 სმ (ტაბ. XIX, 10).

ქინძისთავი სპილენძისა, T-შაგვარი, ღერო შუა ნაწილის ზემოთ გრებილია, სიგრძე—25,2 სმ (ტაბ. XIX, 5).

ქინძისთავი სპილენძისა, გადაღუნული თავით, სიგრძე—17, 5 სმ (ტაბ. XIX, 11).

ქინძისთავი სპილენძისა, T-შაგვარი, ღერო თავთან გრებილია, სიგრძე—40,0 სმ (ტაბ. XIX, 4).

ქინძისთავი სპილენძისა, T-შაგვარი, ნაკლული.

ქინძისთავი სპილენძისა. მარყუჟისებრი თავით, ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებულია, ნაკლული (ტაბ. XIX, 6).

ქინძისთავი სპილენძისა, მარყუჟისებრი თავით, ნაკლული (ტაბ. XIX, 12).

ხვია სპილენძის ბრტყელი მავთულისა, დიამეტრი — 3.2 სმ (ტაბ. XX, 3).

რგოლი სპილენძის მავთულისა, 2,5 ხეისა, დიამეტრი — 1,8 სმ (ტაბ. XX, 9).

რგოლი სპილენძის მავთულისა, 1,5 ხეისა, დიამეტრი — 1,8 სმ (ტაბ. XX, 2).

რგოლი სპილენძის მავთულისა, 1,5 ხეისა, დიამეტრი — 1,2 სმ (ტაბ. XX, 5).

რგოლი სპილენძისა, 1,5 ხეისა, ოვალური, დიამეტრი — 1,4 სმ (ტაბ. XX, 1).

სპირალი სპილენძის მავთულისა, დამტვრეული (ტაბ. XX, 8).
ეშვი ღორისა (ტაბ. XX, 4).

ყორღანში მრავლად ჩნდებოდა დაღწეული თიხის ქურჭელი. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ მცირე ნაწილის აღდგენა მოხერხდა:

დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—38,0 სმ (ტაბ. XXI, 1).

დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ცალყურა, ყელის ძირზე ირგვლივ საკმაოდ ფართო ამოღარული ხაზი შემოუყვება, ნაკლული (ტაბ. XXI, 3).

ქილა შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—22,8 სმ (ტაბ. XXII, 1).

ქილა ღია ფერის თიხისა, ორყურა, სიმაღლე—13,8 სმ (ტაბ. XXII, 3).

ქილა ღია ფერის თიხისა, ორყურა, სიმაღლე—15,0 სმ (ტაბ. XXII, 2).

კოჭობი მოშავო ფერის თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—9,8 სმ (ტაბ. XXII, 6).

ქილა მოწითალო თიხისა, სიმაღლე—9,2 სმ (ტაბ. XXII, 5).

ქოთანის შავი თიხისა, პრიალა ზედაპირითა და ბაცი სარჩულით, ცალყურა; მუცლის ზედა ნაწილზე ამოღარული ტეხილხაზოვანი ორნამენტი აქვს სამ წყებად, ნაკლული (სურ. 39, 2).

დერგი შავი თიხისა, ვარდისფერსარჩულიანი, ორყურა, ყელს სამ წყებად შემოუყვება ამოღარული ტეხილხაზოვანი ორნამენტი, სიმაღლე—34,0 სმ (სურ. 39, 1).

ქილა შავი ფერისა, ვარდისფერსარჩულიანი, ცალყურა, სიმაღლე—20,7 სმ (ტაბ. XXII, 4).

ბადია მოყვითალო-მოშავო თიხისა, შავი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—13,7 სმ, დიამეტრი—27,0 სმ (ტაბ. XXI, 2).

ბადია მოყვითალო-მოშავო თიხისა, შავი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—10,7 სმ, დიამეტრი—21,5 სმ (ტაბ. XXI, 5).

ბადია შავი თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—6,2 სმ, დიამეტრი — 13, 5 სმ (ტაბ. XXI, 4).

ამრიგად, მდინარე ყვირილის ზემო წელზე, საჩხერის რაიონში მიკვლეული ყორღანული სამარხები თავისი ფორმითა და კონსტრუქციით თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. თითოეული ყორღანი კოლექტიურ სასაფლაოს წარმოადგენდა, სადაც ძირითადი სამარხები ჩვეულებრივ ყორღანის ძირზე, ზედ მიწის პირზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. თუმცა ორ შემთხვევაში ცარცის გორაზე სამარხი აღმოჩნდა ბორცვის საფუძველში სპეციალურად ამოკრილ ორმოში. ნაჩერქეზეზედაც მოზრდილი ქვების ყრილის ქვეშ ნაპოვნი იყო ერთი სამარხი ორმო. საკმაოდ მრავლად ჩანდა სამარხები აგრეთვე შიგ ქვაყრილში, სხვადასხვა დონეზე.

საფიქრებელია, რომ ეს ყორღანები საგვარეულო სამაროვნებს წარმოადგენდა, სადაც გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს. თავდაპირველად, ალბათ, მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ყორღანის ძირზე, შემდეგ კი ათავსებდნენ ამ ყორღანების ქვაყრილებშიც. სამწუხაროდ, არც ერთი ამ ყორღანთაგანი არ არის იმგვარად შესწავლილი, რომ დაახლოებით მაინც შესაძლებელი იყოს იმის თქმა, თუ რამდენ სამარხს შეიცავდა თითოეული ყორღანი.

დასაფლავების ამგვარი წესი ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩვენში ადრეული ხანიდან. საგვარეულო ყორღანი იყო ალბათ ს. მაკალათიას მიერ ტყვიავში შესწავლილი ყორღანი¹. კონსტრუქციულად ეს ყორღანი ერთგვარად განსხვავდებოდა საჩხერის ყორღანებისაგან, მაგრამ აქაც სამარხები ყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა. ს. მაკალათიამ ტყვიავის ამ ყორღანის შესახებ იმთავითვე აღნიშნა, რომ იგი საგვარეულო სასაფლაო უნდა ყოფილიყო, სადაც დროთა ვითარებაში იმარხებოდნენ ერთი გვარის წევრები².

კოლექტიური სამარხებიანი ყორღანები ცნობილია ამიერკავკასიის სხვა ადგილებიდანაც. სახელწოდებ, ი. ჰუმელის მიერ 1938—1939 წწ. სტეპანაკერტის მახლობლად შესწავლილი სამივე ყორღანი და ლ. ტატჩიანის მიერ აქვე გათხრილი ყორღანი³ კოლექტიური იყო. მაგრამ სტეპანაკერტის კოლექტიური ყორღანები თავისი ხასიათით ერთგვარად მაინც განსხვავდებოდნენ საჩხერისა და ტყვიავის ყორღანებისაგან. აქ სამარხები სხვადასხვა დონეზე კი არ გვხვდებოდა, არამედ მხოლოდ ყორღანის ძირზე. მაგალითად № 103 ყორღანის 4,5 მ დიამეტრის შქონე ორმოს ძირზე აღმოჩნდა სხვადასხვა პოზითა და მიმართულებით დასაფლავებული 48 მიცვალებული⁴. დაახლოებით ამგვარი სურათი ჩანს №119 და 125 ყორღანებშიაც⁵. თუმცა აქ, როგორც ი. ჰუმელი აღნიშნავს, კოლექტიური სამარხების ქვეშ

¹ ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი, 1943, გვ. 33.

² იქვე, გვ. 40.

³ Л. П. Татчян, Курган с массовым погребением в окрестностях Степанакерта, Изв. Аз. ФАН СССР, № 11, Баку, 1944, гв. 91.

⁴ Я. И. Гуммель, Раскопки в Нагорно-Карабахской Автономной области в 1938 г., Изв. Аз. ФАН СССР, № 4, Баку, 1939 г., гв. 84.

⁵ Я. И. Гуммель, Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИМК, вып. XX, М.—Л., 1948, гв. 15.

კიდევ ჩანდა ცუდად დაცული ფენა, რომელიც, მისი აზრით, შესაძლოა ნეოლითური ხანისა იყო¹. დასაფლავების თავისებური წესის, სამარხეული ინვენტარისა და სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით ი. ჰუმელმა სტეპანაკერტის ყორღანების კოლექტიური სამარხები მიაკუთვნა ბრინჯაოს ხანის ადრეულ სტადიას (ენეოლითი)². რამდენაღმე უფრო მოგვიანოა ვ. რესლერის მიერ მდ. ხაჩანავეტის ნაპირას შესწავლილი კოლექტიური ყორღანები³.

ყორღანები კოლექტიური სამარხებით საკმაოდ ადრინდელი პერიოდისგან გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაშიც. მაგალითისათვის მოვიტანთ ცნობილ ნალჩიკის № 1 ყორღანს⁴. ამ ყორღანს ფართო და დაბალი ყრილი ჰქონდა (ერთ მეტრზე დაბალი), რომლის ქვეშაც სხვადასხვა დონეზე 120-ზე მეტი სამარხი იყო აღმოჩენილი⁵. აქაც ნაჩერქეზევის მსგავსად. მიცვალებული იწვა მოკრუნჩხული, მამაკაცები უპირატესად მარჯვენა გვერდზე, დედაკაცები — მარცხენაზე⁶. როგორც ჩანს, ეს ყორღანიც საგვარეულო სასაფლაო უნდა ყოფილიყო⁷, სადაც გვარის წევრები საკმაოდ ხანგრძლივად ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს⁸. ნალჩიკის სამაროვანს ენეოლითურ ხანას მიაკუთვნებენ და მიახლოებით III ათასწლეულის შუა ხანებით განსაზღვრავენ. კოლექტიური სამარხები ჩრდილო კავკასიაში ცნობილია მომდევნო ხანაშიც, ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე. დაღესტანში 1955—1956 წწ. აღმოჩნდა ქვაყრილიანი ყორღანი, რომელშიაც მოთავსებული იყო ათეულობით სამარხი. თითოეული ეს ყორღანი ალბათ საგვარეულო სამაროვანს წარმოადგენდა⁹.

ცალკეული რიგითი საგვარეულო სასაფლაოების არსებობა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა გვაროვნული საზოგადოებისა, განსაკუთრებით ან ორგანიზაციის განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე. ამჟამად არსებული მასალებიდან ისე ჩანს, თითქოს ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ამ ტიპის საგვარეულო სამაროვნები ადრეული ბრინჯაოს

¹ Я. И. Гуммель, Некоторые памятники раннебронзово́й эпохи Азербайджана. КСИИМК, вып. XX, М.—Л., 1948, с. 21.

² Я. И. Гуммель, Из памятников материальной культуры древнего Азербайджана. ВДИ, № 1, Москва, 1940, с. 214.

³ К. Х. Кушнарёва. Памятники медного века в Нагорном Карабахе, СА, XX, Москва, 1955, с. 169.

⁴ А. А. Миллер, Северокавказская экспедиция ГАИИМК в 1929, Сообщения ГАИИМК, № 3, 1931, с. 26.

⁵ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, Могильник в г. Нальчике, МИА, 3, М.—Л., 1941, с. 68.

⁶ იქვე, с. 106.

⁷ Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, Москва, 1967, с. 31.

⁸ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, დასახ. ნაშრ., с. 125.

⁹ В. И. Кавибец, Могильники бронзового века в Северном Дагестане. Материалы по археологии Дагестана, т. I, Махачкала, 1959, с. 36.

ხანის შემდეგ აღარ გვხვდება. მართალია, შუა ბრინჯაოს ხანაშიც ცნობილია ყორღანები კოლექტიური სამარხებით, მაგრამ, როგორც თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა ი. ჰუმელმა, ეს ყორღანები ახლა „საოჯახო“ სამარხებს წარმოადგენენ¹. ამგვარი „საოჯახო“ ხასიათის სამარხებისაგან უნდა შედგებოდეს ნულისა და ქვასათლის სამარხოვნები. საფიქრებელია, რომ ეს იყო სავვარეულო ხასიათის სამარხოვნები, სადაც ერთი გვარის წევრები ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალებულებს, მაგრამ გვარის შიგნით უკვე დაწყებული ოჯახების გამოყოფის პროცესი და თითოეული კოლექტიური სამარხი ჩანს ცალკეული ოჯახის სამარხი უნდა გამხდარიყო². ამ პერიოდის კოლექტიური სამარხები ცნობილია ჩრდილო კავკასიაშიც³.

ჩვენში ენეოლითურ ხანაში არსებობდა დასაფლავების სხვა წესიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ნამოსახლარებთან აღმოჩენილი იყო ამ პერიოდის ინდივიდუალური სამარხები, ძირითადად ქვაყუთები (ოზნი, თეთრიწყარო, ტაშ-ბაში და სხვ.)⁴. ადრეული ხანის ინდივიდუალური ორმოსამარხები აღმოჩნდა ძალიანს და ნულის სამარხოვნებზე⁵. ყორღანები ინდივიდუალური სამარხებით, ჩანს, პირველად ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე შემოდის. ბ. კუფტინი წალკაში აღმოჩენილი ამ პერიოდის ყორღანების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ თუმცა მათ უკვე დაკარგეს ტყვიავის ყორღანების ტიპის უფრო ძველი კოლექტიური ხასიათი და მთელი გვარის ერთობლივი შრომით იგებოდნენ ერთი პირისათვის, მაგრამ ჩატანებული ინვენტარიდან ჩანს, რომ ეს პიროვნება გვარის დანარჩენი წევრებისაგან მაინცაღამაინც ვერაფრით ვერ გამოიყოფოდა⁶. ზოგიერთი მკვლევარი ინდივიდუალური ყორღანული სამარხების გაჩენას ამიერკავკასიაში ნეოლითის ხანას მიაწერს⁷. ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ე. რესლერის მიერ გათხრილი ერთი ყორღანი სოფ. გოლიცინოში (შამქორის რაიონი). სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და კაეის ფირფიტა. ბ. პიოტროვსკი ამ ყორღანს ნალჩიკის ყორღანის ხანას უკავშირებს⁸. ვფიქრობთ, რომ ე. რესლერის მიერ გათხრილი ყორღანი შედარებით გვიანდელი ხანისა იყო და ეგებ უფრო მართებული იყოს თუ მას თრიალეთის უძველესი ჯგუფის ყორღანებს

¹ И. И. Гуммель, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 214.

² О. М. Джагаридзе, *Кладбищенский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии*. КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, გვ. 24.

ბ. ა. კუფტინი, *Археологическая маршрутная экспедиция 1945...*, გვ. 31.
³ И. Е. Кручинин, *Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода*. МИА, 23, М.—Л., 1951, გვ. 49.

В. И. Канивец, *Дагестанская археологическая экспедиция в 1956 г.*, Ученые записки Дагестанского филиала АН СССР, т. III, Махачкала, 1957, გვ. 165.

⁴ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Тrialeti*, გვ. 117.

Б. А. Куфтин, *Археологические раскопки 1947 года в Цахкисском районе*, გვ. 43.

⁵ ი. ჯაფარიძე, *ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში*, გვ. 96.

⁶ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 24.

⁷ К. Х. Кушнарева, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 169.

⁸ Б. Б. Пиотровский, *Археология Закавказья*, Ленинград, 1949, გვ. 30.

გავუტოლებთ. ჩრდილო კავკასიაშიც ინდივიდუალური ყორღანები განოჩენას იწყებენ ადრეული ბრინჯაოს ხანაში¹.

ამრიგად, საჩხერის ყორღანების კოლექტიური ხასიათი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს სამაროვნები საკმაოდ ადრეული ხანისაა. საფიქრებელია, აქ ჯერ კიდევ წესად არ იყო წარჩინებულ პირთათვის ცალკე ინდივიდუალური სამარხების. აგება და გვარის ყველა წევრი, მათ შორის დაწინაურებულნიც, ისევ კოლექტიურ სამაროვნებზე იმარხებოდნენ.

საჩხერის რაიონში მიკვლეულმა ყორღანული ტიპის სამაროვნებმა თითქმის სავსებით ერთგვაროვანი მასალა მოგვცეს. პირველ რიგში ეს ითქმის ლითონის იარაღისა და კერამიკის შესახებ. სამკაულშიაც მეტად დიდი მსგავსება ჩანს, განსაკუთრებით ქინძისთავეებში, მაგრამ მაინც ამ რიგის ნივთებში შედარებით მეტი სხვაობა შეინიშნება. ზოგიერთი ნივთი ყველგან არ გვხვდება, ან მხოლოდ ერთი რომელიმე სამაროვნისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ეს სხვაობა იმდენად უმნიშვნელო ჩანს იმ საერთოსთან შედარებით, რომ, ვფიქრობთ, სავანგებოდ ამ საკითხზე შეჩერება არ ღირს. მით უმეტეს, რომ სათანადო აღვილას, სამარხული ინვენტარის განხილვისას, ამ გარემოებას გარკვეული ყურადღება მიექცევა.

ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი იმითაა აღსანიშნავი, რომ სადღეისოდ ჩვენში ცნობილ არც ერთ ადრეული ხანის ძეგლს არ მოუკია ლითონის ნაწარმის ასეთი დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, აქ მოპოვებული ლითონის იარაღ-საჭურველი თუ სამკაული გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, რაც უდავოდ მეტალურგიის დაწინაურებულობაზე უნდა მიუთითებდეს.

საჩხერის სამაროვნებზე აღმოჩენილი ლითონის ნაწარმიდან ყურადღებას იპყრობს ცულები. ცული ყველა სამაროვანზე საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, მრავლადაა წარმოდგენილი ის ე. თაყაიშვილის მიერ საჩხერეში ადრევე გათხრილ ყორღანზე (ტაბ. XVI)², ცარცის გორაზე (ტაბ. XV) და პასიეთის ყორღანზე. ცულები ძირითადად ყუამილიანი ან ყუადაქანებულაა³. ორივე ეს ტიპი ცულებისა პირის მოყვანილობით ახლო დგას ერთმანეთთან; პირი მათ ჩვეულებრივ ვიწრო და რკალისებრი აქვთ, უკან დაქანებული. ეს ცულები ძირითადად სატარის მოყვანილობით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ყუადაქანებულ ცულს სატარის წინა პირი შეკრილი აქვს, და უკანა მხრიდან იგი მილისებრ გამოშვერილი არ არის (ტაბ. XV, 5, 6). ყუამილიან ცულებს კი სატარე მილისებრი მოყვანილობისა აქვს, ზოგჯერ უფრო მოგრძო, ზოგჯერ — შედარებით მოკლე (ტაბ. XV, 1, 2, 3). ყუამილიან ცულებში რამდენიმე ვარიანტის გარჩევა შეიძლება. უფრო ხშირად გვხვდება მოგრძო და ვიწროტარიანი ყუამილიანი ცულები (ტაბ. XV, 2;

¹ Е. И. Крупинов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 49.

² არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, თბილისი, 1955 წ., გვ. 9, ტაბ. 1, 11.

³ Б. А. Кухтия, *Археологические раскопки в Триалети*, გვ. 15.

ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 82, ტაბ. XII, 2.

XVI, 5)¹. ცნობილია აგრეთვე სწორშუბლიანი ჩვეულებრივი ზომის ყუაძი-
ლიანი ცულები². გვხვდება შედარებით დიდი ზომის ცულები, მოგროძო მი-
ლით და ნამგლისებრი მოყვანილობის პირით (ტაბ. XV, 1; XVI, 3)³. პრაქ-
ტიკული მიზნისათვის ეს ცული ნაკლებ გამოსადეგი. ჩანს და იგი ალბათ
სარიტუალო ხასიათისა უნდა ყოფილიყო⁴. მსგავსი ცული ჩვენში ცნობილია
ერთადერთი ცალი და ინახება ქუთაისის მუზეუმში, მაგრამ მისი აღმოჩენის
ადგილი უცნობია⁵. სარიტუალო დანიშნულების განსხვავებული ყუაძილიანი
ცული აღმოჩენილი იყო მერმინდელ ხანაში ბრილის სამაროვანზე⁶. ერთგვა-
რად განსხვავდება აგრეთვე საჩხერული სარიტუალო ცულებისაგან ჩრდილო
კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის ცნობილ სამაროვნებზე მოპოვებული დიდი
ზომის ყუაძილიანი ცულები⁷.

საჩხერული ტიპის ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცული ჩვენში ცნობი-
ლია მხოლოდ აფხაზეთის, კერძოდ ეშერის ჯგუფის დოლმენებიდან (თუ არ
ჩათვლით ერთ შემთხვევით აღმოჩენილ ცულს სოფ. ივანწმინდაში, საჩხერის
მახლობლად)⁸. ერთი ამგვარი ცული, ეგებ აგრეთვე დოლმენში ნაპოვნი,
შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ოთხარაში, სადაც ცნობილია რამდენიმე დან-
გრეული დოლმენი⁹. ყუადაქანებული ცული, როგორც აღნიშნული გვექონდა,
ჩვენში უკვე საკმაოდ ადრინდელი ხანიდანა ჩანს. ქულბაქების, იალბუსის და
მეჯვრისხევის ცულებს სატარე წინა მხრიდან იმგვარადვე აქვს შექრილი,
როგორც საჩხერულს (სურ. 20, 1, 3). სატარის მიხედვით მათ შორის გარ-
კვეული გენეტიური კავშირი შეინიშნება, ოღონდ, საჩხერულისაგან განსხვა-
ვებით ზემოჩამოთვლილი ცულები უფრო მასიურია და პირის მოყვანილო-
ბაც სხვაგვარი აქვთ. როგორც ჩანს, საჩხერის ტიპის ყუადაქანებული ცუ-
ლები მიჰყვება იმ ტრადიციას, რომელსაც ვხვდებით ჩვენში ადრინდელი
ტიპის ცულებში. ამ მხრივ საინტერესოა აფხაზეთის დოლმენებში მოპოვე-
ბული ცულები. აქ, როგორც ცნობილია, გვხვდება ორივე ტიპის ყუადაქა-

¹ არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. II.

თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, 2.

² Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, სურ. 8, 5.

³ Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 71, ტაბ. VII.

არქეოლოგიური მასალების კატალოგი, გვ. 11, ტაბ. II, 6.

⁴ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁵ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

⁶ გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 58,

ტ. XI.

¹ МАК, VIII, ტაბ. CXV, 1; CXVI, I.

² М. М. И в а щ е н к о, Исследования арханеских памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, გვ. 29, ტაბ. XI, I.

Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949, გვ. 284, ტაბ. XXXII.

³ А. Л. Л у к и н, Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры, Эрмитаж, т. I, Ленинград, 1941, გვ. 25, ტაბ. I, 4.

ნებული ცული, როგორც საჩხერული, ისე ქულბაქებისა¹. საფიქრებელია, რომ საჩხერული ვარიანტი ამ ცულებისა წარმოადგენს ადგილობრივი ყუადაქანებული ცულების განვითარების შემდგომ საფეხურს. ამ ტიპის ცული ყუამილიან ცულებთან ერთად ფართო გავრცელებას პოულობს ჩრდილო კავკასიაშიც იესენისეული II ეტაპის დროს². აღსანიშნავია, რომ აქ გვხვდება ორივე ვარიანტი ყუადაქანებული ცულებისა როგორც საჩხერული, ისე იმ ტიპისა, რომელიც ახლო დგას ქულბაქების ცულთან. უკანასკნელი ვარიანტი ცულისა ჩრდ. კავკასიაში ცნობილია კორცადან³. მსგავსი ცული, რომელიც დღეს ვენის მუზეუმშია დაცული, აღმოჩნდა ყოზანში⁴. უახლოვდება მას აგრეთვე ერთი ცული ოლშევსკის კოლექციიდან⁵ და სხვ. ეს ცულები განსაკუთრებით ახლო დგანან აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილ შედარებით ფართოპირიან ყუადაქანებულ ცულებთან. ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცულები რომლებიც უახლოვდებიან საჩხერულ ცულებს, გვხვდება „ფასკაუს“ სამაროვანზე⁶, პრივოლნოეს განძში⁷ და სხვ. საყურადღებოა დაღესტანში, მეთლის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცული⁸. იგი ძალიან ახლო დგას აფხაზეთის და საჩხერის ცულებთან. ეს პირველი შემთხვევაა ამ ტიპის ცულის აღმოჩენისა დაღესტანში და საერთოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში⁹. სამაგიეროდ ამ ტიპის ცულმა ფართო გავრცელება პოვა რუსეთში. მათ ვხვდებით ფატიანოვოს კულტურაში¹⁰. ა. ტალგრენმა აღმოსავლეთ რუსეთში გავრცელებული ცულების სათანადო შესწავლის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო ცული „A“ ტიპში გააერთიანა და აღნიშნა, რომ იგი ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის ამ ნაწილში¹¹.

¹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 285, ტაბ. V, I.

Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триплетти*. სურ. 16, а.

² А. А. Иессен, *К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе*, *Изв. ГАИИМК*, вып. 120, М.—Л., 1935, გვ. 95.

³ МАК, VIII, ტაბ. XXVII, 2.

Б. И. Крупинов, *Материалы по археологии Северной Осетии докобанско-го периода*, МИА, № 23, М.—Л., 1951, გვ. 38, სურ. 7. 7.

⁴ F. Hanžgar, *Die Beile aus Kolban in Wiener Sammlung kaukasischer Altertümer*, *Wiener Prähistorische Zeitschrift*, XXI, Wien, 1934, გვ. 34, ტაბ. III, 8.

⁵ Б. И. Крупинов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 39.

⁶ Б. И. Крупинов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38.

⁷ ОАК за 1894, СПб. 1896, გვ. 42.

А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 96.

⁸ В. И. Капиев, *Мнатли-новый памятник бронзового века в северном Дагестане*, *Материалы по арх. Дагестана*, т. I, Махачкала, 1959, გვ. 43, ტ. III, 1.

В. И. Капиев и С. С. Березепская, *Курганы бронзового века на Сулаке*, МАД, т. I, გვ. 81.

⁹ В. И. Капиев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 43.

¹⁰ В. А. Городцов, *Культура бронзовой эпохи в Средней России*, *Отчет Российск. исторического музея за 1914 г.*, Москва, 1915, გვ. 126.

¹¹ А. М. Tallgren, *Die Kupfer-und Bronzezeit in Nord-und Ostrussland, Suomen Muinaismuistoydistyksen Aikakauskirja*, XXV, Helsingissa, 1911, გვ. 56, 65.

ვხედვებით მათ აგრეთვე რუსეთის სამხრეთ ნაწილში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე¹. აღსანიშნავია რომ ამ ტიპის ცულს რუსეთში ვხვდებით აბა-შევსკაიას და სეიმიწო-ტურაბინის კულტურებში². როგორც ჩანს, ცულის ეს ვარიანტი აქ. საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა³. ამრიგად, ყუადაქანებული ცულეები საქართველოდან უნდა შესულიყო ჩრდილო კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანისათვის, აქედან კი შესაძლებელი გახდა მისი გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში.

საქართველოს სამხრეთით ამ ტიპის ცული მხოლოდ ერთი ცალია ნაპოვნი კარაჯში, ერზერუნის მახლობლად⁴. მისი პირველი გამომქვეყნებელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მსგავსი ცულეები ცნობილია კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში⁵. კარაჯის ცული განსაკუთრებით ახლო დგას დოლმენებში აღმოჩენილ შედარებით პირფართო და ყუადაქანებულ ცულეებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცული აღმოსავლეთ ანატოლიაში საქართველოდან შევიდა. მცირე აზიაში ამ პერიოდში გავრცელებული იყო სრულიად სხვაგვარი ხვრელიანი ცულეები, მაღალი ყუით⁶.

სახჩერული ტიპის ვიწროტანიანი, ყუამილიანი ცულის მსგავსი ჩვენში ცნობილი არის ერთი ცალი, შემთხვევით აღმოჩენილი ქიათურის მახლობლად (ტაბ. XIII, 12) და ერთიც სვანეთში აღმოჩენილი, მესტიის მუზეუმში დაცული⁷. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ყუამილიანი ცულეების სხვადასხვა ვარიანტები დიდხანს იყო გავრცელებული, უპირატესად დასავლეთ საქართველოში. აქ ამ ტიპის ცულეები ცნობილია ბრილის სამაროვნიდან (რაჭა)⁸. მესტიის მუზეუმში დაცულია სვანეთში აღმოჩენილი სხვადასხვა ყუამილიანი ცულეები⁹. თითო ცალი ამ ტიპის ცულისა ინახება ქუთაისის, ცაგერის და ზუგდიდის მუზეუმებში. ყუამილიანი ცულეები აღმოჩნდა აგრეთვე ურეკის განში¹⁰. ერთი ცული შემთხვევით აღმოჩნდა ზესტაფონის რაიონის

¹ A. M. Tallgren. Studies of the Pontic Bronze Age, ESA, XI. Helsinki, 1937, გვ. 121. სურ. 7. 3, 5.

ESA, VI. Helsinki, 1931, გვ. 176, სურ. 2.

A. M. Tallgren. Sur les monuments megalithiques du Caucase occidental. ESA. IX. Helsinki, 1934, გვ. 29, სურ. 25 a.

² В. А. Городцов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 145, 197.

³ А. Добровольский, Бериславский клад бронзовой эпохи. *Археология*, т. II. Киев, 1948, გვ. 163.

⁴ Tahsin Özgüç, Mahmut Akok. Objects from Horoztope, *Bulleten, Cilt: XXI, Sayı: 82, Ankara, 1957*, გვ. 215, სურ. 20, 38.

⁵ იქვე, გვ. 215, სქოლიო 17.

⁶ D. B. Stronach, The Development and Diffusion of Metall Types in Early Bronze Age Anatolia, *Anatolian Studies*, vol. VII, გვ. 117, სურ. 10, 11.

K. Bittel. Ein Gräberfeld der yortan-Kultur bei Babaköy, *Archiv für Orientalforschung*, Bd. XIII, 1, 2, Berlin, 1933, გვ. 16, სურ. 16.

⁷ ა. გობეჯიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, ტაბ. XIII. 6.

⁸ იქვე, გვ. 58, ტაბ. X.

⁹ იქვე, ტაბ. XIII.

¹⁰ О. М. Джапаридзе, *Краткий отчет об археологических разведках в Грузини*, 1948 г., გვ. 98, სურ. 27, 3.

სოფ. კინოთში¹. აღმოსავლეთ საქართველოდან მხოლოდ სამი ყუამილიანი ცულაა ცნობილი, სამივე თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. ერთი, რომელიც ბ. კუფტინის კოლექციაში ინახება, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ქვესათალში, ორიც სოფ. გუფთადან (ჯავის რ.)². რაც შეეხება საქართველოს მუზეუმის № 97—11 კოლექციაში დაცულ საჩხერული ტიპის ვიწროტანიან ცულებს, მათი აღმოჩენის ადგილის შესახებ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება³. ბ. კუფტინის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს კოლექცია შეიძლება „ცხინვალის განძის“ ნაწილი იყოს, მთლად დამაჯერებელი არ ჩანს⁴.

ამიერკავკასიაში ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები, რომლებიც ძალიან ახლო დგანან საჩხერულ ვარიანტთან, ცნობილია მხოლოდ სომხეთიდან. ერთი ნაპოვნია ლენინაკანთან, მეორე კი — ნორბაიაზეთან⁵. ერთი ამგვარივე ცული აღმოჩნდა ყარსის მხარეში⁶. ჩრდილო კავკასიაში ყუამილიანმა ცულმა აგრეთვე ფართო გავრცელება ჰპოვა იესენისეულ II ეტაპის პერიოდში. უფრო აღრინდელ ხანაში ამ ტიპის ცული აქ ჯერ კიდევ არ ჩანს. ყუამილიანი ცულის სხვადასხვა ვარიანტებს ვხვდებით „ფასკაუს“ სამაროვანზე, „რუთხას“ სამაროვანზე, კუმბულთაში⁷ და სხვ. აღსანიშნავია დიდ ყაბარდოში აღმოჩენილი ვიწრო და გრძელტანიანი ორნამენტირებული ყუამილიანი ცული⁸.

ამ ტიპის ცულის სხვადასხვა ვარიანტი დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპის ბრინჯაოს კულტურისათვის⁹. აღმოსავლეთ ევროპაში იგი გავრცელებული იყო, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს¹⁰. ყუამილიანი ცულები ცნობილია ფატიანოვოს, სეიმინო-ტურბინის¹¹, აბაშეგოს¹² და სხვ. კულტურ-

¹ გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957, გვ. 6, სურ. 1.

² Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., ტაბ. XX.

³ Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 311, სქოლიო, ტაბ. III, 1—2.

⁴ ო. ჯაფარიძე, ცხინვალის განძი, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI—B, თბილისი, 1950, გვ. 99.

⁵ ე. ბაიბურთიანი, შრომის იარაღები ძველ სომხეთში, Вестник института истории и литературы Ар. ССР, I, Ереван, 1938, გვ. 212, სურ. 111, 112.

⁶ ლალაიანცი, ყორღანების გათხრები საბჭოთა სომხეთში, ერევანი, 1931, გვ. 171, სურ. 135.

⁷ Б. Б. Пиотров с к и я, Поселения медного века в Армении, გვ. 182.

⁸ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триплете, გვ. 15, სურ. 14, 1. Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparée et Chronologie de l'Asie Occidentale, London, 1948, სურ. 293.

⁹ Е. И. Крупинов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 38, 46.

MAK, VIII; ტაბ. CXV, XCIV.

¹⁰ А. А. Нессе н, დასაბ. ნაშრომი, სურ. 6.

OAK, за 1893, СПб, 1895, გვ. 33, სურ. 20.

¹¹ А. М. Tallgren, Die Kupfer-und Bronzezeit in Nord- und Ostrussland. გვ. 60.

¹² იქვე, გვ. 69.

¹³ В. А. Городцов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 145, 137.

¹⁴ N. Bortvin, The Verkhny-Kizil Find, ESA, III, Helsinki, 1928, გვ. 129 სურ. 4, 5.

რებში. ჩანს, ამ ცულის ზოგიერთი ვარიანტი გვიანობამდე შემორჩა და მას ვებდებით პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში¹.

ფართოდ იყო გავრცელებული ყუამილიანი ცულები დუნაის მხარეში, უნგრეთში², სადაც ცულის ეს ტიპი აღრიდანეე ჩანს³. ზოგიერთ სპეციალისტთა აზრით ამ ტიპის ცულების უნგრული წარმომავლობა ეპეს არ იწვევს⁴, რითაც უარყოფილია მათი აღმოსავლური წარმოშობა⁵. როგორც ქვევით დაეინახავთ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. სავსებით მართებულად აღნიშნავს გ. ჩაილდი, რომ ყუამილიანი ცული უნგრეთში კავკასიის გზით უნდა შესულიყო⁶.

ყუამილიანი ცულები მეტად ადრე ჩანს წინა აზიაში⁷. როგორც ირკვევა, ამ ტიპის ცული IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესოპოტამიაში, ელამში, სირიაში⁸ და სხვ. უზემერული ფორმები ამ ცულისა ვებვდება აგრეთვე ლურისტანში⁹. წინა აზიაში ყუამილიანი ცულის მრავალგვარი ვარიანტია ცნობილი და, ჩანს, იგი საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა ხმარებაში¹⁰. აღსანიშნავია, რომ აქ ამ ტიპის ცულს ვებდებით ადრეული ხანის გამოსახულებებზედაც¹¹.

ჯერჯერობით სრულიად არ ვებვდება ყუამილიანი ცული მცირე აზიაში და ბალკანეთში¹². ამიტომაც, მეცნიერთა ნაწილი სავსებით სამართლიანად

¹ A. Добровольский, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

² B. A. Городцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

³ V. Antoniewicz, Der in Stublo in Wolhynien aufgefundenene Bronzeschatz, ESA, IV, Helsinki, 1929, გვ. 142.

B. A. Куфтин, Материал к археологии Колхиды, т. I, გვ. 285.

⁴ A. M. Tallgren, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

⁵ V. Antoniewicz, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

⁶ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, გვ. 170.

⁷ B. A. Куфтин, К вопросу о древнейших горнах грузинской культуры на Кавказе..., გვ. 297.

⁸ L. Woolley, Ur Excavations. vol. II, New York, 1934, გვ. 305, ტაბ. 223.

⁹ R. Dussaud, Haches a douille de type Asiatique, Syria, t. XI, Paris, 1930, გვ. 247.

A. Godard, Les Bronzes du Luristan, Paris, 1931, გვ. 46.

F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, სურ. 82.

G. Child, Eurasian Shaft-Hole Axes, ESA, LX, Helsinki, 1934, გვ. 163.

¹⁰ A. Godard, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

R. Dussaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

¹¹ R. Maxwell-Hyslop, Western Asiatic Shaft-Hole Axes, Jraq, XI, 1949, გვ. 90. ტაბ. XXXVI, XXXVII, XXXVIII და სხვ.

¹² A. Godard, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

O. Mantelius, Die älteren Kulturperiode im Orient und in Europa. т. II, Stockholm, 1916—1923, გვ. 172.

¹³ B. A. Городцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

B. A. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

აღნიშნავს, რომ ძირითადი გზა ამ ცულების გავრცელებისა კავკასიაზე მი-
დიოდა¹. ცულის ეს ტიპი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, მართლაც
საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოს კულტურის
ადრინდელ საფეხურზე ყუამილიანი ცული ფართო გავრცელებას პოულობს.
და უკვე შესაძლებელი ხდება მისი რამდენიმე ვარიანტის გამოჩენვა. აღსა-
ნიშნავია, რომ აქ ეს ცულები, რომლებიც უდავოდ გენეტურად ძველი შუმე-
რული ყუამილიანი ცულების ფორმებს უკავშირდებიან, ერთგვარად თავი-
სებურ ელფერს იღებენ და ქმნიან ამ ტიპის ცულების ადგილობრივ ვარი-
ანტს², რაც ადგილობრივ მათი შემდგომი განვითარების შედეგი უნდა
იყოს³. არსებული მასალებიდან ისე ჩანს, რომ ამ ვარიანტის ჩამოყალიბება
ძირითადად საქართველოში მოხდა (უფრო მის დასავლეთ ნაწილში). აქედან
უნდა გავრცელებულიყო მოგვიანებით ყუამილიანი ცულის „კავკასიური“ ვა-



სურ. 30. ბრტყელი ცული (სახეგრე).

რიანტი ჩრდილო კავკასიაში⁴, შემდეგ კი
აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაის აუზში.
დასასრულ უნდა აღვნიშნოთ 1929 წ.

სახეგრეში აღმოჩენილი ერთი ბრტყელი
ცული (სურ. 30; ტაბ. XVI, 9). ცულის ზე-
და ნაწილი შედარებით ვიწროა და პირი-
საკენ თანდათანობით ფართოვდება. სა-
ქართველოში და ამიერკავკასიაში ჩვენ არ
ვიცნობთ სხვა ამგვარ ცულს⁵, ჩრდილო
კავკასიაში კი იგი პარგადაა ცნობილი იესე-
ნისეული II ეტაპიდან, თუმცა მას უფრო
ადრეც ვხვდებით აქ⁶. საერთოდ კი ამ ტი-
პის ბრტყელმა ცულმა დიდი გავრცელება
პოვა ადრეულ საფეხურზე და სავსებით სა-
მართლიანი უნდა იყოს ა. ტალგრენის მო-
საზრება, რომ ამის გამო ძნელდება მათი
ეთნიკურად და გეოგრაფიულად გამოყოფა⁷.
მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ფორმა ყველგან
ერთნაირად არ დამკვიდრებულა. როგორც

¹ В. А. Городцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

L. Woolley, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

Б. А. Куптия, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, გვ. 71.

² Б. А. Куптия, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе... გვ. 306.

³ Б. А. Куптия, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г., გვ. 71.

⁴ В. Д. Городцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

⁵ О. М. Джапаридзе, Бронзовые топоры Западной Грузии. СА, XVIII. Мос-
ква, 1953, გვ. 292, სურ. 4.

ლ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, ტაბ. XIII, 1.


⁶ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 83 და 95.

⁷ А. М. Tallgren, La Pontide prescythique, ESA, II, Helsinki, 1926, გვ. 174.

ცულმა ვერ მოიკიდა ფეხი. ძლიერ დამახასიათებელია ბრტყელი ცული ეგვიპტისათვის. აქ ხერელიანი ცული თითქმის სავსებით უცხო ჩანს და ამიტომაც ბრტყელი ცული ფართოდაა გავრცელებული და განვითარების მაღალ დონეს აღწევს¹. კარგადაა ცნობილი ეს ფორმა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც აგრეთვე ნაკლებად გვხვდება ხერელიანი ცულები: აქ ბრტყელი ცულის რამდენიმე ვარიანტს განარჩევენ².

წინა აზიაში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ხერელიანი ცული საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან შეინიშნება და განვითარების დიდი გზაც აქვს განვლილი, რის გამოც ბრტყელი ცული აქ ვერ დამკვიდრდა³.

დაახლოებით ამგვარსავე სურათს ვხვდებით საქართველოშიც. ხერელიანი ცული აქ ჩანს მეტალურგიის განვითარების ადრეული საფეხურიდან და ალბათ ამიტომ გამოყენება ვერ ჰპოვა ბრტყელმა ცულმა. ბრტყელი ცული ჩვენში შედარებით ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაოს ხანაში⁴. უფრო ადრეულ საფეხურზე კი იგი უცნობი ჩანს, თუ არ ჩავთვლით ზემოთ ნახსენებ საჩხერულ ცალს.



სურ. 31. 1—ქვის ცული; 2—სატევრის პირი (ქორეთი).

საჩხერის სამაროვნებზე უპირატესად გვხვდება სხვადასხვა ზომის თხელი, მაღალყუნწიანი, მხრებდაქანებული, ბრტყელპირიანი სატევრები. ამ სატევრებს შუა ქელი ჯერ თითქმის სრულიად არ ეტყობათ. ამათგან აღსანიშნავია რამდენიმე შედარებით მოზრდილი სატეპარი, რომლებსაც კიდევბი უფრო დათხელებული აქვთ და ამიტომ არამკვეთრი წიბურები უჩნდებათ (ტაბ. XIX, 8). აღსანიშნავია ცარკის გორაზე 1946 წ. № 1 სამარხში აღმოჩენილი ამ ტიპის ერთი სატევრის პირი, რომელსაც ყუნწის ორივე კიდე დაკბილული აქვს (სურ. 25). ცნობილია აგრეთვე რამდენიმე განსხვავებული ტიპის თხელპირიანი სატეპარი: ერთი რომბისებრი მოყვანილობის პირით (ტაბ. IX, 5), ნაპოვნი 1939 წ.

¹ H. Bonnet. Die Waffen der Völker des Alten Orients, Leipzig. 1923, გვ. 24.

² O. Montelius, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—23.


O. Montelius, Die vorklassische Chronologie Italiens, Stockholm, 1912, გვ. 181.

³ H. Bonnet. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

⁴ O. M. Джапаридзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 292.

ნაჩერქეზევზე № 4 სამარხში, მეორე კი სამკუთხა მოყვანილობის სატარე ნაწილით, აღმოჩენილი 1946 წ. ქორეთის ყორღანში (სურ. 31, ტაბ. XVIII, 3). მხოლოდ ერთი სატევრის პირს, 1955 წ. მოპოვებულს ქორეთის ყორღანიდან (სამარხი № 1), მართალია არამკვეთრად, მაგრამ უკვე აშკარად ეტყობა შუა ქედი (სურ. 29, 2; ტაბ. XIX, 2)¹. როგორც არაერთგზის იყო აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, საჩხერის ეს პრიმიტიული სატევრის პირები ჯერ კიდევ ცივად გამოქედვის წესით უნდა ყოფილიყო დამზადებული².

გარდა ამ ტიპის სატევრის პირებისა, საჩხერიდან ცნობილია კიდევ ორი ლითონისტარიანი სატევარი: ერთი ნაპოვნი ცარცის გორაზე 1945 წ. (სურ. 32, 1, ტაბ. XVI, 7)³, მეორე კი შემთხვევით აღმოჩენილი ქორეთის (პასიეთის) ყორღანზე, 1954 წ. (სურ. 32, 2, ტაბ. XIX, 7). პირი ამ სატევრებისა აგრეთვე ნაქედი უნდა იყოს. იგი ჩასმულია ლითონის სახელურში. ორივე სატევრის სახელური შემკულია რელიეფური ორნამენტით. ცარცის გორის სატევრის ტარი ბრტყელია, ბოლოში ნახვრეტით, თავისაკენ და ვადისაკენ ფართოვდება, შუაზე მკვეთრი წიბური აქვს; ტარს მთელ სიგრძეზე ჰორიზონტალურად განლაგებული ტალღისებრი რელიეფური ხაზები გაუყვება, ვადასთან კი წნული ორნამენტი ამკობს (სურ. 32, 1, ტაბ. XVI, 7), ქორეთის ცალს ტარი შრგვალი აქვს ბოლოში ნახვრეტით, შესანიშნავად არის შემკული წნული ორნამენტით, ვადასთან კი სპირალურით (სურ. 32, 2, ტაბ. XIX, 7). ორნამენტის სირთულე მოწმობს, რომ ეს სახელურები ცვი-



სურ. 32. ლითონისტარიანი სატევრები: 1—ცარცის გორიდან; 2—ქორეთიდან.

¹ თ. ჯაფარიძე, 1955 წ. ყვირილის ზემო წელზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.
² Б. А. Куфтиш, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г..., გვ. 72.
 Т. Н. Сакварелидзе, Бронзы Древней Грузии, Тбилиси, 1954, Автореферат, გვ. 13.
 ფ. Н. Тавадзе и Т. Н. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тбилиси, 1958 г., გვ. 21.
 ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1958, გვ. 18.
³ Б. А. Куфтиш, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, ტაბ. X.

ლის მოდელის დაკარგვის წესით უნდა იყოს ჩამოსხმული¹. ამ სატევრებს, ჩანს, პირი ჯერ კიდევ ნაქედი აქვს, სახელური კი — ჩამოსხმული.

ამრიგად, საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე ძირითადად გვხვდება პრიმიტიული, ბრტყელი, უქედო სატევრის პირები. ტარი მათ, როგორც ჩანს, ძვლისა ან ხისა ჰქონდათ, რომელიც უშუალოდ ყუნწზე იგებოდა. ტარის დასამაგრებელი სამანქლე ნახვრეტი ჯერ კიდევ არა აქვთ. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი სატევრის პირი, რომელსაც ყუნწის ორივე კიდე დაკბილული აქვს, ალბათ ტარის უკეთ დაგების მიზნით. მსგავსი დაკბილულყუნწიანი სატევრის პირი ჩვენთვის მხოლოდ ერთია ცნობილი, პატარა, ბრტყელი, სამკუთხა მოყვანილობის პირით, აღმოჩენილი ბ. კუფტინის მიერ 1951 წ. გალუათას ყორღანში, რომელსაც იგი შუა ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურს მიაკუთვნებს². მხოლოდ ერთი სატევრის პირი აღმოჩნდა ქორეთის ყორღანში, რომელსაც ტარის დასაგები ნაწილი უყუნწო, სამკუთხა მოყვანილობისა ჰქონდა (სურ. 31, ტაბ. XVIII, 3). ჩვენი არქაული ტიპის სატევრები ძირითადად ყუნწიანებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ადრე ჩნდება აგრეთვე სატევრები უყუნწო, ფართო, სამკუთხა მოყვანილობის სატარით, ადრეული ხანის მასალებში მსგავსი სატარის მქონე სატევრისპირი ცნობილია ერთი ცალი, ძალიანს სამაროვნის აღმოსავლეთი უბნის № 1 სამარხთან³. ეს სატევრის პირი პატარა ზომისაა, მეტად თხელი და ცუდად დაცული. ბ. კუფტინი ამ სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილს უფრო ახალგაზრდად თვლის, ვიდრე დასავლეთს და მას ადრეობრივჯაოს ხანის შედარებით გვიანდელ საფეხურს მიაკუთვნებს⁴. ამ ტიპის საჩხერული სატევრის პირის ასაკის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, აქაური სამაროვნების სტრატეგრაფიული მონაცემები მთლად გარკვევით ვერ დგინდება და ზოგჯერ მხოლოდ ცალკეულ ნივთთა ტიპოლოგიური ანალიზის გზით ხერხდება სავარაუდო მოსაზრების გამოთქმა. შესაძლოა, რომ ეს უყუნწო სატევრის პირიც რამდენადმე უფრო მოგვიანო იყოს. დაახლოებით იმავე ხანას მიეკუთვნება მსგავსი სატევრის პირი ნალჩიკის მახლობლად გათხრილი ერთ-ერთი ყორღანიდან⁵. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის სატევრის პირები ყოფილიყო პროტოტიპი ჩვენში შუა ბრინჯაოსა და უფრო

¹ Т. Н. Сакварелидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 13.

Ф. Н. Тавадзе и Т. Н. Сакварелидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 24.

Б. А. Купфия, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 72.

² Б. А. Купфия, *Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лиахви, Проне, Квирилы и Среднего Рioni в 1951 г.* (ბელაწერი).

³ ი. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, *ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში*, გვ. 97, ტაბ. XV.

⁴ Б. А. Купфия, *დასახ. ნაშრომი*.

⁵ Б. Е. Деген, *Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МПА. № 3, М.—Г., 1941, გვ. 237.*

А. А. Иессен, *Археологические памятники Кабардино-Балкарии. МИА, № 3, გვ. 17, სურ. 2, 4.*

მოგვიანო ხანებში ცნობილი იმ სატევრებისა, რომლებსაც აგრეთვე საწკუთხა მოყვანილობის სატარე აქვთ, მაგრამ უკვე ტარის დასაგები სამანკვლეებით. ამიტომაც მთლად დამაჯერებლად არ მიგვაჩნია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ამ ტიპის სატევრის პირების წინამორბედი უნდა ყოფილიყო შუა ბრინჯაოს ხანის ყუნწიანი სატევრები¹.

ყუნწიანი სატევრის პირები სხვადასხვა ზომისა გვხვდება. პატარა სატევრის პირების ზომა მერყეობს 10—15 სმ, უფრო მოზრდილებისა — 20—25 სმ შორის. ყუნწი მათ ჩვეულებრივ ვიწრო და მოზრდილი აქვთ. გვხვდება რამდენიმე მომცრო ზომის სატევრის პირი, რომელთაც შედარებით ფართო ყუნწი აქვთ, პირი ბრტყელი და მხრებდაქანებული, უქელო და წვერისაკენ თანდათანობით დავიწროვებული (ტაბ. XIX, 10). მხოლოდ ერთი სატევრის პირი აღმოჩნდა 1939 წ. ვათხრების დროს, რომელსაც „რომბისებრი“ მოყვანილობის პირი ჰქონდა (ტაბ. IX, 5)². ეს სატევრის პირი რამდენადმე უახლოვდება აფხაზეთის დოღმენებში აღმოჩენილ თხელ შუბისა თუ სატევრის პირებს³. ემსგავსება თითქოს იგი აგრეთვე სამგორის ყორღანის თხელპირიან სატევრის პირს, განსაკუთრებით კი ახლო დგას უკანასკნელ ხანებში დაღესტნის ყორღანებში აღმოჩენილ პირებთან⁴.

მოზრდილი, ყუნწიანი სატევრის პირები გამოირჩევიან მოხდენილი ფორმით, სიმეტრიულობით; უფრო კი ის ცალები, რომელთაც კიდეები და თხელებული და შუა ნაწილი შედარებით გამსხვილებული აქვთ (ტაბ. XIX, 8). ასეთი სატევრის პირი ჩვენში ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი, შემთხვევით აღმოჩენილი ქ. სტალინირში „კვანისასშენის“ ტერიტორიაზე, შავპირილა, ვარდისფერსარჩულიან ბადიასთან ერთად (ტაბ. XVI, 12). ახლო დგას საჩხერულ სატევრის პირებთან ლიკანში 1912 წ. ნაპოვნი სატევრის პირი⁵. როგორც ჩანს, ეს ტიპი სატევრისა პროტოტიპი უნდა იყოს ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანაში ცნობილი კარგად განვითარებული მალაყუნწიანი სატევრისა. ამ მხრივ საყურადღებოა ქვასათალის ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი ცალი⁶. ამიერკავკასიის სხვა ადგილებიდან ამ ტიპის სატევრის პირი ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი ლენინაკანის მახ-

¹ ტ. ჩუბინიშვილი. სამთავროს ყორღანული სამარხი № 243, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 21.

² Б. А. Куфтин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИМК, вып. VIII, სურ. I.

³ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, ტაბ. XXXII.

⁴ В. И. Каинцев, Милтл-новый памятник бронзового века в Совершом Дагестане, გვ. 43, ტაბ. I, 1, III, 2.

⁵ Т. Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили, О. С. Гимбашидзе. Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—1955 гг., СА, № 4, Москва, 1957, გვ. 126, სურ. 6, 1.

⁶ О. М. Джапаридзе, Квасцталский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИМК, вып. 60, Москва, 1953, გვ. 24, სურ. 2, 2.

ლობლად აღმოჩენილი ნამოსახლარიდან¹. მსგავსი სატევრის პირები ადრე-ული ხანიდანვე გავრცელებულა ჩრდილო კავკასიაში² იესენისეული პირველი ეტაპის დროს და მომდევნო ხანაშიაც გვხვდება ბრტყელყუნწიანი სატევრის პირები, რომლებიც უახლოვდებიან საჩხერულ ვარიანტებს³.

ბრტყელყუნწიანი სატევრის პირები ცნობილი იყო წინა აზიაშიც საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან⁴. განსაკუთრებით ფართო გავრცელება სატევრის პირების ამ ტიპმა კპოთა მცირე აზიაში, ანატოლიაში⁵. დ. სტრონახმა, რომელმაც ანატოლიაში აღრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული იარაღთა ტიპები შეისწავლა, ეს სატევრები I ტიპში გააერთიანა. იგი აღნიშნავს, რომ ბრტყელყუნწიანი სატევრები, რომლებიც უძველეს, უნივერსალურ ტიპს წარმოადგენენ, ადრინდენ ჩანან აქ. მათ ვხვდებით ტროა I უძველეს ფენაში, ალიშარის გვიანხალკოლითურ ფენებში და სხვ.⁶ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ანატოლიური ადრეული სატევრის პირები მეტად აბლოდგას საჩხერულ ტიპთან. აქაც გვხვდება ბრტყელპირიანი, უქედო სატევრები, დაქანებული მხრებით და შალაი ყუნწით⁷. ქედიანი სატევრის პირები აქ შედარებით გვიან ჩნდება⁸. უფრო გვიან ჩნდება აგრეთვე სატევრის პირები

¹ А. Мартиросян, О древнем поселении около Лениканана. Изв. АИЭ Ар. ССР, № 210, Ереван, 1952, გვ. 92, ტაბ. 1, 13.

² А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 90, სურ. 4, 6.

³ А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

А. А. Иессен, К хронологии „больших кубанских курганов“. СЛ. XII. М.—Л., 1950, გვ. 172.

А. V. Schmidt, Die Kurgan der Stanica Konstantinovskaja, ESA. IV Helsinki, 1929, გვ. 13, სურ. 1, 5.

А. М. Tallgren, Zu der nordkaukasischen frühen Bronzezeit, ESA, VI. Helsinki, 1931, გვ. 131, სურ. 17.

Л. И. Давров, Райле-средневековый могильник в Нагорном Дагестане, Сб. Музей антропологии и этнографии, т. XIII, М.—Л., 1951, გვ. 3, სურ. 1.

Р. М. Мунчаев и К. Ф. Смирнов, Археологические памятники близ села Карабудакент, МИА, 68, М.—Л., 1958, გვ. 168.

К. Ф. Смирнов, Археологические исследования в районе Дагестанского сел. Турки в 1948—1949 гг., МИА, 23, М.—Л., 1951, გვ. 254.

⁴ L. Woolley, Ur Excavations, vol. II, New York, 1934, გვ. 308, ტაბ. 22^б

Г. Чайлд, Древнейший Восток... გვ. 224, სურ. 83.

Claude F. A. Schaeffer, Les fouilles de Minet el-Beide et Ras-Shamra. Syria. т. XIII, Paris, 1932; გვ. 19, ტაბ. XIII.

⁵ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

К. Күkten, N. Üzgüç, Т. Üzgüç, Türk tarih kurumun adına yapılan Samsun bulgesi kazilari hakkında ilk kisa rapor, Bolleten. Cilt: IX, Sayi: 35 Ankara, 1945, გვ. 373, ტაბ. IV, 7.

Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, გვ. 69.

⁶ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

⁷ იქვე, სურ. 2, 2.

⁸ იქვე, გვ. 98.

რები, რომელთაც სატარე ნაწილზე ტარის დასაგები ნახერეტი აქვთ¹. ჩვენშიაც, როგორც ჩანს, დაგების ეს წესი შედარებით გვიან შემოდის. ყველაზე ადრეული ყუნწვახერეტილი სატევრის პირი აღმოჩენილია თრიალეთის ერთ-ერთი უძველესი ჯგუფის ყორღანში. მომდევნო პერიოდში, შუა ბრინჯაოს ხანაში, ჩვენში უკვე ფართოდ ვრცელდება სატევრის პირები, რომლებსაც ტარის დასაგებად სატარე ნაწილზე ნახერეტი აქვთ, ზოგს ერთი, ზოგს კი — სამი. ტარის დაგების ეს წესი მესოპოტამიაში ცნობილი იყო ადრედინასტიური პერიოდიდან. სხვაგან იგი შედარებით უფრო გვიან შემოდის. ანატოლიაში სატევრები სამი სამანქვლე ნახერეტი ჩნდება 2000 წ. შემდგომ. ტარის დაგების ეს სისტემა აქ ერწყმის ადგილობრივი ფორმის სატევრის პირებს². დაახლოებით ამგვარივე სურათი ჩანს ჩვენშიც. ტარის დაგების ეს წესი შემოდის ძირითადად შუა ბრინჯაოს ხანაში. მას ვხვდებით უკვე იმ ტიპის სატევრებზედაც, რომლებიც ადგილობრივ ჩამოყალიბებული ვარიანტები უნდა ყოფილიყვნენ³. ამრიგად, როგორც ჩანს, უძველესი ტიპი სატევრის პირებისა ჩვენში უნდა ყოფილიყო ბრტყელი, უქედო, მალაყუნწიანი. გახერეტილყუნწიანი სატევრები უფრო მოგვიანო პერიოდში შემოდის. შესაძლებელია ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურზე. ამიტომაც არ მიგვაჩნია მართებულად იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ფართო, გახერეტილყუნწიან სატევრებს უფრო ადრეულ საფეხურს მიაკუთვნებენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არ ვეთანხმებით არც ვ. ლუბინს, რომელიც ქულბაქების ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ სატევრის პირს გვიანენეოლითით ათარიღებს⁴. ასევე უმართებულად მიგვაჩნია კ. კუშნარევის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს სტეპანაკერტის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი სატევრის პირი უფრო ადრეულია, ვიდრე საჩხერული⁵. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს ავტორი საერთოდ სტეპანაკერტის ყორღანისათვის შორეულ თარიღს იძლევა. რაც შეეხება ხაჩანაკეტის ყორღანში ნაპოვნი სატევარს. იგი შედარებით განვითარებული ფორმისაა, მასიური და კარგად გამოსახული შუა ქელით⁶.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ქორეთის (პასიეთი) ყორღანის № 1 სამარხში ნაპოვნი სატევრის პირი, რომელსაც მართალია არამკვეთრად, მაგრამ უკვე ემჩნევა შუა ქელი (სურ. 29, ტაბ. XIX, 2). როგორც ვთქვით, ეს სამარხი მთელი რიგი ისეთი ნიშნებით ხასიათდება, რომ მართებული იქნება მისი უფრო მოგვიანო ხანით დათარიღება. შესაძლოა იგი ამ ყორღანის არსებობის ბოლო პერიოდისა იყოს, ე. ი. ადრეული ბრინჯაოს ხანის გვიანდელი საფეხურისა. ამიტომაც საფიქრებელია, ამ პერიოდიდან ჩვენში თან-

¹ D. B. Strogach, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

² იქვე, გვ. 100.

³ O. M. Джaparидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 24, სურ. 2.

⁴ B. П. Лубинь, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

⁵ K. X. Куширова, Памятником модного века в Нагорном Карабахе, СС.

IX. 1954, გვ. 174.

⁶ იქვე, სურ. 1.

დათანობით წესად შემოდის ქედიანი სატევრის პირების დამზადება. ეს წესი, როგორც ცნობილია, ძველ აღმოსავლეთში საკმაოდ ადრე შემოვიდა, მაგრამ თავისთავად უფრო გვიანდელი მოვლენა იყო¹. შუა ქედი, რა თქმა უნდა, მაღლა სწევდა ამ იარაღის მოხმარებით უნარიანობას. შუა ბრინჯაოს ხანაში ჩვენში უკვე კარგად არის ცნობილი სატევრის პირები მკვეთრი შუა ქედით. მომდევნო პერიოდში ამ ტიპის სატევრები კიდევ უფრო ფართო გავრცელებას პოულობენ. სამთავროს სამაროვნის სატევრის პირების შესწავლისას გ. ლომთათიძემ შუა ქედის განვითარება მიიჩნია ერთ-ერთ ძირითად ნიშნად². ამრიგად, ჩანს, სატევრის პირებზე შუა ქედის გაჩენის ტენდენცია ჩვენში უკვე ადრებრინჯაოს ხანაში — შესაძლოა მის მოგვიანო ეტაპზე — ყალიბდება.

რაც შეეხება ლითონისტარიან სატევრებს, საფიქრებელია, რომ ორავე ამ სამაროვნების გვიანდელ ეტაპს მიეკუთვნება (სურ. 32). მსგავსი სატევარი, შემკული სახელურით, ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან. იგი აღმოჩნდა სტანიცა კონსტანტინოვკაში³. ამ სატევარს წნული ორნამენტით შემკული ბრტყელი სახელური აქვს და სიგრძივ ორი ტეხილი რელიეფური ხაზი გაჰყვება. ა. ტალგრენმა იმავეითვე აღნიშნა, რომ ეს სახელური ცვილის მოდელის დაკარგვის წესით უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული⁴. სახელურის მიხედვით სატევარი უფრო ცარცის გორის ეგზემპლარს უახლოვდება. როგორც ჩანს, ცვილის მოდელის წესით შემკული ლითონის ნივთების ჩამოსხმა ჩვენში ადრეული ხანიდან მოდის. ამავე წესითაა ნაკეთები საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილი სამკაულები; აფხაზეთის დოლმენებში ნაპოვნი მსრამემოკრული კაეი და ერთი ცული ცვილის მოდელის დაკარგვით უნდა იყოს ჩამოსხმული⁵. ჩრდილო-კავკასიაში ამგვარი ორნამენტი და ჩამოსხმის ეს წესი ფართოდ ჩანს გავრცელებული იესენისეული II ეტაპის დროს⁶. სტანიცა კონსტანტინოვსკაიას ყორღანის ინვენტარის განხილვისას ჯერ კიდევ ა. შმიდტმა შენიშნა, რომ ამ ტიპის ორნამენტი უცხოა მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას ყორღანებისათვის და იგი უფრო მოგვიანო ხანისათვისაა დამახასიათებელი⁷. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში,

¹ Г. Чайлд, Древнейший Восток..., გვ. 110 და 241.

J. Garstang, Prehistoric Mersin, გვ. 215.

H. Bonnet, დაახ. ნაშრომი, გვ. 45, სურ. 19.

² გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარებში, თბილისი, 1944, ხელნაწერი, გვ. 147—149.

³ A. M. Tallgren, Zu der nordkaukasische frühen Bronzezeit, გვ. 15C, სურ. 50.

⁴ იქვე, გვ. 140.

⁵ Ф. Н. Тавадзе и Т. Н. Сахварелидзе, დაახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁶ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 71.

A. A. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 100.

⁷ A. A. Иессен, დაახ. ნაშრომი, გვ. 100.

⁸ A. V. Schmidt, დაახ. ნაშრომი, გვ. 16.

ნოვოსვობოდნაიას ყორღანში გვხვდება სადა ლითონისტარიანი სატევარო, რომელიც ტარის მიხედვით თითქოს უახლოვდება ქორეთის ეგზემპლარს¹. საჩხერული ორნამენტირებული ლითონისტარიანი სატევრები ამ სამაროვნების მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ლითონისტარიანი სატევრები მერმინდელი ხანისათვისაც ჩანს დამახასიათებელი. ჩრდილო კავკასიაში ლითონისტარიანი სატევრები ცნობილია ყობანის სამაროვნიდან. შეფერი ამ სატევრებს შუა ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანი წააგავს ნოვოსვობოდნაიას ლითონისტარიან სატევარს². გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ფოთლისებრი ბრინჯაოსტარიანი სატევრები, რომლებსაც ტარი შემკული ჰქონდათ აგრეთვე წნული და საბირალური ორნამენტით. ბ. კუფტინმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ეს სატევრები ჩვენში ადრევე გავრცელებული ორნამენტირებული ლითონისტარიანი სატევრების შემდგომი განვითარების შედეგი უნდა იყოს³. ამიტომ სრულიად უმართებულოდ გვეჩვენება დ. ქორიძის საყვედური, თითქოს ბ. კუფტინი მაინცადამაინც კონსტანტინოვსკაიას სატევარს მიიჩნევს გვიანბრინჯაოს ხანის ლითონისტარიანი სატევრების პროტოტიპად. თვითონ დ. ქორიძეს ცარცის გორის ეგზემპლარი მიაჩნია ამ სატევრების წინაპრად⁴. მაგრამ ბ. კუფტინი არსად არ ამბობს იმას, რასაც მას დ. ქორიძე მიაწერს. იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ამ სატევრების (იგულისხმება საჩხერული და კონსტანტინოვსკაიას) შემდგომი განვითარება აშკარად დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიასთან⁵. ბ. კუფტინის მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი ორივე სატევარს მიიჩნევს პროტოტიპად და არა მარტო კონსტანტინოვსკაიას ცალს.

დასასრულ, ახლახან ქვაცხელების ნამოსახლარის ერთ-ერთ საცხოვრებელში ნაპოვნი იყო მოზრდილი წითელპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტი, სატევრის რელიეფური გამოსახულებით. ეს სატევარი თითქმის ისეთივეა, როგორც ცარცის გორის ლითონისტარიანი ეგზემპლარი (ქვაცხელებზე ადრეც აღმოჩნდა მსგავსი სატევრის გამოსახულებიანი ძელის საკიდი)⁶. ჭურჭლის ნატეხი ნაპოვნი იყო ნამოსახლარის ქვედა ფენაში, რომელსაც გამოთხრებები ენეოლითიდან ადრებრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებენ. ძნელია გადაჭრით თქმა, აქ გამოსახული სატევარი ლითონისტარიანი იყო, თუ მას ხის ან ძელის ტარი ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ამ ფრაგმენტის ხნოვანების გათვალისწინების შედეგად თითქოს ეს უკანასკნელი

¹ A. M. Tallgren, La Pontide prescythique, სურ. 55, 24.

A. M. Tallgren, Sur les monuments du Caucase, ESA, IX, Helsinki, 1934, 83. 24. სურ. 24.

² OAK за 1898 год, СПб, 1901, გვ. 34. ტაბ. IV, 50.

³ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparee, გვ. 526, სურ. 300, 1.

⁴ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 72.


⁵ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 120.

⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

⁷ ლ. ლონტი, აღ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

უფრო მართებული ჩანს. შესაძლოა საჩხერულ შედარებით მოზრდილყუნწიანი სატევრის პირებს მსგავსი ხის ტარი ჰქონდათ, რომლის წაბაძეთაც შეზღვეში ლითონისტარიანი სატევრები დაამზადეს.

საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილი იარაღიდან ყურადღებას იპყრობს ოთხწახნაგა ხიშტი (სურ. 33, 1, ტაბ. XVI, 1) და



სურ. 33. შუბისმაგვარი იარაღი; 1—ხიშტი ცარცის გორიდან; 2—საქართველოს მუზეუმიდან; 3—ცარცის გორიდან; 4—მოსკოვის ისტორიის მუზეუმიდან; 5—ოსპრისიდან; 6—აბალციხის მუზეუმიდან; 7—ზაქსიდან.

შუბისმაგვარი იარაღი (სურ. 33, 3, ტაბ. XVI, 2). ხიშტის აღმოჩენის შესახებ არც საველე დაფთარში და არც დღიურში არაფერია ნათქვამი. ამ იარაღს განიხილავს ბ. კუფტინი თავის ერთ-ერთ ნაშრომში და აღნიშნავს, რომ იგი წაპოვნი იყო ცარცის გორაზე 1945 წელს¹. მსგავსი იარაღი ჩვენში ჯერჯერობით უცნობია. საერთოდ ამ ტიპის იარაღს, შუბისმაგვარ იარაღთან შედარებით, მაინცადამაინც ფართო გავრცელება არ მიუ-

¹ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, ტაბ. LX₃.

ლია. ხიშტისმაგვარი იარაღი წინა აზიაში აღრეული ხანიდანვე არის ცნობილი¹. მას ვხვდებით ურის სამეფო სამარხებში². ცნობილია იგი აგრეთვე ჩრდილო სირიიდან³. განსაკუთრებით ახლოს ჩვენს ხიშტთან დგას კარხემიში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღი⁴. აღსანიშნავია ტილ ბარსიბში (ჩრდილო მესოპოტომია) აკადის საფეხურზე ნაპოვნი ოთხწახნაგა ხიშტი, მაგრამ მას უკვე ღეროს ბოლო მოკაუჭებული აქვს⁵. ხიშტისმაგვარი იარაღი მოკაული ყუნწით, რომლის ბოლოც ღილისებურად მთავრდება, ცნობილია პისარ III-დან⁶. მეტად საყურადღებოა ორი ამგვარი იარაღი, რომელზედაც წარწერები აღმოჩნდა⁷. ერთ ხიშტზე, რომელიც ასურის G ფენაში აღმოჩნდა, ვკითხულობთ მეფე მანუშტუსს სახელს⁸. მეორე ხიშტზე, რომელიც ლურისტიანში იყო ნაპოვნი, სადაც იგი, მკვლევართა აზრით, შემოტანილი უნდა ყოფილიყო, მოცემულია სუზის მმართველის პუზურ შუშინაკის სახელი⁹. როგორც ირკვევა, მანუშტუსუ ცხოვრობდა ძვ. წ. XXV საუკუნეში, პუზურ შუშინაკი კი მმართველად ყოფილა დაახლოებით XXII საუკუნეში¹⁰. ამრიგად, წინა აზიაში იარაღის ეს ფორმა, ყოველ შემთხვევაში, მესამე ათასწლეულის შუა ხანებში უკვე გავრცელებული ყოფილა. ჩვენში ამგვარი იარაღი აღბათ წინა აზიიდან შემოდის, სავარაუდოა III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში¹¹. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ცნობილი არის შედარებით პატარა ზომის იარაღი, რომელიც შესაძლოა ხელშუბის პირად იხმარებოდა. იგი ფორმით ახლო დგას ამ ხიშტისმაგვარ იარაღთან¹². მსგავსი იარაღი, ოღონდ ძვლისა, აღმოჩენილი იყო ქვაცხე-

¹ Г. Чайлд, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 243.

Б. А. Куфтин, *Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе, Загв Востока*, 1916 г., 23 сентября.

² L. Woolley, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 303.

Claude F. A. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 449.

³ იქვე, გვ. 304.

⁴ V. Christian, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 285, ტაბ. 324.

⁵ იქვე, გვ. 343, ტაბ. 388. 6. Claude F. A. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83, სურ. 82.

⁶ E. Schmidt, *Excavations at Tepe Hissar Damghan*, გვ. 203, ტაბ. L. D. H. Gordon, *Tre Chronology of the third Cultural period at Tepe Hissar, Iraq*, XIII, P. 1, London, 1951, სურ. 2, 31.

Claude F. A. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 449.

⁷ Б. А. Куфтин, *Археологическая маршрутная экспедиция...*, გვ. 74.

⁸ V. Christian, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 207, 285.

⁹ A. Pope, *A. Survey of Persian Art*, vol. 1. London-New York, 1938, გვ. 275, 282, სურ. 25, B.

Claude F. A. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 485, სურ. 264, 2.

¹⁰ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 74.

A. Pope, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 275, 282.

¹¹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 74.

¹² Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триплетн*, გვ. 102. სურ. 109.

О. А. Абибухаев, *Археологические раскопки в Кюльтепе, Баку*, 1959, გვ. 54, ტაბ. 18, 7.

ლებზე¹. რა თქმა უნდა, ამ ხიშტის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი დახმარებას გვიწევს საჩხერის სამაროვნის დათარიღებისას. ეს კი თავის მხრივ გარკვეულ როლს ასრულებს ჩვენში გავრცელებული ადრეული ხანის კულტურის ხნოვანების დასადგენად.

არც შუბისმაგვარი იარაღის აღმოჩენის პირობებია სათანადოდ გარკვეული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების კატალოგში ვკითხულობთ, რომ იგი სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილა საჩხერის მახლობლად სოფ. ღურებში. როგორც ჩანს, ბ. კუფტინს შემდეგში დაუზუსტებია ამ ნივთის აღმოჩენის ადგილი და მის ნაშრომში, სადაც იგი 1945 წ. საჩაერეში ჩატარებული მუშაობის შედეგებს განიხილავს, აღნიშნულია, რომ ეს შუბისმაგვარი იარაღი ცარციის გორახეა ნაპოვნი².

ცარციის გორის შუბისმაგვარი იარაღი საკმაოდ განვითარებული ტიპისაა. მას ფოთლისებრი მოყვანილობის პირი აქვს მკვეთრი შუა ქედით, რომელიც თითქოს ღეროს გავრელებას წარმოადგენს. წახნაგოვანი ღერო ბოლოსთან შესქელებულია და გადაღის უფრო ვიწრო ოთხწახნაგა ყუნწში, რომელსაც ბოლოში ერთი ნახვრეტი აქვს³. ამ ტიპის იარაღი ჩვენში სულ რამდენიმე ცალია ცნობილი⁴. ერთი ამგვარი იარაღი, რომელიც დღეს ხანლარის მუზეუმშია დაცული, 1928 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ზაქესში არქაეული ფორმის ცულთან ერთად (სურ. 33, 7)⁵, ერთიც ნაპოვნია ბაგინეთში არქაეული ხანის ფენის ქვეშ (სურ. 34)⁶. შუბისმაგვარი იარაღი აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. ოსპრისის მიმდებარე, სტალინთან (სურ. 33, 5)⁷. ახალციხის მუზეუმში ინახება ერთი ამგვარი იარაღი, რომლის ზუსტი აღმოჩენის ადგილი უცნობია (სურ. 33, 6; ტაბ. XIII, 11)⁸. არ არის ცნობილი, საიდან არც საქართველოს მუზეუმში დაცული შუბისმაგვარი იარაღის აღმოჩენის ადგილი (სურ. 33, 2). მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ამ ტიპის ერთი იარაღი, რომელიც, როგორც კატალოგიდან ირკვევა, თბილისში ყოფილა შეძენილი (სურ. 33, 4)⁹. შესაძლოა ეს იარაღი, როგორც ფიქრობენ, მართლაც საქართველოს (ან ამიერკავკასიის) ტერიტორიაზე იყოს ნაპოვნი იმის გამო, რომ ტიპობრივად იგი ახლოს დგას ჩვენში აღმოჩენილ ამგვარ იარაღთან. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი, მართალია რამდენადმე გან-

¹ ლ. ლ. ონ ტ ი, ალ. ჯაგაზიშვილი, დასახ. ნაშრომი.

² ბ. ა. კუფტი, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г., გვ. 73.

³ იქვე, გვ. 73, ტაბ. LIX.

⁴ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფენური საქართველოში, გვ. 85.

⁵ ბ. ა. კუფტი, Археологические раскопки в Тризетях, გვ. 10, სურ. 7ა.

⁶ ა. ჯაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფო ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959 წ.,

გვ. 65.

⁷ В. П. Дюбин, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, სურ. 1, 9.


⁸ Т. Н. Чубиняшвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, სურ. 3, 10.

⁹ Б. А. Куфти, დასახ. ნაშრომი, გვ. 11, სურ. 7ა, 9б.

A. Zakharov, Etudes sur l'archeologie de l'Asie Mineure et du Caucase, Revue Hittite et Asiatique. I. Paris, 1931. გვ. 133, ტაბ. 7, а.

სხვაეებული, მაგრამ ამავე ტიპის იარაღი; აღმოჩენილი ხოვლეს ერთ-ერთ ყორღანში 1957 წ.

ჩვენშიაც, წინა აზიის მსგავსად, შუბისმაგვარი იარაღის ძირითადად ორი ვარიანტი გვხვდება: ყუნწსწორი და ყუნწმოკაული. საჩხერულის გარდა, სწორყუნწიანია ახალციხისა და სტალინირის მუზეუმებში დაცული შუბისმაგვარი იარაღები. სტალინირის ცალს ღერო მრგვალი და გრძელი აქვს. ყუნწზე გადასვლის ადგილზე ოდნავ შექქელებულია და გადადის წახნაგოვან ყუნწში. პირი შედარებით მოკლე აქვს, ბრტყელი და ვიწრო. პირს შუა ქედი თითქმის სრულიად არ ეტყობა (სურ. 33, 5). ახალციხის ეგზემპლარის ღეროც მრგვალია, ყუნწისაკენ თანდათანობით ფართოვდება და ყუნწზე გა-



სურ. 34. შუბისმაგვარი იარაღი (ბაგინეთი).

დასვლის ადგილას შესქელებულია. პირი მას ფოთლისებრი მოყვანილობისა აქვს, რომელსაც არც თუ ისე მკვეთრი შუა ქედი გაუყვება (სურ. 33, 6). დანარჩენ შუბისმაგვარ იარაღებს ყუნწი მოკაული აქვს. ზაპესის ცალი უფრო მოძერო ზომისაა. პირი, რომელსაც ორივე მხარეზე ვიწრო ქედი გაუყვება, მას ღეროსთან შედარებით მოზრდილი აქვს (სურ. 33, 7). ღერო ბოლოსაკენ არამკვეთრად ვიწროვდება და მთავრდება კავით. საქართველოს მუზეუმში დაცული შუბისმაგვარი იარაღი, პირიქით, გრძელღეროანია, მისი ბოლოც კავით მთავრდება. პირი შედარებით ვიწრო აქვს არამკვეთრი შუა ქედით (სურ. 33, 2). ორივე ცალში ყუნწი ღეროსაგან არ გამოიყოფა. რამდენადმე განსხვავებულია მათგან მოსკოვის ისტორიის მუზეუმის ეგზემპლარი. მისი ღერო ყუნწისაკენ თანდათანობით სქელდება და ყუნწში გადასვლის შემდეგ სწრაფად ვიწროვდება. ყუნწი ბოლოში ძლიერ მოღუნულია. პირს ორივე მხარეზე შუა ქედი გაუყვება (სურ. 33, 4). სიკობტავით გამოირჩევა ბაგინეთზე ნაპოვნი ამ ტიპის იარაღი, რომელიც კარგადაა დაცული. პირთან შედარებით ღერო მას რამდენადმე მოკლე და ბოლოში დხეიული აქვს. ღეროს ორივე პირზე შუა ნაწილში ღარი გაუყვება. პირი ფართოა და საკმაოდ მოზრდილი, ხოლო შუაზე არამკვეთრი ქედი გასდევს (სურ. 34). საქართველოს გარდა, დღემდე ამიერკავკასიის სხვა ადგილებიდან ამ ტიპის იარაღი ცნობილი არ არის. არც ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულა იგი მინცაღამაინც. სწორღეროანი შუბისმაგვარი იარაღი, ფოთლისებრი პირით ცნობილია ნოვოსვობოდნაის ყორღანიდან¹. დიდი ზომის, წაგრძელებული

¹ OAK ss 1893, გვ. 34, ტაბ. IV, 49.

ფორმის ამგვარი იარაღი აღმოჩენილია პსებაისკაის ყორღანში¹. ბ. კუფტინმა აღნიშნავს, რომ ამ ტიპის იარაღი ცნობილია ვოზდევენსკოვდან და სხვ.²

შუბისმაგვარმა იარაღმა საერთოდ ფართო გავრცელება ჰპოვა წინა აზიაში. უაღრესი ფორმები ამ იარაღისა აღმოჩენილი იყო შუმერში³, საიდანაც, ჩანს, საკმაოდ ადრე გავრცელებულა იგი სირია-პალესტინაში⁴. მე-სამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან შუბისმაგვარ იარაღს უკვე კარგად იცნობდნენ მცირე აზიაში, კვიპროსზე, ირანში, დუნაის მხარეში და სხვ.⁵

ზოგან ამ ტიპის იარაღმა გვიანობამდე შემონახა თავი⁶. მისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე ამ იარაღის მრავალგვარი ვარიანტები იქმნებოდა. პირგრძელი და მოკლედეროიანი ტიპი, რომელიც „კვიპროსის სატევრების“ სახელითაა ცნობილი⁷, უპირატესად კვიპროსზე და დუნაის მხარეში ჩანს გავრცელებული“. შუბისმაგვარი იარაღი პირის ზედა ნაწილზე ორი ნახვრეტით ძირითადად მცირე აზიისათვისაა დამახასიათებელი. როგორც ფიქრობენ, იგი ჩრდილო სიოიისა და კილიკიის რაიონში უნდა წარმოშობილიყო⁸. მას ვხვდებით აგრეთვე კიკლადის კუნძულებზე. ჩვენში, ჩანს, ამ იარაღის ის ფორმა იყო გავრცელებული, რომელიც ახლო დგას ძველ შუმერულ ტიპებთან⁹. იგივე ფორმა გავრცელებული იყო აგრეთვე სირია-

¹ A. A. Иессен. К хронологии „больших кубанских курганов“, გვ. 172.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Тришети, გვ. 12.

³ Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях..., გვ. 299.

O. Tufnel, The Shihai Warrior, Iraq, V, Part 2, London, 1953, გვ. 164.

Б. А. Куфтин. Археологическое раскопки в Тришети, გვ. 12.

⁴ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 449, 519.

⁵ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 269, 449.

D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе..., გვ. 299.

K. Bittel, Grundzuge der Vor-und Frühgeschichte Kleinasien, გვ. 28.

J. Deschellet, Manuel d'archeologie, т. II. Paris, 1910, გვ. 194.

⁶ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

Claude F. A. Schaeffer, Les fouilles de Ras-Schumra-Ugarit, Syria. XIX. F. 3, Paris, 1938, გვ. 219.

⁷ St. Przeworski, Altorientalischen Altertümer in skandinavischen Sammlungen, ESA, X, Helsinki, 1932, გვ. 118.

⁸ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 104

Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

⁹ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

¹⁰ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparee, გვ. 519, 449.

Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г..., გვ. 74.

პალესტინაში¹. ვხედებით მას მცირე ახიაში, ანატოლიაში², სპარსეთში, თურანგეთეფში³, პისარში⁴ და სხვ.

შუბისმაგვარ იარაღებში ტარის დასაგები ნაწილის, ღეროს მიხედვით რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა: სწორღეროიანი, მოკაულღეროიანი და ღილისებრ დაბოლოებული ღეროიანი. უძველესი ტიპი ამ იარაღისა, როგორც ჩანს, სწორღეროიანი უნდა ყოფილიყო⁵. ურის სამაროვნის თითქმის ყველა შუბისმაგვარ იარაღს სწორი ღერო აქვს⁶. მოკაული ღერო ამ იარაღს თითქოს რამდენადმე მოგვიანებით უჩნდება. შემდეგში კი ყველა ეს ვარიანტი განავრცობს არსებობას. ჩვენში სადღეისოდ არ არის ცნობილი ღილისებრ ბოლოიანი შუბისმაგვარი იარაღი. ეს ვარიანტი შუბისმაგვარი იარაღისა საერთოდ ყველაზე უფრო გავრცელებული იყო⁷.

სწორღეროიანი შუბისმაგვარი იარაღი ჩვენში, როგორც აღვნიშნავდით, სამია ცნობილი. ეს ეგზემპლარები ერთმანეთს უახლოვდებიან ძირითადად ტარის დაგების წესით, თორემ სხვა მხრივ დეტალებში ისინი საკმაოდ განსხვავდებიან. ახალციხის მუზეუმში დაცული იარაღი ძალიან ახლოს დგას ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილ შუბისმაგვარ იარაღთან. ამ ყორღანში ნაპოვნი შუბისმაგვარი იარაღის განილივანი ზოგიერთი ავტორი იმთავითვე აღნიშნავდა, რომ იგი ახლოს დგას ადრეუშუმერულ ფორმებთან⁸. შეფერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნოვოსვობოდნაიას ეს იარაღი არ უნდა მომდინარეობდეს პირდაპირი ხაზით ურის პროტოტიპებიდან. მისი აზრით, მძლავრი ქედიანი ფოთლისებრი მოყვანილობის პირი მნიშვნელოვნად ასხვავებს მათ ურის შუბისმაგვარი იარაღებისაგან. იგი ფიქრობს, რომ როგორც ნოვოსვობოდნაიას, ისე ამიერკავკასიის შუბისმაგვარი იარაღებისათვის ნამდვილ მოდელს წარმოადგენდა ჩრდილო სირიის ანალოგიური იარაღი, რომელიც თავის მხრივ ენათესავება ან მომდინარეობს შუმერული პროტოტიპებიდან; თითქოს ერთი ტექნიკური დეტალი ასხვავებდეს ნოვოსვობოდნაიას შუბისმაგვარ იარაღს სირიულსა და ზოგი ამიერკავკასიური-საგან. ამ შემთხვევაში შეფერი გულისხმობს მხოლოდ ტარზე დამაგრების

¹ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 269, 449.

² D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 1 4.

Tahsin Özgüç, Mahmut Akok, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

³ F. R. Wulsin, Excavation at Turang Tepe, near Asterabad, Supplement to the bulletin of the American institute for Persian Art and Archaeology, vol. 2, № 1, March, 1932, გვ. 12, ტაბ. XX.

Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 449.

A. Pope, დასახ. ნაშრომი, გვ. 166, ტაბ. 24.

⁴ E. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 201, ტაბ. L, LI.

⁵ D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

⁶ L. Woolley, დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

⁷ D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

⁸ Г. Чангд, У истоков европейской цивилизации, გვ. 214.

A. V. Schmidt. Die Kurgan der Stanica Konstantinovskaja, გვ. 19.

F. Hančar, Urgeschichte Kaukasiens, Leipzig, 1937, გვ. 319.

წესს. სხვა მხრივ კი მათი თანხედენა აშკარაა¹. მაგრამ შეფერი მთლად მართალი არ უნდა იყოს. რას შამრას ეგზემპლარები არა მარტო ტარის დაგების წესით განსხვავდებიან, არამედ ლეროსა და პირის მოყვანილობითაც. ახალციხისა და ნოვოსოვოოდნაის იარაღების ლერო თანდათანობით სქედდება და ყუნწზე გადასვლის ადგილას იგი საგრძნობლად გამსხვილებულია; შეძლებე ყუნწი წვერისაკენ სწრაფად ვიწროვდება. რას შამრას ცალეზზე კი განსხვავებული სურათია. არც პირის მოყვანილობით ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს: ამიტომაც ძნელია სირიული ფორმებიდან გამოვიყვანოთ ეს იარაღი. ლეროს ფორმის მიხედვით კავკასიურ იარაღებთან თითქოს უფრო ახლო დგას კარხემიში აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღი² და იუდეი-დეში ნაპოვნი ერთი ამგვარი იარაღი³, კარხემიშის ცალებს უახლოებს ა. იესენი ამ ტიპის იარაღს ნოვოსოვოოდნაის ყორღანიდან. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ყუბანის დიდ ყორღანებში აღმოჩენილი სპილენძის იარაღები უფრო მეტად უახლოვდებიან მცირეაზიულს და ჩრდილოსირიულს, ვიდრე ასირიულს და სამხრეთმესოპოტამიურს⁴. რამდენადმე ემსგავსებიან ისინი ყარა ხასანის სწორლეროიან შუბისმაგვარ იარაღსაც⁵. შედარებით ახლო დგანან ნოვოსოვოოდნაის და ახალციხის ეგზემპლარები ჰოროსთოფეს იარაღთან⁶.

სტალინირის მახლობლად აღმოჩენილი გრძელლეროიანი და მოკლე-პირიანი შუბისმაგვარი იარაღი მსგავსებას პოულობს ტელ-ელ-დუვიერის იარაღთან. მასაც მოკლე პირი და ძლიერ გრძელი ლერო აქვს. ტიპობრივად ეს იარაღი ახლო დგას აქვე ნაპოვნი ბოლომოკაულ იარაღთან⁷. ამგვარივე იარაღი მოლუნული ლეროთი ცნობილია აგრეთვე გაზადან. შეფერი შუბის-მაგვარი იარაღის ამ ტიპს სამხრეთსირიულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით გავრცელებულია კავკასიამდე და სპარსეთამდე⁸.

ცარცის გორის შუბისმაგვარი იარაღი უფრო განვითარებულ ფორმას მიეკუთვნება. მას ფოთლისებრი მოყვანილობის პირი აქვს მკვეთრი ფართო ქედით, რომელიც თითქოს ლეროს გაგრძელებას წარმოადგენს. სწორი წახნაგოვანი ლერო გადადის შედარებით ვიწრო ყუნწში, რომლის ბოლოზედაც ერთი ნახვრეტია. ეს ფორმა უახლოვდება სირიულ ეგზემპლარებს რას შამ-

¹ Claude F. A. Schaeffer, *Stratigraphie Comparee*, გვ. 519.

² V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 285, ტაბ. 324, 6, 7.

Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триплетни*, გვ. 12.

³ R. Maxwell-Hyslop, *Bronze bugged axe-or adze blades from Asia*, *Jrag.*, т. XV, P. 1, London, 1953, გვ. 73, სურ. 7, 2.

⁴ А. А. Иессен, *К хронологии „больших кубанских курганов“*, გვ. 191.

⁵ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, სურ. 80.

D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 114, სურ. 8, 4.

⁶ Tahsin Üzgül, Mahmut Akok, დასახ. ნაშრომი, გვ. 216, სურ. 13 და 34.

⁷ O. Tufnell, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, ტაბ. XVII.

A. Jirku, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, ტაბ. 12, 8.

⁸ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 150, სურ. 121.

რადან¹, კერძოდ მათ აახლოებთ პირისა და, რაც მთავარია, ქედის მოყვანილობა. მსგავსება ჩანს აგრეთვე ლეროდან ყუნწზე გადასვლის მანერაში: მსგავსი შუბისმაგვარი იარაღი ცნობილია მცირე აზიიდან², თურანგთეფედან³ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს იარაღი ფოთლისებრი პირის მოყვანილობით და შუა ქედით წააგავს შიანის სტელაზე გამოსახულ იარაღს, ოღონდ მასაც ბოლო მოკაული აქვს⁴. საესებით სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ეს ტიპი ტექნიკურად ყველაზე გაუმჯობესებული ფორმა უნდა იყოს, რომელიც პირველად სირიაში, ხოლო შემდეგ კი მის მეზობელ კილიკიაში ჩნდება⁵. შუბისმაგვარი იარაღი გახვრეტილი ყუნწით იშვიათად გვხვდება. ამ მხრივ ცარცის გორის ეგზემპლარი უახლოვდება სუზას იარაღს, რომელსაც ყუნწის ბოლოზე აგრეთვე ერთი ნახვრეტი აქვს⁶. ჩვენთვის ცნობილია ლაგაში ნაპოვნი კიდევ ერთი ამ ტიპის იარაღი, რომელსაც ყუნწზე სამი ნახვრეტი აქვს. მას უკვე საკმაოდ განვითარებულ ფორმად მიიჩნევენ⁷.

ჩვენში აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღების ყველა დანარჩენ ცალეებს მოღუნული ბოლო აქვს. შუბისმაგვარი იარაღის ამ ტიპმა საერთოდ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა⁸. შეფერის აზრით, ლეროს ბოლოს ამგვარი მოყვანილობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ლეროს ზედა ნაწილი ტარს გარეთ რჩებოდა⁹. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის იარაღის ეს ვარიანტი რამდენადმე გვიან ჩნდება. თბილისის მუზეუმში დაცულ შუბისმაგვარ იარაღს მთლიანი, გრძელი ლერო აქვს, რომელიც ყუნწში არ გადადის და ბოლოში მოკაულია. ამით ეს იარაღი ემსგავსება სამხრეთსირიულ გრძელლეროიან ტიპს, ოღონდ მას უფრო მოზრდილი პირი აქვს, ვიდრე სირიულს. უახლოვდება იგი ჰისარ III ფენიდან მოპოვებულ ერთ იარაღს, რომელიც გამთხრელმა წინათ ჰისარ II მიაკუთვნა¹⁰, მაგრამ მასზე უფრო მოზრდილია¹¹. ტიპოლოგიურად მასთან ახლო დგას ზაქესში აღმოჩენილი იარაღი, მაგრამ იგი უფრო მომკრო ზომისაა და, როგორც ჩანს, უფრო განვითარებული. ეს შუბისმაგვარი იარაღი აგრეთვე ენათესავება ჰისარის ცალეებს და ჭანსა-

¹ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, სურ. 55.

² იქვე, გვ. 269, სურ. 172.

D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

³ R. Wulsin, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, ტაბ. XX.

⁴ O. Tufnell, დასახ. ნაშრომი, გვ. 161, ტაბ. XVI.

⁵ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

⁶ A. Montelius, Die älteren Kulturperioden im Orient und in Europa, т. II, გვ. 241, სურ. 779.

B. A. Куфтин, Археологич. маршрути. экспед. 1945 г., გვ. 74, სურ. 29.

⁷ V. Christian, გვ. 206, ტაბ. 210, 1.

⁸ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁹ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, სურ. 199.

¹⁰ D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

¹¹ B. A. Куфтин, Археологические раскопки в Триплетти, გვ. 11, სურ. 65.

კუთრებით ასტერაბადის ერთ-ერთ იარაღს¹. მსგავსია იგი, როგორც ეს ბ. კუფტინმა აღნიშნა, კვიპროსზე ნაპოვნი შუბისმაგვარი იარაღისაც². მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული შუბისმაგვარი იარაღი რამდენადმე განსხვავებულია; როგორც აღნიშნავდით, ღეროს მოყვანილობის მიხედვით იგი ახლო დგას ახალციხისა და ნოვოსეობოდნაის ცალებთან, ოღონდ მას ბოლო ძლიერ მოღუნული აქვს. უახლოვდება იგი აგრეთვე იუდეიდში აღმოჩენილ ეგზემპლარს³. ბ. კუფტინმა თავის დროზე სათანადო ყურადღება მიაქცია თბილისურ იარაღს და ღეროს მოყვანილობის მიხედვით იგი სამხრეთ მესოპოტამიურ ფორმებს დაუკავშირა⁴. ზაქსისა და თბილისური იარაღების განხილვისას შეფერმა აღნიშნა, რომ პირველი შედარებით უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს⁵.

რამდენადმე თავისებურია ბაგინეთზე აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღი. მას მოზრდილი, ფოთლისებრი მოყვანილობის პირი აქვს არამკვეთრი ქედით. ღერო პირთან შედარებით მოკლეა და ბოლო დახვეული აქვს. მსგავსი შუბისმაგვარი იარაღი სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. თითქოს უფრო ახლო დგას იგი მინეტ ელ-ბაიდში შეფერის მიერ აღმოჩენილ ერთ იარაღთან⁶.

როგორც ცნობილია, შუბისმაგვარი იარაღის უადრესი ფორმები მესოპოტამიაში ჩნდება IV—III ათასწლეულების მიჯნაზე⁷. მესამე ათასწლეულის შუა ხანებში ამ ტიპს უკვე ვხვდებით მცირე აზიაში, კვიპროსზე და სხვ.⁸ მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ეს იარაღი მისი სხვადასხვა ვარიანტებით ვრცელდება III ათასწლეულის მეორე ნახევარში სირიაში, მცირე აზიაში, სპარსეთში, კავკასიასა და სხვ.⁹ შეფერმა რას შამრამი აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღები მიაკუთვნა II უგარიტის ბოლოსა და III უგარიტის დასაწყის ხანას, დაახლოებით 2200—2000 წწ.¹⁰ შემდეგში იგი ამ თარიღს ავრცელებს თითქმის ყველა ამ ტიპის იარაღზე¹¹. იმავე თარიღს იძლევა დ. სტრონახი თავის IV და V ტიპის შუბისმაგვარი იარაღებისათ-

¹ R. Wulsin, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, ტაბ. XX.

Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

² Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 11, სურ. 8ა.

R. Dussaud, დასახ. ნაშრომი, გვ. 264, სურ. 189, 1.

³ R. Maxwell-Hyslop, დასახ. ნაშრომი, გვ. 73, სურ. 7ა.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

⁵ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 516.

⁶ Claude F. A. Schaeffer, Les fouilles de Minet el-Beide et Ras Shamra, Syria, XIII, F. 1, Paris, 1932. გვ. 16, ტაბ. X, 3.

⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

⁸ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

⁹ D. B. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparee, გვ. 38, 150 და სხვ.

¹⁰ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

¹¹ იქვე, გვ. 83, 150, 269 და სხვ.

ვის¹. III და II ათასწლეულების მიჯნით ათარილებს ამ იარაღს დ. გორდონი². შეფერი თავის ერთ ერთ ნაშრომში ცდილობს აგრეთვე გარკვეული ქრონოლოგიური ადგილი მოუძებნოს კავკასიაში აღმოჩენილ შუბისმაგვარ იარაღებს. ნოვოსეობოდნაიას იარაღს, რას შამრას ეგზემპლარებთან მსგავსების გამო, მიაკუთვნებს სირიული შესატყვისი იარაღების ხანას, ე. ი. 2200—2000 წწ.³ ამავე პერიოდს მიაკუთვნებს იგი მოსკოვის მუზეუმში დაცულ თბილისურ ცალს. ზაჭესურ იარაღს, როგორც აღვნიშნეთ, ეს მკვლევარი უფრო მოგვიანო ხანით, 2000—1850 წწ. ათარილებს⁴. დ. გორდონი ზაჭესისა და თბილისის შუბისმაგვარ იარაღებს თეფე ჰისარის III პერიოდის მსგავს იარაღებთან ერთად მიაკუთვნებს 2000—1900 წწ.⁵

ჩვენში აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღების ხუსტი დათარიღებისათვის სადღეისოდ რაიმე ხელმოსაყიდი მასალა არ მოგვეპოვება იმის გამო, რომ ისინი უპირატესად შემთხვევითაა მოპოვებული. მაგრამ სხვა მასალებთან მათი ტიპოლოგიური შეჯერების გზით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, რომ ეს იარაღი ჩვენში III ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყებს გამოჩენას. ამ იარაღების უადრეს ტიპს მიეკუთვნება ახალციხისა და სტალინირის მუზეუმებში დაცული სწორყუნწიანი ცალები, რომლებიც გავრცელებული უნდა ყოფილიყვნენ III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებში. დაახლოებით ამავე პერიოდისაა რამდენადმე ახალგაზრდა თბილისური იარაღი მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან. III ათასწლეულის ბოლოს უნდა მიეკუთვნებოდეს საჩხერული შუბისმაგვარი იარაღი. III და II ათასწლეულების მიჯნით დათარიღდება, როგორც ჩანს, საქართველოს მუზეუმში დაცული ამ ტიპის იარაღი და ზაჭესის ცალი. თუმცა პირველი, მისი სამხრეთ-სირიულ ეგზემპლარებთან სიახლოვის გამო, შესაძლებელია უფრო ადრეული იყოს, ვიდრე ზაჭესური. რაც შეეხება ბაგინეთის ეგზემპლარს, ძნელია მის შესახებ მსჯელობა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი შედარებით განვითარებული ტიპი უნდა ყოფილიყო, და უფრო მართებული იქნება თუ მის თარიღს II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით შემოვფარგლავთ.

საქართველოს მუზეუმში 1929 წ. საჩხერიდან შემოსულ კოლექციაში სხვა ნივთებთან ერთად ინახება ორი იარაღი: სატეხი და საკრეთელი. სატეხს რვაწახნაგა ღერო აქვს; მისი ცალი ბოლო მთავრდება არც თუ მაინც-დამაინც მკვეთრი ღარით, მეორე ბოლო კი ოთხწახნაგაა⁶ (სურ. 35, 2; ტაბ. XVI, 8). მსგავსი სატეხი, რომელიც თავის დროზე საკმაოდ ადრეულად

¹ D. R. Stronach, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

² D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

³ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 519.

⁴ იქვე, გვ. 516.

⁵ D. H. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

⁶ B. A. К у ф т и я, Археологические раскопки в Триалети, გვ. 15, სურ. 106.

მიიჩნის, შემთხვევით აღმოჩნდა ზეკარში¹. ზეკარის სატეხი უფრო მოზრდილია, ვიდრე საჩხერული. ეს სატეხები ახლოს დგანან ყუბანის დიდ ყორღანებში აღმოჩენილ ამგვარსავე იარაღთან, განსაკუთრებით კი ნოვოსეობოდნაიაში ნაპოვნ სატეხებთან². კავკასიის გარეთ თითქმის სავსებით ამგვარივე სატეხი ცნობილი არის ჰისარ III ფენებიდან³. ამ სატეხსაც ცალი ბოლო ოთხწახანაგა აქვს, მეორე კი — ლარიანი. გ. ჩაილდი ნოვოსეობოდნაიის სატეხის განხილვისას აღნიშნავს, რომ მისი პროტოტიპები გვაუღებდა შუმერში, მაგრამ ზუსტ ანალოგიას ისინი ნახულობენ ჰისარში⁴. ამ იარაღის მსგავსებას შუმერულთან ამჩნევს ა. შმიდტიც⁵. ამგვარი სატეხი ცნობილი არის აგრეთვე ბიბლოსიდან⁶. შესაძლოა მსგავსი იარაღის ჩამოსახმელი იყო თეფე გავრას IV ფენაში ნაპოვნი ქვას ყალიბები⁷. შეფერი შესაძლებლად მიიჩნევს ჰისარის სატეხის დაახლოებას რას შამრას, ბიბლოსის, კავკასიის, ტალიშის ნიმუშებთან და მასაც 2200 — 2000 წწ.⁸ ათავსებს. რვივე თარიღი აქვს მოცემული მას ზეკარის სატეხისათვის⁹.

საჭრეთელის ღერო ოთხწახანაგაა. ცალი ბოლო მას წაწვრილებული აქვს, მეორე კი — გაბრტყელებული (სურ. 35, 1). მსგავსი საჭრეთელი, ოღონდ რამდენადმე უფრო მასიური, იპოვა ბ. კუფტინმა 1949 წ. აენგეის ყორღანში (ტაბ. XIII, 10). ამ ტიპის იარაღი კარგადაა ცნობილი წინა აზიიდან, ურიდან¹⁰. ახლო დგას ჩვენს იარაღთან



სურ. 35. 1—საჭრეთელი;
2—სატეხი (საჩხერე).

¹ М. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхоз, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, თბილისი, 1941, გვ. 17, სურ. 9ა.

Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 85.

² Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ОАК за 1898, ტაბ. 1, 12, 13.

А. А. Иессен, К хронологии „больших кубанских курганов“, გვ. 172.

А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди, გვ. 85, სურ. 4.

³ E. F. Schmidt, Excavations at Tere Hissar Damghan, გვ. 205, ტაბ. LII.

E. F. Schmidt, Tere Hissar Excavations 1931, გვ. 400, ტაბ. C XIX.

⁴ Г. Чаялд, У истоков европейской цивилизации, გვ. 214.

⁵ А. V. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

⁶ M. Dunand, Le septième campagne des fouilles de Byblos, Syria, X, F. 3, Paris. 1929, გვ. 210, ტაბ. XXXVII.

⁷ E. A. Speiser, Excavations at Tere Gawra, გვ. 97, ტაბ. XLVII.

V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 291, ტაბ. 325, 8.

⁸ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 450.

⁹ იქვე, გვ. 533.

¹⁰ Г. Чаялд, Древнейший Восток..., გვ. 243, სურ. 88, 2.

ერთი საქრეთელი ჰოროსთეფედან¹. ამგვარივე იარაღი აღმოჩნდა დუნ-დართეფეში, კალედორუგში², ბიბლოსში³ და თეფე გავრაში⁴. მსგავსი საქრეთელი ცნობილია აგრეთვე ჩრდილო კავკასიიდან, მახოშვესკაიას ყორლანდან⁵.

გარდა იარაღისა, საჩხერის სამაროვნებზე მრავლად იყო ლითონის სამკაული. ამთჳან პირველ რიგში აღსანიშნავია ქინძისთავები. აქ ძირითადად ორი ტიპის ქინძისთავი გვხვდება: მარყუეისებრი თავით და T-მაგვარი თავით. ქინძისთავი მარყუეისებრი თავით ჩვეულებრივ მოზრდილია, ზოგჯერ მეტად დიდი ზომისა. მას ღეროს ზედა ნაწილი ან ქოლგისებრი შვერილით უმთავრდება (ტაბ. XII, 4; XIX, 12) ან კიდევ გამსხვილებული აქვს (სურ. 25) და მავთულშემოხვეული თავი მარყუეით ბლოვდება. ქინძისთავის ეს ტიპი კარგადაა ცნობილი ყვირილის ზემო წელში სადღეისოდ შესწავლილ ყორლანულ სამაროვნებზე. ქინძისთავები აქ უპირატესად ყორლანის ძირა სამარხებში აღმოჩნდა. ქვაყრილის ზედა ნაწილში მოთავსებულ სამარხებში იგი თითქმის არ გვხვდება. ბ. კუფტინმა თავის დროზე მართებულად აღნიშნა, რომ ქინძისთავები დამახასიათებელი უნდა იყოს ბრინჯაოს კულტურის უფრო ადრეული საფეხურისათვის⁶. ერთადერთი ცალი ამ ტიპის ქინძისთავისა, ოღონდ პატარა ზომის, ცნობილია ძალინის სამაროვნიდან⁷ (ტაბ. XXIV, 12). აღსანიშნავია ამ უკანასკნელ ხანებში ჩრდილო კავკასიაში, დაღესტანში მიათლის ერთ-ერთ ყორლანში ნაპოვნი შედარებით მომცრო ზომის მარყუეისებრთავიანი ქინძისთავი⁸. მას მავთული იმგვარად აქვს დახვეული, რომ თავზე ორი მარყუეი უკეთდება. ამ მხრივ ეს ქინძისთავი მეტად ახლო დგას პისარ III⁹ და რას შამრაში ნაპოვნი ქინძისთავებთან¹⁰. საერთოდ, მარყუეისებრთავიანმა ქინძისთავემა ფართო გავრცელება ჰპოვა. წინა აზიაში ეს ტიპი ქინძისთავისა უმთავრესად გავრცელებული იყო ჩრდილო ზოლში¹¹. მესოპოტამიაში ამგვარი ქინძისთავი ჯერჯერობით უცნობი ჩანს¹². გვხვდება იგი აგრეთვე წინაღინასტიურ ეგვიპტეში¹³. რამ-

¹ T. Özgür, M. Akok, დასახ. ნაშრომი, გვ. 216, სურ. 35.

² იქვე.

³ M. Dunand, დასახ. ნაშრომი, გვ. 210, ტაბ. XXXVII.

⁴ E. A. Spreiser, დასახ. ნაშრომი, გვ. 107, ტაბ. LXXXVII.

⁵ A. A. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, სურ. 4.

⁶ Б. А. Куфтин, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лиахви, Проне, Квирилы и Среднего Риони в 1951 г.

⁷ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 97.

⁸ В. И. Канивец, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, ტაბ. 1, 2.

⁹ E. F. Schmidt, Tepe Hissar Excavations, 1931, გვ. 205, ტაბ. LIII.

¹⁰ Claude F. A. Schaeffer, Les fouilles de Minetel-Beide et Ras Shamra, გვ. 19, ტაბ. XII, 3.

¹¹ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparée, გვ. 65.

¹² Б. А. Куфтин, Археологическ. маршрути. экспедиция 1945 года, გვ. 80.

¹³ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, გვ. 169.

დენადმე უფრო გვიან მას ვხვდებით სირიაში, რას შამრაში¹, ბიბლოსში², ტრააში³, კვიპროსზე⁴, სიალკში⁵ და სხვ. საყურადღებოა თეფე გავრაში ნაპოვნი ქინძისთავისმაგვარი რალაც ნივთი მარყუვისებრი დახვეული თავით⁶. აღმოჩენილია ეს ვარიანტი ქინძისთავისა ევროპაშიაც, ღუნაის მხარეში უნივერსიტეტის საფეხურზე ბოჰემიაში⁷ და სხვ. მაგრამ წინააზიური ვარიანტები ამ ტიპის ქინძისთავებისა მაინც არამდენადმე უფრო განსხვავებულნი არიან. მათ თავი სხვაგვარად აქვთ დახვეული, ამ მხრივ ჩვენი ქინძისთავები თითქოს უფრო ახლო დგას კვიპროსულ და ევროპულ ეგზემპლარებთან. ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურება საჩხერული ქინძისთავებისა ის არის, რომ მათ ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებული აქვთ ან კიდეც ქოლგისებრი შვერილი უქეთდებათ. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სხვაგან ამ ტიპის ქინძისთავების ერთეული ეგზემპლარებია ცნობილი, მაშინ, როდესაც ჩვენში მხოლოდ ერთ რაიონში აღმოჩნდა იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით⁸.

ჯერჯერობით გარკვეული არ არის ამ ქინძისთავების წარმომავლობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბ. კუფტინის მიერ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში გამოთქმული მოსაზრება, რომ შესაძლოა ტრააში და ეგვიპტეში ეს ქინძისთავები შესულიყვნენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთ კავკასიის რაიონებიდან⁹. რამდენად სწორია ამგვარი შეხედულება ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამიერკავკასიას იმთავითვე ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ძველ დაწინაურებულ ქვეყნებთან. ვფიქრობთ, რომ როგორცადაც არ უნდა გადაწყდეს ამ ქინძისთავების წარმომავლობის საკითხი, უდავოა, ქინძისთავების ეს ვარიანტი ჩვენში ერთგვარ თავისებურ სახეს ატარებს და მათი დამზადების რთულ წესზე მიუთითებს¹⁰.

ქინძისთავი T-მაგვარი თავით ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნივთთავანია საჩხერის ყორღანული სამარხებისათვის (ტაბ. IX, 2, 3; XII, 1, 2; XIX, 4, 5). ეს ქინძისთავიც უპირატესად დიდი ზომისა გვხვდება,

¹ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 450, 516.

² იქვე, გვ. 65, სურ. 68, 27. —

³ Г. Ч а й л д, დასახ. ნაშრომი, გვ. 170, სურ. 22.

N. Aberg, *Bronzezeitliche und früheisenzeitliche Chronologie*, т. III, Stockholm, 1932, გვ. 125, სურ. 224.

⁴ J. Deschelte, დასახ. ნაშრომი, გვ. 320, სურ. 124.

Г. Ч а й л д, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

⁵ R. Ghirsman, *Fouilles de Sialk*, vol. I, 1938; გვ. 125. ტაბ. XXIX, 1, ა; ტაბ. XCV.

⁶ E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, გვ. 111, ტაბ. LXXXII, 17.

⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

J. Deschelte, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

⁸ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

⁹ Б. А. Куфтин, *Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе, Запад Востока*, 1946 г., 28 сентября.

¹⁰ Ф. Н. Тавадзе и Т. Н. Сакварелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

თუმცა მისი შედარებით მომცრო ეგზემპლარებიცაა ცნობილი. ლეროს ზედა ნაწილი უმთავრესად გრებილია. მას თავსა და ლეროს შეერთების ადგილას ზოგჯერ ნახვრეტი აქვს. თავის ორივე ბოლო მთავრდება ბრტყელი რგოლით. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ქინძისთავეები გვხვდება როგორც ყორღანის ძირა სამარხებში მარყუეისებრთავეიანი ქინძისთავეის მხარდამხარ, ისე ქვაყრილში განლაგებულ უფრო ზედა სამარხებშიც. როგორც ჩანს, ეს ქინძისთავეები აქ გავრცელებული იყო სამაროვნების არსებობის მთელ მანძილზე. ქორეთში, პასიეთის ყორღანზე, იგი ნაპოვნია № 3 სამარხში, რომელიც, როგორც დავინაოთ, ყორღანის არსებობის სულ ბოლო პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ტიპის ქინძისთავეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. კუფტინის მიერ 1951 წელს ნაჩერქებზე, № 13 სამარხში ნაპოვნი ერთი ქინძისთავი, რომელსაც თავის შუა ნაწილზე ხარის რქისებრი შვერილი აქვს¹. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ აქ პირობით უნდა იყოს გამოსახული ორთვალა ეტლი შიგ შებმული ხარით (ტაბ. XII, 3)².

ჩვენში ამ სამაროვნების გარდა ასეთი ქინძისთავი სადღეისოდ სრულიად უცნობია. სამაგიეროდ მათ ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში, რამდენადაც მოგვიანო ხანაში. აქ ეს ვარიანტი ქინძისთავისა ძირითადად გვხვდება ნალჩიკის მახლობლად შესწავლილ ყორღანებში³. ამ რაიონის გარეთ ამგვარი ქინძისთავი მხოლოდ ერთია ცნობილი—ფასკაუს თუ დონიფარის სამაროვნიდან⁴. ზოგიერთი ამ ქინძისთავიანი შესანიშნავადაა ორნამენტირებული⁵. საფიქრებელია, რომ ამ ქინძისთავეებთან გენეტიურადაა დაკავშირებული ქინძისთავეების ის ვარიანტი, რომელსაც ბ. დეგენი „B“ ტიპში აერთიანებს⁶, და აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ე. წ. „ჩაქუჩისებრთავეიანი“ ქინძისთავეები⁷.

საჩხერული ტიპის T-მაგვარი ქინძისთავეები სხვაგან ჯერჯერობით სრულიად უცნობი ჩანს. მათ თითქოს უახლოვდება იტალიაში, რემდელოში აღმოჩენილი ერთი ვერცხლის საკინძი, მაგრამ მათი ერთმანეთთან დაკავშირება მაინც გაჭირდებოდა⁸. სადღეისოდ არსებული მასალა საფუძველს

¹ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88, ტაბ. XI, 1.

² Б. А. К у ф т и н, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне реки Лихвы, Проне, Клиризы и Среднего Риона в 1951 г.

³ მ. გვებეძეძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956, გვ. 23, ტაბ. IV, 3.

⁴ Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке г. Налчыка, МИА, № 3, М.—Л. 1941, გვ. 249.

⁵ იქვე, გვ. 250.

⁶ იქვე, სურ. 34.

⁷ იქვე, გვ. 254. სურ. 37, 3.

⁸ F. H a n č a r, Die Nadelformen des prähistorischen Kaukasusgebiets, ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 116, სურ. 3.

Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 522.

F. H a n č a r, Urgeschichte Kaukasens, გვ. 274.

⁹ O. Montelius, Die vorklassische Chronologie Italiens, ტაბ. 1, 4.

Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 14.

იძლევა ვიფიქროთ, რომ ეს ტიპი ქინძისთავისა ადგილობრივ ჩამოყალიბდა და მოგვიანებით აქედან გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში¹.

ამ ქინძისთავების დანიშნულების შესახებ, უმთავრესად მათი დიდი ხომის გამო, სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული². ჩვენი აზრით, მათ მართლაც უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნეველ იყენებდნენ. ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ მათი საშუალებით ტანსაცმელს იბნევედნენ ბუჭების გასწვრივ³. ამ მოსაზრებას თითქოს ეთნოგრაფიული მონაცემებიც უჭერს მხარს⁴. ქინძისთავები საჩიერის ყორღანულ საძაროვნებზე უპირატესად ქალის სამარხებში გვხვდება⁵. იმ სამარხებში, სადაც ქინძისთავებს ვაოულობთ, იარაღი ნაკლებად ჩანს და ინვენტარი ძირითადად სამკაულებითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი ორი ქინძისთავი: ერთი ცარცის გორახზე, მეორე კი — ნაჩერქეზე⁶. ცარცის გორი აქინძისთავს რელიეფური ორნამენტით შემკული ბრტყელი და გრძელი თავი აქვს (ტაბ. XII, 6)⁶. მსგავსი ქინძისთავი აღიოჩნდა ე. თაყაიშვილის მიერ გათხრილ ყორღანზე⁷. ნაჩერქეზე ნაპოვნ ქინძისთავს ფხური რელიეფური ორნამენტით შემკული ბრტყელი ნიჩბისებრი თავი აქვს. სხვა ამგვარი ქინძისთავი ჩვენთვის უცნობია.

ქორეთში, პასიეთის ყორღანზე ნაპოვნი თავმოღუნული ქინძისთავი (ტაბ. XIX, 11), რომელიც, როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის თავსვია საკინძების ჩროტოტიბი უნდა ყოფილიყო, საერთოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიაში⁸. ეს ქინძისთავი საკაოდ დიდხანს ყოფილა გავრცელებული. მაგალითად ტრაში ქინძისთავის ეს ტიპი გვხვდება I ქალაქიდან დაწყებული თითქმის VII ქალაქამდე⁹. დაახლოებით ამგვარივე სურათი ჩანს ჩვენშიაც. ამ ქინძისთავის უადრესი ფორმები უკვე შეინიშნება ენეოლითური ხანის მასალებში¹⁰. აქაც იგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ყოფილა გავრცელებული. პროფ. გ. ნიორაიემ ამ ტიპის ქინძისთავი იპოვა გომნას ერთ-ერთ სამარხში გვიანი ბრინჯაოს ხანის ინვენტართან ერთად¹¹. აღსანიშნავია, რომ ფ. ჰანზარი სწორედ ტროას მიიჩნევდა ამიერკავკასიის თავხეცა

¹ Е. И. Крупинов, Древняя история и культура Кабарды, гл. 85.

² Е. И. Крупинов, Материалы по археологии Северной Осетии докобнянского периода, гл. 56.

Ф. Ханцар, Die Nadelformen..., гл. 120.

³ Б. А. Куфтин, Заря Востока, 28 сентября, 1946 г.

⁴ Е. И. Крупинов, დაახ. ნაშრომი, გვ. 56.

⁵ Б. А. Куфтин, Заря Востока, 26 сентября, 1946.

⁶ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция, 1945 г.,

ტაბ. LX, 3.

⁷ არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, გვ. 14, ტაბ IV, 8.

⁸ Claude F. A. Schaeffer, დაახ. ნაშრომი, სურ. 99, 4.

Ф Ханцар, დაახ. ნაშრომი, გვ. 128.

⁹ იქვე

¹⁰ Б. А. Куфтин, Урартский „колушбарни“..., гл. 116, სურ. 70.

¹¹ გ. ნიორაიძე, არქეოლოგიური გათხრები მტკვრის ხეობაში, საქ. მეზ. მუზ. შიგნით, ტ. XIII—B, თბილისი, 1943, გვ. 206, ტაბ XIII, 0.

საკინძების სამშობლოდ¹. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევართა ნაწილი, ფ. ჰანჩარის ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს². თავხვია საკინძის წინამორბედი ფორმები ადრეული ხანიდანვე შეინიშნება ჩვენში.

ე. თაყაიშვილმა მის მიერ გათხრილ ყორღანში იპოვა კიდევ ერთი ტიპის მომცრო ქინძისთავი ე. წ. „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავით (ტაბ. XIII, 8)³. მსგავსი ქინძისთავი აღმოჩნდა 1955 წ. ნაჩერქეზევის ყორღანის ქვაყრილში (ტაბ. XIII, 9)⁴. ამავე წელს ქორეთში, პასიეთის ყორღანზე, № 1 სამარხში ცულთან და სატევრის პირთან ერთად ნაპოვნი იყო ამ ტიპის შედარებით მოზრდილი ქინძისთავი (სურ. 23, 5; ტაბ. XIX, 1)⁵. ჩვენში ქინძისთავი „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავით რამდენიმე ადგილასაა ცნობილი. ერთი ცალი აღმოჩნდა გულდაუთის მახლობლად, ბომბორის მინდორზე⁶. თრიალეთში, შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში ბ. კუფტინმა იპოვა ამგვარი ქინძისთავის ოქროს ეგზემპლარი⁷. ქვასათალის სამაროვანზე, 1953 წ., ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში ნაპოვნი იყო რამდენიმე ცალი ამ ტიპის ქინძისთავისა (ტაბ. XXIV, 3). აღსანიშნავია ძალიანას-სამაროვანზე ნაპოვნი ქინძისთავი რამდენადმე განსხვავებული, ოღონდ აგრეთვე რქისებრ დახვეული თავით (სურ. 44, 8)⁸. ჩანს, ქინძისთავის ეს ტიპი საჩხერის სამაროვანებზე უფრო გვიანდელ საფეხურზე გვხვდება, რადგან როგორც ზემოთ სატევრის პირების განხილვისას აღვნიშნეთ, პასიეთის ყორღანის № 1 სამარხი, რომელშიც ეს ქინძისთავი აღმოჩნდა, მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის ქინძისთავი ჩვენში გამოჩენას იწყებს ადრეულიდან შუა ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში და ძირითადად ვრცელდება შუა ბრინჯაოს ხანაში. ამას თითქოს მხარს უჭერს ძალიანას ქინძისთავი, რომელიც ადრეული ბრინჯაოს ხანის კომპლექსში აღმოჩნდა. შესაძლოა რქისებრ თავდახვეული ქინძისთავი განვითარდა სწორედ ძალიანას ტიპის ბრტყელთავიანი ქინძისთავისაგან და ადრეულიდან შუა ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდიდან იწყო გავრცელება ჩვენში.

¹ F. Ханчар, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

² ნ. ოქროპირიძე, ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1951, გვ. 148.

დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. 1, გვ. 174.

³ არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, გვ. 15, ტაბ. IV, 9.

⁴ თ. ჯაფარიძე, მდ. ყვირილას ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული არქ. ექსპედიციის მუშაობის შედეგები.

⁵ იქვე.

⁶ А. Л. Лукин, Материалы по археологии Измбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры, Гос. Эрмитаж, т. I, Ленинград, 1941, гв. 27, ტაბ. II, 5.

Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. I, гв. 38, სურ. 9, 1.

⁷ Б. А. Куптин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, სურ. 4.

⁸ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 97, ტაბ. XV, 5.

ვეფქრობთ, რომ სწორედ ამ პერიოდისა უნდა იყოს პასიეთის ყორღანის № 1 სამარხი. ქვასათალის სამაროვნის იმ სამარხში, რომელშიც ამ ტიპის ქინძისთავეები აღმოჩნდა, ნაპოვნი იყო აგრეთვე ტიპური ბაღია შავპრიალა ვარდისფერი სარჩულით (სურ. 45, 3) და ერთი ქურქელი, რომელიც ახლო დგას ხადიკის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი ქურქელთან (სურ. 45, 5). გარდა ამისა აქვე აღმოჩნდა ბრტყელი ქვის მძივსაკიდები, რომლებიც ახლო დგანან პასიეთის ყორღანზე ნაპოვნი მძივსაკიდთან (სურ. 37, 2). ამიტომაც, შესაძლოა ქვასათალის სამაროვნის ეს სამარხი სხვა კოლექტიურ სამარხებთან შედარებით რამდენადღე ძველი იყოს და შუა ბრინჯაოს ხანის უფრო ადრეულ საფეხურს მიეკუთვნებოდეს.

კარგადაა ცნობილი ქინძისთავი „ცხერის რქისებრი“ დახვეული თავით ჩრდილო კავკასიაში, იესენისეული II ტიპის დროს¹. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნალჩიკის მახლობლად გათხრილ ყორღანებში აღმოჩენილი ამ ტიპის ქინძისთავეები T-მაგვარ ქინძისთავეებთან ერთად². ვხვდებით მათ აგრეთვე კუმბულთან სამაროვანზე³ და სხვ. ამ ტიპიდან უნდა განვითარებულყო, რა თქმა უნდა, დიგორის დიდი ზომის ბრტყელთავიანი ქინძისთავეები⁴. საფუძრებელია, რომ ქინძისთავი „ცხერის რქისებრი“ დახვეული თავით ჩრდილო კავკასიაში ამიერკავკასიიდან შედის T-მაგვარ ქინძისთავეთან ერთად შუაბრინჯაოს ხანაში და შემდეგ, ამ პერიოდის ბოლოსათვის თავისებურ განვითარებას განიცდის.

ქინძისთავი ორმაგი სპირალური თავით ცნობილია ტროა II⁵, პისარ II⁶, ანაუ II⁷, სინდიდან (ინდოეთი)⁸, თეფე სიალიკიდან⁹ და სხვ. მორღოვის ასსრ სოფ. პაევოსთან გათხრილ ნამოსახლარზე სხვა ქინძისთავეებთან ერთად ნაპოვნი იყო „ცხერის რქისებრი“ თავიანი ქინძისთავი¹⁰. სავსებით მართებულად აღნიშნავს ე. პერცველდი, რომ გასარკვევია ის გზა, საიდანაც ისინი გავრცელდნენ ამ დიდ ტერიტორიაზე. მაგრამ ერთი კია, კავკასიაში ეს ტიპი ქინძისთავისა საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ჩანს, თითქოს შეინიშნება კიდევ მისი თანდათანობითი განვითარება, და მოგვიანო ხანაში იგი აქ უკვე სხვადასხვა ვარიანტებით წარმოგვიდგება.

¹ Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, გვ. 76.

² Б. Е. Деген, დასახ. ნაშრომი, გვ. 249, სურ. 34, 5.

³ F. Hančar, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, სურ. 27.

МАБ, VIII, ტბ. LXXXVII, 4.

⁴ Е. И. Круликов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, გვ. 58.

⁵ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, სურ. 165, 2.

Е. Herzfeld, Iran in the Ancient East, New York, 1941, გვ. 154, სურ. 20.

Е. F. Schmidt, Excavations at Tere Hissar Damghan, გვ. 119, ტ. XXIX.

⁷ Б. А. Куфтия, Материалы к археологии Колхиды, ტ. I, გვ. 39.

Е. Herzfeld, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, სურ. 20.

⁸ Е. Herzfeld, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, სურ. 20.

Р. Ghirshman, Fouilles de Sialk, vol. I, გვ. 125, ტბ. XXIX, I, ы.

¹⁰ П. Д. Степанов, Следы южной культуры эпохи бронзы в бассейне реки Мохен. КСИМК, 59, Москва, 1955 г., გვ. 72, სურ. 26.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამკაული საჩხერის სამაროვნებზე იყო 1, 5 ხეიის სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XX, 1, 2, 5). რგოლები სხვადასხვა ზომისა გვხვდება, ზოგი მსხვილი მავთულისა, ზოგიც უფრო წვრილისა. რამდენიმე რგოლს ბოლოები გაბრტყელებული აქვს. ეს სამკაული ჩვენში და საერთოდ კავკასიაში საკმაოდ დიდხანს ყოფილა გავრცელებული¹. აღრინდელ პერიოდში ამ საკიდებს ძირითადად მრგვალი ფორმა აქვს, მერე და მერე ისინი უფრო ოვალურ მოხაზულობას იღებენ². თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მრგვალი ხეიები უფრო მოგვიანო ხანაშიაც გვხვდება ოვალური ფორმის რგოლების მხარდამხარ³.

სტალინირის ნაცარგორის ქვედა ფენის მეოთხე სამარხში ნაპოვნი იყო ორი რგოლი⁴. ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანშიც აღმოჩნდა ამგვარი სამკაული⁵. ნიშნდობლივია, რომ აღრიდანვე გვხვდება ამ ტიპის რგოლები ძვირფასი ლითონისა. თრიალეთის ერთ-ერთი ადრეული ჯგუფის ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის მსხვილი მავთულის 1, 5 ხეიის რგოლი⁶. ცარცის გორის სამარხში ცულთან, სატევრის პირთან და სერდოლოკის მიმეთან ერთად იღო ოქროს მავთულის ერთი რგოლი⁷ (ტაბ. XVI, 10). რამდენადმე უფრო პატარა რგოლი აღმოჩნდა ქორეთის ყორღანის ერთ-ერთ სამარხში (ტაბ. XVIII, 8). მსხვილი მავთულის მრგვალი ხეიები კარგადაა ცნობილი ეშერის ადრეული დოღმენებიდან⁸, ძალიანს სამაროვნიდან (ტაბ. XXIV)⁹. უფრო მოგვიანო ხანაში ამ ტიპის სამკაულს ვხვდებით ქვასათლის სამაროვნიდან¹⁰ და სხვ. ერთი ამგვარი ხეია ნაპოვნი იყო უზურლიკ-თეფეს ნამოსახლარზე¹¹.

კარგადაა ცნობილი ამ ტიპის ხეიები აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში. მათ ვხვდებით დაღესტნის ადრეპრინჯაოს ხანის ყოღანებში¹², ყაბარდოში¹³, ჩრდილო ოსეთში და სხვ.¹⁴. აქაც დაახლოებით იმგვარივე სურათი ჩანს, როგორ-

¹ В. А. Г о р о д ц о в, Результаты археологических исследований в Изюмском уезде Харьковской губернии в 1901, Труды XII АС в Харькове в 1902, т. I, Москва, 1903, გვ. 195.

² Е. И. Крупинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

³ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დოღმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები ტ. 77, თბილისი, 1959, გვ. 87.

⁴ გ. გო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, სტალინირის ნაცარგორა, გვ. 243.

⁵ ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

⁶ Б. А. К у ф т и я, Археологические раскопки в Триалети, გვ. 102.

⁷ Б. А. К у ф т и я, Археологич. маршрутная экспедиция 1945 г., გვ. 79.

⁸ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

⁹ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 97.

¹⁰ О. М. Д ж а п а р и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

¹¹ К. Х. К у ш п а р е в а, Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-Тепе-около Агдама, МИА, 67, М.—Л., 1959, გვ. 413.

¹² В. И. К а н и в е ц, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

Р. М. М у н ч а е в и К. Ф. С м и р н о в, Памятники эпохи бронзы в Дагестане, СА, XXVI, Москва, 1956, გვ. 201.

¹³ Б. Е. Д е г е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 258.

¹⁴ Е. И. Крупинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

რიც ჩვენში. მრგვალი ფორმის ხეები აქ გავრცელებული იყო უფრო აღ-
რინდელ პერიოდში, შემდეგ კი ფესხ იკიდებს ოვალური ფორმა¹.

როგორც ჩანს, მართალი უნდა იყვნენ ის ავტორები, რომლებიც აღ-
ნიშნავენ, რომ ამ ტიპის სამკაული კავკასიის გზით უნდა შესულიყო აღმო-
საველეთ ვეროპაში². აქ ის კარგადაა ცნობილი უფრო სამხრეთით, კატაკომ-
ბურ კულტურაში³, თუმცა შეინიშნებოდა უფრო ადრეულ ორმოიან სამარ-
ხეშიც⁴. საკიდები ცნობილია ფატიანოვოს კულტურიდან⁵. გვხვდება იგი
აგრეთვე მდინარე მანიჩთან გათხრილ ყორღანებში⁶. ამ ტიპის სამკაულს,
როგორც ჩანს, ვოლგისპირეთამდე მიულწევია. ი. სინიცინმა სარატოვის მხა-
რეში შეისწავლა ყორღანთა ერთი ჯგუფი, რომლისთვისაც დამახასიათებელი
იყო ვერცხლის და ბრინჯაოს 1, 5 ხეის მრგვალი საკიდები⁷. ამ ყორღანუ-
ლი კულტურის შესწავლისას ი. სინიცინმა განსაკუთრებული ყურადღება მი-
აქცია მის ურთიერთობას კავკასიასთან. ამ მხრივ ნიშანდობლივია № 9 ყორ-
ღანში აღმოჩენილი ხის ეტლის თვლები, რომლებიც მეტად ახლო დგანან
თრიალეთური ეტლების ბორბლებთან⁸.

წინა აზიაში ამგვარი რკალების ადრეული ფორმები გვხვდება ურის
მეფეთა სამარხებში, კიშის A სამაროვანზე⁹. ცნობილია ისინი სირიიდან¹⁰,
ტროა II¹¹, ჰისარ II და III¹², თეფე-გაიანიდან¹³ და სხვ. მათ გვხვდებით
აგრეთვე მიკენში, უნგრეთში, ბოჰემიაში¹⁴ და სხვ. ამ ტიპის სამკაულის
წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება გამოთქმული¹⁵. მათ შორის
ჩვენ ეეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ისინი განვითარდნენ აზიური ფორ-
მებიდან¹⁶, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება მათი უადრესი ტიპები.

¹ А. Л. Иессен, К хронологии „больших кубанск. курганов“, გვ. 174.

² В. А. Городцов, Культура бронзовой эпохи в Средней России, გვ. 160.

³ В. А. Городцов, Результаты археологических исследований в Ивужском уезде, გვ. 195.

А. Я. Брюсов, Очерки по истории племен европейской части СССР в неолитическую эпоху, Москва, 1952, გვ. 244.

⁴ Т. Б. Попова, Этапы развития и локальные варианты катанкомбной куль-
туры, СА, XXII, Москва, 1955; გვ. 42.

⁵ В. А. Городцов, Культура бронзовой эпохи в Средней России, გვ. 159.

⁶ М. И. Артамонов, Раскопки курганов на р. Мамыче в 1937 г., СА, XI, М.—Л., 1949, გვ. 310, 449.

⁷ И. В. Силицын, Памятники предскифской эпохи в степях Нижнего По-
вожья, СА, X, М.—Л., 1948, გვ. 145, სურ. 5.

⁸ იქვე, გვ. 156.

⁹ V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 218, ტაბ. 218, 13—15.

¹⁰ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, სურ. 99, 3.

¹¹ H. Schmidt, Troja-Mykene-Ungarn, Archeologische Parallelen, Zeitschrift
für Ethnologie, Heft 5, 1904, გვ. 620.

¹² E. F. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 120, ტაბ. XXVIII და LIII.

¹³ E. Herzfeld, დასახ. ნაშრომი, გვ. 149, სურ. 205.

¹⁴ H. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 622.

¹⁵ H. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

¹⁶ В. А. Городцов, Культура бронзовой эпохи в Сред. России, გვ. 159.

ცარცის გორაზე და ე. თაყაიშვილის მიერ გათხრილ ყორღანზე აღმოჩნდა რამდენიმე სპირალური სამაჯური¹. ეს სამაჯურები ნაკეთებია უპირატესად მრგვალი მავთულისაგან. ცარცის გორაზე აღმოჩნდა ერთი ამგვარი სამაჯური ბრტყელი მავთულისა, შუაზე მკვეთრი ქედით. სპირალური სამაჯურები ნაპოვნი იყო ძალიანას სამაროვნის „ერთ-ერთ სამარხში“² (ტაბ. XXIV, 14). ჩვენში ამ ტიპის სამაჯური მომდევნო ხანაში აღარ ჩანს. ჩრდილო კავკასიაში სპირალური სამაჯური კარგადაა ცნობილი იესენისეული II ეტაპის დროიდან. აქ ისინი უფრო მასიური ფორმისაა, სამკუთხა ან რომბული განივეკვითის³. ვხვდებით მათ აგრეთვე მომდევნო ხანაშიაც ყობანის სამაროვანზე⁴. ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს მართებული ბ. დეგენის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს საჩხერული სამაჯურები უფრო მოგვიანო ხანისაა, ვიდრე ყაბარდოს ცალები⁵. საჩხერული სამაჯურები გაცილებით პრიმიტიული ჩანს, ვიდრე ჩრდილოკავკასიური მასიური სპირალური სამაჯურები. ჩენი სამაჯურები ახლო დგას ჰისარ II და III სპირალურ სამაჯურებთან⁶. უახლოვდებიან ისინი აგრეთვე კიშის სამაროვნის სამაჯურებს⁷. გარდა ამ სპირალური სამაჯურებისა საჩხერის ყორღანული სამარხებიდან ცნობილია ერთი თავებგახსნილი შუაში გამსხვილებული სამაჯური. რამდენიმე ამგვარი სამაჯური ინახება 1929 წ. შემოსულ კოლექციაში, ერთი ცალი აღმოჩნდა ნაჩერქეზევზე 1955 წ. ქვაყრილის ზედა ნაწილში მოთავსებული სამარხის ნაშთში, თიხის ჭურჭელთან ერთად (ტაბ. XIII, 5). ცარცის გორაზე და ნაჩერქეზევზე აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი ქვის რბილი ჯიშისაგან ნაკეთები სამაჯურისა⁸. ქვის სამაჯურები ჩვენში საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი. თეთრამიწის ნეოლითურ ფენებში ნაპოვნი იყო ქვის სამაჯურები⁹, თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ საეკვოა ეს სამაჯურები ნამდვილად ნეოლითურ ხანას მიეკუთვნოს¹⁰. როგორც ცნობილია, მსგავსი ქვის სამაჯურები ნაპოვნი იყო ნალჩიკის ყორღანზე¹¹.

¹ Б. А. Куптин, Археологич. маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 78.

Е. С. Такайшвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

² თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

³ Б. Е. Деген, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

⁴ МАК, VIII, გვ. 58.

⁵ Б. Е. Деген, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

⁶ Е. F. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 120, ტაბ. XXVIII, LIII.

⁷ V. Christian, დასახ. ნაშრომი, გვ. 219, ტაბ. 212, 12.

⁸ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

Б. А. Куптин, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, სურ. 1.

⁹ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, Могильник в Вальчике, გვ. 127.

¹⁰ ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, გვ. 260.

¹¹ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

ლითონის სამკაულიდან აღსანიშნავია დისკოიდალური საკიდები. ამ ტიპის საკიდები აღმოჩნდა ოთხი ცალი ე. თაყაიშვილის მიერ გათხრილ სამაროვანზე (ტაბ. XII, 5)¹, ერთი კი — ნაჩრქვევზე (სურ. 23, 3, ტაბ. XIV, 3). კიდესთან მათ მირჩილული აქვთ ბრტყელი ყუნწი. გარეთა პირზე წვრილად ამოღარული კონცენტრული წრეები შემოუყვებათ. ნაჩრქვევის ცალი შუაში გახვრეტილია. ამ ტიპის საკიდი ჩვენში სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. როგორც ჩანს, ამ საკიდებს გენეტიურად უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში ფართოდ გავრცელებული დისკოიდალური საკიდები, რომლებიც გვხვდება იესენისეული II ეტაპის დროს ყაბარდოში², ოსეთში³ და სხვ. აქედან ვრცელდებიან ისინი აგრეთვე მეზობელ კულტურებში⁴. ხშირად ეს საკიდები შემკულია წნული ორნამენტით. როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, მათ მოდელის დაკარგვის წესით ამზადდებნენ⁵. იმის გამო, რომ ამ წესით ჩამოსხმული, უპირატესად წნული ორნამენტით შემკული ნივთები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ყაბარდო-პიატიგორიეში, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ კავკასიაში ეს რაიონი უნდა ყოფილიყო მათი გავრცელების ცენტრი⁶. ჩვენში წნული ორნამენტი უკვე ჩანს ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალებში.

ბ. კუფტინმა 1945 წ. ქორეთში გათხრილ ყორღანში იპოვა ერთი მაღალყუნწიანი საკიდი ორგოლუტიანი სპირალით (ტაბ. XVIII, 13)⁷. ეს საკიდი თავისი მოყვანილობით წააგავს ძალიან სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში მოპოვებულ ქინძისთავს „ცხვრის რქისებრი“ დახვეული თავით⁸, თრიალეთის ცნობილი ოქროს საკინძის თავს და სხვ. რამდენაღმე უახლოვდება იგი დაღესტანში, მიათლის ყორღანებში აღმოჩენილ საკიდებს, ოღონდ მათ უფრო დაბალი ყუნწი აქვთ⁹.

სამკაულები მრავლად აღმოჩნდა ქორეთში, პასიეთის ყორღანზე გათხრილ № 3 სამარხში. იგი მოთავსებული იყო ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში. ეს სამარხი, როგორც ჩანს, ქალს ეკუთვნოდა, რადგან სამარხიული ინვენტარი ძირით-

¹ არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, გვ. 17, ტაბ. VI, 4.

А. А. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, 23-99.

² А. V. Schmidt, დასახ. ნაშრომი, გვ. 12. სურ. 6, 7.

А. М. Tallgren, Zu der nordkaukasischen frühen Bronzezeit, გვ. 131, სურ. 15.

Б. И. Крупиов. Материалы по археологии Селерной Осетии докобанского периода, გვ. 40.

⁴ Т. Б. Попова, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

⁵ Б. И. Крупиов, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.


⁶ М. Н. Артаманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

⁷ В. А. Куфтия, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 50, ტ. LXIII.

⁸ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 97, ტაბ. XV, 5.

⁹ В. И. Канивец, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

თადად მხოლოდ სამკაულისაგან შედგებოდა. გარდა მოზრდილი T-მაგვარი კინძისთავისა, რომელიც მიცვალეზუს გულ-მკერდის არეში ედო, აქ აღმოჩნდა ლითონის სხვადასხვა საკიდები. ამათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ორი საკიდი მინიატურული თოხის გამოსახულებით (სურ. 36, 3; ტაბ. XX, 18)¹. ეს თოხები სამკუთხა მოყვანილობისაა, პირისაკენ გაფართოებული, წელში მოხრი-



სურ. 36. საკიდები № 3 სამარხიდან (ქორეთი, 1955 წ.).

ლი და ზედა ნაწილში ყულფი აქვთ. ისინი თავისი ფორმით თითქმის სავესებით იმეორებენ ჩვენში გვიანბრინჯაოს ხანის დასაველურქართულ კულტურაში გავრცელებულ თოხის ფორმას. ორ საკიდს „კოვზის“ მსგავსი ფორმა აქვს. ერთი უფრო დიდია, მეორე — შედარებით პატარა (სურ. 36, 5, ტაბ. XX, 17). ჯვრისებრი მოყვანილობის საკიდის სამი მქლავი მთავრდება გამსხვილებული თავით, მეოთხის ზედა ნაწილი კი გახვერტილია (სურ. 36, 1). მრავლად აღმოჩნდა საკიდები „მსხლისებრი“ ფორმის მაღალი ყუნწით (სურ. 36, 7, ტაბ. XX, 19). ამ ტიპის ერთი საკიდი ნაპოვნი იყო ცარცის გორის ერთ-ერთ სამარხში. ამგვარი საკიდები გვხვდება აფხაზეთის შუა ბრინჯაოს ხანის დოღმენებში². კარგადაა ცნობილი ისინი ჩრდილო კავკასიაში II ეტაპის დროს, სადაც მათი მრავალი ვარიანტი გვხვდება³. განსაკუთრებით

¹ G. Čitaja, *Hackbau in westlichen Georgien (Kolchis)*, Deutsche Akademie der Wissenschaften zu Berlin, Veröffentlichungen des Instituts für deutsche Volkskunde, Band 13, Berlin, 1957, გვ. 92, სურ. 5.

² ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დოღმენური კულტურა საქართველოში, გვ. 90.

³ М. И. Артаманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

ფართოდ არის გავრცელებული ეს საკიდები ყაბარდო-პიატიგორიეში და ყუბანის მხარეში¹. მათი ერთეული ცალები გვხვდება კატაკომბურ კულტურაში². ჯერჯერობით მსხლისებრი ფორმის საკიდის გავრცელების უკიდურესი წერტილია სოფ. ბოარი ვოლგისპირეთზე³.

აღსანიშნავია ამ სამარხში აღმოჩენილი ლუწისმაგვარი საკიდები, რომელთაგან ზოგიერთს გრებილი ყუნწი აქვს (სურ. 36, 4, ტაბ. XX, 6, 7). მსგავსი საკიდები სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. თითქოს ერთგვარად უახლოვდება მათ მეთლის III ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილი საკიდები⁴.

№ 3 სამარხში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს მძივები, ძირითადად მრგვალი (ტაბ. XX, 15), რამდენიმე შედარებით მოგრძო და ერთი ცილინდრული ფორმისა (სურ. 36, 6). ერთი ცილინდრული მძივი იპოვა ბ. კუფტინმა ქორეთის ყორღანზე⁵. მსგავსი მძივები ჩვენში ცნობილი არის აფხაზეთის დოღმენების შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენებიდან⁶. ვხვდებით მათ აგრეთვე ყულანურხვას სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში⁷. კარგადაა ცნობილი ამგვარი მძივები ჩრდილო კავკასიაში II ეტაპის დროს⁸. დაღესტანში ეს მძივები აღმოჩნდა მიათლის ყორღანებში⁹. № 3 სამარხში ლითონის მძივებთან ერთად ნაპოვნი იყო სამი სერდოლიკის მძივიც: ერთი მრგვალი (ტაბ. XX, 10), ორი კი მრგვალი და ბრტყელი (ტაბ. XX, 12). ერთი ცალი მსგავსი მძივი ნაპოვნია ცარცის გორაზე¹⁰. ამ ტიპის სერდოლიკის მძივები ჩვენში კარგადაა ცნობილი შუა და განსაკუთრებით გვიან-ბრინჯაოს ხანაში. აღსანიშნავია, რომ მძივები საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე მეტად იშვიათად გვხვდება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენთვის მხოლოდ ორი სერდოლიკის სამკუთხა საკიდია ცნობილი ნაჩერქეზევის ერთ-ერთი სამარხიდან, რომელიც ქვაყრილის ზედა ფენებში აღმოჩნდა (ტაბ. XIII, 4). ამგვარი საკიდები ჩვენში ცნობილია შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული გვიანობამდე. მათ ვხვდებით ქვასათალის კოლექტიურ სამარხებში. ნაჩერქეზევზე 1955 წ. გათხრების დროს № 1 სამარხში ნაპოვნი იყო თეთრი ქვის ბრტყელი, მრგვალი მძივი (ტაბ. XIII, 3). შედარებით მოზრდილი რგოლი აგრეთვე თეთრი ქვისა აღმოჩნდა ქორეთის ყორღანზე 1945 წ. (ტაბ. XVIII, 10)¹¹. ეს რგოლი თავისი ფორმით მეტად ახლოს

¹ Б. Е. Дерен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 258.

А. V. Schmidt, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 12, სურ. 9, 10.

² М. И. Артамонов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 332, სურ. 9.

³ Р. Рау, *ESA, VI, Helsinki, 1932*, გვ. 48, სურ. 8, Д.

⁴ В. И. Каливец, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 44.

⁵ Б. А. Купфтин, *Археологическая маршрутная экспедиция 1945 г...*, ტაბ.

LXVIII.

⁶ თ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 87.

⁷ М. М. Трапш. *Куланурхвинский древний могильник*, автореферат, Сухуми, 1951, გვ. 13.

⁸ Б. Е. Дерен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 260.

А. М. Тайлгрен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 132, სურ. 21.


⁹ В. И. Каливец, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 45.

¹⁰ Б. А. Купфтин, *დასახ. ნაშრომი*, ტაბ. LXV.

¹¹ იქვე, ტაბ. LXVIII.

დგას პასიეთის ყორღანზე № 3 სამარხში ნაპოვნ ორ ბრინჯაოს ბრტყელ რგოლთან და ერთ ამგვარივე რგოლთან ცარცის გორიდან. თეთრი ქვის მსგავსი ბრტყელი მძივები, თუ რგოლები სხვადასხვა ზომისა ნაპოვნი იყო ქვაცხელების ნამოსახლარზე¹.

პასიეთის ყორღანზე, ქვაყრილში აღმოჩნდა ერთი ბრტყელი, სწორკუთხა თეთრი ქვის მძივსაქიდი. ორივე პირზე მას კონცენტრული წრეები:



სურ. 37. მძივსაქიდები: 1—ჭორეთიდან; 2—ქვასათალიდან

აქვს გამოყვანილი. სიგანეზე მძივსაქიდს სამი ნახვრეტი აქვს (სურ. 37, 1)- ფორმით ეს მძივსაქიდი ახლო დგას ქვასათალში 1953 წ. № 6 სამარხში აღმოჩენილ მძივსაქიდებთან (სურ. 37, 2).

როგორც ჩანს, სამკაულად იყენებდნენ მრგვალ ნიჟარებსაც. ამგვარი ნიჟარები ნაპოვნია ცარცის გორაზე და პასიეთის ყორღანის № 3 სამარხში (ტაბ. XX, 16). მსგავსი სამკაული გვხვდება აგრეთვე შეათლის ყორღანებში². საკიდად გამოუყენებიათ ღორის გახვრეტილი ეშვიც (ტაბ. XX, 13). ღორის ეშვი, ოღონდ გაუხვრეტელი, ცნობილია ნაჩერქეზევიდან. გახვრეტილი ღორის ეშვი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნაპოვნია „კულახოვზე“³. საერთოდ ცხოველის გახვრეტილ კბილებს ფართოდ იყენებდნენ საკიდად⁴.

ქვის იარაღებიდან საჩხერის ყორღანულ სამაროვნებში აღმოჩენილია ცულები, შუბისა და ისრის პირები. ქვის ცული სულ ორი ცალია: ერთი

¹ ლ. დლონტი, აღ. ჯაგახი შვილი, დასახ. ნაშრომი.

² В. П. Кавьявев, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.


³ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 21, ტაბ. IV, 10.

⁴ А. П. Круглов, В. Б. Пиотровский и Г. В. Подгусецкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

В. А. Куфтин, Урартский „колумбарий“..., გვ. 116.

ნაკლული, ცარცის გორიდან¹, მეორე კი — ქორეთის ყორღანიდან. ცარცის გორის ქვის ცულის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი (ტაბ. XVI, 11). ამიტომ ძნელია მისი ფორმის შესახებ მსჯელობა. შესაძლოა იგი თეფე გავრაზე აღმოჩენილი ქვის იარაღის მსგავსი ყოფილიყო². ქორეთის ცული კარგადაა ნაკეთები. მას მაღალი და ბრტყელი ყუა აქვს, და, როგორც ჩანს, ცულჩაქუჩი უნდა ყოფილიყო (ტაბ. XVIII, 7). ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში ქვის გახვრეტილი ცულები, წინა აზიის მსგავსად, შედარებით იშვიათია³. როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე გახვრეტილი ქვის ცული თუ კვერი ცნობილია ენეოლითურ მასალებში⁴. მაგრამ ქორეთის ცული გაცილებით განვითარებული ჩანს. იგი თითქოს უფრო უახლოვდება შენგავითის⁵ ერთ ცულჩაქუჩს, ოღონდ ქორეთის ცული უფრო მოგრძოა და ხერელი შუაში კი არა აქვს, არამედ ზევით. რამდენადმე განსხვავებულია სამხრეთ ოსეთში 1950 წ. შემთხვევით ნაპოვნი გახვრეტილი ქვის ცული, რომელსაც ხერელი აგრეთვე ზედა ნაწილზე აქვს. უახლოვდებიან საჩხერული ცულები მცირე აზიაში დუნდარ თეფეზე ნაპოვნი მომწვანო ქვისაგან ნაკეთებ ცულებს⁶. ცულჩაქუჩი უნდა იყოს კაიზერის ქვის ცულები, მაგრამ მათ ხერელი შუაში აქვთ⁷. მსგავსი ცულები ცნობილია ალიშარიდან⁸. უახლოვდება მათ აგრეთვე აიში აღმოჩენილი ერთი ცული⁹.

კაეის ისრისა და შუბის პირები აღმოჩნდა ცარცის გორაზე და ნაჩერქეზებზე: ცარცის გორაზე მოთეთრო კაეის ფუძემოლარული ისრის პირი



სურ. 38. კაეის შუბისა და ისრის პირები (ცარცის გორა).

¹ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 70 ტაბ. LV.

² E. A. Speiser, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XL, 3.

³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

⁴ Б. А. Куфтин, Урартский „колушбарни“..., გვ. 116.

გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 244.

⁵ О. А. Абибулаев, Рыскупки холма Кюль-Тепе близ Нахичевана. МИА, 67, М.—Л., 1959, გვ. 440, სურ. 7, 8.

⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 116, სურ. 69.

⁷ K. Ökten, N. Özgüç, T. Özgüç, დასახ. ნაშრომი, გვ. 375, ტაბ. VII, 4.

⁸ H. Bossert, Altanatolien, Berlin, 1942, გვ. 35, ტაბ. 282—3.

⁹ St. Przeworski, Altorientalische Altertümer in skandinavischen Sammlung, გვ. 80, სურ. 6.

¹⁰ H. Henning von der Osten, დასახ. ნაშრომი, т. I, გვ. 82. სურ. 90; т. II, სურ. 260.

¹¹ R. B. K. Amiran, Connections between Anatolia and Palestine in the Early Bronze Age, Reprinted from the Israel Exploration Journal, Vol. 2, № 2, 1952. გვ. 101, სურ. 5.

(სურ. 38, 2) და მოზრდილი ვარდისფერი კაეის ფუძემოლარული შუბის პირი (სურ. 38, 1); ნაჩრქეზეზე № 10 სამარხში მოწითალო კაეის ხუთი ისრის პირი (სურ. 22, 5, 6, 7, 8), აქედან ერთი ფუძემოლარული (სურ. 22, 9) და ერთი ფართოყუნწიანი შუბის პირი¹ (სურ. 22, 10). № 1 სამარხში ორი მოკლეყუნწიანი ისრის პირი ილო (სურ. 22, 11). ერთი ყუნწიანი ისრის პირი აღმოჩნდა ქვაყრილში (ტაბ. XIII, 6). ცარცის გორის ისრის პირს ფუძე სიმეტრიულად, ღრმად ამოლარული აქვს რკალისებურად. ნაჩრქეზევის ცალი ამ ტიპის ისრის პირისა კი უფრო ტლანქადაა ნაკეთები. ერთი, შედარებით პატარა, ფუძემოლარული ისრის პირი ნაპოვნია ქორეთში, კარახტინის ნამოსახლარზე. სიმეტრიულად ფუძემოლარული ისრის პირები აღრეული პერიოდიდან ჩანს ჩვენში, მაგრამ უფრო მრავლად ისინი ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით მის შუა საფეხურზე გვხვდებიან. აღრე-ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ, როგორც ეს თუნდაც საჩხერის მაგალითიდან ჩანს, ყუნწიანი ისრის პირები ქარბობენ.

ყუნწიანი ისრის პირები პატარა ზომისაა. ზოგიერთს ფრთები არამკვეთ-რად აქვს გამოყვანილი, ზოგს კი, მაგალითად № 1 სამარხში ნაპოვნი ისრის პირებს, სულაც არა აქვს (სურ. 22, 11). ერთი მსგავსი ისრის პირი ცნობილია კარახტინის ნამოსახლარიდან. ეს ისრის პირები არქაულ იერს ატარებენ. ისინი ჯერ კიდევ ახლო დგანან თეთრამიწის ნეოლითურ ისრის პირებთან² და ძლიერ წააგვანან თრიალეთში, ენეოლითურ ფენებში ნაპოვნი ისრის პირებს³. რამდენადმე განსხვავებულია ნაჩრქეზეზე ქვაყრილში აღმოჩენილი ისრის პირი, რომელსაც მკვეთრად გამოსახული, ყუნწამდე ჩამოსული ფრთები აქვს (ტაბ. XIII, 6). იგი უახლოვდება ოჩამჩირის ენეოლითური სადგომიდან მოპოვებულ ერთ ისრის პირს⁴, ქვაცხელების ნამოსახლარის ისრის პირებს⁵ და დიხა გუძუბას აღრეულ ფენებში აღმოჩენილ ისრის პირს⁶. ამ ტიპის ისრის პირი ნაპოვნი იყო დაზვერვების დროს ქარელის რაიონში, ბორცვ ნაციხვარზე (ტაბ. XIII, 7). როგორც ჩანს, ისრის პირი მკვეთრად გამოსახული ფრთებით ჩვენში გავრცელებული ყოფილა ენეოლითსა და მის მომდევნო ხანაში.

რაც შეეხება აქ აღმოჩენილ კაეის შუბისა თუ ხელშუბის პირებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცარცის გორის ტიპის ფუძემოლარული სხვა ხელშუბის პირი ჩვენთვის უცნობია (სურ. 38, 1). საერთოდ ფუძემოლარული ხელშუბის პირი ჩვენში მაინცდამაინც ფართოდ არ გავრცელებულა. ამ ტიპის იარაღი ცნობილია დიხა გუძუბას აღრეული ფენებიდან⁷ და ოჩამჩირის ენე-

¹ ო. ჯ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, ტაბ. XIII, 5, 6.

² ნ. კ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. IX.

³ ბ. ა. კ უ ფ ტ ი ნ, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. СХІХ.

⁴ ბ. ა. კ უ ფ ტ ი ნ, Материалы к археологии Кожиды, т. II, გვ. 68, ტაბ. 72, 6.


⁵ ლ. ლ ო ნ ტ ი, აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

⁶ ბ. ა. კ უ ფ ტ ი ნ, დასახ. ნაშრომი, გვ. 243, ტაბ. 64, 5, სურ. 65, 4.

⁷ იჭე, გვ. 241, ტაბ. 64, 4, სურ. 65, 1.

ოლითური სადგომიდან¹. ერთი არამკვეთრად ამოღარული ხელშუბის პირი აღმოჩნდა კარახტინის ნამოსახლარზე. ნაჩერქეზევის ფართოყუნწიანი ხელშუბის პირი ჯერ კიდევ უახლოვდება ამგვარსავე იარაღს თეთრამიწიდან², მაგრამ აშკარად მასზე განვითარებული ტიპისაა (სურ. 22, 10). რამდენადმე ახლო დგას იგი აგრეთვე ჰოლევში აღმოჩენილ ხელშუბის პირთან³, ოღონდ მასზე უფრო მოზრდილია.

ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილი თიხის კურკელი უპირატესად შავი ფერისაა, ვარდისფერი სარჩულით. ეს კერამიკა მეტად ახლო დგას ენეოლითურ კურკელთან⁴, განსაკუთრებით კი შიდა ქართლის ნამოსახლა-



სურ. 39. თიხის კურკელი (ქორეთი).

რებზე — ქვაციხელებზე და ხიზანანთ გორაზე აღმოჩენილ თიხის ნაწარმთან. აქაც გვხვდება მოზრდილი ღერგები. მუცელი ამ ღერგებს ჩვეულებრივ გამობერილი აქვს (ტაბ. IX, 1; XI, 5; XXI, 1), თუმცა გვხვდება ცალები, რომლებიც უფრო ნაკლებ გამოსახული მუცლით ხასიათდებიან (ტაბ. IX, 4). ყელი მათ ფართო, ძლიერ პირგადაშლილი და არც თუ მაინცდამაინც დაბალი აქვთ. ერთ-ერთი ნიშანი, რაშიც თითქოს ერთგვარი სხვაობა შეინიშნება ის არის, რომ გარდატეხის ხაზი ამ კურკელს ისეთი მკვეთრი არა აქვს, როგორც ენეოლითურ კერამიკას. აქ ეს ხაზი უპირატესად მუცლის ზედა

¹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 268, ტაბ. 72, 3.

² Б. კილაძე, *დასახ. ნაშრომი*, ტაბ. IX.


³ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 184, სურ. 45, 1.

⁴ Б. А. Куфтин, *Материалы к археологии Кавказа*, ტ. II, გვ. 115.

Б. А. Куфтин, *Археологическая маршрутная экспедиция 1945 года...*

ნაწილზე გვხვდება, თუმცა არის ისეთი ცალეებიც, რომლებსაც იგი სრულიად არ ეტყობა. ყურები დერგებს ჩვეულებრივ მხართან ასხია. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ცალეები, რომელთაც ყური მხართან ეწყებათ და პირს აღწევს. ყურები პატარა, ნახევარსფეროსებრი მოყვანილობისაა, ზოგჯერ შედარებით გაშლილი და თითქმის არ განსხვავდებიან ენეოლითის ქურქლი-სათვის დამახასიათებელი ყურებისაგან¹.

აღსანიშნავია ყელდაბალი, პირგადაშლილი, ცალყურა ქოთნისმაგვარი ქურქელი, რომელიც ფორმით ზოგიერთ დერგს წააგავს. გარდატეხის ხაზი მასაც მუცლის ზედა ნაწილში აქვს, სადაც არამკვეთრი წიბური იქმნება;



სურ. 40. კოჭობი (ქორეთი).


ყური მიძერწილია მხართან და პირს აღწევს (ტაბ. X, 2; XI, 2). საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ამგვარ ქურქელს მკვეთრად გამოსახული ქუსლი აქვს. ქოთნის ეს ტიპი ახლო დგას ქვაცხელების ქურქლებთან. უახლოვდება იგი ძალიანს ქოთნებსაც (ტაბ. XXIII)-განსაკუთრებით ახლო დგას ქვაცხელების ერთი რიგის ქოთნებთან პასიეთის ყორღანზე ნაპოვნი კარგად ნაკეთები თხელკედლიანი ცალყურა ქოთანი, რომელსაც პრიალა ზედაპირი და მუცლის ზედა ნაწილზე ამოღარული ტუბილხაზოვანი ორნამენტი აქვს (სურ.

39, 2). მოზრდილი ტოლჩები ფორმით თითქოს წააგვანან ერთი სახის ქოთნებს. ახლო დგანან ისინი აგრეთვე ენეოლითური კერამიკის ზოგიერთ ქურქელთან.

საჩხერის სამაროვნებზე მეტად იშვიათია მოწითალო ფერის ქურქელი. პასიეთის ყორღანზე ნაპოვნი მოწითალო თიხის სამი ქილა შედარებით უხეშია, მათი ზედაპირიც ნაკლებ დამუშავებული ჩანს. მუცელი ამ ქურქელს არამკვეთრი აქვს, მხართან შედარებით უფრო შესქელებული, ყელი მაღალია, ცილინდრული მოყვანილობის, პირგადაშლილი. აქეთ-იქით ყურები ასხია, რომელთა ცალი ბოლო მხარზეა მიძერწილი, მეორე კი პირზე (ტაბ. XXII, 2, 3). აქვე აღმოჩნდა მოზრდილი ქილა, რომელსაც მუცელი მკვეთრად გამოსახული აქვს, ყელი მაღალი, მეტ-ნაკლებად ცილინდრული მოყვანილობისა. ყურები მიძერწილია ერთი ბოლოთი მხართან, მეორეთი კი პირს აღწევს. ეს ქურქელი თითქოს უკავშირდება დიდუბის კერამიკაში ცნო-

¹ В. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 году..., გვ. 77.

ბილ მაღალ, ცილინდრულყელიან ჭურჭელს, მაგრამ მასზე განვითარებული ჩანს. პასიეთის ყორღანიდან ცნობილია მეორე ამგვარი ჭურჭელი, ოლონჯ ნაკლული (ტაბ. XXII, 5). ბ. კუფტინის მიერ ქორეთში გათხრილ ყორღანშიც აღმოჩნდა დიდუბის ჭურჭლის მსგავსი ერთი კოქობი, გამოხედილი მუკლით და მაღალი ცილინდრული ყელით (სურ. 40). ეს კოქებები ფორმით



სურ. 41. თიხის ჭურჭელი (სახიერე).

უახლოვდებიან მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ ერთ ვერცხლის ჭურჭელს. მაიკოპის ვერცხლის ჭურჭლის სიახლოვეზე ენეოლითურ ტიპის ჭურჭელთან მიუთითებდა ს. ბერნეი². გარდა ამისა ცნობილია კიდევ ორი ცალყურა კოქობი მაღალი ყელით და ძლიერ გადაშლილი პირით (ტაბ. XXII, 6).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპი ჭურჭლისა ამ სამარხებში ბადისებრი ჭურჭელია. აქ გავრცელებული სხვადასხვა ზომის ბადიები (სურ. 41, 1, ტაბ. XI, 3; XXI, 2, 4, 5) საესებით ისეთივეა, როგორიც ქვაცხელების, ხიზანანთგორის, თრიალეთისა და სხვ. უახლოვდება იგი აგრეთვე ნულის და ძალინას ამ ტიპის ჭურჭელს. აღსანიშნავია ცარცის გორაზე აღმოჩენილი ერთი ბადია, რომელიც განსხვავებული ფორმისაა. მას სწორი

¹ F. Hančar, Urgeschichte Kaukasiens. ტაბ. XLIV, 3.

² C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

გვერდები აქვს (სურ. 25, ტაბ. XVII, 6) და თითქოს უფრო ახლოსა კი-
კეთში ნაპოვნ სწორგვერდა ჯამბან.

ნაჩერქეხევის ერთ-ერთ სამარხში (სურ. 24, 2, ტაბ. XIV, 6), პასიე-
თის ყორღანზე (ტაბ. XXII, 4) და ცარცის გორაზე აღმოჩნდა ხელადის ტიპის
ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით ახლოს დგას თრიალეთში აღრეული
ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილ კერამიკასთან. ეს ტიპი ჭურჭლისა, როგორც
ჩანს, გენეტიურად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ენეოლითურ კერამიკასთან,
მაგრამ მისგან უკვე საკმაოდ დაშორებულია. ჭურჭლის ფორმა, ორნამენტის
ხასიათი და სხვ. თავისებურ სახეს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ცარცის
გორის ჭურჭელზე თრიალეთური ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ორნამენ-
ტია გამოყვანილი. საერთოდ, საჩხერის ჭურჭელზე ორნამენტი შედარებით
იშვიათია. უმთავრესად გვხვდება ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი.
ორნამენტის ხასიათი სავსებით ისეთივეა, როგორიც ქვაცხელების კერამიკისა.
რელიეფური სპირალური ორნამენტი შეგუილი ჭურჭელი სულ რამდენიმე
აღმოჩნდა (სურ. 41, 2). ამათგან აღსანიშნავია ორი მოზრდილი ქილის-
ებრი ჭურჭელი, რომელსაც რელიეფურად გამოყვანილი რთული ორნამენტი
ამკობს (ტაბ. X, 1; XI, 1)¹.

საჩხერული კერამიკისაგან საგრძნობლად განსხვავდება როგორც ფორ-
მით, ისე ორნამენტით და სხვ. პასიეთის სამაროვნის № 1 სამარხში აღმო-
ჩენილი ორი თიხის ჭურჭელი. ერთი მათგანი შედარებით თხელკედლიანი,
შავი ფერის ორყურა ქილაა, კასრისებრი მოყვანილობის ტანით, რომელსაც
ვერტიკალურად ამოღარული ფართო ხაზები ამკობს. ორივე ყურს ზედა
ნაწილზე ნაზარდი აქვს (სურ. 29, 1). თავისი ხასიათით ეს ქილა შუა ბრინ-
ჯაოს ხანის კერამიკას უახლოვდება. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ნაზარდი
ყურებზე გვხვდება თრიალეთში შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე². შეერი-
ლიანი ყურები დამახასიათებელია ნაოხვამუსა და დიხაგურძუბას კერამიკი-
სათვის, ფორმითაც თითქოს უახლოვდება ეს ჭურჭელი საჩხერულს³. ფორ-
მის მხრივ პასიეთის ქილა ახლო დგას ხოვლეს ყორღანში აღმოჩენილ ჭურ-
ჭელთან, რომელსაც ყურებზე აგრეთვე მსგავსი ნაზარდები აზის.

პასიეთის მეორე განსხვავებული ჭურჭელი ცილინდრული ფორმისაა,
თხელკედლიანი, აქეთ-იქით ყურების ნაცვლად შევრილები აქვს. მის ტანს
ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი ფხური ორნამენტი ამკობს (სურ. 29, 3,
სურ. 39, 3). სხვა მსგავსი ჭურჭელი ჩვენთვის უცნობია. საერთოდ ცილინდ-
რული ფორმის ჭურჭელი ჩვენში აღრეული ხანის მასალებში არ ჩანს. მხო-
ლოდ გვიანბრინჯაოს ხანაში ვხვდებით ცილინდრული მოყვანილობის ცალ-
ყურა ტოლჩებს⁴. ფხური ორნამენტიც, რომელიც ამ ცილინდრულ ჭურჭელს
ამკობს, უცხოა ენეოლითური და აღრებრინჯაოს ხანის კერამიკისათვის.

¹ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების აღრეული საფეხური საქართველოში, გვ. 92,
ტაბ. XVIII—XIX.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. LXXXIV.

³ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, ტ. II, გვ. 191 და 223.

⁴ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. XLVIII.

თავისი ხასიათით ეს ორნამენტი საერთოს პოულობს ნაოხვამუს ქვედა ფენაში აღმოჩენილ ჭურჭლის ღეკორთან¹.

ამრიგად, ორივე ჭურჭელი სრულიად განსხვავებული ხასიათისაა. ამ სამარხში აღმოჩენილი სატეგრის პირისა და ქინძისთავის განხილვისას უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. ამასვე მიუთითებს კერამიკაც. ამიტომ საფიქრებელია, რომ პასიეთის ყორღანის № 1 სამარხი ამ სამაროვნის არსებობის გვიანდელ ხანას მიეკუთვნებოდეს.

ამრიგად, საჩხერის ყორღანული სამაროვნების კერამიკა ძალიან ახლადგას შიდა ქართლის ნამოსახლარებზე გამოვლენილ კერამიკულ კომპლექსთან. იგი თითქმის სავსებით იმეორებს შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმის ყველა ძირითად ელემენტს; ერთგვარი სხვაობა მხოლოდ იმაში შეინიშნება, რომ ნამოსახლარებზე გამოვლენილი კერამიკა მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება და ზოგჯერ უფრო დახვეწილიცაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყვირილის ზემო წელზე მოსახლე ტომები მკიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი შიდა ქართლში ენეოლითის გვიან საფეხურზე მსხდომ მიწათმოქმედ ტომებთან. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტები აქ უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ყორღანული სამაროვნები, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, საკმაოდ ხანგრძლივ არსებობდნენ, თითქმის შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისამდე. მთელი ამ ხნის განძავლობაში კერამიკამ ძირითადად შეინარჩუნა თავისი სახე. თრიალეთის, სამგორის და სხვ. მასალებიდან ჩანს, რომ აღრებრინჯაოს ხანაში აქ თიხის ჭურჭელი, რომელიც უთუოდ წინამორბედ კერამიკასთან იყო გენეტიურად დაკავშირებული, საგრძნობლად იცვლის სახეს. სანწებაროდ, ყვირილის ზემო წელიდან თითქმის არ ვიცნობთ შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, ამიტომაც დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით აქაური ვითარების შესახებ. შესაძლოა ამ ხანიდან თანდათანობით იწყება დასავლურქართული კულტურის მომძლავრება. ამის ანარეკლი იყოს ეგებ №1 სამარხში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, რომელიც უახლოვდება კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების კერამიკას. გვიანბრინჯაოს ხანაში ეს რაიონი დაწინაურებული ჩანს და დასავლურქართული კულტურის ძლიერი გავლენის მიუხედავად ისევ შეინიშნება მკიდრო ურთიერთობა შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მოსახლე ტომებთან.

ყვირილის აუზის ზემო წელზე მიკვლეული ყორღანული სამაროვნები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან აღრეული ბრინჯაოს ხანის მეტალურგიის შესახებ. ჩვენში ცნობილ ამ დროის არც ერთ ძეგლს არ მოუცია ისე ქარბად ლითონის ნაწარმი, როგორც საჩხერულს. აქ გვხვდება ლითონის იარაღ-სამკაულის მრავალგვარი და რთული ფორმები. ლითონის დამუშავების ტექნიკა ჩანს უკვე მაღალ საფეხურზეა ასული, საჩხერული მასალის მიკროსტრუქტურის შესწავლიდან ირკვევა, რომ დიდი ნაწილი ლითონის ნივთებისა ჯერ ჩამოსხმულია და შემდეგ კი გამოკედილი. ჩანს აგრეთვე, რომ უკვე ჩამოსხმის საკმაოდ რთული, მოდელის დაქარავის წესისათვის მიუღწე-

¹ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. II, таб. 47.

ვიათ. ხელთნყოფი მასალის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყვირილის აუზის ზემო წელზე ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე უნდა არსებულიყო მეტალურგიული წარმოების მძლავრი კერა. ამგვარ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ დღემდე ცნობილ ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალაში არსად არ შეინიშნება მეტალურგიის ასეთი აღმავლობა. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ამავედროულ ძეგლებში ლითონის ნაწარმი ჯერ კიდევ ღარიბულადაა წარმოდგენილი, თუმცა კი, როგორც არაერთგზის აღვნიშნავდით, უკვე მკიდრო ურთიერთობა ჩანს ყვირილის ზემო წელსა და თრიალეთის. შიდა ქართლის და სხვ. რაიონებს შორის. განსაკუთრებით დიდია მსგავსება კერამიკაში, რის გამოც ბ. კუფტინი აქ მოსახლეობის ეთნიკურ ერთიანობასაც კი ვარაუდობს¹. უკანასკნელ ხანებში შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მოპოვებულმა მასალამ უკეთესად გამოავლინა ეს ურთიერთობა. მაგრამ ლითონის წარმოების მხრივ საჩხერის რაიონი თითქოს უფრო დაწინაურებული ყოფილა. როგორც ჩანს, ამ ადრეულ საფეხურზე ჩვენში მეტალურგია სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდა. ჯერჯერობით ძნელია გარკვევით თქმა, თუ რამ შეუწყო ხელი ყვირილის ზემო წელზე მეტალურგიის დაწინაურებას. შეიძლება ადგილობრივი მეტალურგიის განვითარებას ბიძგი მისცა სამხრეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან ახლო ურთიერთობამ. ამ დროისათვის კავშირი წინააზიურ სამყაროსთან საკმაოდ მძლავრად ჩანს. ეს გავლენა, უბიძველეს ყოვლისა შეიმჩნევა სწორედ ლითონის ნივთებზე². ამგვარი ურთიერთობის შედეგად და იმის გამო, რომ ჩვენში საამისოდ ხელსაყრელი პირობები იყო, დაწინაურდა ადგილობრივი მეტალურგია. დაახლოებით იგივე სურათი ჩანს აყუბანის დიდი ყორღანების³ კულტურაში. აქაც წინააზიური სამყაროს გავლენით სწრაფად ხდება მეტალურგიის დაწინაურება⁴.

საჩხერული მასალების ქიმიური შედგენილობის შესწავლის შედეგად გაიჩნდა, რომ ლითონის ნივთები ძირითადად დარიშხანიანი სპილენძისაგანაა დამზადებული (ცხრილი № 2). დარიშხანის რაოდენობა ნივთებში მერყეობს; ზოგჯერ იგი საკმაოდ მაღალ პროცენტამდე აღწევს (8%-მდე). გარდა დარიშხანისა შედარებით იშვიათად, მაგრამ მინც გვხვდება ანთიმონიც (3%-მდე)⁵. საყურადღებოა, რომ ერთგვარი სხვაობა ჩანს ქორეთის და საჩხერის ნივთების ქიმიურ შედგენილობაში. ქორეთის ნივთებში ანთიმონი მხოლოდ კვალის სახითაა დამოწმებული, საჩხერულში კი იგი ზოგჯერ 3%-მდე აღწევს. აღნიშნული გარემოება ეგებ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ორი ცენტრორაიონი სხვადასხვა საბაზოს მადნით სარგებლობდა⁶. სადღეისოდ

¹ Б. А. Куфтин, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лахны, Прова, Кширилы и Среднего Арна в 1951 году (рукопись).

² E. J. Forbes, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

³ А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 87.

⁴ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალის, ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

⁵ იქვე, გვ. 19.

სახერის რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი სპილენძის გამოსავლები ცნობილი არ არის. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აქ ადრე არსებობდა შედარებით მცირე საბადოები, რომლებსაც შეეძლო მაშინდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ლითონის ნივთები უპირატესად დარიშხანიანი სპილენძისაგან არის დამზადებული. ამ პერიოდში, საფიქრებელია, დარიშხანი ჯერ კიდევ ბუნებრივად იყო შესული მადნიდან ლითონში¹. როგორც ჩანს, მელითონე-მემთანადნეები, რომლებიც წინამორბედი თაობისაგან იცნობდნენ დარიშხანიანი სპილენძის დადებით თვისებებს, უპირატესად იმ საბადოებს ამუშავებდნენ, სადაც შენიშნული იყო სწორედ სპილენძ-დარიშხანიანი მადანი. იმის გამო ალბათ, რომ ამა თუ იმ რაიონში ძირითადად სპილენძის ადგილობრივი საბადოები იყო გამოყენებული, ლითონის შემადგენლობა რამდენადმე მაინც განსხვავებულია. თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ნივთებში დარიშხანის რაოდენობა შედარებით ნაკლებია. აუხაზეთის დოლმენების ადრეულ ნივთებში დარიშხანის რაოდენობა 5% აღწევს. 5"-მდე დარიშხანს შეიცავს ხოვლეს ყორღანში მოპოვებული შუბისმაგვარი იაოალი. ნესხეთ-ჯავახეთში ნაპოვ ადრეული ბრინჯაოს ხანის ნივთებში დარიშხანის რაოდენობა მერყეობს 1,64%—4,51% (შუბისმაგვარი იაოალი—Cu 93.13%; As 4.51%; ყუადახეული ტული—Cu 96.95%; As 2,66%; სატეერის პირი—Cu 96,12%; As 1, 64%). დაახლოებით ამგვარივე სურათი გვაქვს სხვა მასალებშიაც.

ყვირილის აუზის ზემო წელზე შესწავლილი ყორღანული სამაროვნების დათარიღების საკითხი ჯერ მთლად გარკვეული არ არის. იმის გამო, რომ თითქმის ყველა მათგანი გათხრამდე იყო დაზიანებული, ძნელდება გარკვევით ოისამე თქმა სტრატეგრაფიული მონაცემების შესახებ. ამას აძნელებს აგრეთვე თვით ძეგლის ხასიათიც. როგორც აღვნიშნავდით, სამარხები შიგქვაყრილში იყო მოთავსებული და ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სათანადოდ სამარხეული კომპლექსების გამოყოფა. ამიტომაც თარიღის საკითხის განხილვისას ძირითადად ნივთების ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. მაგრამ საამისო მასალაც მცირეა, რადგან როგორც ლითონის იარაღის, ისე კერამიკის ერთი და იგივე ფორმები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე იყო გავრცელებული. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ართულებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენას. ბ. კუფტინი ამ რაიონის ჯერ კიდევ ადრე ცნობილი კომპლექსების შესწავლისას აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა პერიოდის მასალასთან უნდა გვექონდეს საქმე, მაგრამ არც ერთ თავის ნაშრომში იგი არ ცდილა ქრონოლოგიურად დაეღავებია ეს მასალა². ბ. დეგენაც აღნიშნა ე. თაყაიშვილის კოლექციის შესახებ, რომ იგი ერთი კომპლექსი არ ჩანს და სხვადასხვა დროის მასალებს უნდა შეიცავდეს³.

¹ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

² Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети. გვ. 14.

³ Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, გვ. 253.

ამ სამაროვნების თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა საჩხერიდან მოპოვებული მასალა წინაყობანურ პერიოდს, სპილენძის ხანას მიაკუთვნა¹. ბ. კუფტინი თავის აღრიხდელ ნაშრომში საჩხერის კომპლექსს დისავლეთ ევროპის უნეტიცის ეპოქას² უახლოვდა და მისი ქვედა საზღვარი III—II ათასწლეულების მიჯნამდე მიჰყავდა³. შემდეგში ცარცის გორაზე 1945 წ. მოპოვებული მასალების საფუძველზე მან ეს საზღვარი რამდენადმე წინ გადასწია და იგი XXIV—XXII საუკ. მიაკუთვნა⁴. ა. იესენმა საჩხერეში 1910 წ. აღმოჩენილი კომპლექსი თავის მე-II ეტაპში შეიყვანა⁵. ბ. ლეგენი ნალჩიკის ყორღანების შესწავლისას შეეხო ე. თაყაიშვილის მიერ მოპოვებულ მასალას საჩხერიდან და აღნიშნა, რომ ეს ნივთები „II სტადიის“ სინქრონული უნდა იყოს⁶. ეს სტადია ბ. ლეგენის აზრით შეიძლება მოიცავდეს მთელ II ათასწლეულს, შესაძლოა III ათასწლეულის მიწურულსაც⁷. III ათასწლეულის ბოლოსა და II-ის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს ბ. პიოტროვსკი ამიერკავკასიის სხვა ძეგლებთან ერთად საჩხერესაც⁸. საჩხერის მასალების თარიღს შეეხო ფრანგი არქეოლოგი კ. შეფერი. იგი საჩხერის კომპლექსის დასათარიღებლად ძირითადად იყენებს ქინძისთავებს. T-მაგვარი ქინძისთავის თანაარსებობა აქ მარყუეისებრ ქინძისთავთან ერთად, აღნიშნავს მკვლევარი, საშუალებას გვაძლევს დავეუკავშიროთ იგი რას შამრას ქრონოლოგიას. რას შამრაში მარყუეისებრ ქინძისთავს საჩხერულთან შედარებით უფრო გვიან, საშუალო უგარიტის პერიოდში (1900—1750 წწ.) იყენებდნენ. აქედან გამომდინარე იგი საჩხერის კომპლექსს 2000—1800 წლებს შორის ათავსებს⁹. ამრიგად, მკვლევართა უმრავლესობა საჩხერეში მოპოვებულ მასალებს III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს. ეს მოსაზრება ძირითადად სწორი უნდა იყოს. მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საჩხერის სამაროვნებს საკმაოდ დიდხანს იყენებდნენ, ამიტომ ქრონოლოგიური საზღვრების დადგენისას მეტად დიდი სიფრთხილეა საჭირო. ზემოთ განხილულ მკვლევართა უმრავლესობა სწორედ ამ მომენტს არ აქცევდა სათანადო ყურადღებას, რის გამოც ზოგიერთს ამ სამაროვნების თარიღი III ათასწლეულში გადაჰქონდა, ზოგს II-ის პირველ ნახევარში. ორივე ეს მოსაზრება სწორია,

¹ Е. С. Тақайшвили, О Сачхерском кургане Шорпанского уезда, გვ. 167.

² В. А. Купфтин, К вопросу о ранних стадиях бронзової культуры на территории Грузии, გვ. 7.

³ В. А. Купфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 16.

⁴ В. А. Купфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., გვ. 74—75.

⁵ А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 100.

⁶ Б. Е. Деген, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

⁷ იქვე, გვ. 267.

⁸ В. В. Пиотровский, Поселение медного века в Армении, გვ. 183.

⁹ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparaée, გვ. 516.

მაგრამ ერთ შემთხვევაში მკვლევრები საფუძვლად უდებდნენ მას უფრო ადრინდელი ტიპის ნივთებს და თარიღს მთელ პერიოდზე ავრცელებდნენ, მეორე შემთხვევაში კი, ჩანს, უფრო მოგვიანო ხანის ნივთების ტიპოლოგიით ხელმძღვანელობდნენ. ამ შემთხვევაში პირველი შეიძლება გამოდგეს სამაროვნების ქვედა საზღვრის დასადგენად, მეორე კი—ზედასი. ქვედა საზღვარი ამ სამაროვნებისა მიანცდამინც დაშორებული არ უნდა იყოს ენეოლითური კულტურის ზედა საზღვრისაგან. როგორც აღვნიშნეთ, აქ ჯერ კიდევ ბევრი ჩანს საერთო წინამორბედ კულტურასთან, განსაკუთრებით ეს ითქმის კერამიკის შესახებ, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი სხვაობაც შეინიშნება. კერძოდ, განვითარებას იწყებს ლითონის ინდუსტრია და საფუძველი ეყრება უფრო მაღალ საფეხურს, ბრინჯაოს ხანას. სპეციალისტთა შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს კულტურის საწყისი კავკასიაში III ათასწლეულის მეორე ნახევარზე უნდა მოდიოდეს¹. მკვლევართა უმრავლესობა ამ საკითხს ძირითადად ყუბანის დიდი ყორღანების თარიღთან დაკავშირებით იხილავს. ამ ყორღანების თარიღის შესახებ, როგორც ცნობილია, მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული, მაგრამ უქვეყელი უნდა იყოს უკანასკნელი გამოკვლევის შედეგად, წინააზიურ მასალებთან შედარების საფუძველზე დადგენილი ადრეული თარიღი. ამავე პერიოდს მიაკუთვნებენ აგრეთვე ამიერკავკასიაში² აღმოჩენილ ადრებრინჯაოს ხანის მასალებსაც. ბ. კუფტინმა არაერთგზის აღნიშნა, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები ჩვენში III ათასწლეულს უნდა მიეკუთვნებოდეს³. საჩხერული მასალების განხილვის, განსაკუთრებით კი ცარცის გორაზე აღმოჩენილი ხიშტისმაგვარი იარაღის საფუძველზე, მან ბრინჯაოს კულტურის ადრეული ეტაპი XXIV—XXII საუკ. მიაკუთვნა³. ჩვენის აზრით, ბ. კუფტინის მოცემული თარიღი ძირითადად მართებული უნდა იყოს. წინა აზიაში ხიშტისმაგვარი იარაღი ფართოდ ვრცელდება III ათასწლეულის შუა ხანებში, ამიტომ ადვილი შესაძლებელია ჩვენში ამ ტიპის იარაღი III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში შემოსულიყო. მართალია, საჩხერის სამაროვნებზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით ძნელია განვითარების საფეხურების დადგენა, მაგრამ ლითონის ნივთების ტიპოლოგიური ანალიზის გზით ზოგჯერ მაინც ხერხდება გარკვეული მოსაზრების გამოთქმა. არსებული მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ სამაროვნის ადრეული ფენებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყოფა. უადრესი ტიპებია, როგორც ჩანს, ბრტყელი, ყუნწიანი სატევრის პირები, რომლებიც საკმაოდ ახლო დგანან ანატოლიის ადრეულ სატევრებთან. ნაჩრქებზე 1955 წ. გათხრილ № 2 სამარხში,

¹ А. А. Иессен, К хронологии „больших кубанск. курганов“, стр. 193.

С. А. Вурнеу, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 519.

² Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших юрциях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 300.

³ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., стр. 74.

რომელიც ყორღანის ძირზე მდებარეობდა, ყუადაქანებულ ცულთან ერთად აღმოჩნდა ამგვარი სატევრის პირი. პასიეთის ყორღანზედაც ამ ტიპის სატევრები შეგვხვდა ყორღანის ძირზე განლაგებულ სამარხებში. ადრეული ტიპის იარაღს უნდა მიეკუთვნებოდეს აქ აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულები. ამ ტიპის ცულების განხილვისას უკვე აღვნიშნავდით, რომ ისინი გენეტურად უკავშირდებიან წინამორბედ პერიოდში გავრცელებულ ცულებს (ქულბაქების, იალბუზის და სხვ.) და ალბათ დროით მათზე მაინცადამაინც დაშორებული არ უნდა იყვნენ. როგორც ითქვა, ნაჩერქეზზე ცულის ეს ტიპი აღმოჩნდა № 2 სამარხში, ბრტყელყუნწიან სატევრის პირთან ერთად. უძველეს ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს აგრეთვე საჩხერის სამაროვნებისათვის დაბახსიათებელი მარყუქისებრ თავიანი და T-მაგვარი ქინძისთავები. ორივე ტიპი ქინძისთავისა ნაპოვნი იყო პასიეთის ყორღანის ძირზე მდებარე სამარხებში. მარყუქისებრთავიანი ქინძისთავი მერმინდელ ხანაში აღარ გვხვდება, მაშინ როდესაც T-მაგვარი ქინძისთავი გავრცელებული იყო სამაროვნების არსებობის მთელ მანძილზე.

შესაძლოა უძველეს ფენას მიეკუთვნებოდეს აგრეთვე, როგორც ამას ბ. კუფტინი აღნიშნავდა, 1929 წ. აღმოჩენილი ბრტყელი ცული¹. გადაჭრით რისამე თქმა ძნელია იმის გამო, რომ ეს ერთადერთი ბრტყელი ცულია სადღეისოდ ჩვენში ცნობილი, თუმცა სავარაუდებელია, რომ ქვაცხელებზე ძირა ფენაში ნაპოვნი თიხის ყალიბი, ამ ტიპის ცულის ჩამოსასხმელი უნდა ყოფილიყო. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ ბრტყელი ცული ჩვენში ადრინდევ გავრცელებულა. რაც შეეხება სატეხს, რომელსაც ბ. კუფტინი ამ ცულთან ერთად უძველეს ფენას მიაკუთვნებს², როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს.

რა დროისაა ამ სამაროვნების უძველესი ფენა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის მიერ აღნიშნული თარიღი—XXIV საუკუნე, ძირითადად მართებული არის. ამ სამაროვნების საწყისი პერიოდი ჩვენს მიერ ენეოლითური კულტურისათვის დადგენილ ზედა საზღვარს მაინცადამაინც არ უნდა შორდებოდეს. საჩხერის ყუადაქანებული ცულები, როგორც აღვნიშნავდით, ენათესავენ ენეოლითის ბოლო საფეხურზე გავრცელებულ ამ ტიპის ცულებს. ბრტყელი, ყუნწიანი სატევრის პირები ახლო ანალოგიას პოულობენ ანატოლიურ ადრეულ სატევრებთან. ეს ტიპი იარაღისა აქ, როგორც ჩანს, ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ პერიოდში ვრცელდება. უკანასკნელ ხანებში ანატოლიური ბრინჯაოს კულტურის დასაწყისი პერიოდს დაახლოებით 2500 წ. მიაკუთვნებენ³. ამიტომაც უფრო მართებული იქნება თუ საჩხერის სამაროვნების თარიღის ქვედა საზღვარს 2400—2200 წწ. შორის მოვაქცევთ.

¹ Б. А. Куптин, Археологические раскопки в Трнавети, г. 15.

² იქვე.

³ J. Mellart, Anatolian Chronology in the Early and Middle Bronze Age, გვ. 65.

მომდევნო ხანის ჯგუფში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ლითონის ნივთი, რომლებიც უფრო ადრე არ გვხვდება. ამ ჯგუფში ექცევიან ყუამილიანი ცულები, რომლებიც შემდეგ აქ სამაროვნის არსებობის თითქმის ბოლო პერიოდამდე აღწევენ, უყენწო სატევრის პირები და ლითონისტარიანი სატევრები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე ცარცის გორაზე აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღი და სატეხი. ამ ნივთების შესწავლიდან ისე ჩანს, რომ მათი გავრცელების ხანა 2200—1900 წწ. შორის ექცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლითონისტარიანი სატევრები და სატეხი. ეს სატევრები ახლო დგას ნოვოსვობოდნაიას და კონსტანტინოვსკაიას ყორღანებში მოპოვებულ სატევრებთან. ნოვოსვობოდნაიას ჯგუფს, როგორც ცნობილია, მაიკოპზე რამდენადმე ახალგაზრდად თვლიან და მას III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისს მიაკუთვნებენ¹. ა. შეფერმა რას შამრას ქრონოლოგიის საფუძველზე ნოვოსვობოდნაიას ყორღანის ხნოვანება 2200—2000 წწ. განსაზღვრა². რამდენადმე ახალგაზრდად მიიჩნევენ იგი კონსტანტინოვსკაიას ყორღანს³. 2200—2000 წწ. მიაკუთვნებს კ. შეფერი ზეკარში აღმოჩენილ სატეხს⁴, რომელიც, როგორც აღვნიშნავდით, ძალიან ახლო დგას საჩხერულთან. იგი საერთოდ ავრცელებს ამ თარიღს ასეთი ტიპის სატეხებზე ჰისარ III, რას შამრადან, ბიბლოსიდან და სხვ.⁵ კავკასიური მასალების დათარიღების საკითხში გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჰისარის ქრონოლოგიას, განსაკუთრებით ჰისარ III. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ ჰისარ III პერიოდის ბოლო II ათასწლეულის დასაწყისზე უნდა მოდიოდეს⁶. ჩანს, ცარცის გორაზე აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღი III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება.

საჩხერის რაიონის ყორღანული სამაროვნების ბოლო პერიოდი 1900—1800 წწ. უნდა განისაზღვროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პასიეთის ყორღანის № 1 სამარხი, რომელიც მოგვიანო ხანის მთელი რიგი ნიშნებით ხასიათდება. ამ მხრივ გამოჩაქლისს შეადგენს მხოლოდ ყუამილიანი ცული, რომლის მსგავსიც ადრევე აღმოჩნდა აქ. სატევრის პირს უკვე ემჩნევა შუა ქედი, რაც უფრო გვიანდელი პერიოდის სატევრებისათვისაა დამახასიათებელი. მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე, როგორც აღვნიშნავდით, ამ სამარხში. ნაპოვნი ქინძისთავი „ცხვრის რქისებრ“ დახვეული თავით, რომელიც ჩვენში გავრცელებას იწყებს შუა ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდიდან. მსგავსი ქინძისთავები აღმოჩნდა სხვა სამაროვნებზედაც. გან-

¹ А. А. Иессен, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 193.

² Claude F. A. Schaeffer, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 519.

³ იქვე, გვ. 522.


⁴ იქვე, გვ. 533.

⁵ იქვე, გვ. 450.

⁶ D. H. Gordon, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 54.

სხვაეგებულები ხასიათისაა აგრეთვე ამ სამარხის კერამიკა. ამიტომაც, სამარხი № 1 უკვე საჩხერის სამაროვნების უკანასკნელი პერიოდისა უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამ დროიდან იჩენს თავს ის ელემენტები, რომლებიც ბრინჯაოს კულტურის შემდგომი პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. ამრიგად, ჩანს, ყვირილის ზემო წელზე მიკვლეული ყორღანული ტიპის სამაროვნები არსებობდნენ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურის თითქმის მთელ მანძილზე.

მოგვიანო ხანას განეკუთვნება პასიეთის ყორღანის № 3 სამარხი. აქ აღმოჩენილი ინვენტარი, გარდა I-მაგვარი ქინძისთავისა, ანალოგიებს პოულბს შუა ბრინჯაოს ხანის მასალებში. № 3 სამარხის თარიღს ერთგვარად უკან



სურ. 43. კარახტინის ნამოსახლარი: 1, 4—ქვის ცულის ნატეხები; 2—ძვლის ღერო; 3—ძვლის საკინძი; 5—ხარის თიხის ქანდაკება.

წეგს მასში აღმოჩენილი ორი საკიდი თოხის¹ მინიატურული გამოსახულებით ეს საკიდები სავსებით იმეორებენ ჩვენში გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული თოხების ფორმას. უფრო ადრე ამ ტიპის თოხი ჩვენში ცნობილი არ არის. შუა ბრინჯაოს ხანის ურეკის განძის თოხები განსხვავებული, ფორმისაა¹.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ სოფ. ქორეთში, ადგილ „კარახტინზე“ 1955 წელს შესწავლილი ამ პერიოდის ნამოსახლარი. სამწუხაროდ, ეს ნამო-

¹ ო. ჯაფარიძე, დახვერებითი ექსპედიცია გურიაში, საქ. მუხ. მოამბე, ტ. XVI B. თბილისი, 1950, გვ. 116.

ქალაქული გარეგარსს ხანის ლითონის ნივთების ძირითადი შედეგები

№	ნივთის დასახელება	ნივთის №№	აღმოჩენის ადგილი და წელი	სამარხის №№	გაბრუნების ტექნოლოგია	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1	ცული	40	ოთხბარა			99,66	—	0,09	0,04	—	კვ.	0,2
2	ცული ყუამილიანი, რე- ლუფური ორნამენტი***	229	ეშერის დოლმენი, 1937		ბ. კუფტინი	92,72	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	4,7	კვ.
3	ცული ყუამილიანი***	230	ეშერის დოლმენი			94,1	"	"	0,19	"	5,2	"
4	" ***	234	"			95,61	"	"	0,08	"	3,3	0,01
5	შუბი***	228	"			94,74	"	"	0,6	"	4,4	არ არის
6	" ***	231	"			93,29	"	"	0,02	"	3,75	"
7	აბჯრის ნაწილი (A)*	119	თრიალეთი	V კორღანი		97,61	კვ.	"	კვ.	"	1,97	"
8	" (B)*	"	"	"		97,57	არ არის	"	"	კვ.	1,58	"
9	" (C)*	"	"	"		97,65	"	"	"	"	1,48	"
10	ცული ყუამილიანი*	94—10 : 43	სახერე, 1910			98,05	"	"	არ არის	"	0,78	1,16
11	" ***	"	ჩორბეთის გორაკი*			95,76	"	"	0,30	"	1,35	0,41
12	" ***	"	"	VI	მკვ. თაკი- შევილი	95,72	"	0,11	0,22	"	1,5	0,22
13	" *	18—29 : 2	სახერე, 1929		შემთხვ. აღმ.	95,43	"	არ არის	არ არის	"	3,20	1,0
14	" *	94—10 : 38	სახერე, 1910		მკვ. თაკი- შევილი	95,35	"	"	"	"	3,19	1,2
15	" *	18—29 : 4	სახერე, 1929		შემთხვ. აღმ.	94,31	"	"	"	"	3,00	2,6
16	" *	94—10 : 44	სახერე, 1910	IV	მკვ. თაკი- შევილი	95,3	"	"	"	"	2,45	2,10
17	" ***	"	სახერე			95,25	"	"	0,18	"	1,75	0,43
18	" ***	"	სახერე	III		95,11	"	0,15	0,28	"	2,0	0,35

№	ნივთის დასახელება	ნივთის ქიმი	აღმოჩენის ადგილი და წელი	სამართის ქიმი	გაფრის ხელშეკრ.	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
19	ცული გუმილიანი*	18-29 : 1	სახეზე, 1929		შეგობ. აღმოჩ.	95,0	არ არის	არ არის	კვალი	არ არის	3,73	კვალი
20	" ***		"		"	95,0	"	"	0,29	"	1,9	0,61
21	" ***		"		"	94,48	"	"	0,15	"	1,2	0,70
22	" ***		სახეზე	V	"	93,92	"	0,07	0,17	"	2,0	0,75
23	" *	18-29 : 3	სახეზე, 1929		შეგობ. აღმ.	93,3	"	არ არის	კვალი	"	6,0	კვალი
24	" ***		"		"	92,90	"	0,16	0,20	"	1,82	1,21
25	" ბრტყელი*	16-0212-2954	" 1929		"	97,8	"	არ არის	კვალი	"	1,8	კვალი
26	სატყვარი*	12 (სავ.)	" 1946	II	ბ. კუფტინი	96,0	"	"	"	"	3,1	"
27	ტართოვუ*		"		"	95,84	"	0,08	0,22	"	1,8	0,21
28	" ***		"	III	"	95,46	"	0,09	0,32	"	2,05	0,37
29	" *	15 (სავ.)	სახეზე, 1951		"	95,3	"	არ არის	კვალი	"	3,01	კვალი
30	სატყვარი***		სახეზე	IV	"	95,0	"	"	0,11	"	1,95	0,60
31	" ***		"	V	"	94,48	"	0,12	0,17	"	2,10	0,41
32	" ფოთლივები*	94-10 : 55	სახეზე, 1910		მმ. თავი- შვილი	88,45	"	კვალი	კვალი	1,03	4,98	1,86
33	ბრტყელმავალი იარა- ღი***		"	I	ბ. კუფტინი	95,76	"	არ არის	0,18	არ არის	2,0	0,31
34	შუბისმავალი იარაღი*	27-44 : 28	"		"	94,29	"	"	"	"	4,66	0,30
35	სატყვი*	18-29 : 14	სახეზე 1929		შეგობ. აღმოჩ.	95,6	"	"	"	"	3,14	1,11

გ ა გ რ ე მ ე ლ ე ბ ა

№	ნეთის დასახელება	ნეთის №№	აღმოჩენის ადგილი და წელი	სამარხის №№	გაბრის ხელმძღვან.	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
36	საქინი T-ბრი*	31—32 (სავ.)	საჩხერე, 1951	4	ბ. კუფტინი	94,4	არ არის	არ არის	კვალი	არ არის	3,3	კვალი
37	საქინი ვულფანი*	52 (სავ.)	საჩხერე, 1946		"	94,4	"	"	"	"	4,9	არ არის
38	" *	94—10 : 21	საჩხერე, 1910		ემე. თაყაი- ყელი	85,91	კვალი	კვალი	0,75	კვალი	2,96	0,30
39	" *	94—10 : 24	" "		"	95,0	არ არის	არ არის	0,3	არ არის	3,84	0,74
40	ცული ვამილიანი*		კორეთი, 1954		ჩამოიტანა დ. ქორიძე	96,38	"	"	კვალი	"	3,1	
41	" *	49 (სავ.)	კორეთი, 1955	2	ო. ჯაფარიძე	94,50	"	"	"	კვალი	5,08	კვალი
42	" *	11 (სავ.)	" "	1	"	93,87	"	"	"	"		არ არის
43	სატყურის პირი*	3 (სავ.)	ქორეთი		ჩამოიტანა დ. ქორიძე	96,86	"	"	"	"	2,83	"
44	" (პატარა)*		"		ო. ჯაფარიძე	95,38	"	"	არ არის	არ არის	3,4	"
45	" *	59 (სავ.)	" 1955		"	94,88	"	"	—	—	5,0	"
46	სატყვარი წნულთორანგ. ტარიო* (პირის ანალიზი)		" 1954		ჩამოიტანა დ. ქორიძე	94,55	"	კვალი	კვალი	არ არის	4,0	კვალი
47	ანალიზი* (ტარის		"		"	94,55	"	არ არის	"	"	4,0	"
48	სატყურის პირი*	9 (სავ.)	კორეთი, 1955		ო. ჯაფარიძე	d. ბევი	"	0,05	კვალი	"	4,0	"
49	სატყვარი ვუნწისმაგ. ტარიო*		1954		ჩამოიტანა დ. ქორიძე	94,55	"	არ არის	"	"	4,0	"
50	საქინი T-ბრი*	48 (სავ.)	1955	2	ო. ჯაფარიძე	95,13	"	"	—	—	2,68	"
51	" *	89 (სავ.)			"	90,41	"	"	—	—	7,91	"
52	" ვულფანი*	88 (სავ.)			"	90,05	"	"	—	—	7,82	"

გაგორკედება

№	ნეთის დასახელება	ნეთის კაცე	აღმოჩენის ადგილი და წელი	სამარბის კანე	გათბობის ხელშეწყვან.	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
53	საკილი**	73 (საგ.)	ქორეთი, 1955		ო. ჯაფარიძე	ძლიერი ბუერი	<0,01	0,03	0,05	0,05	0,05	0,05
54	ცული*	20 (საგ.)	ნაჩერაქვევი, 1955	თბრ. 3, სამარ- ბი 2		97,63	არ არის	არ არის	—	—	1,99	
55	სასაფეთქელ რგოლი		ძაღანა		ბ. კუფტინი	68,80	კვალი	"	არ არის	არ არის	11,92	12,64
56	სატყვარი ბრტყელი**	32 (საგ.)	ახალციხის მუხუ- მის ფონდიდან			ძლიერი ბუერი	არ არის	არ არის	0,01	"	ბუერი	არ არის
57	ცული ბრტყელი არკა- ული ფორმის*		"			96,95	"	არ არის	კვალი	"	2,66	
58	შუბისმავარი იარაღი*	1072	"			93,13	"	"	"	"	4,51	
59	სატყვრის პირი*		ახალციხის "ამირანის გორა"		ბ. ჩუბინი- შვილი	96,12	"	"	0,16	"	1,64	
60	ცულ-წრაკეი*	11—32: 70	თიანეთის რ-ნი სეიმონიანთ ხევი, 1942			97,3	"	"	არ არის	"	1,85	
61	" *	10—53	დმანისის რ-ნი, 1949			97,3	"	"	"	"	1,91	
62	" (პატარა)*	1—32: 6	აღმოჩენის ადგილი უცნობია			99,05	"	კვალი	კვალი	"	კვალი	
63	" *	5—34: 5				97,6	"	"	არ არის	"	2,06	"
64	ცული*	2—26: 1	ხეში აკვლა, 1926			95,4	"	"	"	"	2,21	0,72
65	" *		მარნეულის რ-ნი, სადგ. სადაბლო			94,48	"	"	"	"	4,17	არ არის


გაგრძელება

№ რიგ	ნივთის დასახელება	ნივთის კაჩე	აღმოჩენის ადგილი და წელი	სამარხის №№	გათხრის ხელმოწერა	Cu	Sn	Ph	Fe	Zn	As	Sb
66	ცული*	5-34 : 4	აღმოჩ. ადგილი უცნობია			97,37	0,24	არ არის	არ არის	არ არის	1,45	0,12
67	" *	10-25 : 13	მეჯვრისხევი			97,26	0,53	"	"	"	1,32	არ არის
68		10-25 : 14				95,8	არ არის	"	"	"	3,0	
69	შუბისმავარი იარაღი*	1-36 : 68	აღმოჩ. ადგილი უცნობია			94,4				"	3,55	

ანალიზები გაკეთდა: * მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში, ** საექტრული ანალიზი (მ. ბენდიანაშვილი), *** მეტალურგიის ინსტიტუტში.

სახლარი იმდენად დაზიანებული იყო, რომ მის შესახებ მსჯელობა ძნელდება. კარახტინის მინდორზე აღრევე პოულობდნენ სხვადასხვა ნივთებს, ნაწილი ამ ნივთებისა დაცულია ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში.

ვათხრების შედეგად გაირკვა, რომ აქ ერთმანეთშია არეული ფეოდალური ხანის, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისა და აღრეული ბრინჯაოს ხანის მასალები. ქვედა, აღრეული ფენა შედარებით სუსტი იყო. ალაგ-ალაგ ჩნდებოდა ძველი კერამიკის ფრაგმენტები. ნაპოვნი იყო რიყის ქვის ორი ცულის ნატები (სურ. 42, 1, 4), ძვლის დამუშავებული ღერო (სურ. 42, 2), ძვლის საკინძის თუ ზახათის ნატები (სურ. 42, 3) და ცხოვე-



სურ. 43. კარახტინის ნამოსახლარი: 1, 2, 3—კაეის ისრის პირები; 4—თიხის ჭურჭლის ნატები.

ლის (ხარის?) მეტად ტლანქი თიხის ქანდაკება (სურ. 42, 5). სასკოლო მუზეუმში ინახება ამ ადგილზე აღმოჩენილი კაეის რამდენიმე ისრისა და ხელშუბის პირი, კაეის დაკბილული ნამგლისა და დანის პირები, ქვის ცული თუ საკრეთელი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ჩანს, კერამიკა სავსებით ისეთივეა, როგორც სამაროვანზე აღმოჩენილი, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩულით. თუმცა აქვე აღმოჩნდა შიდა ქართლის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი წითელპირილა ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 43, 4). როგორც ვთქვით, ამ ტიპის წითელპირილა კერამიკა არ გვხვდება ყორღანულ სამაროვნებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი პატარა. ტლანქად ნაძერწი, პირგადაშლილი ჭურჭელი, რომელსაც მუცლის არეში სამი ყური აბია. ეს ჭურჭელი ფორმით ახლო დგას ქვაცხელების სამყურა ჭურჭლებთან. ცხოველის თიხის ქანდაკება, ალბათ ხარის გამოსახულება, მეტად ტლანქია და რამდენადღე განსხვავდება ენეოლითური ფენებიდან ცნობილი ქანდაკებებისაგან. ტანი მას ოთხკუთხა მოყვანილობისა აქვს. ტანის ქვედა ნაწილზე, ფეხების ადგილას ოთხი მრგვალი ღილაკია მიძერწილი. თავი გამოსახული არ არის და ტანიდან უშუალოდ რქებია გამოყვანილი. ამით იგი თითქოს უახლოვდება შრეშ-ბლურისა და ოზნის სტილიზებულ ქანდაკებებს,

ქვის იარაღიდან აღსანიშნავია კაეის ერთი ხელშუბის პირი (სურ. 43, 1), და ორი ისრის პირი (სურ. 43, 2, 3). ხელშუბის პირი საკმაოდ დიდი ზომისაა, ფუძემოლარული. ამ ტიპის იარაღი ამოღარული ფუძით ჩვენში შედარებით იშვიათია. რამდენადმე უახლოვდება იგი დიხავუტუბას ფენებში და ოჩამჩირის ენეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნ იარაღებს¹. აქ აღმოჩენილი ისრის პირებიდან ერთი ფუძემოლარულია, მეორე კი მოკლელეროანი. მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ისინი ზემოთ განხილული საჩხერული ისრის პირების ანალოგიურია. კარახტინის კაეის დანისა და ნამგლის პირები უახლოვდებიან ამ ტიპის იარაღებს შიდა ქართლისა და სხვა ენეოლითური ხანის სადგომებიდან. რაც შეეხება ქვის ცულებს, მათზე გარკვევით რისაზე თქმა ძნელია. შედარებით მომცრო ზომის ცული თუ საკრეთელი ახლო დგას თეთრამიწის საჭრეთლებთან². უახლოვდება იგი აგრეთვე ამგვარსავე იარაღს საგვარჯილედან, თეთრიწყაროდან და ქვაცხელებიდან. მოზრდილი რიყის ცულისა მხოლოდ უუის ნაწილია გადარჩენილი. იგი მრგვალია და, როგორც ჩანს, უუისაქენ თანდათანობით ვიწროვდება. მეორე ცულის პირის ნაწილია გადარჩენილი. იგი უფრო მაგარი ჯიშის ქვისაგანაა ნაკეთები და პირი სოლისებრი მოყვანილობისა აქვს. საფიქრებელია, რომ ეს ცულები უფრო განვითარებულ ტიპს მიეკუთვნება, ვიდრე ჩვენში ცნობილი ნეოლითური რიყის ცულები.

ამრიგად, კარახტინის ნამოსახლარის შესახებ გათხრებით თუ შემთხვევით აღმოჩენილი მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იგი ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. აქ მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს. პოულობს ენეოლითური ხანის ძეგლებთან და აგრეთვე ყორღანული სამაროვნების მასალებთან. ჩვენი აზრით, ეს ნამოსახლარი სამაროვნების ადრეული ფენის თანადროული უნდა იქოს.

როგორც აღვნიშნეთ, ყვირილის ზემო წელზე გამოვლენილი კულტურა მეტად ახლო ურთიერთობას ამელავნებს შიდა ქართლის, განსაკუთრებით კი მის ჩრდილო ზოლის ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალებთან. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც შევეხოთ ამ ძეგლებს.

ძალინას ხაშაროვანი

სოფ. ძალინასთან (ზნაურის რაიონი), სტალინბრიდან ზნაურისაკენ პიმაგალი გზის პირას ბ. კუტტინმა 1951 წ. შეისწავლა ერთი სამაროვანი. სამაროვნის ტერიტორიაზე გაჭრილ იქნა პატარა არხი. სამარხები არხის ორივე მხარეზე ჩნდებოდა აღმოსავლეთით და დასავლეთით. როგორც გათხრების შედეგად გაირკვა, აღმოსავლეთ მხარეზე აღმოჩენილი სამარხები ერთგვარად განსხვავდებოდნენ დასავლეთის სამარხებისაგან როგორც დასათუ-

¹ Б. А. Купчик. Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 241, 268, сур. 65, 1, ტაბ. 72, 3.

² ნ. კილაძე, ნეოლითური ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, ტაბ. IV.

ვეების წესის მხრივ, ისე სამარხეული ინვენტარით. სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩანს, მიცვალებულს პირდაპირ მაწის ზედაპირზე ათავსებდნენ და ზემოდან ქვაყრილს უკეთებდნენ. დასავლეთ ნაწილში კი მიცვალებულს ჯერ საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ და შემდეგ ზემოდან ქვას აყრიდნენ. სამარხები ჩნდებოდა 60—80 სმ სიღრმეზე. სამარხეულ ინვენტარში შეინიშნებოდა ერთგვარი განსხვავება. სამაროვნის დასავლეთი ნაწილის სამარხებში თითო-ოროლა ჭურჭელი ჩნდებოდა. აქ მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ლითონის ნივთი — პატარა ყულფიანი საკინძო (სამარხი № 2). აღმოსავლეთ ნაწილში მიკვლეულ სამარხებში ლითონის ინვენტარი გაცილებით მეტი იყო (სამაჯური, კინძისთავი, სატევარი, სასაფეთქლე რგოლები და სხვ.). ბ. კუფტინი ფიქრობს, რომ აქ საქმე გვაქვს ან ორ დამოუკიდებელ სამაროვანთან, ანდა, რაც უფრო მართებული უნდა იყოს, ერთი სამაროვნის ორ სხვადასხვა დროის უბანთან¹.

ბ. კუფტინი არც საველე ჩანაწერებში და არც სათანადო ანგარიშში, სამწუხაროდ, არ იძლევა ძალიანს სამაროვანზე მოპოვებული თითოეული სამარხის აღწერილობას და კმაყოფილდება მხოლოდ ცალკეული უბნების სამარხთა ზოგადი დახასიათებით². 1953 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის დროს ძალიანს სამაროვნის დასავლეთ ნაწილში 0, 60 მ სიღრმეზე გათხარეთ ერთი სამარხი. სამარხის ზომებია: ყრილის სიმაღლე—0,42 მ, სიგრძე—1,90 მ, სიგანე 1,50 მ. მიმართულება აღმოსავლეთიდან—დასავლეთისაკენ. მიცვალებულის ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა. სამარხის ცენტრში იღო ერთი ძლიერ დაშლილი ჭურჭელი.

ძალიანს სამაროვნის დასავლეთი უბნის სამარხებში მიცვალებულის ძვლები მეტად ცუდად იყო დაცული. ამიტომაც ყოველთვის ვერ ხერხდებოდა მიცვალებულის პოზის დადგენა. როგორც ჩანს, მიცვალებულს ასაფლავებდნენ მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილს, თავით ზოგჯერ ჩრდილოეთით, ზოგჯერ კი დასავლეთით.

სამაროვნის აღმოსავლეთ უბანზე რამდენადმე სხვაგვარი სურათი გვაქვს. აქაც მიცვალებულის ძვლები მეტად ცუდად იყო დაცული, ამიტომ ძნელდებოდა დამარხვის წესის დადგენა. მიცვალებული, უპირატესად, მარჯვენა გვერდზე უნდა დაესაფლავებინათ, თავით დასავლეთით. მიცვალებულის ფეხებით ჩნდება ჩვეულებრივ ერთი ან ორი თიხის ჭურჭელი, ზოგჯერ ლითონის ინვენტარიც. ლითონისა უმთავრესად სამკაულებია, რომლებიც, როგორც ბ. კუფტინი ფიქრობს, ძირითადად დედაკაცთა სამარხებში გვხვდება. ლითონის იარაღი მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, მეტად პრიმიტიული სატევრის პირი (სამარხი № 2). ერთი სამარხის ქვაყრილში, სამარხის თავზე ნაპოვნი იყო ხელსაფეკვავის ქვა (სამარხი № 4).

¹ Б. А. К у ф т и н. Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лиахви, Пронс, Клярилы и Среднего Риони в 1951 году (рукопись).

² Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი.

დასავლეთი უბანი

- სამარხი 1. ქოთანი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—14,8 სმ (ტაბ. XXIII, 8).
კვირისტავი თიხისა, კონუსისებრი, ნაკლული, დიამეტრი — 4,5 სმ (ტაბ. XXIV, 13).
კაეისა და ობსიდიანის თითო ნატეხი.
- სამარხი 2. ქოთანი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—17,4 სმ (ტაბ. XXIII, 10).
ქინძისთავი სპილენძისა, მარყუეისებრი თავით, ნაკლული (სურ. 44, 7, ტაბ. XXIV, 12).
კაეისა და ობსიდიანის თითო ნატეხი.
- სამარხი 4*. ჯამი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, სიმაღლე—9,6 სმ, დიამეტრი—15,8 სმ.
ნატეხები შავი კურკლისა, ვარდისფერი სარჩულით.
კაეის. ქვის ფირფიტა.
ობსიდიანის ორი ნატეხი.
- სამარხი 5. ქოთანი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ცალყურა, სიმაღლე—13,6 სმ (ტაბ. XXIII, 4).
ქოთანი მოწითალო თიხისა, ცილინდრული ყელით, ნაკლული (სურ. 44, 9).
- სამარხი 6. სასმისი მოყვითალო თიხისა, სიმაღლე—4,5 სმ (სურ. 44, 4, ტაბ. XXIII, 2).

აღმოსავლეთი უბანი

- სამარხი 1. სამაჯური სპილენძის მავთულისა, სპირალური (2 ც.) (სურ. 44, 5, ტაბ. XXIV, 14).
ქინძისთავი სპილენძისა, ბრტყელი თავით, რომლის ორივე ბოლო ხეივით მთავრდება, ნაკლული (სურ. 44, 8).
სასაფეთქლე რგოლი სპილენძის მსხვილი მავთულისა, 1,5 ხეივის. ზაღია მოშავო-მოყავისფრო თიხისა, ცალყურა, სიმაღლე — 8,2 სმ, დიამეტრი—16,5 სმ (ტაბ. XXIII, 9).
- სამარხი 2. სატევრის პირი სპილენძისა, ბრტყელი, უქელო, სიგრძე—12,7 სმ (სურ. 44, 6, ტაბ. XXIV, 7).
ფირფიტა სპილენძისა, ბრტყელი, რკალისებრი მოყვანილობის.
- სამარხი 3. კაეისებრი ნივთი სპილენძისა, სიგრძე—3, 1 სმ (ტაბ. XXIV, 11).
სასაფეთქლე რგოლი სპილენძის მსხვილი მავთულისა, 1,5 ხეივის.

* № 3 სამარხის შესახებ სავლელ დავთარში აღნიშნულია, რომ მხოლოდ კურკლის ნატეხები აღმოჩნდა.

სასაფეთქლე რგოლი სპილენძის წვრილი მავთულისა (2 ც.).

ნატეხები პატარა ზომის ქურკლისა, მოშავო-მოყავისფრო თიხის.

ნატეხები მოზრდილი ქურკლისა, შავი ფერის, ვარდისფერი სარჩულით.

ს ა ნ ა რ ხ ი 4. ბაღია შავი თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—9, 7 სმ, დიამეტრი—22, 5 სმ (ტაბ. XXIII, 6).

დერგი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—30, 2 სმ (ტაბ. XXIII, 5).

ხელსაფეჭავის ქვა.

ს ა მ ა რ ხ ი 5. ნატეხები შავი თიხის ქურკლისა.

ს ა ნ ა რ ხ ი 6. ბაღია, მოშავო-მოყავისფრო თიხისა, ცალყურა, სიმაღლე—8,6 სმ, დიამეტრი 18,7 სმ (ტაბ. XXIII, 3).

დერგი შავი ფერისა, ვარდისფერი სარჩულით, ორყურა, სიმაღლე—28,3 სმ (ტაბ. XXIII, 1).

ძალიან საშაროვანზე, დასავლეთის უბნიდან დაახლოებით 13,0 მ დაშორებით აღმოჩნდა 1,0 მ-მდე დიამეტრის და 2,0 მ-მდე სიღრმის ვერტიკალურკედლებიანი მრგვალი ორმოები. ორმოების ძირზე გადამწვარ მიწაში ჩნდებოდა ნახშირი, თიხის ბათქაშის ნატეხები, თიხის დაღეწილი ქურკელი. ერთ-ერთი ორმოს ძირზე დამტვრეული თიხის ქურკლის ქვეშ გამოჩნდა მოპირკეთებული და გაპრიალებული თიხის იატაკი, იატაკს აშკარად ეტყობოდა ჯვრისებრი მოყვანილობა. ჯვრის ტოტები პერიფერიისაკენ თანდათანობით ფართოვდებოდა. რას წარმოადგენდა ეს ორმოები, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ეგებ მართლაც სწორი იყოს ბ. კუფტინი, რომელიც მათ საკულტო ორმოებად თვლის. იგი ფიქრობს, რომ ორმოები დაკავშირებული იყო დაკრძალვის კულტთან¹. მსგავსი ორმოები გვხვდება აგრეთვე კიკეთის საშაროვანთან, ბეშთაშენის ციხე-სიმაგრესთან და ოზნში.

ორმოებში აღმოჩენილი ჩალეწილი ქურკლიდან აღსანიშნავია:

დისკოიდალური ხუფი მოწითალო თიხისა, მრგვალი და ბრტყელი, უყურო, დიამეტრი 28,0 სმ.

ფრაგმენტები მოზრდილი თიხის ქურკლისა, მოწითალო ფერის, ერთ-ერთ ნატეხს შერჩენილი აქვს ნახევარსფეროსებრი ყური.


ქურკელი შავი თიხისა, მუცლის ქვედა ნაწილზე შერჩენილი აქვს ორი ნახევარსფეროსებრი ყური. ყურები ისეა განლაგებული, რომ საფიქრებელია, მას კიდევ მესამე ყურიცა ჰქონდა.

ქოთანნი შავი თიხისა, ვარდისფერი სარჩულით, დაახლოებით იგივე ფორმისა, როგორც სამარხებში გვხვდება.

ძალიან საშაროვანი თავისი ხასიათით განსხვავდებოდა ყვირილის ზემო წელზე მიკვლეული სამაროვნებისაგან. აქ თითოეული მიცვალებული-

¹ Б. А. Куфтин, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лиахви, Проце, Квирилы и Среднего Риони в 1951 году (рукопись).

სათვის განკუთვნილი იყო ცალკე სამარხი, რომელსაც ზემოდან რიყის ქვის პატარა ყრილი უკეთდებოდა. როგორც ჩანს, ამ ტიპის სამარხები ადრეულ ხანაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში. სავსებით ამგვარივე სამარხი აღმოჩნდა ნულის სამაროვანზე, სადაც ქვაყრილიანი სამარხები მერმინდელ ხანაშიაც განავრცობს არსებობას.



სურ. 44. ძალიანს სამაროვანი: 4, 7, 9—დასავლეთის უბანი; 1, 2, 3, 5, 6, 8, 10—აღმოსავლეთის უბანი.

სამაროვნის დასავლეთი უბანი უფრო ძველი უნდა იყოს. სამარხებში თითო-ორიოლა ჭურჭელი იდო, უმთავრესად ცალყურა ქოთნები. კერამიკა შავია, ვარდისფერსარჩულიანი და გამოირჩევა მკვეთრი გარდატეხის ხაზით მუცლის შუა ნაწილის მახლობლად, თითქმის ყველა პირგადაშლილია და ყური მძებრწილი აქვს ცალი ბოლოთი პირთან, მეორეთი კი მხართან. აღსანიშნავია № 5 სამარხში ნაპოვნი ქოთანი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ამ სამაროვნის სხვა ჭურჭლებისაგან. იგი მოწითალო ფერისაა, თხელკედლიანი, მრგვალი მუცლით და ცილინდრული ყელით. ფორმით იგი უახლოვდება კიკეთის ჭურჭელს. ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი პატარა სასმისი ახლო დგას ქვაცხელების ამგვარსავე ჭურჭელთან. ნიშანდობლივია, რომ აქ არ გვხვდება ბადის ტიპის ჭურჭელი.

სამაროვნის აღმოსავლეთ უბნის სამარხებში აღმოჩენილი კერამიკა უახლოვდება დასავლურს. აქაც გვხვდება შავი ჭურჭელი ვარდისფერი სარჩულით, თუმცა ამავე დროს ხშირია მოშავო-მოყავისფრო ჭურჭელი შავი სარჩულით. ცალყურა ქოთნები სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორიც დასავლეთ უბნის სამარხებში ნაპოვნი ჭურჭელი (სურ. 44, 2, 10). მაგრამ აქ

აღმოჩნდა ისეთი ფორმებიც, რომლებიც არ გვხვდება დასავლეთის უბანზე, კერძოდ, ბადიები და დიდი ზომის დერგები. ბადიები იმავე ტიპისაა, როგორიც საჩხერული და შიდა ქართლური (სურ. 44, 1, ტაბ. XXIII, 3, 6, 9). დერგები დაბალყელიანია, პირგადაშლილი, გარდატეხის მკვეთრი ხაზი მუცლის შუა ნაწილში აქვთ (სურ. 44, 3, ტაბ. XXIII, 1, 5). ეს დერგები თითქოს უფრო ახლოს დგანან ქეაცხელების ამ ტიპის ჭურჭელთან და აგრეთვე ოზნის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ერთ დერგთან. უახლოვდებიან ისინი საჩხერულ ჭურჭლებსაც, ოღონდ ძალიანს კერამიკაზე გარდატეხის ხაზი თითქოს უფრო დაბლაა და უფრო მკვეთრიც. საერთოდ, ძალიანს სამაროვანზე მოპოვებული კერამიკა შედარებით ტლანქია, უხეშად ნაკეთები და ფორმების სიღარიბე ეტყობა, გარდა ამისა, იგი სრულიად სადაა.

რაც შეეხება სამაროვნის მახლობლად ორმოცეში აღმოჩენილ ჭურჭელს, იგი სრულიად სხვაგვარი ხასიათისაა. აქ ძირითადად მოწითალო კერამიკა გვხვდება. აქაურ სამყურა ჭურჭელს მუცელი წაგრძელებული აქვს და ფორმით უფრო ოზნის სამყურა ჭურჭელს უახლოვდება. პატარა ყურები მუცლის შუა ნაწილში ასხია. ამგვარივე ყურები მუცელზე აქვს მეორე ჭურჭელსაც. აღსანიშნავია ერთი მოზრდილი ჭურჭელი, რომელსაც მხართან პატარა ყურები აზის. იგი ფორმით ძალიან ახლო დგას ენეოლითურ ჭურჭლებთან.

გარდა კერამიკისა, ძალიანს სამარხებში აღმოჩნდა ლითონის ნივთებიც. დასავლეთის უბანზე ლითონის ნივთი, პატარა ზომის მარყუჟისებრთავიანი ქინძისთავი, ნაპოვნი იყო მხოლოდ № 2 სამარხში. იგი ძლიერ გავეს საჩხერულ ქინძისთავებს, ოღონდ მათზე უფრო მომცრო ზომისაა (სურ. 44, 7, ტაბ. XXIV, 12).

გაცილებით მდიდარი იყო ლითონის ინვენტარით აღმოსავლეთ უბნის სამარხები. ყველაზე ჭარბად აღმოჩნდა 1,5 ხვიის მრგვალი, მსხვილი და წვრილი სპილენძის მავთულისაგან გაკეთებული სასაფეთქლე რკოლები (ტაბ. XXIV, 10). ეს რკოლებიც და სპირალური სამაჯურიც საჩხერული ტიპისაა (სურ. 44, 5, ტაბ. XXIV, 14)¹.

№ 1 სამარხში აღმოჩენილი ქინძისთავი (სურ. 44, 8) თავისი მოყვანილობით განსხვავდება ჩვენში და საერთოდ კავკასიაში კარგად ცნობილი ამ ტიპის ქინძისთავებისაგან. ძალიანს ეგზემპლარს აქვს ბრტყელი, რკალისებრი მოყვანილობის თავი, რომლის ორივე ბოლო ხვეულით მთავრდება. ყველაზე მეტად ეს ქინძისთავი უახლოვდება ნალჩიკში, № 4 ყორღანში აღმოჩენილ ქინძისთავს². მასაც თავი ბრტყელი აქვს დახვეული ბოლოებით. ემსგავსება იგი აგრეთვე ნალჩიკში აღრევე ნაპოვნ ერთ ქინძისთავს³. ბ. დეგენმა ნალჩიკში აღმოჩენილი ამ ტიპის ქინძისთავების განხილვისას აღნიშნა, რომ მათი ორი ვარიანტი გვხვდება. მეორე ვარიანტმა „ცხვის რქისებრ“ დახვეული

¹ ი. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 97.

² Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке гор. Налчыка, гв. 249, სურ. 28, 2.

³ იქვე, გვ. 249, ტაბ. X, 2.

თავით უფრო ფართო გავრცელება მოიპოვა. მისი აზრით, ეს ვარიანტი უნდა ყოფილიყო პროტოტიპი დიგორიის დიდი ზომის ქინძისთავებისა¹.

ბ. დეგენის ეს მოსაზრება ძირითადად მართებული უნდა იყოს. „ცხვრის რქისებრი“ თავიანი ქინძისთავი, როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ გავრცელდა. პირველი ვარიანტის ქინძისთავი ბრტყელი, დახვეულობლოვებიანი თავით შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. იგი დროის მიხედვით რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს „ცხვრის რქისებრ“ თავიან ქინძისთავს. ამას მოწმობს ძალიანს ქინძისთავი, რომელიც, ვფიქრობთ, აღრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. „ცხვრის რქისებრი“ თავიანი ქინძისთავი მომდევნო პერიოდში გავრცელებულა. შეიძლება იგი სწორედ ძალიანს ტიპის ქინძისთავისაგან განვითარდა. აფხაზეთის დოლმენებიდან ცნობილია აგრეთვე ქინძისთავი ბრტყელი, ზემოდან „ცხვრის რქისებრ“ დახვეული თავით². ეს ტიპი ქინძისთავისა გარკვეულ მსგავსებას პოულობს ვენის მუზეუმში დაცულ ერთ ქინძისთავთან „რახტი-გალიათიდან“³ და ისტორიის მუზეუმში, ფილიმონოვის კოლექციონში დაცულ ქინძისთავთან, ოღონდ ამ უკანასკნელის თავის ზედა ნაწილში გამოყვანილი ხვეული ორნამენტის საშუალებითაა ნაჩვენები⁴. ახლო დგას იგი ლურისტანში⁵ და ალიშარ II ნაპონ ქინძისთავებთანაც. დ. გორდონი აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ქინძისთავისა თარიღდება 1900—1700 წწ. და ერთ-ერთი იმ ნივთთაგანია, რომელიც კავშირს აბამს ანატოლია-კავკასია-ირანს შორის⁶. საფიქრებელია, რომ ქინძისთავის ეს ვარიანტიც, ბრტყელი ბოლოებჩახვეული თავით, განვითარდა ძალიანს ტიპის ქინძისთავიდან.

№ 1 სამარხში აღმოჩენილი სატევრის პირი პატარა ზომისაა მეტად თხელი, ლუწუნწო, სამკუთხა მოყვანილობის სატარით (სურ. 44, 6; ტაბ. XXIV, 7). საჩხერული სატევრის პირების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მსგავსი სატევრის პირები ჩვენში აღრევე ჩნდება, მაგრამ ისინი მაინც რამდენადმე უფრო გვიან იწყებენ გამოჩენას, ვიდრე უწინაინ სატევრის პირები. ეს უყუნწო სატევრის პირები, ჩანს, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ სამკუთხა მოყვანილობის მქონე სატევრის პირების პროტოტიპი უნდა ყოფილიყო.

ბ. კუფტინმა თავის წინასწარ ანგარიშში გამოთქვა მოსაზრება, რომ ძალიანს სამაროვნის აღმოსავლეთი უბნის სამარხები უფრო მოგვიანო უნდა იყოს, ვიდრე დასავლეთისა. იგი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთის სამარხები მიეკუთვნება აღრებრინჯაოს ხანის ბოლოს, საჩხერის სამაროვნების შემდგომ ეტაპს. დასავლეთის უბნის სამარხების შესახებ კი აღნიშნავს, რომ ისინი

¹ Б. Е. Деген, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

² თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დოლმენური კულტურა საქართველოში, დსუ შრომები, 77; თბილისი, 1959, გვ. 89, სურ. 7.

³ F. Hančar, Die Nadelformen des Kaukasusgebietes, გვ. 162, სურ. 25.

⁴ А. А. Нессен, Прикубинский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века, МНА. 23, М.—Л. 1951, გვ. 105.

⁵ A. Godard, Les Bronzes du Luristan, Paris, 1931, გვ. 72, ტაბ. XXIII, 128.

⁶ D. N. Gordon, დასახ. ნაშრომი, გვ. 59, სურ. 3, 22—4.

შედარებით ადრეულია და შეიძლება გაუტოლოთ საჩხერული სტადიის უადრეს საფეხურს¹. ჩვენის აზრით ბ. კუფტინის ეს მოსაზრება ძირითადად სწორია. ამ სამაროვნის დასავლეთ უბანი მართლაც უფრო ადრეული ჩანს. სხვა მონაცემებთან ერთად, ამის მხარს უჭერს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მარუჟეისებრთაფიანი ქინძისთავი, რომელიც, როგორც ვნახეთ, საჩხერის სამაროვნების ადრეული ეტაპისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომაც, ეგებ უფრო მართებული იყოს, თუ ამ უბნის სამარხებს საჩხერის სამაროვნების ადრეულ ეტაპს, 2400—2300 წწ. მივაკუთვნებთ. რაც შეეხება აღმოსავლეთ უბანს, იგი შეიძლება გაუტოლდეს ამ სამაროვნების შედარებით მოგვიანო სტადიას, III ათასწლეულის ბოლოს ან III და II ათასწლეულის მიჯნას.

საჩხერულ სამაროვნებთან შედარებით ძალიანს სამარხებში ლითონის ინვენტარი ღარიბულადაა წარმოდგენილი და უფრო პრიმიტიული ფორმებით ხასიათდება. ეს გარემოება ალბათ იმით აიხსნება, რომ მეტალურგია სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ტემპით ვითარდება. ამგვარ სურათს ვხვდებით ანატოლიაშიც². სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ მეტალურგია ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე საქართველოს დასავლეთ ნაწილში უფრო სწრაფად დაწინაურებულა, ვიდრე აღმოსავლეთში. შესაძლოა ამის ანარეკლი იყოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან ამ ხანის ლითონის ნივთები ნაკლებადაა წარმოდგენილი (თრიალეთის ყორღანები, სამგორის ყორღანი და სხვ.). აქ მსხლოში მიწათმოქმედი ტომები, ჩანს, უფრო დიდხანს ინარჩუნებენ ძველ ტრადიციებს, ვიდრე ისინი, რომელთა შორისაც ადრე ვითარდება მესაქონლეობა, რაც ერთგვარად ხელს უწყობს მეტალურგიის დაწინაურებას³.

შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში სხვაგანაც იჩინა თავი ამ ხანის მასალებმა. სოფ. ნულში იმ ადგილას, სადაც ცნობილი შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი მდებარეობს, აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელიც უთუოდ უფრო ადრინდელი უნდა იყოს. იგი უახლოვდება ძალიანს სამაროვნის სამარხებს. აქაც სამარხს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა. მიცვალებული პირდაპირ მიწაში იდო მარჯვენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი და თან ახლდა სამი თიხის ჭურჭელი. კერამიკა შავია, ვარდისფერი სარჩულით⁴. აქ აღმოჩენილი დერგი ხუფით ძალიან ახლო დგას ძალიანს ამ ტიპის ჭურჭელთან (ტაბ. XXIV, 1). ბაღია ქვაცხელების ბაღიებს უახლოვდება (ტაბ. XXIV, 4), ტოლჩა კი — ოზნის და ქულბაქების ამგვარ ჭურჭელს (ტაბ. XXIV, 2). უნდა აღვნიშნოთ, რომ ნულის კერამიკა ძალიანს ჭურჭელთან შედარებით გაცილებით უკეთაა ნაძერწი.

¹ Б. А. Куфтин, Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лнахин, Прояе. Квирини и Среднего Риони в 1951 году.


² D. B. Stronach, დასაბ. ნაშრომი, გვ. 90.

³ თ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49, თბილისი, 1953, გვ. 211.

⁴ თ. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, გვ. 98, ტაბ. XI, 2, 3, 4.

აღსანიშნავია შიგ სტალინირში, კვაისას მშენებლობის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი მასალა. აქ ნაპოვნი იყო ვარდისფერსარჩულიანი შავი ფერის ბადიის ფრაგმენტი და მოშავო-მოყავისფრო ფერის ქილისებრი კურკლის ნატეხები. კურკლებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე კიდებდათხელეებული, ყუნწიანი სატევრის პირი (ტაბ. XVI, 12), საჩხერული ტიპისა (ეს პირველი შემთხვევაა ამ ტიპის იარაღის აღმოჩენისა სხვაგან). რაც შეეხება კურკელს, ისიც ახლო დგას საჩხერულ და საერთოდ ამ ტიპის კერამიკასთან.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ქვასათლის სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სამარხი, რომელიც, როგორც ჩანს, შედარებით ადრეულია. ეს სამარხი იმითაა საყურადღებო, რომ აქ ტიპიურ შუა ბრინჯაოს ხანის მასალასთან ერთად ნაპოვნი იყო ისეთი ნივთები, რომლებსაც უფრო ადრეული



სურ. 45. სამარხი № 6 (ქვასათალი).

იერი აქვთ. თიხის კურკლიდან აღსანიშნავია ნატეხები შავი ფერის ვარდისფერსარჩულიანი ბადიისებრი კურკლისა (სურ. 45, 3), რომელიც „კვაისას-მშენის“ ბადიას უახლოვდება. აქვე აღმოჩნდა თრიალეთის ბადიკის ყორღანის ერთ-ერთი კურკლის მსგავსი ტლანქი ცალყურა ჩილა (სურ. 45, 2)¹. ამგვრ სამარხიდან ცნობილია ბრტყელი მძივსაკიდები (სურ. 37, 2), რომლებიც, როგორც აღვნიშნავდით, უახლოვდებიან პასიეთის ყორღანზე ნაპოვნი მძივსაკიდს.

ამრიგად, ეს მასალები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ ამ ხანაში ახლო ურთიერთობა ყოფილა ყვირილის ზემო წელზე მსხლომ ტომებსა და შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის მოსახლეობას შორის.

¹ ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბადიკის ყორღანი, საქ. მეცნ. აკად. მოაზბე, ტ. XI, № 10, თბილისი, 1950, გვ. 697.

დოღმენური კულტურის აღიქვლი ეპაჟი სჟჟართჟელოჟი

საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ბრინჯაოს კულტურის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანი მასალები აღმოჩნდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელ ხანებში გამოვლენილ დოღმენებში. კავკასიაში მანამდე დოღმენები ცნობილი იყო მხოლოდ ჩრდილო კავკასიიდან და მათ შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს. პირველ ცნობას კავკასიის დოღმენების შესახებ უკვე გვხვდებით დიუბუა დე მონპერეს ნაშრომში¹. შემდეგში ჩრდილო-კავკასიის დოღმენებით დაინტერესდნენ სხვა მკვლევარებიც: ფ. ბაიერი², ნ. კამენევი³, ვ. სიზოვი⁴, ვ. სისოევი⁵ და სხვ., მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. ფელიციანის მოღვაწეობა ჩრდილო კავკასიის დოღმენების შესწავლის საქმეში⁶.

აფხაზეთის დოღმენების აღმოჩენამდე, დასავლეთ კავკასიის დოღმენების გავრცელების სამხრეთი საზღვარი სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ე. ფელიციანი აღნიშნავდა, რომ მდ. ფეზუაფსის იქით, შავი ზღვის სანაპიროზე დოღმენები აღარა გვხვდება⁷. პ. უვაროვას აზრით, შავი ზღვის სანაპიროზე დოღმენების გავრცელების უკიდურეს პუნქტს წარმოადგენდა მდ. კოდოში და შახე. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში ადგილობრივ მოსახლეობას დოღმენების შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვს, რაც უთუოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ დოღმენები ამ

¹ Е. Д. Фелициан, Западно-Кавказские дольмены, МАК, IX, Москва, 1904, გვ. 4.

Е. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, I, Paris, 1885, გვ. 51.

² Ф. Байерн, О древних сооружениях на Кавказе, Сборник сведения о Кавказе, т. I, Тбилиси, 1871, გვ. 298.

³ Н. Камеиев, Попытки археологических разведок в Кубанской области, Кубанские войсковые ведомости, 1870, № 47.

⁴ В. Сивов, Археологические экскурсии, МАК, II, Москва, 1889, გვ. 59.

⁵ В. М. Сысоев, Археологические экскурсии по Закубавью в 1892 г., МАК, IX, Москва, 1904, გვ. 89.

⁶ Е. Д. Фелициан, დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

⁷ Е. Д. Фелициан, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

მხარეში არ ვაგვრცელებულა¹. მაგრამ უკვე ა. მილერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დოლმენები ვაგრასთან და, ეგებ, მის სამხრეთითაცაა საქმებარი². ა. მილერის მიერ ვარაუდით გამოთქმული ეს მოსაზრება სავსებით დადასტურდა და დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენები რამდენიმე ადგილასაა ცნობილი. პირველი ცნობა აფხაზეთში აღმოჩენილი დოლმენების შესახებ გამოაქვეყნა ვ. სტრიევემა, რომელმაც სოფ. ახანტის მახლობლად ნაბა რამდენიმე დოლმენი³. შემდეგ დოლმენები აღმოჩნდა სოფ. აქანდარაში, ოთხარაში და ეშერში⁴. ლ. სოლოვიოვის ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ნაშრომში მოტანილი აქვს ცნობები აფხაზეთის სხვა ადგილებში დოლმენების აღმოჩენის შესახებ⁵. ფსხუს რაიონში მას ორი დოლმენი უპოვნია. რამდენიმე ჯგუფი დოლმენებისა დამოწმებულია აგურადსთას ველზე და მდ. ბაულის შესართავთან. გვხვდება დოლმენები დოუს გადასასვლელთანაც. სოფ. ყულანურხვაში ერთი დოლმენია ცნობილი. ამგვარივე დოლმენი ნაპოვნია სოფ. ხაბუში. რამდენიმე ჯგუფი დოლმენებისა აღმოჩენილია სოფ. შრომასთან (მიხაილოვსკაია). შეუპოვებელი ცნობით, აღნიშნავს ლ. სოლოვიოვი, დოლმენები თითქოს უნდა იყოს ოჩამჩირის რაიონში სოფ. ათხრასთან. პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, ერთი ნაღობმენარი ქვა უნდა იყოს ზუგდიდთან⁶. დოლმენური კულტურის ვაგვრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარმა დღეისათვის თითქოს უფრო შორს გადმოინაცვლა. საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგან დოლმენები ჯერჯერობით ცნობილი არ არის⁷. არც ამიერკავკასიის სხვა ადგილებში ვაგვრცელებულა დოლმენები მაინცდამაინც, რამდენად სანდოა ცნობა იმის შესახებ,

¹ П. С. Уварова, Несколько дополнительных сведений по вопросу о Кавказских дольменах, МАК, IX, Москва, 1904, гл. 175.

² А. А. Миллер, Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907, Изв. Арх. Ком., вып. 35, СПб, 1909, гл. 83.

³ В. Н. Стражев, К Азиатскому дольмену, Изв. Абх. научного общ., вып. II, Сухуми, 1926, гл. 125.

⁴ М. М. Иващенко, Исследование арханческих памятников матерьяльной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, гл. 14.

⁵ А. Н. Соловьев, Погребения дольменной культуры в Абхазии и прилегающей ей части Адлерского района, 1960, рукопись.

⁶ გ. ჩიტაია, სამეგრელოს ექსპედიციის ანგარიში (ხელნაწერი).

⁷ მ. ივანჯიკო თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (გვ. 10) აღნიშნავს, რომ დოლმენები ცნობილია აგრეთვე წალკის რაიონში. საიდან აიღო მან ეს ცნობა, ჩვენთვის უცნობია. ლ. მელიქიეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ ატრაპეტი კოროზის აუზის აღწერაში იხსენიებს დოლმენებს, მაგრამ რა ტიპისაა ეს დოლმენები, — გაურკვეველია (ლ. მელიქიეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 76).

რაც შეეხება ცნობას გოდერძის უღელტეხილთან, კედელეთის ტყეში აღმოჩენილი „საცხოვრებლის ტიპის დოლმენის“ შესახებ (ვ. ვ. ჯანტურია, გოდერძის მიდამოებში ერთი, დღემდე უცნობი „ნაქალაქედა“ წოდებული, განსაკუთრებული ნაშრომის შესახებ, საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ქუთაისი, 1954, გვ. 48), ჯერ კიდევ შეიძლება მოითხოვს. შესაძლოა ეს ძველი უკავშირდება აქვე აღმოჩენილ საშუალო საუკუნეების ნაშრომებს (ი. ნიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 172).

თითქოს დოლმენები სომხეთშიაც ყოფილა გავრცელებული¹, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, ეს დოლმენები აქ არავის შეუსწავლია. კარგადაა ცნობილი დოლმენები ლენქორანის მხარეში, თალიშში², სადაც ისინი, როგორც ბ. კუფტინი ფიქრობს, ირანიდან უნდა გავრცელებულიყვნენ³.

ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, დოლმენები ძირითადად გავრცელებული იყო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებოა საკითხი კავკასიაში დოლმენური ტიპის სამარხების გაჩენის თუ წარმოშობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ დოლმენები ფართოდ იყო გავრცელებული აზიაში, აფრიკასა და ევროპაში⁴ და მკვლევარებს დიდი ხანია აინტერესებთ მათი წარმოშობა-გავრცელების საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი და ორი მოსაზრება გამოთქმულა, მაგრამ დღემდე ამ პრობლემის ირგვლივ არ არსებობს ერთი გარკვეული აზრი. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დოლმენური კულტურა ევროპიდან უნდა გავრცელებულიყო⁵. ზოგი მათ აფრიკული წარმოშობისად თვლის⁶, ზოგი აზიური⁷, ზოგიც კავკასიური⁸ და სხვ. სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ დოლმენებს შორის მართლაც იმდენი საერთო ჩანს დეტალებშიაც კი, რომ ეს საფუძველს აძლევს ზოგიერთ მკვლევარს, — ივარაუდოს „დოლმენური კულტურის“ გავრცელება ერთი რომელიმე ცენტრიდან⁹. მაგრამ დოლმენების წარმოშობისა და გავრცელების საკითხი ჯერ კიდევ ღიაა რჩება. ერთ-ერთი მთავარი ნიშეზი ამისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ დოლმენების შესწავლა ყოველთვის სათანადო სიმალლეზე არ იდგა და, რაც მთავარია, მათი დათარიღების საკითხი მოიკოჭლებდა¹⁰. საკუთრივ კავკასიის დოლმენების წარმოშობის საკითხის შესახებაც სხვადასხვა მოსაზრებები იყო გამოთქმული. ჯერ კიდევ ა. უფაროვი ფიქრობდა, რომ დოლმენური კულტურა უნდა გაჩენილიყო აზიაში და აქედან გავრცელებულიყო სხვაგან¹¹. ამ კულტურის მატარებელმა ხალხმა, ვიდრე

¹ Н. Г. Бунатов, Ю. С. Ярилов, Архитектура Армении. Москва, 1950, 33- 19.

² J. de Morgan. Le prehistoire Orientale, т. III, Paris, 1927, 33. 190.
И. Азизбеков. Древности Ленкоранского края, Изв. Азерб. арх. комитета, вып. II, Баку, 1926, 33. 75.

³ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 33. 262.

⁴ F. Dechelette, Manuel d'archeologie prehistorique Celtique et Gallo-Romaine, т. I, Paris, 1908.

⁵ E. Chantre, დასახ. ნაშრომი, 33. 64.

⁶ А. С. Уваров, Мегалитические памятники в России, Древности, Труды Московского археологического общества, т. VI, Москва, 1876, 33. 281.

Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, 33. 295.

⁷ А. С. Уваров, დასახ. ნაშრომი, 33. 271.

⁸ E. Chantre, დასახ. ნაშრომი, 33. 63.

⁹ Е. Д. Фелицын, დასახ. ნაშრომი, 33. 2.

¹⁰ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, 33. 265.

Ф. Dechelette, დასახ. ნაშრომი, 33. 414.

¹¹ А. С. Уваров, დასახ. ნაშრომი, 33. 274.

ევროპაში შევიდოდა, კავკასიაზე გაიარა. ე. ფელიცინი აღნიშნავდა, რომ კავკასიის დოლმენები ფორმითა და აგების წესის მხრივ ახლოს დგანან ინდოეთის დოლმენებთან, ხოლო დასაფლავების წესით უახლოედებიან ალკირისა და საფრანგეთის დოლმენებს¹. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კავკასიის დოლმენები შესაძლოა პალესტინისა და ევროპის დოლმენური კულტურის შემავლავშირებელი იყო². ბ. ჰროზნი ფიქრობდა, რომ შესაძლოა დოლმენები სირია-პალესტინაში აღმოსავლეთ მცირე აზიის გზით გავრცელებულიყო ამიერკავკასიიდან³. რიგი მკვლევარებისა იმ აზრისაა, რომ დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხის სამშობლო კავკასიის რაიონებშია საძებარი⁴. უკანასკნელ ხანებში კავკასიის დოლმენური კულტურის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა ლ. სოლოვიოვმა. იგი ფიქრობს, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოლმენების აგების წესი უნდა გავრცელებულიყო სირია-პალესტინიდან⁵. დოლმენების გამოჩენა შავი ზღვის სანაპიროზე, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო შედეგი მცირე აზიასთან მჭიდრო ურთიერთობისა, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა საზღვაო გზით⁶. აფხაზეთში დოლმენური კულტურის გამოჩენის საკითხს ეხება აგრეთვე ზ. ანჩაბაძე. იგი ძირითადად ეთანხმება ლ. სოლოვიოვის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დაკრძალვის ეს წესი ჩვენში უნდა შემოსულიყო მცირე აზიიდან გადმოსახლებულ ხალხთან ერთად, შესაძლებელია, დასავლეთ კავკასიაში ქაშუქების გადმოსახლებასთან დაკავშირებით⁷. თუმცა ლ. სოლოვიოვი ვარაუდობს, რომ დოლმენების აგება შავი ზღვის სანაპიროზე რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს ქაშუქების გამოჩენას⁸. ზ. ანჩაბაძისა და ლ. სოლოვიოვის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება უთუოდ საყურადღებოა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ იგი მეტ საბუთიანობას მოითხოვს. დღეისათვის არსებული მასალით გაძნელებდა მაინცდამაინც გადაჭრით მტკიცება იმისა, რომ კავკასიის დოლმენები სირია-პალესტინიდან ან კიდევ მცირე აზიიდანაა გამოსული.

სირიაში, პალესტინაში, აღმოსავლეთ იორდანიაში ცნობილია სხვადასხვა ტიპის დოლმენები⁹, რომლებიც ერთგვარად განსხვავდებიან კავკასიურ

¹ Е. Д. Фелицин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 38.

² Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, Bd. XLII, Heft 3 und 4, Wien, 1935, გვ. 304.

³ Б. Грозный, *Доисторические судьбы Передней Азии*, ВДИ, № 3—4, Москва, 1940, გვ. 29.

⁴ T. Burton Brown, *Excavations in Azarbaijan*, 1948, გვ. 225.

⁵ Л. Н. Соловьев, *Новый памятник культурных связей Кавказского причерноморья в эпоху неолита и бронзы-стоянки Воронцовской пещеры, Тр. Абхазского института, азыма, литературы и истории, т. XXIX, Сухуми, 1958, გვ. 150—157.*

⁶ А. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 157, 165.

⁷ З. В. Анчабадзе, *Не истории средневековой Абхазии (этническое развитие абхазов и грузинско-абхазские отношения)*, Тбилиси, 1960, გვ. 33, 34 (ბელნაწერი).

⁸ Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

⁹ A. Jirkiu, *Die Ausgrabungen in Palästina und Syrien*, Halle, 1956, გვ. 82. W. F. Albright, *The Archaeology of Palestine*, 1954, გვ. 64.

ტიპებისაგან. ისინი თითქოს უფრო უხეშად ნაგები ჩანან¹. ჯერჯერობით არც ამ დოღმენების თარიღის დადგენა ხერხდება². რაც შეეხება საკითხს დოღმენების მცირე აზიიდან გავრცელების შესახებ და მათ დაკავშირებას ქაშქების გადმოსახლებასთან, საამისო ხელმოსაკიდებელი მასალა არა გვაქვს. რამდენადაც ვიცით, დოღმენები მცირე აზიაში და კერძოდ კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქაშქები მოსახლეობდნენ³. ცნობილი არ არის.

ამგვარად, საიდან გავრცელდა კავკასიაში სამარხის ეს ტიპი, დადგენილი არ არის. შესაძლოა იგი მართლაც მეზობელი კულტურების გავლენის შედეგია⁴. თუმცა ბევრი ფიქრობს, როგორც ბ. ბრაუნი აღნიშნავს, რომ იმ დოღმენების საშობლო, რომლებსაც წინა კედელში ხვრელი აქვთ დატანილი, კავკასია უნდა ყოფილიყო⁵. მაგრამ, ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რიგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ბ. პიოტროვსკი, რომ მოსახრებას კავკასიაში „დოღმენური კულტურის“ მიგრაციის შესახებ არაფერთარი საფუძველი არა აქვს. აფხაზეთის და საერთოდ კავკასიის დოღმენებში მოპოვებული მასალა ასახავს კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურას⁶.

ამ საკითხების გარკვევას ართულდება ისიც, რომ დოღმენების თარიღის შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობდა. კავკასიის დოღმენების პირველმა შემსწავლელებმა არ მოგვეცეს დოღმენებში მოპოვებული მასალის სწორი ანალიზი; კარგახანს გავრცელებული იყო ე. ფელიციანის მიერ გამოთქმული მოსაზრება დასავლეთ კავკასიის დოღმენების შესახებ, რომელთაც იგი საკმაოდ გვიანდელ ხანას მიაკუთვნებდა⁷. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩრდილო კავკასიის დოღმენების ინვენტარი, მიუხედავად იმისა, რომ აქ შედარებით ბევრი დოღმენია შესწავლილი, მაინც მეტისმეტად ღარიბულია. ეგებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იმთავითვე არასწორი აზრი არსებობდა კავკასიის დოღმენური კულტურის შესახებ⁸. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კომპლექსი, მართალია, მეტად მცირე, აშკარად უფრო ადრინდელი იყო (გელენჯიკის დოღმენი⁹, აბაძებსკაიას დოღმენი¹⁰ და სხვ.).

აფხაზეთის დოღმენების შესწავლამ ბევრი რამ ახალი შეიტანა კავკასიის დოღმენური კულტურის შესწავლის საქმეში. აქ მოპოვებული მდიდარი ინ-

¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

² А. Jirku, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

³ Г. А. Меликшивили, Папри-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 74.

⁴ Очерки истории СССР, Первобытно-общинный строй и древнейшие государства, Москва, 1956, გვ. 137.

⁵ Т. Вигтон Вигон, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

⁶ Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении, СА, XI, М—Л, 1949, გვ. 162.

⁷ Е. Д. Феденцын, დასახ. ნაშრომი, გვ. 36, 38, 56, 61.

⁸ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 299.

⁹ В. Сизов, Археологические экскурсии, МАК, II, Москва, 1889, გვ. 59.

¹⁰ Н. Каменев, დასახ. ნაშრომი.

ვენტარის წინასწარი ანალიზის გზით, მართალია, არასავსებით ზუსტად და სრულად, მაგრამ მაინც შესაძლო გახდა დოლმენებში რამდენიმე ფენის დადგენა. ამან გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე დასავლეთ კავკასიის დოლმენური კულტურის შესწავლის საქმეშიც. ჩრდილო კავკასიის დოლმენებში აღრევე მოპოვებული მასალის აფხაზეთის დოლმენურ ინვენტართან შედარება-შეჯერების გზით შესაძლებელი გახდა აქაც რამდენიმე ფენის გამოყოფა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ახლა დასავლეთ კავკასიის დოლმენებში სულ ცოტა ორი ფენის გამორჩევა მაინც შეიძლება¹.

აფხაზეთის დოლმენების პირველმა შემსწავლელებმა ალბათ იმის გამო, რომ დოლმენების გათხრის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, ვერ შენიშნეს მათში სხვადასხვა ფენები, თუმცა მ. ივაშჩენკომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეშერის დოლმენებში ისეთი ნივთებიცა გვხვდება, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანის სამარხეული ინვენტარისთვისაა დამახასიათებელი, ამიტომ მან ეს დოლმენები ძვ. წ. II ათასწლეულს მიაკუთვნა².

1934 წ. და განსაკუთრებით კი 1937 წ. ეშერში ჩატარებულმა სამუშაოებმა ნაწილობრივ მაინც მოჰფინეს სინათლე ამ საკითხს. გაირკვა, რომ დოლმენებში რამდენიმე ფენის გამოყოფა შეიძლება. ბ. კუფტინმა აქ სამი ფენა გამოარჩია. ქვედა, ძირითადი ფენა მან მიაკუთვნა ბრინჯაოს ხანის აღრევე საფეხურს, მეორე ფენა—წინაყოფიანურ პერიოდს, ხოლო მესამე, ზედა ფენა კოლხური მონეტით დაათარიდა³. ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ფენებს უნდა დამატოს კიდევ ერთი ფენა—გვიანბრინჯაოს ხანისა. ჯერ კიდევ 1937 წ. ლ. სოლოვიოვის მიერ გათხრილ № II დოლმენში (ჯერჯერობით ერთადერთი, რომელშიაც ოთხივე ფენა გამოირჩევა) აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს პერიოდის მასალა⁴. ამ პერიოდის მასალა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 1955 წ. გათხრილი № I დოლმენის ზედა ფენაში⁵. არ უნდა იყოს მთლად მართებული ბ. კუფტინის მოსაზრება დოლმენების აგების დროის შესახებ. მისი აზრით, დოლმენების შენების დრო ჩვენში აღრებრინჯაოს ხანაზე, III და II ათასწლეულების მიჯნაზე მოდის⁶. დოლმენების აგების შემდეგ, როგორც ჩანს, აქ კიდევ დიდხანს ასაფლავებდნენ მიცვალებულებს⁷. მართალია დოლმენების გამოჩენა ჩვენში იწყება ბრინჯაოს კულტურის აღრინდელ საფეხურზე, მაგ-

¹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 299.

² М. М. Иващенко, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 50.

³ Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, გვ. 15.

Б. А. Куфтин, *К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии*, გვ. 8.

Б. А. Куфтин, *К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии*, გვ. 305.

⁴ А. Н. Сохольев, *Дневник раскопок долины № II в сел. Кюр-Дере, 2—8/IX, 1937* (ბელნავერი).

⁵ ი. ჯაფარიძე, *დოლმენური კულტურა საქართველოში*, გვ. 87.

⁶ Б. А. Куфтин, *К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе*, გვ. 305.

Б. А. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, გვ. 16.

⁷ Б. А. Куфтин, *К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии*, გვ. 9.

რამ მომდევნო ხანაშიაც განაგრძობენ მათ აგებას. სწორედ ეს გვიანი ხანის დოლომენები უნდა იყოს შედარებით დიდი და უკეთესად დამუშავებული¹. რომ მართლაც ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ წესად ყოფილა დოლომენების მშენებლობა, ამას მოწმობს 1955 წ. შესწავლილი № I დოლომენი. ამ დოლომენში კარგად ჩანდა ფენათა სტრატეგრაფია და აშკარად გამოიჩინებოდა ორი ფენა. ზედა ფენა, როგორც აღვნიშნეთ, გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, ქვედა, ძირითადი ფენა კი შუა ბრინჯაოს პერიოდისა უნდა იყოს². საფიქრებელია, რომ ამ დროს ააგეს თვით ეს დოლომენიც. შუა ბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს აგრეთვე მ. ივაშჩენკოს მიერ გათხრილი № I დოლომენი, ბ. კუფტინის მიერ 1937 წ. შესწავლილი ეშერის № IV დოლომენი და აზანთის დოლომენები³. უმართებულო ჩანს ის მოსაზრება, თითქმის ჩვენში დოლომენების მშენებლობის ხანა III—II ათასწლეულების მიჯნა იყო. ა. ტალგრენი ფიქრობდა, რომ დასავლეთ კავკასიის დოლომენურ კულტურას 200—300 წწ. ხანგრძლიობა უნდა ჰქონოდა⁴. მაგრამ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ყოველ შემთხვევაში აუხაზური მასალების საფუძველზე, დოლომენების აგების ტრადიცია ჩვენში თითქმის მთელი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის განწავლობაში არსებობდა.

აუხაზეთის დოლომენებიდან დღეისათვის მხოლოდ ეშერის და აზანთის ჯგუფის დოლომენებია შესწავლილი. შედარებით უკეთაა გამოკვლეული ეშერის დოლომენები. ეს ჯგუფი ერთ ხაზზე განლაგებული თხუთმეტამდე დოლომენისაგან შედგება⁵. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაშიაც დოლომენები ჯგუფებად გვხვდება, ძირითადად ერთ ხაზზე განლაგებული⁶. ეშერის დოლომენებში სამარხეული ინვენტარის მიხედვით შეიძლება გამოვარჩიოთ ორი ჯგუფი: პირველი ადრებრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს, მეორე—შუა ბრინჯაოს პერიოდს. ამემაღ ჩვენ პირველი ჯგუფის დოლომენები გვიანტერესებს.

ადრეულ ჯგუფში იქცევა ეშერში გათხრილი შემდეგი დოლომენები:

1934 წ.

დოლომენი № II. ბ. კუფტინის მოცემული აქვს ამ დოლომენის მხოლოდ შიდა ზომები⁷: წინა კედლის სიგრძე — 1,92 მ; სიმაღლე — 1,20 მ; სახურავის ქვის სივანე — 2,75 მ; სისქე — 0,38 მ; ხერელის. დიამეტრი — 43×38 სმ. გვერდით კედლებს წინა და უკანა მხარეს 10 სმ სივანის ნარიბანდები ჰქონდა. დოლომენის ძირზე წინა და უკანა კედლის ქვეშ თითო ქვა ილა.

ეს დოლომენი გათხრილი იყო ნაწილობრივ ადრევე ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ, რომლებსაც აქ უპოვნიათ ადამიანის ძვლები, ხუთი თავის ქალა და თიხის ქურქლის ნატეხები.

¹ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

² ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

³ იქვე, გვ. 101.

⁴ A. M. Tallgren, Sur les monuments mégalithiques du Caucase occidental, ESA, IX, Helsinki, 1934, გვ. 28.

⁵ Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 261.

⁶ Е. Д. Фелициане, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

⁷ Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 278.

მიცვალეზულის ძვლები სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა დოლმენის ძირი-
დან 55—41 სმ ზემოთ. სულ 30-მდე თავის ქალა იყო აღმოჩენილი¹.

ამ დოლმენის ინვენტარი შედარებით ლარიზულაა. ნივთები ძირითადად აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. აქ ნაპოვნია კავი, დანის პირი, მძი-
ვები და სამი პატარა თიხის ჭურჭელი. უკანა, მარცხენა კუთხეში აღმოჩნდა
ერთი თიხის ჭურჭელი და დანის პირი².

დოლმენი № IV. ეს დოლმენი ჯერ კიდევ 1930 წ. ნაწილობრივ გა-
თხარა მ. ივაშენკო³. მან მისი მხოლოდ წინა მხარე გამოწმინდა და დოლ-
მენის ძირზე რამდენიმე სამარხი აღმოაჩინა. 1934 წ. ეს დოლმენი მთლიანად
გამოწმინდა ბ. კუფტინმა და უკანა კედელთან კიდევ რამდენიმე სამარხი იპოვა⁴.

დოლმენის წინა კედლის სიგრძე—2,37 მ; სიმაღლე—1,85 მ; მარჯვენა
გვერდითი კედლის სიგრძე—3,50 მ; სიმაღლე—1,84 მ; უკანა კედლის სი-
გრძე—1,81 მ; სიმაღლე—1,38 მ⁵; ხერხლის დიამეტრი—0,51×0,49 მ⁶. დოლ-
მენის წინა მხარე მიმართული იყო სამხრეთ-დასავლეთით. წინა კედლის ქვეშ
ქვა იდო. ორივე გვერდით კედლებს 10 სმ სივანის ნარიბანდები ჰქონდა.

დოლმენის წინა მხრის აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ძლიერ დაშლი-
ლი ადამიანის ძვლები, ორი თიხის ჭურჭელი, ლითონის რამდენიმე წვრილი
მძივი და პატარა ქვის მძივი. დასავლეთ კუთხეში ნაპოვნი იყო ყუადაქანე-
ბული ცული, სატევრის პირი, ორი ჭურჭელი და ბიკონუსური მძივი⁷. მარცხე-
ნა გვერდით კედელთან აღმოჩნდა ორნამენტირებული კავი და სატევრის პირი⁸.

დოლმენის ძირზე, უკანა კედლის გასწვრივ დაახლოებით 2 კვ. მ. ფარ-
თობზე ბ. კუფტინმა მიაკვლია უწყსრივოდ განლაგებულ ადამიანის ძვლებს.
ინვენტარი, რომელიც ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა,
შედგებოდა სამკაბა კავისა (ტაბ. XXVI, 3), ყუადაქანებული ცულის (ტაბ.
XXVI, 2), სატევრის პირისა და ორი თიხის პატარა ჭურჭლისაგან⁹.

1937 წ.

დოლმენი № II¹⁰. დოლმენის წინა, სამხრეთის კედლის სიგრძე—3,17 მ;
სიმაღლე—2,20 მ; უკანა, ჩრდილო კედლის სიგრძე—2,0 მ; სიმაღლე—1,85 მ;
ხერხლის დიამეტრი—0,38×0,42 მ; დოლმენის იატაკი შედგებოდა ორი
ქვისაგან.

¹ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

² იქვე.

³ М. М. Иващенко, Исследование арханческих памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935, გვ. 28.

⁴ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 276.

⁵ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

⁶ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

⁷ ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ეს მძივი სამუხეუმო მასალებით V დოლმენს მიე-
კუთვნება.

⁸ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

⁹ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.

¹⁰ Д. Н. Соловьев. Дневник раскопок дольмена № II в сел. Кюр-Дере, 2—8-IX 1937 (ხელნაწერი).

ამ დოკუმენტში, როგორც ეს მოპოვებული მასალიდან ჩანს, სულ ცოტა ოთხი ფენა უნდა ყოფილიყო. დოკუმენის ქვედა, ძირითადი ფენიდან მხოლოდ ორიოდ ნივთი აღმოჩნდა დოკუმენის ძირზე, წინა კედელთან: ბრტყელი, ყუნწიანი დანის პირი და კავი წნული ორნამენტით შემკული მასრით (ტაბ. XXVI, 1).

შესაძლოა ამავე ფენას ეკუთვნოდეს ერთი ყუნწიანი კაეის ისრის პირი, მკვეთრად გამოსახული ფრთებით¹ (ტაბ. XXVI, 6).

ყველაზე ქარბად მასალა მეორე ფენაში აღმოჩნდა. აქ გვხვდება აფხაზეთის დოკუმენტების შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი საძარხეული ინვენტარი: ქინძისთაყვები დაფანჯრული თავით, მძივები, დაფანჯრული მძივსაკიდები, საკიდები, ყუამილიანი ცულის მსგავსი საკიდები და სხვ.

მესამე ფენაში, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, ნაპოვნი იყო: მასრაგახსნილი ხელშუბის პირი, სატევრის პირი. სწორკუთხა ბალთა და სხვ.

მეოთხე, ზედა ფენა კარგად თარიღდება მასში აღმოჩენილი კოლხური მონეტით.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის არც ერთ დღემდე შესწავლილ დოკუმენტში ფენათა ასეთი სიმრავლე არ შეინიშნებოდა.

დოკუმენტი № VI². ამ დოკუმენის ზომებიდან მხოლოდ რამდენიმე აქვს მოტანილი ბ. კუფტინის. აღმოსავლეთის გვერდითი კედლის სიმაღლე წინა ნაწილში—2,20 მ; ხერელის სიგრძე—0,22 მ; წინა კედლის სიმაღლე—2,35 მ; სიგანე ზევით—3,0 მ; ქვევით—3,20 მ; უკანა კედლის სიგანე—2,80 მ; დასავლეთის გვერდითი კედლის სიგანე ნარიბანდებს შორის—3,10 მ; გამონაშვერი ამ კედლის ნარიბანდიდან კიდემდე—1,0 მ.

დოკუმენტში ორი ფენა გამოირჩევა—პირველი, ძირა ფენა აღმოჩნდა ხერელის ქვევით, მეორე, ზედა ფენა კი—ხერელის დონეზე. ბ. კუფტინს ეს მასალა, სამწუხაროდ, ფენების მიხედვით არ გაუტარებია საველე დავთარში და ამიტომ ახლა მხოლოდ ნივთების ტიპოლოგიური ანალიზით ხერხდება მათი ამა თუ იმ ფენისათვის მიკუთვნება.

პირველ ფენას უნდა ეკუთვნოდეს:

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, სატარეს წინა და უკანა პირზე წიბური შემოუყვება; სიგრძე—16,6 სმ.

ცული სპილენძისა, ყუადაქანებული, ყუა შემკულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით; სიგრძე—16,1 სმ.

სატევრის პირი, სპილენძისა, ბრტყელი, მაღალი ყუნწით, პირს ორივე მხარეს ორ-ორი ფართო ღარი გასდევს; სიგრძე—16,2 სმ (ტაბ. XXVI, 4).

სატევრის პირი, სპილენძისა, ბრტყელი, მაღალი ყუნწით, პირს შუაზე არამკვეთრი ქელი გაუყვება; სიგრძე—16,3 სმ (ტაბ. XXVI, 4).

¹ ვ. ს. ოლოფოვის დღიურში ამ ისრის პირის აღმოჩენის შესახებ არაფერია ნათქვამი. ბ. კუფტინის საველე დავთარში აღნიშნულია, რომ იგი II დოკუმენტში იქნა ნაპოვნი.

² ამ წელს ბ. კუფტინმა შეისწავლა სამი დოკუმენტი: II, IV, VI (დოკუმენტების ნუმერაცია ყოველ წელს ახალია). სამწუხაროდ, მის არქივში მხოლოდ უმნიშვნელო ჩანაწერები აღმოჩნდა.

სადგისი, სპილენძისა, ოთხწახნაგა; სიგრძე—11,8 სმ (ტაბ. XXVI, 1).

დანის პირი, სპილენძისა, ბრტყელი, ყუნწიანი; სიგრძე — 11,3 სმ.

მეორე, ზედა ფენაში აღმოჩნდა ისეთი ნივთები, რომლებიც დამახასიათებელია შუა ბრინჯაოს ხანის დოლმენური კულტურისათვის. აქ გვხვდება აფხაზეთის დოლმენებისათვის ტიპური შვივები, მძივსაქიდები, საკინძები, ფრინველის ქანდაკებები და სხვ.

1 9 5 5 წ.

დოლმენი № II¹. იგი მთლიანად მიწით იყო დაფარული. მის ირგვლივ დიდრონი ქვები ეყარა. სიგრძივ კედლებს აქეთ-იქით საკმაოდ მოზრდილი ორ-ორი საყრდენი ქვა ჰქონდა მიბჯენილი. დოლმენის სახურავის ქვის ნაშთი სრულად არ აღმოჩენილა. შესაძლებელია, მას სახურავი მთლიანი ქვა თავის დროზე არცა ჰქონია. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დოლმენის შიგნით მთელ ფართობზე, დაახლოებით 0,50 მ სიღრმეზე, ქვები ეყარა, შემდეგ

ფოტოგრაფიები



აღმოსავლური

აღმოსავლური

აღმოსავლური



სურ. 46. დოლმენი № II (1955 წ.)

კი მიწა იწყებოდა და ეგებ სწორედ ეს ქვის ყრილი ასრულებდა სახურავის მაგივრობას (ტაბ. XXV, 1). არც ეშერში და არც აფხაზეთის სხვა დოლმენებში ამგვარი რამ შემჩნეული არ არის. ჩრდილო კავკასიის დოლმენებში.

¹ შეისწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

ო. ჯ ა დ ა რ ი ძ ე, დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, № 77, თბილისი, 1953, გვ. 92.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც დოლმენი მთლიანად ამოვსებული იყო ქვით¹.

დოლმენის დასავლეთის კედლის სიგრძე — 2,26 მ; სიმაღლე — 1,20 მ; სისქე — 0,22 მ. აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 2,25 მ; სიმაღლე — 1,25 მ; სისქე — 0,22 მ. სამხრეთის კედლის (დაზიანებულია) სიგრძე დაახლოებით —

2,0 მ; სისქე — 0,40 მ; ჩრდილოეთის კედლის სიგრძე — 1,80 მ; სიმაღლე — 1,20 მ; სისქე — 0,16 მ; ხერგლის დიამეტრი — 0,40 მ. დოლმენის შიდა ზომებია — 2,10 × 1,97 მ. სიგრძივ კედლებს ოდნავ ეტყობოდა ნარიბანდები. დოლმენი მიმართული ყოფილა სამხრეთ-დასავლეთიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთით (სურ. 46).



ეს დოლმენი, როგორც ჩანს, ეშერის სხვა დოლმენებთან შედარებით ცუდად ნაკეთებია; თანაც იგი დღემდე აფხაზეთში გათხრილ დოლმენებთან შედარებით ყველაზე პატარა უნდა იყოს, თუმცა ზომით მას რამდენადმე უახლოვდება ბ. კუფტინის მიერ, 1934 წ. გათხრილი დოლმენი № II².



სურ. 47. № II დოლმენში ნაპოვნი ნივთები.

ჩნდებოდა 0,70 — 0,80 მ სიღრმეზე, ყოველგვარი წესრიგის გარეშე. ყველაზე მეტად ძვლები დაჯგუფებული იყო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ, გარდა სხვა ძვლებისა, 12 თავის ქალა აღმოჩნდა. დოლმენის ცენტრში სამი თავის ქალა იღო, ჩრდილო კედელთან კიდევ ორი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი ოთხი. ამრიგად, დოლმენში 20-ზე მეტი თავის ქალა იყო ნაპოვნი.

დოლმენი ღარიბულ ინვენტარს შეიცავდა. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თავის ქალებთან აღმოჩნდა ორი ერთმანეთზე გადადებული ოვალური სასაფეთქლე ხვია (სურ. 47). დოლმენის სხვადასხვა ადგილას იღო თიხის შვიდი ჭურჭელი (ტაბ. XXVI, 7; სურ. 47), დოლმენის გარეთ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — სპილენძის ბრტყელი ყუნწიანი ისრის პირი (სურ. 47).

¹ Е. Д. Фелицын, Западно-Кавказские дольмены, МАК, IX, Москва, 1904, сс. 39, 41.


² Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды, т. I, сс. 298.

დოღმენი № III. ეს დოღმენი ძლიერ დაზიანებული იყო. სამხრეთის სიგრძივი კედელი, ჩანს, მთლიანად ჩანგრეულა. გარედან ჩრდილო სიგრძივი კედლის მთელ სიგრძეზე ჩაყრილი იყო ქვები. ასეთივე ყრილი ჰქონდა აღმოსავლეთის კედელსაც. სამხრეთის კედლის გასწვრივ ქვაყრილი სრულიად არ შეინიშნებოდა (ტაბ. XXV, 2).

დოღმენის წინა, დასავლეთის კედელი ნახევრამდე ჩანგრეული იყო. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ხერხელში შემორჩენილა ქვის საცობი. იგი შიგ ხერხელში იყო ჩადგმული. საცობი სოლისებრი მოყვანილობისაა. ხერხელის დიამეტრი უფრო დიდია საცობისაზე (ხერხელის დიამეტრი—0,40 მ; საცობის დიამეტრი—0,23 მ; სიგრძე—0,38 მ).

დოღმენის სახურავის ქვა ჩამომტვრეული იყო და ალბათ მისი ნამტვრევები ეყარა დოღმენის შიგნით მთელ ფართობზე. დოღმენს მთლიანი ქვა ედო იატაკად.

დოღმენის ყველა ზომის მოტანა ვერ ხერხდება მისი ცუდი დაცულობის გამო. ჩრდილოეთის კედლის სიგრძე—4,12 მ; სიმაღლე (დარჩენილი ნაწი-



სურ. 48. დოღმენი № III (1956 წ.).


ლის)—1,0 მ; სისქე—0,30 მ. აღმოსავლეთის კედლის სიგრძე—1,82 მ; სიმაღლე—1,70 მ; სისქე—0,21 მ. იატაკის ქვის სიგანე—3,89მ; სიგანე - 0,64 მ; სისქე—0,30 მ.

ჩრდილოეთის კედელს ორივე მთლიანად—0,20 მ სიგანის ნარიბანდები ჰქონდა ამოკრილი. სიგრძე ნარიბანდებს შორის 2,64 მ უდრიდა. ნარიბანდი ჰქონდა აგრეთვე იატაკის ქვასაც (სურ. 48).

მიცვალებულის ძვლები ყოველგვარი წესრიგის გარეშე ეყარა მთელ ფართობზე. ძვლები უმთავრესად შეგკუფული იყო დოლმენის ცენტრალურ და უკანა ნაწილში. დოლმენში მიცვალებულის ძვლები სხვადასხვა დონეზე იყო. ერთი ნაწილი მიცვალებულებისა უშუალოდ იატაკზე დაუსაფლავებიათ.

ნივთებიც დოლმენში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, 0,93 მ სიღრმეზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი, ერთი ჭურჭელი პირქვე იღო. მის გვერდით ეგდო მსხვილფეხა საქონლის ძვალი.

დოლმენის ქვედა ფენაში, იატაკთან, ნაპოვნია კიდევ რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ჩრდილო კედელთან პირქვე დამხოზილი მოწითალო ჭურჭელი იღო.



სურ. 49. № III დოლმენში ნაპოვნი ნივთები.

აღმოსავლეთის კედლის ძირას, კუთხესთან აღმოჩნდა მოშავო ფერის ჭურჭელი. აქვე იყო დაშლილი სპილენძის პატარა სატევრის პირი(?) და კაეის ისრის პირი. ერთი კაეის ისრის პირი აღმოჩნდა ჩრდილოეთის კედელთან, აქვე აღმოჩნდა თიხის კვირისტავი (სურ. 49). წინა კედელთან, ხერელის ძირას ნაპოვნია იყო ლითონის რაღაც ფირფიტა. გარდა ამისა, ამ დოლმენში აღმოჩნდა კიდევ თიხის ხუთი ჭურჭელი, ძლიერ დაზიანებული. ამათგან აღსანიშნავია ერთი პატარა, შავი ფერის თხელკედლიანი სასმისი, რომლის მთელი ზედაპირი დასერილია არამკვეთრივ ამოღარული ხაზებით. დანარჩენი ოთხი ჭურჭელი მოწითალო ფერისაა. ზოგიერთს ეტყობა ამოღარული ხაზებისგან შემდგარი ორნამენტი (სურ. 49).

ემერში და საერთოდ აფხაზეთში დღემდე ცნობილი დოღმენები დაახლოებით ერთი ტიპისანი არიან. ეს დოღმენები, ისევე როგორც კავკასიის დოღმენთა უმრავლესობა, შედგება ოთხი მთლიანი გვერდითი ქვისა და მეხუთეც—სახურავის ქვისაგან¹. თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დოღმენში ნეექესე ქვაყაა იატაკად გამოყენებული². ზოგჯერ იატაკის ქვა მთლიანი არ არის ხოლმე და მხოლოდ წინა და უკანა კედლების ქვეშა დადებული ქვებზე, ისე რომ დოღმენის შუა ნაწილი უიატაკოდ რჩება³. მსგავსი შემთხვევები გვხვდება ჩრდილო კავკასიის დოღმენებშიც⁴. აფხაზეთის დოღმენებს, ისევე როგორც ჩრდილოკავკასიურებს, გვემაში უპირატესად ტრაპეციის ფორმა აქვთ⁵.

აფხაზეთში დღემდე აღმოჩენილ ყველა დოღმენს წინა კედელში დატანებული აქვს მრგვალი ნახვრეტი. კავკასიის დოღმენების უმრავლესობა ხვრელიანია⁶, თუმცა, როგორც ე. ფელიცინი აღნიშნავს, გვხვდება ისეთი დოღმენებიც, რომელთაც წინა კედელში მრგვალი ნახვრეტი არა აქვთ⁷. ჩვეულებრივად ეს ნახვრეტი მოთაყვებულა კედლის ქვედა ნაწილში, დაახლოებით შუა ადგილას⁸. ხვრელი უპირატესად წრისებრი ფორმისაა, რომლის დიამეტრიც დოღმენის ზომაზე არ არის დამოკიდებული⁹. დიდსა და პატარა დოღმენებს თითქმის თანაბარი დიამეტრის ხვრელი აქვთ. აღსანიშნავია, რომ ხვრელიანი დოღმენები პალესტინაშიაც გვხვდება, მაგრამ მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის¹⁰.

ემერის დოღმენების უმრავლესობას წინა, ხვრელიანი კედელი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონდა მოქცეული. მხოლოდ ორიოდ შემთხვევა იყო, როდესაც დოღმენს წინა კედელი სამხრეთ-დასავლეთით ჰქონდა¹¹. საყურადღებოა, რომ ჩრდილო კავკასიის დოღმენებშიც ხვრელიანი კედელი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მოქცეული. ე. ფელიცინი აღნიშნავს, რომ მის მიერ

¹ Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 28.

В. М. Сысоев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 130.

² Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 26.

Г. Сорохтин, *Дольмены черноморской губ. и Кубанской обл...*, *наблюдениям сборник Крымского-Кавказского Горного клуба*, Одесса, 1935, გვ. 94.

В. М. Сысоев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 136.

³ Б. А. Руптин, *Материалы к археологии Болшиды*, т. I, სურ. 58.

⁴ В. М. Сысоев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 136.

⁵ М. М. Иващенко, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 19.

Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 13.

В. М. Сысоев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 130.

⁶ П. С. Уварова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 173.

⁷ Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 26.

⁸ В. М. Сысоев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 131.

Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 27.

⁹ Е. Д. Фелицини, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 27.

¹⁰ А. Жирку, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83.

¹¹ Б. А. Руптин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 266.

რ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 80.

ნანახი 68 დოღმენიდან მხოლოდ 14 იყო ისეთი, რომელსაც წინა კედელი სამხრეთით ჰქონდა¹.

ხერელს გარედან, როგორც ეს ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილ ზოგიერთ დოღმენს ახასიათებს, ქვის საცობი უკეთდებოდა². ეშერში ერთ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნავდით, აღმოჩნდა ხერელში ჩადგმული საცობი³.

აფხაზეთის თითქმის ყველა დოღმენის სიგრძივ კედლებზე შეინიშნება სხვადასხვა სივანის ნარიბანდები⁴. ნარიბანდებს ვხვდებით იატაკის ქვაზეც, დამახასიათებელია ისინი აგრეთვე ჩრდილო კავკასიის დოღმენებისთვის⁵.

ეშერის გგუფის დოღმენებში, ისევე როგორც კავკასიის დოღმენებში, გვხვდება როგორც მოზრდილი, ისე შედარებით მომცრო ზომის დოღმენები. ე. ფელიცინს ჩრდილო კავკასიის დოღმენთა მაგალითზე გამოყვანილი აქვს საშუალო ზომები პატარა, საშუალო და დიდი დოღმენებისათვის⁶.

მაგარც, როგორც ეს ეშერის დოღმენების მაგალითებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პატარა და უფრო მოზრდილი დოღმენების ინვენტარს შორის გარკვეული სხვაობა შეინიშნებოდა, დასაფლავების წესის მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არ იყო⁷. მართალია, დღეისათვის დასაფლავების წესის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს გარკვეული წარმოდგენა, მაგრამ ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ თითოეული დოღმენი კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა, ეგებ ერთი გვარისას. ჩვეულებრივ მიცვალებულის ძვლები სხვადასხვა ღონზე ჩნდებოდა ყოველგვარი წესრიგის გარეშე. ძვლები და ნივთები ძირითადად შეგკუფული იყო დოღმენის კუთხეებში⁸. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ძვლები კუთხეებში მიუყრიათო⁹. შესაძლოა თავდაპირველად მიცვალებულებს მართლაც დოღმენის კუთხეებში ასვენებდნენ, ეგებ, მჯდომარე პოზაში¹⁰. ამ პირვანდელი სამარხების განლაგება, ჩანს, შემდეგში ირღვეოდა ახალი მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის, თუ როგორ ათავსებდნენ მიცვალებულებს დოღმენებში, მათი აგების შემდეგ. ბ. კუფტინმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა დოღმენებს უკვე როგორც ოსუა-

¹ Е. Д. Фелицин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

В. М. Сисоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

² А. А. Миллер, Записки о дольменах, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1925, გვ. 25.

Е. Д. Фелицин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

В. М. Сисоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

³ თ. ჯაფარიძე, დოღმენური კულტურა საქართველოში, გვ. 96.

⁴ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

⁵ В. М. Сисоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

⁶ Е. Д. Фелицин, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

⁷ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁸ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

⁹ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

¹⁰ Б. А. Купфин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 275.

В. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, გვ. 181.

რიებს მეორადი დამარხვისათვის იყენებდნენ და ძვლები წინა კედელში დატანილი ხერელიდან შეჰქონდათ¹. ნიშანდობლივია, როგორც უკვე აღვნიშნავდით, რომ ყველა დოლმენს—პატარასაც და დიდსაც თითქმის თანაბარი დიამეტრის ხერელი აქვს. გარკვეული დიამეტრის ხერელის საპირობება ეგებ სწორედ დოლმენებში დასაფლავების წესთან იყო დაკავშირებული.

ემერის ჯგუფის შესწავლილი დოლმენებიდან ყველაზე უფრო პატარებია 1955—1956 წწ. გათხრილი დოლმენები № II და № III. თუმცა ემერში, კ. აკოპიანის კარმიდამოზე აღმოჩნდა ორი კიდევ უფრო პატარა ზომის დოლმენი, მაგრამ ისინი სრულიად დაშლილები იყო. სავსებით ამგვარივე დოლმენი, აგრეთვე დაშლილი, იპოვა ბ. კუფტინმა აზანთაში 1946 წ., მაგრამ ამ დოლმენის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ აქ არავითარი ნივთი არ აღმოჩენილა².

დოლმენი № II და № III როგორც დოლმენის აგების ტექნიკის მხრივ, ისე სამარხეული ინვენტარის მიხედვით, საკმაოდ ახლო იდგნენ ერთმანეთთან, მაგრამ საგრძნობლად განსხვავდებოდნენ მანამდე ცნობილი დოლმენებისაგან ზომითაც და სამარხეული ინვენტარითაც. ამასთან ერთად გაცილებით უფრო უხეშად იყვნენ ნაგები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დოლმენში საკმაოდ ბევრი მიცვალებული უნდა ყოფილიყო დაკრძალული, სამარხეული ინვენტარი მეტად ღარიბული იყო და უმთავრესად თიხის ჭურჭლებისგან შედგებოდა.

ამემაღლ არსებული მასალის მიხედვით, სამწუხაროდ, ძნელია მსჯელობა კავკასიის დოლმენურ კერამიკაზე. თითქმის არაფერი ვიცით ჩრდილო კავკასიის დოლმენებში მოპოვებული კერამიკის შესახებ იმის გამო, რომ ჩვენამდე თითქმის სრულიად არ მოუღწევია ე. ფელიცინის მიერ აღმოჩენილ ჭურჭელს³, რომელიც მან, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მოიპოვა ყუბანის დოლმენში⁴. ამ კერამიკის მხოლოდ ორი თუ სამი სურათია გამოქვეყნებული ა. უვაროვის კატალოგში⁵ და ე. ფელიცინის ნაშრომში⁶.

ემერის ჯგუფის დოლმენებში კერამიკა შედარებით უკეთაა წარმოდგენილი, მაგრამ გარკვევით რაიმეს თქმა მაინც ჭირს მათი ცუდი დაცულობის გამო. ეს დოლმენური ჭურჭელი ხელითაა ტლანქად ნაძერწი, თხელკედლიანია, უპირატესად მოწითალო და მოშავო ფერისა. № II და № III დოლმენებში მოპოვებული კერამიკიდან აღსანიშნავია პატარა ზომის ქოთნები, ქილები, ჯამისებრი ჭურჭელი და სასმისები⁷ (სურ. 47, 49; ტაბ. XXVI, 7). აქ აღმოჩენილი შედარებით უკეთ ნაკეთები ცალყურა ქოთნის მსგავსი ჭურჭელი ემერის დოლმენურ კერამიკაში მაინცდამაინც ცნობილი არ არის. იგი თითქოს უახლოვდება მ. ივშჩენკოს მიერ № IV დოლმენში აღმოჩენილ

¹ Б. А. К у ф т и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

² ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

³ Б. А. К у ф т и я, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

⁴ Е. Д. Ф е л и ц и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

⁵ А. С. У в а р о в, Каталог собранных древностей, Москва, 1887. გვ. 76.

⁶ Е. Д. Ф е л и ц и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 26; სურ. 7, 8.

⁷ ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, სურ. 10, 11, 18.

ცალკურა ქოთანს¹ და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთ დოლმენში ნაპოვნ ქურქელს². ქილისმაგვარი ქურქელი № II დოლმენიდან რამდენადმე ახლო დგას ბ. კუფტინის მიერ № II და № IV დოლმენებში აღმოჩენილ ქილებთან³. თავისებური ფორმისაა № III დოლმენში ნაპოვნი მოწითალო ფერის ღრმა, გაშლილი ჯამი (სურ. 49), რომელიც მსგავსებას აქვს პოლობს ბ. კუფტინის მიერ № II დოლმენში აღმოჩენილ ერთ-ერთ ქურქელთან⁴. აღსანიშნავია ორივე დოლმენში აღმოჩენილი სასმისები. № II-ს დოლმენში ნაპოვნი სასმისი მოშავო ფერისაა, თხელკედლიანი, მთელი ზედაპირი დასერილი აქვს არამკვეთრად ამოღარული ხაზებით. № II დოლმენის სასმისი მოწითალო ფერისაა და პირთან ქლები ატყვია (სურ. 47; ტაბ. XXVI, 7)⁵. როგორც ჩანს, ამ ტიპის ქურქელი საერთოდ დამახასიათებელი უნდა იყოს აფხაზეთის დოლმენებისათვის. მათ ვხვდებით კუფტინისეულ № II და № IV დოლმენებში⁶. ერთი მსგავსი სასმისი, პირთან სამი შვერილით, აღმოჩნდა 1937 წ. გათხრილ შუა ბრინჯაოს ხანის № IV დოლმენში. რამდენიმე ამგვარივე სასმისი ნაპოვნი იყო სულის ორხვრელიან დოლმენში. ერთ-ერთ მათგანს მთელი ზედაპირი დასერილი ჰქონდა ფხური ორხამენტი, დანარჩენებს კი ირიბი და ვერტიკალური ხაზებით⁷. სხვათა შორის, ფორმით ეს სასმისი საკმაოდ ახლო დგას თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ ოქროს სასმისთან⁸.

საერთოდ, აფხაზეთის დოლმენების კერამიკა გამოირჩევა პატარა ზომებით. ამასთან დაკავშირებით, ბ. კუფტინი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ შესაძლოა. ეს კერამიკა სპეციალურად მიცვალებულის ჩასატანებლად იყო დამზადებული და მოზრდილი ქურქლის იმიტაციას წარმოადგენდა. ავტორს თავისი დებულების გასამაგრებლად სათანადო ეთნოგრაფიული მონაცემებიც მოაქვს⁹. რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კია, ეს კერამიკა მეტად ტლანქია, უხეიროდ ნაკეთები, პატარა ზომისა და, იგებ, პრაქტიკული დანიშნულებისათვის მართლაც ნაკლებად გამოსადეგი. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის დოლმენების კერამიკა თითქმის არ უკავშირდება კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების ქურქელს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითქოს რაღაც მსგავსებას ორნამენტის ხასიათის მხრივ, მაშინ როდესაც ადრეული დოლმენების სხვა ინვენტარი, როგორც ამას დავინახავთ, გარკვეულ კავშირს ამჟღავნებს მათთან. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ეს კერამიკა თითქმის არ იცვლის სახეს დოლმენური კულტურის არსებობის მთელ მანძილზე. შუა ბრინჯაოს ხანის გვიანდელ

¹ М. М. Ивашенко, დასახ. ნაშრომი, სურ. 12.

² Е. Д. Фелицын, დასახ. ნაშრომი, სურ. 8.

³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 292, ტაბ. XXXI, XXXIII.

⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXI.

⁵ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94, სურ. 10, 11.

⁶ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXI, 3; XXXIII, 3.

⁷ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 101, სურ. 35.

⁸ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. CI.

⁹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, გვ. 295.

დოლმენებში დაახლოებით ისეთივე ჰერკელი გვხვდება, როგორც ადრეული დოლმენებისთვის იყო დამახასიათებელი. ჯერჯერობით ვერ ხერხდება მათი დაკავშირება ვერც წინამორბედ, ვერც თანადროულ და ვერც მერმინდელ კერამიკულ ჯგუფებთან. როგორც ე. ფელიცინის აღწერილობიდან ჩანს, ერთი ნაწილი ჩრდილო კავკასიის დოლმენური კერამიკისა იმგვარივე ტლანქი და მინიატურულია, როგორც აფხაზური დოლმენების ჰერკელი¹.

ჩრდილო კავკასიის დოლმენებში, გარდა კერამიკისა, ლითონის მინიატურული ნივთებიცა გვხვდება. აბაძეხსკაიას დოლმენში აღმოჩნდა პატარა ზომის ცული, ბრტყელი ცული და კაიე²; სტანიცა სარატოვსკაიასთან ნაპოვნ დოლმენში კი ორი პატარა ცული³.

№ III დოლმენში აღმოჩენილია ერთი თიხის კვირისტავი, რომელსაც ცალი გვერდი ბრტყელი, მეორე კი ამოზურგული აქვს (სურ. 49). მსგავსი კვირისტავები კარგადაა ცნობილი დიხაგუძუბადან⁴.

ლითონის ნივთებით ორივე ეს პატარა დოლმენი მეტად ღარიბი იყო. № III დოლმენიდან ცნობილია ძლიერ დაშლილი სატევრის პირი და ფირფიტა. ეს სატევრის პირი თხელი უნდა ყოფილიყო, ყუნწიანი, მოკლე და, ჩანს, საკმაოდ არქაული ტიპისა.

№ II დოლმენში ნაპოვნი იყო, ერთმანეთზე გადადებული ოვალური სასაფეთქლე რგოლები, 1,5 ხეისა (სურ. 47). როგორც ჩანს, აფხაზეთის დოლმენებში საკმაოდ ადრე იწყებს გავრცელებას ამ ტიპის რგოლების ოვალური ვარიანტი.

რაც შეეხება № II დოლმენის გარეთ აღმოჩენილ ბრტყელყუნწიან ისრის პირს (სურ. 47), მის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ მსგავსი სხვა ამ ტიპის ნივთი ჩვენთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ იგი ამ დოლმენის თანადროული იყოს. შესაძლოა მსგავსი ნივთი იყო № III დოლმენში ნაპოვნი ზემოთ აღნიშნული ძლიერ დაშლილი ყუნწიანი სატევრის პირი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია № III დოლმენში აღმოჩენილი კაეის ორი ფუძემოლარული ისრის პირი (სურ. 49). კაეის ისრის პირები საერთოდ იშვიათად გვხვდება კავკასიის დოლმენებში. ემერში, გარდა აღნიშნული ისრის პირებისა, ცნობილია მხოლოდ ერთი ისრის პირი, აღმოჩენილი 1937 წ. № II დოლმენში⁵ (ტ. XXVI, 6). ეს ისრის პირი განსხვავებული ტიპისაა, ყუნწიანი, მოგრძო ფრთებით. როგორც აღვნიშნავდით, სიმეტრიულად ფუძემოლარული ისრის პირები ადრეული პერიოდიდანვე ჩნდება ჩვენში. აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილი ამ ტიპის ისრის პირები გამოირჩევიან მოხდენილი ფორმითა და დამუშავების მაღალი ტექნიკით (ამათგან აღსანიშნავია

¹ Е. Д. Фелицын, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 35.

² Коллекция Кавказского музея, т. V, Тбилиси, 1902, გვ. 144.

³ Н. А. Шаров, *Погребения мегалитического типа из предгорных районов Северного Кавказа*, СА, II, გვ. 227.

⁴ В. А. Куфтин, *Материалы к археологии Козхиды*, т. II, გვ. 256, ტაბ. 64.

⁵ თ. ჯაფარიძე, *ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში*, გვ. 73, ტაბ. X, 3.

ერთი, რომელსაც ორივე კიდე დაკბილული აქვს). ეს ისრის პირები ახლოს დგანან ოჩამჩირის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ფუძემოლარულ ისრის პირებთან¹. უახლოვდებიან ისინი აგრეთვე დიხაგუძუბას², საჩხერის³ და სხვ. ისრის პირებს.

მართალია № II და № III დოლმენებში აღმოჩენილი ინვენტარი ღარიბულია, მაგრამ საყურადღებო. აქ ნაპოვნი ნივთები ერთგვარად განსხვავდებიან ეშერის დოლმენების მანამდე ცნობილი ინვენტარისაგან. ამ მომცრო ზომის დოლმენებში მოპოვებული მასალა თითქოს უფრო მეტ მსგავსებას პოულობს კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის ნამოსახლარებთან (ოჩამჩირე, დიხაგუძუბა და სხვ.). ეს დოლმენები დროით წინ უნდა უსწრებდნენ ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ძირა ფენის მასალის შეიცველ დოლმენებს.

ეშერის მომცრო ზომის დოლმენები დროით შეიძლება მივეუახლოვოთ ოჩამჩირის ნამოსახლარსა და დიხაგუძუბას ქვედა ფენას. აქ აღმოჩენილი მასალების ერთგვაროვანი ხასიათი, როგორც ამას ბ. კუფტინი აღნიშნავდა, უნდა მიუთითებდეს მსგავსი ტიპის მეურნეობის არსებობას⁴. როგორც ჩანს, ოჩამჩირის ნამოსახლარი მაინც დიხაგუძუბას ქვედა ფენასთან შედარებით რამდენადმე ადრეული უნდა იყოს. პირობითად იგი თავის დროზე ენეოლითის საფეხურს მიაკუთვნეს⁵. დიხაგუძუბას ქვედა ფენა, ბ. კუფტინის აზრით, ადრებრინჯაოს ხანისა უნდა იყოს, როდესაც უკვე იცნობენ ლითონის ჩამოსხმას⁶. ეშერის ადრეული დოლმენები შესაძლოა უფრო დიხაგუძუბას თანადროულნი იყვნენ. ამას გვაფიქრებინებს აქ ნაპოვნი ლითონის ნივთები და განსაკუთრებით ერთ-ერთ დოლმენში აღმოჩენილი ოვალური ფორმის სასაფეთქლე რგოლები.

ლ. სოლოვიოვმა თავის ახლახან გამოსულ ნაშრომში გამოთქვა ვარაუდი, რომ ადრეული დოლმენები ოჩამჩირის ნამოსახლარის თანადროული უნდა ყოფილიყო. მატერიალური კულტურის ერთგვაროვნება ზღვისპირა რაიონში ენგურთან ადღერამდე საშუალებას გვაძლევს, აღნიშნავს იგი, გამოვეყოთ თავისებური კულტურული ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სამხრეთ-დოლმენური“ კულტურა⁷. ამ კულტურის ყველაზე ცნობილი ძეგლებია ოჩამჩირის ნამოსახლარი და ეშერის დოლმენების ძირითადი ფენა. ენგურთან მას ემიჯნება კულტურა, რომელსაც ლ. სოლოვიოვი „პროტ-კოლხურს“ უწოდებს და რომელსაც „სამხრეთდოლმენური“ კულტურის მონათესავედ თვლის. ამ კულტურის ძეგლებად მიიჩნევს იგი დაბლაგოშს, დიხაგუძუბას და კოლხეთის

¹ Д. Н. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, I, Сухуми, 1939, гл. 10, 11, 14, таб. IX.

Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 268, таб. 72, 7, 8.

² იქვე, გვ. 243, таб. 64.

³ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 91, таб. XIII, 5.

⁴ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 268.

⁵ იქვე, გვ. 286.

⁶ იქვე, გვ. 242, 257.

⁷ Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского причерноморья в эпоху неолита и бронзы—стоянки Воронцовской пещеры, гл. 151.

დაბლობის სხვა ძეგლებს¹. მაგრამ ფიქრობთ, ლ. სოლოვიოვის მიერ გამო-
თქმული მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს.

როგორც დღეისათვის არსებული მასალებიდან ჩანს, ოჩამჩირის ნამო-
სახლარი, დიხაგუძე და აფხაზეთის დოლმენების ადრეული ჯგუფი ერთი
კულტურის სფეროში შედიოდა, რომელსაც, როგორც ამას უკვე არაერთგზის
აღვნიშნავდით, საფუძვლად დაედო დასავლურკართული ნეოლითი. ბ. კუფ-
ტინი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების განხილვისას ხაზგასმით აღნიშ-
ნავდა მათ სურათს ხასიათს და ცდილობდა კიდევ ქრონოლოგიური საფეხუ-
რების დადგენას². ლ. სოლოვიოვი ფიქრობს, თითქოს დიხაგუძეებს ფენებში
ნაპოვნი იყო ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ნიშნები და იგი დაბლა-
გომთან ერთად მას ამ კულტურის პერიფერიული გავრცელების სფეროში
შეჰყავს³. მაგრამ ლ. სოლოვიოვი ამ შემთხვევაში მართალი არ არის. რო-
გორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის ენეოლითის გავრცელების უკიდურესი
საზღვარი, ჩანს, დაბლაგომში უნდა ყოფილიყო. მაგრამ დაბლაგომის მასა-
ლაში ამავდ დროს აშკარად შეინიშნება გარკვეული მსგავსება კოლხეთის და-
ბლობის ნამოსახლარებთან. აქ ერთი მხრივ გვხვდება ამიერკავკასიის ენეო-
ლითისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მეორე მხრივ კოლხეთის და-
ბლობზე გამოვლენილი ადრეული ნამოსახლარების კულტურის ელემენტები.
სწორედ ამ ურთიერთობაზე მიუთითებდა ბ. კუფტინი, როდესაც დაბლაგო-
მისა და დიხაგუძეებს მსგავსებაზე ლაპარაკობდა⁴.

ლ. სოლოვიოვი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ III და
II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხეთის დაბლობზე მოხდა მოსახლეობის შე-
ცვლა. ამაზე თითქოს უნდა მიუთითებდეს ის, რომ ამ პერიოდში აქ სრუ-
ლიად სხვაგვარი კერამიკული ფორმები იჩენენ თავს. მოსახლეობის შეცვლა,
ფიქრობს იგი, დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიიდან ქაშქების გადმო-
სახლებაასთან, რომლებმაც აქ არა მარტო თავისებური, მცირეაზიური თიხის
ჭურჭლის ტიპი მოიტანეს, არამედ საკუთარი მეტალურგიაც და სხვ⁵. ავ-
ტორი ამ თავის დებულებას მცდარ დასკვნაზე აგებს. საქმე იმაშია, რომ მას
კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილი კულტურა ამიერკავკასიის ენეოლითის
სფეროში შეჰყავს. იგი აღნიშნავს, რომ ახალმოსულებმა მთლიანად მოსპეს
ადგილობრივი კულტურა და იქ ახალი კულტურა გაავრცელეს⁶. მაგრამ
კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილი კულტურა ადგილობრივ ტრადიციებზეა
აღმოცენებული და, რა თქმა უნდა, არ არის სწორი მისი ამიერკავკასიის
ენეოლითური კულტურის სფეროში შეყვანა. აფხაზეთის სანაპიროზე მოპო-
ვებული მასალების საფუძველზე თვით ლ. სოლოვიოვიც ამჩნევს, რომ ადგი-
ლობრივი ტრადიციები არ დარღვეულა ნეოლითიდან მოკიდებული⁷. კოლ-

¹ Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

² Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

³ Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

⁴ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

⁵ Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

⁶ იქვე, გვ. 164.

⁷ იქვე.

ხეთის დაბლობზე გამოვლენილ ადრეული პერიოდის კულტურაშიც, რომელიც, როგორც ნათქვამი იყო, მოიცავს აფხაზეთის სანაპიროსაც, ამგვარივე სურათი უნდა გვქონდეს. მართალია, ეს კულტურა ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ ის, რაც ვიცით, არ იძლევა საფუძველს, რომ მისი წინააზიური წარმომავლობა ვივარაუდოთ. აქ გამოვლენილი კერამიკული მასალა, პირიქით, ადგილობრივ ნეოლითს უკავშირდება და ს. კუფტინმა სცადა კიდევ მისი განვითარების საფეხურების დადგენა¹. III ეთასწლეულის ბოლოსათვის მკიდრო ურთიერთობა ჩანს წინააზიურ და, კერძოდ, მცირე-აზიურ სამყაროსთან, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვილაპარაკოთ კოლხეთში მოსახლეობის შეცვლის შესახებ. ლ. სოლოვიოვი ამ დებულების დასამტკიცებლად საჩხერულ მასალებს იშველიებს და აღნიშნავს, რომ ახალ მოსახლეობას თან უნდა მოეტანა ლითონის დამუშავების წესიც². მაგრამ ეს მასალა მას საამისოდ არ გამოადგება, რადგან როგორც საჩხერის ძეგლების განხილვისას აღვნიშნეთ, აქ ადგილობრივ მალაღვანეთარებულ მეტალურგიასთან უნდა გვქონდეს საქმე. ლ. სოლოვიოვის მოსაზრებას მცირე აზიიდან III ათასწლეულის ბოლოსათვის მოსახლეობის გადმოსახლების შესახებ არავითარი საფუძველი არა აქვს. აქვე გვინდა გავიხსენოთ ბ. კუფტინის შეიძლება ერთგვარად გადაჭარბებული მოსაზრებაც, რომ ამ ადრეულ პერიოდში უფრო მკიდრო კავშირი ჩანს წინააზიურ ცენტრებთან, ვიდრე მცირეაზიურ სამყაროსთან³.

ამრიგად, როგორც ჩანს, აფხაზეთის ადრეულ დოლმენებში ასახვა ჰპოვა ადგილობრივმა, კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილმა კულტურამ. შესაძლოა კავკასიის დოლმენებიდან ამ ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე ვ. სიზოვის მიერ გამოვლენილი დოლმენი გელენჯიკთან⁴.

ეშერის ის დოლმენები, რომლებიც ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ ძირა ფენას შეიცავდნენ, სრულიად განსხვავებულ ინვენტარს იძლევიან. ზონითაც ეს დოლმენები, ზემოთ განხილულ დოლმენებთან შედარებით, უფრო მოზრდილებია და უკეთაცაა ნაგები, თუმცა კი ისინი ეშერის ჯგუფში გამოირჩევიან მაინც. როგორც უფრო მომცრო ზომისანი⁵. ამ დოლმენებში აღმოჩენილი ნივთები შედარებით არქაული იყო და ამიტომაც ბ. კუფტინი ამ ფენას მიიჩნევდა ყველაზე ადრეულად⁶. აქ აღმოჩენილ ინვენტარი ერთგვაროვანია, მრავლად არის წარმოდგენილი ლითონის ნივთები. ამ ფენისათვის ყველაზე დამახასიათებელი ჩანს ცულები, კავები და სატევრის პირები.

დოლმენებში უპირატესად გვხვდება ვიწროტანიანი ყუადაქანებული ცულები (ტაბ. XXVI, 2). ამ ტიპის ცული განსაკუთრებით დამახასიათებელია

¹ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 257.

² Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

³ Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 234.

⁴ В. С. Язов, *Археологические экскурсии*, გვ. 62, ტაბ. IX.

⁵ Б. А. Куфтин, *Материалы к археологии Колхиды*, т. 1, გვ. 309.

⁶ Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 297.

⁶ იქვე, გვ. 278.

სახერის ყორანული სამაროვნებისათვის, რომლებსაც ზემოთ უკვე საკმაოდ დაწვრილებით შევხებით. 1937 წ. ეშერში შენთხვევით აღმოჩნდა რამდენადმე განსხვავებული ტიპის ცული¹. ისიც ყუადაქანებულია, ოლონდ პირი უფრო ფართო აქვს (ტაბ. XXVI, 5). ფორმით იგი, როგორც აღენიშნავდით ენეოლითური ცულების განხილვისას, უფრო აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადრეულ ცულებს (იალზუზი, მეჯვრისხევი და სხვ.) უახლოვდებოდა. რაც შეეხება № V დოლმენში (ივაშჩენკოს № 3 დოლმენში) აღმოჩენილ ცულს, იგი უფრო განვითარებული ტიპისა უნდა იყოს². მას წინა მხრიდან ყუის დაქანება ნაკლებად ეტყობა, პირი უფრო ფართო აქვს, შედარებით მასიურია და, როგორც ბ. კუფტინი შენიშნავს, სახმარადაც უფრო მიზანშეწონილი ჩანს.

ყურადღებას იპყრობს ბ. კუფტინის მიერ გათხრილ № VI დოლმენში ნაპოვნი ერთი ყუადაქანებული ცული, რომელსაც სატარე შემკული აქვს არამკვეთრად ამოღარული კონცენტრული წრეებით³. ამ ტიპის შემკული ცული ჩვენში მეტად იშვიათია.

ეშერის თითქმის ყველა დოლმენში, რომელიც პირველ ფენას შეიცავდა, აღმოჩნდა მასრიანი კაეები. მასრის მიხედვით გამოირჩევა ორი ტიპის კაეი: მასრაგაბასნილი და მასრაშეკრული. მასრაგაბასნილი კაეები შედარებით პატარა ზომისაა და, როგორც ჩანს, გამოკედლი უნდა იყოს. ამ ტიპის კაეი ნაპოვნია 1934 წ. გათხრილ № II დოლმენში⁴. საეგებით ამგვარივე კაეი აღმოაჩინა ბ. კუფტინმა 1946 წ. სოფ. სულში შესწავლილ დოლმენში. მასრის ბოლოზე მათ ნახვრეტი აქვთ, ალბათ ხის ტარის დასამაგრებლად, თუმცა ბ. კუფტინის აზრით შესაძლოა მათ თასმის ვასაყრელადაც იყენებდნენ⁵.

მასრაშეკრული კაეები ორგან არის ნაპოვნი: ერთი მ. ივაშჩენკოს მიერ გათხრილ № IV დოლმენში⁶, მეორე კი 1937 წ. შესწავლილ № II დოლმენში (ტაბ. XXVI, 1)⁷. ორივე მასრას ამკობს შესანიშნავად შესრულებული წნული ორნამენტი. როგორც ჩანს, ეს კაეები მოდელის დაკარგვის წესით უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული⁸. № IV დოლმენში აღმოჩნდა აგრეთვე მასრაშემკული სამკაპა კაეი (ტაბ. XXVI, 3). რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს კაეები, ახლა ძნელი სათქმელია. შესაძლოა მათ მართლაც ხორცის ამოსა-

¹ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Трнапети, გვ. 16, სურ. 16, ა.

² Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, ტ. I, გვ. 285, ტაბ. XXX, I.

М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, სურ. X, 1.

³ Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ტაბ. II, 3.

თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. გვ. 71, ტაბ. X, 4.

⁴ Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, ტ. I, გვ. 280.

⁵ იქვე, გვ. 281.

⁶ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, ტაბ. XI, 2.

⁷ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, ტაბ. X, 5.

⁸ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 281.

ლებად ხმარობდნენ¹. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ფორმით ისინი ახლოს დგანან თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულ კავებთან². საქართველოში ამ პერიოდის მასალაში ამგვარი ნივთები ცნობილი არ არის. უფრო მოგვიანო ხანაში ჩვენში გავრცელებული ჩანს რამდენადმე განსხვავებული მოყვანილობის კავი³.

ჩრდილო კავკასიის დოლმენებში მსგავსი ნივთები ცნობილია აბაძებსკაიას და ნოვოსვობოდნაიას დოლმენებიდან. აბაძებსკაიას დოლმენში ნაპოვნია ერთი მინიატურული მასრაგახსნილი კავი, საეგზეთ ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილი აფხაზური ცალბი⁴. რამდენადმე განსხვავებულია ნოვოსვობოდნაიას დოლმენებში აღმოჩენილი კავები⁵. ამ ტიპის ნივთი ცნობილია აგრეთვე კატაკომბური კულტურიდან⁶.

აღსანიშნავია თალიშის ერთ-ერთ დოლმენში აღმოჩენილი კავი. იგი მასრაგახსნილია და ფორმით საეგზეთ ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილი ცალბი⁷. მათ რამდენადმე უახლოვდება მასრიანი კავი ნუციდან. რ. სტარი ფიქრობს, რომ ამ კავებს საშინაო საქმეში იყენებდნენ⁸.

ამრიგად, ჩვენში აღრეული კავები ჯერჯერობით მხოლოდ აფხაზეთის დოლმენებიდანაა ცნობილი. შესაძლოა ამ კავებთან გენეტიკურად იყოს დაკავშირებული ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული მასრაგახსნილი კავები, ოღონდ მათ უფრო მორკალური კაუქი აქვთ⁹. ამ ტიპის კაუქი მერმინდელ ხანაშიც ყოფილა კავკასიაში გავრცელებული და მათი რკინის ეგზემპლარებიცა გვხვდება (ხოჯალის № 11 ყორღანი¹⁰, ბერეზოვიკის სამაროვანი და სხვ.).

თავისებურია დოლმენებში აღმოჩენილი ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის, მაღალყუნწიანი შუბისა თუ სატევრის პირებიც (ტაბ. XXVI, 4). ზოგიერთს პირზე აქეთ-იქით ფართო ღარი გაუყვება. ეს პირები, რომლებიც გამოქედვის წესით უნდა იყოს დამზადებული, როგორც ჩანს, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნივთთაგანია დოლმენების აღრეული ფენისათვის¹¹. ჩვენში

¹ А. А. Нессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, გვ. 83.

² Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

³ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 183.

⁴ იქვე, გვ. 302, სურ. 65, 1.

⁵ А. М. Tallgren, Sur monuments megalithiques du Caucase occidental, გვ. 22, სურ. 21, 1; 23, 8.

⁶ В. А. Городцов, Дневник археологических исследований в Бахмутском уезде Екатеринославской губ., 1903, Тр. XIII арх. Съезда, т. 1, გვ. 301, სურ. 77.

⁷ Claude F. A. Schaeffer, Stratigraphie Comparee et Chronologie de l'Asie Occidentale, გვ. 415, სურ. 217, 23.

⁸ R. Starr, Nuzi, გვ. 475, ტაბ. 125.

⁹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

¹⁰ Т. Пассек, Б. Латяни, Ходжалинский курган № 11, Известия об-ва обследования и изучения Азербайджана, № 2, Баку, 1926, გვ. 57, სურ. 6 f.

¹¹ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

Т. Н. Савьяридзе, Бронзы древней Грузии, Тбилиси, 1954, автореферат, გვ. 11.

მსგავსი პირები სხვაგან ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ზოგიერთი ცალები უახლოვდებიან კუმულთაში აღმოჩენილ ამგვარსავე იარაღს¹. თითქოს რალაც მსგავსება ჩანს, განსაკუთრებით პირის მოყვანილობით, სირიაში, ტელ იუდე-ილში აღმოჩენილ სატევრის პირთან².

დოლმენების ამავე ფენაში ხშირად გვხვდება ძლიერ დაზიანებული თხელი ყუნწიანი ნივთები, რომელთა დანიშნულების გარკვევა ყოველთვის ვერ ხერხდება ხოლმე. შესაძლოა ისინი, როგორც ბ. კუფტინი ფიქრობს, მართლაც დანის პირები იყოს³.

ქვედა ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს № VI დოლმენში ნაპოვნი ოთხ-წახნაგა სადგისი (ტაბ. XXVI, 1). მსგავსი სადგისი ბ. კუფტინს შეუძენია ეშერში. რამდენადმე განსხვავებულია 1937 წ. გათხრილ № IV დოლმენში ნაპოვნი სადგისი. იგი შედარებით პატარა ზომისაა და არც ყუნწზე გადასვლის ადგილი ეტყობა მაინცდამაინც, ეშერში აღმოჩენილი სადგისები უფრო განვითარებული ფორმისაა, ვიდრე ჩვენში ცნობილი ადრეული სადგისები. ისინი განსაკუთრებით ახლოს დგანან თრიალეთის ერთ-ერთ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანში ნაპოვნი სადგისთან⁴. მსგავსი ნივთი საერთოდ კარგადაა ცნობილი ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე.

როგორც აღვნიშნეთ, ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილი დოლმენების ადრეული ფენის ლითონის ინვენტარი ერთგვაროვანია, მაგრამ თავისებური. მართალია აქ აღმოჩენილი ნივთები გარკვეულ ურთიერთობას ამჟღავნებენ საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ადრეულ ძეგლებთან, მაგრამ ამავე დროს რიგი თავისებურებებით ხასიათდებიან. ეს გარემოება ეგებ იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ამ პერიოდში უკვე იწყებს ჩასახვას ადგილობრივი მეტალურგიული წარმოება, რომელმაც დასაბამი მისცა დასავლურქართული ბრინჯაოს კულტურის ლოკალური ვარიანტის ჩამოყალიბებას ამ მხარეში. აფხაზეთის დოლმენების ადრეული ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მათში შეინიშნება დარიშხანის მომეტებული რაოდენობა⁵. საერთოდ, ამ ნივთების ლითონის შედგენილობა ერთგვარად განსხვავდება სხვა მასალებთან შედარებით (საჩხერე, თრიალეთი და სხვ.)⁶. აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე სპილენძის მადნების რამდენადმე მნიშვნელოვანი გამოვლინება არ შეინიშნება. აქ გვხვდება შედარებით უმნიშვნელო საბადოები და შესაძლოა ძველთაგანვე სწორედ ამ ადგილობრივი საბადოების ექსპლოატაციას აწარმოებდნენ⁷. დოლმენებში მოპოვებული ლითონის ნივთების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ გაარკვია, რომ მათი დამზა-

¹ Маг, VIII, ტაბ. XCV, 10.

² R. Maxwell-Hyslop, Bronze bugged axo-or adze blades from Asia, გვ. 73, სურ. 7, 1.

³ Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, 280.

⁴ Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 102, სურ. 109.

⁵ ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვ.ალი, თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁶ იქვე, გვ. 27.

⁷ იქვე, გვ. 17.

ცხრილი 3

№	ნაწილის დასახელება	ნაწილის №	აღმოჩენის ადგილი და წელი	გაბრის ხელმძღვან.	Cu	Sn	Pb	Fe	Zn	As	Sb
1	ცული	40	სოფ. თიხარა		99,66	—	0,09	0,04	—	კვალი	0,20
2	ცული გუბილიანი, რელი- ეფური ორნამენტით	229	სოფ. გუბი, 1937, IV დღემენი	ბ. კუჭინი	92,72	არ არის	არ არის	არ არის	არ არის	4,7	კვალი
3	ცული გუბილიანი	230	" — "		94,1			0,19		5,2	"
4	ცული	234	" — "		95,61			0,08		3,3	0,01
5	შუბი	231	" — "		93,29			0,02		3,75	არ არის
6	შუბი	228	" — "		94,74			0,6		4,4	
7	ცული ბრტყელი	3052	სტ. აბაშ- სკაია	—	94,15			~0,05		4,56	
8	ცული	3053	" — "	—	93,10			~0,08	~0,1	4,78	
9	კვი	3054	" — "	—	96,70			~0,05	~0,1	2,73	
10	სატყვარი	3057	სტ. ნოვოსე- ბოღნია	—	95,76		~0,08	~0,05	არ არის	3,87	
11	დანა (?)	3058	" — "	—	93,32		არ არის	~0,6		4,78	

დების ტექნიკას ამ დროისათვის უკვე საკმაოდ მაღალი საფეხურისათვის მი-
ულწივი¹.

რაც შეეხება დოლმენებში აღმოჩენილ კერამიკას, იგი დოლმენური
კულტურის არსებობის მთელ მანძილზე თითქმის სრულიად არ იცვლის სახეს.

დასასრულ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დოლმენების შესწავლამ
სათანადო სინათლე შეიტანა კავკასიის დოლმენური კულტურის შესწავლის
საქმეში, დღეისათვის ერთი გარკვეული მოსაზრება დოლმენების აგების დრო-
ის შესახებ მაინც არ არსებობს. ეშერის დოლმენების პირველმა შემსწავლე-
ლებმა ვერ შენიშნეს მათში სხვადასხვა ფენები, თუმცა კი მ. ივაშვიტომ
მიაქცია ყურადღება იმას, რომ ეშერის დოლმენებში აშკარად აღრეული ნივ-
თების გვერდით გვხვდებოდა უფრო მოგვიანო ხანის სამარხეული ინვენტარი.
ამიტომ მან ეს დოლმენები II ათასწლეულს მიაკუთვნა². ბ. კუფტინი გამო-
თქვამდა მოსაზრებას, რომ აფხაზეთის დოლმენების მშენებლობის ხანა III
და II ათასწლეულების მიჯნას მიეკუთვნება, თუმცა ისინი მომდევნო ხანა-
შიაც გამოყოფენ³. იგი აფხაზეთის დოლმენებში რამდენიმე ფენას
გამოყოფდა და ფიქრობდა, რომ ქვედა, ძირითადი ფენა აღრეულიდან შუა
ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა უნდა იყოს, მეორე ფენა—წინა
ყობანურის, ხოლო მესამე, ზედა ფენა კოლხური მონეტით თარიღდება⁴.
ა. იესენი ეშერის დოლმენებს II ათასწლეულის დასაწყისს მიაკუთვნებს⁵. იგი
ფიქრობს, რომ დოლმენური კულტურა კავკასიაში ნოვოსობოდნაიას ეტა-
პებთანაა დაკავშირებული და მისი მომდევნო პერიოდისა უნდა იყოს⁶.
ე. კრუპნოვის აზრით, დასავლეთ კავკასიაში დოლმენები II ათასწლეულის
პირველ ნახევარში ჩნდება. აფხაზეთის დოლმენები კი უფრო აღრეულია და
აქედან უნდა გავრცელებულიყო დოლმენური კულტურა ყუბანში⁷. ა. ტალ-
გრენი ეშერის დოლმენებს კავკასიის დოლმენტა შორის ყველაზე ახალგაზრდად
თვლის⁸. დაახლოებით ამავე აზრისაა გ. ჩაილდიც⁹. შეფერი აღნიშნავს, რომ
აფხაზეთის დოლმენები აღრებრინჯაოს ხანის ბოლოს უნდა აეგოთ და ისინი
ნოვოსობოდნაიას დოლმენების თანადროულად მიაჩნია¹⁰. ნოვოსობოდნაიას
დოლმენებს კი იგი 2200—2000 წლებს შორის ათავსებს¹¹.

¹ Ф. Таладзе и Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, გვ. 21.

² М. М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

³ Б. А. Купфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 355.

⁴ Б. А. Купфтин, К вопросу о ранних стадиях бронзової культуры на терри-
тории Грузии, გვ. 12.

⁵ Б. А. Купфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 15.

⁶ А. А. Иессен, К хронологии „больших кубанских курганов“, გვ. 199.

⁷ А. А. Иессен, Итоги и перспективы археологического изучения Северно-
го Кавказа, Тезисы докладов на пленарных заседаниях конференции по археологии
Кавказа, состоявшейся в Ереване в октябре, 1956 г., Москва, 1956, გვ. 14.

⁸ Е. И. Крупинов, Древняя история и культура Кабарды, გვ. 74.

⁹ А. М. Tailleur, Sur les monuments megalithiques du Caucase occiden-
tal, გვ. 28.

¹⁰ Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, გვ. 221.

¹¹ Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 517.

¹² იქვე, გვ. 520.

უკანასკნელ ხანებში ეშერის დოლმენების თარიღს შეეხო ლ. სოლოვიოვი. მისი აზრით ეშერის დოლმენების ძირითადი ფენა 1900—1600 წწ. მიეკუთვნება¹. თუმცა ცოტა უფრო ზევით იგი მათ ათარიღებს 2000—1600 წწ.². ლ. სოლოვიოვი ფიქრობს, რომ დოლმენები შავი ზღვის სანაპიროზე უფრო ადრეც, ქაშქების მოსვლამდისაც უნდა გამოჩენილიყო მცირე აზიასთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მკვლევართა უმრავლესობა კავკასიაში დოლმენების აგების ხანას III ათასწლეულის ბოლოს ან II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს. ისინი ფიქრობენ, რომ დოლმენების, როგორც სამარხი ნაგებობების მშენებლობა, ამ პერიოდში წარმოებდა. შემდეგში მათ უკვე აღარ აგებდნენ, ოღონდ მერმინდელ ხანაშიაც იყენებდნენ დასაკრძალავად. მაგრამ როგორც უკანასკნელი აღმოჩენებიდან ჩანს, ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს. ჩვენში დოლმენების მშენებლობის ხანა გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო და, როგორც ჩანს, მთელ ადრე და შუა ბრინჯაოს პერიოდს მოიცავდა. ამ საკითხში გარკვეული სინათლე შეიტანა 1955—1956 წწ. აფხაზეთის ექსპედიციის მიერ ეშერში მოპოვებულმა მასალამ. ექსპედიციის მიერ გათხრილ № II და III დოლმენებში აღმოჩენილი ინვენტარი საგრძობლად განსხვავდებოდა ეშერის დოლმენებში მანამდე ცნობილი სამარხეული ინვენტარისაგან და გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდა ოჩამჩირის ნამოსახლარისა და დიხაგუძუბას ქვედა ფენაში აღმოჩენილ მასალასთან. ეშერის ეს დოლმენები შეიძლება თანატოლი იყოს უფრო დიხაგუძუბას ნამოსახლარისა, რომლის ქვედა ფენას ბ. კუფტინი ადრებრინჯაოს პერიოდს აკუთვნებდა. ამავე დროს ისინი წინ უნდა უსწვრებდნენ ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილ დოლმენების ადრეულ ფენას, რომელსაც იგი ადრებრინჯაოს გვიანდელ საფეხურს მიაკუთვნებდა და III და II ათასწლეულების მიჯნით ათარიღებდა. ამიტომაც შესაძლებელია ეს დოლმენები ადრებრინჯაოს ხანის უფრო ადრეულ საფეხურს მივაკუთვნოთ და მათი თარიღი 2400—2200 წწ. განვსაზღვროთ.

რაც შეეხება კუფტინისეული ქვედა ფენის შემცველი დოლმენების თარიღს, როგორც ვთქვით, მათ მკვლევართა უმრავლესობა III ათასწლეულის ბოლოთი და II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით ათარიღებს. ეს თარიღი ძირითადად სწორი ჩანს და მათი ხნოვანება 2200—1800 წწ. შორის მოექცევა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით თვით ამ ჯგუფის შიგნით ძნელია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა. მაგრამ ეგებ უფრო მართებული იყოს ბ. კუფტინის მიერ 1934 წ. გათხრილი № II დოლმენის ყველაზე უფრო ადრეულად მიჩნევა. რაც შეეხება კუფტინისეულ № V დოლმენს (ივანჩენკოს III დოლმენი), აქ აღმოჩენილი ცული და სატევრის პირები შედარებით სრულყოფილი ტექნიკითაა დამზადებული, ვიდრე დოლმენების ადრეულ ფენებში ნაპოვნი ამგვარივე იარაღი³. ამიტომ ეს დოლმენი მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. ამასვე მოწმობს აქ აღმოჩენილი სამკაულიც.

¹ Д. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 165.

² იქვე, გვ. 163.

³ Б. А. Куптин, *Материалы к археологии Колхиды*, т. I, გვ. 297.

1955 წ. მოპოვებული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანის ბოლოსათვის მიცვალებულის დაკრძალვის მიზნით ჯერ კიდევ აგებდნენ დოლმენებს. № I დოლმენში, რომელიც საკმაოდ მოზრდილი იყო, ორი ფენა აღმოჩნდა. ზედა ფენა გვიანი ბრინჯაოს ხანისა იყო, ქვედა ძირითადი კი შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ეს დოლმენი იმ პერიოდში იყო აგებული, რომელსაც ბ. კუფტინი ეშერის დოლმენების მეორე ფენას აკუთვნებდა. როგორც ირკვევა, ამავე პერიოდისა უნდა იყოს ივაშჩენკოსეული № I დოლმენი, აგრეთვე ბ. კუფტინის მიერ 1937 წ. გათხრილი № IV დოლმენი და აზანთის ჯგუფის დოლმენები¹: ამ დოლმენების ქვედა, ძირითადი ფენა, თუ კუფტინისეულ პერიოდიზაციას მივყებით, აფხაზეთის დოლმენების მეორე ფენას, ე. ი. შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს დოლმენი დიდი ზომისაა და კარგადაცაა ნაგები.

მაშასადამე, II ათასწლეულის შუა ხანებში ჯერ კიდევ წესად ყოფილა დოლმენების მშენებლობა. უფრო მეტიც, როგორც აფხაზეთის დოლმენების მაგალითზე ჩანს, ყველაზე ადრეული დოლმენები უფრო მომცრო ზომისაა და შედარებით უხეშად ნაგებიც. შემდეგში დოლმენების აგების წესში გარკვეული წინსვლა შეინიშნება. დოლმენები გაცილებით უკეთაა ნაგები და ზომითაც მოზრდილებია. შუა ბრინჯაოს დოლმენები გამოირჩევიან როგორც დიდი მოცულობით, ისე მშენებლობის ტექნიკით.

ამრიგად, დოლმენური კულტურა ჩვენში გავრცელებული ყოფილა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში. აფხაზეთის დოლმენები კავკასიის დოლმენთა შორის ჯერჯერობით ყველაზე ადრეულები ჩანს. ჩრდილო კავკასიის დოლმენები, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ გელენჯიკის დოლმენს. შედარებით მოგვიანო ხანას ეკუთვინს. კიდევ უფრო გვიანდლებია, როგორც ჩანს, თალიშის დოლმენები, რომლებიც აფხაზეთის დოლმენთა გვიანდელი ჯგუფის თანადროული უნდა იყვნენ².

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ო. ჯაფარიძე, დოლმენური კულტურა საქართველოში, გვ. 92.

² Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

ღ ა ს კ ე ნ ა

ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე, IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებას იწყებს მიწათმოქმედი ტომების მძლავრი და თავისებური კულტურა. ეს კულტურა, რომელიც, საფიქრებელია, ადგილობრივი ნეოლითის ტრადიციებზე აღმოცენდა IV და III ათასწლეულების მიჯნაზე, კიდევ უფრო ვითარდება. მიწათმოქმედების ასვლა მაღალ საფეხურზე, მესაქონლეობის თანდათანობით დაწინაურება სულ უფრო და უფრო მეტ მიწის ფართობს მოითხოვდა. ეკონომიური პირობების გაუმჯობესება იწვევდა მოსახლეობის ზრდას, ეს კი თავის მხრივ აპირობებდა ახალი მიწების ათვისების საჭიროებას. მონათესავე მიწათმოქმედი ტომები ამ პერიოდში უკვე საკმაოდ ფართო ტერიტორიას იკავებენ. შესაძლოა, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლითონის გამოჩენის ადრეულ ხანაში ამიერკავკასიაში ერთგვაროვანი კულტურა საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება.

ეს მიწათმოქმედი ტომები, ბუნებრივია, საცხოვრებლად ირჩევენ ისეთ ადგილებს, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის. თუმცა საცხოვრებელი ადგილის შერჩევისას ისინი ზოგჯერ ალბათ თავდაცვითი მიზნითაც ხელმძღვანელობდნენ.

ენეოლითურ ნასოფლარებს უპირატესად ვხვდებით მდინარეების მახლობლად, ზოგჯერ საკმაოდ მაღლობ ადგილზე, პლატოებზე და სხვ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საგვარეულო სოფლები ზოგჯერ არც თუ ისე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ უკანასკნელ ხანებში შიდა ქართლში მიკვლეული ძეგლებიდან. ეს სოფლები არც თუ ისე დიდი, მაგრამ მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო. სახლები ერთიმეორესთან ახლო იყო განლაგებული (ქვაცხელები, გუდაბერტყა, შენგავითი). უნდა აღინიშნოს, რომ შენობების ამგვარი სიმჭიდროვე საერთოდ დამახასიათებელია ადრეული ხანის სამიწათმოქმედო სოფლებისათვის. შენობები მიწის ზემოთაა ნაგები. მიწურები და ნახევრადმიწურები ამიერკავკასიის ენე-

ოლითისათვის დამახასიათებელი არ არის. როგორც ეს საგვარჯილის შიგა-
ლითიდან ჩანს, ენეოლითში ზოგან საცხოვრებლად ჯერ კიდევ იყენებდნენ
გამოქვაბულებს. აქ ამ პერიოდის ფენა აღმოჩნდა როგორც გამოქვაბულის
გარეთ, ისე მის შიგნითაც. საფიქრებელია, რომ გამოქვაბულს საცხოვრებ-
ლად უპირატესად ზამთრობით იყენებდნენ, ზაფხულის თვეებს კი გარეთ
ატარებდნენ.

ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე ჩვენში უკვე გავრცელებული
იყო სივადასხვა ტიპის შენობები: სწოკუთხა. მრგვალი, მოგოდო — კუთხეებ-
მომრგვალებული, ოვალური. სამშენებლო მასალად გამოიყენებულა იგი, ქვა,
თიხა. საცხოვრებლის მიგნით, მის ცენტრალურ ნაწილში, ზოგჯერ მრგვალი
კერა იდგა. ვარდა ამ კერისა, საცხოვრებელში ხშირად იყო აგრეთვე ქვის
ჩვეულებრივი კერა. ამ კერების ირგვლივ ყველაზე მეტი ძასალის პოვნა შეიძ-
ლება. როგორც ჩანს, საცხოვრებელი არა მარტო თავშესაფარი იყო, არა-
მედ აქვე ინახავდნენ სანოვაგესაც. სანოკავის შესანახად საცხოვრებლის შიგ-
ნით. ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ცალკე ადგილი. მთელ იატაკზეა მოფან-
ტული სანოვაგის შესანახი ქერქლის ფრაგმენტები. ზოგჯერ ამ ქერქლებში
და იატაკზე სივადასხვა მარცვლეულის ნაშთისაც პოულობენ. საცხოვრებ-
ლის შიგნით მრავლად გვხვდება ცხოველთა ძვლებიც.

ენეოლითის ხანაში მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი იყო.
ამ პერიოდში მეურნეობის ეს დარგი საკმაოდ მაღალ განვითარებას აღწევს.
მიწათმოქმედების დაწინაურება ჩვენში უკვე ნეოლითურ კულტურაში შეინიშ-
ნება. ჩანს, რომ მომდევნო საფეხურზე ადგილობრივი ნეოლითის ტრადიცი-
ებზე აღმოცენებული მეურნეობა ეს დარგი განვითარების კიდევ უფრო მა-
ღალ საფეხურზე ადის: ამ დროის ნამოსახლარებზე თითქმის ყოველთვის
გვხვდება მიწის დასამუშავებელი იარაღი, ნამკლის პირეცი, ხელსაფეკვის
ქვები, მარცვლეულის შესანახი ქერქელი და ორმოები, ხშირად თვით მარცვ-
ლეულის ნაითებიც. სადღეისოდ ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ არის მი-
წათმოქმედების რა ფორმასთან უნდა გვკობდეს საქმე. როგორც ჩანს, მიწის
დასაძუნავებლად ისევ იყენებენ ქვის, რქისა და, ალბათ, ხის იარაღსაც. აქვე
უნდა აღინიშნოს, რომ ენეოლითურ მასალებში უშუალოდ მიწის დასამუშა-
ვებელი იარაღი შედარებით იშვიათად გვხვდება. რითია გამოწვეული ეს გა-
რეხვება. ჯერჯერობით ინელი სათქმელია. მაგრამ, ვფიქრობთ, ამის ერთ-
ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ სადღეისოდ ცნობილი ამიერკავკასიის
ენეოლითური ხანის ძეგლები უპირატესად ამ კულტურის შედარებით გვიან-
დელ საფეხურს მიეკუთვნება. ენეოლითის კულტურის ამ სტადიაზე კი, სა-
ფიქრებელია, მიწის დასამუშავებლად ხის არაძირიულ საივნელს ხმარობ-
დნენ, რომელშიაც გამწვევ ძალად უკვე ხარს იყენებდნენ. არქეოლოგიუ-
რი მონაცემები ამის შესაებე ჯერჯერობით პირდაპირ არაფერს გვუბნება,
მაგრამ, ჩვენი აზრით, ინელი წარმოსადგენია, რომ იმ პერიოდში საივნელი
იარაღის გარეშე შესაძლებელი ყოფილიყო პურეულის დათესვა მიწის დიდ
ფართობზე. ნიშანდობლივია ის გარეკაობა, რომ გვიანენეოლითურ ნასოფ-
ლარებზე სწორედ მიწის დასამუშავებელი იარაღი ჩანს შედარებით ნაკლებად,
თორემ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვა რიგის იარაღი აქ კარგა-

და წარმოდგენილი. აქვე უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ხარს, როგორც გამწვევ ძალას, ჩვენში უკვე ადრებრინჯაოს ხანაში იყენებდნენ ბორბლიან ტრანსპორტში¹. რა თქმა უნდა, რაკი ხარი ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურზე ბორბლიან ტრანსპორტშია გამოყენებული, საფიქრებელია, რომ მას უფრო ადრე მიწის დასამუშავებლად გამოიყენებდნენ. ამ უკანასკნელ ხანებში ქართლის ვაკეზე გამოვლენილ ნასოფლარებზე მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ გვიანნეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებაში მანქანადამანქანა დიდი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენეოლითში, უფრო კი მის გვიანდელ საფეხურზე, ჩვენში უკვე საფუძველი იყრება გუთნურ მიწათმოქმედებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ქართული სახენელი ახლოგენეტიკურ კავშირშია წინა აზიის სახენელთან² და რომ სახენელი იარაღის ამ ტიპმა ქართულ ტომებში თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია არაუკული სახენელის სახით³. როგორც ჩანს, ქართველმა ტომებმა გარკვეული როლი შეასრულეს სახენელი იარაღის გაუმჯობესების საქმეში⁴ და წინა აზიის სხვა ხალხებთან ერთად, სადაც სახენელი იარაღი უძველეს ფენებში ჩანს⁵, ადრე დაიწყეს მიწათმოქმედებაში მისი გამოყენება.

მოსაველს ძირითადად კაეის ნამგლით იღებდნენ. მათ საკმაოდ დიდი როლდენობით ვხვდებით ადრეულ ნამოსახლარებზე. კაეის ნამგალი ჩვენში უკვე ნეოლითიდან იყო ცნობილი და წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა⁶. ლითონის ნამგალი ჩვენში ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანაში ვრცელდება, თუმცა იგი ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრეული პერიოდიდან იყო ცნობილი. გარნის ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ლითონის ნამგლის ნატეხი⁷. ახალციხის „ამირანის გორაზე“ ნაპოვნი იყო ერთი სპილენძის ნამგალი⁸. მაგრამ, როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანამდე ძირითადად ისევ კაეის ნამგალს იყენებდნენ. ბ. კუფტინი თავის დროზე ფიქრობდა, რომ ლითონის ნამგლის შენობება ჩვენში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალი ბურეული კულტურის შემოსვლასთან. მისი აზ-

¹ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1960, გვ. 19.

² Г. Чистая, К вопросу о происхождении абхазских похотных орудий, საქმე. აკად. მოამბე, ტ. II, № 4, თბილისი, 1941, გვ. 375.

³ გ. ჩიტიანი, რაკული სახენელი, ენმეკი-ს მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. 285.

⁴ იქვე, გვ. 276.

⁵ B. Hrozný, La Charrue en Sumor—Akad, en Egypte et en Chine, Archiv Orientalni, Vol. X, № 3, 1938, გვ. 437.

B. Brentjes, Geräte altorientalischen Bodenbaues, Wissenschaftliche Zeitschrift der Martin—Luther-Universität, Halle-Wittenberg, VI, 4, Halle, 1957, გვ. 682.

⁶ ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 204.

⁷ Б. Аракелян, Гарни, Ереван, 1951, გვ. 25, სურ. 12.

⁸ ტ. ჩუბინიშვილი, ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 1959 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1960, გვ. 26.

რით. პურეულს ახალი ჯიში მინცდამაინც ხმელთაშუა ზღვიდან უნდა შემოსულიყო და არა აღმოსავლეთიდან, ვინაიდან აღმოსავლეთში თითქოს სხვა ფორმის ნამგალი იყო გავრცელებული¹. მაგრამ ჩვენში გავრცელებული ნამგალი ახლო დგას წინა აზიის ნამგლებთან, აქაცა და იქაც ძირითადად უყუნწო ნამგლები გვხვდება².

მოსავლის ალების სხვაგვარი წესიც არსებობდა. არ არის გამორიცხული. რომ თავთავს ხელითაც გლეჯდნენ, მაგრამ ამ წესით, რა თქმა უნდა, მოზრდილი ფართობის დამუშავება ძნელი იქნებოდა³. საყურადღებოა, რომ საქართველოში ენდემური ჯიშების ალების თავისებური წესი არსებობდა⁴. ლეჩხუმში უკანასკნელ დრომდე ამ წესით კრთვდნენ მახასა და ზანდურს⁵. პირველად იკრიფებოდა თავთავი „შნაკეთ“, რომელიც თავში მოძრავად შეკრულ ორ ჯოხს წარმოადგენდა, ლერო კი გარკვეული დროის მანძილზე მინდორში რჩებოდა. ნიშანდობლივია, რომ ეს წესი დამოწმებულია აგრეთვე ესპანეთში. კ. ფლიაკსბერგერი აღნიშნავს, რომ ასტურიაში პურეულს მოსაკრეფად ხმარობენ ისეთსავე იარაღს, როგორსაც დასაკლეთ საქართველოში იყენებენ Tr. macha-ს ასაღებად⁶. საფიქრებელია, რომ ძველად საქართველოში ენდემურ პურეულს „შნაკეთ“ ნაკვარი იარაღით ჰკრთვდნენ, მინდვრად დარჩენილ ღეროს კი, ალბათ. კაყის ნამგლით იჭიდნენ⁷.

რა წესით ხდებოდა შეგროვილი მარცვლეულის გალევვა, ახლა ძნელი სათქმელია. შესაძლოა, პირდაპირ ხელით ფშენიდნენ მას, ან გრძელი ჯოხებით ლეუდნენ, ან კიდევ ფეხით. ამგვარად მიღებულ მეტ-ნაკლებად გალეწილ მარცვლეულს ხელსაფეხეებით ფეხავდნენ. ხელსაფეხეებს ხშირად პოულობენ ამ პერიოდის ნასოფლარებზე; არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მარცვლეულის შენახვა მომავალ მოსავლამდე⁸. როგორც ჩანს, მარცვლეულს ინახავდნენ მოზრდილ ქურქლებში და აგრეთვე საგანგებო ორმოებში.

ამ პერიოდში დასათვისი ფართობი უშუალოდ სოფლის მახლობლად მდებარეობდა. ცხადია, დამუშავების შედეგად მიწის ეს ფართობი თანდათანობით იფიტებოდა და სულ უფრო და უფრო ნაკლებდამოსადეგი ხდებოდა. ქართლის ბარში ამ უკანასკნელ ხანებში შესწავლილი ნამოსახლარების მავა-

¹ Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, გვ. 324.

² ი. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

В. Вегтjes, დასახ. ნაშრომი, გვ. 684.

³ О. М. Слободин, К вопросу о развитии и смене систем земледелия, Материалы по истории земледелия СССР, Москва, 1952, гв. 29.

⁴ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I. გვ. 344, 334, ტ. II. გვ. 80.

⁵ გ. ი ტ ა ი ა, რაკული სახენელი, ენოქის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. 275.

Д. Д. Декапрелович, О некоторых вопросах одомашивления пшеницы, Вопросы эволюции, биогеографии, генетики и селекций, М.—Л., 1960, гв. 77.

⁶ К. Фляксбергер, Находки культурных растений доисторического периода, Архив истории науки и техники, т. II, Ленинград. 1937, гв. 169.

⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

⁸ Г. Чайлд. Прогресс и археология, гв. 47.

ლითიდან ჩანს, რომ გვიანნეოლითის და ადრებრინჯაოს პერიოდში აქ ერთ სოფელში რამდენიმე თაობას უნდა ეცხოვრა. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ამ მიწათმოქმედმა ტომებმა უკვე იცოდნენ მიწის დასვენების წესი და დასამუშავებელი ფართობის ერთ ნ.წილს გარკვეული დროით ასვენებდნენ. შესაძლოა აგრეთვე ისიც, რომ ისინი იცნობდნენ მიწის ხელოვნურად განოყიერების წესსაც. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მიწის განოყიერება უკვე ნეოლითის პერიოდიდან ისწავლეს, განსაკუთრებით იმ ტომებმა, რომლებიც მიწათმოქმედების გარდა მესაქონლეობასაც მისდევდნენ¹. ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხები უკვე იცნობენ მიწის განოყიერების წესს². რა თქმა უნდა, სოფლის ირგვლივ მდებარე მიწები თანდათანობით არასაკმარისი და ნაკლებგამოსადეგი ხდებოდა. იწყებოდა უფრო მოშორებული ადგილების დამუშავება. შემდეგში, ალბათ, მოსახლეობის ერთი ნაწილი ტოვებდა ძველ სოფელს და ახალ ადგილზე გადადიოდა საცხოვრებლად.

ჩვენში მიწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ უფად იყო წარმოდგენილი საკვები მცენარეულობა. ენეოლითური ნამოსახლარების ფენებში ხშირად პოულობენ ხოლმე სხვადასხვა მარცვლეულის ნაშთებს. ნიშანდობლივია, რომ აქ მოპოვებული მარცვლეული ახლო დგას ამიერკავკასიაში ახლაც კარგად ცნობილ გარეულ ჯიშებთან³. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენში დღესაც გვხვდება სორბლეული, რომელიც გარდამავალ სახეობას წარმოადგენს გარეულსა და კულტურული ტიპის ხორბალს 'ზორის' (*Tr. eredvianum Zhuk.*)⁴. ასეთივე გარდამავალი ფორმაა (ოღონდ რამდენადმე უფრო განვითარებული) მახა (*Tr. macha Dek. et Men.*)⁵. ხორბლეულის ეს საეობა ქართველმა ხალხმა მოიტანა დღემდე თითქმის უცვლელად. მახა ჩვენში უიველესი დროიდან ყოფილა ცნობილი. მისი ნაწებები აღმოჩნდა დიხაგუძეებს უძველეს ფენებში⁶. შენგავითის ნამოსახლარის გათხრისას ნაპოვნი იყო ხორბლის ნაიფერადკულტურული ფორმები და ქერის ნაშთები; ამიერკავკასიაში ენეოლითური ხანის ნაოსნობისა და აღმოჩენილი ხორბლეულის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა რბილი ხორბალი (*Tr. vulgare Vill.*)⁷. მას ვხვდებით ნაბიჭვანის ქიულთეფეს ფენაში⁸, შენგავითის

¹ Г. Чуйлд, Прогресс и археология, გვ. 45.

² Ф. Ратцель, Народоведение, т. I, С. Петербург, 1903, გვ. 640.

³ Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, გვ. 173.

⁴ Л. Л. Декапрелевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁵ В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тбилиси 1948, გვ. 15, 109.

⁶ Б. ხოშტარია, დიხა გუძეა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლობა, საქ. მეცნ. აკად. შობამე, ტ. V, 2, თბილისი, 1944, გვ. 211.

В. Л. Менабде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, საქ. მეცნ. აკად. შობამე, ტ. I, № 19, თბილისი, 1940, გვ. 644.

⁷ Л. Л. Декапрелевич, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁸ О. А. Абибулаев, Раскопки холма Кюль-Тепе близ Нахичевани, 1955, გვ. 452.

Т. А. Бунатов, Земледелие и скотоводство в эпоху бронзы в Азербайджане, автореферат, Москва, 1955, გვ. 9.

ნამოსახლარზე¹, ქვატყელების ნასოფლარზე და სხვ. როგორც ჩანს, ხორბლის ეს ჯიშში ფართოდ გავრცელებული სახეობა უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიაში. პ. ჟუკოვსკი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ხანების გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ რბილი ხორბლის წარმოშობის გეოგრაფიული მხარე დიდი და მცირე კავკასია უნდა ყოფილიყო². ამავე ნაშრომის სხვა ადგილას იგი პირდაპირ წერს, რომ რაილი ხორბალი ამიერკავკასიაში უნდა წარმოშობილიყო³. თუმცა უფრო ადრე გამოსულ თავის ერთ ერთ ნაშრომში იგი ანატოლიასა და ამიერკავკასიას მეორად ცენტრად მიიჩნევს⁴. რბილი ჯიშის ხორბალს ჩვენში დღესაც წამყვანი ადგილი უკავია⁵. შემთხვევითი არ არის ის, რომ გეთეფეზე K პერიოდის ფენაში სწორედ რბილი ხორბლის ნაშთი (Tr. vulgare Vill) აღმოჩნდა⁶.

როგორც ცნობილია, საქართველო გამოირჩევა ხორბლეულის ჯიშების სიმდიდრით⁷. აქ ენდემური აურეულის რამდენიმე სახეობა გვხვდება⁸ და, რაც ნთავარია, ხორბლეულის შემადგენლობაში ჩვენში დღესაც შედის ისეთი ფორმები, რომლებშიც შემონახულია კულტურული ხორბლეულის საწყისი ტიპები⁹. მ. თუმანიანი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ხანაში უკვე ხორბლის ხუთი სახეობა მაინც უნდა ყოფილიყო¹⁰. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად მსოფლიოში არსად არ გვხვდება ხორბლის ისეთი ნაირსახეობა, როგორც საქართველოსა და სომხეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამ ჯიშების თითქმის ნახევარი ენდემურია¹¹. უკვე არაერთხანს იყო აღნიშნული, რომ ამიერკავკასია და კერძოდ კი საქართველო ხორბლის წარმოშობის ძირითად ოლქში შედის¹².

¹ М. Г. Туманян, Культурные растения урартского периода в Армении, Изв. Акад. наук Ар. ССР, № 1—2, Ереван, 1944, Общественные науки, გვ. 75.

² П. М. Жуковский, Культурные растения в их сородичьях, Москва, 1950, გვ. 90.

³ იქვე, გვ. 24 და 65.

⁴ П. М. Жуковский, Земледельческая Турция, М.—Л., 1933, გვ. 221.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეონომიური ისტორია, ტ. I, თბილისი, 1930, გვ. 337.

В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, გვ. 78.

⁶ T. Burton Brown, Excavations in Azarbeijan, 1948, გვ. 50.

⁷ T. Burton Brown, Early Bread Wheat, Antiquity, Vol. XXIV, № 93, 1950, გვ. 40.

⁸ П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 63, 65.

⁹ ლ. დეკაპრელევიჩი, შოთა რუსთაველის ეპოქის უმთავრესი კულტურები, შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 5.

¹⁰ В. Л. Менабде, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

¹¹ М. Г. Туманян, Происхождение пшеницы Персикум, Tr. persicum Var., Изв. Акад. наук Ар. ССР, № 1—2, Ереван, 1944, Естественные науки, გვ. 115.

¹² П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

¹³ იქვე, გვ. 65.

В. Л. Комаров, Происхождение культурных растений, 1930, გვ. 77.

ლ. დეკაპრელევიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

3. უუკოვსკი კიდევ უფრო შორს მიდის. მისი აზრით წინა აზიაში მიწათმოქმედება და კულტურული მცენარეები შესაძლოა ამიერკავკასიიდან გავრცელდა¹. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ჩვენში ხორბლეული ჯიშების მრავალგვარობა იმის მაჩვენებელია, რომ ქართველ ტომებს იმთავითვე დაწინაურებული მიწათმოქმედება ჰქონდათ და მათ წინა აზიის სხვა ხალხებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების საქმეში².

ენოლითის ხანაში მიწათმოქმედებასთან ერთად გარკვეულ განვითარებას აღწევს მესაქონლეობაც. როგორც ჩანს, იმ პერიოდში ძირითადად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. უკვე ვხვდებით როგორც ტანდიდ, ისე უფრო მორჩილ ჯიშის ხარს. იმ დროს ხარი წარმოადგენდა როგორც განწვევ ძალას, ისე ხორცის მოძებმ საშუალებას, ძროხა კი გამოიყენებოდა რძის პროდუქტების მისაღებად.

გვიანენოლითის საფეხურიდან მოკიდებული, მიწათმოქმედებაში მსხვილფეხა საქონლის გამოყენება იწვევდა მეურნეობის ამ ორი ფორმის თანაარსებობას. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ახლა თავისებურ მოვლა-პატრონობას მოითხოვდა. საჭირო იყო საცხოვრებლის მახლობლად პირუტყვისათვის სათანადო თავშესაფარის მოწყობა. შესაძლოა, რომ უკვე ამ პერიოდში ზოგჯერ საცხოვრებლის შიგნითაც გამოყოფდნენ საგანგებო ადგილს საქონლისათვის.

ენოლითური ხანის ნამოსახლარებში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლებთან ერთად გვხვდება წვრილფეხა საქონლის ძვლებიც, ოღონდ მათი ნაშთები შედარებით უფრო მცირეა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მეცხვარეობა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. ამას ალბათ ერთგვარად ხელს უწყობდა ის, რომ ამ დროს ჩვენში ტყიანი ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო, ხოლო ალბიური საძოვრების ინტენსიურად გამოყენების საშუალებას კი იმდროინდელი მეურნეობის ხასიათი არ იძლეოდა. საძოვრები უშუალოდ სოფლის მახლობლად მდებარეობდა.

ენოლითის გვიანდელ საფეხურზე და ადრებრინჯაოს ხანაში მეცხვარეობა თანდათანობით წინაურდება. ამ პერიოდის ნამოსახლარის ფენებში წვრილფეხა საქონლის ნაშთები მატულობს. მესაქონლეობის ამ დარგის წინსვლას ბიძგი მისცა აგრეთვე მიწათმოქმედების განვითარებამაც. გუთნურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა სულ უფრო და უფრო მეტ მიწის ფართობს მოითხოვდა, რაც, თავის მხრივ, ტყის თანდათანობით შემცირებას იწვევდა, გაშლილი ადგილები კი ხელს უწყობდა მეცხვარეობის განვითარებას. სოფლის ირგვლივ მდებარე ადგილების ათვისება, ერთი მხრივ, და საქონლის სულადობის გაზრდა, მეორე მხრივ, იწვევდა იმას, რომ სოფლის ახლო საძოვრები თანდათანობით არასაკმარისი ხდებოდა. ენოლითის პერიოდში უკვე იწყება მთისძირა და მთის რაიონების ათვისება. თავდაპირველად სა-

¹ П. М. Жуковски й, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

² თ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, გვ. 197.

ზატუნლო, სეზონური საძოვრები, სადაც ეწყობოდა დროებითი სამოსახლოე-
ბი, სოფლიდან მაინცდამაინც არ უნდა ყოფილიყო დაშორებული, შემდეგში
სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ხდება მაღალმთიანი საძოვრების ათვისე-
ბა. ადრებრინჯაოს ხანაში მესაქონლეების კავშირი სამიწათმოქმედო ბაზას-
თან ჯერ კიდევ საკმაოდ მყარია, შემდეგში კი ეს კავშირი სოფელთან თან-
დათანობით სუსტდება. ამის გამო საჭირო გახდა მთას საკუთარი სოფლის
მეურნეობის პროდუქტია ჰქონოდა. ამიტომ იქ შეძლებისდაგვარად მიწათ-
მოქმედებაც ვითარდება, მაგრამ თავისებური პირობების გამო, არაინტენსი-
ურად¹. მაღალმთიანი ალპური საძოვრების ათვისებამ, ერთი მხრივ, და
მეტალურგიის განვითარებამ, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარა მთაში მცხოვ-
რები მესაქონლე ტომების დაწინაურებას. ეს პროცესი ჩვენში ადრებრინჯა-
ოს ხანაში ისახება და მომდევნო პერიოდში უფრო მაღალ საფეხურზე აღის.
ეკონომიური ცენტრის გადანაცვლებამ მთაში გამოიწვია ცხოვრების ეკონო-
მიური პირობების ერთგვარი შესუსტება ბარში.

ენეოლითური ხანის ნამოსახლარის ფენებში მოწინაურებული ცხოველე-
ბის ძვლებთან ერთად მრავლად გვხვდება გარეული ცხოველების ნაშთებიც.
ჩანს, რომ მონადირეობას ამ პერიოდში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი
ეკავა, მაგრამ მესაქონლეობის განვითარება იწვევდა მის თანდათანობით შე-
სუსტებას.

გარკვეული ადგილი ეკავა მეთევზეობასაც. ამ პერიოდის ფენებში
ზოგჯერ გვხვდება თევზის ძვლები, ბადის საწაფები. განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია საგვარჯილეში აღმოჩენილი ძვლისა და ლითონის ანკესები. ლითო-
ნის ანკესი საერთოდ იშვიათია ადრეულ პერიოდში. ეს ანკესები ძალიან ახ-
ლო დგას ადრეტრიპოლიეს კულტურაში აღმოჩენილ ანკესებთან² და, აგრეთვე,
წინააზიურ ანკესებთან³.

ამიერკავკასიის ენეოლითურ ნამოსახლარებზე ჩვეულებრივ ყველაზე ქარ-
ბად წარმოდგენილია კერამიკული მასალა. ამ პერიოდის თიხის ჭურჭელი
ხელითაა ნაქერწი. იგი გამოირჩევა მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი და
თანაც თავისებური ფორმებით. თავისებურია აგრეთვე მისი ორნამენტაციაც.
ეს კერამიკა თითქმის უკვლელად ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ თა-
ვისებურ სახეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ცალკეული ჯგუ-
ფისათვის მაინც შეიძლება გამოიყოს სპეციფიკური ნიშნები. მომდევნო,
ადრებრინჯაოს საფეხურის კერამიკა ჯერ კიდევ ახლო დგას ენეოლითურ
ჭურჭელთან. ჩანს, რომ იგი გენეტიკურად დაკავშირებულია წინამორბედი

¹ გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგა-
რიზი), მიმოხილველი, ტ. I, თბილისი, 1943, გვ. 363.

² С. И. Б и н џ о в, Раниотрипольское поселение Лука-Врублевцеаи на Дие-
стре, გვ. 120, 186.

Т. С. П а с с е к, Итоги работ в Молдавии в области первобытной археологии,
КСИИМК, вып. 56, Москва, 1954, გვ. 78, სურ. 37, 2.

Т. С. П а с с е к, Раскопки трипольских поселений на среднем Днестре, КСИ-
ИМН, вып. 51, Москва, 1953.

³ Г. Ч а й л д, Древнейший Восток... გვ. 209, სურ. 67.

საფეხურის თიხის ნაწარმთან, მაგრამ რამდენადმე უფრო განვითარებული სახისაა. მართალია, იგი ჯერ კიდევ შორსაა შუა ბრინჯაოს ხანის ჭურჭლისაგან, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით უკვე უკავშირდება მომდევნო ხანის კერამიკას¹.

ენეოლითური კულტურის დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ ლითონის იარაღი უკვე გარკვეულ როლს ასრულებდა სამეურნეო ცხოვრებაში. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ლითონი ძაინც იშვიათი იყო, თანაც ალბათ ძვირიც. მაგრამ, საფიქრებელია, რომ იქ, სადაც თვითნაბადი სპილენძი საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა, ლითონის სამეურნეო იარაღს ამზადებდნენ ცივი ჰედვის გზით, რაიმე დამატებითი მეტალურგიული პროცესის გარეშე რაც უთუოდ გარკვეულ გავლენას მოახდენდა ეკონომიურ ცხოვრებაზე². ჩვენში ამგვარი ლითონის ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ლითონი ამ პერიოდში თანდათანობით ვრცელდება და ენეოლითის ბოლოსათვის ჰედვასთან ერთად ფეხს იკიდებს ლითონის ჩამოსამაც. ლითონის ჩამოსხმა იარაღის დამზადების ძირითადი მეთოდი ხდება და საფუძველი ეყრება ნამდვილ მეტალურგიას, საიდანაც იწყება განვითარების ახალი საფეხური—ბრინჯაოს ხანა³. ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ ეტაპზე ლითონის დამუშავების ტექნიკა საკმაოდ მაღალ საფეხურზე აღის. უკვე ჩამოსხმის საკმაოდ რთული. მოდელის დაკარგვის წესისათვის მიულწვეიათ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ჩვენში მეტალურგია სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდა. ადგილობრივი მეტალურგიის განვითარება განაპირობა ძველ წინააზიურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობამ.

ტომი, რომელიც ამ პერიოდში ძირითად საზოგადოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი უჯრედი უნდა ყოფილიყო. ერთგვაროვანი კულტურის მატარებელი მონათესავე ტომები ამ დროს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე არიან დასახლებული. მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეტალურგიის დაწინაურება და აგრეთვე მოსახლეობის რიცხვის ზრდა ახალი ფართობის ათვისებას მოითხოვდა. ახალ მიწებზე კი ჩვენში იმ დროს ნაკლებობა არ უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მონაცემებით მაინცდამაინც არ შეინიშნება, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან უთანხმოებებს ჰქონოდა ადგილი. პირიქით, თითქოს ისე ჩანს, რომ ეს მონათესავე ტომები უპირატესად მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდნენ. ამ ტომების ცხოვრების ერთგვაროვან ხასიათს ხელი უნდა შეეწყო მათი დაახლოებისათვის. შესაძლოა, რომ ლითონის გამოჩენის ადრეულ ხანაში ადგილი ჰქონდა ქართველური ეთნიკური ელემენტის ჩასახვას.

საფიქრებელია, რომ ენეოლითის დროს უკვე არსებობდა საერთო ქართველური ენა. ამ კულტურის მატარებელი ტომების ვრცელ ტერიტორიაზე

¹ Б. Б. Пиотровский, Поселение медного века в Армении, зз. 183.

² Г. Кларк, Доисторическая Европа, зз. 186.

³ Г. Чайлд, Прогресс и археология, зз. 70:

განფენა თანდათანობით ქმნიდა ამ ენის გაყოფის საფუძველს¹. ბრინჯაოს ხანაში, როდესაც მეურნეობის მნიშვნელოვან ძვრებთან დაკავშირებით მაღალ-მთიანი ზოლის ათვისება იღებდა, ეს ტომები კადვე უფრო შორდებიან ერთმანეთს, რასაც უთუოდ დიდად უნდა შეეწყო ხელი საერთო ქართველური ენის დიფერენციაციისათვის. საფიქრებელია, რომ ამ საერთო ქართველურს ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, რომელიც შემდეგში დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული გაიდა². ამის მიზეზი ეგებ ისიც იყოს, რომ ეს ტომები უფრო ადრე გადადიან მესაქონლეობაზე. ითვისებენ მთას და თანდათანობით სულ უფრო და უფრო შორდებიან საერთო ქართველური ენის გავრცელების პირვანდელ ტერიტორიას³. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ სვანური ენის გამოყოფის პროცესი ძვ. წ. XIX საუკ. უნდა დაწყებულიყო. კიდევ უფრო გვიან უნდა მომადარიყო ზანურისა და ქართულის დაშორება⁴.

ენოლითის ხანაში ჩვენში გვიროვნული საზოგადოება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აღის. საფუძველი ეცლება მატრიარქალურ ურთიერთობას. ქალი თანდათანობით ჰკარგავს თავის უპირატეს მდგომარეობას გვარში, ხოლო მამაკაცის როლი კი სულ უფრო და უფრო იზრდება. საფუძველი ეყრება გვიროვნული საზოგადოების ახალ, უფრო განვითარებულ ორგანიზაციას აატრიარქატს. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა უეცრად არ მომხდარა. იგი გამოიწვია მეურნეობის ძირითადი დარგების - მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ.

მამაკაცის როლის გაძლიერებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ენოლითის ბოლოსათვის ჩვენში მეტალურობამ პირველი ნაბიჯები გადადგა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ენოლითის გარკვეულ საფეხურზე ყველა პირობა იყო იმისათვის, რათა გვიან განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო. ამ პერიოდის მოგვიანო ხანაში უკვე ისახება პატრიარქალური ორგანიზაცია. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალს საბოლოოდ არ დაუკარგავს თავისი მდგომარეობა. იგი ჯერ კიდევ ასრულებს გარკვეულ როლს გვარში. ამ პერიოდის ფენებში გვხვდება ქალის თიხის ქანდაკებები (ურბნისი, ქიულთბეფე, შენგავითი და სიფ.); ადრებრინჯაოს ხანაში მამაკაცის როლი უკვე წამყვანი ხდება და საბოლოოდ მტკიცდება პატრიარქალური ურთიერთობა.

ენოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის საფეხურზე ჯერ კიდევ არ შეი-

¹ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 50.

² თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959.

³ კლიმოვი აღნიშნავს, რომ სვანური იზიარებს სხვა ქართველურ ენებთან მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ტერიმინოლოგიას და თითქოს არ იზიარებს სამიწათმოქმედო ტერიმინოლოგიას.

⁴ Г. А. Еленин, О глоттохронологическом методе датировки распада языков, Изв. Института лингвистики, № 2, Москва, 1959, гв. 121.

⁵ იქვე, გვ. 120.

ნიშნება უთანასწორობა გვაროვნული საზოგადოების შიგნით. მართალია, აღრებრინჯაოს ხანაში ჩვენში შეინიშნება დასაფლავების განსხვავებული წესი გვარის დაწინაურებულ წევრთათვის, მაგრამ, როგორც სამარხეული ინვენტარიდან ჩანს, გვარის დაწინაურებულ და რიგით წევრთა ეკონომიურ მდგომარეობას შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა. გვარის წინამძღოლის ან სხვა დაწინაურებული წევრის უპირატესი მდგომარეობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ მას აუგებდნენ უფრო რთულ სამარხს, რომელიც გვარის წევრთა ერთობლივ შრომას მოითხოვდა.

ბრინჯაოს კულტურის შემდგომ საფეხურზე, შუა ბრინჯაოს ხანაში, უკვე იქმნებოდა ის პირობები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს გვაროვნული საზოგადოების რღვევას.

IV—III ათასწლეულების მიჯნაზე ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავს. როგორც ჩანს, ამ კულტურის გავრცელების სფეროში ექცევა აღმოსავლეთ ანატოლიის დიდი ნაწილი, ვანისა და ურმიის ტბების სანაპიები. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში, ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის გავრცელების ძირითადი რაიონიდან სამხრეთისაკენ მოძრაობას იწყებენ ამ კულტურის მატარებელი ტომები, რომლებიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას იკავებენ. ეს ძირითადად ის ადგილებია, სადაც III ათასწლეულში უკვე ხურიტული ტომები მოსახლეობდნენ. ს. ბერნის აზრით, არსებობს გარკვეული კავშირი ამ კულტურასა და ხურებს შორის¹. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ძნელია ლაპარაკი ამ კულტურასა და ხურიტული ტომების კავშირის შესახებ, ვინაიდან ხურების საკითხში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. მაგრამ, ფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარად დაყენების ცდა საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ხურიტული ტომები III ათასწლეულში უკვე ჩრდილო მესოპოტამიაში და ვანის ტბის მიდამოებში ჩანან. როგორც ჩანს, შემდეგში აქედან გააფრცვლეს მათ თავიანთი პოლიტიკური პეგემონია სამხრეთით². ა. გეოტცეს აზრით ხურთა ქვეყანა ძველადმოსავლეთის პერიფერიულ ნაწილში მდებარეობდა და იგი ძირითადად ვანის ტბის მიდამოებში უნდა ვეძებოთ³. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ამ ტომების პირველსაცხოვრისი უფრო ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო⁴. ზოგი კი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში მათი გავრცელების ჩრდილო საზღვრის დადგენა ვერ ხერხდება⁵. ამჟამად ჯერ კიდევ ინელია ხურიტული ტომების პირველი ადგილსამყოფელის დადგენა. მეცნიერებაში უკვე კაოვა ხანია გამოითქვა მოსაზრება, რომ ხურიტული ენა

¹ C. A. Burney, *Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age*, გვ. 167.

² Г. А. Меликишвили, *Навря-Урарту*, I, Тбилиси, 1954, გვ. 100.

³ A. Götze, *Hethiter, Churriter und Assyrer*, Oslo. 1936, გვ. 102, 103.

⁴ И. А. Дьяков, *История Мидии*. I. Баку, 940, გვ. 58.

Б. А. Куфтин, *Археологические рисунки в Ираке*, გვ. 124.

⁵ И. М. Дьяков, *О азиях древней Передней Азии*, *Вопросы языкознания*, № 5, Москва, 1954, გვ. 57.

კავკასიურ ენებს უკავშირდება¹. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში რიგმა მეკლევარმა ეს მოსაზრება ექვის ქვეშ დააყენა².

როგორც ცნობილია, ჩვენში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ბუ-რიტები ქართველების წინაპრები არიან და რომ ქართველ ტომთა ადრინ-დელი სამშობლო, ჰური ქვეყანა, ვანის ტბის მიდამოები იყო³. უკანასკნელი ხანების აღმოჩენების შედეგად გამოირკვა, რომ IV—III ათასწლეულების მიჯნაზე ვანის ტბის მიდამოებს და საერთოდ აღმოსავლეთ ანატოლიის ვარ-კვეულ ნაწილს ურმიის ტბამდე იკავებენ ამიერკავკასიის ენოლითის შატარე-ბელი ტომები, სადაც მანამდე გავრცელებული იყო ტელ-ქალაფის ტიპის მო-ხატული კერამიკა⁴. ახლა გაგვიძნელდება ამ ტომებისთვის რაიმე ეთნიკური სახელის მოძებნა, მაგრამ შესაძლოა ისინი ხურიტული მოდგმის ანდა მათ-თან ახლო მონათესავე ტომები იყვნენ. ამ მიდამოებში ხურიტები III ათას-წლეულში გამოჩნდნენ. შესაძლოა, ჯერ კიდევ III ათასწლეულის პირველ ნა-ხევარში ამუქის ველზე, სირიაში ამ ტომების შექრის შედეგად გაჩნდა ე. წ. კირბეტ-კერაკის ნაწარმი, რომელიც ახლო ურთიერთობას ამჟღავნებს ამიერ-კავკასიის ენოლითთან. ამასთან დაკავშირებით ვ. ლამბი აღნიშნავს, რომ ძნელია, თუმცა არ არის შეუძლებელი, დავეთანხმოთ ეფექტურ თეორიას, რომლის თანახმად სირია და პალესტინა ამ კულტურას გაეცნო ხალხთა დიდი მიგრაციის წყალობით მტკვრის აუზიდან⁵. აქ ეგებ დაახლოებით ისეთ-სავე პროცესთან გვაქვს საქმე, როგორსაც ვხვდებით მერმინდელ ხანაში. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულში ხურიტები ამ რაიონებიდან და-

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 377.

В. Георгиев, Вопросы родства средиземноморских языков, Вопросы языко-знания, № 4, Москва, 1954, гв. 70.

T. Burton Brown, Excavations in Azerbaijan, 1948, გვ. 255.

А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и срав-нительная грамматика индоевропейских языков, Вопросы языкознания. № 4, Москва, 1952, гв. 43.

Г. А. Меликшвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 84, 104. 402.

ს. ჯანაშია, ურარტუ, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 8.

Б. Грозный, Хеттские народы и языки, ВДИ, № 2, (3), Москва, 1938, гв. 30.

² И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

И. М. Дупаевская, О характере и связях языков древней Малой Азии, Вопросы языкознания, № 6, Москва, 1956, гв. 78.

³ Б. Бертран Шვილი, ი. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტო-რია, თბილისი, 1946, გვ. 20.

ს. ჯანაშია, უძველესი ცნობა ქართველთა პირველმაცხოვრისის შესახებ მართლ-ბელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 70.

ს. ჯანაშია, ქართველთა წარმომავლობის შესახებ, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 236.

⁴ K. Bittie, Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasiens. გვ. 18.

A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

J. Garstang, Prähistorie Mersin, გვ. 101.

⁵ W. Lamb, The Culture of north-east Anatolia and its Neighbours. გვ. 31.

სავლეთით იკრებიან და სირიამდე ჩადიან¹. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ისინი საკმაოდ მყარად მკვიდრდებიან ამუქის ველზე². საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ III ათასწლეულის პირველ ნახევარში ანატოლიასა და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მოხატული კერამიკის ნაცვლად გავრცელებას იწყებს სადა, მოუხატავი კურკელი³. კულტურის ამ ახალი სახის შექრა უთუოდ დაკავშირებული იყო იმ მოიარაობასთან, რომელიც აქ ამ პერიოდში შეინიშნება. ბ. ბრაუნის აზრით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არე, სადაც ჩნდება მარტივი. სადა კერამიკის სახეობა, აზერბაიჯან-საქართველო უნდა იყოს. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ მარტივი, რელიეფური ორნამენტის მქონე კერამიკა ამ რაიონებიდან გავრცელდა⁴. ეს მისი მოსაზრება საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს. როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშული, სადა, მარტივი, გაპრიალებული, რელიეფური ორნამენტით შემკული კერამიკული ნაწარმი ამიერკავკასიაში ძალიან ადრე იწყებს გავრცელებას. III ათასწლეულის დასაწყისში, ჩანს, ამ კერამიკის მატარებელი ტომები მოძრაობას იწყებენ სამხრეთით; ამიტომაც, შესაძლოა, მათ გარკვეული ბიძგი მისცეს ახალი კულტურული იდეების გავრცელებას ახლო აღმოსავლეთში. ბ. ბრაუნის აღნიშნავს, რომ III ათასწლეულის ბოლოსათვის ახალი კულტურული იდეების გამავრცელებელნი ძირითადად ხურიტები იყვნენ, რომლებიც ძალიან ხშირად იფანტებოდნენ დიდ ტერიტორიაზე⁵. აქვე გვინდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ფაქტი: როგორც ცნობილია, ეტლის აღმნიშვნელ სიტყვას ეგვიპტურში ხურიტულს უკავშირებენ⁶. ხის მასალა ეტლისათვის ეგვიპტეში მითანიდან უნდა შეეტანათ⁷. ა. გეოტცე აღნიშნავს, რომ ეტლისათვის საჭირო იფენისა და არ-

¹ A. Götze, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

E. A. Speiser, Excavations at Töpe Gawra, Vol. I, Philadelphia, 1935, გვ. 186.

A. Goetze, Kleinasien, München, 1957, გვ. 62.

Г. А. Меликшвили, Наши-Урарту, გვ. 36.

О. В. Пкитишвили, Из истории Хурритского общества по материалам археологии Нузи, Тбилиси, 1956, გვ. 9.

И. М. Дьяконов, История Мидии, М.—Л., 1956, გვ. 98.

² J. Mellaart, The End of the Early Bronze Age in Anatolia and the Aegean, გვ. 43.

C. A. Burney, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

³ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

A. F. B. Wace and M. S. Thompson, Prehistoric Thessaly, გვ. 245.

⁴ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

⁵ T. Burton Brown, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

⁶ Г. А. Меликшвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

⁷ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триплетти, გვ. 124.

ბ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 22.

ბ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956, გვ. 25.

ყის ხეები ტრაპეზუნტისა და არარატის სანხრეთით აღარ იზრდება¹. შესაძლოა, ეს გარემოება იყოს იმის ანარეკლი, რომ ჩვენში ხის ეტლი აღრეული პერიოდიდან ჩანს².

გ. ალიევი ახლახან გამოსულ ნაშრომში სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ურმიის ტბის მიდამოებში და, კერძოდ, ირანის აზერბაიჯანში III ათასწლეულის შუა ხანებში უკვე თავს იჩენენ სუბარულ-ხურიტულ-კავკასიური ეთნიკური ჯგუფები. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ისინი ამ მხარის ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ³. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება სადღეისოდ არსებული მასალის საფუძველზე მთლად მართებული არ უნდა იყოს. როგორც ვეთუვეს მასალებიდან ირკვევა, ამ ადგილებში ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა ჩნდება K პერიოდში. უფრო ადრე, N და M პერიოდებში, აქ სრულიად განსხვავებული კულტურა იყო. როგორც ჩანს, III ათასწლეულის დასაწყისში, K აგრიოდში აქ მოსახლეობდნენ ამიერკავკასიის ენეოლითის მატარებელი ტომები, რომლებიც სწოვრად ამ პერიოდში იწყებენ მოძრაობას საიხრეთით და ამ ოაიონსაც თავიანთი გავრცელების სფეროში აქცევენ. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სწორედ K პერიოდში ჩნდება დარიშაანიანი საილენძის ნივთები და აგრეთვე რბილი ჯიშის ხორბალი (Tr. vulgare Vill.). ამატომ, ეგებ უფრო მართებული იყოს თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ტოიები აქ გამოჩნდნენ III ათასწლეულის დასაწყისში, K პერიოდში, და ახალი კულტურის გავრცელებაც მათ შემოსეულასთანაა დაკავშირებული.


III ათასწლეულის მეორე ნახევარში ეს კულტურა აღმოსავლეთ ანატოლიაში და ურმიის ტბის მიდამოებში თანდათანობით ჰკარგავს თავის სახეს, ისევე ვრცელდება მოხატული კერამიკა⁴. რა ხდება აქ ამ პერიოდში, იხელი სათქმელია. შესაძლოა ისევე დასავლური კულტურების მომიჯნავეობასთან გვაქვს საქმე⁵. ანაჲს თითქოს ერთგვარად უნდა მოწიობდეს ისიც, რომ აქ თავს იჩენს შუმერული, სირიული და სხვ. წარმომავლობის ლითონის იარაღი.

ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ამ პერიოდში არსებობს ადგილობრივი ენეოლითზე აღმოცენებული ადოებონიჯაოს ხანის კულტურა. ხალკოლითური პერიოდის მსგავსად, იოხატული კერამიკა ჩრდილოეთით აღარ გავრცელებულა და ჩვენში ისევე განაგრძობს არსებობას ძველი ტრადიცია, სადა კერამიკა. მაგრამ თუ სადღეისოდ არსებული კერამიკული მასალის საფუძველზე ისე ჩანს, რომ სამხრეთის ქვეყნებთან ამ პერიოდში მაინცდამაინც აილო ურთიერთობას აო ჰქონია ადგილი, ლითონის ნაწარმი მხო-

¹ A. G ö t z e, Hethiter, Churriter und Assyrer, გვ. 104.
² ო. ჯ ა დ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957—1958 წწ., გვ. 19.
³ J. A z n e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
⁴ C. A. B u r n e y, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.
T. B u r t o n B r o w n, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
B H r o u d a. Die Bemalte Keramik des zweiten Jahrtausends in Nordmesopotamien und Nordsyrien, Berlin. 1957, გვ. 32.
⁵ A. C. A. B u r n e y, დასახ. ნაშრომი, გვ. 170, 174, 208.

თითებს საწინააღმდეგოზე, კერძოდ, ამ ქვეყნებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირზე. როგორც ჩანს, წინააზიურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობის შედეგად ჩვენში ვითარდება ადგილობრივი მეტალურგია. შეინიშნება მთელი რიგი წინააზიური იარაღის ფორმები, რომლებიც სულ მალე თავისებურ სახესღებლობენ ჩვენში.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა მკვლევარმა გამჯთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად ჩვენში ამ პერიოდში თითქოს ადგილი ჰქონდა მცირე აზიიდან ახალი ხალხის გადმოსახლებას, რამაც გამოიწვია ადგილობრივი ენეოლითური კულტურის მოსპობა¹. მათი აზრით ეს სიახლე ყველაზე უკეთ შეინიშნება საჩხერის ყორღანული სამაროვნების ლითონის ინვენტარზე, რაც, რა თქმა უნდა, მართებული არ უნდა იყოს. სწორედ საჩხერეში ჩანს კარგად ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ტრადიციები. რაც შეეხება ლითონის ინვენტარს, აქ ადგილობრივი ტიპების გვერდით მართლაც ვხვდებით წინააზიურ ფორმებსაც, მაგრამ ეს სამხრეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს.



¹ Д. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского причерноморья в эпоху неолита и бронзы—стояния Воронцовской пещеры, Труды Абхазского института, литературы и истории, Сухуми, 1958, гл. 164.

О. Джaparидзе

К ИСТОРИИ ГРУЗИНСКИХ ПЛЕМЕН НА РАННЕЙ СТАДИИ МЕДНО-БРОНЗОВОЙ КУЛЬТУРЫ

(Резюме)

В итоге широко развернувшихся за последние три десятка лет археологических раскопок на территории Грузии и вообще Закавказья, было выявлено множество весьма значительных памятников, которые по-новому осветили ряд кардинальных вопросов древнейшей культуры Грузии. Одним из главных достижений грузинской советской археологии следует считать выделение и изучение ранней ступени медно-бронзовой эпохи. Как выясняется, уже в период появления металла на территории Грузии, здесь существовала весьма развитая и своеобразная культура.

Ранний период медно-бронзовой культуры можно разделить на две ступени: энеолит и эпоха ранней бронзы. Зародившаяся на основе энеолита бронзовая культура и в раннюю эпоху бронзы все еще сохраняет культурные традиции земледельческих племен предыдущей ступени. Не заметна пока что и имущественная дифференциация.

Данная работа имеет целью изучение истории грузинских племен на ранней ступени появления металла.

ГЛАВА I

Поселение Кулбакеби и некоторые вопросы Закавказского энеолита

Холм Кулбакеби расположен недалеко от г. Сталинири у сел. Осприси. Энеолитический слой был расположен под каменной насыпью, после снятия которой на всей площади была обнаружена энеолитическая посуда (табл. 1, 1). Примерно в центре площадки находился круглый очаг (табл. 1, 2). Кроме этого было найдено несколько кремневых вкладышей серпов, нож (рис. 18), наконечники стрел (рис. 19, 1, 2, 3, 4) и скребок.

Следы энеолитической культуры засвидетельствованы еще в двух пунктах поблизости от Кулбакеби: в местечке «Куло-Хоми» и Згудери.

Кулбакеби, «Куло-Хоми» и Згудери расположены довольно близко друг от друга. Можно предположить, что холм Кулбакеби являлся основным местом поселения. Сравнительно неглубокий культурный слой должен указы-

вать на то, что поселение существовало здесь не так уже долго. Обращает на себя внимание то обстоятельство, что в районе Кулбакеби нигде не было обнаружено остатков жилищ. Возможно, что более или менее постоянных жилых домов того типа, который ныне хорошо известен из селищ Шида Картли (Квацхелеби, Гудабертка), здесь вообще не возводили. Жилые постройки строились на поверхности земли из дерева. По всей вероятности, обнаруженные здесь площадки и являются основаниями этих домов.

Имеющийся на сегодняшний день материал дает уже возможность составить представление о типах жилищ энеолитической эпохи. Строение возводилось над землей. Землянки и полуземлянки не характерны для энеолитических селищ Закавказья. Встречаются жилища различных типов: четырехугольные, круглые, удлиненные с закругленными углами, овальные. Строятся они из дерева, камня или глины.

Круглые постройки, как видно, представляют собой довольно распространенный тип жилища в Закавказье. Они имеют иногда четырехугольные пристройки, иногда же эти два вида сооружений расположены отдельно друг от друга. В специальной литературе неоднократно отмечалось, что эти постройки довольно близко стоят к жилищам, обнаруженным в Передней Азии. Относительно назначения круглых строений Передней Азии высказывались различные предположения. Более вероятным представляется считать их жилыми постройками, хотя не исключена возможность, что часть из них имела и культовое значение.

За последнее время на энеолитических селищах Шида Картли были выявлены постройки, имеющие в плане удлиненную с закругленными углами форму. Возможно, что в данном случае мы имеем своеобразное слияние четырехугольного и круглого типов, на подобие фесалийских овальных жилых построек.

Кулбакеби представляло собой, по всей вероятности, временное, сезонное поселение. В связи с развитием земледелия и, в особенности, скотоводства происходит постепенное освоение предгорных и горных районов, первоначально для летних пастбищ. Возможно, что в это время в предгорных частях Картли возникали временные поселения, которые являлись связующими пунктами между горными пастбищами и земледельческой базой. Анализ остеологического материала показал, что здесь преобладают кости крупного рогатого скота (крупного рогатого скота—80, 89%, мелкого—16, 17%). По-видимому, крупный рогатый скот имел преобладающее значение в скотоводстве энеолитической эпохи.

Керамический материал Кулбакеби обращает на себя внимание изысканностью форм, хорошей лепкой и обжигом. Здесь встречается преимущественно краслощенная посуда (рис. 1, 2, 3, 4, 5, 6; табл. II).

Следует особо отметить два сосуда с тремя ручками (рис. 1, 1; рис. 2, 1, 2; табл. II, 1, 2), по своей форме они более всего приближаются к подобному же сосуду из Озни (табл. IV, 7). Бадьи, найденные в Кулбакеби (рис. 1, 3; рис. 2, 3; табл. II, 4, 5), хорошо известны и в Шида Картли. Они встречаются в одном из курганов в Тквиави, на Квацхелеби (рис. 10, 4; табл. VIII, 4, 5), на Хизанаант-гора и т. д. Этот тип сосудов обнаруживает сходство и с бадьями, найденными в памятниках ранне-бронзовой эпохи (Нули, Сталинири, Сачхере). Основным районом распространения бадьи этого типа нужно считать Шида Картли. В Закавказье, кроме Шида Картли, эти бадьи известны лишь в Бешташени (табл. III, 3). Два случая находок подобных сосудов нам

известны в Анатолии — один недалеко от Фрактина, а другой у Караоглина в фригийском слое. Примечателен тот факт, что в Кулбакеби мы встречаем в основном посуду, предназначенную для жидкости. Здесь почти нет больших сосудов с широким горлышком, употребляемых для хранения зерна. Это обстоятельство может быть объяснено самим характером поселения. Поскольку мы имеем в данном случае переменную, сезонную стоянку, связанную с скотоводством, по-видимому, не было надобности в сосудах для зерна. Лишь на Згудери был найден фрагмент более крупного сосуда, в переломе которого хорошо виден след ткани (рис. 8, 1).

В Кулбакеби было обнаружено только два черепка посуды со следами рельефного орнамента (рис. 4, 1). Наличный материал позволяет как будто предполагать, что рельефный орнамент вообще не характерен для энеолитической керамики Шида Картли. Однако, следует заметить, что одной из характерных своеобразий энеолитической культуры Закавказья вообще является именно рельефный спиралевидный орнамент. Этот мотив представлен здесь в различных вариантах. Самым распространенным является рельефная очкообразная спираль (табл. VI, 1). Изредка встречаются и рельефные изображения фигур птиц (рис. 9; табл. VI, 2) и животных. Очкообразная спираль характерна более всего для энеолитических стоянок Триалети и близлежащих районов. В энеолитических памятниках Армении чаще всего встречается выпукло-выемчатый орнамент, в котором ведущую роль опять-таки играет спираль.

Несмотря на то, что энеолитическая культура в основном сохраняет характерные общие черты на обширной территории своего распространения, все же удастся внутри этой культуры выделить некоторые своеобразные разновидности.

Энеолитические поселения Шида Картли, Квацхелеби, Хизанаант-гора, Гудабертка дают однообразный керамический комплекс. Здесь не встречаются сосуды с широкими цилиндрическими шейками, с резким изгибом у плечиков, столь характерных для керамики Дидубе и Кикети. Характерной чертой этой керамики является то, что здесь изгиб в основном встречается в средней части корпуса сосудов (рис. 10). Бросается в глаза также своеобразный характер орнаментации этой керамики. Здесь встречается в основном резной орнамент.

Следует отметить, что некоторые памятники этого времени из Шида Картли обнаруживают довольно близкую связь с памятниками типа Дидубе-Кикети. В этом смысле обращает на себя внимание керамика, найденная близ Диди-Ахалсопели. Аналогии с этой керамикой видны и среди материалов из Згудери (рис. 8, 2, 5); кувшин, найденный в кургане из Ткинави, также близок к этой группе. Однако, бадьи, обнаруженные в этих курганах, такого же типа, как и бадьи из Квацхелеби-Хизанаант-гора. Кулбакеби также сближается с поселениями Картлийской долины, в основном, именно бадьями, ибо в остальном керамический комплекс Кулбакеби имеет своеобразные черты. Здесь же встречается посуда квацхельского типа, имеющая изгиб в средней части корпуса. В этом отношении кулбакебская посуда ближе стоит к керамике из Дидубе, но у керамической посуды из Кулбакеби изгиб у основания горлышка более резкий, а само горлышко уже и не имеет правильной цилиндрической формы (рис. 2; табл. II).

Характерным для дидубейского керамического комплекса является высокая, широкая, цилиндрической формы шейка, круглый слабо выраженный корпус и резкий изгиб у перехода от плечика к шейке (рис. 11, табл. IV;

